ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მერმისი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

(ემბლემა)

თბილისი

2011

(ემბლემა)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის

ჰუმანიტარული და კულტურულ- საგანმანათლებლო მიმართულების პროექტი

II სტუდენტური რეგიონთაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია

მასალები

თბილისი
2011

რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
პროექტის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)
კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

პროფესორი **ნინო მინდიაშვილი** (კოორდინატორი) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორები: **თეიმურაზ პაპასკირი, რამაზ ჯორბენაძე, ირინა მირიჯანაშვილი, ლალი ოსეფაიშვილი, ნანი მაჭარაშვილი, მედეა დესპოტაშვილი, ინგა სანიკიძე, ნანა გონჯილაშვილი, ინეზა გაგნიძე, შოთა შაბურიშვილი, თამარ შარაბიძე, რუსუდან ბურჯანაძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორები: **ელგუჯა ქავთარაძე, ნანა კუცია, მამული ბერია** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორი: **თამარ გოგოლაძე** (სსიპ გორის უნივერსიტეტი)

პროფესორი: **ფრუდე ჰერმუნდსგორდი** (ოსლოს უნივერსიტეტი)

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია II სტუდენტურ რეგიონთაშორის რესპუბლიკურ კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალებიდან შერჩეული შრომები. შერჩევის პრინციპი დაფუძნებული იყო ნაშრომებში კვლევისა და ანალიზის კომპონენტების, ინდივიდუალიზმისა და თავისთავადობის, მეცნიერული და მორალური პოზიციის ხარისხზე.

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალების მრავალფეროვნების, მრავალმიმართულებრივი პრობლემატიკის კვალობაზე მუშაობდა სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო თემატიკის სექცია, რაც აისახა კიდეც სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში.

სტუდენტთა ამგვარი სამეცნიერო ფორუმები მომავალშიც გაგრძელდება, რადგან დღევანდელ აკადემიურ სექტორში არსებულ სამეცნიერო, თუ ინფორმაციული გამოწვევების კვალობაზე. საქართველოს მომავალი ინტელექტუალური თაობისთვის სიტყვის მიცემა რეალური, აქტუალური და პერსპექტიულია, ამასთან ერთად, იქმნება თანამშრომლობის, გაცნობისა და გაზიარების კლასიკური გარემო.

შეუძლებელია განსაკუთრებით არ აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: კანონზომიერი და ლოგიკურია, რომ ეს სამეცნიერო შეკრებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმართება, რომელიც ყოველთვის იყო და დარჩება ჩვენი სტუდენტობის-მომავალი სამეცნიერო პოტენციალის უპირველესი თანამდგომი და ინტერესების დამცველი.

თამარ პაიჭაძე

სარჩევი:

სამართალმცოდნეობა, კონფლიქტოლოგია

გიორგი ამირანაშვილი 1
დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში

სალომე ჯანელიძე
7
სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით

გიორგი ძიგუაშვილი
15
წამების აკრძალვა თუ სიცოცხლის უფლება?

ნინო ქრისტესიაშვილი
25
წარსული, მძიმე აწმყო, გაურკვეველი მომავალი - ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია

მარიამ აბულაძე
30
კონფლიქტი, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი

ოლიკო არდემანაშვილი ხატია ტეტუნაშვილი
33
2008 წლის რუსეთ საქართველოს კონფლიქტი და გორი

ქსენია ხაჩიძე მარიკა დურული
39
კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები "ნაბუკოს" გაზსადენის მაგალითზე

ქეთევან შერვაშიძე

42

საზოგადოებისა და პიროვნების კონფლიქტი
მარიამ გაზაშვილი

47

ქართულ-ოსური ურთიერთობანი

თათია ჩაფიჩაძე

53

ოჯახური კონფლიქტები, ძალადობა და გენდერი 21-ე საუკუნის საქართველოში

ქეთევან. ჩიქვილაძე

60

ებრაელთა გენოციდი და ფაშისტური გერმანია

ელენე ჯირკველიშვილი ნინო ცეცხლაძე

65

2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და სახალხო დიპლომატია

ნინო ყაჩლავაშვილი

70

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გავლენა შაჰდენიზისს
გაზსადენის პროექტზე

სოციალური მეცნიერებანი: პოლიტოლოგია, ჟურნალისტიკა

ციცინო ღუღუნაძე ჟანა ხადური

73

2008 წლის აგვისტოს ომი და ეკოლოგიური საფრთხეები

ანუკი წიწილაშვილი

78

ვის სასარგებლოდ დაიდო ჰაიდი ტალიავინის დასკვნა?

ქრისტინე ბებია

85

გლობალიზაცია საქართველოში

ეკატერინე ღვინიაშვილი

90

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები. ისტორიული სწრაფვა ევროპისაკენ და ინტენსიური თანამშრომლობის პოლიტიკა

ქეთი ბერიძე

96

ფსიქოლოგია ხელოვნებისა და რელიგიის კვალდაკვალ

ხატია კობლიაშვილი თათია ჩადუნელი

102

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მასმედია

ჰუმანიტარული მეცნიერებანი:
ისტორია, კულტუროლოგია, ხელოვნება

მიხეილ ქართველიშვილი ეთერ ბოკელავაძე

108

საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX ს–ის 70–იან წლებში

გიორგი ციცქიშვილი

114

ერთიანი საქართველოს მეფეთა თანამეცხედრეები

ნათია ფონიავა

119

აფხაზურ-ქართული ურთიერთობები „მეგრული ანდაზებისა“ და „ჩვენებურების ქართულის“ მიხედვით

ლევან დოსმიშვილი

125

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს სახელმწიფოებრიობაში

ია მჭედლიძე

136

საქართველოს და სომხეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი XIX-XX საუკუნეებში

გიორგი ციცქიშვილი

145

ენტონი ჯენკინსონის ქართველი უფლისწულის ვინაობისათვის

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა

ირინა ბაგაური

156

ბილინგვალიზმი და საქართველო ლოკალურ და გლობალურ კონტექსტში

ელნურ ალიევი

165

Грузинские заимствования в говорах Азербайджанского языка

მეგი გუმბერიძე

167

ფილიპეს ღვთისშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები

ლევან ბებურიშვილი

171

„განდეგილის“ საღვთისმეტყველო ანალიზისათვის

ნინო გაბუნია

178

გენდერული თანასწორობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში

მარიამ ბეჟიტაშვილი

183

“ვეფხისტყაოსანში ასახული პატრონყმობის ინსტიტუტი”

ნინო ბალიაშვილი

192

ქორწინება და ქალის უფლებების რღვევის პროცესი დავით კლდიაშვილის პიესებში („ირინეს ბედნიერება”, „დარისპანის გასაჭირი”)

ნათია მესხია

197

მითოლოგიური ნაკადი მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართულ რომანში

ანა დოლიძე

200

ყვავილის დანიშნულება შემოქმედებით სივრცეში

სოფიკო კანთელაშვილი

206

გიორგი პირველის საგარეო პოლიტიკა (კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის” მიხედვით)

მარიამ ჭანტურია

211

აფხაზეთის ომის თემა გურამ ოდიშარიას შემოქმედებაში

თეა ბაღათურია

214

ომისდროინდელი საფელი მე-20 საუკუნის ქართულ პროზაში

თეონა ქურთოული

218

ოთარ ჩხეიძის პოსტსაბჭოური რომანი 2001 წელი

ეკა იორამაშვილი ხატია ტეტუნაშვილი

225

წყარო, ფიბულა, სიუჟეტი (ა.წერეთელის “თორნიკე ერისთავის” ისტორიისათვის)

მარიამ შატაკიშვილი

231

ვაჟა და ეროსი

ქეთინო მელაძე

235

ბედი ქართლისა და ნიკოლოზ ბარათაშვილი

ანა მელიშვილი

242

ჭეშმარიტების შეცნობის გზები ბარათაშვილის შემოქმედებაში

თინათინ თვალჭრელიძე

246

ვაჟა-ფშაველას პოემა”უიღბლო იღბლიანი” და მისი ფოლკლორული ძირები

თამილა მახარაშვილი

255

ქრისტიანული მითოსური მოტივები ვ.ფშაველას „გველისმჭამელში”

ნინო ადამია

260

მითოსი,როგორც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების წყარო

ლანა გრძელიშვილი

268

უცხო,როგორც თემა,როგორც პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ნინო ფრანგიშვილი

273

ყივჩაღის თემა გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში

ქეთევან სამადაშვილი

278

პირიქით *(ნათია ნაცვლიშვილის სადებიუტო კრებულის განხილვა)*

ლილი მეტრეველი

284

საბჭოთა ცენზურა და მიხეილ ჯავახიშვილი

თამარ ადამია

289

საბჭოთა ცენზურა და კონსტანტინე გამსახურდია

ნუნუ ბალავაძე

294

სიკვდილი,როგორც ლიტერატურული პერსონაჟი გოდერძი ჩოხელის პროზის მიხედვით

თამუნა კვაჭანტირაძე

300

ჭაბუა ამირეჯიბის "გორა მბორგალის" გააზრებისათვის

სკანდინავისტიკა

სოფიო რუსიშვილი

304

კვლევის ორგანიზაცია ნორვეგიაში

მარიამ მაისაშვილი სოფიო კუკავა 309
კორუფცია დანიაში

ნინო ნუცუბიძე 314
ნორვეგიის ქალთა მოძრაობის ისტორია

ნინო ფორჩხიძე 317
პიროვნების განვითარების გზა (ს. კირკეგორი)

ირინა ვარდანაშვილი 322
რელიგიურ შეხედულებათა განვითარების თავისებურებანი ნორვეგიაში

თამარ თამლიანი 328
სკანდინავიის ქვეყნების ეთნოლოგია
(ნორვეგიელები, დანიელები, შვედები)

ეკონომიკა, ბიზნესი

თინათინ ბარჯაძე 335
კონფლიქტის დარეგულირების ეკონომიკური ბერკეტები

ამირან ლაფაჩიძე 345
კონფლიქტის მოგვარების ეკონომიკური ბერკეტები

დემეტრე დემეტრაშვილი, ალექსანდრე თარხნიშვილი 353
რუსეთ-საქართველოს ომი და მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის გავლენა
ქართულ სამშენებლო ბიზნესზე

სოფო ცეცხლაძე 363
რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და ქართული ეკონომიკა

სამართალმცოდნეობა, კონფლიქტოლოგია

გიორგი ამირანაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში

ხელმძღვანელი: პროფესორი ირაკლი ყანდაშვილი

დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში

შრომის სამართალში კერძო სამართლისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა უფლებებისა და თავისუფლებების შენარჩუნება ხდება. მაგალითად, უცვლელი სახითაა წარმოდგენილი ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი, რადგან იძულებითი შრომა აკრძალულია. შრომის თავისუფლებას განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, საკმაოდ ლაკონური ფრაზით – შრომა თავისუფალია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 7 აპრილის განჩინებაში განმარტა, რომ შრომის თავისუფლებაში იგულისხმება არა მხოლოდ თავისუფლება იძულებითი შრომისაგან, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები. რა თქმა უნდა, შრომითი უფლებების დაცვა დისკრიმინაციის აკრძალვასაც მოიცავს. აღნიშნული დებულების გაჟღერებას დიდი მნიშვნელობა აქვს უზენაესი კანონის დონეზე. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომელიც დასაქმებულთა დაცვის მნიშვნელოვან წყაროდ მოიაზრება და წარმოადგენს კანონით დადგენილი სისტემის ანალიტიკურ კონტრასტს, რომელიც იძლევა დისკრიმინაციის აკრძალვის შეფარდებით შინაარსს[2].

დღეს მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის[3] 2.2 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. ხოლო თავის მხრივ 2.1 მუხლში აღნიშნულია, რომ შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში[4] დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. გამოდის, თანასწორუფლებიანობის პრინციპი შეუზღუდავად მოქმედებს მხოლოდ შრომითი ურთიერთობის წარმოშობამდე, ხოლო მისი წარმოშობის შემდეგ კი აღნიშნული პრინციპი გარკვეულ

[2] Mack A. Player, Employment Discrimination Law, West Publishing Co., St. Paul, Minn., 1988, XVii

[3] საქართველოს შრომის კოდექსი, თბილისი, 2006 წლის 25 მაისი, № 3132 - Iს

[4] იმ პირობების შექმნა დასაქმებულისათვის, რომელიც აუცილებელია ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად

მოდიფიცირებას განიცდის და მას ენაცვლება ქვემდებარეობის (სუბორდინაციის) პრინციპი, რომელიც გამოიხატება დასაქმებულის მხრიდან დამსაქმებლის მითითებების შესრულების ვალდებულებაში, ანუ დასაქმებული დამოკიდებული ხდება დამსაქმებლის მითითებებზე და ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრულ ორგანიზაციულ პირობებზე.

რაც შეეხება მხარეთა თანასწორობას, ის შრომის სამართალში ასახვას პოულობს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის სახით რომელიც უშუალოდ კონსტიტუციიდან მომდინარეობს (თანასწორობის პრინციპი). კონსტიტუციის 38-ე მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საქართველოს შრომის კოდექსის 3.3 მუხლი იწყება შემდეგი სიტყვებით: შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია... ლოგიკურად გამოდის, რომ დისკრიმინაციის აკრძალვას აქვს ადგილი სახელშეკრულებო ეტაპზე. ისმის კითხვა: რატომ არ ითვალისწინებს კანონი დისკრიმინაციის აკრძალვას წინასახელშეკრულებო პერიოდში? ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ შრომითი ურთიერთობის წარმოშობამდე თანასწორუფლებიანობა, როგორც ფუძემდებლური პრინციპი, აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლებაა, ხოლო შრომითი ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ, სუბორდინაციის პირობებში, არსებობს საფრთხე იმისა, რომ მოხდეს ამ პრინციპის დარღვევა, რადგან დასაქმებული ექცევა დამსაქმებლის ნების ზეგავლენის ქვეშ და იღებს სამუშაოს შესრულების ვალდებულებას ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ შრომით რეჟიმში. გარდა ამისა, დისკრიმინაციის აკრძალვა ასევე უკავშირდება არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ მასში იგულისხმება თანასწორობა დასაქმებულებს შორის, ანუ დამსაქმებელმა მათ თანაბარი პირობები უნდა შეუქმნას. სწორედ ამიტომ ენიჭება ესეოდენ დიდი მნიშვნელობა დისკრიმინაციის აკრძალვას შრომით ურთიერთობებში.

$1. diskriminaciis akrZalvis principi, rogorc socialuri uflebebis mniSvnelovani elementi

ძირითადი უფლებები სამართლებრივი სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში საქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებადაა აღიარებული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, ხოლო კონსტიტუციის მე-7 მუხლი ძირითად უფლებებს „უშუალოდ მოქმედ სამართლად" მოიხსენიებს.

თეორია ადამიანის ძირითადი უფლებების დაჯგუფების სხვადასხვა პრინციპებს გვთავაზობს. სახელმწიფო ხელისუფლებაზე ორიენტირების პრინციპის მოშველიებით ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ: ა) თავისუფლების უფლებები; ბ) სამოქალაქო უფლებები და გ) სოციალური უფლებები[5]. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს თუ რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი.

სოციალური უფლებების პირველი ფორმულირება მოხდა XIX საუკუნეში ე.წ. ძმობის სულის გავლენით. ამ უფლებებს „პოზიტიური სტატუსი" (status positivus) გააჩნია, შესაბამისად, იგი ავალდებულებს

[5] კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები (იურიდიული სახელმძღვანელო), გამომცემლობა „ჯისიაი", თბ., 2003, 40-41

სახელმწიფოს, უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრების პირობები იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ეს სჭირდება[6].

სოციალური უფლებები აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ჩამოთვლის ადამიანის ძირითად ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება. საინტერესოა თუ რა გარანტიებს სთავაზობს საქართველო თავის მოქალაქეებს დისკრიმინაციისაგან დაცვის კუთხით და აღნიშნული განხილული იქნება ისეთი ურთიერთობების მაგალითზე, როგორიცაა შრომითი ურთიერთობა.

საქართველოს კონსტიტუცია სოციალური უფლებების დეკლარირებას სწორედ შრომის უფლების კონსტიტუციური განმტკიცებით იწყებს და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გვამცნობს, რომ შრომა თავისუფალია. შრომის კონსტიტუციური უფლების საკანონმდებლო მოწესრიგებას კი უზრუნველყოფს 2006 წლის 25 მაისს მიღებული საქართველოს შრომის კოდექსი, შესაბამისად, შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის გარანტიის ანალიზი უნდა მოვახდინოთ აღნიშნული კოდექსის საფუძველზე.

$2. diskriminaciis amkrZalavi debulebani saqarTvelos Sromis kodeqsSi

2006 წლის 25 მაისს პარლამენტმა მიიღო დღეს მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსი. დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები აისახა კოდექსის ზოგად დებულებებში. კერძოდ, ამ საკითხს ეთმობა მე-2 მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და გარკვეულწილად მე-6 ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა მიმდინარე კოდექსით განმტკიცებული დისკრიმინაციის აკრძალვის დებულებები პროგრესულობით გამოირჩევა ადრინდელ კანონმდებლობასთან მიმართებაში, თუმცა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა შედარებითი ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ ჩვენ კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აკრძალვის დებულებების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან.

საყურადღებოა, საქართველოში მოქმედ შრომის კანონმდებლობაში თანდათანობით როგორ იზრდებოდა რაიმე უპირატესობის მინიჭების აკრძალვის ნიშნების ჩამონათვალი. სსრ შრომის კანონთა კოდექსი ითვალისწინებდა აღნიშნულის დაუშვებლობას სქესის, რასის, ეროვნული კუთვნილებისა და რელიგიისადმი დამოკიდებულების მიხედვით. სსრ კანონმდებლობის სამართალმემკვიდრე შრომის კანონთა კოდექსს დაემატა: კანის ფერი, ენა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებები, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილი. „ჯეპლაკის" მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით კი ამ ჩამონათვალს უნდა დამატებოდა დისკრიმინაციის აკრძალვა პროფესიული გაერთიანებისადმი კუთვნილების ან სხვა ნიშნის მიხედვით.

[6] იქვე

ამჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 2.3 მუხლი გვთავაზობს ჩამონათვალს, თუ რა ნიშნით არ უნდა მოხდეს დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში. აღნიშნული ნორმის შედარებით საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, შევნიშნავთ ერთ ყურადსაღებ ფაქტს: კონსტიტუციისა და ევროკონვენციისაგან განსხვავებით შრომის კოდექსი ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილებისა და ოჯახური მდგომარეობის გამო. თავის მხრივ, ევროკონვენცია გვთავაზობს ისეთ ნიშნებს, რომლებიც არ არის ასახული საქართველოს შრომის კოდექსსა და კონსტიტუციაში, კერძოდ: ევროკონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილია ყველასთვის ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა: გაერთიანება ეროვნულ უმცირესობებთან, ქონება, დაბადება ან სხვაგვარი სტატუსი. მიზანშეწონილია მოხდეს ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება აღნიშნულ ნიშნებთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ აისახოს კანონმდებლობაში, ვინაიდან რაც უფრო ფართო იქნება ასეთი ჩამონათვალი, მით უფრო დაცული იქნება დასაქმებულის უფლებები. ამ კონტექსტში ასევე წინგადადგმული ნაბიჯი იქნება თუ კოდექსისეულ ჩამონათვალს დაასრულებს ფრაზა „ან სხვა ნიშნის გამო", რადგან ჯერ ერთი შეუძლებელია კოდექსში კრიტერიუმების ამომწურავი ჩამონათვალის ასახვა, გარდა ამისა, შესაძლოა, პრაქტიკაში ზოგიერთი შეზღუდვა ვერ მოექცეს ამა თუ იმ კატეგორიაში, შესაბამისად გონივრულობის თვალსაზრისით ასეთი კრიტერიუმის დამატების საჭიროება ეჭვგარეშეა. ამ მხრივ საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის შრომის კოდექსის მე-3 მუხლის ფრაზა: "Никто не может быть ограничен в трудовых правах и свободах или получать какие-либо преимущества независимо от…, а также от других обстоятельств".

შრომის კოდექსის 2.4 მუხლი განმარტავს თუ რა ჩაითვლება დისკრიმინაციად. ზოგადად, დისკრიმინაცია არის ნებისმიერი, რაციონალურ დასაბუთებას მოკლებული, ცალკეული პირების, ან ჯგუფების უფლებების შეზღუდვის, ან მათდამი უარყოფითი დამოკიდებულების ფორმა, რომელიც ფიზიკურ და ბიოლოგიურ ნიშნებზე აგებულ უფლებათა და უფლებამოსილებათა დიფერენციაში გამოიხატება. კოდექსისეული განმარტებით, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის „პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროვება". უნდა აღინიშნოს, რომ სსრ და მის შემდეგ მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი განსხვავებით ამჟამინდელი კანონმდებლობისა ითვალისწინებდა როგორც უფლებათა რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვის, ისე უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობას. მიმდინარე კანონმდებლობა დისკრიმინაციად თვლის პირის შევიწროვებას, რადგან ერთი პირის შევიწროვება ავტომატურად მეორე პირისათვის უპირატესობის მინიჭებას გულისხმობს. რა თქმა უნდა, ამ კუთხით საკმაოდ არასაკმარისად უნდა ჩავთვალოთ „ჯეპლაკის" კანონპროექტი, რომელიც ზოგადად დისკრიმინაციის აკრძალვაზე აპელირებს ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე. დღეს მოქმედი შრომის კოდექსი განსაზღვრავს, თუ რას უნდა ისახავდეს მიზნად ან იწვევდეს პირისათვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი შევიწროვება, ესენია: პირისათვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ

ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

საკმაოდ მნიშვნელოვანია შრომის კოდექსის 2.5 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად. სსრ შრომის კანონთა კოდექსი ასეთ დებულებას არ შეიცავდა, მასში მხოლოდ საუბარი იყო იმაზე, რომ დაუშვებელია ამა თუ იმ უფლებათა შეზღუდვა ან რაიმე უპირატესობის მინიჭება. მის შემდეგ მოქმედ კანონმდებლობაში უკვე ჩნდება ასეთი ჩანაწერი: შეზღუდვად არ ჩაითვლება განსაკუთრებული პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია გარკვეული კატეგორიის მუშაკებისათვის ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. თუ კარგად დავუკვირდებით გამოდის, რომ კანონმა გაითვალისწინა ზოგადი წესიდან გამონაკლისი, თუმცა მხოლოდ შეზღუდვასთან მიმართებაში, ხოლო რაიმე უპირატესობის მინიჭების აკრძალვა კვლავ აბსოლუტურად შეუზღუდავი დატოვა. „ჯეპლაკის" მიერ მომზადებული კანონპროექტი საკმაოდ ლაკონური იყო ამ საკითხთან დაკავშირებით და ამბობდა, რომ დისკრიმინაციად არ ითვლება უშუალოდ სამუშაოს თავისებურებით განპირობებული განსხვავება. აღნიშნულის ფონზე საკმაოდ პროგრესულად და ევროპული სტანდარტების შესაბამისად უნდა ჩაითვალოს დღეს მოქმედი კოდექსის დებულება, რომლის მიხედვითაც დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება. ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ პარადოქსთან გვაქვს საქმე, ვინაიდან სსრ კანონმდებლობა აბსოლუტურად შეუზღუდავად თვლიდა დისკრიმინაციის აკრძალვას, ხოლო მის შემდგომ სამოქმედოდ შემოღებულ სამართალში გაჩნდა გარკვეული სახის გამონაკლისი ამ წესიდან. ეს ყოველივე შეიძლება მარტივად აიხსნას იმით, რომ პრაქტიკამ მოითხოვა ასეთი ცვლილებების გატარების აუცილებლობა. რადგან პრაქტიკა ვახსენეთ, მიზანშეწონილია ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მოვიხმოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელშიც განმარტება მოახდინა „განსხვავების" თაობაზე: „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, რომელიც იმყოფება თანაბარ პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება. აღნიშნული პრინციპი მოიცავს ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობის სპექტრს, რათა მოხდეს თანაბარ პირობებსა და გარემოებებში მყოფი ინდივიდებისათვის თანაბარი პრივილეგიების მინიჭება და თანაბარი პასუხისმგებლობის დაკისრება. განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირება, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში არ ჩაითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევად. კანონმდებელს უფლება აქვს, კანონით განსაზღვროს განსხვავებული პირობები, მაგრამ ეს განსხვავება უნდა იყოს დასაბუთებული, გონივრული და მიზანშეწონილი. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დიფერენცირებულობის თანაბარი დონე ერთსა და იმავე პირობებში მყოფი სუბიექტებისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევის დადგენისას

ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: „მე-14 მუხლის დარღვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა სახეზეა: ა) დიფერენცირებული დამოკიდებულება ერთნაირი შემთხვევების მიმართ, გონივრული და ობიექტური საფუძვლების გარეშე და ბ) არ არის დაცული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის". შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ამ საკითხისადმი არის: 1. გონივრულობა და ობიექტური საფუძველი და 2. პროპორციულობის პრინციპი. ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება. მასში ნათქვამია, რომ თანაბარი მოპყრობის უფლებაში ჩარევას მაშინ ექნება ადგილი, როდესაც სახეზე იქნება არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი დიფერენცირებული მოპყრობა. ხოლო რაც შეეხება იმის განსაზღვრას, განსხვავებული მოპყრობა წარმოადგენს თუ არა დისკრიმინაციას, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს შესაბამისმა სასამართლომ.

რაც შეეხება შრომის კოდექსის 2.6 მუხლს, რომლის მიხედვითაც შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მისი დაწვრილებითი განხილვა არ არის საჭირო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი დამატებით გარანტიებს ქმნის მხარეთა კანონიერი ინტერესების დასაცავად.

დასკვნა

შრომის უფლება ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. შრომის უფლებისა და შრომითი ურთიერთობების თანამედროვე სახით ჩამოყალიბებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, ვინაიდან აუცილებელია შრომითი კანონმდებლობის შეცვლა და დახვეწა მიმდინარე გლობალური ეკონომიკური პროცესების კვალდაკვალ.

საქართველომ აღიარა შრომის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა და იკისრა საქართველოს თითოეული მოქალაქის შრომის უფლების რეალიზაციისა და შრომის სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველყოფის ვალდებულება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 2006 წლამდე მოქმედ 1973 წლის შრომის კანონთა კოდექსი, მიუხედავად მასში შეტანილი უამრავი ცვლილებისა, ვერ პასუხობდა თანამედროვე შრომითი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ მოთხოვნებს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სტაბილური ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად აუცილებელი გახდა ახალი შრომის კოდექსის შემუშავება. მართლაც, 2006 წლის ივნისში ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შრომის კოდექსი. მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსის ამოქმედებიდან მხოლოდ რამდენიმე წელია გასული, რაც საკმაოდ მცირე დროა კანონის მოქმედების შედეგების სრულყოფილი შეფასებისთვის, მონიტორინგის შედეგებმა დაადასტურა მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზების არსებობა, რომლებიც დახვეწას და შრომის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვენ. როგორც დავინახეთ, შრომის სამართლის კოდექსის მთელი რიგი ნორმები არ შეესაბამება საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული შრომის უფლებისა და თავისუფლების შესახებ, რის გამოც დასაქმებული შესაძლოა აღმოჩნდეს არახელსაყრელ და არათანაბარ პირობებში დამსაქმებელთან შედარებით. შრომის

კოდექსის არსებულმა ვერსიამ არ უნდა შეცვალოს შრომის კანონმდებლობის მიზანი და ის თავისი სულისკვეთებით მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესებს არ უნდა ითვალისწინებს, რაც თავისთავად იწვევს დასაქმებულთა შრომითი უფლებებისა და გარანტიების იგნორირებას. შრომის კოდექსში არსებობს მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც დახვეწასა და ახალი ნორმებით ჩანაცვლებას მოითხოვენ. აღნიშნული კი დღის წესრიგში აყენებს შრომის კოდექსის ახალი ვერსიის შემუშავების აუცილებლობას.

საქართველო ცდილობს თავისი კანონმდებლობით ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებას. ალბათ, შრომის სამართლის დაახლოება უპირველესად უნდა იყოს მიჩნეული იმ საკანონმდებლო აქტების ჭრილში, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში და ეკონომიკურ თანამშრომლობას ევროპასთან. საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების კონტექსტში შრომის ბაზრის სამართლებრივი რეფორმა ყველაზე გონივრული და წინდახედული უნდა იყოს, რადგან შრომის კანონმდებლობა ტრადიციულად დელიკატურ და ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენის მქონე სამართლის სფეროს განეკუთნება, რომლის დაბალანსებაც აუცილებელია როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ასევე სოციალური სიმშვიდის შესანარჩუნებლად. ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება ფოკუსირებას უნდა ახდენდეს დაქირავებულთა და დამქირავებელთა ინტერესების ბალანსზე.

სალომე ჯანელიძე

კავკასიის სამართლის სკოლა ბაკალავრიატი

სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით

პირველი უფლება, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიერ მე-2 მუხლით, არის სიცოცხლის უფლება - ფუნდამენტური ადამიანის უფლებებს შორის. მის უდიდეს მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ ეს უფლება აბსოლუტური ხასიათისაა და კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, დაუშვებელია მისგან გადახვევა ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის არსებობისას.

სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა დაცვის ნებისმიერი სისტემის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა)

წარმოადგენენ ევროპული ქვეყნების დემოკრატიულ საზოგადოებათა ძირითად ღირებულებებს.

მიუხედავად მე-2 მუხლში მოცემული უფლების მნიშვნელობისა, კონვენცია არაფერს ამბობს იმაზე, თუ როდის იწყება, ან სრულდება სიცოცხლე. არსებობს მნიშვნელოვანი კითხვები ჩანასახის უფლებებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც კომაში მყოფ ადამიანებთან დაკავშირებით, რომელთაც სიცოცხლეს სპეციალური აპარატურის მეშვეობით უნარჩუნებენ. ნაშრომში შევეცდები, საფუძვლიანად განვიხილო სიცოცხლის უფლება ადამინის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ჭრილში და პასუხი გავცე ზემოთაღნიშნულ კითხვებს.

სიცოცხლის უფლების სამართლებრივი უზრუნველყოფა

მე-2 მუხლის პირველი წინადადება ადგენს, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულება, რომელიც სახელმწიფოსაგან მოითხოვს სისხლის სამართლის ეფექტური კანონმდებლობის არსებობას, რაც ინდივიდის მიმართ ძალადობის აღკვეთის ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს. ამასთან ერთად, აუცილებელია სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნების აღსრულების ეფექტური მექანიზმის არსებობაც.[1] ადგილობრივი კანონმდებლობა ასევე უნდა ითვალისწინებდეს მე-2 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დათქმას: სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის დარღვევად იმ შემთხვევაში, როდესაც ძალის გამოყენება აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენს, კერძოდ:

ა) ნებისმიერი პირის არამართლზომიერი ძალადობისაგან დაცვა;

ბ) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაკავებული პირის გაქცევის აღსაკვეთად

გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას ამბოხების ან აჯანყების ჩასახშობად.

იმისათვის, რომ სიკვდილის გამომწვევი ძალის გამოყენება კანონიერად ჩაითვალოს, იგი არა მხოლოდ ზემოთაღნიშნული მიზნების

[1] Osman v United Kingdom (1998) (Appl. No. 23452/94, 28 October 1998)

განსახორციელებლად უნდა იყოს მიმართული, არამედ უნდა იქნას შეფასებული, რამდენად წარმოადგენდა ძალის გამოყენება მოცემულ ვითარებაში უკიდურეს საჭიროებას. თუმცა ის კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ორგანოების მიერ ძალის გამოყენებას არეგულირებს, ამ უკანასკნელთ არ უნდა აძლევდეს უფლებას, თავად გადაწყვიტონ, თუ რა ვითარებაში იქნებოდა სიკვდილის გამომწვევი ძალის გამოყენება უკიდურესი საჭიროება, რაც განსაზღვრავს პაუხისმგებლობისაგან მათი გათავისუფლების საკითხს.

სასიკვდილო შემთხვევების აღკვეთისა და ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ ინფორმაცია სასიკვდილო შემთხვევასთან ან მის საფრთხესთან დაკავშირებით. ხელისუფლების ორგანოებს აკისრიათ პოზიტიური ვალდებულება, მიიღონ პრევენციული ზომები იმ პირთა დასაცავად, რომლებიც იმყოფებიან სხვათა კრიმინალური ქმედებების რისკის ქვეშ. თუმცა, ეს ვალდებულება არ უნდა იქნეს იმგვარად ინტერპრეტირებული, რომ სახელმწიფოს ხელისუფლებას არაპროპორციულ ან შეუძლებელ ტვირთად დააწვეს. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, მიიღოს პრევენციული ზომები კონკრეტული პირის თუ პირების დასაცავად, წარმოიშობა, როცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ კონკრეტული პირის სიცოცხლის მიმართ "რეალური და მყისიერი რისკის არსებობის შესახებ, რომელიც გამომდინარეობდა მესამე პირებისგან". თუკი სახელმწიფო არ მიიღებს მის კომპეტენციაში არსებულ ზომებს, რათა თავიდან აიცილონ რისკი, ამან შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის უფლების დარღვევა. განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ხელისუფლებამ არ განახორციელა სათანადო ქმედებები იმ რეალური და მყისიერი რისკის თავიდან ასაცილებლად, რომლის შესახებაც მან იცოდა, ან უნდა სცოდნოდა.

ნეგატიური ვალდებულებები და პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციები

ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით, იყო

McCann and others v the United Kingdom. აღნიშნული საქმე ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს ჯარისკაცების მიერ ირლანდიის განმათავისუფლებელი არმიის (IRA) წევრების სასიკვდილო დაჭრას, რათა თავიდან აეცილებინათ ბომბის დამონტაჟება და მისი აფეთქება გიბრალტარის ცენტრში. აღნიშნული მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით გაერთიანებული სამეფოს ჯარისკაცებს ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია. სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მე-2 მუხლის მეორე პუნქტში განსაზღვრული გამონაკლისები არ ვრცელდება განზრახ მკვლელობაზე. ისინი იმ შემთხვევებს კი არ ადგენენ, როცა ნებადართულია პირის განზრახი მკვლელობა, არამედ აღწერენ გარემოებებს, როცა ნებადართულია ძალის გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფრთხილებელი შედეგი, ანუ ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევა. ასეთ დროს ძალის გამოყენება უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი. ტერმინ "აბსოლუტურად აუცილებელთან" დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ გამოყენებული ძალა უმკაცრესად პროპორციული უნდა იყოს და შეესაბამებოდეს მე-2 მუხლში მოცემულ კანონიერ მიზნებს.

მაკკანის საქმეში სასამართლომ მართალია, დაუშვა ის მოსაზრება, რომ ბრიტანელი ჯარისკაცები ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე კეთილსინდისიერად ვარაუდობდნენ, რომ აბსოლუტურად აუცილებელი იყო ეჭვმიტანილთა მიმართულებით ცეცხლის გახსნა, რათა თავიდან აეცილებინათ ბომბის აფეთქება, მაგრამ რამოდენიმე ფაქტორმა მაინც მოახდინა სასამართლოზე გავლენა, რომ საქმეში სიცოცხლის უფლების დარღვევა დაეფიქსირებინა. კერძოდ, ხელისუფლების ორგანოებმა ნება მისცეს ეჭვმიტანილებს, შესულიყვნენ გიბრალტარში, რათა ეთვალთვალათ მათი მოქმედებებისათვის, მაშინ, როცა თავისუფლად შეეძლოთ მათი დაკავება საზღვრის გადაკვეთისას. ამასთან ერთად, ხელისუფლების ორგანოებს არ დაუშვიათ ის შესაძლებლობა, რომ მათი დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, შესაძლოა, მცდარი ყოფილიყო. ჯარისკაცებმა ასევე, ავტომატურად გახსნეს სასიკვდილო ცეცხლი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არაჯეროვნად დაგეგმეს და

განახორციელეს ოპერაცია, რომლის შედეგადაც ეჭვმიტანილები დახოცეს.[2]

საქმეში *Stewart v the United Kingdom*, ბრიტანელი ჯარისკაცის მიერ გასროლილმა პლასტმასის ტყვიამ 13 წლის ბიჭი იმსხვერპლა. ადამიანის უფლებათა კომისიამ იმსჯელა ამ საქმესთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ პლასტმასის ტყვიების გამოყენება გამართლებული იყო ამბოხების ჩასახშობად. ჯარისკაცის მიერ ფეხებში ნასროლი ტყვია კი წაქცეული მეამბოხისათვის შემთხვევით სასიკვდილო აღმოჩნდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ჯარისკაცის მოქმედება შეესაბამებოდა კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებს.[3]

მტკიცების ტვირთი

განმცხადებლებს ხშირად უჭირთ იმის დამტკიცება, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია ადამიანის სიკვდილისათვის, რადგან სასამართლო მოითხოვს, რომ მომჩივანმა "გონივრულ ეჭვს მიღმა" დაამტკიცოს, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოყენებული ძალა აჭარბებდა "აბსოლუტურად აუცილებელს". მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა, ერთი შეხედვით, განმცხადებლისათვის ძალიან რთულად მისაღწევი სტანდარტი ჩანს, პრაქტიკაში უფრო მოქნილი მიდგომაა გამოყენებული. საქმეში *Avsar v Turkey* სასამართლომ განაცხადა: "სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა განსხვავდება კონვენციის მიხედვით საჯარო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. აქედან გამომდინარე, კონვენციის შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოებისა და წარმომადგენლების ქმედებათა გამო, არ უნდა აირიოს ეროვნულ სამართლებრივ საკითხებთან კერძო პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც განიხილება ეროვნული სასამართლოების მიერ. სასამართლოს ამ

[2] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალი, რედ. ბესარიონ ბოხაშვილი 131-ზე (2004)
[3] იქვე

გაგებით არ აინტერესებს არანაირი მტკიცებულება დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის შესახებ.”[4]

სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ ინდივიდის მკვლელობაში სახელმწიფოს ბრალეულობის საკითხი შეიძლება დადგეს მაშინ, თუ ეს ბრალეულობა “ეჭვს არ იწვევს”. საქმეში *Tanrikulu v Turkey* სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ ბრალეულობის მტკიცებულების სანდოობას ძლიერი, მკაფიო და თანმიმდევრული დასკვნები ან ეჭვმიუტანელი ალბათობა უნდა განსაზღვრავდეს. თუმცა, ამ დასკვნების თუ ეჭვმიუტანელი ალბათობის მტკიცებულებითი ღირებულება უნდა შეფასდეს მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად სერიოზულია ბრალდება, რომელიც ამ გარემოებებს ეყრდნობა.

ევთანაზია

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საქმე, რომელიც შეეხებოდა თვითმკვლელობის სურვილსა და ევთანაზიას, არის *Pretty v the United Kingdom*. აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი ქალბატონი დაავადებული იყო ნეიროდეგენერაციული დაავადებით (კიდურებისა და სასუნთქი ორგანოების სრული პარალიზება, რაც იწვევს ადამიანის სიკვდილს, რომელსაც წინ უძღვის ძლიერი ტკივილები). იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სიცოცხლის უფლებასთან ერთად ითვალისწინებს სიკვდილის უფლებას. იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებელს თავად არ შეეძლო განეხორციელებინა თვითმკვლელობა კიდურების დამბლის გამო, მას სურდა, რომ თვითმკვლელობის განხორციელებაში დახმარება გაეწია მის მეუღლეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე დახმარებას გაუწევდა, იგი პასუხს აგებდა გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით. საკუთარი სიცოცხლის მოსპობით განმცხადებელს სურდა, თავიდან აეცილებინა ის ძლიერი ტკივილები და სიკვდილის ნელ-ნელა დადგომა, რაც ახასიათებს ამ დაავადების განვითარებას. მან რამდენიმეჯერ მიმართა კომპეტენტურ უწყებებს, რათა განმცხადებლის მეუღლისათვის

[4] The Right To Life Under The European Convention On Human Rights (Article 2), Interights Manual For Lawyers, at 22, (2008)

არ დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა ევთანაზიის განხორციელებისათვის. მიუხედავად ამისა, გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების ორგანოებმა არ მისცეს მას ამის უფლება.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თუკი ევროპული სასამართლო არ აღიარებდა იმ ფაქტს, რომ სიკვდილის უფლება დაცულია კონვენციის მე-2 მუხლით, გამოვიდოდა, რომ იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებიც იძლევიან ევთანაზიის ნებართვას, ეწინააღმდეგებიან ევროპის კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებს. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მიანდო იმის გადაწყვეტა, უნდა უშვებდეს თუ არა მათი კანონმდებლობა ევთანაზიას და დაადგინა, რომ ასეთი ქვეყნების კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება ევროპის კონვენციის მოთხოვნებს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ შეიძლებოდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა, რადგან მე-2 მუხლი ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლებას და მასში არსად არ არის მინიშნებული სიკვდილის უფლებაზე.[5]

სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის

მიუხედავად მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლების მნიშვნელობისა, მაინც არსებობს გარკვეული ბუნდოვანი ასპექტები. კონვენცია დუმს იმის თაობაზე, თუ როდის იწყება სიცოცხლე და შეიძლება თუ არა ფეხმძიმობის შეწყვეტა. ისევე, როგორც ევთანაზია, ეს საკითხიც მოიცავს სოციალური ეთიკისა და პირადი მორალის დაპირისპირებას.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლში მოცემულია დებულება "ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია". ვინ მოიაზრება სიტყვა ყველაში? გულისხმობს თუ არა ეს სიტყვა ნაყოფს, დაუბადელ ბავშვს? არის თუ არა აბორტი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევა?

საკითხი, მოიცავს თუ არა მე-2 მუხლი ფეტუსის სიცოცხლის უფლებას, განხილული უნდა ყოფილიყო აბორტის შესახებ

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალი, რედ. ბესარიონ ბოხაშვილი 132-ზე (2004)

კანონმდებლობის კონტექსტში. კონვენცია არსად მიუთითებს, თუ როდის იწყება სიცოცხლის უფლება, რაც განპირობებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების ნაკლებობით აბორტისა და ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან შესახებ - საკითხები, რომლებიც რეგულირდება ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობითა და "შეფასების ზღვარით". როგორც სასამართლომ მიიჩნია საქმეში *Vo v France*: "მოცემულ გარემოებებში პასუხის გაცემა კითხვაზე, არის თუ არა დაუბადებელი ბავშვი "პირი" მე-2 მუხლის მიზნებისათვის, არა მხოლოდ არასასურველია, არამედ შეუძლებელიც".

საქმეში *X v the United Kingdom* კომისია არ დაეთანხმა აზრს, რომ ფეტუსს, მე-2 მუხლის თანახმად, აქვს სიცოცხლის აბსოლუტური უფლება და განაცხადა, რომ ფეტუსის სიცოცხლე მჭიდროდ არის დაკავშირებული ორსული ქალის უფლებებთან და არ შეიძლება მისი ცალკე განხილვა. თუკი დადგინდებოდა, რომ მე-2 მუხლი მოიცავს ფეტუსის უფლებებს და იცავს მას ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, მაშინ აბორტი უნდა აკრძალულიყო იმ შემთხვევაშიც, თუ ორსულობის გაგრძელება დედის სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. ეს ყოველივე კი განაპირობებდა იმას, რომ "დაუბადებელი სიცოცხლე" უფრო მაღალი ღირებულება იქნებოდა, ვიდრე ორსული ქალის სიცოცხლე. კომისიამ მიიჩნია, რომ ასეთი ინტერპრეტაცია კონვენციის მიზნების საწინააღმდეგო იქნებოდა.

2004 წელს საქმეში *Vo v France* სასამართლომ განაცხადა, რომ დაუბადებელი ბავშვი არ არის "პირი", რომელიც პირდაპირ სარგებლობს კონვენციის მე-2 მუხლის დაცვით და იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუბადებელ ნაყოფს აქვს სიცოცხლის უფლება, იგი შეზღუდულია დედის უფლებებითა და ინტერესებით.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი იცავს უმნიშვნელოვანეს და ფუნდამენტურ უფლებას - ადამიანის სიცოცხლის უფლებას. სახელმწიფოებს, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმის რატიფიცირება, ეკრძალებათ სიკვილით დასჯა მშვიდობიან პერიოდში. კონვენციის მე-13 დამატებითმა ოქმმა კი კიდევ

უფრო აბსოლუტური გახადა სიცოცხლის უფლება და აკრძალა სიკვდილით დასჯა ომიანობის პერიოდშიც კი.

მე-2 მუხლი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკვე არაერთ საქმეში განიხილა. სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოთა პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებების მნიშვნელობა, რომლებიც წარმოიშობა მე-2 მუხლიდან, მაგრამ ბევრი კითხვა დღემდე პასუხგაუცემელი რჩება, მათ შორის ისეთი არსებითი საკითხები, როგორიცაა ფეტუსის დაცვა და ევთანაზია.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის, რადგანაც იგი იცავს დემოკრატიის იმ ფუნდამენტურ ღირებულებას, რომლის გარეშეც დემოკრატია და თავისუფალი საზოგადოება წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ, სიცოცხლის უფლების საყოველთაო დაცვა და არასათანადო პრაქტიკის დაგმობა ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად უნდა იქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სიცოცხლის უფლება“, რედ. ხათუნა ყვირალაშვილი, საია, თბ., 2008

2. „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან:, კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ალ. ნალბანდოვი, თბ., 2005

3. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალი“, რედ. ბესარიონ ბოხაშვილი, თბ., 2004

4. სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის საქართველოში, ლაშა ჭელიძე, თბ., 2001

5. Law of European Convention on Human Rights, Harris D. J., London, 1995

6. The Right To Life Under The European Convention On Human Rights (Article 2), Interights Manual For Lawyers, (2008)

7. Explanatory Report on protocol #.6 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms Concerning the Abolition of the Death Penalty, Strasbourg, Council of Europe, 1983

8. Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights, A.H. Robertson and J.G. Merrills, New York, 1996

9. Akkoc v Turkey (2000) (Appl. No. 22947/93; 22948/93, 10 october 2000)

10. Tanrikulu v Turkey (1999) (Appl. No. 23763/94, 8 July 1999)

11. Oman v United Kingdom (1998) (Appl. No. 23452/94, 28 october 1998)

12. Gongadze v Ukraine (2005) (Appl. No. 4056/02, 8 November 2005)

13. McCann and others v United Kingdom (1995) (Appl. No. 18984/91, 27 September 1995)

14. Kelly and others v United Kingdom (2001) (Appl. No. 30054/96, 4 May 2001)

15. Ogur v Turkey (1999) (Appl. No. 21594/93, 20 May 1999)

16. Avsar v Turkey (2001) (Appl. No. 25657/94, 10 July 2001)

17. Salman v Turkey (2000) (Appl. No. 21986/93, 27 June 2000)

18. Keenan v United Kingdom (2001) (Appl. No. 27229/95, 3 April 2001)

19. Pretty v United Kingdom (2002) (Appl. No. 2346/02, 29 April 2002)

20. Vo v France (2004) (Appl. No. 53924/00, 8 July 2004)

გიორგი ძიგუაშვილი

კავკასიის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

წამების აკრძალვა თუ სიცოცხლის უფლება?

ხელმძღვანელი: სამართლის მაგისტრი მარიამ გიორგობიანი

პრაქტიკაში წამების აკრძალვისა და სიცოცხლის უფლების დაპირისპირების შემთხვევა არც თუ ისე ხშირია. თუმცა, შესაძლებელია მათ შორის კოლიზიაზე მსჯელობა ევთანაზიის ჭრილში. ევთანაზია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური და აქტუალური, თუმცა გაცვეთილი თემაა. უკვე რამოდენიმე საუკუნეა, რაც მსოფლიო საზოგადოება მასზე კამათობს, ხოლო ერთიანი აზრი ჯერაც ვერ ჩამოყალიბდა. მის აქტუალურობასა და პრობლემას განაპირობებს არა მხოლოდ ევთანაზიის ლეგალიზაციის საკითხი, არამედ ის რომ ევთანაზიის კრიმინალიზაცია შესაძლებელია, იწვევდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას.

აღნიშნული საკონფერენციო ნაშრომი სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ მასში ევთანაზია განხილული იქნება არა სიცოცხლის უფლების, არამედ წამების აკრძალვის ჭრილში, რაც მის ნოვაციურობას განაპირობებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკონფერენციო თემის მთავარი თეზისი გახლავთ სიცოცხლის უფლებისა და წამების აკრძალვის დაპირისპირების საკითხი ევთანაზიის კუთხით.საამისოდ მოდით ჩვენი კვლევა დავიწყოთ ევთანაზიის ფესვებიდან.

Pros & Cos

ევთანაზია განიმარტება როგორც უიმედო პაციენტებისთვის თვითმკვლელობაში ხელის შეწყობა მისსივე კეთილდღეობისათვის

სიბრალულის მოტივით.[6] თვითონ სიტყვა ევთანაზია ბერძნული წარმოშობისაა – *“eu”(*კარგი) და *“tha'natos”* [7] *(*სიკვდილი).

განასხვავებენ აქტიურ და პასიურ ევთანაზიას. აქტიურია ევთანაზია, როდესაც პაციენტს აძლევენ პრეპარატებს სასიკვდილო დოზით, ხოლო პასიური – მკურნალობის კურსის შეწყვეტა, რაც სიკვილს იწვევს.

უმრავლესობა მხარს უჭერს პასიურ ევთანაზიას და კატეგორიულად ეწინააღმდეგება აქტიურს, იმ მიზეზით, რომ აქტიური ეევთანაზია არის “ძალადობა”. თუმცა ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ პასიური ევთანაზია იწვევს ურთიერთწინააღმდეგობას პაციენტის სურვილსა და ექიმის ქმედებას შორის, რადგან პასიური ევთანაზია ნიშნავს მკურნალობის შეწყვეტას (რამაც შეიძლება უფრო მეტი ფიზიკური ტკივილი მიაყენოს პაციენტს), რაზეც მომაკვდავს თანხმობა არ განუცხადია, მისი ერთადერთი სურვილია ამ ქვეყნიდან რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულად წასვლა.[8] ამ მოსაზრებას აქტიურად ამტკიცებდა ჯ. რეიჩალსი –“ აქტიური ევთანაზია უფრო ჰუმანური იქნება, რადგან სწრაფად და დროის მცირე მონაკვეთში მოუღებს ბოლოს პაციენტის წამებას”.[9]

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაღვევა გამართლებულია შემდეგ შემთხვევებში: კანონით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირის მსჯავრდების შემდეგ სასამართლოს განაჩენის აღსრულება (სიკვდილით დასჯა), სიცოცხლის ხელყოფა თავდაცვის დროს, უკანონო დაკავების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევისას, აჯანყების ან ამბოხების კანონიერი ჩახშობისას. ამ შემთხვევებში სიცოცხლის უფლების დარღვევა არ მიიჩნევა უსამართლობად, როგორც “ბოროტებად” და გამართლებულიც არის. მაშასადამე, შესაძლებელია თუ არა ევთანაზია შევიყვანოთ ზემოთ ხსენებულ “გამართლებული შემთხვევების” რიცხვში? მოვიყვან ევთანაზიის მხარდასაჭერ რამოდენიმე არგუმენტს.

პირველი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ზოგიერთი პაციენტი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიათ –

[6] Словарь по этике, Москва, Издательство политическй литературы; 1989; at p409
[7] იხ., ზემოთ
[8] Kimsma G, Leeuwen E. Dutch Euthanasia: Background, Practice, and Present Justifications**.** Cambridge Quarterly of Healthcare Ethics 1993; 2: at p19-35
[9] THE NEW ENGLAND JOURNAL OF MEDICINE, Vol. 292, January 9, 1975, at pp. 78-80

ისინი იტანჯებიან აუტანელი ტკივილებისაგან, არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ელემენტარული თავის მოვლა, მუდამ დამოკიდებულნი არიან სხვებზე (ამით ისინი თავს ძალზედ დამცირებულად გრძნობენ, თავს აღიქვამენ ზედმეტ ტვირთად).

მეორე არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანისთვის მდგომარეობის გაუმჯობესება მორალურად ყოველთვის დასაშვებია და მიიჩნევა დადებით ფაქტად. აქედან გამომდინარე სამართლიანია კითხვა – მაშინ რატომ ითვლება ევთანაზია მორალურად გასკიცხად, თუ ის აუმჯობესებს პაციენტის მდგომარეობას მისივე თხოვნითა და თანხმობით?

ძირითადი განსხვავება ევთანაზიასა და ზემოთ ხსენებული "გამართლებულ შემთხვევებს" შორის იმაშია, რომ ისინი მუდამ ახდენენ ზეგავლენას სხვა პირის უფლებებზე (თავდამსხმელი, სიკვდილმისჯილი პატიმარი), ხოლო ევთანაზიის შემთხვევაში ზემოქმედებას განიცდის მხოლოდ და მხოლოდ მომკვდავი პაციენტი. ევთანაზიას მსხვერპლი, როგორც ასეთი არ გააჩნია, ის ნებაყოფლობითია და სხვათა უფლებებზე ზეგავლენას არ ახდენს.[10]

ევთანაზიაზე საპირისპირო შეხედულებებმა მორალური და სამედიცინო კუთხით, შექმნეს ურთიერთდაპირისპირება იურისპრუდენციაში. მსოფლიოს რიგმა ქვეყნებმა მოახდინეს ევთანაზიის ლეგალიზირება (ნიდერლანდები, ბელგია). ამაზე უფრო დაწვრილებით ნიდერლანდების მაგალითში ვისაუბრებთ.

ნიდერლანდების მაგალითი

2000 წლის 29 ნოემბერს მიიღო ნიდერლანდების პარლამენტმა კანონი აქტიური ევთანაზიის ლეგალიზირების შესახებ.

The Termination of Life on Request and Assistance with Suicide Act შეიცავს შემდეგ დათქმებს: პაციენტის ტანჯვა არის აუტანელი და არ არსებობს არანაირი იმედი მდგომარეობის გამოსწორებისა; პაციენტის თხოვნა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და არაერთჯერადი (თხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს თუ პაციენტი იმყოფება სხვა პირის ზეგავლენის, ფსიქოლოგიური დაავადების ან ნარკოტიკული საშაულებების მოქმედების

[10] იხ. სქოლიო № 7, at p.58,; Professor P Baume, "Voluntary euthanasia and law reform", Australian Quarterly,Vol. 68, No.3,1996, at p.17

ქვეშ); პაციენტი სრულად უნდა ათვითცნობიერებდეს მის მდგომარეობას, სამომავლო პერსპექტივებსა და ალტერნატივებს; ექიმმა უნდა გაიაროს კონსულტაცია არანაკლებ ერთ სხვა დამოუკიდებელ ექიმთან, რომელიც გასინჯავს პაციენტს და რომელიც უფლებამოსილია დაადასტუროს ზემოთ ხსენებული პირობების არსებობა; სიკვდილი უნდა განხორციელდეს სამედიცინო ხერხით ექიმის ან პაციენტის მეშვეობით (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ექიმი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს).[11] ევთანაზია ითვლება დანაშაულად თუ ის არ აკმაყოფილებს ყველა ამ პირობას.

ჰოლანდიის სამედიცინო ასოციაციამ და იუსტიციის სამინისტრომ 1990 წელს მიიღეს "შეტყობინების პროცედურა": ექიმი, რომელიც გამოიყენებს ევთანაზიას, ინფორმაციას შემთხვევის შესახებ აწვდის ადგილობრივ სამედიცინო დამკვირვებლს, ევთანაზიის ფაქტისთვის განკუთვნილი ანკეტის შევსების გზით. ადგილობრივი სამედიცინო დამკვირვებელი, თავის მხრივ, აწვდის მოხსენებას რაიონულ პროკურორს, ხოლო ის შემდგომ გადაწყვეტს, აღძრას თუ არა სისხლის სამართლის საქმე.[12]

არსებობენ გარკვეული ფაქტორები, რომლებიც განასხვავებენ სხვა ქვეყნებს ნიდერლანდებისგან და რომელთა გამოც არ უნდა მოხდეს ამ უკანასკნელის მაგალითის „ბრმად გადაღება": ნიდერლანდებში არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურების დონე. მოსახლეობის 95%-ზე მეტი სარგებლობს სამედიცინო დაზღვევით, რომელიც მოიცავს სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრს, მათ შორის ხანგრძლივ მკურნალობასაც.

მაშასადამე, იმ შემთხვევაშიც კი თუ სახელმწიფო დააკანონებს აქტიურ ევთანაზიას, რათა მან არ მიიღოს ტრაგიკული ფორმები, საჭიროა სამედიცინო მომსახურების მაღალი დონის არსებობა. ასევე საჭიროა მაკონტროლირებადი სისტემის შემუშავება, როგორიც არის მაგალითად ნიდერლნადებში, რათა სახელმწიფოს მიეცეს საშუალება აღკვეთოს ექიმის თვითნებობის შემთხვევები.

ევთანაზიის პრობლემა საერთაშორისო დონეზე

[11] http://www.healthlaw.nl/eutha_e.html#act
[12] http://www.healthlaw.nl/eutha_e.html#act

როდესაც ვსაუბრობთ ევთანაზიაზე, მუდამ არსებობს კონფლიქტის ერთ მხარეს არსებული პიროვნების თავისუფლება, ავტონომია, პირადი ცხოვრების განკარგვის უფლება, წამების აკრძალვა და მეორე მხარეს კი სიცოცხლის უფლება.

აქტიური ევთანაზიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ პაციენტისთვის უშედეგო მკურნალობის გაგრძელება იწვევს პაციენტის "არადამიანურ მოპყრობას" ან "წამებას", რაც დაგმობილია ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიერ – "არავინ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი."[13]

პირელ რიგში გასარკვევია იტანჯება თუ არა მომაკვდავი ან გრძნობს თუ არა თავს დამცირებულად? ამასთან დაკავშირებით მოდით განვიხილოთ წამების ფენომენი.

წამება განცდისმიერია და არ წარმოადგენს მხოლოდ ფიზიკურ ტკივილს. მხოლოდ ფიზიკური ტკივილის მიყენება არ არის საკმარისი, რათა ფაქტი დაკვალიფიცირდეს როგორც წამება. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის ფიზიკურ ტკივილს თან ახლდეს განმეორებით ანალოგიური ტკივილის განცდის მოლოდინი (შიშის მოლოდინი). წამებისთვის დამახასიათებელია როგორც შიშის მოლოდინი, ტკვილის პერიოდულობა, ასევე მისი დროში განვრცობადობა, ანუ გაუსაძლის პირობებში დიდხანს ყოფნა. მომაკვდავი პაციენტის შემთხვევაში კი, როდესაც ის განიცდის აუტანელ ფიზიკურ ტკივილებს ყოველთვის იქნება განმეორებითი ტკივილების მოლოდინში. ამას ემატება ისიც, რომ ის თვითონაც ხვდება, რომ მისი მდგომარეობის გაუმჯობესება არც ერთ პრეპარატს თუ მკურნალობას არ შეუძლია. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ასეთ დროს პაციენტები იმყოფებიან ტრავმულ მდგომარეობაში და აღენიშნებათ მძიმე სტრესის ნიშნები. აღნიშნული მდგომარეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- შეუმეცნებლობა, შეუძლებლობა გაიაზრო მისი „განზომილება"
- კავშირების და მიჯაჭვულობების რღვევა
- გაქცევის შეუძლებლობა

ტრავმის პირველი ნიშანში, პაციენტს ტრავმატულ მოვლენას/მის მდგომარეობას აღიქვამს, როგორც უაღრესად დიდ და ძლიერ უბედურებას, რომელსაც დასასრული არ აქვს.

[13]Article 3 of the European Convention of Human Rights

ტრავმის მეორე ნიშანში, პაციენტს უყალიბდება „გარიყულობის" გრძნობა. მას აღარ ძალუძს საზოგადოებასთან ისეთივე ურთიერთობა და კონტაქტი, როგორიც ადრე ჰქონდა.

ტრავმის მესამე ნიშანში, პაციენტს ეუფლება გაქცევის შეუძლებლობის, უმწეობის მძაფრი განცდა. ამ შემთხვევაში, პაციენტი საკუთარი ხელით ანგრევს თავის „მეს" – უნარიანი „მე" ტრანსფორმირდება ნეგატიურ „მე-ში". თვითიდენტურობა, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიურ ფუნდამენტს ქმნის, ხდება უმწეო, უსუსური და უუნარო.

აღნიშნული ტრავმის ნიშნები დამახასიათებელია, როგორც მომაკვდავი პაციენტის მდგომარეობისათვის, ისე წამების მსხვერპლისათვის. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში ემატება მე-4 ნიშანიც „ტრავმული მიბმა, მიჯაჭვება" (Saporta & can der Kolk, 1998). ამ დროს, პირი, რომელიც განიცდის ტანჯვას ქვეცნობიერად „ეჯაჭვება" ტანჯვის წყაროს და განიხილავს მას როგორც იმედის ნაპერწკალს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ პაციენტის მდგომარეობა ანალოგიურია წამების მსხვერპლის მდგომარეობისა.

აქვე მოვიყვან სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეში *Ireland v. the United Kingdom*, სადაც განმარტა, რომ: "კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, აკრძალვა აბსოლუტური ხასიათისაა და დებულების დამრღვევ ქმედებათა გამართლება დაუშვებელია როგორც კონვენციით, ასევე საერთაშორისო სამართლით."[14]

მაშასადამე, თუ ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან გამოვალთ, მივალთ იმ დასკვნავდე, რომ ევთანაზიის ჭრილში სიცოცხლის უფლებაზე მაღლა უნდა დავაყენოთ წამების დაუშვებლობა.

განვიხილოთ თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას აქტიურ ევთანაზიასთან. საამისოდ კი გავეცნოთ სტრასბურგის სასამართლოს პოზიციას ევთანაზიასთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლოს პოზიცია აქტიურ ევთანაზიასთან დაკავშირებით გამოიხატა საქმეში Pretty vs UK[15], რომელიც იყო ყველაზე გახმაურებული დავა საერთაშორისო დონეზე. სასამართლომ დაადგინა, რომ

[14] "წამების აკრძალვა", რედ. ირაკლი სესიაშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 13-ზე (2004)
[15]Pretty v. the United Kingdom, no. 2346/02 (Sect. 4), ECHR 2002-III – 29.4.02

კონვენციის მე-2 მუხლი არ შეეხებოდა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ადამიანს თავისი სიცოცხლის მიმართ შეიძლებოდა მიეღო და რომ მე-2 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც "სიკვდილის უფლება". სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ სიცოცხლის უფლებიდან არ გამომდინარეობდა ადამიანის "თვითგამორკვევის უფლება" - სიცოცხლეს ამჯობინოს სიკვდილი. ამ გადაწყვეტილებით მომჩივანს არაპირდაპირ „ფიზიკური და სულიერი ტანჯვის ატანის მოვალეობა" დაეკისრა. ამით, ჩემის აზრით, სასამართლომ არ დაიცვა სიცოცხლის უფლება, რომელიც უმაღლეს ადამიანურ ღირებულებად მიიჩნევა.

მომჩივანისთვის სიცოცხლე უკვე არაფერს წარმოადგენდა და მეტიც - ის იყო მისი "სულიერი და ფიზიკური ტანჯვის" წინაპირობა. მოცემულ საქმეში სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სიცოცხლის უფლების აბსტრაქტული განმარტებით, რომ და რომ ეს უფლება უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს და უპირობოდ უნდა იქნას დაცული. სასამართლომ თითქოს მხედველობაში არ მიიღო ამ შემთხვევის კონკრეტული ფაქტები. ამან კი განაპირობა "სიცოცხლის უფლების" სასარგებლო ბალანსის ჩამოყალიბება. ქალბატონი Pretty-ს გასამართლებლად შეიძლება ვთქვათ, რომ პირს უნდა ჰქონდეს უფლება თვითონ გადაწყვიტოს როდის და როგორ მოკვდეს, რადგან ეს არანაირად არ უპირისპირდება და არ ეწინააღმდეგება საზოგადოების უფლებებსა და ინტერესებს – "პიროვნების უფლებები და ავტონომია"[16]. ამას კარგად გამოხატავს პეტერ ბაუმეს სიტყვები: "[...]სხვა საკითხებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე, მე ვინარჩუნებ უფლებას გავაკეთო "ჩემი გადაწყვეტილება" დამოუკიდებლად [...]"[17]

სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ წევრი სახელმწიფოები, რომლებიც უშვებენ აქტიურ ევთანაზიას ეწინააღმდეგებიან და არღვევენ კონვენციის მე-2 მუხლს.

დასკვნა

ევთანაზიის პრობლემა მოითხოვს მის გაანალიზებას მორალურ-სამართლებრივი, სამედიცინო და ბიოეთიკური კუთხით. მათ შორის არის

[16] EUTHANASIA LAWS BILL 1996, © Commonwealth of Australia, 1997, ISSN 1326-9364, *FOR AND AGAINST*, p 57;
[17] იხ. ზემოთ, გვ. 115

ერთადერთი მსგავსება – ერთიანი აზრი აღნიშნულ საკითხზე არ არ არსებობს. ნაშრომში გავეცანით ნიდერლნადების "აქტიური ევთანაზიის კანონს", დავრწმუნდით, რომ აქტიური ევთანაზიის ლეგალიზირებას სათანადო სამედიცინო დონე სჭირდება. რაც მთავარია, ასევე ევთანაზიის პრობლემა საერთაშორისო დონეზე - დაპირისიპირება სიცოცხლის უფლებასა და წამების აკრძალვას შორის.

ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო აკანონებს აქტიურ ევთანაზიას, ჩემის აზრით, ის მოდის კონვენციის მე-2 მუხლთან წინააღმდეგობაში, რადგან როგორც სტრასბურგის სასამართლომ თქვა, დაუშვებელია მივიჩნიოთ "სიცოცხლის უფლება" "სიკვდილის უფლებად", და "თვითგამორკვევის უფლებად". სიცოცხლის ღირებულება უნდა შეფასდეს პიროვნების სხვა უფლებებთან მიმართებაში, კერძოდ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ უფლებასთან მიმართებაში – იყოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან, წამებისგან დაცული.

ხოლო მეორე შემთხვევაში, ვხდებით უფრო დიდ წინააღმდეგობას, როდესაც სახელმწიფო კრძალავს აქტიურ ევთანაზიას და ამით მოვალეს ხდის პაციენტს, აიტანოს ფიზიკური და სულიერი ტანჯვა, რითაც არაპირდაპირ არღვევს ამავე კონვენციის მე-3 მუხლს. ეს უკანასკნელი კი აბსოლუტური უფლებაა, სიცოცხლის უფლებისგან განსხვავებით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვას.

გამოდის, რომ სახელმწიფოები ნებისმიერ შემთხვევაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ არღვევენ კონვენციას, განსაკუთრებით ხშირ შემთხვევაში კი კონვენციის მე-3 მუხლს.

მაშასადამე, ხომ არ იქნება გამართლებული, რომ "ორ ბოროტებას" შორის ავირჩიოთ "ნაკლები ბოროტება"?!

ნინო ქრისტესიაშვილი

სსიპ გორის უნივერსიტეტი მაგისტრატურა

წარსული, მძიმე აწმყო, გაურკვეველი მომავალი - ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია

ხელმძღვანელი: პროფესორი – დავით ჩოჩიშვილი

დღეისათვის საქართველოში ყველაზე ცხელი ზონა და მტკივნეული ადგილი აფხაზეთთან ერთად შიდა ქართლის ნაწილი _ ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიაა. ეპარქიის მდებარეობა განაპირობებდა იმას, რომ შინა თუ გარეშე მოძალადე შიდა ქართლის ამ ნაწილის ფლობას დანარჩენი საქართველოს კონტროლის პირობად აღიქვამდა და დღესაც აღიქვამს.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია შიდა ქართლში, მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის და ფრონეს ხეობებში მდებარეობს და ასევე ქსნის ხეობის ნაწილსაც მოიცავს. ეპარქიაში შედის ქალაქები: ცხინვალი, ახალგორი, ჯავა, ზნაური და მათი მიმდებარე ტერიტორიები. ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება წილკნისა და დუშეთის, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიები, დასავლეთიდან _ ჭიათურისა და საჩხერის, ჩრდილო დასავლეთიდან _ ნიკორწმინდის, სამხრეთიდან _ ურბნისისა და რუისის და სამთავის _ გორის ეპარქიები, ჩრდილოეთ მხარეს იგი კავკასიონის ცენტრალურ ქედს ებჯინება.

ნიქოზელი მღვდელთმთავარის სამწყსო სხვადასხვა დროს ძალზედ ვრცელი იყო. იგი არა მარტო ქართლის, არამედ გარკვეულ დროს, "კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად (ჩრდ. ოსეთი) წოდებულისა" საკმაოდ მოზრდილ რეგიონსაც ფლობდა.

საეკლესიო ტრადიციის თანახმად სამწყსოსთან მისასვლელი გზაც მღვდელთმთავრის იურისდიქციაში შედიოდა და ამდენად, მთის რაჭის სოფლები "გლოლა _ ღებითურთ" და მდინარე რიონის ზემო წელის აუზის მოსახლეობა სრულიად ნიქოზელს ექვემდებარებოდა. მის მორჩილებაში იყო აგრეთვე "ნიქოზის ჩრდილოთ, დიდი ლიახვის კიდეზედ, მცირე ქალაქი ქცხინვალი" და ცხინვალს გაღმა აღმოსავლეთით _ "მთა ტყიანი _ მშხლებამდე" (მსხლების მთა) ე.ი. კავკასიონის ქედის აქეთა და იქითა მხარე _ მაღრან _ დვალეთი და ოსთა ქვეყანა.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია, თავისი მდებარეობის გამო, ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთ _ ერთ ცენტრს წარმოადგენდა და წარმოადგენს. მის გარშემო ერთიანდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ- გეოგრაფიული ორგანიზმი. ნიქოზელ მღვდელთმთავარს ქვეყნის წინაშე უდიდესი მისია ჰქონდა დაკისრებული. ის იყო არა მარტო მაღალი იერარქიის ღვთისმსახური, არამედ ქვეყნის ერთიანობის საიმედო დამცველიც. ეს მდგომარეობა კატეგორიულად გამორიცხავდა რეგიონში რაიმე სახის უცხო პოლიტიკური ერთეულის თუ ეთნიკური მასის არსებობას (ამის დასტურია იქ არსებული უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, მათზე არსებული წარწერები და ადგილობრივი ტოპონიმები).

ნიქოზელი მღვდელთმთავრის ძველ სამწყსოში – ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე _ დღემდე არსებობს ძველი ქართული ქრისტიანული კერების ნაშთი. ქართულ ეკლესიათაგან შემორჩენილია მდინარე ზრუგდონის ხეობაში ხოზიტა

მარიამის ანუ ღვთისმშობლის ტაძარი, ასევე სოფელ ნუზალის ეკლესია და სხვა ძეგლები. ნიქოზელი მღვდელთმთავარნი ტრადიციულად ოსების ქრისტიანული საქმეების მეთვალყურეობის გარდა, "გამგენი იყვნენ ოვსეთის საეკლესიო და საერო საქმეებისა". ნიქოზის "ტაძარს აქუნდა თავისი სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ ოვსთა შვილებს წერა _ კითხვას ქართულ ენაზე. ამზადებდნენ დროის შესაფერისი სწავლით, ვისაც სურდა ეკლესიის მსახურება, იმათ მღვდელმოქმედებასა და საეკლესიო საქმეებში ოსურის ენით სწვრთნიდნენ, შემდგომ სწავლისა და გამოცდისა ნიქოზელი აკურთხებდა და ჰნიშნავდა ამიერ და იმიერ ოსეთში სამსახუროდ."

საქართველოს კეთილმეზობლური გავლენით, იმჟამად ოსების უმრავლესობა მართლმადიდებელი გახდა. მათი გაქრისტიანება მოციქულებმა საქართველოს გავლით დაიწყეს, შემდეგ კი ქართველები მუდამ ზრუნავდნენ მათზე.

ნიქოზის ეპარქიის ისტორია უძველესი დროიდან, V საუკუნიდან იწყება. ოფიციალური ცნობები ეპარქიის დაარსებაზე ქართლის ცხოვრებაში მოგვეპოვება. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოს – ჯუანშერთან, რომელიც ვატანგ გორგასლის მოღვაწეობის თხრობისას მოგვითხრობს თუ როგორ დაარსდა ჩვენი ეპარქია:

" და წარავლინეს პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას. და მიუწეეს ანტიოქიისა პატრიარქსა მეფემან და პატრიარქმან კონსტანტინეპოლელმან ესრეთ, ვითარმედ: "პირველად, დასაბამსა ქარლის მოქცევისასა დედა-კაცისა ჰრომაელისა ნინოს მიერ, განივლინა აქათ ეპისკოპოსი, რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისა-ებრ სჯულისა: რამეთუ ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა". და მიუწერეს ყოველი საქმე დიდისა ვახტანგ მეფისა, ვითარმედ: "ეპისკოპოსი იგი, რომელი მათ მიერ დადგინებულ იყო, უკუ-ვადგინეთ, და დღეს იცოდეთ ახალ-ნერგად ჭეშმარიტად ქართლი. აწ ორნი ესე მათნი თხოილნი აკურთხენ, სხუანი თორმეტნი, ვინ-ცა-ვინ შენ გენებოს. იგინი აკურთხენ, და ჩვენდა წარმოვიდენ, რათა ჩუენ ნიჭითა და სახმრითა ყოვლითა განუტევნეთ". და ანტიოქემან პატრიარქმან აკურთხნა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად.

და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი ჯავახეთს, წუნდას; ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინოწმინდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა; ერთი ჭერემს, მისსა_ვე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთა_ვე ეკლესიათა, რომელი_იგი მან_ვე აღაშენა; ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა და აღაშენა, ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით.

შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა. და დასუა ეპისკოპოსი, სადა_იგი ეფლა გუამი წმინდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისასა.

ესე რაჟდენ იყო მამა_მძუძე ვახტანგის ცოლისა, რომელი_იგი პირველ მოიყვანა სპარსთა მეფისა ასული; და მოიქცა იგი ქრისტიანედ, და იქმნა იგი დიდად მორწმუნე; და იყო იგი ბრძოლასა მას შინა ძლიერ, შეიპყრეს იგი სპარსთა და აიძულებდეს, რათა_მცა უარ_ყო ქრისტე. ხოლო მან წმიდამან აღირჩია წარუვალი იგი დიდება და იწამა ქრისტესთვის."

დაარსების დღიდან ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა საქართველოში მიმდინარე როგორც პოლიტიკური, ისე

სოციალურ – ეკონომიკური თუ კულტურული პროცესები და ეპარქიის ცხოვრება ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ქვეყნის ცხოვრების რიტმს.

1783 წელს ქართლ_კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გეორგიევსკში დადებული მფარველობითი ხელშეკრულებით მართალია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ხელუხლებლად რჩებოდა, მაგრამ მნიშვნელოვნად იზღუდებოდა ხელშეკრულების მერვე მუხლით მისი უფლებები.

საერო ხელისუფლებასთან ერთად ეკლესიაც დიდ იმედს ამყარებდა რუსეთზე, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ _ კახეთის სამეფოს უკანონო გაუქმებას მალე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა მოჰყვა. ავტოკეფალიადაკარგული ეკლესიის მმართველად შემოღებულ იქნა ეგზარქოსის თანამდებობა, ხოლო ეპარქიების სამართავად ეგზარქოსის თავმჯდომარეობით შეიქმნა საქართველო _ იმერეთის სინოდალური კანტორა. საქართველოში რუსული საეკლესიო პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა "ოსეთის სასულიერო კომისია" (1815_1860წწ) და "კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენელი საზოგადოება" (1860_1917წწ). სეპარატიზმის გაღვივებას ცდილობდნენ სვანებში და მეგრელებში. XIX საუკუნის II ნახევარში ცარიზმმა გააძლიერე ანტიქართული პოლიტიკა საქართველოს ძირძველ კუთხეში აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში. ქართულ ეკლესია_მონასტრებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში კულტურის მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდნენ რუსი ბერები დაეპარტონნენ და ღვთისმსახურება რუსულ ენაზე შემოიღეს. აფხაზური ანბანის შექმნით და ამ ენაზე ღვთისმსახურების შემოღებით ცდილობდნენ ლიტურგია აფხაზურად წარემართათ, მაშინ ეს ვერ შეძლეს, მაგრამ ამ და სხვა რუსული პოლიტიკის წყალობით გაუცხოების ელემენტებმა მაინც იჩინა თავი, რამაც საბოლოო ჯამში XX საუკუნის 90-იან წლებში ომამდე და დღეს არსებულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. რუსული პოლიტიკის შედეგად იგივე ხდებოდა შიდა ქართლში, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიაში. ამჟამად ორივე კონფლიქტურ ზონაში ღვთისმსახურებას ყოველგვარი საეკლესიო კანონების დარღვევით რუსი სამღვდელოება წარმართავს.

ქართველი საზოგადოება და სამღვდელოება არასოდეს შერიგებია ავტოკეფალიის დაკარგვას და რუსი ბიუროკრატიული სამღვდელოების აღვირახსნილობას. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას უპირველესი ადგილი ეკავა XIX _ XX საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ეროვნულ _ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოების მონაწილეობით აღდგენილად გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რაც უნმიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ისტორიაში. ეკლესიურ თავისუფლებას 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაც მოჰყვა. იმედი ჰქონდა სახელმწიფო ახლად ავტოკეფალიაგამოცხადებულ ეკლესიას გვერდში ამოუდგებოდა, მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა.

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება მძიმე წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. ეკლესია კანონგარეშდ გამოცხადდა, დაიხურა ეკლესია _ მონასტრები, სამღვდელოება იდევნებოდა, იძარცვებოდა და ნადგურდებოდა საეკლესიო სიწმინდეები.

XX საუკუნის 50_70_იან წლებში სასულიერო პირთა რიცხვი საგრძნობლად იყო შემცირებული, მოქმედი ეკლესიებიც უმნიშვნელო იყო.

ამ პერიოდის ნიქოზის ეპარქიაში შემავალი ტაძრების მდგომარეობაც სავალალო და შეურაცხმყოფელი იყო. მაგალითად, პაპაჩემი, გიორგი ქრისტესიაშვილი, (დაბადებული 1928წ) მიყვებოდა ხოლმე, რომ სოფელ ერედვის წმონდა გიორგის ეკლესიაში კოლმეურნეობის საწყობი იყო და იქ ხორბალს და სხვა მოსავალს ინახავდნენ. ამ ეპოქის კვალი დიდხანს გაჰყვა ჩვენი მოსახლეობიოს აზროვნებას, მეუფე ისაიას (ჭანტურია) მოსვლამდე ეკლესიებს საქეიფო ადგილად და ხშირად საქონლის სადგომადაც იყენებდნენ.

საქართველოს ეკლესიის აღორძინება დაკავშირებულია საქართველოს კათოლიკოს _ პატრიარქ ილია II_ის (შიოლაშვილი) სახელთან, რომელიც 1977 წლის 25 დეკემბრიდან საქართველოს ეკლესიის მღვდელთმთავარია. მისი მოღვაწეობის დროს მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტი. გაიზარდა ეპარქიების და ეკლესა _ მონასტრების რაოდენობა.

საქართველოს ეკლესიის აღორძინებამ ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის განვითარებაზეც დადებითად იმოქმედა, რასაც ხელს უწყობდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ფონიც.

ნიქოზის ეპარქიამ ახალი სიცოცხლე დაიწყო 1995 წლის 5 ოქტომბერს. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის უმაღლესი კრების გადაწყვეტილებით, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა _ კურთხევით აღდგა საქართველოს ეკლესიის ერთ _ ერთი უძველესი სამწყემსთმთავრო ნიქოზის ეპარქია, რომელსაც ამიერიდან ეწოდა ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია.

როგორც წესი, ყველა ეპარქიას თავისი მღვდელთმთავარი განაგებს. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიაა. აღდგენის დღიდან მას სათავეში უდგას მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია).

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიაში აღდგენის შემდეგ შედის დიდი და პატარა ლიახვის ხეობა, ორი ფრონეს ხეობა, გორის რაიონის სამი სოფელი (ზემო და ქვემო ნიქოზი და ზემო ხვითი) და ახალგორის რაიონი.

რუსეთ საქართველოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის გამო, სამღვდელთმთავრო იურისდიქცია ქალაქ ცხინვალზე, ჯავის რაიონზე სრულიად და ზნაურის რაიონის გარკვეულ ნაწილზე ვერ ვრცელდებოდა, მაგრამ 2008 წლის რუსეთ _ საქართველოს ომის შემდეგ ფაქტიურად მხოლოდ სოფელი ნიქოზი და ზემო ხვითი დარჩა ეპარქიის ერთადერთი ადგილი სადაც წირვა_ლოცვა თავისუფლად აღევლინება და მრევლსაც თავისუფლად შეუძლია მისვლა. ახალგორის რაინშიცაა მოქმედი მონასტრები: იკოთის ღირსი ალექსი შუშანიას სახელობის დედათა მონასტერი, სამების მამათა მონასტერი (ოქროსკარიანი), და ლარგვისის თეოდორე ტირონის სახელობის მამათა მონასტრები, ასევე ახალგორში მოქმედი ტაძარი, მაგრამ არავინ იცის რუსი ოკუპანტები როდის ინებებენ და დაკეტავენ ე.წ. საზღვარს.

ზემოთ უკვე აღნიშნული მონასტრების გარდა ეპარქიაში მოქმედებს ნიქოზის მამათა მონასტერი წმინდა რაჟდენ პირველმოწამის სახელობისა. 2004 წლამდე საბაწმინდაშიც ფუნქციონირებდა წმინდა საბა განწმენდილის სახელობის მამათა მონასტერი, მაგრამ იქ შექმნილი დაძაბული ვითარების გამო მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირები იძულებულები გახდნენ იქაურობა დაეტოვებინათ.

ეპარქიის აღდგენის პირველ წლებში, როგორც მეუფე ხშირად იხსენებს ხოლმე სულ ოთხი ბერი იყო მთელს ეპარქიაში და ნიქოზის ამაღლების სახელობის ტაძარში წირვა ლოცვასაც მხოლოდ რამდენიმე ბავშვი ესწრებოდა. 1995 წელს ეპისკოპოს ისაიასთან (ჭანტურია) ერთად ეპარქიაში ჩამოვიდნენ მამა იოანე (თედეევი), მამა ანტონი (ჩაკვეტაძე) და მამა იოანე (სამუშია).

ჩამოსვლისთანავე მეუფე ისაიამ მამებთან ერთად ფეხით შემოიარა და მოილოცა მთელი ეპარქიის ეკლესია _ მონასტრები და დალოცა მომავალი მრევლი.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის სასულიერო ცხოვრება თანდათან წინ მიდიოდა, ხალხმა დაიწყო ტაძარში სიარული, მეუფე ისაია და მამები ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად ყველა სოფელში მისულიყვნენ და ტაძრებში რომლების დანიშნულებაც ხალხს ლამის "დავიწყებული" ჰქონდა პარაკლისი მაინც ჩაეტარებინათ. დაიწყო დაზიანებული ტაძრების აღდგენა და მოქმედი გახდა ავნევის, ახალგორის ეკლესიები. ყოველ კვირას პარაკლისები ტარდებოდა ერედვის, თამარაშენის, ქურთის ეკლესიებში. ხალხში უფლის რწმენამ დაიწყო გამოღვიძება, შენდებოდა ახალი ტაძრები და მიმდინარეობდა ძველი ეკლესია _ მონასტრების შეკეთება, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ _ საქართველოს ომმა ჩვენი ქვეყნის და განსაკუთრებით ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიაში შემავალი სოფლების განვითარება დიდი ხნით დასწია უკან. ერთ დროს აყვავებული, სიცოცხლით სავსე სოფლები ნასოფლარებად იქცა.

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, 1995 _ 2007 წლებში ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიაში დიდი აღმშენებლობა და სულიერი აღორძინება მიმდინარეობდა. აღსდაგა, აშენდა და ამოქმედდა მონასტრები (ლარგვისში, იკოთში, ნიქოზში, საბაწმინდაში . . .), ეკლესიები (ქურთაში, თამარაშენში, კეხვში . . .) გამრავლდა სასულიერო პირთა რიცხვი და მოსახლეობაშიც გაიღვიძა უფლის რწმენამ.

ბოლო ათწლეულში, ცნობილ მოვლენათა გამო, საგრძნობლად დაეცა ამ რეგიონში შემავალი სოფლების ცხოვრების დონე, მაგრამ ხალხმა მაინც შესძლო სულიერებაზე ფიქრი და მომავლის რწმენას არ ჰკარგავდა.

მაგრამ 2008 წლის ზაფხული კატასტროფა იყო ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის ცხოვრებაში. . . ხალხი მშვიდად ცხოვრობდა და მოულოდნელად თავს დატეხილი ომის შედეგად იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მშობლიური მხარე, სოფელი, სახლი, ტაძარი, მშობლების და შვილების საფლავები და სიცოცხლის გადასარჩენად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისთვის შეეფარებინათ თავი. ახლა მათ მხოლოდ სიზმარში შეუძლიათ ნახონ ის, რაც ჩვეულებრივი ყოველდღიურობა იყო და რითაც ცოცხლობდნენ და ცხოვრობდნენ. უპატრონოდ დარჩენილი ეპარქიის ეკლესია მონასტრების ახლანდელი მდგომარეობაც არავინ იცის. არ ვიცით კიდევ არსებობენ თუ არა მრავალი საუკუნის მომსწრე ის დიდებული ნაგებობები. ღმერთის წყალობით, ალბათ ისევ დგანან მტრის ჯინაზე და მოუთმენლად ელიან როდის დაუბრუნდებათ თავისი მრევლი. იმედია არსებული საშინელი და გაუსაძლისი მდგომარეობა მალე შეიცვლება, ქვეყანაში მშვიდობა დამყარდება და დავუბრუნდებით ჩვენს განადგურებულ, გადამწვარ სოფლებს და სახლებს. დღეს ნებისმიერ იქიდან წამოსულ ადამიანს რომ ჰკითხო დაბრუნების გარდა ერთი ოცნებაღა აქვს, ეკლესიები და სასაფლაო მაინც არ შეურაცხყონ და დაანგრიონ მომხდურებმა და იმათ მაინც იარსებონ ჩვენს მისვლამდეო. იმედია მალე დავუბრუნდებით ჩვენს სახლ – კარს და ჩვენი ეპარქიის ეკლესია _ მონასტრების შესახებ უკვე განახლებულებზე, აწმყოში ვისაუბრებთ. ინებოს უფალმა ნიქოზისა და

ცხინვალის ეპარქიის დევნილი მოსახლეობა მალე დავუბრუნდეთ ჩვენს ეკლესია მონასტრებს წირვა ლოცვაზე და ისევ აივსოს ტაძრები მრევლით.

მარიამ აბულაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

კონფლიქტი, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი

ხელმძღვანელი: პროფ. ლია სვანიძე

კონფლიქტი წარმოიშობა ერთმანეთთან შეუთავსებალი, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების შეჯახების შედეგად. სიცოცხლე—კონფლიქტების უსაზღვროდ გადაწყვეტის პროცესია. ადამიანი ვერ შეძლებს თავიდან აიცილოს იგი, მას მხოლოდ მისი გადაწყვეტა შეუძლია. ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს ელემენტარული წარმოდგენა კონფლიქტების შესახებ. არასიღრმისეულად იგი მარტივი ადამიანური განცდის ემოციის შედეგია, რასაც მოსდევს დისკომფორტი, დაძაბულობა, სტრესი, რაც ხელს უშლის ერთობლივ საქმიანობას და აფუჭებს ადამიანთა შორის ურთიერთობებს. იქ სადაც არიან ადამიანები, რომლებთაც აქვთ სხვადასხვა წარმოდგენა ცხოვრების მიზნებსა და მათი მიღწევის გზებზე აუცილებლად წარმოიშობა კონფლიქტური სიტუაციები. მაგალითად: თქვენ დაისახეთ კონკრეტული მიზანი, რომლის მიღწევა რთული აღმოჩნდა. ამ დროს თქვენ განიცდით წარუმატებლობას და მზად ხართ ამაში დაადანაშაულოთ სხვები. ეს თვისება განსაკუთრებით ექსტრავისტებს ახასიათებთ. ხოლო სხვები თვლიან, რომ თვითონ ხართ დამნაშავე. შეიძლება მიზანი იყო არასწორად ფორმულირებული, ან თქვენ სწორად ვერ შეაფასეთ შექმნილი სიტუაცია. ამ დროს წარმოიქმნება ურთიერთგაუგებრობა, რომელიც თანდათან გადაიზრდება უკმაყოფილებაში, იქმნება დაუკმაყოფილებლობის, სოციალურ-ფსიქოლოგიური დაძაბულობისა და კონფლიქტის სიტუაცია.

ვინაიდან სიცოცხლე არის განუწყვეტელი პროცესი ადამიანებს შორის ურთიერთობისა, მათ შორის ხშირია დაპირისპირებები, რომელთა მიზეზებია: შეუთანხმებლობა მორალურ-ზნეობრივ პრინციპებში, პოზიციებში, თვისებებში, მოქმედების მიზნებსა და მეთოდებში. სწორედ, ასეთი ურთიერთობები განიხილება ფსიქოლოგიაში, როგორც კონფლიქტი. ის ორი სახისაა ფუნქციური და დისფუნქციური. პირველი მიმართულია ორგანიზაციის ეფექტურობისკენ, ხოლო მეორე ანგრევს ჯგუფურ თანამშრომლობას. მან შეიძლება შეასრულოს, როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური როლი.

ოზიტიური	*ეგატიური*
დაძაბულობის განმუხტვა კონფლიქტურ მხარეებს შორის.	დიდი მატერიალური და ემოციური დანახარჯი.

ახალი ინფორმაციის მიღება ოპონენტზე.	თანამშრომელთა გათავისუფლება, დისციპლინის გაქვეითება, სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუარესება კოლექტივში.
სტუმულირება ცვლილებებისა და განვითარებისკენ.	კონფლიქტური ურთიერთობით ზედმეტად გატაცება.
მორჩილების სინდრომის მოხსნა.	კონფლიქტის დამთავრების შემდეგ თანამშრომლობის ხარისხის შემცირება.
ოპონენტთა შესაძლებლობების დიაგნოსტიკა და სხვა.	საქმიანი ურთიერთობების ძნელად აღდგენა და სხვა.

ორგანიზაციული თვალსაზრისით არსებობს კონფლიქტის ოთხი სახე: პიროვნების შიგნით, პიროვნებებს შორის, ჯგუფის შიგნით და შიდაორგანიზაციული. განვიხილოთ თითოეული მათგანი. შიგაპიროვნული კონფლიქტი ზ. ფროიდის განმარტებით ეს არის კონფლიქტი ჩვენს ინსტიქტურ ლტოლვასა და გარემო ფაქტორების––ოჯახისა და საზოგადოების აკრძალვებს შორის. აქ მონაწილეობს არა ადამიანები, არამედ პიროვნების სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფაქტორები, მოთხოვნები, მოტივები, ფასეულობები, გრძნობები და სხვა. ის შეიძლება იყოს ფუნქციონალური და არაფუნქციონალური, იმისდა მიხედვით თუ რა გადაწყვეტილება მიიღებს ადამიანი. მაგალითად: ის შეიძლება წარმოიშვას ადამიანის მიერ განცდილი მარტოობისა და დაუცველობის შეგრძნების შედეგად. ეს გრძნობა შეიძლება ჩამოაყალიბოს ბევრმა ფაქტორმა, რომელთაგან აღსანიშნავია გულგრილობა, ადამიანის მოთხოვნებისადმი უპატივცემულობა, ზედმეტი ყურადღება და ა. შ. ამით დათრგუნული ადამიანი ეძებს გზებს, თუ როგორ გაუმკლავდეს სამყაროს, რომელიც ასე უპირისპირდება. ამ დროს გამოიმუშავებს არა მარტო სტრატეგიას, არამედ ხასიათის ნიშნებს, რომელსაც შეიძლება დავარქვათ ნერვოზული მიდრეკილება. ასეთ გარემოებაში იგი სამი ძირითადი გზით მოქმედებს: ემორჩილება სხვა ადამიანებს, წინააღმდეგობას უწევს ან გაურბის მათ.

პიროვნებებს შორის კონფლიქტისას ადამიანები უშუალოდ ეჯახებიან ერთმანეთს, ავლენენ საკუთარ პიროვნულ თვისებებს, მოთხოვნილებებს, მოტივებს, ინტერესებსა და ინტელექტს. ისინი განსხვავებულად ხედავენ ამა თუ იმ სიტუაციასადა იქიდან გამოსვლის გზებს. მისი აშკარა გამოვლინებაა ურთიერთბრალდებები, ჩხუბი, თავდასხმა, თავდაცვა. მიზეზები კი ადამიანთა ურთიერთობებთან შესაბამისობაშია საძიებელი.

შეიძლება გამოვყოთ კონფლიქტი ჯგუფის შიგნით, ჯგუფსა და პირონებას შორის, რომელიც განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს ხელმძღვანელის ავტორიტარული მმართველობისას. ორგანიზაცია შედგება მრავალი ფორმალური და არაფარმალური ჯგუფისაგან, რომელთა შორის შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი. კერძო მაგალითს წარმოადგენს შეუთანხმებლობა მაღალი და დაბალი მართვის დონეებს შორის, რესურსების განაწილება, დაუკმაყოფილებელი კომუნიკაცია, არაზუსტი, არასრული ან საჭირო ინფორმაციის არარსებობა, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ მიზეზს, არამედ კონფლიქტის დისფუნქციურ შედეგს.

არსებობს კონფლიქტის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდი. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს კარტოგრაფია. პირველ ეტაპზე ხდება პრობლემის აღწერა, მეორე ეტაპზე გამოიყოფა მისი მთავარი მონაწილეები, მესამე

ეტაპი კი მთავარი მოთხოვნების აღწერაა. კონფლიქტს განვითარების სხვადასხვა დინამიკა აქვს, მაგრამ ვითარდება ერთი სქემით. ყველაზე მარტივი სქემა შემდეგნაირია: კონფლიქტი მწიფდება თანდათან, მონაწილეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ვიწრო წრეში. თითოეული მხარე ცდეილობს არა მარტო თავის გამართლებას, არამედ თავის მხარეზე გადაბირებას. მნიშვნელოვანია სიტუაციის, როგორც კონფლიქტურის აღიარება. აღიარებითა და შედეგების შეფასებით შესაძლებელია ოპონენტთა გასვლა კონფლიქტიდან. მოლაპარაკება, კომპრომისების ძიება მისი მოგვარების ერთ- ერთი მეთოდია. თითოეული მხარე ნაწილობრივ კმაყოფილდება. ასეთი სტრატეგია ირჩევა მაშინ, როდესაც ოპონენტთა რესურსები თანაბარია, საქმიანი კონფლიქტი ემოციურში არ გადასულა და მონაწილეები მიდრეკილი არ არიან ურთიერთობის გამწვავებისკენ.

როგორ ვაიძულოთ ადამიანი მიიღოს ჩვენი აზრი? ადამიანის დარწმუნება რაიმეში არ ნიშნავს მასთან კამათს. შეუთანხმებლობის მოგვარება არ შეიძლება ჩხუბით, ის შეიძლება მოგვარდეს შერიგებითა და მეორე მხარის დარწმუნებით. ადამიანებმა პატივი უნდა სცენ სხვის აზრს. თუ დარწმუნებული ვართ ოპონენტის შეცდომაში უმჯობესია მივმართოთ სიტყვებით "მე შევცდი, გთხოვთ გავერკვიოთ ფაქტებში". ეს დაარწმუნებს მას, რომ შეიძლება ისიც შეცდეს. თუ ჩვენ არ ვართ მართალი უნადა ვაღიაროთ სწრაფად და გაბედულად. დიალოგი არ უნდა წავიყვანოთ ისე, რომ მოწინააღმდეგეს ჰქონდეს შესაძლებლობა თქვას "არა". თუ გვსურს დავარწმუნოთ მოწინააღმდეგე რაიმეში, შევხედოთ საგნებს მისი თვალით. ამ გზით დავზოგავთ დროსა და ნერვებს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავის ხელში აყვანას. იმისათვის, რომ ვმართოთ საკუთარო თავი კონფლიქტის დროს სასურველია საუბრისას პაუზის გაკეთება, ღრმად ამოსუნთქვა, ადგომა ამ საუბრის სხვა თემაზე გადატანა.

კონფლიქტის სოციოლოგია ეფუძნება კონფლიქტს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ მოვლენას. საზოგადოება მიაღწევს ეფექტურ შედეგს, თუ არ დახუჭავს თვალებს კონფლიქტზე და იხელმძღვანელებს მისი მოგვარების წესებით. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ არ დაიშვას ძალადობა, როგორც მოგვარებს მეთოდი. მისგან გამოსვლა შეიძლება იყოს რაციონალური და ირაციონალური. პირველი მათგანი ითვალისწინებს შექმნილი სიტუაციის აქტიურ ძიებას და დაპირისპირებული ადამიანების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მეორე კი მოთხოვნებზე უარის თქმას. განსაკუთრებით ეფექტურია ინტეგრირებული მეთოდი, როდესაც გამომუშავდება გადაწყვეტილების ახალი ვარიანტი, რომელიც არ ემთხვევა არც ერთ პოზიციას, მაგრამ თითოეულ მხარეს შეუძლია ჩათვალოს თავისად. მიუხედავად კონფლიქტის სხვადასხვა სახეებისა, ქცევის ტაქტიკა ერთნაირია. გამოყოფენ ქცევის ძირითად სტრატეგიას: იძულება, კომპრომისა და თანამშრომლობა.

კონფლიქტების მნიშვნელობიდან გამომდინარე არსებობს სპეციალური მეცნიერება "კონფლიქტოლოგია", რომელიც განიხილავს კონფლიქტს, როგორც ცნებას ადამიანებისა და მათი ურთიერთობის შესახებ. ის შეისწავლება პროგესიულ დონეზე. სპეციალისტები აწარმოებენ კვლევით და პრაქტიკულ მუშაობას სამეცნიერო ინსტიტუტებში და კვლევით ცენტრებში. მას შეისწავლიან ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ჟურნალისტები, იურისტები. ის, როგორც მეცნიერება მოქმედებს ცოდნის ყველა სფეროში. თანამედროვე კონფლიქტოლოგია არის გამოყენებითი სამეცნიერო დისციპლინა და პრაქტიკული საქმიანობის სფერო კონფლიქტების მოგვარებაში.

ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში ბევრია დამოკიდებული მმართველზე. მას შეუძლია მისი დარეგულირება, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია არა მისი პიროვნება, არამედ მისი დამოკიდებულება ჯგუფის წევრების მიმართ. მისთვის უმჯობესია ანალიზის დაწყება კონფლიქტის გამომწვევი ფაქტიური მიზეზებისგან. კამათის შედეგით შეიძლება სიტუაციის გადაჭრა ან ჩიხში მოქცევა. ხელმძღვანელმა შეიძლება დაუშვას რიგი შეცდომებისა, მაგალითად: განზოგადება, როდესაც სხვა საკამათო სიტუაციას ვახსენებთ, რომელსაც თემასთან საერთო არ აქვს. თავის არიდება, როდესაც ერთი მხარე არ ერთვება კამათში. არაპროდუქტიული მიმართვა და იგნორირება, რომელიც დიდი შეცდომაა. ხელმძღვანელს აგრეთვე უნდა შეეძლოს საკუთარი ემოციური ქცევის მართვა, რომელშიც მას აუტოგენური ვარჯიში ეხმარება. თუ პერიოდულად გამოვიყენებთ ამგვარ ხერხს ავიცდენთ ზედმეტ დაძაბულობას. შეიძლება განისაზღვროს ურთიერთსორისი რეაქცია დეპირისპირებულ მხარეთა შორის, რაშიც ტემპერემენტის ცოდნა დაგვეხმარება. მაგალითად ქოლერიკებთან კონფლიქტები ძალიან რთულად გვარდება.

ჩვენ ვეჯახებით კონფლიქტს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ხშირად ვერ ვარჩევთ მას ჩვეულებრივი ურთიერთობისგან. მათი უმეტესი ნაწილი სუსტია, ან დასუსტებულია მონაწილეობის კომპრომისისკენ სწრაფვით, ამოტომაც არ აღიქმება კონფლიქტად. მეორეს მხრივ ადამიანებს ამოძრავებთ სურვილი თავიდან აიცდინონ ის. ნებისმიერი მათგანი საჭიროებს ყურადღებას, მაგრამ ეს არ ნისნავს იმას, რომ საჭიროა მისი განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა.

სანიკიძე, ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციაში. 2001წ.
Чарльз Ликсон, Конфликт семь шагов к миру. 1997г.
Э. А. Уткин, Конфликгологиа. 1998г.
Ф .М. Бородин Н. М. Коряк, Внимание конфликт . 1983г.

ოლიკო არდემანაშვილი ხატია ტეტუნაშვილი

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

2008 წლის რუსეთ საქართველოს კონფლიქტი და გორი

ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ჩოჩიშვილი

კონფლიქტი, ეს ურბილესი ტერმინია იმასთან შედარებით თუ რა მოხდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში, კერძოდ გორში. ზოგიერთს ომი პროგრესის საწინდრად მიაჩნია (ამის მაგალითად მოჰყავთ ისრაელი, რომელიც სწორედ კონფლიქტების ხარჯზე პროგრესირდება), მაგრამ ჩვენთვის ომი იყო საშინელება და ამავე დროს შემზარავი მოულოდნელობა. ჩვენი წარსული

ისტორია სავსეა ომებით და ამასთან დაკავშირებული ავ-კარგიანობით, მაგრამ ეს იყო წარსულში 21-ე საუკუნეში ნუთუ ომი გამართლებულია?

ომი არ მოხდებოდა ჩვენს სახელმწიფოს მეზობლად რომ ჰყავდეს უფრო დემოკრატიული სახელმწიფო, ვიდრე რუსეთია. რუსეთი არის იმპერია, რომელთანაც მორიგება არც ისე ადვილი ყოფილა. რუსეთი იმპერიული ცნობიერების მქონეა, რუსეთს გააჩნია ამბიციები, რომელთა შესასრულებლად ყველა ხერხსა და ღონეს ხმარობს. მას სურს იყოს პირველი და იგი თავის პოზიციებსა და გავლენის სფეროებს იოლად არ დათმობს. სამწუხაროდ რუსეთის მმართველი წრეები ჯერ კიდევ თავის გავლენის სფეროდ მოიაზრებენ მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეს.

ომი არ მოხდა უცებ, ამისთვის ნიადაგი ათეული წლების წინათაც მზადდებოდა. განუწყვეტელი პროვოკაციები, რომლებსაც აწყობდა უწყობდა ოსური მხარე, რომელთა ზურგს უკან, რა თქმა უნდა, რუსეთი იდგა. 2008 წლის აგვისტოს ომი კი სწორედ ამ პროვოკაციების შედეგია. ტალიავინის დასკვნის ერთ-ერთ პუნქტში წერია: 3 აგვისტოს რუსეთის მთავრობამ საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რუსეთში გახიზნულიყო, ხოლო აგვისტოს დასაწყისში 58-ე ბატალიონი როკის გვირაბის ახლოს იქნა დისლოცირებული. ოსური ძალების მხრიდან რამდენიმე ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა საარტილერიო სროლები, რის შედეგადაც 7 აგვისტოს ქართულმა მხარემ დაიწყო სამხედრო ოპერაცია. ესეც, რა თქმა უნდა პროვოკაციების შედეგია. შეიძლება ვინმესთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ იყო პირველი, მაგრამ ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის არის, რომ ეს გასროლა მოხდა და მოიტანა ქაოსი და უბედურება, ასობით დაღუპული და დასახიჩრებული ადამიანი, საკუთარი მიწა-წყლიდან განდევნილი მოსახლეობა, გადამწვარი სახლები, მიწისაგან პირისა აღგვილი სოფლები. . .

ცხინვალთან ახლოს მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობა ბოლო პერიოდში შიშში იღვიძებდა და იძინებდა. მოსვენებას არ აძლევდათ მათ ღამე ატეხილი სროლები. ამდენი წლების განმავლობაში დაღლილებს და შეწუხებულებს გაუგებრობაში ყოფნას მათი თქმით სასტიკი რეალობა ერჩივნათ.

8 აგვისტოს რუსეთის მხარემ, რომელსაც რეგიონში სამშვიდობო კონტიგენტი ჰყავდა, ქართველთა იერიშის საპასუხოდ ცხინვალის რეგიონში საკუთარი ჯარების ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა შეიყვანა. ასე დაიწყო

საჰაერო დარტყმები საქართველოს სახვადსხვა რეგიონებზე, მათ შორის გორსა და მის სოფლებზე.

ალბათ ყველას გაუჩნდება კითხვა, რატომ იყო გორი კონფლიქტის ეპიცენტრი. გორი, როგორც ვიცით სტრატეგიული მნიშვნელობის ცენტრია. ის არა მხოლოდ კონფლიქტის უშუალო სიახლოვეს იმყოფება, არამედ მასზე გადის მთავარი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები. აქ იმყოფებოდა საარტირელიო და სატანკო შენაერთები, რეზერვისტთა დიდი რაოდენობა. ცხინვალიდან თავისუფლად შეიძლებოდა ქვემეხების სროლა, რომელიც გორმადე მოაღწევდა და პირიქით, გორიდან შეიძლებოდა ცხინვალის დაბომბვა. რამდენიმე რუს სამხედრო ჩინოსანს გორში ჰქონდა ნამსახურევი და კარგად იცნობდნენ ქალაქს, მაგრამ, ჩემი აზრით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებოდა. გორი, როგორც ვიცით, თბილისამდე ყველაზე დიდი ქალაქია, როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ისე ფართობით. თბილისისკენ მიმავალ გზაზე მტერს რეალურ წინააღმდეგობას გორი გაუწევდა, ამიტომაც გადაწყდა გორის დაკავება, და ფაქტიურად გაწყდა კავშირი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქ-ს შორის, რაც დიდ უპირატესობას აძლევდა მტერს.

როცა ომი იწყება, სავსებით ლოგიკურია, რომ მტერი პირველ დარტყმას მოახდენს სამხედრო ბაზებზე. მტერი ცდილობს გაანადგუროს ჯარი, დაანგრიოს საცავები, სადაც ინახება ტყვია წამალი. ამით მოიპოვოს უპირატესობა, გატეხოს მოწინააღმდეგე და მოიგოს ომი. ეს სავსებით ბუნებრივია-ომი ომია და ომში ყველა ხერხი გამართლებულია. ის, რომ ერთისთვის წამგებიანია და მეორესთვის მომგებიანი, ესეც ომისთვის დაუწერელი კანონია.

სამხედრო ბაზები საქ-ში, ჩვენდა სამწუხაროდ, დასახლებულ პუნქტებთან ახლოს იმყოფება, რაც, რა თქმა უნდა, ზრდიდა მსხვერპლთა რაოდენობის საფრთხეს. ალბათ, ადრე ვფიქრობდით, რომ საფრთხეს არ წარმოადგენდა გორში განლაგებული სამხედრო ნაწილები, მაგრამ ამ ომმა თავისი ქნა და მოსახლეობაში შიში დანერგა. აქვე უნდა აღვნიშნო ერთი დაუდევრობა, რომელიც ომის დასრულებიდან მოხდა ერთი წლის შემდეგ გორში. სწავლებას გადიოდა გორში რომელიღაც სამხედრო ნაწილი და მოსახლეობა არ იყო გაფრთხილებული. როცა სროლები დაიწყო, უბედურება გამომვლილ ხალხს კვლავ ომი ეგონა და პანიკა დაიწყო. ჩემი აზრით, აუცილებელი იყო მოსახლეობის საქმის კურსში ჩაყენება. მოსახლეობის გაფრთხილება (ეს სხვადასხვა გზით შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგ: გამოცხადებით, ანდა ადგილობრივი ტელევიზიის დახმარებით), მაგრამ ეს რატომღაც არ მოხერხდა.

როცა საზოგადოება ცხოვრობს დიდ სტრესში, რომელიც მათ ომმა დაამჩნია, ყველა მსგავსი ინფორმაცია, დროულად უნდა იქნეს მიწოდებული საზოგადოებისათვის. დაგვიანებულ ინფორმაციას უმეტეს შემთხვევაში არასახარბიელო შედეგები მოაქვს.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ტელეკომპანია „იმედში„ დადგმული ომის იმიტაცია, რომელიც ჩვენს სპეციალურ რეპორტაჟში ვიხილეთ. ტელეკომპანია იმედი დიდი პოპულარობით სარგებლობს და ალბათ ბევრი მათგანი უყურებს მის გადაცემებს, მათ შორის სპეციალურ რეპორტაჟსაც და ქალაქ გორშიც. ზოგი გადაცემას თავიდანვე უყურებდა, ზოგმაც შემდეგ გადართო და აი რას გადმოსცემდა სპეციალური რეპორტაჟი „ომია ატეხილი მთელს საქართველოში. ჩვენი ჯარის ნაწილი მტრის მხარეს გადავიდა, საქ-ს პრეზიდენტი მოკლულია ან დაჭრილი.” არ ვიცი მე, ეს რომელ ადამიანურ ეთიკაში ჯდება, ერთი ის კი ვიცი, რომ არავის არ აქვს უფლება ადამიანის ნერვებზე ითამაშოს, არც ტელეკომპანიებს და არც ჟურნალისტებს, რომელთაც დავიწყებიათ, რომ უნდა ემსახურონ საზოგადოების კეთილდღეობას და არა პირიქით, მათ მოშლას და პანიკაში ჩავარდნას. ძალიან შეშინდნენ გორელები: ყველა სუპერმარკეტი გადატენილი იყო, ბენზინგასამართ სადგურებზე მანქანების უწყვეტი ჯაჭვი იდგა. ხალხი პანიკაში იყო და გადარჩენის გზას ეძებდა. ძნელია ყველაფერი სიტყვით გადმოსცე, მაგრამ იმედი მაქვს ყველა სიტყვა და ქმედება ამის შემდეგ ასჯერ გაზომილი და ერთხელ გადაჭრილი იქნება.

8 აგვისტოს რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა 2 ბომბი ჩამოაგდეს გორის მახლობლად. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მაინც არ ტოვებდა ქალაქის იმ იმედით, რომ რუსი ოკუპანტები ცეცხლს არ გაუხსნიდნენ დასახლებულ პუნქტებს და საფრთხეს არ შეუქმნიდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, მაგრამ 9 აგვისტოს, ვერხვების დასახლებაზე, რუსებმა კიდევ ერთხელ გამოიჩინეს დაუნდობლობა და დაიწყეს საცხოვრებელ კორპუსებთან მდებარე საარტილერიო ბაზების დამომბვა.

რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა დაბომბეს საცხოვრებელი კორპუსები, განადგურდა სამოქალაქო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა. ოფიციალური მონაცემებით, უშუალოდ გორში 9 აგვისტოს წარმოებული დამომბვების შედეგად დაიღუპა 31 სამოქალაქო პირი.

დაბომბვის მომდევნო ტალღა ქალაქს 12 აგვისტოს დაატყდა თავს. ამჯერად, რუსეთის თვითმფრინავებმა გორის ცენტრი დამომბეს. ბომბები ჩამოგდებული იქნა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინ. აღნიშნული

ქმედების შედეგად, ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 10 ადამიანი, მათ შორის ჰოლანდიელი ჟურნალისტი.

12 აგვისტოს დაცხრილეს ს.ს.ი.პ. გორის უნივერსიტეტის შენობაც, ვინაიდან მათი მიზანი იყო ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულების განადგურება. შენობის განახლებისას ამოღებული ვაზნები და ბომბის ნარჩენები, ამჟამად ინახება ს.ს.ი.პ. გორის უნივერსიტეტში.

რუსთა აგრესია მხოლოდ გორს არ დაატყდა თავს 8, 9, 10, 11, 12 და 13 აგვისტოს, რუსებმა დაბომბეს გორის რაიონში შემავალი სოფლებიც, რომლის დროსაც დაიღუპა 29 ადამიანი, განადგურდა სოფლის მეურნეობის მოსავლის დიდი ნაწილი, დაზიანდა საცხოვრებელი სახლები.

დაბომბვის გარდა, რუსი ოკუპანტები მოსახლეობის მოკვლასაც არ ერიდებოდნენ სხვადასხვა არაადამიანური ხერხებით, როგორებიცაა: დაწვა, ჩაცხრილვა და ა.შ. ამგვარმა სასტიკმა ქმედებებმა 8-დან 28-აგვისტოს ჩათვლით არაერთი მნიშვნელოვანი მოსახლის სიცოცხლე შეიწირა.

ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 412 საქართველოს მოქალაქე, აქედან 228 სამოქალაქო პირი, 170 სამხედრო და 14 პოლიციელი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. დაიღუპა 1 პოლიციელი და 2 ქართველი ჟურნალისტი.

გორსა და გორის რაიონში დაღუპული სამოქალაქო პირების რიცხვი შეადგენს 65-ს. საომარი მოქმედების შედეგად დაიღუპა 4 შიდაქართლელი პოლიციელი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით დაიღუპა გორსა და გორის რაიონში მცხოვრები დაახლოებით 30-მდე სამხედრო მოსამსახურე.

გორის გარდა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დაზარალდა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებიც. საყურადღებოა, რომ გოირს მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებში ზოგიერთი დაზარალებული სოფელი არ არის მოხსენიებული. ერთ-ერთი მათგანია სოფ. სკრა, სადაც დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, სამხედრო ბაზა, ნათესები.

უნდა აღინიშნოს, რომ დაბომბვის შემდეგ ქალაქი პანიკამ მოიცვა. მოსახლეობა ცდილობდა ქალაქიდან გასვლას, მაგრამ მათ გახიზვნას აფერხებდა და ხელს უშლიდა ბენზინ გასამართ სადგურებსა და გორის გასასვლელბში შექმნილი ავტოტრანსპორტის საცობები, აგრეთვე, შეფერხებული საკომუნიკაციო საშუალებები და რაც მთავარია არაორგანიზებული გადაადგილება ინფორმაციის უქონლობის გამო, რაშიც ბრალი სარდლობასა და მასმედიას მიუძღვის გარკვეული ხნის მანძილზე ქალაქი უკაცრიელ ადგილს

დაემსგავსა. გორის ყველაზე ხალხმრავალი ქუჩებიც კი სრულიად დაცარიელდა. ქალაქში არ შეინიშნებოდა ხალხისა თუ ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

გორში დარჩენილ მცირეოდენ მოსახლეობას ძირითადად მამაკაცები შეადგენდნენ, რომლებიც საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებს აფარებდნენ თავს, რადგან არ არსებობდა სხვა რაიმე თავშესაფარი, რომელიც როგორც წესი ყველა ქალაქს უნდა გააჩნდეს საომარი, თუ სხვა რთული მოვლენების დროს თავშესაფარებლად, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ამ ქალაქში განლაგებულია საარტილერიო ბაზები, სამხედრო ქალაქად იწოდება. სარდაფებს თავშეფარებული მოსახლეობის ნაწილი კომბინატის დასახლებასთან ჩამოგდებული ბომბის შედეგად ნანგრევებში მოექცა და დაიღუპა, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვიც.

ცარიელი ქალაქის ოკუპაცია რუსებს არ გაჭირვებიათ და ახლა უკვე თბილისისაკენ აიღეს გეზი. ქართულმა ჯარმა უკან დაიხია დედაქალაქის დასაცავდა. რუსებმა დაიწყეს მარადიორობა დაცლილი ქალაქის ძარცვა. რუსი სამხედროები თავისუფლად მიმოდიოდნენ ქალაქის ქუჩებსა და სოფლებში მცირე წინააღმდეგობის შემთხვევაში სასტიკად უსწორდებოდნენ მოსახლეობას ანადგურებდნენ ინფრასტრუქტურას.

ზოგადად 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებისას დაზიანებული სახლების რაოდენობა შეადგენს 9 000 ბინას. აქედან ქ. გორში დაზიანდა 105 სახლი მათ შორის 17 კორპუსი 98 საკუთარი სახლი, 5289 ბინის მეპატრონეს გადაეცა ბინა და სხვა სამშენებლო მასალა, 327 ბინა მთლიანად განადგურებულია და მათ მეპატრონეებზე გაცემულია 15 000 დოლარის ექვივალენტი ლარებში. დაზიანებულთაგან 3067 სახლი რებილიტირებულია, 352 ბინაზე გაცემულია კომპენსაცია.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პარალელურად მიმდინარეობს დაზიანებული სახლების შესწავლა, შეფასების პროცესი. ამიტომ შესაძლებელია ზემოთ მოყვანილი მონაცემები შეიცვალოს.

მნიშვნელოვნად დაზიანდა სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებები. გაიძარცვა 26 სკოლა, ზარალმა დაახლოებით რამდენიმე მილიონ ლარს მიაღწია. დაზიანდა ქ. გორის მუნიციპალიტეტის და მუნიციპალიტეტის სოფლებში 29 სკოლამდელი აღზრდის საბავშვო დაწესებულება, რომელთა ზარალმაც 850 ლარს გადააჭარბა. გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 20 000 ადამიანს გადააჭარბა. დიდად დაზიანდა სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით კი მეცხოველეობა და მემცენარეობა. თითქმის მთლიანად განადგურდა

საშემოდგომო მოსავალი. რამაც ომის შედეგად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობა ეკონომიურად კიდევ უფრო დააკნინა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ომის შედეგები ხალხის ფსიქიკაზე. განსაკუთრებით, გორსა და გორის რაიონის სოფლებში. ომის შემდგომ ერთი შეხედვით ხალხი რომელიც ჩვეულებრივ პირობებში აგრძელებს ცხოვრებას ფსიქოლოგიურად ძალზედ ტრამვირებული აღმოჩნდა, ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო სხვა ქვეყნების მსგავსად ჩამოყალიბებულიყო ფსიქოლოგთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც უფასო კონსულტაციებს გაუწევდა მოსახლეობას ომის შემდგომი ფსიქიკური ტრამვების მოშუშებაში.

საქართველოს წინააღმდეგ ომი დიდი ხნის განმავლობაში შემუშავებული სტრატეგიული გეგმის განხორციელება იყო. ომის მოვლენებმა ცხადყო რომ ეს გეგმა საქართველოზე გავლენის მოსაპოვებლად დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა. ამის მკაფიო გამოხატულება იყო შეტევის განხორციელება ქ. გორზე. ვინაიდან გორის აღებით რუსეთი ჩაკეტავდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ გზას. გორის, როგორც საზღვრისპირა ქალაქის მნიშვნელობა ყოველთვის უდავოდ დიდი იყო რადგან იგი წყვეტდა საქართველოს ბედს საუკუნეების მანძილზე.

ქსენია ხაჩიძე მარიკა დურული

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები "ნაბუკოს" გაზსადენის მაგალითზე

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ლიპარტელიანი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება აზრთა და ინტერესთა დაპირისპირება, რის შედეგადაც წარმოიშობა კონფლიქტური სიტუაციები.კონფლიქტი (ლათ.conflictus - შეჯახება), როგორც საზოგადოებრივ ასევე საქმიან ურთიერთობებში ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს.

კონფლიქტი ადამიანური არსებობის თანამხლები მოვლენაა. იგი ერთნაირად ახასიათებს უძველეს საზოგადოებებს და უახლეს ისტორიას. კონფლიქტურ სიტუაციებში მხარეთა დაპირისპირებისას იკარგება დრო, რესურსები და ირღვევა კომუნიკაციები, რაც ხელს უშლის კონსტრუქციული ნაბიჯების დაგეგმვას.

ჩვენს მიერ თემაში განხილულია კონფლიქტური სიტუაცია "ნაბუკოს" გაზსადენთან დაკავშირებით. მოყვანილია იმის ნათელი მაგალითი, თუ რა შედეგები

შეიძლება მოჰყვეს დიდი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს ბაზარზე პირველობის შესანარჩუნებლად.

მოგეხსენებათ არც ერთი მოვლენა არსაიდან, სწორ ადგილზე არ ჩნდება, ყველას თავისი წინაისტორია და გამომწვევი გარემოებები გააჩნია. მოვლენის წარმოშობის მიზეზი რომ გავიაზროთ, მოქმედება უნდა შევიცნოთ; მოქმედება რომ შევიცნოთ საჭიროა მიზეზი ვიცოდეთ. აქედან გამომდინარე განვიხილოთ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები " ნაბუკოს"გაზსადენის მაგალითზე.

"ნაბუკოს" პროექტის იდეის ჩასახვა, რუსეთსა და ევროპას შორის არსებულმა კონფლიქტურმა სიტუაციამ გამოიწვია. რუსეთი ევროპის წინააღმდეგ იყენებს ყველაზე ძლიერ იარაღს - ენერგორესურსებს ვინაიდან ევროპის გაზმომარაგებას მთლიანად რუსული ენერგო კომპანია "გაზპრომი" უზრუნველყოფს. იგი რუსეთის ენერგო ბაზარზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, რუსეთი კი ამ ფაქტორს ევროპაზე ზეგავლენის მოხდენის პოლიტიკურ ინსტრუმენტად იყენებს. მაგალითად 2006 წლის უკრაინის გაზის კრიზისი, რამაც ევროპულ ბაზარზე გაზის მიწოდების შეწყვეტა გამოიწვია და თითქმის მთელი ევროპა გაზის გარეშე დარჩა. ამ მოვლენამ გამომაფხიზლებელი როლი ითამაშა ევროპისათვის. მან ერთიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. რის შედეგადაც ავტომატურად გაჩნდა კითხვები ახალი ენერგოწყაროებისა და მომარაგების გზების შესახებ, რაც უზრუნველყოფდა ევროპისათვის დამატებით წყაროებს. ამ დროიდან მიექცა ყურადღება კასპიის ზღვის რესურსებისა და სავარაუდო სატრანზიტო გზების ძიებას. ამის შედეგად საქართველო როგორც სატრანზიტო პოტენციალის მქონე ქვეყანა მოექცა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ.

კონფლიქტური სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავლად "ნაბუკოს" პროექტი იქნა მიჩნეული, რომლის შექმნა 2006 წლის ივნისის ბოლოს გადაწყდა ვენაში, სადაც ავსტრიის, თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის ენერგეტიკის მინისტრებმა და ევროკავშირის ენერგო კომისარმა ხელი მოაწერეს გაზსადენ "ნაბუკოს" მხარდამჭერ ხელშეკრულებას. მასში აღინიშნა, რომ გაზსადენით გათვალისწინებულია კასპიის და ირანის გაზის მიწოდება ევროპული ბაზრის დივერსიფიკაციის მიზნით. გაზსადენმა უნდა დააკავშიროს ტრანსკავკასიური გაზსადენი (TCGP) ერზრუმთან, ირან-თურქეთის (თავრიზ-ერზრუმის) და "სამხრეთ კავკასიური" (BTE) გაზსადენების გადაკვეთის პუნქტი-ავსტრიულ ქალაქ ბაუმგარტენან-დერ-მაშალთან.

"ნაბუკოს" პროექტის განხორციელების შემთხვევაში ავსტრიის ქალაქი ბაუნგარტენი გახდება ევროპის გაზმომარაგების ე.წ "ჰაბი", ანუ საბითუმო ვაჭრობის ცენტრი, რაც ავსტრიას კოლოსალურ შემოსავლებს მოუტანს.

მაშინ როდესაც რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მთლიანად დაიპყროს ევროპის ენერგეტიკული ბაზარი და გააძლიეროს ამ ქვეყნებზე როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური გავლენა "ნაბუკოს" გაზსადენის პროექტი მისი მიზნების განხორციელების ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე რუსეთი "ნაბუკოს" წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურადაა ჩართული. იგი ყველა შესაძლო ბერკეტს იყენებს, მათ შორის პოლიტიკურსაც, როგორც "ნაბუკოს" პროექტში გაზის მიმწოდებელ, სატრანზიტო, ასევე ევროკავშირის ცალკეული "სატელიტი" ქვეყნების მიმართ. ასევე "ნაბუკოს" დაუპირისპირა

“სამხრეთ” და “ჩრდილოეთ ნაკადის” პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ ევროპისათვის ისევ და ისევ რუსული გაზის მიწოდებას.

“ნაბუკოს” რეალიზაცია დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და ძალიან პრობლემატურია. ეს პროექტი 2008-2009 წლებში გამოცოცხლდა რუსეთ-საქართველოს ომისა და უკრაინა-რუსეთის გაზის კრიზისის შემდგომ. ევროპა მიხვდა, რომ “ნაბუკოს” რეალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანი ევროპული ენერგოუსაფრთხოებისათვის. პროექტის განხორციელებით თვით ევროპაც და ყველა მონაწილე ქვეყანაც დიდ სარგებელს მიიღებს. ევროპისათვის ეს გაზსადენი წარმოადგენს გაზის დამატებით წყაროს, ბუნებრივი აირის ბაზრის მცირე კორექციას და ახალ ტენდენციას, რომელმაც უნდა შეასუსტოს რუსული მონოპოლია ევროპულ ბაზარზე.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტი, გახდა რეგიონული თანამშრომლობის პირობა საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის. ამან ასევე მოიზიდა ინვესტორები და დაარწმუნა იმაში, რომ მცირე ქვეყნებსაც შესწევთ ძალა განახორციელონ და შეითვისონ თავის ტერიტორიაზე შექმნილი გრანდიოზული ინფრასტრუქტურების პროექტები, რომელთა მიზანია, კასპიის ზღვის ენერგორესურსებთან დაკავშირება და მათი ტრანსპორტირება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ტრანზიტით ევროპისაკენ.

საქართველოს პრიორიტეტულმა როლმა აღმოსავლეთ-დასავლეთ ენერგოდერეფანში და ქვეყნის ეროვნულმა მისწრაფებამ დასავლეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციისაკენ, რუსეთის მხრიდან გამოიწვია დიდი აგრესია, რუსეთმა გაიაზრა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ქვეყანაზე საქართველოს სახით, გავლენის დაკარგვის შესაძლებლობა, ექსპერტების აზრით სწორედ ეს გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

08.08.08 - პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო, რომელშიც დაზარალდა ამ ქვეყნის მოსახლეობა სხვადასხვა ეროვნებისა. მათ გარდა, აგრეთვე კონფლიქტში მონაწილე სამხედროები და მათი ოჯახის წევრები, მიუხედავად იმისა, რომელ მხარეს იბრძოდნენ ისინი.

სამი რვიანი, სამოქმედო გეგმა, რომელმაც შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე. სახელმწიფოთა ბრძოლა, სადაც გამარჯვებულისა და დამარცხებულის ერთთავად გამოვლენა ცოტა რთულია. ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო თუ გონებათა ორთაბრძოლა, სადაც გონება უკანა პლანზეა, სამხედრო არტილერია - ადამიანები გონების გარეშე, შეიძლება ითქვას რობოტების ცვენა ქართულ მიწაზე. პოლიტიკა რომელსაც რამდენიმე ადამიანი მართავს და სხვა ყველა თეატრის თოჯინებად გვევლინება და ეკონომიკა, მოგება თუ ზარალი?! ალბათ ვისთვის როგორ.

მოგეხსენებათ ომი არ იწყება მხოლოდ ტექნიკური ხასიათის მიზეზებით. ომი არ იწყება შემთხვევით. ომს აქვს თავისი შინაარსი, მთავარია განვსაზღვროთ რა არის ომის დაწყების მთავარი მიზეზი.

საქართველოს მიერ დეკლარირებული საგარეო კურსი აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდიოდა და მოდის რუსული გეოპოლიტიკის კონცეფციასთან. შესაბამისად საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების შინაარსი არცერთ პარამეტრში არ დაემთხვა ერთმანეთს. სწორედ ეს შინაარსი იქცა ომის დაწყების

მიზეზად, ანუ შინაარსი, რომლის საფუძველია რუსეთის იმპერიული განწყობა, ერთის მხრივ და საქართველოს თავისუფლებისაკენ სწრაფვა მეორეს მხრივ.

უკვე შეგვიძლია გავცეთ პასუხი მთავარ შეკითხვას, რა მოიგო რუსეთმა და რა წააგო? რუსეთმა მოიგო დრო და შეაფერხა საქართველოს ინტეგრაცია ნატოში, მას გარდა ომისა 2008 წ. სხვა საშუალება ამის შესაჩერებლად ნამდვილად არ ჰქონდა. ვინაიდან, 2008 წლის დეკემბერში კიდევ უფრო მძაფრად დადგებოდა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხი, ასევე მწიფდებოდა კონფლიქტურ რეგიონში სამშვიდობოთა ჩანაცვლების საკითხიც. ამის შესაჩერებლად გარდა პირდაპირი აგრესიისა რუსეთი სხვა საშუალებებს მოკლებული იყო, ხოლო რაც შეეხება საქართველოში ისეთი მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, როგორსაც "ნაბუკოს" პროექტი წარმოადგენს, რუსეთს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს მიაყენებდა.

ომმა საქართველოს პოლიტიკურთან ერთად მიაყენა დიდი ეკონომიკური ზარალი. დაიწია სატრანზიტო გზის უსაფრთხოების დონემ, ტერიტორია ბევრად არასტაბილურ და მწვავე რეგიონად იქცა, მაგრამ ამ ტიპის საქციელმა რუსეთის მხრიდან, ევროპა კიდევ უფრო აქტიური გახადა საქართველოში და უფრო მიმზიდველად წარმოაჩინა "ნაბუკოს" პროექტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა რუსეთის მტრული დამოკიდებულებისა არსებობს გერმანიის შედარებით ნეგატიური პოზიცია, თურქეთის ინტერესები, ასევე ხელის შემშლელ საკითხად გვევლინება აზერბაიჯანის გაურკვეველი პოზიცია პროექტთან დაკავშირებით.

და ბოლოს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა კონფლიქტურ სიტუაციას აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული კონფლიქტი და მითუმეტეს ომი, დამანგრეველად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე, შემდგომ კი ამ მდგომარეობის აღდგენას წლები და მნიშვნელოვანი მატერიალური მხარდაჭერა სჭირდება. რომ არა საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოსათვის, ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემას და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვნად გაუჭირდებოდა.

კონფლიქტის დასარეგულირებლად საჭიროა დიდი დრო და ენერგია, ასევე საჭიროა ჩამოყალიბდეს გარკვეული ზომები და მოხდეს დათმობები არა მხოლოდ ერთი, არამედ ორივე მხარის მიმართ. როდესაც, მხარეების მიერ მოხდება შეთანხმება პრობლემის განსაზღვრაზე და აგრეთვე სრული აღრიცხვა იმ პოლიტიკის დანაკარგისა, რაც ადამიანური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას მოჰყვა შედეგად, უკვე შეიძლება დაიწყოს პოზიტიური ალტერნატივების წამოყენება.

მოხსენებას დავამთავრებთ გოეთეს სიტყვებით: "არ არსებობს წარსული, საითკენაც დაბრუნება შეიძლება კაცმა ისურვოს, არის მხოლოდ მარად ახალი, რაც ყალიბდება წარსული ელემენტებისა და სიახლისაგან, ხოლო ჭეშმარიტი მისწრაფება უნდა იყოს ყოველთვის ნაყოფიერი, უნდა შეიქმნას საუკეთესო"

ქეთევან შერვაშიძე

ა.კუჭუხიძის სახელობის ეკონომიურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

საზოგადოებისა და პიროვნების კონფლიქტი

ხელმძღვანელი: პროფესორი მაკა დოლიძე.

სამყაროში ბევრი რამ ადამიანის გონებისათვის ამოუხსნელი და იდუმალია. დროთა განმავლობაში მეცნიერებას უფრო და უფრო დიდი მიღწევები აქვს. მრავალ კითხვას პასუხი უკვე გაეცა, მაგრამ ნაწილი კითხვებისა კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა მოქცეული. სამყაროს შექმნიდან დღემდე ბევრი რამ შეიცვალა ადამიანის გონებრივი განვითარების წყალობით, თუმცა არის ისეთი საკითხები, რომლებიც ისევ და ისევ კვლევის ობიექტია. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომაც ყველა კითხვა ერთ დიდ კითხვამდე დავიყვანოთ, სახელდობრ,როგორია სამყაროს - მთელი სანამდვილის უზოგადესი კანონზომიერება? რა არის ის რაც ყოველგვარ არსებულს უდევს საფუძვლად. ეს არის სიყვრული და სიკეთე, რომლის გაზომვაც შეუძლე ბელია, რადგან იგია თავად საზომი ყოველივესი. თუკი ფილოსოფიის მარტივ მცნებას გავითვალისწინებთ, კერძოდ კი დაპირისპირებულთა ერთია- ნობისა და ბრძოლის კანონს, მაშინ შედეგად მივიღებთ რომ უარყოფა მხოლოდ უაყოფა კი არ არის, არამედ ამავე დროს დადგენაცაა. მაგალითად, სიცოცხლე და სიკვდილი ურთიერთდაპირისპირებული ცნებებია, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით თითოეული მათგანი არა მარტო უარყოფს მეორეს არამედ გულისხმობს მის არსებობას. რა არის სიკეთის დაპირისპირებული მხარე? ბუნებრივია ბოროტება. ეს ნაშრომიც სიკეთისა და ბოროტების ჭიდილს შეეხება. დამეთანხმებით, რომ კონფლიქტები, რომლის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ, არ არის ერთსახოვანი.შეუძლებელია მთლიანად ამ საკითხის ერთ კონკრეტულ ასპექტში განხილვა. კარგადაა ცნობილი კონფ-ლიქტები ქვეყნებსა და ქალაქებს შორის, ოჯახებსა და თვით ოჯახში ან სუ ლაც ორ დაპირისპირებულ პირს შორის. ჩვენ გადავწყვიტეთ ეს ყველაფერი ორ საწყისში მოგვესაზრებინა - კეთილსა და ბოროტში. რაში მდგომარეობს სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი?თუკი გადავხედავთ გოეთეს “ფაუსტს” აუცილებლად შევამჩნევთ ბოროტი სულის, იგივე მეფისტოპელის სიტყვებს როდესაც იგი ამბობს.

„რამდენიც გინდა ანდგურე მჩქეფარე სისხლი,

კვლავინდებურად ცირკულირებს ნაკადი მისი“

ეს სიტყვები ზემოაღნიშნული კითხვის პასუხია. ბოროტება ვერ იზეიმებს დედამიწაზე ვიდრე კაცთა მოდგმას გამრავლების უნარი შესწევს, ვიდრე იარსებებს ის კანონი, რომლის წყალობითაც ყოველივე ძველზე ახალი აღმოცენდება. მთავარი მამოძრავებელი ძარღვი ამ ჭიდილში არის სიცოცხლის მარადიულობა.

საინტერესოა ადამიანი იბადება ბოროტი, თუ შემდეგ სწავლობს ბოროტებას? ალბათ მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ სიცოცხლე უფლის საჩუქარია და შეუძლებელია მაში რაიმე ბოროტების მარცვალი იყოს. მაშინ უფრო სწორი იქნება თუ კითხვას ასე დავსვამთ, როდის და რატომ ბოროტდება ადმიანი.ან არის კი ვინმე ამაში დამნაშავე?უსამართლობა იქნება თუ ყველაფერს ერთ ადამიანს მივაწერთ და ყოველგვარი განმარტების გარეშე მას ბოროტს ვუწოდებთ. უფრო სწორი და სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ საზოგადოება სრულ გულგრილობას იჩენს თავისი ცალკეული წევრებისადმი ამით ფაქტიურად ადმიანს დანშაულისაკენ უბიძგებს. საზოგადოება დამნაშავის გაზრდას ხელს უწყობს, რათა შემდეგ გულგრილად დასაჯოს იგი.ჰიუგოს საზოგადოება აბობოქრებულ ზღვასთან აქვს გაიგივებული და ამბობს რომ: ულმობელია ადამინთა საზოგადოებრივი სვლა. მრავალ სულს დაღუპავს გზაში.ზღვაში იღუპება ყველა ვისაც კი კანონი გადმოაგდებს ხომალდიდან,გადმოაგდებს და შველაზე არა ზრუნავს.აი ზნეობრივი სიკვდილი. „ზღვა ულმობელი სოციალური წყვდიადია, რომელშიც მსჯავრდებულთ ჰყრის მართლმსაჯულება ზღვა არის განუსაძღვრელი უბედურება, ამ უფსკრულში ჩაძირული სული შესაძლებელია ლეშად იქცეს.'' ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული თითქოს ადამიანი თავისუფალია მორალური პასუხისმგებლობისაგან. რა თქმა უნდა პიროვნება აგებს თავის საქციელზე პასუხს, მაშინ როცა მას არჩევანის შესაძლებლობა აქვს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ძალიან ხშირად ადმიანი თავგამოდებით „უღრენს'' იმას რაც მასზე ბევრად მაღლა დგას, რადგან მიწიერი ყოფისაგან შებოჭილი, ბრმადქცეული და შურით სავსე ვერ ეთვისება მშვენიერსა და ღვთაებრივ ძალას. გოეთეს შესანიშნავად აქვს აღწერილი სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი. ,,ფაუსტში" იგი მეფისტოფელეს ათქმევინებს, რომ ადამინს აქვს ციური ნაპერწკალი, რომელსაც ჩვენ ადმიანები მას გონებას

ვუწოდებთ და რომლის ძალითც პირუტყვობაში ქვეყანაზე არა გვყავს ცალი.თუმცა ამვდროულად იგი ამბობს „ოღონ შეგძულდეს გონება და მეცნიერება, ეგ კაცთა განძი უმთავრესი და ძლიერება.“თუკი ამ სიტყვებიდან ამოვალთ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანს გონებით შეუძლია აკეთოს კარგი და ამავდროლად ცუდი.გამიჯნოს ერთმანეთისგან კეთილი და ბოროტი.საინტერესოა თუკი არჩევანის უფლება გვაქვს ვიაროთ სწორი თუ მრუდე გზით რატომ ვირჩევთ მრუდე გზას? რატომ ჩავდივართ ადამინები ბოროტებას? რა გვიშლის ხელს რომ ვაკეთოთ სიკეთე? ის ხომ სანაცვლოდ არაფერს ითხოვს?სოკრატეს თქმით სიკეოე სხვა არაფერია თუ არა სიამოვნება. ბოროტება- კი ტანჯვა. საგულისხმოა რომ ძალიან ხშირად კაცთა მოდგმა სიავეს გაუცნობიერებლად და არასწორი აზროვნების გამო ჩადის, ცდილობს სამართლიანობა თავისი ხელით აღასრულოს ,თუმცა იმას კი აღარ აკვირდება არის თუ არა თავად მისი საქციელი სამართლიანი, რადგანაც ხშირად საპასუხო ძალადობა აჭარბებს ხოლმე იმ ძალადობას, რომელსაც სძლევს.ამასთან დაკავშირებით ლევ ტოლსტოი ამტკიცებდა, რომ ცეცხლს ცეცხლით ვერ ჩააქრობო, ერთ ბოროტებას მეორე ბოროტებით ვერ მოსპობო. მისი რწმენით ძალას ძალა კი არ უნდა დავუპირისპიროთ, არამედ მორჩილება და სიყვარული. ეს აზრი ეხმაურება ბიბლიიდან უფლის სიტყვებს „როდესაც ვინმე სილას მარცხენა ლოყაზე გაგაწნავს სამგიეროს ნუკი გადაუხდი მარჯვენა ლოყა მიუშვირე, მას შერცხვება ხელებს ჩამოუშვებსო“ ბოროტებისადმი ძალით წინაღმდეგობის გაუწევლობის ეს მოძღვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ტოლსტოის მეორე მოძღვრებასთან ზნეობრივი სრულყოფის თეორიასთან. მისი აზრით ყოველ ადმიანში არსებობს ორი საწყისი ღვთიური და ეშმაკსეული, სულიერი და ცხოველური, კეთილი და ბოროტი. ვანო შადურს თავის ნარკვევბ"ში ნათქვამი აქვს, რომ თუ ადამიანი ,როგორც მჩაგვრელი ისევე დაჩაგრული შეიგნებს ამ ჭეშმარიტებას იზრუნებს თავის ზნეობრივ გაკეთილშობილებაზე განიწმინდება ყოველივე ცუდისაგან. სწორედ მაშინ ბოროტება თავისთავად მოისპობა და ადმინთა შორის საყოველთაო სიყვარული დამყარდება, ვინაიდან ყოველივე ბოროტების წყარო თვით ადმინია.მან საკუთარ თავში უნდა დაამარცხოს ბოროტი საწყისი და იზრუნოს ზნეობრივ სრულყოფაზე.ამის ნათელი მაგალითი არის ტოლსტოის “აღდგომა”, რომლიდანაც განსაკუთრებული სიმძლავრით გამოკრთის ბოროტებისადმი მორჩილებისა და ზნეობრივი სრულყოფის

ქადაგება, რომელიც დ.ნეხლიუდოვისა და კ.მასლოვას ფონზე იშლება.ნეხლიუდოვი გვევლინება დამნაშავედ, რომელიც თავად ასამართლებს თავისივე მსხვერპლს.კატიუშა კი პირველად წარმოგვიდგება სათნო, გულუბრყვილო გოგონად,რომელიც შეყვარებულია ცხოვრებაზე,ენდობა ადამიანებს, სწამს სიკეთე ,მაგრამ როდესაც მოატყუებენ და მიატოვებენ, მფარველები კი სახლიდან გააძევებენ საბრალო ქალი ცხოვრებასა და ადამინებზე შეხედულებას შეიცვლის, ყველაფერში სიცრუესა და ბოროტებას დაინახავს და სასოწარკვეთილებას მიეცემა.ეს ის მდგომარეობაა, როდესაც მის მორალურ საწყისზე ცხოველურმა საწყისმა გაიმარჯვა კეთილს სძლია ბოროტმა. თუმცა გასმართლებისა და ნეხლიუდოვთან შეხვედრის შემდეგ მასში კვლავ კეთილი საწყისი იმარჯვებს და თანდათან ადამიანების რწმენა და სიყვარული უბრუნდება.ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი ადმიანის გულსა და გონებაში მიმდინარეობს.ჭიდილი ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის, როდესაც ცხოველური საწყისი არ გაძლევს საშუალებას დაემორჩილო ზნეობრივს ან პირიქით. ეს უკვე პიროვნების სულიერ სიმტკიცესა და სიძლიერეზეა დამოკიდებული. რადგან სიტყვა სულიერ სიმტკიცეზე ჩამოვარდა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ვ.ჰიუგოს “საბრალონის” მოქმედი გმირი: „ფანტინი, რომელიც ცდომილების მორევიდან ამოტივტივებული უმანკოება გახლდათ“ მიუხედავად ცხოვრებაში დაშვებული უამრავი შეცდომისა, გაჭირვებისა, შეურაცხყოფისა და ფიზიკური დაცემისა იგი სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებს სულიერ სისპეტაკეს.შეჭირვებული და უსამრთლო ცხოვრება ვერ ახერხებს მის სულში შეჭრას და ბოროტების თესვას. იგივე შეიძლება ითქვას ეპისკოპოსს მირიელსა და კატორღელ ჟან ვალჟანზე, რომელიც შემდგომში მირიელის შემწეობით კეთილშობილ მადლენად გარდაიქმნა. მირიელის ცხოვრების მთავარი მოტივი ადმიანებთან სწორი მიდგომა, მიმტევებლობა და სიკეთის თესვაა.სათნოებისა და იმ სინათლის განსხიერებაა, რომელიც ყოველთვის აპოვნინებს ბნელ გამოქვაბულში დაკარგულ ადამიანს იქიდან გამოსასვლელ გზას.მირიელმა გდაარჩინა ჟან ვალჟანი კატორღაში ხელახალი დაბრუნების საფრთხისგან და რაც მთავარია ლმობიერი დამოკიდებულებით მასში გააღვიძა მიძინებული ადამინობა.სიკეტისა და ბოროტების გზაჯვარედინზე სიკეტის მხარეს გდაუხვია და ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო.

ყველაზე დიდი მტერი სიკეთისა არის ამქვეყნიური საზრუნავი ყოვლდღიური, რომელიც ყოველგვარ დიად მიზანს წინ უდგება და ფუჭ ოცნებად აქცევს, რომელიც დაუფარვი პირდაპირობით გვიამბობს ადმინთა გდაგვრებისა, მოშცვე ბულობისა, მცონარობისა და სულიერი სიცარიელი ისტორიას.მოყვანილი კონკრეტული მაგალითებიდან თამამდ შეგვიძლია თქვათ, რომ ბოროტებისა და სიძულვილის დაძლევა შეუძლებელი არ არის. ბოროტებას ბოროტებით არ უნდა ვებრძოლოთ. ტუმცა ეს ყველაფეტი მგლის ტავზე სახრების კითხვას ჰგავს, რადგან თითოოროლა ადმინის მაგლითით და შეგნებით კაცობრიობა ვერ გათვისუფლდება ბოროტებისგან. თავისდაუნებურად სწორედ ამ დასკვნამდე მიდის ჰიუგო "საბრალონში." მაშინ ჩნდება კითხვა სადაა ხსნა? ხსნას კი ტოლსტოი პოულობს სახარებაში, სადაც წერია რომ ერთადერთი თავდასღწევი საშუალება იმ ბოროტებისგან, რომლისგნაც იტანჯება კაცობრიობა არის შეგრძნება „თავისი მარადი დანაშაულისა ღვთის წინაშე"სიკეთისა და ბოროტების ჭიდილში დაუსრულე ლად შეუნდე აპატიე, ყველას, რადგან არ მოიპოვება ქვეყნად ისეთი ადმინი, რომელიც თვითონ არ იყოს დამნაშავე და ამ საფუძველით უფლება ჰქონდეს სხვა გაკიცხოს და დასაჯოს. თვიტოეული ადამინი უნდა მიმართავდეს არა ძალმომრეობას სხვისი გამოსწორებისა და დასჯისთვის, არამედ საკუთარი მანკიერებისაგან განწმენდისა და ზნეობრივი სრულყოფისათვის, მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო ყოველგვარ ბოროტებას და დასრულდება მრადიული ჭიდილი კეთილსა და ბოროტს შორის.

მარიამ გაზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

ქართულ-ოსური ურთიერთობანი

ხელმძღვანელი: პროფესორი რ.თოფჩიშვილი

ეთნიკურ სტერეოტიპში ასახულია ამა თუ იმ ხალხის ემოციურ–შეფასებითი დამოკიდებულება, ცოდნა, გარეგნობა, ხასიათი, ქცევის თვისებურებები, ძლიერი და სუსტი მხარეები და სხვა. ასევე,

გასათვალისწინებელი ფაქტია ის, რომ ეთნიკური სტერეოტიპი ეთნოსთაშორისი ურთიერთობის შინაარს ასახავს, ამიტომაცაა აუცილებელი თითოეული ეთნოსის შესწავლა,რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ეთნოსთაშორისი დაძაბულობისა და სტაბილურობის პროგნოზირება. ეთნიკური სტერეოტიპი შეიძლება შეიცვალოს ეთნოსებს შორის კონტაქტების გაზრდითაც.

საქართველო მონოეთნიკური ქვეყანა არასოდეს ყოფილა. ქვეყანა ეთნიკურად განსაკუთრებით აჭრელდა რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ (1801წ). საქართველოში, XX საუკუნეში თავი იჩინა ეთნოსთა შორის დაპირისპირებამ, მაშინ როცა ქართულ-ოსური ურთიერთობები რუსეთის იმპერიის მიზანმიმართულ ქმედებამდე მხოლოდ და მხოლოდ კეთილმეზობლური იყო, რა თქმა უნდა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჩრდილოოეთ კავკასიიდან გადმოსახლების წინადროინდელ თარეშებს.

დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა საქართველოში ქართულ-ოსური კონფლიქტია, ამ ორ ეთნოსს ოდითგანვე არაერთგვაროვანი ურთიერთობა აკავშირებდა. ურთიერთობა, რომელიც ორ ეტაპზე შეიძლება განვიხილოთ, რომელსაც „გარე”-ს და „შიდა”- ს დავარქმევთ. პირველი ეს არის მათი ურთიერთობა საქართველოს გარეთ და მეორე–ქვეყნის შიგნით მცხოვრებლებს შორის. ეს ურთიერთობა მე-17 საუკუნიდან მოდის, მას შემდეგ რაც ოსები საქართველოში დასახლდნენ. მათ შორის იყო შუღლი და ერთგულება, მტრობა და მეგობრობა, მაგრამ „შიდა” ტიპის ურთიერთობა უშუალოდ დაუკავშირდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემას.

ისტორიულად ცნობილია, რომ ოსებს ბევრჯელ უბრძოლიათ ქართველთა მხარდამხარ, კეთილმეზობლური ურთიერთობის საწინდარი ქორწინებაც ყოფილა, რომლებიც არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული კომუნიკაციის ხელშემწყობი ფაქტორიც იყო.

სადაო არ უნდა იყოს, რომ ეთნიკური კონფლიქტების მოსაგვარებლად ისტორიას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს–ხალხი, რომელიც ცხოვრობს გარკვეული ეთნოსის ტერიტორიაზე, ქვეყნის სრულუფლებიანი წევრი უნდა იყოს. თუმცა პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი ქართულ-ოსური დაპირისპირება სინამდვილეში რომ კლასიკური ეთნიკური კონფლიქტი არ ყოფილა და რომ ის პროვოცირებული და მართული იყო იმპერიული ძალების მიერ კარგად ჩანს რუსეთის მაღალი თანამდებობის პირების

განცხადებებში; რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი ერთად შეიერთა რუსეთმა 1774 წელს, ანუ სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი არ ყოფილა. მიზანი ცხადია: იმპერიულ ძალებს სურთ საქართველოს ტერიტორიების მიტაცება დააკანონონ -ამ შემთხვევაში ოსები მილოდ იარაღად არიან გამოყენებულნი, არც ეთნიკური ოსისა და არც ეთნიკური ქართველის ბედი იმპერიას არ აღელვებს.

ქართულ-ოსურ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ეტაპი ქართულ სახელმწიფოში ოსთა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული წარმოქმნის ფორმირება იყო. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა. საბჭოთა პერიოდში ქართულ-ოსური ურთიერთობები თანდათან დარეგულირდა, გასაყოფი აღარაფერი ჰქონდათ, მაგრამ ეს ჰარმონია დაირღვა რუსული პოლიტიკის გამო, რომელიც თავდაპირველად ჩუმად, შეფარვით ხდებოდა ამ ორ ეთნსს შორის, შემდგომ კი–აშკარა დაპირისპირების ხასიათი მიიღო. 1990-იან წლებში დაიწყო შეტაკებები სხვადასხვა მიზეზის გამო როგორიც იყო მაგალითად ოსების სურვილი გამოეცათ რეზოლუცია ოსური ენის რეგიონის ოფიციალურ ენად გამოცხადების თაობაზე, ხოლო რამდენიმე თვეში სამხრეთ ოსეთის დეპუტატთა საბჭომ გამოაცხადა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა. 1991 წლის იანვარში კონფლიქტის შეიარაღებული ფაზა დაიწყო, სამხრეთ ოსეთში შეყვანილი იქნა ქართული ჯარი. ამ წლებში მრავალი ადამიანის სისხლი დაიღვარა; დაიღუპა ქართველიც და ოსიც. ფაქტი ერთია კონფლიქტის შედეგად ქართული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ცხინვალის რეგიონი დატოვა (ქართველები საკუთარ სამშობლოში დევნილებად იქცნენ), ოსების ნაწილმა კი – საქართველო.

ისტორიკოსთა შორის ეჭვს არ იწვევს, რომ ოსები ირანულენოვანი ალანების უშუალო შთამომავლები არიან, თუმცა ოსთა საბოლოო ფორმირება მოხდა ადგილობრივ კავკასიელებთა შერევის შედეგად. ოსთა წინაპარი ალანების შესახებ მონაცემები, რაც კი მსოფლიოს სხვადასხვაენოვან საისტორიო წყაროებში არსებობს, თავმოყრილია კატალონიელი ავტორის–აუგუსტი ელემანის წიგნში. მასში კარგადაა ნაჩვენები, რომ ალანები IV საუკუნის 70-იან წლებში ჰუნებმა გაანადგურეს, გადარჩენილთა ნაწილი ჰუნებს გაჰყვა დასავლეთში, ნაწილმა კი ჩრდილოეთ კავკასიის ველებში ჩამოინავლა, სადაც ბინადარ

ცხოვრებაზე გადავიდა, შექმნა სახელმწიფო და სწორედ ამ დროიდან ალანებთან ქართულ სახელმწიფოს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა. ეს ურთიერთობა კეთილმეზობლური იყო, ხდებოდა დინასტიური ქორწინებები და, რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურები ალან-ოსებს ხშირად ქირაობდნენ, როდესაც ქვეყნის გარეშე მტერთა თავდასხმას იგერიებდნენ.

დღეისათვის არარსებობს არცერთი საბუთი რომელშიც ნასესხები იქნებოდა რაიმე ფუნქციის მატარებელი ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მით უმეტეს არ არსებობს ორი ოსეთის ერთიანობის დამადასტურებელი საბუთი. საერთოდ არ არსებობდა ისეთი ცნებები, როგორიცაა: „ჩრდილოეთ ოსეთი" და „სამხრეთ ოსეთი". XVIII საუკუნის ბოლოსათვის და შემდეგაც ორი ოსეთის, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულის არსებობა და, მით უმეტეს, ერთიანი ოსეთის და თანაც სახელმწიფოს არსებობა, სრული სურიალიზმია. თუ ოსეთის სახელმწიფო არსებობდა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილით, ასტრახანის გუბერნატორს 1774 წელს რატომ მაინდამაინც ოსთა „ჩენილები" (ხალხის არჩეულები) და არა სახელმწიფოს მეთაური ან მისი ელჩი არ ეწვია?

გარდა ამისა, დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები ქართ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას. მაგალითად ისინი რუსეთის წინააღმდეგ 1830-იან წლებში აჯანყდნენ.

XVIII საუკუნეში, როდესაც საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებიქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს ჩამოთვლიდნენ, არასოდეს „ოსეთს" არ ახსენებდნენ. ვერც ახსენებდნენ, რადგან ასეთი ერთეული ბუნებაში არ არსებობდა. მხოლოდ მოიხსენიებდნენ ტერმინით - „ჩვენი ოსები". XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიას კავკასიის არაერთი რუკა აქვს შედგენილი და ვერც ერთ მათგანზე „სამხრეთ ოსეთს" ვერ ამოიკითხავთ. მათზე მხოლდ ჩრდილოეთ კავკასიაში ოსეთია დათანილი ყოველგვარი განსაზღვრების - „ ჩრდილოეთის" გარეშე.

გარდა ამისა, არც ერთ ქართულ და რუსულ წყაროში არ არსებობს იმის დასამტკიცებელი ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოში არ შედიოდა, პირიქით საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთს" ქართლი აწერია.

XVII-XVIII საუკუნეებში მოსული ოსები ქართული სახელმწიფოს სრულუფლებიანი ხდებოდნენ, იცოდნენ ქართული ენა. მიუხედავად იმისა, რომ მეჯუდასხეობის ოსური სოფლების სკოლებში სწავლება მხოლოდ ოსურ და რუსულ ენაზე იყო, თითოეულმა მათგანმა კარგად იცოდა ქართულად ლაპარაკიც და წერა-კითხვაც, რადგან, როგორც თვითონ ხსნიდნენ, სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ძირითადად ქართველებთან ჰქონდათ. მაგრამ არაერთი სამწუხარო ფაქტის მომსწრე გახდებით თუ კარგად გამოიკვლევთ თითოეულ ოჯახს, მაგალითად გენგიურების ოჯახის მოტანა შეიძლება. გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახის ახალგაზრდა თაობამ რუსული სკოლა დაამთავრა, საქართველოსადმი დამოკიდებულება მეტად სამწუხაროა.

XIX საუკუნიდან საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ ოსთა ენობრივი ვითარება საქართველოში ერთგვარ ცვლილებებს იწყებს. რუსეთის იმპერია, გარდა იმისა, რომ ეთნოსებს შორის მტრობას სთესავდა, ოსურ მოსახლეობას აიძულებდა მეორე ენა რუსული ყოფილიყო, საბოლოოდ ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახერხა ოსების ქართველებისაგან გაუცხოება. რუსულ ენაზე ტოტალური სწავლების პირობებში ოსური ეთნოსის წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ ფლობდა ქართულ ენას. ამასთან არსებობდა მეორე უკიდურესობა – განათლებული ადამიანები ფლობდნენ ქართულ ენას, კითხულობდნენ ქართულენაზე, მაგრამ შეგნებულად არ საუბრობდნენ.

თუკი 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ საყოველთაო სახალხო რეფერენდუმში საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენას ცხინვალის რაიონში ხმა მისცა 99%-მა ამომრჩეველმა, ე.ი. არც დღეს იქნება უმრავლესობა წინააღმდეგი. ორივე მხარემ კარგად იცის ამ ორი ეთნოსის მშვიდობიანი თანაცხოვრების მნიშვნელობა,ჩემ აზრს ნამდვილად ეხმიანება ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი, რომელიც წერს: „პირველ ყოვლისა საჭიროა, დამთავრდეს საუბრები საქართველოსაგან სამხრეთ ოსეთის ჩამოგლეჯაზე, ვინაიდან ეს აღნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. ვისაც სურს მშვიდობა სამხრეთ ოსებსა და ქართველებს შორის, სამუდამოდ უნდა უკუაგდოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება.

ე.წ. კონფლიქტის მოგვარების პრობლემა პირველ რიგში სამშვიდობო პროცესს უნდა დაუკავშირდეს. აგვისტოს ომის შემდეგ კი ურთიერთობა

უფრო დაიძაბა და ამ ორი ეთნოსის ურთიერთობის აღდგენა საკმაოდ რთული გახდა. მაგრამ აუცილებელია გზების ძიება კონფლიქტის მოგვარებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ქართველები და ოსები ოდითგანვე ერთად ცხოვრობდნენ, ერთმანეთთან ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ. ამ კონფლიქტის მოგვარებისთვის, პირველ რიგში, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შთააგონოს საკუთარ თავს პერსპექტივის ძიება მეგობრობის განახლებისათვის, დაივიწყოს საშინელი წარსული და მზად დახვდეს მომავალს; მომავალს, რომელიც ხალხმა უნდა შექმნას, სადაც ეს ორი ეთნოსი მშვიდობიან თანაცხოვრებას შეძლებს. შემდეგ ეთაპზე აუცილებელ პირობას განათლების სისტემის, მედიის და სახალხო დიპლომატიის გამოყენება წარმოადგენს.

საგანმანათლებლო სისტემებს და სასწავლო სახელმძღვანელოებს შეუძლია დიდი როლი შასრულოს ქართველებსა და ოსებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ასევე, მედიან მნიშვნელოვანია ნეგატიური სტერეოტიპის მსხვრევაში. როგორც ამბობენ, „მედია როგორც წარმოაჩენს კონკრეტულ ჯგუფს, ისე აღიქვამს მას მაყურებელი და მკითხველი". შესაბამისად, მედიას აქვს შესაძლებლობა ხელი შეუწყოს ურთიერთობების ჩამოყალიბებს. მედიამ უნდა აჩვენოს ალტერნატიული ხედვები და ხაზი გაუსვას შერიგების ფაქტებზე, ადამიანებზე და ორგანოებზე, რომლებიც მშვიდობის პროცესის მშენებლობას ხელს შეუწყობს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესის წარმართვისა და ნეგატიური სტერეოტიპის გადალახვის თვალსაზრისით უშუალო ურთიერთობის დამყარება კონფლიქტის მხარეების წარმომადგენლებს შორის სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობით.

სახალხო დიპლომატიაში დიდი როლი შუამავალს ეკისრება. მან უნდა გამონახოს გზები კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. ეს სამუშაო მიზნად ისახავს უბრალო მოქალაქეებს შორის ურთიერთობების აღდგენას, დიპლომატიის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მშვიდობის მშენებლობა ხდებოდეს არამარტო ქვემოდან, არამედ ზემოდანაც.

ამგვარად, საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, მედიას და სახალხო დიპლომატიას მეტი შესაძლებლობა აქვს ურთიერთობის მოგვარებისა, ვიდრე მრავალწლიან ოფიციალურ მოლაპარაკებებსა და შეხვედრებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯალაბაძე ნ.-კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, „ქართულ-ოსური ურთიერთობების ეთნოფსიქოლოგიური ასპექტები", თბ., 2010
2. თორია მ.-კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, „ქართულ-ოსური თანაცხოვრების პერსპექტივები ალტერნატიული სამშვიდობო ინიციატივების კონტექსტში". თბ., 2010
3. თოფჩიშვილი რ. - „ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი". თბ., 2008

თათია ჩაფიჩაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

ოჯახური კონფლიქტები, ძალადობა და გენდერი 21-ე საუკუნის საქართველოში

ხელმძღვანელი: პროფესორი მაკა დოლიძე

სოციოლოგიური სინამდვილის შესწავლისათვის განსაკუთრებული ღირებულებისაა ამ სინამდვილის შემადგენელი ელემენტების შემეცნება. საზოგადოება თუ მაკროორგანიზმია, მისი ფუნქციების და ელემენტების დასადგენად განმსაზღვრელია მცირე სოციალურ ჯგუფთა შესწავლა. ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა, ოჯახი კი სწორედ მცირე ჯგუფთა ისეთი ფორმაა, რომელიც ყველა სხვა სახის ჯგუფებზე უფრო კომპაქტურია. იგი ეკუთვნის სოციალურ ჯგუფთა რიგს და განსაზღვრავენ როგორც "თანმიმდევრულ კოორდინირებულ მოღვაწეობაში ჩართულ ადამიანთა ყოველგვარ ერთობას, ცნობიერად თუ არაცნობიერად დაქვემდებარებულის საერთო მიზანს, რომლის მიღწევა მონაწილეებს მოუტანს კმაყოფილებას. "სოციალური ჯგუფი "ერთობრივად მოქმედ ადამიანთა მთლიანობაა" – ეს ნიშნავს, რომ "ჯგუფები განისაზღვრება როგორც ადამიანებისაგან შემდგარი აგრეგატები, რომლებიც თანამშრომლობენ რაიმე საქმეში და მასში გაერთიანდება როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული აგრეგატები, როგორც სტაბილური, ისე დროებითი გაერთიანებები." ოჯახი სწორედ ცნობიერად ორგანიზებული სტაბილური სოციალური ჯგუფია და მისი სახე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყველა სხვა სოციალურ ინსტიტუტს საზოგადოების ჩათვლით. ერთობლივი ქმედებებისთვის აუცილებელი ორი ძირითადი პირობიდან – შრომის გადანაწილება და მოქნილი ორგანიზაცია – ოჯახს ორივე მოჭარბებულად ახასიათებს.

ოჯახი, როგორც ერთ-ერთი სოციალური წარმონაქმნი, რომელსაც თავისი დანიშნულება და შესაბამისად ღირებულებაც აქვს, მოწოდებულია, უზრუნველყოს ადამიანთა შორის ინტიმური კავშირის სოციალიზებული ფორმა. ადამიანთა შორის ოჯახის შექმნის საფუძველი შეიძლება იყოს საკუთრებითი ინტერესები, მარტოობისაგან თავის დაღწევის სურვილიც, მოდგმის გაჩენისადმი ლტოლვაც,

საზოგადოებისა და სოციალური ერთობების წინაშე მოვალეობის გრძნობაც. ოჯახის შექმნა დაკავშირებულია საერთო ინტერესებთან და ღირებულებებთან, სადაც ისინი არ არსებობენ, ან ძალას კარგავენ, ოჯახებიც ინგრევა. ემოციურ მოთხოვნათა კანონიერი დაკმაყოფილების უზრუნველყოფა ოჯახის ერთ-ერთი ფუნქციაა.

სამწუხაროა მაგრამ ფაქტია, ოჯახში ხშირია კონფლიქტები და დანაშაულის ფაქტები. ოჯახი პიროვნებასთან დაკავშირებულია არა მხოლოდ რომელიმე შეზღუდული ასპექტით, არამედ ის მოიცავს მთლიანად მისი ცხოვრების ყველა სფეროს. უთანხმოება, რომელიც შეიძლება მუსიკის სხვადასხვა მიმართულების გამო კოლეგებს შორის მოხდეს, სხვაგვარ ემოციურ დატვირთვას იწვევს ოჯახში. ცოლ–ქმრული ცხოვრების თანმხლები კონფლიქტები ხშირ შემთხვევაში პარტნიორების გამო ხდება. პარადოქსია, რომ ქალებზე ძალადობას სწორედ ის მამაკაცები ჩადიან, რომლებიც როგორც წესი, მათი სიყვარულის წყარო, ემოციური და ფინანსური მხარდამჭერნი არიან.

ოჯახში ძალადობის ფორმებია: ფიზიკური ძალადობა (ცემა), სექსუალური ძალადობა, მუქარა, ემოციური ძალადობა (სისტემატური ყვირილი, გინება), საზოგადოებისგან იზოლაცია, რაიმე ქმედების აკრძალვა მუქარით, დაშინება და ა.შ.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი შეიძლება იყვნენ ქალები, ბავშვები, ინვალიდები, მოხუცები და იშვიათად მამაკაცები. საქართველოში ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქმრის ძალადობა ცოლზე და მშობლებისა –შვილებზე.

ქართულ სინამდვილეში, ქალის ან ბავშვის სასტიკად ცემა ქუჩაში საზოგადოების მხრიდან აღშფოთებასა და რისხვას იმსახურებს, მაგრამ თუ იგივე ხდება ოჯახში ეს, ჯერ ერთი გარეშეთა თვალისაგან დაფარულია, მეორეც საზოგადოება ამას უყურებს, როგორც მის შინაურ საქმეს. ოჯახი ხელშეუხებელია და მის საქმეებში ჩარევა ცუდ ტონად ითვლება. ცოლები თითქმის არ ჩივიან სასამართლოში, მით უმეტეს ბავშვები. ფიზიკური ძალადობა უფრო თვალნათლივ ჩანს ემოციური და მორალური ძალადობა კი ნაკლებ შესამჩნევია.

1.ქალს, რომელსაც ორი შვილი ჰყავს, ცემს ქმარი (ნასვამ მდგომარეობაში ეჭვიანობის ნიადაგზე) ცოლი ძალიან განიცდის, რომ ამის მოწმე მშირად პატარებიც არიან. ქმარს ვერ ვცილდები, - ამბობს იგი, რა ვუყო ბავშვებს უმამოდ ხომ ვერ დავტოვებ, ანდა როგორ ვარჩინო, რა ვაჭამო!

2.მშობლები სასტიკად ცემს შვილს, (მიზეზი მრავალნაირია– ცუდი მოსწრება, ქცევა და ა.შ.) ეს მას აღზრდის კარგ მეთოდად მიაჩნია: მეორედ ვეღარ გაბედავს ასეთ საქციელს – თავდაჯერებით ამტკიცებს. ბავშვი ყველა ცემის შემდეგ, ჯერ ერთი სასტიკად შეურაცხყოფილია, მეორეც ცემამ შეიძლება მოზარდო ორგანოების სერიოზული დაზიანება გამოიწვიოს. ბევრმა მშობელმა ალბათ არც კი იცის, რომ ბავშვის სასტიკად ცემა კრიმინალია და ისჯება კანონით.

ზემოთ მოყვანილი ორივე მაგალითი უარყოფითი გარემოა ბავშვის ჰარმონიული განვითარებისთვის. კონფლიქტური ატმოსფერო ოჯახში – იქნება ეს დედის ცემა და გინება, თუ თვითონ მოზარდის ცემა, მისადმი გამოვლენილი სისასტიკე – თანაბრად ზიანის მომტანია. მეუღლეებს შორის ფსიქოლოგიურ აგრესიას თან ახლავს ისეთი შეურაცხყოფა, როგორიცაა: მუდმივი კრიტიკა; რა მსუქანი, შეუხედავი და ზარმაცია მეუღლე, ანდა როგორი უუნარო და უსაქმურია იგი. სისტემურ ფსიქიურ ზეწოლას ამ მიმართულებით კი თავისი დიდი დამაჯერებელი გავლენა აქვს. ეს მძიმე ფსიქიური ჭრილობაა პიროვნებისთვის, ხანდახან შეუხორცებელიც და არანაკლებ მტკივნეული, ვიდრე სილის გარტყმა, ან სხვა ფიზიკური შეურაცხყოფა. ამგვარმა ქმედებამ შეიძლება შეურაცხყოფილ ადამიანში პირადი ღირსების დაკარგვაც გამოიწვიოს.

მითი იმის შესახებ, რომ ქალები თვითონ იმსახურებენ ცემას ქმრისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, თავისთავად შემზარავია. ცოლი ადამიანია, ის არ არის ნივთი, ან კუთვნილება. ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ოჯახში ძალადობა დიდი სოციალური პრობლემაა, მისი ფესვები გენდერულ სტერეოტიპებშია გადგმული.

მითი ასევე იმის შესახებ, რომ ქალების უმეტესობა მაზოხისტია, ან მას დიდ სიამოვნებას ჰგვრის ქმრის მიერ ცემა და ამას აღიქვამს სიყვარულის გამოხატულებად, ასევე შემზარავია.

რას ნიშნავს ძალადობა? ეს არის არა მარტო ფიზიკური ძალმომრეობა, არამედ პიროვნების შეურაცხყოფა და მისი აბუჩად აგდება. ეს ძალადობა შედგება სამი კომპონენტისაგან: მსხვერპლი, დამანშავე და თვით ქმედება. თავისი ხასიათისა და შედეგების გათვალისწინებით იგი ხშირად მოიაზრება როგორც კრიმინალი. მაგრამ ოჯახში ძალადობა სხვა სახის ძალადობისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ოჯახის ფარგლებს საერთოდ არ სცილდება. სამართალდამცავი ორგანოებისათვის ამგვარი ძარადობის მხოლოდ 10%-ია ცნობილი. ძალზე სახიფათოა ის გარემოებაც, რომ ნათესავები ხშირად მალავენ ფაქტებს, რაც მოძალადეს ახალი დანაშაულებისკენ უბიძგებს.

არსებობს ძალადობის კიდევ ერთი განსაკუთრებული ფორმა –მენტალური ძალადობა. ამას ხშირ შემთხვევაში საქართველოს პირობებში ჩადიან მშობლები შვილების მიმართ. ხდება ბავშვის პიროვნულობის დათრგუნვა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი მათი შვილია და მშობლების აზრი უნდა გაითავისოს. მშობლები არ აღიარებენ ადამიანის უფლებებს შვილების მიმართ. მაგალითად, შვილი დაქორწინდა და ცალკე ცხოვრება სურს. როგორ აღიქვამენ ამას მშობლები? აქ თამაშდება მთელი ტრაგედია: უნდა დაიშალოს ბინა, (რომელიც წვალებით ააშენეს მშობლებმა), იწყება გაუთავებელი საყვედურები: მშობლებს მეუღლე არჩია და ამგვარად უხდის სამაგიეროს იმ ამაგისთვის, მთელი ცხოვრება მის აღზრდას რომ შეალიეს. ასე გრძელდება უსასრულოდ. არსებობს ერთი უბრალო ჭეშმარიტება: როცა ადამიანი სრულწლოვანი ხდება და დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია მას აქვს უფლება იცხოვროს ისე, როგორც თავად თვლის საჭიროდ. მშობლების სურვილის გაუთვალისწინებლობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი უარს ამბობს შვილის წმინდათაწმინდა მოვალეობაზე იზრუნვოს მათზე, ამისთვის თანაცხოვრება სულაც არ არის აუცილებელი.

საქართველოში, უფრო მეტად პერიფერიებში, ჯერ კიდევ არსებობს ქალის მოტაცების ტრადიცია, რაც თავისთავად კრიმინალია და ისჯება კანონით. მაგრამ ამ შემთხვევაში საზოგადოების აზრი ამბობს თავის სიტყვას: –ბევრს მიაჩნია "მოტაცებული" ქალის ოჯახში მობრუნება მასაც და ოჯახსაც "ჩრდილს" აყენებს, ადგილი აქვს ქალზე მორალურ ზეწოლას, რომ არ დაბრუნდეს შინ და ბედს დაემორჩილოს. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა ახალგაზრდა ქალს ქმრისაგან გაყრა სურს.

ინვალიდები ის სოციალური ფენაა, რომელიც ყველაზე დაუცველია ძალადობისგან მორალურადაც და ფიზიკურადაც. ხშირად იმ მოტივით, რომ დაიცვას პირმშო თანატოლთა და თვით მოზრდილთა დაცინვისაგან დედა ინვალიდ შვილს არ უშვებს სკოლაში, საზოგადოებაში, ამით ის მორალურადაც და ემოციურადაც ძალადობს შვილზე. ძალადობის ნებისმიერ ფორმას პიროვნებისთვის გამანადგურებელი შედეგები მოაქვს.

ძალადობის ფსიქოლოგიური ეფექტებია – დეპრესია, დაკარგული ღირსება, უბედურება, შიში, შფოთი, ნევროზულობა.

პრობლემები – უმიზეზო სიბრაზე და აგრესულობა, სრული გულგრილობა ყველაფრისადმი, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია.

უარყოფითი გავლენა ცხოვრების შემდეგ სფეროებზე: – სექსუალურ ცხოვრებაზე, ბავშვების აღრდაზე და ადამიანების დამოკიდებულებაზე.

ადამიანის უფლებები მხოლოდ კანონების კრებული არ არის, ეს ფასეულობათა სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის ღირსებას, მის ერთადერთობას და უნიკალურობის აღიარებას. ადამიანის უფლებების დაცვა მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველია. ქალის უფლება ადამიანის უფლების განუყრელი ნაწილია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქალიც ადამიანია. მას აქვს

უფლება გადაწყვიტოს ვისთან იცხოვროს და როგორ წარმართოს ოჯახური ცხოვრება, გათხოვდეს თუ არა, ვის გაჰყვეს ცოლად, გააჩინოს თუ არა შვილი კანონიერი ქორწინების გარეშე, რამდენი შვილი გააჩინოს, გაცილდეს თუ არა ქმარს და რა ვითარებაში, ფლობდეს თუ არა საკუთრებას და განკარგოს იგი თავისი სურვილის შესაბამისად.

ქალის, როგორც ადამიანის უფლებებია – უფლება სიცოცხლეზე, თანასწორობაზე, პირად თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე, უფლება კანონის მხრიდან თანასწორ დაცვაზე, უფლება ყველა სახის დისკრიმინაციისაგან დაცვაზე, უფლება თანასწორობაზე შრომით ურთიერთობებში, უფლება იცხოვროს მის მიმართ სასტიკი და დამამცირებელი მოქმედების დასჯისა და შეურაცხყოფის გარეშე.

ადამიანის და მისი უფლების უზენაესობა და წარუვალობა აღიარებულია მთელი ცივილიზებული სამყაროს მიერ. ძალადობა ძალზე მრავალმხრივი ცნებაა და რამდენიმე ასპექტს აერთიანებს – ფსიქოლოგიურს, იურიდიულს, სოციალურს. იურისპრუდენციაში მიღებული მისი ზოგადი განმარტება ასეთია: –ძალადობა მოიცავს უკანონო ქმედებათა ყველა სახეს, გამოხატულს მუქარით ან ქმედებით, რომელსაც შედეგად მოჰყვება ქონების დაზიანება ან განადგურება, ანდა პიროვნების შეურაცხყოფა ან სიკვდილი. ეს დეფინაცია დიდ სოციალურ სისტემაზეა გათვლილი. ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია, არის სახელმწიფო სახელმწიფოში.

ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგების გაანალიზებისას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რელიგიის, კულტურული ტრადიციებისა და ჩვეულებების გათვალისწინებას. ძალადობა ქალზე და საერთოდ ძალადობის ფენომენი ქართულ კურტურაში რამდენადმე დაცულია ტრადიციით. ქართულ ოჯახში ქალი არის დაქვემდებარებული და მისი სოციალური სივრცე დადგენილია ერთხელ და სამუდამოს. ამდენად, საზოგადოება ხშირად უპასუხოდ ტოვებს ძალადობის ფაქტებს, რომლებიც დროთა განმავლობაში სხვადასხვა ფორმით თავად მასვე უბრუნდება.

ყველა მამაკაცი არ არის მოძალადე, მოძალადეები არიან ქალებიც, ამისთვის განსაკუთრებულად ნოყიერი ნიადაგი შექმნა ეკონომიკურმა კრიზისმა. მამაკაცის ტრადიციული ფუნქცია ოჯახის რჩენა საფუძველგამოცლილი აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ფსიქოლოგიური ძალადობის ესკალაციას ქარის მხრიდან. ამ დროსაც ბავშვები ძალადობის დავიწყებული მსხვერპლნი არიან. დამცირებული პიროვნება, იქნება ეს ქალი თუ მამაკაცი, აგრესიული ხდება და ეს აგრესია გადადის ბავშვებზე სხვადასხვა გზით – პირდაპირით თუ არაპირდაპირით. თუ ოჯახში ძალადობა და დამცირება ურთიერთობის ჩვეულებრივი ფორმაა ბავშვებს ფიზიკურად სჯიან, ეს მძიმე შედეგებს იწვევს –შიშს, გაბოროტებას, აგრესიას. პლატონი ამბობდა "ბავშვების მოქალაქედ აღზრდა ძუძუს წოვიდან იწყებაო."

პრობლემა საკმაოდ მძიმე და მტკივნეულია. მისი მხოლოდ ერთი წამალი არსებობს –საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა გააცნობიეროს, რომ ძალადობა ოჯახში არის არა მარტო ოჯახის, არამედ მთელი საზოგადოების პრობლემა.

კონფლიქტების წამოწყების ინიციატორები თანაბრად არიან როგორც ქალები (37, 3%) ასევე მათი მეუღლეები (33, 6%). ქალის მხრიდან კონფლიქტების წამოწყება განპირობებულია ქმრის საქციელით (სიმთვრალე, უსაქმურობა და ა.შ.) და ამდენად პასუხისმგებლობა ჩხუბზე ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს. გამოკითხულთა ნაწილი (10, 6%) კონფლიქტების წამოწყებაში ოჯახის სხვა წევრებს ადანაშაულებს. კერძოდ, ყველაზე ხშირად სახელდებიან უფროსი თაობის წარმომადგენლები და შვილები.

ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტებისა და აგრესიის გამოვლენის მიზეზები პირობითად სამ კატეგორიად შეიძლება დაჯგუფდეს: 1. ცოლთან დაკავშირებული, 2. ქმართან დაკავშირებული და 3. ზოგადი ხასიათის ან მესამე პირებთან დაკავშირებული მიზეზები.

მიზეზები, რომელიც კავშირდება უშუალოდ ქალს ან მის მიმართ განხორციელებელ ქმედებას არის; – ცოლის დამოკიდებულება თავის შეხედულებებზე, სხვებზე გაბრაზების ან გაღიზიანების ცოლმე გადმოტანა, ქარის ურჩობა, ეჭვიანობა ცოლზე, სხვადასხვა სახის აკრძალვები ქმრის მხრიდან, ქმრის უხეში დამოკიდებეულება, ცოლის დამცირება სხვების თვალში, ქალის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და ა.შ.

მიზეზები, რომელიც ქმარს უკავშირდება; – ქმრის ხშირი სმა, ცოლის მხრიდან საყვედურები, ქმრის უსაქმურობა, ქმრის მიერ მეტი ყურადღების დათმობა თავისი სამსახურისადმი თუ პროფესიული წინსვლისადმი ვიდრე ცოლისა და ოჯახისადმი, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, ქმრის ღალატი, ქმრის სრული დამოკიდებულება მშობლების აზრზე თუ ნებაზე და ა.შ.

ზოგადი ხასიათის ან მესამე პირებთან დაკავშირებული მიზეზები; –ფინანსური პრობლემები, მეუღლის მშობლებთან ურთიერთობის პრობლემები, შეუთანხმებლობა შვილების აღზრდა–განათლებაში, სხვების ჩარევა, სხვების მხრიდან წაქეზება და გრძნობების გაქრობა.

როგორც ვხედავთ კონფლიქტის წარმოშობის საკმაოდ ტრადიციული ფაქტორების პარალელურად მეტად გავრცელებულ მიზეზთა კომპლექსს ქმნის უშუალოდ ქალის ჩაგვრის გამომხატველი ქმედებები, რომელსაც მიეკუთვნება თითქმის მთლიანად პირველ ჯგუფში გაერთიანებული მიზეზები. აქვე გასათვალისწინებელია ისეთი მოვლენის გავრცელების მაღალი ხარისხი, როგორიცაა ქმრის ხშირი სმა, სიმთვლარისა ან ნარკოტიკების მოხმარებისა და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამო კონფლიქტების აღმოცენება და აგრესიის გამოვლენა. როგორც აღმოჩნდა არცთუ იშვიათად ამგვარი კონფლიქტების უმნიშვნელო ან ყოველგავრი საბაბის გარეშეც ჩნდება.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გამოტანაც: მატერიალური ხასიათის და მესამე პირებთან დაკავშირებული სირთულეების ზეწოლის ქვეშ მყოფ ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობები ხშირად მწვავდება სხვადასხვა სახის ე.წ. შიდა ზეწოლის გამო, რომელთა შორის დიდი ადგილი უჭირავს უშუალოდ ქალის ჩაგვრის გამომხატველ ქმედებებს.

უშუალოდ ქალთან დაკავშირებული კონფლიქტების ყველაზე გავრცელებული მიზეზები, პირობითად ორ კატეგორიად იყოფა: ერთ-ერთის შემადგენელი ბირთვის ქალის დამოკიდებულება ან მცდელობა დაიცვას საკუთარი ინტერესები; მეორესი კი – ქმრის მცდელობა განახორციელოს კონტროლი. საბოლოო ჯამში, ორივე ჯგუფის მიზეზები უკავშირდება ქალის ბრძოლას თავისუფლებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ქალთან დაკავშირებული მიზეზების მიმართ გამოვლინდა რეგიონალური განსხვავებები – ყველაზე დიდი დატვირთვა (როგორც გავრცელებულობის, ასევე ინტენსივობის ასპექტით) ამ მიზეზებზე მოდის თბილისში და ყველაზე ნაკლები რეგიონებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. შესაძლებელია ეს სხვაობა განპირობებული იყოს რეგიონების ქალთა შეხედულებების მეტი კონსერვატიულობით და შესაბამისად, დამოკიდებულების მიუღებლობით საკუთარი თავის მიმართებაში. ასევე სავარაუდოა, რომ ქალთან დაკავშირებული მიზეზების ნაკლები წონა რეგიონებში პასუხისმგებლობის აცილების მცდელობაა. არც ეს ვარაუდია საფუძველს მოკლებული, ვინაიდან იმ რეგიონებში სადაც ყველაფერი მკაფიოდ გამოვლინდა ეს ტენდენცია, პასუხისმგებლობის კონფლიქტების გამოწვევისთვის მეტად აკისრებენ მამაკაცს, განსაკუთრებით სხვა რეგიონებისგან, სადაც საწინააღმდეგო ტენდენცია დაფიქსირდა.

კონფლიქტურ სიტუაციაში ქმრის მიერ უკმაყოფილების გამოვლენის ფორმათა შორის აშკარად ჭარბობს სხვადასხვა სახის სიტყვიერი შეურაცხყოფა –ბუზღუნი და საყვედურები (53,2%) ყვირილი და ლანძღვა (31,9%). გაცილებით იშვიათად

მიუთითებენ ფიზიკური შეხების შემთხვევათა შესახებ (11.1% ცემა, ხელის კვრა, ნივთის სროლა).

თუმცა ვერბალური ძალადობის გამოვლენათა ხარისხი საკმაოდ მაღალია. ამ ფორმის აგრესია გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას (85.2%) განუცდია, აქედან მესამდზე მეტს მისი უკიდურესი გამოვლინებები – მუქარა, ყვირილი და ლანძღვა. უკმაყოფილობის გამოხატვის პრიორიტეტულ ფორმებს მიელუთვნება ასევე "სახლიდან წასვლა და დათრობა" საკმაოდ ხშირია აგრეთვე ირიბი აგრესიის შემთხვევები, როდესაც ჯავრს იყრი ნივთებზე ან ოჯახის სხვა წევრებზე.

აღსანიშნავია, რომ თავად ქალებიც ანალოგიურ სიტუაციაში უკმაყოფილების გამოვლენის იმავე პრიორიტეტულ ფორმებს ირჩევენ, რასაც მათი მეუღლეები, იმ განსხვავებით, რომ ყველაზე გავრცელებული ვერბალური აგრესიის გამომხატველი ქმედებები მათთან ნაკლები ხასირსით ვლინდება.

კვლევის თანახმად ყოველი მეშვიდე ქალის მიმართ მისი ფეხმძიმობის პერიოდში ქმრის მხრიდან განხორციელებულა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამ ქალთა გარკვეულ ნაწილს, ძალადობა არაერთხელ განუცდია. ასეთ შეურაცხყოფას იმ ქალების ნაწილისთვის, ვისაც ამგვარი რამ გადახდა თავს, მეტად მძიმე შედეგები მოჰყვა – მუცლის მოშლა (3.8%) იძულებითი აბორტი (0.7%) ფსიქიკური ტრამვა (12.3%) გაყრა (2.6%).

მამაკაცის მიერ უკმაყოფილების იმავე პრიორიტეტული სახეების დაფიქსირების ფონზე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გამოვლინდა გარკვეული განსხვავებულობებიც. კერძოდ თუ ახალგაზრდების და საშუალო ასაკის წარმომადგენლებთან მეტად არის აქცენტირებული უკმაყოფილების გამოხატვის ვერბალური ფორმები, (ბუზღუნი, საყვედურები) უფროს ასაკობრივ ჯგუფებში შედარებით მეტი ხარისხით არის წარმოდგენილი ფიზიკური და ვერბალური აგრესიის გამოვლენის შემდეგი სახეები: ცემა, ცემით დამუქრება, ხმის ამოუღებლად სადმე განცალკევება, საგნებისა და ნივთების მტვრევა. რაც შეეხებათ თავად ქალების მიერ საკუთარი უკმაყოფილების გამოხატვის ფორმებს და გავრცელების ხარისხს, ამ თვალსაზრისით სამივე ჯგუფში დაფისირებული ქმედითი მოდელები სრულად ერთგვაროვანია აღმოჩნდა თავისი გამოვლენის სიხშირის მხრივ.

ღიად გამოვლენილი ვერბალური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები საკმაოდ შთამბეჭდავია, როგორც თავისი გავრცელების მასშტაბებით ასევე ფორმითა ნაირგვარობის მხრივ. ქალზე უშუალოდ მიმართული აგრესიული ქმედებებისა და სიტყვიერი ძალადობის პარალელურად არცთუ მცირე ადგილი უჭირავს ჩაგვრისა თუ მძიმე ემოციური დისკომფორტის შემქნელი ზეწოლის სხვადასხვა ფორმებს. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი უკიდურესად მძიმე ძალადობის შემთხვევაშიც კი, ქალთა ძირითადი სტრატეგია მდგომარეობის მოთმენასა და მომხდრის რეაგირების გარეშე დატოვებაშია.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ უკმაყოფილების გამოვლენის ძირითად სტრატეგიასთან ვერბალურ აგრესიასთან – ერთად ქალთა არცთუ მცირე ნაწილი (15.18%) ავლენს მსხვერპლისთვის ჩვეულ ქმედებებსაც (პასიური დალოდება ვიდრე სიტუაცია თავისით არ მოგვარდება, მომხდარის არშემჩნევა, ტირილი, სიბრალულის გამოწვევა მოძალადეში და ა.შ.)

მამაკაცის მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვა გარკვეული რეგიონალური თავისებურებებით ხასიათდება, რაც ძალადობის ამა თუ იმ ფორმის რომელიმე რეგიონში მეტი ხასიათით გავრცელებაში გამოიხატება.

ამასთანავე ყურადღებას იქცევს შემდეგი რეგიონალური თავისებურებები: დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები დარტყმის ქვეშ მოაქციონ მამაკაცები და ამ მცდელობაში ივიწყებენ საკუთარი თავის შელამაზების საჭიროებას. აღმოსავლეთის რესპონდენტებთან საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება, ისინი თბილისელებთან შედარებითაც კი უფრო უსვამენ ხაზს ფიზიკურ ძალადობასა და მძიმე სიტყვაციის გამოყენებას მათ მიმართ. ისინი

ცდილობენ გამოკვეთონ ის მძიმე ვითარება, რაც ვლინდება მათ მიმართ მამაკაცების მხრიდან.

ქალების მიერ უკმაყოფილების გამოხატვა არ ხასიათდება რაიმე ასსაკობრივი სპეციფიკით და ძირითადა ვერბალური აგრესიის სახეების ან პასიური სტრატეგიების მცდარი არსენალის გამოყენებით ხდება. პასიური სტრატეგიისთვის ნაწილი ტიპიურია ძალადობის მსხვერპლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ უფროსი თაობის რესპონდენტები სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით ნაკლებად მიუთითებენ მათ მიმართ მამაკაცის მხრიდან ვერბალური აგრესიის გამოყენების შესახებ, ისინი სხვებზე მეტად თუ არა არც ნაკლებად ხდებიან მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფის ობიექტები.

ძალადობა ოჯახში დამანგრეველ და ყოვლისმომცველ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. როგორც კვლევამ ცხადყო, ოჯახური ძალადობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში არსებობს და სცილდება კლასის, შემოსავლის, განათლებისა და კულტურის საზღვრებს. რადგან ოჯახურ ძალადობას ძირითადი ადგილი აქვს ოჯახურ სივრცეში, ამიტომ ხშირად ამის შესახებ შეტყობინება არ კეთდება. მსხვერპლისთვის, ოჯახისა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი სათანადოდ შეფასებული არ არის. საზოგადოებები ამ ეპიდემიასთან სათანადოდ გამკლავებას ვერ ახერხებენ, რადგან მეზობლები, სამართალდამცავები და ხელისუფლება თავს იკავებს ჩაერთოს იმაში, რაც მათი განმარტებით პირადი საქმეა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მრავალჯერ დაგმო ოჯახური ძალადობა, როგორც ადამიანის უფლებების ხელყოფა და მოუწოდა მთავრობებს ამ პრობლემის მოგვარებისკენ საკანონმდებლო რეფორმების, სოციალური მომსახურებისა და საზოგადოებრივი განათლების საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ოჯახური ძალადობის პრობლემების გადაჭრის საქმეში. 2006 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულები, უნარშეზღუდულები და ზრდასრული მამაკაცები ოჯახში შეიძლება შედიოდნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა კატეგორიაში, ამ შეფასების მიზნებისთვის ოჯახური ძალადობა განისაზღვრება როგორც ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა, რომელიც ხდება ოჯახში და მიმართულია ქალებისა და ბავშვებისკენ. ეს მოიცავს სასტიკ მოპყრობას, გაუპატიურებას ქორწინებში ყოფნის დროს, დაშინებას, შეურაცხყოფას, იზოლაციას და სხვა ტრადიციულ პრაქტიკას, რომელიც ზიანს აყენებს ქალებსა და ბავშვებს. ეს შეფასება ცალ-ცალკე განიხილავს ოჯახურ ძალადობას ქალის წინააღმდეგ და ბავშვთა მიმართ ძალადობას ოჯახში.

ბავშვის ძალადობისა და უგულებელყოფის პრობლემა საქართველოში ნაკლებად შესწავლილ საკითხს წარმოადგენს. არსებობს ძალიან მწირი ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ფიზიკურ ძალადობას გავრცელების შესახებ და კიდევ უფრო ნაკლებები ინფორმაცია მოიპოვება ბავშვთა მიმართ სექსულაურ ძალადობასთან დაკავშირებით.

გენდერული თანასწორობა რომელიც წარმოაჩენს ქალისა და კაცის მოღვაწეობას თანაბარი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს საზოგადოების ყველა სფეროში, დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006წელს, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს ქალისა და კაცის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფასა და ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

გენდერული სტატისტიკა – ეს არის სტატისტიკა ქალისა და კაცის მდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში. ის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს ინსტრუმენტს რომელიც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ქალისა და კაცის, როგორც სპეციფიკური

სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის თავისებურებანი თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების პრინციპების ოპტიმალური პოლიტიკის შემუშავებაში.

გენდერული სტატისტიკის მიზანია უზრუნველყოს მიუკერძოებელი მონაცემები შედარებისა და შეფასებების გზით ქალისა და კაცის სტატუსის, გენდერული თანასწორობის რეალური ვითარების შესახებ.

რას გულისხმობს გენდერული საკითხი? რას გულისხმობს თანასწორობის საკითხი? ეს ორი კითხვა უდევს საფუძვლად თანასწორობის პრინციპის გენდერულ საკითხებზე გავრცელებას, მაგრამ მათი გახმოვაება იშვიათად ხდება. ასეთი ვითარება, ააშკარავებს აზროვნებისა და აღქმაზე გენდერის იმგვარ გავლენას, რომელიც სამართლისა და მორალის გაბატონებული თეორია ამ ორივე კითხვით პასუხობს. ეს საკითხები მსგავსებასა და განსხვავებას ეხება. შედეგად კი გვაქვს, სამართლის სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გამომწვევი, გაბატონებული დოქტრინა, რომლის გამოცსქესტა შორის თანასწორობის კანონი სრულიად არაეფექტური აღმოჩნდა ქალებისთვისიმის მისანიჭებლად, რაც ჩვენ გვესაჭიროება და რაზეც სოციალურ სინამდვილეში დაბადებიდანვე არ მიგვიწვდება ხელი – ეს არის შანსი ნაყოფიერი ცხოვრებისა, ასევე თვით გამოხატვის, ინდივიდად ჩამოყალიბების, მინიმალური პატივისცემისა და ღირსების ქონის შესაძლებლობა.

სქესთა თანასწორობის შესახებ პოლიტიკაში, სამართალსა და სოციალურ სინამდვილეში გაბატონებული მიდგომის მიხედვით, თანასწორობა იგივეობაა და არა სამართლებრივი მანდატი, რომელიც ერთდრიულად სისტემური ნორმაცაა და სპეციფიკური სამართლის დოქტრინაც, მსგავსების მიმართულებით მსგავსად და განსხვავებულობის მიმართ – განსხვავებულად მოპყრობას გულისხმობს.

მიეცით ქალებს თანასწორი ძალაუფლება სოციალურ ცხოვრებაში. ჰქონდეს ჩვენს ნათქვამს მნიშვნელობა და შემდეგ ჩავებმებით მორალურობის საკითხებზე გამართულ მსჯელობაში. მანმადე ვიდრე, სქესთა თანასწორობა სქესთა შორის არსებული განსხვავებით შემოიფარგლება მოგწონთ ეს თუ არა, აფასებთ თუ გმობთ, იყენებთ ამას ფემინიზმის თუ მიზოგინიის წყაროდ, ქალები დაიბადებიან, დეგრადირდებიან და გარდაიცვლებიან. კანონმდებლობით მხოლოდ ისეთი თანასწორი დაცვაა მისაღები, რომელიც ადამიანის დაბადების, ცხოვრებისა და სიკვდილის შესაძლებლობებს მისცემს ქვეყანაში სადაც "დაცვა" სალანძღავი სიტყვა არ არის, ხოლო თანასწორობა – განსაკუთრებული პრივილეგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ედუარდ კოდუა: – "სოციოლოგია" მეორე ნაწილი "ოჯახისა და ქორწინების სოციოლოგია."

2.ორგანიზაცია ქალები დემოკრატიისთვის "ძალადობა ოჯახში და ადამიანის უფლებები" ქალი და კაცი საქართველოში "ოჯახური ძალადობა ქალზე" **cwn iccn.** მრავალკომპონენტიანი კვლევა, თბილისი 2006წელი.

3."ოჯახური ძალადობა და ბავშვების მიმართ ძალადობა საქართველოში" თბილისი, საქართველო 2006წელი.

4.ქეთრინ მაქკინონი – გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა "განსხვავება და დომინირება" "სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ"

ქეთევან. ჩიქვილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

ებრაელთა გენოციდი და ფაშისტური გერმანია

ხელმძღვანელი: პროფესორი აკ.გეთიაშვილი

სსრკ-ს ტერიტორიაზე ებრაელთა ჰოლკოსტის თავისებურება გამოწვეული იყო იმით, რომ საბჭოთა კავშირში ებრაელთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ცხოვრობდა. 1941 წლის 22 ივნისს, გერმანელთა მიერ საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმის მომენტისთვის, საბჭოთა ებრაელები წარმოადგენდნენ ყველაზე დიდ თემს ევროპის ტერიტორიაზე (5 მლ). სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ნაცისტების მიერ განადგურებულ ებრაელთა შორის, ყველაზე მეტი საბჭოთა ებრაელი იყო. ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა 3 მლ. ებრაელი.

როგორი რეაგირება ჰქონდა საბჭოთა მთავრობას ამ ფაქტთან?

საბჭოთა მთავრობას ომის პირველივე დღეებიდან გააჩნდა ინფორმაცია ებრაელების, როგორც ერის მიმართ ფაშისტთა მხრიდან განსაკუთრებულ სიძულვილის შესახებ და ამიტომ სურვილის შემთხვევაში შეიიძლებოდა ებრაელთა მსხვერპლის შემცირება, თუკი საბჭოთა მთავრობა მიიღებდა შესაბამის ზომებს, მაგრამ ეს არ გაკეთდა და თუ რატომ, ამის მრავალი ვერსია არსებობს. ოფიციალურ განცხადებაშიც კი, საბჭოთა ხელისუფლებას ინფორმაცია ებრაელთა მსხვერპლის შესახებ მინიმუმამდე დაჰყავდა. უკვე 1941 წლის ზაფხულის თვეებში, მოსკოვში მიდიოდა ცნობები ებრაელთა მასობრივ განადგურებებზე. პირველი ასეთი ცნობა, რომელიც მივიდა სტალინთან, თარიღდებოდა 1941 წლის 25 ივნისით და მისული იყო ბელორუსიის პირველი მდივნის, პანომარენკოსგან. პანომარენკო ამ წლებში ებრაელებს მოიხსენიებს ლაჩრებად, რომლებიც მზად იყვნენ გასაქცევად. აგვისტოში გაგზავნილ წერილში კი იგი გადმოსცემს ფაქტებს, თუ როგორ უსწორდებოდნენ ნაცისტები ებრაელებს ბელორუსიის რესპუბლიკაში. აქედან გამომდინარე, 1941 წლის აგვისტოსთვის, საბჭოთა მთავრობას უკვე ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია ებრაულ მოსახლეობის მასობრივი განადგურების შესახებ. უკვე სწორედ ამ პერიოდში – 1941 წლის 24 აგვისტოს, მთავრობამ ნება დართო ებრაული კულტურის წარმომადგენლებს ჩაეტარებინათ რადიომიტინგი. ინფორმაცია მიტინგის შესახებ განთავსდა ცენტრალურ პრესაში. იგი მოუწოდებდა ყველას, ებრძოლათ ოკუპანტების წინააღმდეგ, ასევე ისინი საუბრობდნენ ნაცისტების გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებდა მთელი ებრაელ ერის განადგურებას.

სწორედ ამ პერიოდში ჩაისახა იდეა ანტიფაშისტური კომიტეტის შექმნისა, რომელიც მთელს საერთაშორისო საზოგადოებას მიაწოდებდა ინფორმაციას, ბოროტმოქმედი ქმედების შესახებ ებრაელთა წინააღმდეგ (შეიქმნა 1942 წ. თებერვალ.)

აღსანიშნავია, რომ სსრკ-ს ებრაელების განადგურების პირველ მასობრივ ეტაპზე, საბჭოთა მთავრობა დიდი სიფრთხილით ლაპარაკობდა ებრაელთა მასობრივ განადგურებაზე. მთავრობა ლაპარაკობდა, რომ თითქოსდა ნაცისტები სხვა ერის წარმომადგენლებსაც ასე ანადგურებდნენ. 1941 წ. 7 ნოემბერს მოსკოვში, სტალინმა პირველად და უკანასკნელად ისაუბრა ამ ფაქტზე – აღნიშნა ებრაელთა უზარმაზარი მსხვერპლი და დაადანაშაულა გერმანელები შუა საუკუნეების ებრაელთა დარბევებში. მთავრობის მიერ არანაირი ზომები არ იქნა მიღებული რათა მთავრობის მიერ დახმარება აღმოეჩინათ გეტოს ებრაელებისათვის არ იყო მიღებული არავითარი ზომები, ებრაელთა ევაკუაციის განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ ომის პირველივე დღეებიდან ბალტიისპირეთის ქვეყნების ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობისაგან იქმნებოდა ანტიებრაული და ანტისაბჭოთა რაზმები, რომლებიც თავიანთი სისატიკით ნაცისტებსაც კი აოცებდნენ. მაგ: ქ. კაუნასში მოქმედებდნენ ე.წ. „პარტიზანები“ ლიტვური აქტივისტური ფრონტიდან ისინი ქალაქებში აწყობდნენ დარბევებს, წამებით კლავდნენ ებრაულ მოსახლეობას, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, სადაც იწერებოდა, რომ ლიტვა უნდა გათავისუფლებულიყო ბოლშევიზმის და ებრაულ მონობისაგან. „პარტიზანები“ უკან არ იხევდნენ სასულიერო პირების წინაც კი. ყველაზე საშინელი საჯარო მკვლელობებიდან გამოირჩევა კაუნასში საჯარო მკვლელობა 1941 წლის 25 ივნისს, როდესაც ებრაელები დახოცეს ლიეტუკის კოოპერატივის გარაჟში.

მთელს ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე ამოქმედდა უმძლავრესი ნაცისტური პროპაგანდისტური მანქანქანა. დიდი ტირაჟებით ვრცელდებოდა ანტისაბჭოთა და განსაკუთრებით ანტისემიტური პრესა. ომის შემდეგ, არქივებში აღმოჩენილი იქნა 400-ზე მეტი გაზეთი, რომელიც გამოდიოდა დაპყრობილ ტერიტორიაზე. ეს გაზეთები ძირითადად იყო რუსულ, უკრაინულ, ბელორუსიულ და ლიტვურ ენებზე და გათვლილი იყო მსხვილი ქალაქების და რეგიონების მოსახლეობაზე. ეს გაზეთები იყო: „ Новое Украинское слово”, „Голос Крыма”,

„ Белорусская газета”. გაზეთები გამოდიოდა კვირაში ორჯერ და ლამაზად იყო გაფორმებული.

აღსანიშნავია, რომ გაზეთის თანამშრომლებს ირჩევდა ვერმახტი და პრესაც მათ მიერ კონტროლდებოდა. პრესის პროპაგანდის მთავარი საკითხი იყო ანტისემიტიზმის საკითხი. გაზეთებში მკვეთრად იყო ხაზგასმული, რომ ებრაელები წარმოადგენენ ბოლშევიზმის მთავარ საყრდენს და ამიტომ საჭირო იყო მათი რაც შეიძლება მალე განადგურება. მაგ: გაზეთში “Украинское слово” , რომ “ებრაელები, რომლებიც ცხოვრობენ კიევში, იხდიდნენ ათასობით რუბლს, რათა შენიღბულიყვნენ სომხებად და ბერძნებად, რუსებად და უკრაინელებად. უკრაინელი პატრიოტები კი ოცნებობდნენ, რომ თავისი მშვენიერი სამშობლო გაეწმინდათ წითელი კომისრებისგან და ებრაელებისგან, ეს პატრიოტები ყოველდღე მიდიოდნენ შევჩენკოს 48-ში, პატარა სახლში, რათა მოეხსენებინათ იმ მტრების შესახებ, რომლებიც იმალებოდნენ სხვისი სახლების ქვეშ”. ამ პუბლიკაციების მთავარი მიზანი იყო მინიმუმამდე დაეყვანათ მოსახლეობის დახმარება ებრაელების მიმართ. 1941 წლის 28-3 - სექტემბერს კიევში მოკლული იქნა 120 ათასი ადამიანი, რაშიც ფაშისტებთან ერთად დიდი როლი ითამაშა ადგილობრივმა მოსახლეობამ. მოკლული იყო უამრავი ბოშა და საბჭოთა ტყვე, მაგრამ უმეტესობა ებრაელი იყო. ბაბი-იარი იქცა ებრაელთა სამსხვერპლოდ, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეს ფაქტი არანაირად არ იქნა აღნიშნული. იუწყებოდნენ, რომ მოკლული იყო საბჭოთა ხალხი. აღსანიშნავია ისიც, რომ დაღუპულთა მემორიალი ბაბი-იართან მხოლოდ 1974 წელს დაიდგა საზოგადოების ზეწოლით.

1942 წლის გაზაფხულზე სსრკ-ს ტერიტორიაზე ამოქმედდა ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამუელ მიპრელსი- ებრაული თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ებრაელი ექიმები, მწერლები, მეცნიერები. ომის განმავლობაში ეაკ-მ გაატარა სამი მიტინგი, დაბეჭდვისთვის მოამზადა მასალები, სადაც აღწერილი იყო ანტისემიტიზმის ფაქტები, მთავარი თემა იყო პოლოკოსტის თემა და ბრძოლა ნაციზმის წინააღმდეგ. ეაკ ომის წლებში ეწვია აშშ-ს დიდ ქალაქებს და მილიონობით დოლარი მოაგროვა საბჭოთა არმიის სასარგებლოდ. ეაკ-მ აგრეთვე დაამყარა კონტაქტები მსოფლიოს წამყვან ებრაულ ორგანიზაციებთან. გამომცემლობაში “დერ-ემ-ეს” უნდ არგამოსულიყო ცნობილი “შავი წიგნი” (გროსმანი) საერთასორისო მსხვილი პროექტის ნაწილი-აშშ-ს და პალესტინის ებრაული ორგანიზაციების მონაწილეობით. 1947 წლის შემოდგომაზე გამოვიდა

ბრძანება წიგნის აკრძალვაზე. ასე რომ, წიგნი არ გამოსულა. 1947 წელს მიპოელსი მოკლეს თანამშრომლებმა. 1948 წელს კი ეაკ დახურულ იქნა.

დღევანდელ დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი ეკლესიის როლი სსრკ-ს ტერიტორიაზე ჰოლკოსტის პერიოდში. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ რიგი სასულიერო პირების სიცოცხლის ფასად მფარველობდნენ ებრაელებს - აძლევდნენ თავშესაფარს და ნათლობის ყალბ საბუთებსაც კი.

აღსანიშნავია, რომ ნაცისტური მთავრობა გერმანიის ტერიტორიებზე არ ქმნიდა გეტოებს. გეტოები იქმნებოდა ძირითადად პოლონეთის და სსრკ-ს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. აქ გერმანელები ებრაელებს დიდ ხანს არ აჩერებდნენ, მათ მალევე ანადგურებდნენ. სსრკ-ს ტერიტორიაზე ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა ორი უდიდესი გეტო მინსკსა და კაუნასში. აქ ორი წლის განმავლობაში ებრაელებს იყენებდნენ სხვადასხვა მძიმე სამუშაოების შესასრულებლად. თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ გეტოებში თავმოყრილნი იყვნენ როგორც საბჭოთა, ასევე რაიხის ებრაელებიც. მიუხედავად ერთი წარმოშობისა, მათ შორის არანაირი ურთიერთობა არ არსებობდა. რაიხის ებრაელები თავს საბჭოთა ებრაელებზე მაღლა აყენებდნენ და მათგან განსხვავებით უარს ამბობდნენ ყოველგვარ ბრძოლაზე.

ომის შემდეგ აქტიურად ვრცელდებოდა ხმები ებრაელების, როგორც ხალხის სიმხდალის შესახებ, რასაც უარყოფს უმარავი ფაქტი. ომის პირველივე დღეებიდან ებრაელები, ისევე როგორც სსრკ-ს ტერიტორიაზე სხვა ხალხები, აქტიურად მონაწილეობდნენ ბრძოლებში. ოკუპირებულ ტერიტორიებზე იქმნებოდა ებრაული პარტიზანული რაზმები, რომლებიც ეწეოდნენ აქტიურ ანტიფაშისტურ მოქმედებებს . საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელთა თაოსნობით მოეწყო უამრავი მასობრივი ამბოხება და რამდენიმე მათგანი გაქცევით დასრულდა. კაუნასის საკონცენტრაციო ბანაკიდან-IX ფორტიდან. 1943 წლის დეკემბერში გაიქცა 64 ტყვე ებრაელი. გაქცევა ორგანიზებული იყო 20 წლის ალექს ფაიტელონის მიერ. მისი მიზანი იყო არა მარტო თავისი თავის, არამედ 63 ნაცისტური სისასტიკის მოწმე ტყვეების გადარჩენა. აღსანიშნავია, რომ ნახევარ მილიონამდე ებრაელი ებრძოდა ფაშიზმს საბჭოთა არმიის რიგებში და მათი უდიდესი ნაწილი შეეწირა ამ ომს. 131 ებრაელი მებრძოლი დაჯილდოვებული იქნა სსრკ-ს გმირის ორდენით. მაჩვენებლების პროცენტული რაოდენობის მიხედვით, ებრაელ ხალხს საბჭოთა ხალხებს შორის მე-5 ადგილი უჭირავს.

ელენე ჯირკველიშვილი ნინო ცეცხლაძე

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და სახალხო დიპლომატია

ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ჩოჩიშვილი

2008 წლის რუსეთ - საქართველოს კონფლიქტმა ქართული საზოგადოება ორ ნაწილად გაყო, ერთნი ამტკიცებენ, რომ რუსეთთან მხოლოდ მოლაპარაკების საშუალებით შეიძლება წართმეულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებული რეგიონების დაბრუნება, ხოლო მეორე ნაწილი, გამორიცხავს რუსეთთან ყოველგვარ ურთიერთობას და სახავს მას მტრის ხატად.

რუსეთ საქართველოს კომფლიქტმა უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყანას, რუსეთმა ფაქტიურად მიიტაცა ჩვენი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაიღუპა და დასახიჩრდა ასობით ადამიანი, პირისაგან მიწისა აღიგავა ისტორიული სოფლები, ათასობით ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ეკოლოგიას . . გაიზარდა უკონტროლო ტერიტორიის ფართობი და ქვეყნის გაერთიანების ვადამაც გაურკვეველი დროით გადაიწია. რეალობა ასეთია: ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, დიდი სახელმწიფო, რუსეთი, ყოველთვის ცდილობს დაჩაგროს, დაიპყროს ან სხვაგვარად დაუმტკიცოს უპირატესობა და მიუჩინოს იმ სუბიექტს, რომელიც მისი გავლენის სფეროდან გასვლას ცდილობს (ამ შემთხვევაში საქართველოს) „სათანადო" ადგილი.

კომფლიქტებიდან უკვე 2 წელი გავიდა, მაგრამ არანაირი წინსვლა არ აღინიშნება სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში, თუ არ ჩავთლით ლარსის საზღვრის გახსნას, რომელიც მეზობელ სომხეთს აკავშირებს რუსეთთან. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, რომ საქართველო და პოსტსაბჭოური სივრცე ამყოფოს თავისი გავლენის სფეროში, საქართველო კი რუსეთს სთავაზობს დასავლურ ღირებულებებზე დამყარებულ, თანასწორუფლებიან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, სადაც გათვალისწინებული იქნება ორივე ქვეყნის ინტერესები. ჩვენი აზრით ძალაზე დამყარებული ურთიერთობა რუსეთთან ჩვენი ქვეყნისთვის შეუძლებელიც არის და მიუღებელიც. ვფიქრობთ,

მხოლოდ მოლაპარაკების საშუალებით მივაღწევთ დავამყაროთ კეთილმეზობლური ურთიერთობა მეზობელ რუსეთთან. ოჯახი ყველაზე დაბალი სოციალური ორგანიზაციაა და მასაც სჭირდება მეზობელი, ხოლო ქვეყნებს, რომლებიც იმყოფებიან ერთ გეოგრაფიულ არეალში, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ცივილური ურთიერთობები. ეს რუსეთთან შედარებით ძნელი მისაღწევია, მაგრამ პოლიტიკოსის ნიჭი სწორედ ამაში გამოიხატება- მოძებნოს საკუთარი ქვეყნისთვის სასურველი გამოსავალი ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციიდან. ამის მაგალითები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საკმაოდ მრავლადაა. რუსეთს არ ეთმობა არა მხოლოდ პოსტსაბჭოური სივრცე, არამედ სამხრეთ კავკასია დატოვოს თავისი გავლენის მიღმა და ამისთვის მიმართავს ათასგვარ ხერხს, ჯერ იყო და ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანა აიკრძალა რუსეთში, რაც უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკური წნეხი, შემდეგ კი ყველანაირად ცდილობდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის შელახვას, რაც ხშირ შემთხვევაში გამოსდიოდა კიდეც, ამას ყველაფერს კი დაერთო აგვისტოს ტრაგედიაც, როდესაც რუსეთმა ფაქტიურად მიიტაცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი. ეს განსაკუთრებულად მტკივნეული აღმოჩნდა ქართლის მოსახლეობისათვის, რომელმაც დაკარგა არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობა, არამედ სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ადგილი.

მიუხედავად ომის საშინელებებისა, ადამიანებს შორის შეიძლება ომის დროსაც არსებობდეს ჩვეულებრივი დამოკიდებულება. თვითმხილველები ყვებიან იმ საშინელი ომის დეატლებს, როდესაც ურთიერთობა ჰქონდათ რუს ჯარისკაცებთან. მაგალითისთვის მომყავს რესპოდენტის, გორის რაიონის სოფელ ქერეში მცხოვრები გულო ძაბახიძის ნაამბობი, ის დღემდე შეძრწუნებულია იმ სანახაობით, რაც ომის დროს გადახდა, ამისდა მიუხედავად იგი ამბობს, რომ რუსის ჯარისკაცები ძალიან ნაღვლიანები იყვნენ, ისინიც ხომ ადამიანები არიან და მათაც არ სურდათ ხალხის ხოცვა. ისინი ცდილობდნენ ურთიერთობა დაემყარებინათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ამჟამად ურთიერთობის ვაკუუმია. ჯერჯერობით, ყველა დიპლომატიური საქაღალდე ჩაკეცილია და არც პერსპექტივაშია რამე უკეთესი. დიპლომატია და მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა აუცილებელია და ეს ყველაზე კარგი საშუალებაა პრობლემების მოგვარებისთვის, რადგან ომმა მკვეთრად შელახა ჩვენი ქვეყნის იმიჯი ინვესტიციების მოზიდვის მხრივ, რამაც მეზობელ ქვეყნებს აფიქრებინა ჩვენი

არასაიმედოობა. დაზარალდა ეკონომიკური სისტემა. ნაწილობრივ დავკარგეთ საერთაშორისო ფუნქცია, ამან გამოიწვია ჩვენი ხალხის შევიწროვება რუსეთში და მიგრაციის პროცესების ზრდა.

ომი ისე არავის აზარალებს, როგორც ჩვეულებრივ რიგით მოქალაქეებს. ხალხს, რომლებმაც უამრავი გაჭირვება ნახა, დაკარგეს ახლობლები და იძულებული გახდნენ წამოსულიყვნენე სახლებიდან და მათ უმრავლესობას დღესაც აქვს დევნილის სტატუსი, რადგანაც ვერ ბრუნდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

იმისათვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ, როგორც სახელმწიფომ მტრულად განწყობილ ქვეყანასთან შეინარჩუნოს ურთიერთობის ბერკეტები, ამისათვის საჭიროა ქვეყნებს შორის დიალოგი, რომელიც რაღაც დონეზე იარსებებს. საქართველო - რუსეთის ურთიერთობები ერთ-ერთი რთული კვანძია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. საერთაშორისო თანამეგობრობას და მათ შორის ევროკავშირს შეუძლია, ასე თუ ისე, დაარეგულიროს მტრულად განწყობილი ქვეყნების ურთიერთობები, მაგრამ ეს არ არის მარტივი. ჯერჯერობით არ განხორციელეულა მნიშვნელოვანი მოლაპარაკება და წინსვლა, აუცილებელია ხალხის მოქმედება, ჩარევა რათა დაიცვან საკუთარი ქვეყნის ინტერესები. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ დრო მტრის მხარეზე მუშაობს, რაც მეტი დრო გავა მით მეტად დავშორდებით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნებას ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში.

ჩვენი აზრით, ამისათვის საჭიროა განხორციელდეს გაცვლითი პროგრამები, ტელეხიდები, რათა უკიდეგანო რუსეთის მოსახლეობამ გაიგოს სინამდვილე, რაც მოხდა საქართველოში და არა ის, თუ რას გადმოსცემდნენ როგორც კონფლიქტის, ასევე მის შემდგომ რუსული მასმედიის საშუალებები. სკოლებში ცალკე ისწავლებოდეს რუსულ-ქართული ისტორია, გეზი აღებულ უნდა იქნას ხალხის გადაწყვეტილებით. ეს ლოზუნგია: „ მთავარია დიალოგი ხალხებს და არა პოლიტიკოსებს შორის ”.

თითოეულმა ადამიანმა გონებით უნდა გამსჭვალოს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ-რუსულ დიპლომატიურ ურთიერთობების დამყარებას. მას უნდა გრძნობდეს ინტელიგენცია, კულტურისა და სპორტის მოღვაწენი, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ნდობის ფაქტორი, როგორც ქართული, ასევე რუსული საზოგადოებისათვის. უნდა შეეცადონ, რომ უწინდებურად შეინაჩუნონ თბილი და მეგობრული ურთიერთობა, ისე რომ

დაცული იქნას საკუთრი ქვეყნის ინეტრესები. თუ არ იარსებებს სახალხო დიპლომატია, ქვეყანას უდიდესი საფრთხე ემუქრება, იმიტომ, რომ საქართველო ისედაც მძიმე პოლიტიკურ ვითარებაშია და მოლაპარაკების გარეშე უფრო მეტად დამძიმდება, როგორც ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე უფრო მეტად გაჭირდება დაკარგული ტერიტორიების აღდგენა. თაობათა ცვლა მტკივნეულად აისახება სამშვიდობო პროცესებზე, ვინაიდან ადამიანები, რომლებიც იცნობდნენ ერთმანეთს, იყვნენ ერთმანეთის ნათესავები, მეგობრები, საქმიანი პარტნიორები, ეს ყველაფერი თანდათან უცხოვდება და მათი ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენას მით უფრო მეტი დრო დასჭირდება, რაც უფრო მეტი დრო გავა.

უნდა მოგახსენოთ, რომ შედეგი ექნება ნებისმიერ მცდელობას, რომელიც კონკრეტულ შედეგზე იქნება ორიენტირებული და სადაც უზენაესი იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ინტერესები. მრავალი წლის მანძილზე, მაშინაც კი, როდესაც კონფლიქტი მძვინვარებდა, გორის რაიონისა და ცხივნალის რეგიონს შორის მაინც არსებობდა ურთიერთობები. ეს ურთიერთობა სხვადასხვა ასპექტში გამოიხატებოდა, იყო ეს ეკონომიკური ინტერესი და საქმიანი ურთიერთობები, მოსახლეობა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან გადადიოდა ერთმანეთის ჭირსა და ლხინში, განსაკუთრებით გაცხოველებული იყო სავაჭრო საქმიანობ. ქართლის მოსახლეობა თავისი ხილისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზებას, სწორედ ცხინვალის რეგიონში ახერხებდა, ამ უკანასკნელთ კი იგი გადაჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს ურთიერთობები არ შემწყდარა მაშინაც კი, როდესაც საზღვარს აკონტროლებდნენ სამშვიდობოები.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოახდინა აღნიშნული რეგიონის სრული ოკუპაცია და გამოაცხადა ძირძველ ქართულ მიწებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა, ეს ურთიერთობები შეწყდა, შეწყდა საერთოდ. უფრო მეტიც, ერთი და იგივე ქვეყნის მოსახლეობა გაიყო კედლით. რუსეთმა, რომელიც ავტორია ბერლინის კედლის მშენებლობისა, მისი რეალიზება საქართველოშიც სცადა. შეწყდა ყოველგვარი ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ როდესაც მესამე ძალა, ანუ რუსეთი სრულ კონტროლს იღებს საზღვრის მონიტორინგზე, მაშინ ყოველგვარი ურთიერთობები წყდება ადამიანებს შორის. პოლიტიკა, გათიშე და იბატონე კვლავ ძალაშია და თავისი შედეგები მოაქვს. ეს იმის დამადასტურებელია, რომ დამპყრობელს სწორედ სახალხო დიპლომატიის, ხალხის ერთმანეთთან ურთიერთობის ეშინია, ვინაიდან ამდენი წლის მანძილზე

ვერ მოახერხა ამ ორი ერის ისე გათიშვა, რომ ისინი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები გამხდარიყვნენ. საკმარისია, მესამე ძალის გვერდზე გადგომა და მაშინვე მოძებნიან ისევ ერთმანეთს ძველი ნაცნობები, საქმიანი პარტნიორები, ნათესავები..

როგორც ჩემი მშობლები გადმოგვცემენ, 90 –იანი წლების კონფლიქტის დროს ბევრი ოსი შეუფარებიათ ჩვენსა და მეზობლების ოჯახებს მარადიორების რისხვისგან. ეს ადამიანები შემდეგ მათი კარგი ნაცნობები გამხდარან და ძალიან ნანობდენე იმას, რომ არც ერთ ერს არ ეყო მოთმინება, არ გაეწყვიტათ საუკუნოვანი კულტურული და კეთილმეზობლური ერთიერთობები, ვინაიდან ალბათ ძნელად მოიპოვება სხვა ორი ერის უფრო მჭიდრო ნათესაური კავშირები, ვიდრე ეს ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებობდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია დიალოგის დაწყება. მანამდე ურთიერთობები უნდა დაიწყოს არასამთავროების, ჟურნალისტების, კულტურის მოღვაწეების დიალოგი, გამოსავლის ძებნა ამ ჩიხური სიტუაციდან. შეიძლება ითქვას, ამ კუთხით მხოლოდ უმნიშვნელო ნაბიჯებია გადადგმული. ერთ ერთ ამ პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი რუსი პოლიტოლოგების ვალერია ნოვოდვორსკაიას, პამფილოვისა და კონსტანტინ ბოროვოის , , , , , , ჩამოსვლა საქართველოში, რათა თავისი საკუთარი თვალით ენახათ ის, რასაც რუსული საინფორმაციო საშუალებები ასე უზნეოდ გადასცემენ საკუთარ მოსახლეობას.

2010 წლის 27 თებერვალს ისინი გორის უნივერსიტეტს ესტუმრნენ. მათ საქართველოში სულ სამი შეხვედრა ჰქონდათ, აქედან ერთი ჩვენს უნივერსიტეტში. შეხვედრა საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, ესწრებოდნენ როგორც უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტები, ასევე დაინტერესებული პირები. შეხვედრაზე განხილული იქნა 2008 წლის აგვისტოს ომი, რუსეთ საქართველოს ურთიერთობები წარსულში და დღეს. ასევე საუბარი იყო ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივებზე. ვალერია ნოვოდვორსკაიამ აღნიშნა: „თუ ჩვენი იდიოტები, სხვანაირად ვერ დავარქმევ რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების ზოგიერთ წარმომადგენელს, დაფრინავდნენ აფხაზეთსა და ოსეთზე და ახლა ამბობენ, რომ არ იცოდნენ, ვინ დაფრინავდა, მაშინ რუსეთი ყოველთვის აღმოჩნდება უხერხულ სიტუაციაში. საქართველო არა ჩეჩნეთი. მას აქვს საერთაშორისო თანადგომა. უნდა ვეძებოთ გზები ხალხების არა გათიშვის, არამედ დაახლოვების". აღსანიშნავია ისიც, რომ ეამ უშიშარმა ქალბატონმა,

იგივე სიტყვები გაიმეორა საკუთარ სამშობლოში, სატელევიზიო გადაცემა „ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ი9ნტერვიუში, სადაც აღნიშნა რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკური აზროვნება და გაანალიზა, თუ რა უარყოფითი შედეგები მოაქვს ასეთ ნაბიჯებს თვითონ რუსი ხალხისათვის. ჩვენ მივესალმებით მსგავსი ადამიანების სითამამეს, ობიექტურობას და გვაქვს იმედი, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მაინც აღდგება.

მიუხედავად იმ ხელოვნური ბარიერებისა, კედლისა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ აღმართა ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის. მაინც გაიმარჯვებს საღი აზრი, რამეთუ იმდენი რამ აქვთ საერთო ამ ხალხებს, რომ მათი საუკუნოდ გათიშვა შეუძლებელია. თვითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა ვეძებოთ ამ ხალხებს შორის დასაახლოვებელი თუნდაც მცირედი ძაფი, ყველამ უნდა გავიხსენოთ ურთიერთობების თუნდაც მცირედი მომენტი რათა მოვამზადოთ ნიადაგი იმ უნდობლობის დასაძლევად, რომელიც ჩვენს შორის მესამე ძალამ გაღვივა. ამის შემდეგ უნდა ვეცადოთ უკვე და დავიბრუნოთ ტერიტორია მოსახლეობითურთ. დღეს რუსეთში უამრავი ქართველი ცხოვრობს, დაუშვებელია ის ფაქტი, რომ მათი ასეთი შევიწროვება ხდება. დაუშვებელია აგრესიის გამოვლენა ჩვეულებრივ რიგით მოქალაქეებზე, რომლებსაც ყველაფერზე მეტად ქვეყნებს შორის მშვიდობა სურთ. სასურველია, კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ ასევე განურჩევლად ეთნიკურობისა რუსებს, ქართველებს, აფხაზებს და ოსებს. ამითი ისინი შეეცდებიან ამოავსონ გაჩენილი ბზარები მათ ურთერთობებში, ამისათვის კი მთავარია ჰქონდეთ უსაფრთხოების გარანტია, რომ სხვა ტერიტორიაზე იქნებიან დაცულები.

ნინო ყაჩლავაშვილი

სსიპ.გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გავლენა შაჰდენიზისს გაზსადენის პროექტზე

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ლიპარტელიანი

სამეცნიერო ლიტერატურაში კონფლიქტი არაერთმნიშვნელოვნად განიხილება. ლათინურად - conflictus- სიტყვასიტყვით შეჯახებას ნიშნავს. ყოველდღიურ აზროვნებაში სიტყვა კონფლიქტი უარყოფითი მნიშვნელობით აღიქმება. ასეთი დატვირთვით ის ყოველთვის წინააღმდეგობაა, დაპირისპირებაა და

ასოცირდება ძალადობასთან. კონფლიქტი ფუნქციური თვალსაზრისით საპირისპირო მიმართულებებს ასახავს. როდესაც მხარეები (ადამიანები, ჯგუფები, სახელმწიფოები და ა.შ.) დაპირისპირებულნი არიან, მაშინ ისინი მიისწრაფიან საკუთარი მიზნის დაუყოვნებლივ მიღწევისაკენ, მაგრამ რა შედეგი ექნება ასეთ დაპირისპირებას წინასწარ ძნელი განსასაზღვრია.

ამგვარად, კონფლიქტი შეიძლება განიმარტოს, როგორც დაპირისპირებულ მხარეთა შორის ინტერესების განხილვით წარმოშობილი უთანხმოება და შეჯახება, რომელიც მიმდინარეობს დროით და სივრცით განზომილებებში, სხვადასხვა ქცევით სტრატეგიების და ტაქტიკების გამოყენებით, რომლის დროსაც დაპირისპირების ხარჯზე მხარეები ცდილობენ დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები. იგი სოციალური ფენომენია, რომლის განვითარება ხანგრძლივი პროცესია.

კონფლიქტი არის დაპირისპირება ორ მხარეს შორის, რომელიც ნეგატიურად აისახება და ერთნაირად არასასურველია კონფლიქტის ორივე მონაწილისათვის. თუმცა ეს მიდგომა არ ვრცელდება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე. ამ შემთხვევაში რუსეთი გამოდის აგრესორის როლში, საქართველო კი ამის გამო მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს განიცდის.

ისტორიკოსები ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს შორის ათამდე სისხლიან დაპირისპირებას ითვლიან. მარტო ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, 2008 წლის აგვისტოს ომი რიგით მესამეა აფხაზეთისა და შიდა ქართლის, ე.წ. «ცხინვალის ომთან» ერთად. მოყოლებული XIX საუკუნიდან საქართველო რუსეთის 200 წლიანი იმპერიალისტური პოლიტიკის გავლენას განიცდის და კოლონიური ჩაგვრის ქვეშ იმყოფება. რუსეთის მიზანი ყოველთვის იყო საქართველოს იმპერიალისტურ მარწუხებში მოქცევა, სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითშეგნების ჩახშობა, რასაც ყოველთვის სასტიკი მეთოდების გამოყენებით ცდილობდა.

თანამედროვე ეტაპზეც რუსეთის მიზნები იგივე რჩება. მისი ინტერესების პოლიტიკური გაანალიზება «ქართული სახელმწიფოსათვის» სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა. ეს აგრესორი ქვეყანა ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. რუსეთი საქართველოს აღიქვამს, როგორც «შავ ხვრელს» ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები ამის საბაბს აძლევს: 1) აზერბაიჯანიდან «აზერი-ჩირაგი-გიუნაშლის» საბადოდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით ხორციელდება; 2) დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP) ბაქო-სუფსის მილსადენის სახელითაა ცნობილი. ეს მილსადენი BP-ის მიერ განხორციელებული პირველი ინვესტიციაა საქართველოში და 1999 წლიდან ფუნქციონირებს.

რუსეთის სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილია შაჰდენიზის გაზსადენის პროექტზე. შაჰდენიზის გაზსადენი (ასევე სამხრეთ კავკასიის ან ბაქო-თბილისი ერზრუმის გაზსადენი) არის ბუნებრივი აირის სატრანსპორტო მილსადენი შაჰდენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში. ამ გაზსადენის მეშვეობით თურქეთი მიაწოდებს გაზს საბერძნეთს, საბერძნეთი კი იტალიას. გაზსადენის პირველადი დანიშნულება თურქეთისა და საქართველოსათვის გაზის მიწოდებაა. შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე წელიწადში 2.2 მილიონი კუბური მეტრი გაზი

გაივლის. როგორც სატრანზიტო ქვეყანა, საქართველო წლიური გაზის გამტარობიდან 5%-ს იტოვებს ტარიფის სახით და ასევე შეუძლია 0.5 მილიარდი კუბური მეტრი შეიძინოს ყოველწლიური ფასდაკლებით.

მისი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე და იმის გამო, რომ შაჰდენიზის გაზსადენის პროექტის განხორციელებით საქართველო ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მოიპოვებს, რუსეთის სახელმწიფო აქტიურად ერევა ამ გაზსადენის საკითხში და ყველა ღონეს ხმარობს ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის დასამკვიდრებლად, რითაც საშუალება მიეცემა მაქსიმალურად მოახდინოს ჩვენს ქვეყანაზე ზემოქმედება ბუნებრივი აირის გადაკეტვით, რომელიც ერთხელ უკვე მოხდა უახლოეს წარსულში, კერძოდ 2006 წელს.

ამ გაზსადენს საქართველოსთვის დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. შაჰდენიზის ამოქმედებით ჩვენი ქვეყანა აღარ იქნება დამოკიდებული რუსული ბუნებრივი აირის მონოპოლისტ «გაზპრომზე». ასევე შესაძლებელი იქნება გაზის მიწოდება ევროპისათვის, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ რუსეთს გამოუჩნდება კონკურენტი ბუნებრივი აირით მომარაგების თვალსაზრისით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, რუსეთის მთავრობამ ევროპას სამხრეთ ნაკადის პროექტის სანაცვლოდ ჩრდილოეთის ნაკადის პროექტი შესთავაზა. ამან გამოიწვია შაჰდენიზის გაზსადენის პროექტზე მუშაობის შეჩერება, რაც კიდევ ერთი იმის დასტურია, რომ რუსეთი ცდილობს საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის შეჩერებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როცა ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტის ამოქმედება იგეგმებოდა, საქართველო სულაც არ აპირებდა რუსულ ენერგეტიკულ წყაროებზე უარის თქმას, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ანტიქართულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ისეთმა ღონისძიებებმა, როგორიცაა ბუნებრივი აირის გადაკეტვა 2006 წელს, რუსული ემბარგო ქართულ პროდუქტებზე, მასობრივი დეპორტაცია და ბოლოს 2008 წლის აგვისტოს ომი, ნათლად დაგვანახვა, რომ რუსეთი არასაიმედო პარტნიორია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ ალტერნატიული გზების ძიება.

მიუხედავად ევროკავშირის ან მთლიანად ევროპის მიერ გადადგმული ნაბიჯებისა რუსეთ-საქართველოს ომში, მას არ უცდია ეკონომიკურ ასპექტში ჩარევა და შაჰდენიზის საკითხის საქართველოსათვის სასარგებლოდ გადაწყვეტა. ამის მიზეზი ის არის, რომ ევროკავშირის უმეტესი, თანაც წამყვანი ქვეყნები რუსეთის ენერგორესურსებზეა დამოკიდებული ანუ ეს ჩაურევლობა ენერგორესურსების მოთხოვნა-მიწოდებითაა განპირობებული. ოფიციალური მონაცემებით 2015 წლისათვის რუსეთიდან ევროპაში გაზის იმპორტი 2005 წელთან შედარებით 59%-დან 75%-მდე გაიზრდება. ცხადია, ამ შემთხვევაში, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ევროპის დამოკიდებულებები საქართველოში და მთლიანად კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე ისევ «თავშეკავებული» იქნება.

რუსეთი არის ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა. იგი მდიდარია ბუნებრივი და ენერგორესურსებით. სწორედ ამის საშუალებით ახდენს იგი ევროპაზე მანიპულირებას და თავისთავად ცხადია მნიშვნელოვანი გავლენაც აქვს ევროკავშირისა და მთლიანად ევროპის გადაწყვეტილებაზე. მას უნდა

«ვუმადლოდეთ», რომ ჯერ-ჯერობით შაჰდენიზის გაზსადენის პროექტი შეჩერებულია და მისი ამოქმედების საკითხიც ეჭვქვეშ დგას.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უშლის ხელს აგრესორი ქვეყანა ტერიტორიულად მცირე ქვეყნების სახელმწიფოებრივ და ეკონომიკურ განვითარებას. კონფლიქტის ძალზე ნეგატიური შედეგები აისახება სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტებზე (მაგალითად, ნაბუქოს პროექტზე) და მათ შორის შაჰდენიზის გაზსადენის პროექტზე.

ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ მოგვარდეს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი, შემცირდეს რუსეთის გავლენის სფერო, აღარ მოახდინოს მან ზეწოლა ევროპის წამყვან სახელმწიფოებზე გადაწყვეტილებების მიღების დროს, საჭიროა საქართველოს მსგავსად ევროპამაც რუსეთის გვერდის ავლით, მოძებნოს ალტერნატიული ენერგორესურსები. ამის შედეგად რუსეთი მოექცევა ეკონომიკურ ბლოკადაში და უარს იტყვის თავის იმპერიალისტურ გეგმებზე, ვეღარ შეძლებს ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტების დაბლოკვას და შეჩერებას, როგორიც ჩვენი ქვეყნისთვის შაჰდენიზის გაზსადენია.

სოციალური მეცნიერებანი: პოლიტოლოგია, ჟურნალისტიკა

ციცინო ღუღუნაძე ჟანა ხადური

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

2008 წლის აგვისტოს ომი და ეკოლოგიური საფრთხეები

ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ჩოჩიშვილი

2008 წლის აგვისტო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ათწლეულების მანძილზე წარმოებული შეფარული აგრესია რუსეთის სახელმწიფომ აშკარა აგრესიად აქცია, მიიტაცა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორია, დაიღუპა და დასახიჩრდა ასობით ადამიანი, პირისაგან მიწისა აღიგავა ისტორიული სოფლები, ათასობით ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა. ომს საშინელი სახე აქვს. იგი ღრმა, მოუშუშებელ იარებს ტოვებს არა მხოლოდ ადამიანების სულში, არამედ გამოუსწორებელ ზიანს აყენებს დედა ბუნებას.

2008 წლის საომარი მოქმედებები არა მარტო სამხედრო ობიექტებს, მშვიდობიან მოსახლეობას, ქალაქებს და სოფლებს შეეხო, არამედ ბუნებასაც. სწორედ, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად არნახულად დაზარალდა საქართველოს ეკოლოგია.

ეკოსისტემა წარმოადგენს ჯანსაღ ტყეს, ტბას, ნაკადულს. . . ყველაფერ ამას თავისი წვლილი შეაქვს ჰაერის გასუფთავებასა და ჟანგბადით მის მომარაგებაში. ეკოსისტემის ბიომრავალფეროვნება ამარაგებს კაცობრიობას აუცილებელი საკვებით, მედიკამენტებითა და სხვა მასალით. ბუნებას აზარალებს არა მარტო ინდუსტრიალიზაცია და ურბანული ზრდის მაშტაბები, არამედ შეიარაღებული კომფლიქტებიც.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა ქართული ქალაქებისა და სოფლების დაბომბვის პარალელურად ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკს და ატენის ტყეებს მორიგეობით წაუკიდეს ცეცხლი. აღნიშნული ტყეები იბომბებოდა სპეციალური ხანძრის გამომწვევი ყუმბარებით. ტყეები 25 დღის განმავლობაში იწვოდა და მთლიანად 1100 ჰექტარზე მეტი განადგურდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქართველოს ტყეების მხოლოდ 0,04%, რეგიონის ეკოსისტემისათვის უდიდესი ზარალია. ტყის გახმობა ხის სიკვდილს კი არ ნიშნავს, შეიცვლება ჰაერი, კლიმატი, ფუნქცია ეკარგება კურორტებს.

ზარალი, როგორც ზოგადად ეკოსისტემისთვის, ასევე მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების მრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვანია.

ხანძრის დროს არამარტო ტყე განადგურდა, განადგურდა უნიკალური ფლორა და ფაუნა. წითელ წიგნში შეტანილი სახეობები, უამრავი ფრინველი და ცხოველი დაიღუპა, განსაკუთრებით ირმები, ხმაურზე მოხდა ცხოველთა და ფრინველთა საცხოვრებელი ადგილიდან გადადგილება, საკმაოდ დიდ მანძილზე. მათ შორის გარეული ღორის, მგლის, ირმის და ა.შ.

ბორჯომის, ატენის, სურამის, კოჯრის, ხარაგაულის, ხაიშის ტყეებში ხანძარმა გაანადგურა იშვიათი მცენარეები, რომლებსაც ლოკალური კლიმატის ფორმირებისათვის განსაკუთრებული ფუნქცია აქვს. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც ორ წელზე მეტია მსოფლიო მნიშვნელობის PAN park-ების ქსელის ნაწილია, ყველაზე მეტად დაზარალდა. ხანძრის სამი კერა ნაკრძალის ტერიტორიაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ აღდგენას ნახევარ საუკუნეზე მეტი დასჭირდება. დასახელებულ პუნქტებთან ტყის განადგურებას ნიაღვრებისა და ზვავების გახშირება შეიძლება მოჰყვეს. განსაკუთრებით საშიშია წაღვერის მონაკვეთი.

ატენის ხეობა არის მთიანი ზოლი და ტყის მასივის განადგურება ზვავსაშიში და ღვარცოფსაშიშია. აგვისტოს ომის დროს ტყის ხანძარი მძვინვარებდა შიდა ქართლშიც. 2008 წლის 13 აგვისტოს ხანძარმა მოიცვა ატენის ხეობაში, კერძოდ ქვემო ქართლის რეგიონალური სატყეო სამმართველოს

მართვას დაქვემდებარებული გორის სატყეო უბნის ატენისა და ორმოცის სატყეოებში 120.0ჰა და ხაშური-ქარელის სატყეოს 11,0 ჰა ფართობი. სულ შიდა ქართლის რეგიონალურ სატყეო საქართველოში 135,0 ჰა ფართობი. რეგიონალური სამმართველოდან წარმოდგენილი წინასწარი შეფასებით გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა ასეულ ათასობით ლარი. ეს მხოლოდ სავარაუდო შეფასებით. სამწუხაროდ არ არსებობს ზარალის ზუსტი დანგარიშების მექანიზმი. გარდა ამისა, ატენის ხეობის ჩაკეტილობა და მისი მცენარეული საფარის განსაკუთრებულობა წარმოშობს იმ მიკრო კლიმატს, რომელიც განთქმული ატენური ღვინისთვისაა აუცილებელი. ატენის ხეობაში კლდოვანი მთის კალთებზე ნიადაგი საუკუნეების მანძილზე იკიდებდა ფეხს, რომელსაც შემდეგ მცენარეთა ფესვები ამაგრებდა. მცენარეული საფარის განადგურებამ გამოიწვია ნიადაგის ჩამორეცხვა, რომელიც უკვე იმდენად შესამჩნევია, რომ რამდენიმე წყალდიდობა უკვე მოხდა. მდინარე ტანა, რომელიც მთის მდინარეა, სათავეს იღებს თრიალეთის განშტოებაზე და გზადაგზა იერთებს პატარა ნაკადულებს, რომლებსაც წვიმების დროს თან ჩამოაქვს ნიადაგი და კლდოვანი მასა. გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც ტყის მოვლას დიდი ყურადღება არ ექცეოდა, სწორედ ასეთი მოვარდნილი ღვარცოფის მსხვერპლი შეიქმნა განთქმული ვერეს ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ათწლეულები მიწით იყო დაფარული. მოგვიანებით ეს მასივი ტყით დაიფარა, ხოლო აგვისტოს ომის დროს ისევ გადაიწვა.

რაც შეეხება ბორჯომის ხეობას, ეს ხეობა თავისი უნიკალური მცენარეული საფარითა და მიკროკლიმატით კიდევ უფრო მეტად დაზარალდა. მტერმა იცოდა, რომ ეს ხეობა განთქმული ბორჯომის წყლის სამშობლოა და შეეცადა მაქსიმალურად დაეზიანებინა. ბორჯომის ტყეებს სპეციალური ხანძრის გამჩენი ჭურვები დაუშინეს, რომლის გამოყენება საერთაშორისო შეთანხმებებით აკრძალულია. ბორჯომის ტყეების ხანძრის მეორე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამმართველოს უფროსი, ზურაბ თალაკვაძე ასე აღწერს: „–11 აგვისტოდან აქ ვართ, რომ ჩამოვედით, ეს ხეობა სულ ცეცხლში იყო გახვეული. ერთდროულად უამრავ ადგილზე ვაქრობდით ხანძარს: არჯევანიძის უბანში, ნასოფლარში, ტბების დასახლებაში. ვიცავდით დაბასაც, სადაც 70 კომლი ცხოვრობს. ძალზე საშიში მდგომარეობა იყო „ბიპის ბაზასთან“. ეს მიუდგომელი ტერიტორიაა, ვერც ტექნიკა და ვერც ადამიანი ადის იქიდან წამოსული ცეცხლი სასაფლაოს ზოლამდე ჩამოვიდა...“

დღეს დამწვარი ტყის მასივები, განსაკუთრებით რთულ უბნებში ხელუხლებელია, რადგან არ არსებობს კვალიფიციური რეკომენდაციები რეაბილიტაციის პროცესის დასაწყებად.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენს სამშობლოს საფუძვლიანი დახმარება მეზობლებვმა სახელმწიფოებმა ვერ აღმოუჩინეს. თუმცა ამ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ თურქების დიდსულოვნება, რომელთა დახმარებით მოხეხრხდა გამძვინვარებული ცეცხლის ჩანელება მცირე მონაკვეთზე. ყოველივე ზღვაში წვეთი იყო იმ ფართობისა რაც დაიწვა. თურქების დახმარებას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ირაკლი ღვალაძე ასე გადმოსცემს: „რუსებს რომ არ დაეფიქსირებინათ საფრენი აპარატი, ყველა კავშირის საშუალებას თიშავდნენ და ისე შემოდიოდნენ საზღვარზე წყლით სავსე ავზებით. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ პანიკა არ ატყდა, რომ ბორჯომში შემოდიოდა რუსი“.

თუმცა, არ უნდა დავადანაშაულოთ ჩვენი გულშემატკივარი ქვეყნები, რომ ვერ დაგვეხმარნენ. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ მათ სურდათ დახმარება, სულ მცირედით მაინც, მაგრამ რუსი სამხედროები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. ყველა მფრინავი ობიექტი, რომელიც საქართველოს საჰაერო სივრცეში იმყოფებოდა, საფრთხის ქვეშ იყო. ამ ომმა დაგვანახა, რომ ჩვენს ქვეყანაში როგორც მოსახლეობის, ასევე ეკოლოგიის პრევენციისთვის კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი. საქართველოში არ არსებობს, ან თუ არსებობს ძალიან მწირედ განსაკუთრებულ გეოგრაფიულ რაიონებში სპეციალურუ ტექნიკა, რომლებიც მსგავსი შემთხვევების დროს იქნება გამოყენებული. ხანძარი შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ზაფხულს, ქარიან ამინდში. ამითომ, სასურველი იქნება ტყის მასივების მახლობლად ყოველთვის მორიგეობდეს აღნიშნული ტექნიკა.

უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ ატენის ხეობაში ცეცხლის გამჩენებად სახელდებოდნენ თვით ქართველები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევა მართლაც დაფიქსირდა. ომის საშინელება მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ ნადგურდება ქალაქები, სოფლები, არამედ იმაშიც, რომ ზოგიერთი ადამიანი ცდილობს ისარგებლოს სხვების უბედურებით და მოითბოს ხელი, ვინაიდან, სამართალდამცავ ორგანოებს ამ დროს კონტროლის საშუალება არ გააჩნიათ.

ამ და სხვა ეკოლოგიური აგრესიის ობიექტების შესწავლის და გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასების უზრუნველსაყოფად საქართველოს

პრემიერმინისტრის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ 1 თვის ვადაში წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა, რომელიც ასეთი სახისაა: ზოოლოგიის, ბოტანიკის, სამთო მეტყევეველების და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტების ერთობლივი მუშაობის შედეგად მოხდა სავარაუდო ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის გაანგარიშება და ზიანმა მილიარდ ლარს გადაჭარბა, ესეც მხოლოდ მიახლოებითი გაანგარიშებით.

არა მხოლოდ ტყის მასივები განადგურდა, არამედ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსი ჯარისკაცები სპეციალურად უკიდებდნენ ცეცხლს თბილისი-სენაკის საგზაო მაგისტრალის მწვანე ქარსაცავ ზოლს. ცეცხლის ფართო მაშტაბებს ისიც უწყობდა ხელს, რომ ზაფხულის ცხელი და მშრალი ამინდები იყო. დღესაც გზის ნაპირებზე არის ამ საშინელი დღების კვალი.

. . . . ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგება, დრო ისევ მიდის სწრაფად. გადამწვარი ტყეების აღდგენა ნელნელა მიმდინარეობს. ალბათ, მომავალში ყველაფერი ჩვეულ სახეს მიიღებს. თუმცა, ჩვენ, ქართველებს ყოველი დამწვარი ხის, ან უბრალო პატარა ცეცხლის დანახვისას გაგვახსენდება ის დიდი ტკივილი, რაც ომმა მოგვაყენა გაგვახსენდება სურათები, სადაც დამწვარი ტყის საფარი შემზარავად ჩანდა.

ომიდან ორმა წელმა განვლო, გადამწვარი ხეების ნაწილი ჯერ კიდევ დგას, თუმცა თბილისი ლესელიძის საგზაო მაგისტრალზე ხანძრისგან გამხმარი ხეები უკვე მოჭრეს. მაგრამ იმედი გვაქვს ეს სურათი მალე შეიცვლება და საზოგადოება, რომელმაც საკუთარ თავზე გამოვცადეთ ის ქარტეხილი, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად მძვინვარებდა საქართველოში, მომავალს ისევ იმედის თვალით დაუწყებს ცქერას.

თითოეული ჩვენგანის ვალია ვიზრუნოთ მწვანე საფარის გაფართოებაზე, ხეების დარგვაზე. პატრიარქმა მოგვცა შესანიშნავი ინიციატივა წელიწადში 12 ხის დარგვის თაობაზე. გორის უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩაბმული გამწვანების პროგრამაში. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესურამ არა მხოლოდ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გავაშენეთ ნარგავები, არამედ ვცდილობთ, სადაც კი ამის საშუალება არსებობს, დავრგოთ ხეები. თითოეული უნდა ვეცადოთ, რომ მსგავსი საშინელება აღარ განმეორდეს და დავამთავრებ საყოველთაოდ ცნობილი ანდაზით „ტყე შეუნახე შვილებსა მამა ხარ შენი ვალია“.

ანუკი წიწილაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

ვის სასარგებლოდ დაიდო ჰაიდი ტალიავინის დასკვნა?

ხელმძღვანელი: პროფესორი მაკა დოლიძე

2008 წლის რუსეთ-საქართველოს 5 დღიანი ომი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ფატალური შედეგების მომტანი აღმოჩნდა, მაშინ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა და საყოველთაო განხილვის საგნად იქცა. მართლია გაყინული კონფლიქტები ტყვიების ცეცხლით გალღვა, მაგრამ ეს სულაც არ ყოფილა კარგი ეტაპის დასაწყისი საქართველოსა და მის ორ კონფლიქტურ რეგიონს შორის. პირიქით, დაიწყო გაცილებით მძიმე გზა პროლემის მოგვარებისთვის, რომელსაც ჯერ დასასრული არ უჩანს და ისევ დიპლომატიის ბეწვის ხიდზე გვიწევს სიარული. ადრეც ყველა თანხმდებოდა, რომ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზა უალტერნატივო იყო, თუმცა ომი გარდაუვალი სინამდვილე აღმოჩნდა და იმის მიუხედავად, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა (როგორც თავად აცხადებს) მთელი ძალისხმე
ვა შეალია რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ოპერატიულად მოგვარებას, დიპლომატიური ბატალიები კვლავ გრძელდება.

ახლაც ყველას მიაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტები მაინც მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს, თუმცა ვის როდის უმტყუნებს ნერვები არავინ იცის. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რა თქმა უნდა ინფორმაციას, რომელიც როგორც საქართველოდან, ასევე რუსეთიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დანარჩენ მსოფლიოში გაედინება, რადგან ეს ზეგავლენას ახდენს უცხოელი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურების, დიპლომატების შეხედულებებსა და გადაწყვეტილებებზე, რომელთაც შეუძლიათ რეალური ზეგავლენის მოხდენა რეგიონში განვითარებულ პროცესებზე, გავლენის მოხდენა ჩვენს სასარგებლოდ.

2008 წლის ომის დასრულების შემდეგ ექსპერტები ერთმნიშვნელოვნად უსვამდნენ ხაზს საინფორმაციო ომის მნიშვნელობას, რომელიც გარდაუვალი იყო და წარმატებული ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში მსოფლიო სიმპათია და თანაგრძნობა ჩვენს მხარეს გადმოიხრებოდა, როგორც ოკუპირებული ქვეყნისა და უსამართლობის მსხვერპლის. ამ თვალსაზრისით ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნას რუსეთ-საქართველოს ომზე. ეს კომისია ომის შემდეგ ერთი წელი

მუშაობდა და საბოლოო დასკვნა 2009 წლის 1 ოქტომბერს დადო. მანამდე კი ჰაიდი ტალიავინის საგამოძიებო კომისია და სავარაუდო დასკვნა ორივე ქვეყნის საჯილდაო ქვად იქცა. დასკვნას წინ უძღვოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებები სხვადასხვა ქვეყნის მიერ, მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისიები, საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის შეწყვეტა კონფლიქტის ზონებში... ერთი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენები კომისიის დასკვნაში არ ასახულა და ამას არც არანაირი მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრი ფიქრობდა, რომ ტალიავინის დასკვნა გარდამტეხი იქნებოდა მოვლენებისთვის საკუთარი სახელების დარქმევის პროცესში, თუმცა როგორც აღმოჩნდა ამ დასკვნამ გაცილებით მეტი კითხვა და თავსატეხი გააჩინა, ვიდრე იყო და არა მარტო საქართველოსთვის, არამედ რუსეთისთვისაც.

მითქმა-მოთქმა ერთი-ორი თვე გაგრძელდა და შემდეგ ჩაცხრა. თითქოს ტალიავინის კომისიის დასკვნა დაიწერა მოვალეობის მოხდის მიზნით ევროპის, რუსეთისა და საქართველოს წინაშე, თითქოს მოიხსნეს დანაშაულის შეგრძნება, ვალდებულება, ხარკი გადაუხადეს დიდი მეზობლის მიერ დაჩაგრულ პატარა ქვეყანას, რადგან რეალურად ამ დასკვნას არც საქართველოს შიდა პოლიტიკაში და არც საგარეო ასპარეზზე მნიშვნელობანი ცვლილებები არ გამოუწვევია. ვარაუდი, რომ თუნდაც ქვეყნის პრეზიდენტს, როგორც ომის გამჩაღებელს, ჰააგის სასამართლოს გადასცემდნენ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო არ გამართლდა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2009 წლის 13 ოქტომბრის ნომერში ვკითხულობთ წერილს სათაურით „გამოძიება დამთავრებულია, იწყება სასამართლო!“, რომელში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამონარიდი უცხოური პრესიდან: „ომის დამნაშავის სასამართლოსთვის გადაცემის მოთხოვნა უკვე დასავლეთის პრესაშიც გამოჩნდა. ბელგიური ნიდერლანდენოვანი გაზეთი „დე მორგენი“, მაგალითად პირველი ოქტომბრის სტატიაში „ომი საქართველომ გააჩაღა რუსეთთან“, წერდა: „მოხსენება თუმცა მიზნად არ ისახავს ხელახლა ცეცხლზე ნავთის დასხმას, მაგრამ უნდა გამოყენებულ იქნას, როგორც საფუძველი სასამართლო ძიებისთვის“. უფრო მოგვიანებით ასევე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2009 წლის 22 ოქტომბრის ნომერში, პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილის წერილში ვკითხულობთ: „საზოგადოების მსჯელობის საგნად ისევ რჩება ტალიავინის კომისიის დასკვნა. ოპოზიციონერები უკვე იმაზეც მსჯელობენ, სად აჯობებს სააკაშვილის გასამართლება ჰააგასა თუ თბილისში და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ

თბილისში ჯობს, ვინაიდან ამით საქართველო გადაურჩება მსოფლიო რისხვას. რადაც არ მახსოვს მილოშევიჩის გამო სერბეთი დაესაჯათ. ის ჰააგის სასამართლომდე ადრე დაისაჯა აშშ-სა და ნატოს ბომბებით. საქართველო ხელისუფალთა წყალობით ისედაც დასჯილია. მეტად მაშინ დაისჯება, თუ 7-8 აგვისტოს გაიმეორებს. ისეთი აურზაურია ატეხილი, თითქოს ჰააგას ვერდიქტიც გამოეტანოს. ავტორი ამავე წერილში აღნიშნავს, იმ ქვეყნების გარდა, რომლებმაც რუსეთს დაუჭირეს მხარი, ტალიავინის კომისიის დასკვნაში ახალი და საგანგაშო არაფერია. „ტალიავინის დასკვნას ცალყბად იხილავენ აშშ-სა და ინგლისში, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან სწორედ მათ მიერ დაგეგმილი პიარით დიდი რუსეთი იყო პატარა საქართველოს მჩაგვრელი“.

სინამდვილეში ეს მართლაც ასე იყო, რადგან პატარა საქართველოს დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, რუსეთს ვერ დაჩაგრავს ამ სიტყვის სწორი და მართებული გაგებით. პოლიტოლოგის მიერ გამოთქმული მოსაზრება ამ შემთხვევაში არის ცალმხრივი, რომელსაც რა თქმა უნდა კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. არც არავინ ელოდა რომ დასკვნის დადების შემდეგ, ყველა ერთ აზრზე დადგებოდა.

ტალიავინის კომისიის 900 გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც ათი თვის განმავლობაში იწრებოდა, 1, 600 000ევრო დაჯდა. ამ სქელტანიან ნაშრომში სათავისო კოზირები ყველა დაინტერესებული მხარისთვის უხვად აღმოჩნდა. აი ეს იყო მთავარი პრეტენზია, რასაც ამ დოკუმენტს და მის ავტორებს უყენებდნენ – საბოლოო ჯამში მან ვერაფერს მოჰფინა ნათელი, დიპლომატიურობა ბოლომდე დაიცვა – არც მწვადი დაწვა და არც შამფური. ფაქტობრივად ახალიც არაფერი უთქვამს, უბრალოდ მრავალჯერ მოსმენილი გააოფიციალურა. **რამდენიმე მნიშვნელოვანი ამონარიდი დასკვნიდან, რომელიც საყოველთაო მსჯელობის და კამათის საბაბი გახდა:**

1) ეს მოხსენება შეეცდება გადმოსცეს სამართლიანი და მიუკერძოებელი შეხედულება კონფლიქტის მხარეთა ქმედებებზე, მიზეზებსა და მათ შედეგებზე. ბევრი მათგანი კრიტიკულად შეფასდება, თუმცა ვერაფერი შეცვლის ჩვენს პატივისცემას რომელიმე რეგიონში – იქნება ეს დიდი თუ მცირე მცხოვრები ხალხის ბედისა და მათი მისწრაფებების მიმართ. მათი მისწრაფებანი არ ყოფილა გადამწყვეტი მიზეზი მტრობის, რადგან მსგავსი პრობლემები მშვიდობიანად გადაწყვეტილა.

5) ასე, რომ სამხ. ოსეთს, ისევე, როგორც აფხაზეთს, უფლება არ ჰქონდათ ცალმხრივად გამოყოფოდნენ საქართველოს. სამხ. ოსეთისა და აფხაზეთის

ცნობა მესამე სახელმწიფოების მიერ ეწინააგმდეგება საერთაშორისო სამართალს და არღვევს დაზარალებული სახელმწიფოს, როგორიცაა საქართველო, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ეს ეწინააღმდეგება ჰელსინკის აქტის პირველ პრინციპს.

6) მანამ, სანამ საქართველო და რუსეთი იმყოფებოდნენ ურთიერთობათა გაუარესების პირობებში, რომლის დროსაც აღინიშნებოდა არამეგობრული და ხშირად საომარი რიტორიკაც, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიკავა პირველი ადგილი საქართველოს საგარეო პარტნიორებს შორის. აშშ გამოხატავდა სრულ მხარდაჭერას საქართველოსა და პირადად მიხეილ სააკაშვილის მიმართ, რომლის კულმინაცია იყო პრეზიდენტ ბუშის ე.წ. „თავისუფლების შუქურის“ სიტყვით გამოსვლა 2005 წლის 10 მაისს თბილისში. აშშ საქართველოს უწევდა ფართო ეკონომიკურ მხარდაჭერასაც. საქართველო გახდა აშშ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარების ინტენსიური მიმღები, უწევდა სამხედრო დახმარებასაც, როგორც წვრთნის პროგრამებით, ასევე შეიარაღებითა და ფინანსებით.

თუმცა ბოლოს მოყვანილ ციტატას, მთლიანად როგორც ჩანს არ დაეთანხმა „გერმან მარშალ ფუნდის“ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იორგ ჰიმელრაიხი თავის სტატიაში, სადაც წერს, რომ ევროკავშირის მოხსენებაში რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ არ არის გაანალიზებული აშშ-ს გადამწყვეტი როლი კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროსა და მის შემდეგ. მისი აზრით, ბუშმა შექმნა სერიოზული სტრატეგიული პრობლემები, რადგან ვერ შეძლო საჯაროდ დაეცვა სააკაშვილი ძალის გამოყენებისგან რუსეთთან დამოკიდებულებაში.

ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნას დაუყოვნებლივ მოჰყვა გამოხმაურებები ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს შორის...

იმის მიუხედავად, რომ დასკვნა სქელტანიანია, მას გვერდების რაოდენობა დამაჯერებლობას არ მატებს. რასაკვირველია მისია რთული ამოცანის წინაშე იდგა, მაგრამ იყო მოლოდინი, რომ ის შეძლებდა ყველა მოვლენისთვის სახელის დარქმევას. მართლია, მისიის სახელწოდება ფაქტების მოძიებას ითვალისწინებდა, მაგრამ ფაქტების მოძიების შემდეგ, როცა მისია მოვლენათა შეფასებაზე გადავიდა მისიის წევრებს მეტი გაბედულება და პასუხისმგებლობა სჭირდებოდათ, რაც მათ რბილად რომ ვთქვათ არ აღმოაჩნდათ. ასეთია მრავალი გნცხადების საერთო შინაარსი ორივე დაინტერესებულ მხარეს. სასიხარულო და სატრაბახო არც ერთ მხარეს, არც

ქართულს და არც რუსულს არაფერი აქვთ. ამერიკულ the wall street jurnal-ში ვკითხულობთ "პასუხისმგებლობის ლომის წილი ამ კონფლიქტზე მოსკოვს დაეკისრა", ხოლო ბრიტანული the lndependent-ი წერს – "რუსულ-ქართულ ომში საქართველოს რუსეთზე არანაკლები და უფრო მეტი პასუხისმგებლობაც ეკისრება." ამ შემთხვევაში ყურადღება ავტორს უნდა მივაქციოთ. („საქართველოს რესპუბლიკა", №203, 6 ოქტომბერი).

საინტერესოა თავად კომისიის ხელმძღვანელის დამოკიდებულება დასკვნასთან დაკავშირებით. კითხვაზე, როგორ გადაანაწილებდით 2008 წლის ზაფხულის კონფლიქტში პასუხისმგებლობას საქართველოსა და რუსეთს შორის? ჰაიდი ტალიავინი, პასუხობს: ორივე მხარეს თავისი პასუხისმგებლობა ეკისრება. თუ საქართველომ 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით ცხინვალზე საარტილერიო შეტევით კონფლიქტი დაიწყო, რუსეთმა ამ სიტუაციისთვის შესანიშნავი ნიადაგი მოამზადა, რამაც საბოლოდ ის საქართველოსთან შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა. ამასთანავე რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, როდესაც სამხედრო ოპერაციები სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრების მიღმა, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აწარმოა, დამატებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაც აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და საერთაშორისო გაერთიანების დიდი ნაწილი ამას ეწინააღმდეგება. ამავე დროს, კონფლიქტის კონტექსტში, როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდან ბრალდებები ისმოდა. განსაკუთრებით ეს ეხება რუსების და ოსების მხრიდან საქართველოს დადანაშაულებას სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გენოციდში.

დასკვნის სახით, უხოური პრესის მცირე მიმოხილვას მოვიყვან, რომელიც სრულ სურათს ქმნის ტალიავინის კომისიის დასკვნაზე, მის ამოცანებზე და დადებულ შედეგებზე. აქ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებები, რომელიც ნამდვილად იძლევა საკმაოდ დასაბუთებული დასკვნის გამოტანის საშუალებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კომენტარს უკეთებენ ევროსაბჭოს დიდი ხნის ნალოდინარ მოხსენებას რუსეთისა და საქართველოს ომთან დაკავშირებით. არ შეიძლება ითქვას, რომ კომისიის დასკვნები შეესაბამება ინგლისურ გამოთქმას „ექვსი ერთს და ნახევარი დუჟინი – მეორეს: ბრალის უდიდესი ნაწილი საქართველოს ეკისრება. მოსკოვი პასუხისმგებელია "პროვოკაციისთვის" და "არაპროპორციული პასუხისთვის". აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ბედი პოლიტიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ.

ორივე მხარე, რუსეთიც და საქართველოც ევროსაბჭოს მოხსენებას 2008 წლის აგვისტოს სამხედრო კონფლიქტის შესახებ უკეთებენ ისეთ ინტერპრეტაციას, რომ შეინარჩუნონ სახე, აღნიშნავს თავის კომენტარებში "დი პრესის" მუდმივი ავტორი ბურკგარდ ბიშოფი. ევროსაბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ ხუთდღიანი ომი კავკასიაში დაიწყო საქართველომ და რუსეთის მოქმედება თავისი მოქალაქეების დასაცავად გამართლებული იყო, - და აი მოსკოვი ზეიმობს. ამ დროს მოხსენებაში ნათქვამია, რომ 2008 წლის აგვისტომდე დიდი ხნით ადრე, მოსკოვმა მოახდინა თბილისის პროვოცირება, - და აქ უკვე ტრიუმფატორად თავს ქართველები გრძნობენ. საქართველოს პრეზიდენტის შეცდომა იყო ბრძანება საბრძოლო მოქმედებათა დაწყების შესახებ, მოსკოვმა კი გულგრილად გამოიყენა შესაძლებლობა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისთვის.

დავა იმის შესახებ, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ამ უგუნური ომისთვის, რაც ასობით ადამიანის სიცოცხლედ და დანგრეულ სოფლებად დაჯდა, გაგრძელდება, აღნიშნავს ბიშოფი, მაგრამ ევროსაბჭოს ვერდიქტმა სააკაშვილს და მის ამბიციებს მიაყენა გამანადგურებელი დარტყმა. ევროსაბჭოს მოხსენებამ რუსეთისა და საქართველოს ომთან დაკავშირებით გამოიტანა სავსებით გარკვეული ვერდიქტი, წერს "ინდეპენდენტი". დოკუმენტში არის დასკვნა იმის შესახებ, რომ ომი დაიწყო საქართველოს სოფლებზე შეტევით, რითაც დაირღვა საერთაშორისო სამართალი, მაგრამ მას წინ უძღოდა რუსეთის მრავალთვიანი პროვოკაციები. რუსეთის მხრიდან არაპროპორციულად გამოყენებული ძალები ასევე მიჩნეულია საერთაშორისო სამართლის დარღვევად.

საქართველოს ხელმძღვანელობა ეჭვობდა, რომ იგი ვერ მიაღწევდა ყოფილიყო საბოლოო მოხსენებაში წარმოდგენილი კრისტალურად სუფთა, ამიტომ ქართველი დიპლომატები მთელი ზაფხულის განმავლობაში ცდილობდნენ თავიდანვე შეერბილებინათ რეპუტაციის ზიანი. წინა დღით მათი კამპანია კიდევ უფრო აქტიური გახდა: ისინი აკეთებდნენ მოხსენების ბევრი დასკვნის კომენტარებს, მაგრამ უპირატესობას ანიჭებდნენ - არ შეემჩნიათ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ დაიწყო ომი.

იმას, რომ რუსეთიც და საქართველოც შეძლებენ მონახონ დოკუმენტში თავიანთთვის გამართლება, აქვს პლუსებიც და მინუსებიც: ორივე მთავრობა მონახავს, თუ როგორ წარდგეს საზოგადოებრივი აზრის წინაშე, მაგრამ თითოეულ მხარეს შეუძლია თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა. თუმცა

მოხსენების შედეგებს ყური უნდა უგდოს არა მხოლოდ ორმა მეომარმა მხარემ, მოუწოდებს "ინდეპენდენტი". ომის დაწყების შემდეგ დიდი ბრიტანეთის მთავრობა და სხვა დასავლელი ქვეყნების მთავრობები აჩქარდნენ, დაესახელებინათ რუსეთი "ბოროტმოქმედად", საქართველო კი - "უდანაშაულო მსხვერპლად". სტერეოტიპებზე დამყარებული ასეთი რეაქცია ხელსაყრელი გამოდგა რუსეთისთვის გაბრაზებულიყო დასავლეთზე. ამჟამად, როდესაც ობამამ განაცხადა პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განთავსების გეგმის უარყოფის შესახებ, ევროსაბჭოს მოხსენებამ კი რუსეთს მოუხსნა პასუხისმგებლობა საქართველოსთან ომის დაწყებაზე, შეიძლება იგი აჩვენებს მთელს მსოფლიოს უფრო მეგობრულ სახეს, გამოთქვამს იმედს ბრიტანული გამოცემა.

შვეიცარიელი დიპლომატის ჰაიდი ტალიავინის მიერ გაკეთებული მოხსენება არ ადასტურებს რუსეთის მტკიცებას საქართველოს გენოციდის შესახებ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა წინააღმდეგ 8 აგვისტოს ღამეს, აღნიშნავს "დი უოლსტრიტ ჯორნელი". სამხრეთი ოსეთის ფარგლებს გარეთ რუსეთის სამხედროები მოქმედებდნენ გაცილებით უფრო მკაცრად.

შვეიცარული "ლე ტემპსი" აქვეყნებს ექსკლუზიურ ინტერვიუს ჰაიდი ტალიავინისთან საქართველოში კონფლიქტის მიზეზების შესახებ.

„კონფლიქტი საქართველოში არ იყო ადგილობრივი ან რეგიონალური მასშტაბის პრობლემა. მან საფრთხის ქვეშ დააყენა ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აგრეთვე უშიშროების მთელი სისტემა ევროპაში, რომელიც ყალიბდებოდა 1970-იანი წლებიდან". ტალიავინის სიტყვებით, მოხსენების მზადების დროს „ერთადერთი პრობლემა იყო მონაცემთა უზარმაზარი რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ". რაც შეეხება კონფლიქტის მონაწილეებს, ისინი სიამოვნებით თანამშრომლობდნენ კომისიის წარმომადგენლებთან, აღნიშნა მან. ტალიავინმა აგრეთვე აღნიშნა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პერსპექტივების შეფასება არ შედიოდა მისი კომისიის კომპეტენციაში. მოხსენებაში არის დაკვირვებანი, რომლებიც შეიძლება გამოდგეს, რათა უკეთ გავიგოთ კონფლიქტის არსი და თანდათანობით შევუდგეთ მის მშვიდობიან მოწესრიგებას. მაგრამ მოხსენების დასკვნების შეფასება და კრიზისიდან გამოსვლის გზების ძებნა მოუწევთ პოლიტიკოსებს.

როგორც "ფრანკფურტერ რუნდშაუს" მიმომხილველი ტორსტენ კრუფი მიიჩნევს, ევროსაბჭოს მოხსენების შედეგების მიხედვით პოლონელები და

ბალტიისპირელები ძველებურად დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ რუსების ნდობა არ შეიძლება, გერმანელები და ფრანგები კი - დაიწყებენ მტკიცებას რუსეთის დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სასარგებლოდ და ამ დროს მიუთითებენ ამისთვის საქართველოს მოუმზადებლობას.

კომენტარის ავტორის აზრით, ევროპელები, უწინარეს ყოვლისა, უნდა ჩაუფიქრდნენ თავიანთ დამოკიდებულებას საქართველოსა და მისი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისადმი. მისი ხელმძღვანელობით ქვეყანა წარმოადგენს რისკს ჩრდილოეთი ატლანტიკის ალიანსისთვის, სადაც შესვლა მას აღუთქვეს 2008 წლის აპრილში ბუქარესტში. მომავალში, წერს კნუფი, სააკაშვილს უნდა მოვეპყრათ, როგორც ავღანელ ჰამიდ კარზაის, რომელიც პარტნიორია მოლაპარაკებებში მხოლოდ მანამდე, სანამ არ ჩანს ვინმე უფრო შესაფერისი.

რაც შეეხება რუსეთს, აქ ყველაფერი გაცილებით რთულადაა, აღნიშნავს ავტორი: მოსკოვის დაუხმარებლად დასავლეთი ვერ გადაჭრის ვერც ერთ საარსებო საკითხს მსოფლიო პოლიტიკაში. „ამაშია სწორედ არსებითი სხვაობა: დასავლეთი დამოკიდებულია რუსეთზე და არა საქართველოზე“.

ქრისტინე ბებია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრატურა

გლობალიზაცია საქართველოში

საქართველო დღეისათვის ძირეული ცვლილებების პერიოდშია. ხდება საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნა და დასავლური ფასეულობების დანერგვა. ტრადიციულთან ერთად გვხვდება დასავლური „ნაწარმი.” მედალს ორი მხარე აქვს: გლობალურ პროექტში მონაწილეობა ქვეყნის გაძლიერების საშუალებაა, მაგრამ ამასთან, მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაცია, გლობალურ პროცესში მონაწილეობა ეროვნული ინდივიდუალობის შესუსტების საფრთხის წინაშე გვაყენებს. გლობალიზაციას დადებითი და უარყოფითი მხარე ერთდროულად გააჩნია.

სიტყვა „გლობალიზაცია” ნიშნავს საყოველთაოს. გლობალიზაციაში მოიაზრება: ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიო საზოგადოებაში, სადაც ჩაკეტილი სივრცეების შესახებ წარმოდგენა ფიქციად იქცა. ვერცერთი ქვეყანა ან ქვეყანათა ჯგუფი ვერ შეძლებს ერთმანეთისაგან იზოლირებას. გლობალიზაციამ მინიმუმამდე დაიყვანა ცენტრსა და პერიფერიას შორის

განსხვავება. შეიძლება, გაჩნდეს კითხვა: ქვეყნებს შორის კავშირი სააუკუნების წინადაც ხომ იყო? მაშ, გლობალიზაცია – რატომ ახლა, XXI საუკუნეში და არა, გასულ საუკუნეებში? გასულ საუკუნეებშიც! უბრალოდ, მას არ ერქვა გლობალიზაცია. მაგალითად, კარლ იასპერსმა(XIX–XXსს.) შემოიტანა ცნება „ღერძული დრო", რომელსაც ის ძვ.წ. 800–200 წლებს შორის ავლებს და რომელიც, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა გლობალიზაცია... ახლა კავშირები და ურთიერთმიმოსვლა ქვეყნებს შორის უწინდელთან შედარებით იოლია. მრავლადაა მიმოსვლის საშუალება, ეს იქნება მატარებელი, თვითმფრინავი თუ სხვა. ამას გარდა, მიმოსვლის გარეშეც თავისუფლად შეუძლიათ ქვეყნებს ერთმანეთთან კონტაქტი, მაგალითად, ინტერნეტით, ფიჭური კავშირებით... მაგრამ მხოლოდ ამაშიც არ დევს გლობალიზაციის „საიდუმლო". მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ექცევა ქვეყანა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას მათი ზეგავლენის ქვეშ და რამდენადაა მათზე დამოკიდებული. სხვა ქვეყნებში იგულისხმება გავლენიანი ქვეყნები, რომლებიც ასე თუ ისე, ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ერთმანეთის მიმართ. გლობალიზაცია ძირითადად ტექნოლოგიური მიღწევებით საზრდოობს. გლობალიზაცია ადამიანებისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას გულისხმობს.

ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, რომელშიც გლობალიზაციას არ შეუღწევია. გლობალიზაციის პროცესში გამოიყოფა სუბიექტები და ობიექტები. თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციურ პროცესებს ძირითადად დასავლური სამყარო მართავს. უფრო კონკრეტულად, – აშშ. სხვადასხვა ქვეყანაში გლობალიზაცია, შეიძლება, განსხვავებული გზით დაინერგოს, განსხვავებული იყოს თითოეული ქვეყნის საპასუხო რეაქცია გლობალიზაციის შემოტევაზე. ზოგი ქვეყანა ადვილად ემორჩილება მას, ზოგიც უძალიანდება, ზოგიც „სჯაბნის"... გლობალიზაციის გავლენა ყველგან ერთნაირი ძალით არ არის წარმოდგენილი, ზოგან ძლიერია, ზოგან – სუსტი. არიან ქვეყნებიც, სადაც გლობალიზაციის მხოლოდ ცალკეული ნიშნები თუ მოიპოვება ან სულაც – არაფერი გლობალიზაციის მაგვარი, მაგრამ, ვფიქრობ, მომავლისთვის თანამედროვეობის ეს „სენი" მსოფლიოს ყოველ კუთხე–კუნჭულში შეაღწევს. სამყარო წინ მიიწევს, არ კმაყოფილდება მონაპოვარით, სურს, უფრო და უფრო მეტი ინფორმაციის მიღება, ტექნოლოგიები. მსოფლიოში ერთმანეთს ებრძვიან კონკურენტები, გიგანტები. ადამიანები სიმდიდრისკენ მიისწრაფვიან.

მართალია, XXI საუკუნეს, გლობალიზაციის ეპოქას ბევრი უარყოფითი მხარე აქვს, მაგრამ დადებითი მხარეებიც გააჩნია. გლობალიზაცია

შობს კავშირებს. ჩვენ ბევრ სახელმწიფოსთან ვურთიერთობთ. გვაქვს საქმიანი მოლაპარაკებები. სულ უფრო და უფრო ვერთვებით მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში. გლობალიზაციის ერთიან პროცესში ჩართული ქვეყნები ორიენტირებული არიან ურთიერთდახმარებაზე. საქართველოსაც არაერთხელ მიუღია სხვა ქვეყნებიდან სესხები თუ გრანტები, რაც ჩვენი ქვეყნის გაძლიერებისთვის იყო გამიზნული. საინტერესოა, რა დოზით მოგვიტანა გიგანტ სახელმწიფოებთან მეგობრობამ გლობალიზაცია, და ხომ არ წაგვართვა ტრადიციები? ყველა „გლობალიზებულ" ქვეყანაში, და მათ შორის არც საქართველოა გამონაკლისი, პოპულარულია „კოკა-კოლა", „მაკდონალდსი", მსოფლიო ბრენდები... ჩვენც „შემოვუშვით" საქართველოს საზღვრებს შიგნით ინტერნეტი, ფიჭური კავშირები... დავამკვიდრეთ ამერიკული რეპი, პოპ-მუსიკა, ბრეიქდანსი... გემოდიფიცირებულ საკვებსაც გავუსინჯეთ გემო. ჩვენც ავლაპარაკდით „ვესტერნიზაციული" სიტყვებით: Hellow, bye-bye , ok… გლობალიზაციას თან შემოჰყვა შიდსი, ნარკომანია... გამოიწვევს კი ეს ყოველივე ჩვენი ეროვნული ტრადიციების დავიწყებას? მჯერა, ეს არ გვემუქრება. დღევანდელ საქართველოში მიმდინარე მოვლენები არ მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ტრადიციები უარყოფილი და უგულებელყოფილია. ხშირად იმართება ეროვნული საღამოები, მსვლელობები, ინტელეტუალური, კულტურული, სპორტული ღონისძიებები. ახალგაზრდათა უმრავლესობა მოწოდებულია ქართული ფოლკლორის შესწავლით. ამ ბოლო დროს რელიგიურადაც განმტკიცდა ქართველი ერი. იგება ახალი ეკლესიები, ძველ ტაძრებსა და ისტორიულ ძეგლებს რესტავრაცია უკეთდება. საზოგადოებაში იყო მტკიცე მოსაზრება, რომ მეცნიერების გვერდით რელიგია დასუსტდებოდა ან საერთადაც, გაქრებოდა ადამიანთა ცხოვრებიდან, „განათლებული" ხალხი რელიგიას ცრურწმენად შერაცხავდა და ის დაკარგავდა მნიშვნელობას, არ იქნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა. მინდა, ვთქვა, რომ ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა, და მეტიც, რელიგია დღეს იმდენად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს, რომ ხშირად ის ხალხის დასარაზმად არის გამოყენებული სხვადასხვა კამპანიებისთვის და მას გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის.

ქართველების ერთი დიდი ტკივილი დაკარგული ტერიტორიებია: აფხაზეთი, ოსეთი. კონფლიქტი აფხაზეთთან! კონფლიქტი ოსეთთან! კონფლიქტი რუსეთთან! ამ უკანასკნელთან კონფლიქტის გადაჭრა რთული საკითხია. რუსეთი ჩვენთან შედარებით უფრო დიდ ძალას წარმოადგენს. სწორედ ამიტომაა, დახმარებისათვის სხვებს რომ მივმართავთ. ერთ-ერთ მთავარ

დამხმარე ძალად კი, ნატო – ერთერთი საერთაშორისო (იგივე გლობალიზაციური) ორგანიზაცია – მიგვაჩნია. შეიძლება, ნატოში გაწევრიანებამ მართლაც მოგვიგვაროს ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთან, თუმცა, შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს: ნატოში შესვლამ აფხაზეთისა და ოსეთის გაღიზიანება გამოიწვიოს.

გლობალიზაციის პროცესი საქართველოში ცალმხრივად არ მიმდინარეობს. არამხოლოდ უცხო ქვეყანათა კულტურა, მათ მიერ წარმოებული სამომხმარებლო პროდუქცია შემოდის ჩვენთან, არამედ ჩვენიც გადის საზღვრებს გარეთ. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში იცნობენ ქართულ წყლებს, ღვინოს, ხილ–ბოსტნეულს, რძის ნაწარმს... თუმცა ამ მხრივ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. საქართველოს დიდ სარგებლობას მოუტანს ექსპორტზე გასვლა.

ქართული კულტურის მოღვაწეები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, აცნობენ საქართველოს სხვებს და აღტაცებასაც იწვევენ მათში. კარგი განათლების მიღების მიზნით, ქართველი ახალგაზრდები მსოფლიო ქვეყნების პრესტიჟულ სასწავლებლებში სწავლობენ. სწავლის დასრულების შემდეგ ისინი სამშობლოს უბრუნდებიან. განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე მოქალაქეები ქვეყნის პროგრესს განაპირობებს. ამასთან დავსძენ, რომ ბევრი საზღვარგარეთ რჩება და იქ იკეთებს კარიერას. მიგრაციის პროცესი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ნიჭიერი ადამიანები ტოვებენ. საქართველოში ჯერ კიდევ არის უმუშევრობის პრობლემა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი. ქვეყნის აღმშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაა. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს განათლებას. ამ მხრივ არ არის საგანგაშო მდგომარეობა. საქართველოში დღეს ბევრი სასიკეთო რამ კეთდება განათლების სფეროში: შენდება და რემონტდება საგანმანათლებო ცენტრები. წიგნებთან ერთად სწავლის სხვა საშუალებებიც გაჩნდა, მაგალითად, ინტერნეტი. საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებში გახსნილია უფასო რესურს-ცენტრები, სადაც შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა. ინტერნეტი, მაგრამ აუცილებლად, არა წიგნის მაგივრად, არამედ მის გვერდით, გლობალიზაციის დადებითი მხარეს წარმოადგენს. განათლების დონე საქართველოში დღითიდღე იზრდება და აკმაყოფილებს მაღალ მოთხოვნებს. არის პერსპექტივა მსოფლიო დონის განათლების საქართველოში მიღებისა. საქართველოში უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება ტექნიკური პროგრესი, ვითარდება სამეცნიერო სფერო.

დღეს საზოგადოება უფრო გამოცოცხლებული და აქტიურია უწინდელთან შედარებით. ქვეყნის პროგრესულობის დონე განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება და პასუხობს მისი მდგომარეობა აღიარებულ მსოფლიო სტანდარტებს ეკონომიკის, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, ჯანმრთელობის, განათლების და სხვა სახის მომსახურების დარგებში. საქართველო მეტნაკლებად პასუხობს მსოფლიო სტანდარტებს. მართალია, ეკონომიკური თვალსაზრისით, მაღალ საფეხურზე არ ვიმყოფებით, მაგრამ თანდათან ავდივართ საფეხურებზე და იმედია, უახლოეს მომავალში, ზედა საფეხურებზეც აღმოვჩნდებით.

საქართველოში ხდება უცხოური ინვესტიციების დაბანდება, რაც გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობით. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ არ მივესალმები იმ ფაქტს, რომ „იყიდება საქართველო მინდორ-ველით." საქართველო ბუნებრივი სიმდიდრით გამორჩეული ქვეყანაა, რაც ტურისტების მოზიდვის ეფექტური საშუალებაა. ჩვენ თავად უნდა გამოვიყენოთ გონივრულად ეს სიმდიდრე. კარგია, რომ საქართველოში დღითიდღე ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა. დიდი ყურადღება ეთმობა ნაკრძალების მოვლა-პატრონობას. დაიწყო გამწვანების პროგრამა, რომელიც ხეების დარგვას და ტყეების მოვლა-პატრონობას ითვალისწინებს. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, მოექცეს სამყაროს ყურადღების ცენტრში, იყოს მსოფლიო მასშტაბის მოვლენების მამოძრავებელი ძალა. ჩვენ გვაქვს შანსი, მოწინავე ადგილი დავიკავოთ თანამედროვე მსოფლიოში. ამას ღირსეულად უნდა მივაღწიოთ. როგორც მწერალი უ. ფოლკნერი აღნიშნავს, „ კაცობრიობის ვალია, რომ უბრალოდ კი არ გადარჩეს, არამედ ღირსეულად გამარჯვებული გამოვიდეს იმ ბრძოლიდან, რომელსაც ის მუდმივად ეწევა თვითდამკვიდრებისათვის." კაცობრიობის მიერ ამ მისიის შესრულებაში ყველა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომაც უნდა შეიტანოს წვლილი. ამისათვის კი საჭიროა, ბევრი რამ ვისწავლოთ და გადმოვიღოთ იმ სამყაროსაგან, რასაც „დასავლური ცივილიზაცია" ჰქვია და რომელიც გლობალიზაციის მშობელია. ამაში სულაც არ იგულისხმება ის, რომ დასავლური ტენდენციები თვალდახუჭულად დავამკვიდროთ ჩვენს ქვეყანაში. ეს ბუნებრივი გზით უნდა მოხდეს და ამასთან, გონივრულად. გლობალიზაციისაგან თავის არიდებას არავითარი აზრი არა აქვს და მისგან განდგომა ქვეყნის იზოლაციას, ჩამორჩენას მოასწავებს, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ გლობალიზაციამ არ შეგვილახოს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ინრტერესები, არ შეგვირყიოს ის თვითმყოფადი

ეროვნული ტრადიციები, კულტურული ფუნდამეტური ფასეულობები, რასაც ეფუძნება ჩვენი ერი. გლობალიზაციამ რომ ჩვენი ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის „ჩაყლაპვა" არ გამოიწვიოს, საჭიროა ყურადღების მობილიზება. არასოდეს უნდა დავივიწყოთ ის, რაც მემკვიდრეობით გვერგო ჩვენი წინაპრებისაგან, ის, რის გამოც ქართველი ყოველთვის სიამაყეს განიცდიდა და პატივს იმსახურებდა სხვათა მხრიდან. ტექნიკური მიღწევა, როგორი დიდიც არ უნდა იყოს იგი, არ არის ეროვნული, რადგან ის არ არის სულის გამოძახილი. კულტურა მით უფრო მაღალი და ღირებულია, რაც უფრო ეროვნულია ის. მისი გაქრობა იწვევს მრავალფეროვნების შეცვლას ერთფეროვნებით. არ უნდა დავუშვათ სასიცოცხლო საფუძვლების რყევა. ამისთვის სულაც არაა საჭირო სხვათა ინტერესების უგულებელყოფა. ჩვენ უნდა შევძლოთ კარგისა და ცუდის ერთმანეთისაგან გარჩევა.

დასკვნის სახით, საქართველო გლობალიზირებული ქვეყანაა, მაგრამ ამასთან – ტრადიციულიც. საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს. ჩვენი მენტალიტეტი უახლოვდება როგორც აზიურს, ასევე ევროპულს და მაინც, გ. ასათიანის სწორი შენიშვნით, „საქართველო არც აღმოსავლეთია და არც დასავლეთი, არც მათი სინთეზი, ის საკუთარ თავში შეიცავს ყველაფერ იმას და მაინც განსხვავებული ფენომენია სამყაროში."

ეკატერინე ღვინიაშვილი

სსიპ გორის უნივერსიტეტი მაგისტრატურა

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები. ისტორიული სწრაფვა ევროპისაკენ და ინტენსიური თანამშრომლობის პოლიტიკა

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გოგოლაძე

საუკუნეთა მანძილზე ერთ კონტინენტზე მდებარე სახელმწიფოთა ისტორიულ ურთიერთობებში წინააღმდეგობის, ომებისა და სხვადასხვა მილიტარისტული გაერთიანებების პარალელურად ჩნდებოდა სწრაფვა ერთიანი სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებისაკენ.

ეს სწრაფვა ჩვენს ქვეყანაში ჯვაროსნული მოძრაობიდან იწყება და გრძელდება მე-17, მე-18 საუკუნეებიდან. სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა, რომელსაც მაჰმადიანური აღმოსავლეთი წალეკვით ემუქრებოდა, სწორედ ევროპისაკენ იშვერს ხელს. ამისი უდაო გამოხატულება იყო, მე-18 საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფის, ვახტანგ VI-ის მიერ გადადგმული ნაბიჯი, გაეგზავნა საიდუმლო დიპლომატიური მისიით თავის აღმზრდელ-მასწავლებელი, ქართველთა დიდი გულშემატკივარი მწერალი და სასულიერო პირი, სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წ.წ.), ევროპაში სამოგზაუროდ. იგი ახერხებდა საფრანგეთისა და იტალიის სახელმწიფოებრივ, თუ უმაღლეს რელიგიურ ინსტანციებთან კავშირის დამყარებას და საქართველოს სწრაფვას – მიეღო პოლიტიკურ-თავდაცვითი დახმარება ევროპის სახელმწიფოებისაგან.

ბიზანტიის დამხობის შემდეგ, კულტურულ ცენტრებს დაშორებული საქართველო, მიუხედავად, სპარსეთ-ოსმალეთისაგან საშინელი იზოლაციისა და დეპრესიისა, მაინც ამტკიცებდა კავშირს ევროპასთან, რომელიც ტფილისის მმართველი წრეებისათვის თანდათან მესსიანისტურ სახეს იღებდა.

„განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ კავშირს მე-18 საუკუნეში, მაგრამ გეოგრაფიული სიშორე და ამავე დროს ევროპის სახელმწიფოებისათვის წინა აზიასა და კერძოდ, საქართველოში ამ დროს რეალური ინტერესების უქონლობა, შეუძლებლად ხდიდა, ჯერჯერობით უშუალო კავშირის გაბმას ტფილისიდან დასავლეთ ევროპის ცენტრებისაკენ და ამიტომაც, ქართველ მოწინავე პირთა მიდრეკილება, ევროპის კულტურისაკენ ვერ პოულობდა ამ დროს შესაფერ პირობებს, თავის განსავითარებლად და ვერც შესაფერ გამოძახილს, ადგილობრივ საქართველოში“. (3, cv).

ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე ასე წერდა იზაბელა კასტილიელს: „ბვგონია და კიდევაც ვხედავთ, რომ ამიერიდან დასავლეთის მზე უკვე იწყებს დედამიწის მთელი დანარჩენი ნაწილის მოფენას, თავისი დამაბრმავებელი ბრწყინვალებითო“. (3, cv).

ს.ს. ორბელიანმაც თავისი შეხვედრისას საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-სთან (1712 წელს) ასე გამოკვეთა ქართველთა სურვილი:

„დიდებულო მეუფეო, თქვენი ხელმწიფობა შეიქმნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი, თვით იმ დაშორებულ ადგილებში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა“. (3, cv).

(ს.ს. ორბელიანმა, გააცნო საფრანგეთის მეფეს საქართველოს მძიმე მდგომარეობა და სთხოვა ვახტანგ მეფის განთავისუფლება სპარსეთის

ტყვეობიდან, რისთვისაც საჭირო იყო 300 000 ეკიუს გაღება სპარსეთის გავლენიან პირთა დასასაჩუქრებლად, სანაცვლოდ, საქართველოს ელჩი ჰპირდებოდა ფრანგ კომერსანტებს სავაჭრო გზას საქართველოზე...) [2, IX].

მაგრამ, ამ დროისათვის საფრანგეთი უკვე აგონიაში იყო. ძველი, დაშლილი მანქანა ინერციითღა მოძრაობდა. ესპანეთის საბატონოსათვის ატეხილი ომები, ინგლისის გაბატონების საფრთხე ზღვაზე, შეუძლებელს ხდიდა საქართველოსთვის რეალური დახმარების აღმოჩენას. ასეც მოხდა, ს.ს. ორბელიანის მისია უშედეგო აღმოჩნდა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ევროპასთან სამეზობლოდ პირველი და აუცილებელი მიზნები:

1. ქვეყნის დაცვა მაჰმადიანური სამყაროს ინტეგრაციისაგან, ანუ პოლიტიკურ-თავდაცვითი (სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან ერთად) და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარების პერსპექტივა.
2. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ XIX საუკუნეში და მისმა შემდგომმა ინტეგრაციამ საბჭოთა კავშირის ფარგლებში XX საუკუნეში ევროპასთან სამეზობლო პოლიტიკა, ძირითადად განსაზღვრა საგანმანათლებლო-კულტურულ კავშირებში.

სსრ კავშირის დაშლის შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს მიზნები გაცხადდა: სტრატეგია მჭიდროდ დაუკავშირდა ევროპასთან ინტენსიური თანამშრომლობის პოლიტიკას, რომელიც თავად ევროკავშირმაც შესთავაზა საქართველოს.

1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რობერტ შუმანმა წამოაყენა იდეა დასავლეთ ევროპის ნახშირისა და ფოლადის საბადოების გაერთიანებისაკენ. შუმანის გეგმა მიზნად ისახავდა ევროპაში ომების თავიდან აცილებას, ანუ ორი უმთავრესი სახელმწიფოს, გერმანიისა და საფრანგეთის მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და შემდგომი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. შუმანის გეგმაში იდეალისტური მიზნების მიუხედავად, გათვალისწინებული იყო ექვსი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე კონტროლის შენარჩუნების მექანიზმი ე.წ. მინისტრთა საბჭოს სახით. მაგრამ, წინააღმდეგობების მიხუედავად შუმანის გეგმამ გაამართლა და საფუძველი ჩაეყარა ახალი იდეის ხორცშესხმას – „ევროპის თავდაცვის გაერთიანების შექმნას“ (1952 წ.).

„დაიწყო პოლიტიკური კავშირის მოსამზადებელ ხელშეკრულებაზე მუშაობა, რომელიც ითვალისწინებდა საგარეო ურთიერთობების ეკონომიკური და მონიტარული პოლიტიკის კოორდინაციასა და გაერთიანებას. აღსანიშნავია, რომ ამ ხელშეკრულების მოწყობის მოწერის შემთხვევაში მივიღებდით უფრო მეტად ინტეგრირებულ ევროპას, ვიდრე ეს მივიღეთ 1991 წელს, მაასტრიხტში მოწერილი ხელშეკრულების შემდეგ“ [1, 5].

მიუხედავად, 60-70-80-იან წლებში ევროპის ქვეყნებს შორის ინტეგრაციის პროცესების დაჩქარება-შენელებისაკენ სწრაფვისა, ევროკავშირის განვითარებისათვის ახალი ეტაპი დადგა 1991 წელს. ეს სწორედ მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, როდესაც გამოიკვეთა ის სამი საყრდენი (ევროპის ეკონომიკური გაერთიანებები, მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა), რომელსაც ეფუძნება ევროკავშირი. მაასტრიხტის ხელშეკრულებით ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა გადაიზარდა უფრო თანმიმდევრულ და მრავლისმომცველ საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკაში. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ეკონომიკური ინტეგრაცია კიდევ უფრო წინ წასწია. შემუშავდა ეკონომიკური და ფულადი ერთიანობის სტრუქტურა, რასაც 2001 წ. ერთიანი ევროპული ფულადი ერთეულის, ევროს შემოღება მოჰყვა.

გარდა ამისა, ჩამოყალიბდა სპეციალური სააგენტოები გარკვეული ტექნიკური, სამეცნიერო, თუ მმართველობითი ამოცანების შესასრულებლად. [2, 4].

მაღალგანვითარებული ქვეყნების ინტეგრაციის პროცესი სწრაფად წარიმართა და უკვე ბევრ სახელმწიფოს გაუჩნდა სურვილი შეერთებოდა ევროკავშირს. პროცესს ფარული ინტერესით ადევნებდა თვალს საქართველო, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკა.

ევროკავშირის ისტორიულმა გაფართოებამ საშუალება მისცა სახელმწიფოთა ამ დიდ გაერთიანებას, გადაედგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების და სტაბილურობის ხელშეწყობის საქმეში.

2003 წლის მარტში, ევროკავშირის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი – „გაფართოებული ევროპა-მეზობლობა; ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობის“, რომელიც ევროკავშირის საბჭომ მოიწონა, გზას უხსნიდა საქართველოსაც.

და აი, 2005 წლის მარტში, ევროკომისიამ წარმოადგინა ანგარიშები აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შესახებ, სადაც რეკომენდაცია გაუწია მოლაპარაკებების დაწყებას ამ ქვეყნებისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.

სტაბილური სამეზობლოს არსებობა ევროკავშირის სასიცოცხლო ინტერესებშიც შედის. ამდენად, ის მეზობლებთან ურთიერთობის გაძლიერებას ცდილობს და სწორედ ამ მიზნით, შემუშავდა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“.

ევროკავშირის გაფართოების შედეგად, სამხრეთი კავკასია ევროპას დაუახლოვდა და საქართველოში დემოკრატიის დამყარება საბაზრო ეკონომიკის წარმატებასთან ერთად, ევროკავშირის სტრატეგიული ინტერესების საგანია.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“, გაწევრიანების შესახებ. ამით, მან დაადასტურა უფრო აქტიური ჩართვა რეგიონის განვითარებაში. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“ სამხრეთი კავკასიის ქვეყნებს სთავაზობს გარრმავებულ პოლიტიკურ ურთიერთობებს და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც ეფუძნება საერთო ღირებულებებს, საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებს. [3, 5].

ევროკავშირი სთავაზობს საქართველოს ინტენსიურ თანამშრომბლობას პოლიტიკის, უსაფრთხოების, ეკონომიკის და კულტურის საკითხებში, რაც ისტორიულად მომდინარეობს თავად საქართველოს მიზნებიდან მე-18 მე-20 სს-ში.

ევროკავშირი ითვალისწინებს, რა საქართველოს აშკარა სწრაფვას ევროპისაკენ, მიესალმება მის მზადყოფას, გააღრმავოს თანამშრომლობა სამოქმედო გეგმაში ასახულ ყველა სფეროში.

სამოქმედო გეგმა, რომელზედაც შეთანხმდნენ ევროკომისია, ევროკავშირის თავმჯდომარე, მის საერთო, საგარეო უსაფრთხოების უმაღლეს წარმომადგენელთან კონსულტაციის გზით, ძალაში შევიდა 2004 წლის 14 ნოემბერს. სამოქმედო გეგმა ხუთწლიანია და მისი განხორციელება დაეხმარება „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ დებულებების სრტულყოფას. იგი მნიშვნელოვნად დაემხარება საქართველოს, თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან დაახლოების საქმეში.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ხელს უწყობს ახალი ტიპის საპარტნიორო ურთიერთობების შექმნას, რაც ქმნის პერსპექტივას ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობიდან, უფრო ღრმა ინტეგრაციაზე გადასასვლელად, რათა საქართველოშიც თანდათანობი გავრცელდეს „ოთხი თავისუფლება“ და შესაძლებელი გახდეს, თავის მხრივ საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პოლიტიკასა თუ პროგრამაში.

სამოქმედო გეგმაში დასახულია 8 პრიორიტეტული სფერო, რომელთაგანაც გამოვყოფდით ევროპის მიმართ საქართველოს სამეზობლო პოლიტიკისათვის, მეტად მნივნელოვან მე-6 და მე-7 პრიორიტეტებს, რომლებშიც ჩამოყალიბებულია შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა (პრიორიტეტული სფერო №6) და თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში (პრიორიტეტული სფერო №7).

თავის მხრივ, ევროკავშირის ინტერესები საქართველოში მიზნად ისახავს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, საქართველოს მიმართ გამახვილებულ ინტერესს. საქართველო წარმოადგენს ერთგვარ ლაბორატორიას ევროკავშირისათვის, სადაც შეიძლება პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ ტენდენციებზე დაკვირვება, ტრანსატლანტიკური კავშირების სიმტკიცის შემოწმება, ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობების გამოცდა. ამდენად, ევროკავშირი დაინტერესებულია აგრეთვე, აფხაზეთისა და ცხნივალის კონფლიქტების მოგვარებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგიონი ბლოკადების და კონფრონტაციის არენად იქცევა.

ახალი ომი შესაძლოა შავი ზღვის რეგიონზეც გავრცელდეს და დაემუქროს ევროკავშირის წევრი, თუ კანდიდატი ქვეყნების უსაფრთხოებას პირდაპირ, თუ ირიბად.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პრიორიტეტების ხორცშესხმის პროცესი უკვე დიდი ხანია დაწყებულია და სრულყოფილად მიმდინარეობს.

ევროკავშირის როლი და დახმარება განსაკუთრებულად გამოიკვეთა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სერგი კაპანაძე, „ევროკავშირის პოლიტიკა“, თბ., 2006, გვ. 5;
2. „სიბრძნე-სიცრუისა“, გ. ლეონიძის წინასიტყვაობით, თბ., 1948, „შრომა, გვ. CV, CIX“;
3. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“, გვ. 5.

ქეთი ბერიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

ფსიქოლოგია ხელოვნებისა და რელიგიის კვალდაკვალ

ხელმძღვანელი: პროფესორი კახი კოპალიანი.

ადამიანის სულიერი ცხოვრების მიმართ პროფესიული ინტერესი მხოლოდ ფსიქოლოგიას არ გააჩნია. ამ კუთხით საინტერესოა ფსიქოლოგიის კავშირი საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ადამიანური მოღვაწეობის ისეთ სახეებთან, როგორიცაა ხელოვნება და რელიგია.

ხელოვნება. ფსიქოლოგიას , რომელიც ორიენტირებულია რეალურ ცხოვრებისეულ პირობებში მიმდინარე ფსიქიკურ მოქმედებაზე, შეუძლია მოიცვას ინდივიდისა და სამყაროს ურთიერთობათა მრავალფეროვნება. ამით არსებითად ფართოვდება ფსიქოლოგიის სფერო. მასში შედის არა მხოლოდ ცნობიერების შინაარსები, არამედ ფსიქიკის ინდივიდუალური გამოვლინებებიც. ამგვარად, ის ხდება მყარი საფუძველი ფსიქოლოგიის ისეთი დარგებისთვის , როგორიცაა ბავშვისა და პედაგოგიური, დიფერენციალური, ხელოვნების, იურიდიული და სხვა ფსიქოლოგია.

ძნელია შემოქმედების ნიშნის გარეშე მოვიაზროთ ადამიანის ნამდვილი ბუნება. შემოქმედება ჩვენი მარადიული მოსწრაფებებისა და უმაღლესი ღირსებების საქმეა. ადამიანისა და საზოგადოების იდეალი , მისი თავისუფლება, შემოქმედებითი ცხოვრების დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული.

ხელოვნებასთან ფსიქოლოგიას ბევრი რამ აკავშირებს, მაგრამ არსებობს სერიოზული განმასხვავებელი ნიშნებიც. ფსიქოლოგია მეცნიერებაა დაჭეშმარიტებაზე, ცოდნის მოპოვებაზეა მიმართული, ხელოვნება კი გარეგანი და შინაგანი სამყაროს ესთეტიკურ გადამუშავებასა და გადმოცემას ცდილობს.

ხელოვნებისგან მეცნიერებას ისიც განასხვავებს, რომ იგი, როგორც წესი მიისწრაფის მაქსიმალურად გაუპიროვნებელი ცოდნისკენ, ხოლო ხელოვნებისთვის მთავარია ორიენტაცია შემოქმედის უნიკალურ პიროვნებაზე, მის მიერ სამყაროს სუბიექტურ ხედვაზე. ხელოვნების ნაწარმოებში, უფრო ხშირად, სწორედ ესაა ყველაზე საინტერესო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელოვნებაში იმარჯვებს ის ნაწარმოები, რომელიც შეიცავს ფსიქოლოგიურ სიმართლეს, რომლის გმირები სრული ფსიქოლოგიური სიმართლით მოქმედებენ. ფსიქოლოგიური სიმართლის ცნებაში იგულისხმება ნაწარმოების გმირის განცდების, ხასიათის, მთელი მისი ფსიქოლოგიური სამყაროს შესატყვისობა ნაწარმოების იდეურ შინაარსთან და იმ სიტუაციებთან, რომელშიც იშლება პერსონაჟის მოღვაწეობა. ცხოვრებაში ყოველ

ადამიანს აქვს ხასიათი და ტემპერამენტი, ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ადმიაანის ტიპი შეუძლებელია მოკლებული იყოს ხასიათსა და ტემპერამენტს. ამიტომ მხატვრული ნაწარმოები, რომლის გმირებს არ გააჩნიათ გამოკვეთილი ხასიათი და ტემპერამენტი, მდარე ხარისხისაა, ადამიანის ბუნების უცოდინრობაზეა აგებული. რაც შეეხება მეცნიერებას, მისი იდეალია ობიექტურობა, თვალსაზრისების განსხვავებულობათა მინიმიზაცია და საყოველთაოდ მისაღები ცოდნის მიღწევა.

უძველესი დროიდანვე არსებობდა სინამდვილის შემეცნების ორი გზა- ფილოსოფიის(მეცნიერების) და ხელოვნების. მათ შორის ხშირად წარმოებდა მეტოქეობაც. თავიდანვე, როგორც ხელოვნებას, ისე ფილოსოფიას, სამყაროს ასახვის პრეტენზია ჰქონდა. არისტოტელეს მიხედვით, ხელოვნების შემეცნება ზოგადის წვდომაა; ფილოსოფია ზოგადს წვდება ცნებებით, ხელოვნება- შემოქმედებითი ფანტაზიით. მეცნიერებისაგან განსხვავებით, ხელოვნების დანიშნულებას შეადგენს სინამდვილის მხატვრული ასახვის გზით ესთეტიკური ტკბობა. მრავალფეროვანი სინამდვილის შემეცნებაში ხელოვნების როლი ფილოსოფიის თნაფასოვანია.

ფსიქოლოგიას ესაჭიროება იმის ცხადყოფა, რომ საერთოსთან ერთად საჭიროა შესაძლებელი თავისებურის კვლევა, რომ ზოგადის კონკრეტული განხორციელება ყოველთვის შეიცავს ინდივიდუალობის მომენტს, რომ ინდივიდუალურ განსხვავებებში ვლინდება ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ყველაზე ზოგადი კანონზომიერებები, რომ ინდივიდუალური თუ ჯგუფური ვარიაციულობა უნივერსალური ფენომენი და ადამიანური ქცევის არსებითი თვისებაა. ადამიანის დიფერენციალურ- ფსიქოლოგიური მახასიათებლები რეალური მოვლენებია, რომლებიც სტაბილურად იჩენენ თავს. მაგალითად, მათმატიკური ან მხატვრული ინტელექტის ტიპის ადამიანი ინდივიდუალურ თავისებურებებს მრავალი წლის განმავლობაში და სხვადასხვა სიტუაციაში ავლენს. ადამიანთა ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენა თავიდანვე სტიმულირებული იყო საზოგადოებრივი პრაქტიკის ამოცანებით.

როგორც ხელოვნება , ისე ფსიქოლოგია, ცდილობს ადამიანის ხასიათის ბუნების, ხასიათის მიხედვით ადამიანთა შორის განსხვავებულობის დადგენას. ხელოვნება ამას აღწევს ტიპიზაციის მეოხებით. ტიპი ყოველთვის გამოხატავს ადამიანის დახასიათებას ჭარბი, მისთვის დამახასიათბელი ნიშნებით. ფსიქოლოგიაში ტიპოლოგიური სისტემები ემყარება ხასიათის ერთი ან რამდენიმე ნიშნის სიჭარბის პრინციპს. მაგ.: გამოყოფენ გრძნობის, გონების ადამიანის ტიპებს, ან ჰარმონიულ და კონფლიქტურ ადამიანებს. ხელოვნებაში კი ერთი ჭარბი სულიერი ნიშნის(სიძუნწე, ეჭვი, პატივმოყვარეობა) წინ წამოწევის საფუძველზე დახატულია მთლიანად ადამიანის ხასიათი, მისი საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების ყველა მხარე.

ხელოვნებისა და მეცნიერების აუცილებელი კავშირი და ამავე დროს მეტოქეობა, მათ შორის ნათლად ჩანს ადამიანის ხასიათის ტიპის არსის შესწავლისას. ამ გარემოებამ განსაკუთრებით იჩინა თავი XIX – XX საუკუნეებში, როდესაც ერთი მხრივ, მეცნიერულმა ფსიქოლოგიამ თავის ერთ-ერთ ამოცანად ადამიანის ხასიათის მეცნიერული შესწავლა დაისახა და მეორე მხრივ, ხელოვნებაში განმტკიცდა რეალიზმი. სწორედ რეალისტური ხელოვნება მიიჩნიეს პროგრესული კაცობრიობის მოწინავე მიმართულებად. მხატვრულ შემოქმედებაში პერსონაჟების ხასიათის ტიპების მთელი სისრულით მოცემა რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ხელოვნებისა და მწერლობის დიდმა

წარმომადგენლებმა მართლაც შექნეს ხასიათის მრავალი განსხვავებული ტიპი.ხელოვნების მიერ შექმნილ ხასიათის ბრწყინვალე გალერეაში ასახულია ადამიანის მრავალფეროვანი სულიერი სამყარო.

მეცნიერება ძირითდად ზოგადი კანონზომიერების დადგენაზეა ორიენტირებული, ხელოვნება კი პირიქით, ინდივიდუალობის გამოვლენაზე, ადამიანის, როგორც სოციალური ინდივიდის, ზოგადადამიანური და განმასხვავებელი თვისებების არსის შემეცნებისკენაა მიმართული, თუმცა განზოგადებას, ცხადია, ისიც მიმართავს. ეს განსხვავება არ არის უნივერსალური, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებებთან მიმართებაში. ფსიქოლოგიაც ცდილობს ზოგადი კანონზომიერებების დადგენას, მაგრამ თავისი ჰუმანიტარულობის გამო ვერ შემოიფარგლება აბსტრაქტული, განზოგადებული ადამიანური ფსიქიკის შესწავლით. კონკრეტული და განსაკუთრებული შეთხვევები მისი კვლევის პირდაპირი საგანია. ფსიქოლოგია პრეტენზიას გამოთქვამს პიროვნების შესწავლაზე; პიროვნების გამორჩეული ნიშანი კი მისი უნიკალურობაა. იგი ყოველთვის ერთეულ და ინდივიდუალურ ფორმაშია მოცემული, ანუ ისე, როგორც მას ხელოვნება აშუქბს. ადამიანის ხასიათის შემეცნებას ცდილობს ხელოვნებაც და მეცნიერებაც, ორივე ერთსა და იმავე მოვლენას იკვლევს, ოღონდ განსხვავებული გზებით, მეთოდებით, თავისებური მიდგომით. პიროვნების დახასიათების თვალსაზრისით ფსიქოლოგიასა და ხელოვნებას, კერძოდ ლიტერატურას, კონკურენტებადაც კი მიიჩნევენ ხოლმე.

პიროვნების დახასიათების მხრივ ახალგაზრდა ფსიქოლოგიური მეცნიერება ხშირად ვერ უტოლდებოდა უძველესი ტრადიციების მქონე ლიტერატურას, რაც აღმაშფოთებელ შეფასებებს იწვევდა, კერძოდ, რომ ხელოვნების ნიმუშებში მეტი ფსიქოლოგიაა, ვიდრე ყველა ფსიქოლოგიურ სახელმძღვანელოში. ხელოვნება სიბრძნის წყაროა. დიდმა რუსთაველმა პოეზია სიბრძნის ერთ-ერთ დარგად აღიარა: ”შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი”.[1] რუსთაველმა პოეზიას უმაღლესი ჭეშმარიტების წვდომის შესაძლებლობა მიანიჭა. ხელოვნებას შეუძლია ცხოვრების აზრის შემეცნებასთან, ცხოვრების წვდომასთან ერთად უმაღლესი ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება. რუსთაველმა ”ვეფხისტყაოსანში” აჩვენა კიდევაც, რომ დიდი ხელოვნება იქმნება სინამდვილის ღრმა ანალიზის, მისი შემეცნების, ფსიქოლოგიის, მეცნიერების დიდი ცოდნის საფუძველზე. ხელოვნების ბევრი წარმომადგენელი იმ აზრისაა, რომ ხელოვანს მეცნიერების დახმარების გარეშეც შეუძლია ზემოდან მომადლებული შთაგონებით ჩაწვდეს, განჭვრიტოს ადამიანის შინაგანი ბუნება, მისი სულიერი სამყაროს საიდუმლოება. ხელოვნების ზოგიერთი მსახური ამჟამადაც ადამიანის ბუნების შემეცნებაში მაღლა აყენებს ხელოვნებას და სრულიად უგულებელყოფს ფსიქოლოგიის დიდ მიღწევწებს. ზოგიერთების აზრით, ამბობს ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი გორდონ ოლპორტი,- ”ფსიქოლოგია ნაკლები სრულყოფილებითა და სიღრმით მხოლოდ იმეორებს იმას, რასაც ფილოსოფია და პოეზია ყოველთვის უკეთ იტყოდა”[2]. ერთხელ ლორდ დუნსაუმ შენიშნა: ”ფსიქოლოგები,ისე, როგორც გზის შემკეთბელი მუშები, მხოლოდ ორი დიუმით ჩადიან მიწაში, მაშინ, როდესაც პოეტები ამას აკეთებენ როგორც მემაღაროელნი, რომელნიც მთელი მილით მიდიან წიაღის სიღრმეში”[3]. ზოგს კიდევ პირიქით, ხელოვნებაში დიდი მიღწევები ვერ წარმოუდგენია მეცნიერების დახმარების გარეშე. მაგ.: ცნობილი გერმანელი თეატრმცოდნე ბ.ბრეხტი ამბობს: ” როდესაც მე მივუთითებდი, რომ

თანამედროვე მეცნიერებას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ხელოვნებას, რომ მე არ შემიძლია შემოქმედება ზოგიერთი მეცნიერების გარეშე, ზოგიერთებში ეს აზრი იწვევდა შეჭვებას ჩემს მხატვრულ ნიჭში”[4].

ასეთი დაპირისპირება უმართებულოა. მართალია, ფსიქოლოგიაც და ლიტერატურაც პიროვნებას ახასიათებს, მაგრამ ერთი მეცნიერების მეთოდით სარგებლობს, მეორე კი- ხელოვნების. ეს გარემოება სხვადასხვა სურათს გვაძლევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე რეალურად არსებულ პიროვნებებს ეხება. მაგ.: ლიტერატურასა დამეცნიერებაში შექმნილი გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები. ფსიქოლოგიური დახასიათება ნაკლებ მხატვრულია, ნაკლებ მეტაფორული და სახალისო. სამაგიეროდ ის უფრო ზუსტი და მკაცრია იმ მხრივ, რომ ლოგიკურად გამომდინარეობს მეცნიერული საფუძვლიდან. ისიც აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ფსიქოლოგია თანდათან სრულყოფს ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია გამოვლინდეს და საკმარისი სიზუსტით შეფასდეს ყოველი პიროვნების ფსიქიკური თავისებურებანი.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელოვნებაც და ფსიქოლოგიაც ადამიანის სულიერი სამყაროს წარმოჩენისთვის იბრძვის, მაგრამ განსხვავებული კუთხით. ხელოვნება პიროვნების შინაგან მდგომარეობასა თუ გრძნობა-განცდებს ესთეტიკური სილამაზით გადმოგვცემს, ფსიქოლოგია კი ნაკლებ მხატვრული, თუმცა მეცნიერული საფუძვლებიდან გამომდინარე.

რელიგია. რელიგიას, ფსიქოლოგიის მსგავსად, აქვს პრეტენზია, რომ ფლობს ცოდნას ადამიანის ფსიქიკის, ანუ სულის თავისებურებების შესახებ,მაგრამ ეს ცოდნა სხვა გზით მიიღწევა, რადგან მეცნიერება და რელიგია სამყაროს შეცნობის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენენ.

მეცნიერება იკვლევს ქვეყნიურ სინამდვილეს, ემპირიულ სამყაროს , ყოველივე ხილულს, წუთისოფელს იგი იფარგლება სამყაროს, პიროვნებისა და საზოგადოების ანალიზით, დედამიწაზე მოქმედ კანონებში მიზეზშედეგობრიობის ჯაჭვის გამოვლენით.

ამგვარი ძიების გზაზე იგი აწყდება ურთიერთსაპირისპირო მრავალმხრივობას. მოკვდავის თვალით დანახულ სამყაროში ხან კეთილი ზეობს, ხან ბოროტი, მზე ხან ხან სითბოთი ავსებს დედამიწას, ხან მცხუნვარებით ავერანებს. წვიმები მცენარეთა ზრდაზე კეთილად მოქმედებენ, ხშირად კი ნაყოფის დამწიფებას უშლიან ხელს. ამ შეუსაბამობათა გამო მეცნიერებას უჭირს მოვლენათა სიმრავლეში მართლზომიერებისა და მიზანშეწონილობის დადგენა, ამიტომ თავს არიდებს არსებობას. მიზეზისა და მიზნის განსაზღვრას, სამყაროს საწყისისა და სასრულის გარკვევას. იგი იფარგლება მხოლოდ ბუნების ფენომენთა კავშირებისა და თანმიმდევრულობის შესწავლით.

მეცნიერებას რელიგიისგან განასხვავებს მისი მზაობა, უარყოს თავისი თუნდაც საბაზისო პრინციპები და დებულებები, თუ ისინი კვლევით ”გამოცდას” ვერ გაუძლებენ. რაც შეეხება რელიგიურ ცოდნას, იგი მიმართულია ამოსავალი დოგმატების, რწმენის სიმბოლოების დადასტურებისკენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რელიგიურ ცოდნაში სამყარო მოცემულია ღვთიური ჩანაფიქრებისა და ძალების გამოვლინებად, ხოლო მეცნიერებაში, მაშინაც კი, თუ მეცნიერი რელიგიურია, სამყარო განიხილება შედარებით დამოუკიდებელ რეალობად, რომელიც თავისთავად უნდა იყოს შესწავლის საგანი.

ასეთივეა ფსიქოლოგიური მეცნიერებებისა და რელიგიის ურთიერთმიმართებაც. რელიგიებში მოცემულია დაქტრინები ადამიანური ბუნების სწორი, ანუ ღვთიური წყობის, მისი სულიერი სამყაროს, ფსიქიკის შესახებ. ფსიქოლოგია კი ცდილობს შეისწავლოს ადამიანი და მისი ფსიქიკა რაიმე ზებუნებრივი ძალებისაგან განყენებით და ყოველგვარი წინასწარი დაშვების გარეშე დაადგინოს, თუ როგორია ან როგორი უნდა იყო მისი ბუნება.

მაგალითისთვის ვნახოთ, თუ როგორ ხსნის ერთსა და იმავე ქცევას რელიგია (ქრისტიანობა) და ფსიქოლოგია. დავუშვათ, რომ ვიღაც კონკრეტულმა პირმა იქურდა. რელიგიის წარმომადგენელი იტყოდა, რომ იგი განუდგა ღვთის მცნებას ”არა იპარო” და ჩაიდინა ცოდვა, დაეცა, დამდაბლდა. მან თავისი დანაშაული იმით უნდა გამოისყიდოს, რომ მოინანიოს და დაუბრუნდეს ღმერთს, ანუ თავის ჭეშმარიტ ბუნებას. ფსიქოლოგი დაიწყებდა ძიებას, თუ რა პირობებში (გარეშე სიტუაცია), ვინ (პიროვნების ისტორია და ტიპი) და რატომ (მოტივაცია) ჩაიდინა მოცემული ქმედება და ამ ცნობების შეჯერების გზით, გამოავლენდა მის განმაპირობებელ ფაქტორს ან ფაქტორების ერთობლიობას (სოციალური გავლენა ან იძულება, პროვნული გადახრა ან დაუსრულებელი სოციალიზაცია და ა.შ.). ამასთან, ფსიქოლოგია ცხადია არ იტყოდა, რომ ადამიანის ”ჭეშმარიტი სულიერი ბუნების ” ეტალონად ის უნდა ჩითვალოს, ვისაც არასდროს ჩაუდენია ეს ქმედება. განსხვავება რელიგიასა და ფსიქოლოგიას შორის სწორედ ეტალონის მოცემულობაა. რელიგიისთვის არსებობს ეტალონი- ღვთის მიერ განსაზღვრული ჭეშმარიტი ადამიანური ბუნება. ფსიქოლოგიისათვის არ არსებობს ეტალონი და შესაბამისად, მისთვის ადამიანის ყველა ქცევა მისი სულიერი ბუნების დემონსტრირებაა.

ფსიქოანალიზი ერთ-ერთი ყველაზე ფართოა ზოგადფსიქოლოგიურ სისტემებს შორის. იგი სულიერი და ქცევითი სფეროს უამრავ გამოვლინებას მოიცავს: ცნობიერება და არაცნობიერება, ხასიათის ტიპები და პიროვნების განვითარება, ოჯახი, რწმენა, შემოქმედება და ა.შ.

ფსიქოანალიზს განსაკუთრებული უფლება აქვს სიტყვა თქვას მეცნიერული მსოფლმხედველობის თაობაზე, ვინაიდან მას ვერ უსაყვედურებენ , რომ ის უგულებელყოფს სამყაროს სურათში სულიერს. მისი წვლილი მეცნიერებაში სწორედ კვლევა-ძიების გაფართოებაა სულიერის სფეროში. ასეთი ფსიქოანალოგიის გარეშე, რა თქმა უნდა, მეცნიერება ძალზე არასრულყოფილი იქნებოდა.

შეუწყნარებელია ვთქვათ, რომ მეცნიერება ადამიანის გონის მოქმედების სფეროა, ხოლო რელიგია სხვა რამ, ოდნავ მისი ტოლფასი და ყოველი ადამიანის წინაშე თავისუფალი არჩევანი.

ძალებიდან, რომლებიც მეცნიერებას ედავება, საბოლოოდ მარტო რელიგიაა მისი სერიოზული ”მტერი”, რადგან რელიგია უზარმაზარი ძალაა, რომლის განკარგულებაშია ადამიანთა უძლიერესი ემოციები. ცნობილია, რომ ის ადრე ყველაფერს მოიცავდა, რაც რაიმე როლს თამაშობდა ადამიანის ცხოვრებაში სულიერების სახით და მეცნიერების ადგილს იჭერდა, როცა ჯერ კიდევ არ იყო მეცნიერება. მან შეუდარებელი თანმიმდევრულობითა თუ შეკრულობით შექმნა მსოფლმხედველობა, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას.

თუ გვინდა გავაცნობიეროთ რელიგიის არსი, საკმარისი უნდა იყოს იმის ჩვენება, თუ რით იგებს იგი ადამიანებს. რელიგია მათ განუმარტავს სამყაროს წარმოშობასა და აღმოცენებას, ცხოვრების ცვალებედობის შემთხვევაში არწმუნებს მფარველობასა და საბოლოო ბედნიერებაში, წარმართავს მათ შეხედულებებსა და

მოქმედებებს მითითებათა გზით, რომელიც მთელი ავტორიტეტით წარუდგება მათ. მაშასადამე, რელიგია ასრულებს სამ ფუნქციას: **პირველი ფუნქციით** ის აკმაყოფილებს ადამიანური ცოდნის წყურვილს (იგივეს აკეთებს, რასაც საკუთარი საშუალებებით გააკეთებდა მეცნიერება და აქ ამასთან მეტოქეობაშია). **მეორე ფუნქცია** მისი უდიდესი ზეგავლენაა, როცა ის ცხოვრებისეულ საშიშროებათა წინაშე ადამიანთა შიშს აშოშმინებს, ანუგეშებს. მეცნიერებას კი ეს არ შეუძლია. მართალია, მეცნიერება გვასწავლის როგორ უნდა ავირიდოთ საშიშროებანი, როგორ ვიბრძოლოთ და ამ მხრივ ის ადამიანის დამხმარეა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მან ადამიანს მხოლოდ ავადმყოფობისადმი დაქვემდებარება უნდა ურჩიოს. **რელიგიის მესამე ფუნქციით,** როცა ის მითითებებს იძლევა, აკრძალვებსა და შეზღუდვებს გამოსცემს, ყველაზე უფრო შორდება მეცნიერებას, ვინაიდან მეცნიერება მხოლოდ კვლევა-დადგენითაც კმაყოფილდება.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეცნიერების წესები და რჩევები იგივეა, რასაც რელიგია გვთავაზობს, მაგრამ სხვა დასაბუთებით.

რელიგიური მსოფლმხედველობის შესახებ მეცნიერების მსჯელობა ასეთია: მაშინ, როცა ცალკეული რელიგიები ერთმანეთთან დაობენ იმაზე, თუ რომელია ჭეშმარიტი, ვფიქრობთ, უფლება გვაქვს რელიგიის ჭეშმარიტების უგულებელყოფისა.

მეცნიერება ისწრაფვის მიაღწიოს რეალობასთან დამთხვევას, ე.ი. იმას, რაც ჩვენგან დამოუკიდებლადაა და მნიშვნელოვანწილად ჩვენი სურვილების ასრულების ან განხორციელებისთვისაა.

მიუხედავად ამისა, საჭიროა ითქვას, რომ ადამიანის შესახებ მეცნიერებებისთვის, კერძოდ ფსიქოლოგიისთვის, რელიგიურ ძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რწმენის, რელიგიური ცნობიერების პრობლემებს დიდი ადგილი უკავია არაერთი გამოჩენილი ფსიქოლოგის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში. რაც შეეხება კონკრეტულ ადამიანებს, მათ, ერიჰ ფრომის თქმით, ქცევის ბალანსისა და ბედნიერი ცხოვრებისთვის თანაბრად ესაჭიროებათ რელიგიაც და ფსიქოლოგიაც. ამიტომ, თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში არ არის იშვიათობა, როცა პიროვნება ენთუზიაზმით დადის ეკლესიაშიც და ფსიქოთერაპიულ კაბინეტშიც. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ფსიქოთერეპიული სასტემა ითვალისწინებს, ზოგი კი აქტიურადაც იყენებს სულიერ სფეროსთან მუშაობის რელიგიური ძიებით შეძენილ გამოცდილებას. მაგალითისთვის სხვსდასხვა მედიტაციური მეთოდიც გამოდგება. ქრისტიანული აღსარება, მაგალითად, პირდაპირ იძლევა შვების მომგვრელ, დამამშვიდებელ ეფექტს.

და მაინც, მიუხედავდ იმისა, რომ კაცობრიობის უმრავლესობა კიდევაც ტყვეა სიამეთა ამა ქვეყნისა, დიდსა თუ მცირეს, ნებით თუ უნებურად, ასე თუ ისე მაინც ზეცისკენ მიუწევს გული; სიკეთე ურჩევნია ბოროტებას, მშვენიერება-სიმახინჯეს, რწმენა-ურწმუნოებას, ღვთიური-უღვთოს

ღმერთის სიყვარულს და იმის ცნობიერებას, რომ ღმერთსაც ვუყვარვართ, ეფუძნება იმედი, რითაც შეიარაღებულნი ვართ როგორც გარესამყაროს, ისე ადამიანთა გარემოს საშიშროებათა წინააღმდეგ. ბოლოს ლოცვაში ვიცავთ პირდაპირ გავლენას ღვთიურ ნებაზე და ამით ღვთიურ ყოვლისშემძლეობაში ვმონაწილეობთ

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ირაკლი იმედაძე-''ფსიქოლოგიის ისტორია'', თბილისი, 2008წ.
2.ირაკლი იმედაძე-''ფსიქოლოგიის საფუძვლები'', გამომც. ''მწიგნობარი'', 2008წ.
3.ვლადიმერ ნორაკიძე-''ხასიათის ფსიქოლოგია და ხელოვნება'', გამომც. ''ხელოვნება'', 1962წ.
4.ზიგმუნდ ფროიდი-''ფსიქოანალიზი'', თბილისი, 2005წ.
5.შოთა რუსთაველი-''ვეფხისტყაოსანი'', გამომც. ''განათლება'', თბილისი, 1968წ.
6.ოთარ ტაბიძე-''ადამიანი, თავისუფლება, შემოქმედება'', გამომც. ''მეცნიერება'', თბილისი, 1991წ.
7.ნუგზარ პაპუაშვილი-''რელიგიის ისტორია'', გამომც. ''რუბიკონი'', თბილისი, 1996წ.

ხატია კობლიაშვილი თათია ჩადუნელი

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მასმედია

ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ჩოჩიშვილი

კაცობრიობის ისტორია, მართლაც რომ სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლის ისტორიაა, სისხლით გაჟღენთილი შემზარავი თავგადასავლებით, თუმცა, სად იწყება და სად მთავრდება ერთიც და მეორეც, სფინქსისეულ გამოცანად რჩება კვლავაც.

თითქოს ბანალურ მოვლენად იქცა, როცა ძველთაგან საპატიოდ მიჩნეული წარმოდგენები თუ შეხედულებანი დროდადრო რომ ირღვევა-იწყება სასტიკი, დაუნდობელი ომები, ტერორი, რომელთაც თან სდევს ადამიანთა მასობრივი განადგურება, ქალაქებისა და სოფლების მიწასთან გასწორება, დღემდე გამოცხადებულ ღირებულებათა გადაფასება, ადამიანის მოდგმისათვის სამარცხვინო ათასგვარი საშინელებანი….

სწორედ ასეთი ფაქტებითა და მოვლენებით იყო აღსავსე რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარი ომი, 2008 წლის აგვისტოში. ომის დროს დიდი ყურადღება ექცევა თითოეულ დეტალს, მათ შორის, მასმედიის საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონფლიქტების გაშუქებისა და მათი ობიექტური ანალიზის დროს. ცნობილი კონფლიქტოლოგი იოჰან გალტუნგი ამბობს, რომ არსებობს მშვიდობის ჟურნალისტიკა, რომელიც კონფლიქტებს განიხილავს, როგორც მედიცინას, სადაც

მოძიებულია კონფლიქტის მიზეზები. ეს არ უნდა ჰგავდეს სპორტულ ჟურნალისტიკას, სადაც აუცილებლად უნდა გამოავლინო გამარჯვებული და დამარცხებული. მთავარი მიზანი ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს კონფლიქტების მიზეზების ძიება.

ჩვენი აზრით, მასმედიის დანიშნულებაა რომ პირველ რიგში უზრუნველყოს ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ჟურნალისტი, რომელიც კონფლიქტზე მუშაობს, აუცილებლად უნდა ერკვეოდეს, კონფლიქტის გეოგრაფიულ არეალში, ერკვეოდეს იმ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ასპექტებში, რომლებიც განაპირობებდნენ კონფლიქტს. ჟურნალისტი უნდა იყოს პროფესიონალი, მან უნდა დაიცვას ობიექტურობა, ეთიკა და ა.შ. სამწუხაროდ, ჩვენთან ხშირია შემთხვევები როდესაც კონფლიქტებს ცალმხრივად აშუქებენ.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, იყო ფაქტები ობიექტურობის დარღვევისა. ჩვენ გავესაუბრეთ გორის უნივერსიტეტის პროფესორს ელდარ მამისთვალაშვილს, რომელიც მთელი ომის პერიოდში ქალაქში იმყოფებოდა. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ხშირად აცხადებდნენ, თითქოს იწვოდა გორის ფოსტა და უნივერსიტეტის I კორპუსი., თუმცა ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ბატონი ელდარი ხშირად მიდიოდა უნივერსიტეტთან და ამოწმებდა, მართალი იყო თუ არა ის ინფორმაცია, რასაც ტელეკომპანიები გადმოსცემდნენ. ჩვენ როდესაც შევძელით ქალაქში დაბრუნება ჩვენი თვალით ვიხილეთ, რომ გორის უნივერსიტეტი არ იყო დამწვარი, იყო მხოლოდ მცირედ დაზიანებული. სავალდებულოა, რომ ასეთი ისტერიის გამომწვევი მასალები ჟურნალისტების მიერ არ იყოს გამოყენებული. ჩვენ არ ვაკრიტიკებთ მასმედიას, უბრალოდ ვაკეთებთ ანალიზს იმ რეპორტაჟებისას, რომელიც კეთდებოდა ომის პერიოდში და ზოგჯერ იწვევდა ზედმეტ პანიკას. დაძაბულობის შეტანა ამ დროს არ არის გამართლებული.

კონფლიქტების გაშუქებისას, განსაკუთრებით, როდესაც მონაწილე მხარეები ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეები არიან, აუცილებლად უნდა იყოს დაცული სრული ობიექტურობა. საომარი მდგომარეობის დროს უნდა იყოს სამხედრო ცენზურა, რათა არ მოხდეს უნებლიეთ სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნება. ისევ მოვიყვანთ მაგალითს, როდესაც საზოგადოებრივმა ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ გორსჰი მობილიზებულია რეზევისტების დიდი რაოდენობა. ეს გავიდა როგორც

ინფორმაცია, თუმცა ეს იყო ინფორმაციის გადაცემა, რომელსაც დაინტერესებული მხარე გამოიყენებდა. უნდა დაიწეროს ის, რაც საქართველოს სახელმწიფოს გააძლიერებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიდეს სუბიექტური ინფორმაცია. რაც შეიძლება მტერმა გამოიყენოს.

სოხუმისა და გორის უნივერსიტეტებს ბევრი საერთო აქვთ,. თუნდაც ის, რომ საქართველოს დანარჩენ მოსახლეობაზე უფრო მეტი კავშირი გვქონდა ამჟამად ქვეყნის იურისდიქციის მიღმა დარჩენილ მოსახლეობასთან, რომელთა ჩვენი სახელმწიფოებრიობის სივრცისადმი დაბრუნება თითოეული ჩვენი მოქალაქის უპირველესი ვალია. მართალია, ჩვენი რეპორტაჟებით ამ რეგიონების სრული დაფარვა არ ხერხდება, მაგრამ ამ ინფორმაციას ისმენენ როგორც ჟურნალისტები იქითა მხრიდან, ასევე სპეცსამსახურების წარმომადგენლები, რომლებსაც შეუძლიათ თითოეული გაუფრთხილებელი ფრაზის საკუთარი მიზნებისათვის ინტერპრეტირება.

ჟურნალისტის თუნდაც ერთი გაუაზრებელი სიტყვა შესაძლოა ქვეყნისათვის სავალალო აღმოჩნდეს. დიდი ალბათობაა იმისა, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგე მხარემ ჟურალისტის მიერ დაშვებული შეცდომა თავის საკეთილდღეოდ გამოიყენოს და დაანახვოს ყველას, თუ როგორი სასტიკები არიან ქართველები.

ზემოთ აღნიშნული ომის დროს ჟურნალისტების მიერ გამოვლენილი იქნა ბევრი საგმირო მაგალითი. აღსანიშნავია ის აქტი, რომ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტი თამარ ურუშაძე პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს დაიჭრა ოკუპანტი სნაიპერის ტყვიით. ცხინვალთან შეტაკებისას კი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ორი ქართველი ჟურნალისტი. აქედან გამომდინარე ჟურნალისტობა სარისკო პროფესიაა.

რუსული აგრესიის გამო, შიდა ქართლის თითქმის მთელი რაიონი და მთლიანად ცხინვალის რეგიონი ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდა. ადგილობრივი ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის ჟურნალისტებს, სანამ საშუალება იყო, პირდაპირი ჩართვები ჰქონდათ კონფლიქტის ადგილიდან, გორის დაკავების შემედეგ კი მათი საინფორმაციო მაუწყებლობა შეწყდა. რთულ პირობებში უწევდა მუშაობა ადგილობრივ მასმედიას. აგრეთვე 10 აგვისტოს რუსულმა საოკუპაციო ჯარებმა შტურმით აიღეს გორის სატელევიზიო ანძა, სადაც სხვადასხვა ტელე და

რადიო კომპანიის გადამცემი აპარატურა იყო დამონტაჟებული. ანძის სამი თანამშრომელი დაჭრეს, ერთი კი მანქანაში ჩაცხრილეს.

პროფესიონალური რეპორტაჟების გვერდით შეიძლება გამოვყოთ მოვლენების არაობიექტური და ხშირად მოარულ ხმებზე დაყრდნობილი ინფორმაციის გავრცელებაც. ჩვენ განვიხილავთ როგორც ქართულ, ისე უცხოურ პრესას და ვაკეთებთ შედარებებს: ზოგჯერ უცხოური მედია უფრო ადრე გადმოსცემდა იმ ობიექტურ ინფორმაციას, რომლის ცოდნაც აუცილებელი იყო მოსახლეობისათვის, ვიდრე ქართული ტელეარხები. მაგალითისთვის მოვიყვანთ გორის მოსახლეობის ევაკუაციის აუცილებლობას, რომელიც დროზე არ იქნა მიწოდებული მასმედიის საშუალებით. სამწუხაროდ, აგრეთვე არ არსებობდა გეგმა ქალაქიდან მოსახლეობის ორგანიზებულად გაყვანისა, რამაც გამოიწვია უზარმაზარი საცობები ქალაქის გასასვლელებში. ერთ-ერთი სამხედრო ტექნიკის აფეთქების შემდეგ დაიწვა უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლის მანქანა, თვითონ მგზავრები კი ბეწვზე გადაურჩნენ სიკვდილს, თუმცა თვეობით მკურნალობდნენ დამწვრობის ცენტრში.

რუსეთ-აქართველოს ომის დაწყებისთანავე, მსოფლიო პრესა და ელექტრონული მედია, ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. დასაფასებელია ჰოლანდიელი ჟურნალისტის სტან სტორიმანსის მონდომება, რათა მომხდარი რეალურად გაეშუქებინა და გორის დაბომბვის დროს, ჭურვის ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპა ქალაქის ცენტრში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვით რუსულ ჟურნალისტებსის იმ კატეგორიას, რომლებსაც ყველაზე მაღლა ჟურნალისტური ეთიკა მიაჩნიათ, აინტერესებდათ რეალური ვითარება, თუ რა ხდებოდა საქართველოში. ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი ნეკრასოვი და მისი მეუღლე სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებიან. მათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულება სწორედ ფრონტის ველზე გადაწყვიტეს, რათა გაეგო რუსულ საზოგადოებას ომის მთელი მწარე სიმართლე. იგი თბილისიდან გორისაკენ მიემართებოდა, მისი მეუღლე კი ცხინვალის რეგიონიდან მოდიოდა გორისაკენ, ისინი ერთმანეთს სოფელ კარალეთის საგუშაგოსთან შეხვდნენ. აგვისტოს ომის დროს გარდაიცვალა ნეკრასოვის მეუღლე და ამ

მოვლენებს უძღვნა ჟურნალისტმა ფილმი “რუსულის გაკვეთილები”, რომელმაც მსოფლიოში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

გარდა ამისა, საქართველოში მუშაობდა ათობით უცხოელი ჟურნალისტი, რომელებიც რუსული მედიისაგან განსხვავებით, ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდნენ მსოფლიოს და ქმნიდნენ რუსული აგრესიის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს.

თითქმის ყველა რუსული არხი საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომში იყო ჩართული. ისინი უარყოფდნენ ფოთისა და სენაკის დაბომბვის ფაქტს, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა. ქართულმა მხარემ რუსების ათამდე თვითმფრინავი რომ ჩამოაგდო, რუსული საინფორმაციო არხების მეშვეობით ვრცელდებოდა ინფორმაცია ორი თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ. ასევე აცხადებდნენ თითქოს ქართველები დაჭრილ მოწინააღმდეგეებს სადაც ნახულობდნენ იქვე ხოცავდნენ. რუსები ქართველებს იმასაც აბრალებდნენ, რომ თითქოს მათ მიერ კასპის რაიონში აფეთქებული სარკინიგზო ხიდი ქართველებმა ააფეთქეს. პარალელურად რუსული არხები აჩვენებდნენ სიუჟეტებს და გულს უჩუყებდნენ საკუთარ ხალხს, თუ როგორ გადმოჰყავდათ კონფლიქტის ზონიდან დაჭრილი ბავშვები, როგორ არიგებდნენ რუსი სამხედროები პროდუქტს, როგორ ეხმარებოდნენ მოსახლეობას და ასე შემდეგ.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ მასმედია აუცილებლად უნდა იდგეს ობიექტურობის, ჟურნალისტური ეთიკის სადარაჯოზე და არ ვიზიარებთ 2010 წლის 13 მარტის ტელეკომპანია ,,იმედის,, მიერ იმიტირებული რეპორტაჟის არანაირ გამართლებას, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე გადავიტანეთ ომის მთელი საშინელება, დავკარგეთ ახლობლები და საკუთარი სახლ-კარი. ჩვენთვის ომის შესახებ თითოეული სიტყვა, ფრაზა განსაკუთრებული ემოციებითაა დატვირთული და გვახსენებს იმ საშინელ დღეებს.

მსგავსი შემთხვევა გორში ადრეც მოხდა, ომიდან ერთ წელში გორის ბაზაზე დაიწყო სამხედრო წვრთნები, რომლის შესახებაც მოსახლეობას არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა. მოულოდნელად, ღამის 9 საათისთვის დაიწყო მასიური სროლები სამხედრო სწავლების მიზნით გორის უშუალო სიახლოვეს, ქალაქიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, რის შედეგადაც ქალაქის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა,

რადგან ეგონათ, რომ კვლავ ომი იწყებოდა. ჩვენთვის ეს ფაქტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ არც ადგილობრივმა ტელევიზიამ და არც სხვა ორგანომ ეს ინფორმაცია მოსახლეობას არ მიაწოდა. მართალია, მეორე დღეს მოსახლეობას ბოდიში მოუხადეს, მაგრამ შიში და ფსიქოლოგიური ტრამვა ფაქტიურად მთელმა ქალაქმა მიიღო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ჩამოსულები იყვნენ რუსი ჟურნალისტები: ვალერია ნოვოდვორსკაია, კონსტანტინ ბოროვოი და ოლეგ პანფილოვი. მათ სულ სამი შეხვედრა ჰქონდათ დაგეგმილი და აქედან ერთ-ერთი იყო გორის უნივერსიტეტში. შეხვედრაზე განიხილეს 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენები, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა წარსულში და დღეს. ისინი არიან ცნობილი დისიდენტები და ყველგან თამამად აკრიტიკებენ რუსეთის ხელისუფლებას. ჩამოვიდნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ რეალობა, რადგან ისინი არ ენდობიან რუსულ მასმედიას. მნიშვნელოვანია ეს ფაქტი იმით, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა, ამიტომ აუცილებელია სახალხო დიპოლომატიის ჩართვა.

ჟურნალისტების თითოეული სიტყვა განსაკუთრებით მგრძნობიარედ აღიქმნება ისეთ რეგიონებში, როგორიცაა კონფლიქტის ზონასთან ახლოს მყოფი რაიონები. მედიის როლი სწორედ უნდა იყოს მიმართული კონფლიქტის მოგვარების, ადამიანების დაახლოების, ერთმანეთის მიმართ ნდობის ჩანერგვისადმი, ვინაიდან თაობების ცვლა კიდევ უფრო ზრდის იმ გაუცხოვებას, რომელიც ბუნებრივი პროცესია ადამიანების განსხვავებულ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოში ცხოვრებისას. სწორედ ამის გამო უწოდებენ მასმედიას მეოთხე ხელისუფლებასაც, ვინაიდან უდიდესია მისი როლი ქვეყნის სტაბილურობასა და მოსახლეობის კონსოლიდაციაში. ჟურნალისტებმა უნდა გააშუქონ ობიეტური ინფორმაცია, ამავე დროს აქცენტი უდნა გაკეთდეს რუსულ პრესაზე, რომელსაც აკლია თავისუფლება და იმყოფება სახელმწიფო წნეხის ქვეშ, თუმცა არც იმის მომხრენი ვართ, რომ მასმედიამ შექმნას მტრის ხატი რუსეთის სახით. მათ უბრალოდ უნდა ასახონ ის, რაც რეალობაშია და არ იყვნენ სუბიექტურები. მასმედიის როლი კონფლიქტების დარეგულირებაში ჩვენ ასე გვესახება, რომ ჟურნალისტებმა უნდა ასახონ სინამდვილე, არ უნდა გადმოსცენ ისეთი ფრაზები, რომლითაც

გააღიზიანებენ მოწინააღმდეგე მხარეს, რათა მათ შეიძლება მიეცეთ საბაბი საომარი მოქმედების დაწყებისა.

ჩვენი დიდი სურვილია რუსებმა შეცვალონ დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ და მოახდინონ საქართველოს დეოკუპაცია. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი აღდგეს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა, თუნდაც ტკივილებითა და კოლიზიებით აღსავსე და შთამომავლობას მოგვეცეს გზა ფართო, მომავალი კეთილმეზობლობისა, მეგობრული, ცივილური ურთიერთობის დასამკვირდებლად.

…. და ბოლოს, ერთ ქართულ სიბრძნეს შეგახსენებთ - "რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია".

ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ისტორია, კულტუროლოგია, ხელოვნება

მიხეილ ქართველიშვილი ეთერ ბოკელავაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა მაგისტრატურა

საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX ს–ის 70–იან წლებში

ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან პავლიაშვილი

თანამედროვე ეტაპზე დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლას, აღნიშნული თვალსაზრისით კი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საბჭოთა ეპოქაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განვითარების ძირითადი ტენდენციების მეცნიერული შესწავლა. ამ კუთხით მეტად საინტერესო და თავისებურ პერიოდს წარმოადგენს XX საუკუნის 70-იანი წლები, რადგან იკვეთება მთელი რიგი უაღრესად საინტერესო ტენდენციებისა, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის შემდგომ განვითარებაში.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებით აღინიშნა, კერძოდ 1972

წლის 8 აპრილს გარდაიცვალა საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ეფრემ II, იმავე წლის 1 ივნისს კი XI საეკლესიო კრებამ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრად ურბნელი მიტროპოლიტი დავითი (დევდარიანი) აირჩია.

პატრიარქ დავით V-ის მოღვაწეობის დასაწყისი საქართველოში პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცვლილებებს დაემთხვა: 1972 წლის სექტემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ვასილ მჟავანაძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობდან და მისი ადგილი ედუარდ შევარდნაძემ დაიკავა (8, 198).

ახალმა ხელისუფლებამ ცენტრალური საკავშირო ხელისუფლების კურსის შესაბამისად, ქვეყანაში არსებული პრობლებლემების (სოციალური, ეკონომიკური, საზოგადოებრივ-კულტურული) გადაჭრის გზად, მასებში კომუნისტური პარტიის გაძლიერება მიიჩნია. გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც ადგილებზე კომუნისტური პარტიის პოლიტიკის უშუალო გამტარებლებად ითვლებოდნენ (8, 198).

აღნიშნულის მიზეზი იყო ცენტრალური ხელისუფლების დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავდა მოკავშირე რესპუბლიკებში პარტიული მუშაობის გაძლიერებას და საზოგადოების უკეთ დარაზმვას საბჭოთა იდეოლოგიის გარშემო (10, 508).

ბუნებრივია აღნიშნულში იგულისხმებოდა საბჭოთა ათეისტური პოლიტიკაც, რომელიც მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში ძალიან შესუსტებული იყო და საჭირო იყო მისი გაძლიერება, სწორედ ამიტომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გააგრძელა და გააღრმავა მის წინამორბედთა საეკლესიო პოლიტიკა, 1972-77 წლებში ოფიციალურმა ხელისუფლებამ ლოიალური დამოკიდებულების საფარქვეშ თანმიმდევრულად განაგრძო ბრძოლა ქართული სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ (6, 39). 1975 წლის ოქტომბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება "მავნე ტრადიციების და წეს ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" (4, 198-216). დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რელიგიური დღესასწაულების "მავნე ხასიათს და შეუთავსებლობას საბჭოთა საზოგადოებასთან". დადგენილება მოითხოვდა რელიგიური დღესასწაულების ნაცვლად ადგილებზე დაწესებულიყო სახალხო დღესასწაულები: "შრომის ზეიმი", "მოსავლის დღე", "შოთაობა", ილიაობა", "იაკობობა" და ა.შ. (7, 323)

“მავნე ტრადიციების” წინააღმდეგ ბრძოლა რეალურად, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ეკლესიისა და თვითმყოფადობის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა, საქართველოს ხელისუფლებას არ შეეძლო გადაეხვია ცენტრალური ხელისუფლების დირექტივებისა და მოთხოვნებისგან. იგი შეგნებულად თუ შეუგნებლად მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის შორს გამიზნულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა ერებს შორის განსხვავების გაქრობას, ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობას, ერთიანი “საბჭოთა ხალხის” ჩამოყალიბებას, რაც სინამდვილეში რუს ერთან სხვა ერებისა და ხალხების შერწყმას ნიშნავდა” (8, 200). იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და იდეოლოგიური სტრატეგია არ ითვალისწინებდა “ბურჟუაზიული ელემენტების” გამრავლებას საზოგადოებაში. (5, 81)

საბჭოთა იდეოლოგია მიიჩნევდა, რომ იმ კონკრეტულ ისტორიულ მომენტში გაანალიზებული ყოფილიყო იდეოლოგიური ბრძოლის მთელი რიგი თავისებურებები და ამ ბრძოლაში რელიგიის ადგილი და როლი (1, 3-4). მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლისას, პროპაგანდისტულ მუშაობასთან ერთად ხელისუფლება ძალისმიერ მეთოდებსაც ხშირად მიმართავდა. მაგალითად, ჩვეულ მოვლენად იქცა ხალხმრავალ ქელეხებში, ქორწილებსა და რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეთა დარბევა და დასჯა. წირვა-ლოცვის დროს ეკლესიებიდან ახალგაზრდების გამოდევნა და ა.შ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V მრავალგზის გამოთქვამდა პროტესტს ამგვარი უკანონობისა და უზნეობის გამო, მაგრამ უშედეგოდ (6). მორწმუნეთა დაშინებისა და მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის მიზნით, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის დამოწმებით, 1975 წელს, აღდგომის ბრწყინვალე დღესსწაულზე მოხდა აფეთქებები სიონისა და სვეტიცხოვლის ტაძრების ეზოში (3, 85).

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით გააქტიურდა, მას შემდეგ, რაც 1977 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა პატრიარქი დავითი და დადგა საკითხი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი მწყემსმთავრის არჩევისა. წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, პატრიარქის მოსაყდრედ დასახელდა ცხუმ-აფხაზეთის მიტოპოლიტი ილია. იტროპოლიტი ილია (ერისკაცობაში ირაკლი ღუდუშაურ-შიოლაშვილი) ქართველ სამღვდელოთა დასში 1960 წლიდან იმყოფებოდა. მოსკოვის სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა და ბათუმის საკათედრო ტაძარში დაიწყო მსახურება. 1961 წელს იგი ჯერ იღუმენის, შემდეგ კი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს.

1963 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა შემოქმედის ეპისკოპოსად და დანიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1963 წლიდან 1972 წლამდე ხელმძღვანელობდა მცხეთის სასულიერო სემინარიას. 1967 წელს იგი გადაიყვანეს აფხაზეთის ეპარქიაში, სადაც 1969 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. (9, 214). 17 წლიანი აქტიური მოღვაწეობის მანძილზე მიტოპოლიტმა ილიამ ფართოდ გაითქვა სახელი, როგორც ქართული სამოციქულო ეკლესიის და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვისათვის მებრძოლმა.

მიტროპოლიტ ილიას ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლად არჩევა იმთავითვე მოასწავებდა საბჭოთა იდეოლოგიის შესუსტებას და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების აღმავლობას ქართულ საზოგადოებაში. სწორედ ამ "საფრთხით" იყო გამოწვეული ხელისუფლების აქტიური მეცადინეობა მიტროპოლიტ ილიას კანდიდატურის "ტაბუირებისათვის". აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ყველანაირი გზის გამოყენება სცადა, თუმცა საბოლოოდ მიტროპოლიტ ილიას კანდიდატურის მოხსნის მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო და 1977 წლის 23 დეკემბერს XII საეკლესიო კრებამ, (რომელსაც რუსეთის პატრიარქი პიმენიც კი ესწრებოდა) იგი საქართველოს პატრიარქად აირჩია (9, 214).

საბჭოთა ხელისუფლების შიში გამართლდა მას შემდეგ, რაც ახლადაღსაყდრებულმა პატრიარქმა აქტიურად დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება ქართველთა შორის ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვითშეგნების ამაღლებისათვის. რაც არ ჯდებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიზნებსა და ამოცანებში.

კომუნისტური ხელისუფლება თავისი არსით ინტერნაციონალიზმის მედროშედ გამოდიოდა, მას მომწიფებულად მიაჩნდა ეროვნული ბარიერების მოშლა, საბჭოთა იმპერიის სივრცეში მცხოვრები ერების ურთიერთშერწყმა და ერთი საერთო ეთნოსის –"საბჭოთა ხალხის" ჩამოყალიბება. ამ მიზნის მიღწევისათვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ხელშემშლელ ბარიერს ეროვნული ენების არსებობა წარმოადგენდა. ამიტომ 1978 წელს საბჭოთა ხელისუფლების უშუალო მითითებით საქართველოს კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლი ფორმალურად ცნობდა ქართული ენის საჭიროებას, მაგრამ ფაქტობრივად საფრთხეს უქმნიდა, როგორც ქართულ ენას, ისე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში უმცირესობების ენას ქართულთან გათანაბრებულის სტატუსი

ენიჭებოდა და რეალურად მათ სრულ თანასწორუფლებიანობას აღიარებდა. ასეთ პირობებში ერთადერთი რეალური უპირატესობით ისარგებლებდა რუსული ენა, რომელიც არამარტო კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფო აპარატის, არამედ რესპუბლიკათა და შიდარესპუბლიკური ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ენა იყო (8, 212). აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება კონსტიტუციურ ბილინგვიზმს განიხილივდა, როგორც გარდამავალ ეტაპს საყოველთაო ერთენობრიობისკენ, როცა რუსული შეაღწევდა საბჭოთა ხალხების ყოველდღიურ ცხოვრებაში (2, 38; 11, 123).

საკონსტიტუციო ცვლილების მიზანს სწრაფად აუღო ალღო ქართულმა საზოგადოებამ, რაც 12-14 აპრილის საპროტესტო დემოსტრაციებსა და მიტინგებში გამოიხატა. საპროტესტო მოძრაობაში წამყვან როლს ქართველი სტუდენტები და დისიდენტები ასრულებდნენ. მათ საჯაროდ დაუჭირა მხარი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა იდეოლოგიური ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, რაც ცალსახად იმით იყო გამოწვეული, რომ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი სირთულეების ფონზე ხელისუფლებას არ სურდა ქვეყნის შიგნით გართულებოდა მდგომარეობა, ამგვარი, შედარებით დათმობითი პოლიტიკით ისარგებლეს, როგორც ეკლესიამ, ასევე დისიდენტურმა ჯგუფებმა.

აღნიშნულით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი აქტიურად შეუდგა მოსახლეობის ეროვნულ-სარწმუნოებრივი გამოღვიძების პროცესს, ამ კუთხით კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგაოებისათვის სასულიერო შინაარსის მასობრივი საინფორმაციო ორგანოს შექმნას. 1978 წელს პატრიარქის ინიციატივით დაარსდა საპატრიარქოს საეკლესიო ჟურნალი “ჯვარი ვაზისა”, რომელსაც საინფორმაციოს გარდა დიდი შემეცნებითი დატვირთვაც გააჩნდა: ჟურნალის მეშვეობით ქართული საზოგადოება ეცნობოდა პატრიარქის ეპისტოლეებს, საეკლესიო დღესასწაულთა მნიშვნელობასა და ტრადიციებს, ქართველ სასულიერო მოღვაწეთა როლს ქვეყნის ისტორიაში და ა.შ.

ერის სულიერებისკენ შემობრუნების საკითხში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პატრიარქის დაუღალავ და აქტიურ მცდელობას საბჭოთა მმართველობის პერიოდში გაუქმებული და სახეცვლილი ეკლესია-მონასტრების დაბრუნება-აღდგენისათვის.

ზემოთ ჩვენს მიერ ნახსენები შედარებითი ლიბერალიზაცია სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ხელიუფლებამ თავისი ათეისტური პოლიტიკის გატარებაზე უარი თქვა, კვლავაც მიმდინარეობდა აქტიური რეპრესიები ტაძარში მისული ადამიანების მისამართით, ვრცელდებოდა მუქარები სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, ხოლო სტუდენტების შემთხვევაში კი სასწავლებლებიდან გარიცხვის ფაქტები. თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა ქართველი ერის ეკლესიისაკენ შემობრუნების პროცესი უკვე შეუქცევადი იყო.

1985 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გახდა მიხეილ გორბაჩოვი, რომლის მმართველობის პერიოდიც ისტორიაში "გარდაქმნის" სახელწოდებითაა ცნობილი (10, 643). "გარდაქმნა" ძირითადად სახელისუფლებო სტრუქტურების დემოკრატიზაციას და ლიბერალიზაციას გულისხმობდა საზოგადოებრივი აზროვნების თითქმის ყველა მიმართულებით (12, 702-703). ბუნებრივია იგი შეეხო ეკლესიის საერთო მდგომარეობასაც, თუმცა აღნიშნული პერიოდი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს და მას ამჯერად არ შევეხებით.

დასასრულს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 70-იანი წლები უღრესად საინტერესო პერიოდს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის განვითარების თვალსაზრისით, ამ პერიოდში დაწყებული ტენდენციები თანამედროვე ეტაპზეც ინარჩუნებს აქტუალობას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ბელოვი ა, თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა და რელიგია, თბ., 1984
2. ბოლქვაძე თ, იდეოლოგიზირებული ღირებულებები, თბ., 2005
3. ვარდოსანიძე ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, თბ., 2008
4. იდეოლოგიური მუშაობის საკითხები საქართველოს კპ ცკ-ს დოკუმენტებში (1972-1982), თბ., 1982
5. კვესელავა ი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), თბ., 2004
6. ჟვანია ზ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთაისი, 1996
7. როგავა გ, საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბ., 1996
8. საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბ., 2003
9. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები (რიონ მეტრეველის რედაქციით), თბ., 2000

10. Барсенков А. С.,. Вдовин А. И, История России. 1917—2004: Учеб. пособие для студентов М., 2005 (წიგნის ელექტრონული ვერსია იხ. ვებ. გვერდზე www.aspectpress.ru).
11. Grenoble L, Language Policy in Soviet Union, New-York, 2003
12. The Cambridge History of Russia, Volume III - The Twentieth Century, Cambridge University Press, 2006,

გიორგი ციცქიშვილი
სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

ერთიანი საქართველოს მეფეთა თანამეცხედრეები

ხელმძღვანელი: პროფესორი მამუკა ჯოლბორდი

ისტორიულ წყაროებში მრავლადაა ცნობები ქართველი ქალების და მათ შორის სამეფო ოჯახის წევრების–საქართველოს დედოფლების შესახებ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (X-XII სს) მნიშვნელოვან და ენერგიულ დიპლომატად გვევლინება გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) თანამეცხედრე მარიამი. სანამ კონკრეტულად მარიამ დედოფლის დიპლომატიურ საქმიანობას შევეხებოდეთ, მანამ მოკლედ მიმოვიხილავთ X-XI საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას ; როგორც ცნობილია, გიორგი I-ის სამეფო კარი თავიდანვე ანტიბიზანტიური კურსის გამტარებელი იყო. გიორგი I გაუთავებელ ბრძოლებს აწარმოებდა ბიზანტიის წინააღმდეგ ქართული მიწების შემოსაერთებლად. აღნიშნულმა მოქმედებებმა ქვეყნისათვის სასურველი შედეგები არ გამოიღო, რაც გიორგი პირველის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე მკვეთრად აისახა. იაჰია ანტიოქელი აღნიშნავს, რომ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების გამწვავება ქართული მხარის მიზეზით მოხდა(9.118). ბაგრატ IV-ს გამეფებისთანავე ქართულმა სამეფო კარმა გიორგი პირველის დროს დაკარგული სამხედრო პუნქტების დაბრუნება მოსთხოვა. ბაგრატმა ამ მიმართულებით საპასუხო ღონისძიებები გაატარა, რამაც საქართველოსათვის ურყოფითი შედეგები გამოიღო და ბიზანტიასთან ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. მეფეს განუდგნენ ვაჩე კარიჭის ძე ბანელი, ეპისკოპოსი იოვანე და სხვა ტაოელი აზნაურები. მათ დახმარებისათვის იმპერატორ კოსტანტინე VIII მიმართეს. რომელმაც საქართველოში ახალი

სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართა და საქართველოს ტერიტორიები მოაოხრა.(8.179; 14.137). ასე რომ, ბიზანტია-საქართველოს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა.. აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობების მოწესრიგება. თავის მხრივ ბიზანტიაც დაინტერესებული იყო ამ კავშირების აღდგენით, რადგან საერთაშორისო ასპარეზზე ბიზანტიის გავლენა საგრძნობლად შესუსტებულიყო. ბიზანტია-საქართველოს შორის ურთიერთობების მოწესრიგება 1030-1031 წლიბში დროებით მოხერხდა, როდესაც გაიგზავნა ბაგრატის დედის მარიამ დედოფლის ინიცირებული ელჩობა ბიზანტიაში. მისი მთავარი მიზანი იყო საქათველო-ბიზანტიას შორის საზავო პირობებზე მოლაპარაკება, რაც წარმატებით განხორციელდა და მარიამ დედოფლის ელჩობას ბიზანტიაში სასურველი მშვიდობა მოჰყვა. ბიზანტიის იმპერატორმა "მისცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათვის, დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისათვის ელენე დედოფალი"(11.294.)

ამასთან ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბაგრატისათვის კურაპალატობის მინიჭება, რადგან იგი 1023 წლიდან უკვე ატარებდა მაგისტროსის ტიტულს(14.139), კურაპალატობის მინიჭება კი ნიშნავდა ბიზანტიის მხრიდან ბაგრატის სამეფო უფლებების აღიარებას საქართველოს ტერიტორიაზე. გარდა ამისა, საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე პოზიციებშერყეული ბიზანტია ქართულ სამეფო კარს დაემოყვრა. ბაგრატ IV დააქორწინეს იმპერატორ რომანოზ III-ის ძმის, ბასილის ასულზე ელენეზე. ამრიგად, მარიამ დედოფალმა შეძლო ბიზანტიასთან ისეთი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, რომლის წინააღმდეგაც აქტიურად იბრძოდა მეფეთ-მეფე გიორგი I. რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარებით იყო გამოწვეული. მარიამ დედოფლის ეს ელჩობა ქართული პოლიტიკური ელიტის ახალი პოლიტიკური კურსის მაჩვენებელი იყო და სახელმწიფო სათავეში პრობიზანტიური ძალების მოსვლით აიხსნება. აქედან გამონდინარე, პოლიტიკური კურსის ასეთი რადიკალური ცვლილება პრობიზანტიური ძალების გამარჯვებას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე საქართველოს დიპლომატიურ წარმატებებს საერთაშორისო ასპარეზზე.(12..238-239).

სამწუხაროდ, ელენე დედოფალს დიდხანს არ უცოცხლია, , რის შემდეგაც საქართველო-ბიზანტიის დროებითმა დამოყვრებამ კრახი განიცადა. ამის შემდეგ ბაგრატ IV-მ ცოლად შეირთო ოსთა მეფის ურდურეს ასული ბორენა,

“დაი დორღოლელისი”. რომელიც შემდგომში ასევე მეფის ტიტულის მატარებელია. (11. 294-295; 12. 239-240).

ბორენა დედოფლის მოღვაწეობა ქართულ საისტორიო წყაროებში XI ს-ის 30-იანი წლებით თარიღდება, მემატიანის მიხედვით, სწორედ ბორენა დედოფალი იხსენიება გიორგი უფლისწულის დედად.

როგორც ცნობილია XI ს-ის 50-იან წლებში შიდა დაპირისპირება ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტს ბაღვაშს შორის უკიდურესად დაიძაბა, რამაც ბაგრატ IV-ის სამეფო პოზიციები საგრძნობლად შეარყია, ამ საკითხის მოსაგვარებლად ბაგრატი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე გაემგზავრა მოსალაპარაკებლად. ხოლო სახელმწიფოს გამგებლად დატოვა მეუღლე ბორენა დედოფალი და მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი. როგორც ჩანს სწორედ ბაგრატის ბიზანტაში ყოფნის დროს გააქტიურა ლიპარიტმა თავისი პოლიტიკა. ”მატიანე ქართლისას” მითითებით “ ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მისთა ქვეყანისათა. ოიყვანეს საყდარსა რუისისა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდელად მისა ლპარიტ და პატრონად დაი ბაგრატისი გურანდუხტ დედოფალი.” (11. 304: 7. 30.) გორგი II-ის მეფედ კურთხევა რუისის ტაძარში ბორენა დედოფლის ნება-სურვილით უნდა მომხდარიყო.

აღსანიშნავია ბორენა დედოფლის წვლილი საქართველო-ოსეთის კეთილმეზობლურ ურთიერთობაში, განსაკუთრებით ბორენას ძმის დორღოლელის მართველობის დროს, როდესაც დორღოლელმა თავისი სამხედრო ნაწილებით მონაწილეობა მიიღო განძის საამიროს დარბევაში. მოგვიანებით იგი საპატიო ვიზიტით ეწვია ბარატ IV ქუთაისში და მოინახულა თავისი და ბორენა დედოფალი. ამგვარად საქართველომ ოსთა მეფის სახით შეიძინა ძლიერი მოკავშირე და მათი მეგობრული ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდა. ეჭვგარეშეა ბორენა დედოფლის დამსახურება ამ ურთიერთობების დამყარებაში.(7.30: 11. 313).

ქართველ მეცნიერთა ვარაუდით, ბაგრატ IV-ის მეუღლეს ბორენა დედოფალს უნდა ეკეთვნოდეს სვანეთში, სოფ. ნესგუნეში (ლინჯერის თემი), მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის ოქროჭედილ ხატზე მოთავსებული იამბიკო.

საგალობელი ტექსტი ასეთი შინაარსისაა:

“ რომელმან, ეგე ევას მიუზღე ვალი,
ჰრქვი რა გაბრიელს: “ ვარ უფლის მკევალი

მე, შენი სამსტუვრე, ქვეყნად მავალი,”-
დაემხო ძალი, პირველი სისხლითა მთვრალი
ქალწულო, მიკსენ ბორენა ჭირმრავალი”.(5. 593: 7. 31.)

იამბიკოში მითითებული არაა ავტორის ვინაობა იგი მხოლოდ სახელით იხსენიება. და მკვლევარი მას დედოფლად იხსენიებს. მკვლევართა შორის დავის საგნდ კვლავ ბორენა დედოფლის ვინაობა რჩება. პ. ინგოროყვა სოფ. ნესგუნის ხატს XIII საუკუნით ათარიღებს. ასევე ექვთიმე თაყაიშვილსაც ეჭვი შეაქვს საგალობელში მოხსენიებულ ბორენასა და ბაგრატ IV-ის მეუღლის ბორენა დედოფლის იგივეობაში.(2. 315-316: 4. 686-687: 7.32). სილოგავას მოსაზრებით კი ხატი და მასზე გაკეთებული წარწერა უნდა თარიღდებოდეს XIII ს-ის II ნახევრითა და XIV ს-ის I ნახევრით. საერთოდ სახელი ბორენა XIII ს-ის II ნახევრის სვანეთში საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო. ამიტომ საგალობელში მოხსენიებულ ბორენასა და ბორენა დედოფლის გაიგივება ჭირს.(10. 6: 7. 32). სავარაუდოა რომ სოფელ ნესგუნის ხატზე შემონახული საგალობელის ავტორს არავითარი კავშირი არ აქავს ბორენა დედოფალთან.

წყაროთა ცნობით ბორენა დედოფალი დიდ ინტერესს იჩენდა საეკლესიო ცხოვრებისადმი. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ,რომ სინას მთაზე შემონახული ხელნაწერის მინაწერში ბორენა დედოფალი ქალიშვილთან მარიამ (მართა) დედოფალთან ერთად მოხსენიებულია იერუსალიმის “კაპპათის” მონასტრის მშენებლად.(5. 104: 7. 32).

რა თქმა უნდა ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით ქართველი მონარქის ქორწინება ოსთა მეფის ასულთან, სრულიად საფუძვლიანი და გამართლებული იყო რადგან ოსთა მეფის სახით ბაგრატმა შეიძინა ძლიერი მოკავშირე, რომელიც ეხმარებოდა მას როგორც ბიზანტიასთან დაპირისპირებისას ისე საქართველოს სხვა მოწინაღმდეგეებთან ბრძოლის დროს. თუნდაც გავიხსენოთ ბაგრატ IV-ის ნახევარძმა-დემეტრე, რომელიც ბიზანტიელი ისტორიკოსის კედრენეს ცნობით, გიორგი I-ს ოსთა მეფის ასულ ალდესაგან შეეძინა. სავარაუდოა, რომ ეს ქოწინებაც პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. (7. 295; 11. 140). სწორედ ბაგრაგტის ნახევარძმას დემეტრეს ეკუთვნოდა ანაკოფიის ციხე. რათქმაუნდა, ბაგრატს სურდა ამ სტრატეგული პუნქტის ხელში ჩაგდება და საქართველოს ჩრდილო ტერიტორიების შემომტკიცება. გარდა ამისა, ბაგრატი გამეფების ყველანაირ გზას უჭრიდა დემეტრეს. რომელსაც შესაძლო სახელმწიფო გადატრიალების შემთხვევაში ოსებისაგან დახმარება მიეღო. ასეთმა დიპლომატიურმა ნაბიჯებმა საშვალება

მისცა საქართველოს სამეფო კარს უფრო აქტიური პოლიტიკური კურსი გაეტარებინა და ბიზანტიის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაზე ეზრუნა. ყველა ზემოთ მოყვანილი არგუმენტის გათვალისწინებით, ოსეთის მეფის ასულ ალდესთან ქორწინება, ბაგრატის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატება იყო(3.132-135. 12. 239-240.).

რაც შეეხება ბაგრატის შვილის გიორგი II-ის თანამეცხედრეს, მის შესახებ წერილობით წყაროებში ცნობები თითქმის არ მოიპოვება. ჩვენამდე დედოფლის მხოლოდ სახელმა მოაღწია. არსებობს მხოლოდ ერთი არაპირდაპირი ცნობა რომელიც. XI საუკუნის მიწურულს წყაროსთავის სახარების ხელნაწერში მის გადამწერ ეგნატე ხუცესმონაზონს გაუკეთებია : "ესე წიგნი შეიქმნა სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ გვრგვნოსანთა მეფეთა ჩვენთა. სულითა განათლებულისა დედოფლისა მარიამისა და ძისა მათისა ელენე დედოფლისათვის ". ამ ხელნაწერში მოხსენიებული ელენე დედოფალი, მკვლევართა მოსაზრებით, გიორგი II-ის თანამეცხედრე და შემდგომში ერთიანი საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებლის დედა უნდა ყოფილიყო.

თ. ჟორდანიამ შიომღვიმის წიგნსაცავში მიაკვლია 1270 წელს გადაწერილ, ერთ-ერთ ხელნაწერს, სადაც ჩამოთვლილია ქართველი დედოფლების ნუსხა. ხელნაწერში მე-4 ადგილზე მოხსენიებულია ბორენა დედოფალი-ბაგრატ IV-ის მეუღლე, ხოლო მეხუთე ადგილზე ელენე დედოფალი. კვლევარის მტკიცებით, ეს ელენე უნდა იყოს გიორგი II-ის თანამეცხედრე (იგულისხმება ელენე დედოფალი, რომანოზ III-ის ძმისშვილი).

როგორც ჩანს, ქართველ მეფეთა ოჯახური კავშირები პოლიტიკურ-დიპლომატიური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი, რაც ხშირ შემთხვევაში , მტრულად განწყობილ სახელმწიფოებთან თუნდაც დროებითი სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გიორგი კედრენე, ქრონოგრაფია,- "გეორგიკა", ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული თარგამანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ.V, თბ.,1963.
2. თაყაიშვილი ე, არქეოლოგიული ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.

3. თოგოშვილი გ, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს-მდე)
4. ინგოროყვა პ, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963.
5. კეკელიძე კ, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I,თბ., 1980.
6. კოპალიანი , "საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა".
7. მეტრეველი რ, სამუშია ჯ, მეფეთ-მეფე გიორგი II. თბ., 2003.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III.თბ., 1979.
9. სილაგაძე ბ, იაჰია ანტიოქელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში, - "ქართული წყაროთმცოდნეობა",ტ.VI, თბ., 1986.
10. სილოგავა ვ, ბორენას წარწერა-ლექსის გარშემო, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 15-22 იანვარი, 1999.
11. ქართლის ცხოვრება. ტ. II, თბ ., 1973.
12. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევბი, თბ., 1998.
13. ქორიძე დ, ქართველი ქალები, თბ., 1976.
14. ჯავახიშვილი ივ, ქართველი ერის ისტორია, ტ. II თბ., 1967

ნათია ფონიავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურა

აფხაზურ-ქართული ურთიერთობები „მეგრული ანდაზებისა" და „ჩვენებურების ქართულის" მიხედვით

ხელმძღვანელი: პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე

ისტორიულად ქართველებს სხვა ხალხებთან, მით უფრო მონათესავე ერებთან, კეთილმეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. ეს განსაკუთრებით ითქმის აფხაზებზე, რადგანაც ისინი რამდენიმე საუკუნეა ქართველებთან ერთად ერთ ქვეყანაში თანაცხოვრობენ. მათ ერთმანეთთან აკავშირებთ მოყვრობა, ნათესაობა, კულტურა და ადათ-წესები.

ქართველთაგან ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა აფხაზებს მეგრელებთან ჰქონდათ. სწორედ ამგვარი ურთიერთობა უნდა დასდებოდა საფუძვლად იმ მეგრულ ანდაზებს, რომლებშიც ასახულია აფხაზების ყოფის ამსახველი დეტალები, მათი თვისება-მიდრეკილებები.

აფხაზების ძირითადი საქმიანობა ძველთაგანვე მესაქონლეობა იყო. ამის დასტურია აფხაზური ფოლკლორი, კერძოდ, ნართული ეპოსი. „ყველა ნართი პირუტყვის მოვლითა და გამრავლებითაა დაკავებული. არქაულ ტექსტებში მათ მსხვილფეხა საქონელი და ცხენებიც ჰყავთ" (ბახია, 2010: 20).

ანდაზებიდან კარგად ჩანს, რომ ქართველები არაჩვეულებრივად იცნობდნენ აფხაზთა სამეურნეო ყოფას, მათ დამოკიდებულებას მეურნეობის აღნიშნული დარგისადმი:

1. „კოჩქ (აფხაზაქ) ხოჯი გოტყაბარუა დო კუდელს ხამუ ქეკატახუა“;
„კაცმა (აფხაზმა) ხარი გაატყავა და კუდზე დანა მიატეხაო“;

შდრ. ქართ. „ძროხის კუდზე დანა გატყდაო“(ხალხური სიბრძნე, 1994:15);

2. „აფხაზას ცხენიში სახელქ გაჭყორდუა“;
„აფხაზს ცხენის სახელი დაავიწყდაო“;

შდრ. ქართ. იმერელს (მეგრელს) მჭადის სახელი დაავიწყდაო“(ხალხური სიბრძნე, 1994:15).

რაკი ქართველები ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდნენ, არ შეიძლებოდა მჭადის სახელი დავიწყნოდათ. ასევე წარმოუდგენელი იყო აფხაზებს ცხენის სახელი დავიწყნოდათ, რადგან მათთვის დამახასიათებელი იყო მესაქონლეობა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სხვა ხალხის ნათქვამიც აფხაზს მიეწერება:

3. „ურიაქ თქუა: სქანი ვაიჩქუდასია დო შხვაში ვაგაიგონებუდასია“;
„ებრაელმა თქვაო: შენი არ იცოდეო და სხვისი არ გცოდნოდესო (გაგეგონოსო) (ხალხური სიბრძნე, 1994:16);

ამ ანდაზის სხვა ვარიანტში კი ამის მთქმელად აფხაზია წარმოჩენილი:

„აფხაზაში ნაჭყა რენია: ვართი სქანით რჩქინუდასია დო ვართი შხვაშა დაიჯერებუდასია“;

„აფხაზის დანაწყევლი არისო: არც შენით გცოდნოდესო და არც სხვისი დაგეჯერებინოსო“(ხალხური სიბრძნე, 1994:16);

ქართველთა ცნობიერებაში აფხაზი ბრძენი და დასაფასებელია, მისი ნათქვამი კი ანგარიშგასაწევი. ამის დასტურია შემდგომი ანდაზა:

4. „ღორონთი მისით გაჭყორუნი, ჭკუას მიდუღანსია“;

„ღმერთი ვისაც გაუწყრება, ჭკუას წაართმევსო“(ხალხური სიბრძნე, 1994:15);

დასახელებული ანდაზის პარალელურ ვარიანტში ესეც აფხაზის ნათქვამადაა წარმოჩენილი:

„აფხაზაქ თქუა: ღორონთი კოს გაჭყორუნი, ჭკუას მიდუღანსია“;

„აფხაზმა თქვა: ღმერთი კაცს რომ გაუწყრება, ჭკუას წაართმევსო“(ხალხური სიბრძნე, 1994:15);

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე აფხაზებს ახასიათებდა, როგორც ცქვიტ, მოუსვენარ ხალხს, რომლებიც ერთნაირად არიან მიდრეკილნი სიკეთისა და ბოროტებისაკენ, ხშირად იცვლიან განწყობილებას (გამახარია, 2000:95). აფხაზების სწორედ ეს თვისება და მოხერხებულობაა დანახული ერთ-ერთ ანდაზაში:

5. „აფხაზები კოწიას იფუჩუანდესია დო მიხას უხუჯუანდესია“;

„აფხაზები კოწიას იფიცებდნენო და მიხას ემხრობოდნენო (მხარს უჭერდნენო) (ხალხური სიბრძნე, 1994:16)“;

ძმური და მჭიდრო ურთიერთობა არა მარტო საქართველოში მცხოვრებ აფხაზებსა და ქართველებს ჰქონდათ, არამედ სამშობლოდან იძულებით გადასახლებულ ქართველ და აფხაზ მუჰაჯირებსაც. მათ შორეულ თურქეთშიც არ დაუკარგავთ ერთმანეთი. ჩვენებურთა მონაყოლში ჩანს, რომ ისინი საკმაოდ კარგად იცნობდნენ აფხაზების ტრადიციებს, ყოფა-ცხოვრებას. თანამედროვე აფხაზების აღსანიშნავად ჩვენებურთა მეტყველებაში ქართული ტერმინის (აფხაზი) პარალელურად იხმარება თურქულიდან ნასესხები აბაზა.

ჩვენებურთა წარმოდგენაში აფხაზი იმდენად ახლობელია, რომ მას თითქმის ქართველს უწოდებენ: აბაზები ჰამანქი (სპარს. Hemenki „თითქმის, დაახლოებით) გურჯები არიან (ფუტკ. 1989:101).

თურქეთში მცხოვრები „გურჯებისთვის“ აფხაზები მისაბაძები გამხდარან ენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით:

„აბაზებმა იმფო (უფრო) შეინახეს აბაზური ენა. ისინი ოჯაღში დუნიადა არ დეილაპარაკებენ. აბაზებმა ძალიან არ დეიპანტნენ, არ გეერიენ თურქებში.

მეემური (არაბ. Memur „თანამდებობის პირი“) ნაკლებათ გახთნენ, სამსახურაი არ დაიწყეს. სოფლებში დარჩენ“ (ფუტკ. 1989: 59).

ჩვენებურებსა და აფხაზებს იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონიათ, რომ ზოგ შემთხვევაში ერთ სოფელში უცხოვრიათ და ოდნავ დამახინჯებით აფხაზური სიტყვებიც შეუთვისებიათ:

„თუფექჩიყონაღში მუჰაჯირი აბაზები იყუენ, არევლი ვიყავით. ვისწავლეთ აბაზური: ბაფსი – ულამაზო, აძი – წყალი, ბზი – კარგი“ (ფუტკ. 1989:101).

თურქეთში მცხოვრებ ქართველებს აფხაზეთშიც ჰქონიათ მისვლა-მოსვლა, ძირითადად სავაჭროდ. ერთ-ერთი ჩვენებური იგონებს:

„-ენ (თურქ. En „ყველაზე“) კაი სოხუმის თუთუნია. ბაბაი იტყოდა, რაჰმეთლი (თურქ. Rahmetli „ცხონებული“) სოხუმში თუთუნი იყო ბევრი, წევდოდით იქა და თუთუნ ვსხემდითო“ (ფუტკ. 1989:331).

ჩვენებურები აფხაზთა სიმამაცესაც უსვამენ ხაზს. მათ ზოგადად კავკასიელთათვის დამახასიათებელი მებრძოლი სული თურქეთშიც შეუნარჩუნებიათ:

„ამ ოჯახის სააბი(არაბ. Sahip „პატრონი, მფლობელი) ბაშთან (თურქ. Bashtan „თავიდან“) აბაზაი ყოფილა. მუუკლან Jორუგებ (თურქ. Yoruk „მომთაბარე ტომი), თურქებ. აბაზები ღორ-ღორი ყოფილან (ჩვენებურთა მეტყველებაში ღორი ნიშნავს „გამბედავს, უტეხს, მტკიცეს). მოკლეს, დანით დაწელეს“ (ფუტკ. 1989:92).

ჩვენებურებს აფხაზთა სხვა თვისებებიც არ დარჩენიათ ყურადღების მიღმა. მათი მონათხრობიდან ჩანს, რომ აფხაზები პატიოსანი ხალხია, თუმც უხერხულ სიტუაციაში თავის გამართლება და გამოძვრენა კარგად ეხერხებათ:

„ორ აბაზა ბაღვსა, აფხაზას, რაცხა მუუპარვიან ბიჩხში (სპარს. Bicki „ხის სახერხი“). ბიჩხებსა კარები არა აქ შეკიდული. მისულა იგირიმ (იგერ იმ) ბაღვების ბაბოსთან. უთხრომიან ქი, თქუენ ბაღვებსა ჩუენ ბიჩხიდან რაცხა მუუპარვიან. ბაბოს უთქუამს ქი, მივდეთ, დევნახოთ ბიჩხიო, რა უუწევიანო. აფხაზები დუნიადა სუჩ (თურქ. Such „დანაშაული“) არ ეიღებენ, არ იყაბულებენ (არაბ. Kabul „შესრულება“). აფხაზსა შუუხედია, შამუუხედია, რა მევგონოვო, დუუფიშმანია (სპარს. Pishman „დაფიქრება“): კაც ამ სისხო ბიჩხი გუუკეთებია,

ერთი-ორი კარი ვერ შუუკიდიაო. კარი ქონოდა, ჩემი ბაღვები ვერ შევდოდენო. გეიმართლა თავი...“ (ფუტკ. 1989:64).

მუჰაჯირი ქართველები და აფხაზები თავ-თავიანთ მშობლიურ კულტურას თურქეთშიც არ ივიწყებდნენ, პატივს სცემდნენ ერთმანეთის ტრადიციებს, სულიერ მონაპოვარს. როგორც ჩანს, ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებში ბევრ საერთო ელემენტს პოულობდნენ. ერთ-ერთი ჩვენებური იგონებს:

„აბაზურაი სამა (ცეკვა) გენჯებსა (თურქ. Genj „ახალგაზრდა“) ძალუან გვიყუარდა, ნამეტვარი იმითვინ, რომე გოგვების ერთათ ვსამობდით, გვიხარიოდა“ (ფუტკ. 1989:373).

„აფხაზურ ყოფაში ბუნების ცალკეული ობიექტების – მთების, მდინარეების, ჭალებისა და ხეებისადმი საკრალური თვისებების მინიჭება უძველესი პერიოდიდან დღემდე აფხაზური ეთნიკური კულტურის თავისებურებაა. ყველა ასეთ ობიექტს ისინი ნJ ხას, ე.ი. სალოცავს უწოდებენ. აფხაზების ღვთაებების საკულტო ცენტრად სხვადასხვა ეპოქაში ბუნებრივი ობიექტები გვევლინებოდა – მთა, ტყის პირები, ჭალები და ცალკეული ხეები“ (ბახია, 2010:62).

როგორც ჩანს, აღნიშნულ ტრადიციას თურქეთშიც მისდევდნენ აფხაზები. ამა თუ იმ რიტუალს ასრულებდნენ თავიანთი ღვთაებების მიმართ, შესთხოვდნენ მათ შემწეობას. მსგავს ჩვეულებას გაკვირვებაში მოუყვანია მუჰაჯირი ქართველები. ერთ-ერთი მათგანი იგონებს:

„კავკასიაში მომკდარა აფხაზების დიდი კაცი. მოყრილან აფხაზები. ჩივიან:

-ჩუენი დიდი რომ მოკდა, ჩუენც დემაქინა (თურქ. Demak „ვარაუდი“) მოვკვდეთ იანიო (თურქ. yani „ესე იგი, მაშასადამე“). რა ვუშველოთ ამასო, -დეიფიშმანეს. მოყრილან აფხაზები, ასულან დიდ სერზე, მესელა (თურქ. Mesela „მაგალითად“) ულუდაღზე. ღმერთსა კეკეროზ ჰქვია აფხაზურა.

-კეკეროზ, კეკეროზ, -ყვირიან აფხაზები, -გადაგვარჩინე სიკვდილსაო.

სერზე იმითვინ ევდენ, ღმერთნა გააგონონ. აფხაზებთან ყველგან ღმერთი არ არი... სერზე ღმერთ რატო ეზეფ? ღმერთი ყუელგან არი ყუელასთვინ.

იმათთვინ ღმერთი სერზე ყოფილა“ (ფუტკ.1989:128).

აფხაზურად ღმერთს ანცვა ჰქვია. მას სამეცნიერო ლიტერატურაში პოლითეიზმიდან მომდინარედ მიიჩნევენ. აფხაზების ყველაზე მთავარ ღვთაებებს შორის კეკეროზი არ იხსენიება. ძნელი სათქმელია, რას უკავშირდება ეს სიტყვა. შესაძლოა, ჩვენებურების მეხსიერებას სხვა აფხაზური ფრაზების მსგავსად ესეც დამახინჯებით შემორჩა.

ჩვენებურებს საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება აქვთ აფხაზებისადმი. მათ პატიოსან ხალხად ახასიათებენ, თუმცა ისევე როგორც ეკალი ყველა ყანაშია, ნებისმიერ ერს ურევია ცუდი ჩვევების მქონე ადამიანებიც. ამ მხრივ გამონაკლისი აფხაზებიც არ არიან. ეს კარგად ჩანს ჩვენებურთა შემდეგი მოგონებიდან:

„აბაზები ჩეიცმიდენ, დეიხურვიდენ, წევდოდენ სოფლობაში მეგერ და გაქუცევდენ (გაძარცვავდნენ) ხალხსა. იელლი კუდიანები ყოფილან, მულაიმი (არაბ. Mulayim „მშვიდი, წყნარი“) ხალხი“ (ფუტკ. 1989:67).

ჩვენებურები ძალიან შეუწუხებია ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას:

„გვეყურება, გურჯისტანში სავაშიაო (თურქ. Savash „ომი“). ძალუან გვებრალვის გურჯისტანი“ (ფუტკ.1989:229).

„აბაზები უტყდებიან ჩუენ გურჯებსაო, მესმის და აქედამ ვჰერსიანობ (არაბ. Hirs „ბრაზი, რისხვა), ვერ გადავსულვართ...“ (ფუტკ. 1989:279).

იმედია, ქართველებსა და აფხაზებს შორის მესამე ძალის მიერ ჩატეხილი ხიდი მალე აღდგება და კვლავ ძმური ურთიერთობა დაიმკვიდრებს. ამაში დიდი როლი წარსულის გამოცდილებამ უნდა შეასრულოს, რაც, ვფიქრობთ, კეთილი მომავლისა და ერთა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდარი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ბახია, აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010;

2. ჯ. გამახარია, წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, თბ, 2000;

3. ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები, თბ.,1994;

ლევან დოსმიშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს სახელმწიფოებრიობაში

ხელმძღვანელი: პროფესორი ლალი გაბისონია.

1. რელიგიის როლი საზოგადოებაში.

საზოგადოება წარმოადგენს ადამიანთა თანაცხოვრების ერთ-ერთ ისეთივე ფორმას, როგორიცაა მაგალითად: ოჯახი, გვარი, ტომი და სხვა. ჩვეულებრივ, ადამიანს არ შეუძლია განცალკევებით, იზოლირებულად ცხოვრება. ამიტომ, პირველი თემური წყობილებიდან მოყოლებული, ისინი კოლექტიურად თანაარსებობენ.

როგორც ვხედავთ, საზოგადოების ცალკეულ ელემენტს წარმოადგენს ადამიანი. მისი ბუნებისა და შესაძლებლობების სირთულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადამიანის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული ცნება, მაგრამ „ცნობილია ადამიანურობის ხუთი ძირითადი ნიშანი, რომელთა გარეშე ორფეხა, ვერტიკალურად მავალი და მეტყველი არსება ადამიანად ვერ ჩაითვლება. ისინი ქმნიან ადამიანს - ადამიანად და საზოგადოებას - საზოგადოებად, სულდგმულს - პიროვნებად და ჯოგს - კოლექტივად. ადამიანი ცხოველისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი არის: **1.** იარაღის მკეთებელი (homo faber), **2.** გონიერი (homo sapiens), **3.** მორალური (homo moralis), **4.** საზოგადოებრივი (homo politicus), **5.** რელიგიური ანუ მორწმუნე (homo religious).“[1] მათგან პიროვნებისათვის ზოგი მეტადაა მნიშვნელოვანი, ზოგი ნაკლებად, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, მით უფრო - საზოგადოება, ამ ნიშნებიდან ერთი მაინც რომ აკლდეს.

ადამიანი ჭეშმარიტად რელიგიური არსებაა, ვინაიდან რელიგია, თავის თავში, რაღაცისადმი რწმენასა და იმედს გულისხმობს. ხოლო რწმენა ადამიანის ყოველი ქმედების (მოქმედების თუ უმოქმედობის) მოტივაციას განაპირობებს, ანუ უბიძგებს

მას ისწრაფოს დასახული მიზნისაკენ. „ამიტომ ადამიანის სიცოცხლისათვის აზრის მიცემა - რელიგიის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს.“[2]

კაცობრიობის ისტორიაც ხომ ამის ნათელი, მაგალითია? არქეოლოგიურ გათხრებსა და უძველეს წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ უძველესი ცივილიზაციების ცენტრებს რელიგიური დანიშნულების შენობა - ნაგებობები წარმოადგენდა, რომელთა გარშემოც მთელი ქალაქები იყო გაშენებული (მაგალითად: ამერიკაში - ინკები, მაია. აფრიკაში - ძველი ეგვიპტე). ადამანი ვერ ეგუება სიკვდილს. იგი ყოველთვის ისე ცხოვრობს, როგორც მარადიული არსება და ისწრაფვის მარადისობისაკენ.

და მაინც რა იგულისხმება სიტყვაში „რელიგია?“ ამასთან დაკავშირებით მრავალ მეცნიერს

---

1 – რელიგიის ისტორია. კარიბჭე. თბ. 1996. გვ. 17

2 – რელიგიის თავისუფლება. თავისულების ინსტიტუტი. თბ. 2004. იხილეთ: გვ. 21

გამოუთქვამს თავისი მოსაზრება. „მაგალითად კანტი რელიგიას აკავშირებდა ზნეობრივი ვალის გრძნობასთან. გერმანელი ღვთისმეტყველი შლეიერმახერი - დამოკიდებულების გრძნობასთან. ფრანგი ისტორიკოსი რეინაკი - „სინდისისმიერი შეგრძნებების ნაყოფთან“. ინგლისელი მწერალი რასელი რელიგიას განმარტავდა, როგორც შიშს უხილავის წინაშე, გერმანელი ფილოსოფოსი პაულსენი კი - როგორც შინაგან განწყობას.“[1] ასევე ძალზე საინტერესოა ტერმინ „რელიგიის“ ეტიმოლოგია. იგი „მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან - **religio,** რაც ნიშნავს ხელახალ კავშირს ანუ კავშირის განახლებას, აღდგენას, კვალადგებას.“[2] აქედან გამომდინარე, თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ტერმინის შინაარსს კავშირი აქვს ქრისტიანული რელიგიის ბიბლიურ სწავლებასთან იმის შესახებ, რომ ადამიანი შექმნილია, როგორც მარადიული არსება სამოთხეში საცხოვრებლად, მაგრამ ცოდვით დაცემის შემდეგ მან დაკარგა სამოთხეში ყოფნის უნარი. რელიგია კი ეხმარება ადამიანს კავშირის აღდგენაში მარადისობასთან, სამოთხესთან, ღმერთთან.

როგორც ვხედავთ, რელიგია დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და მის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტიტუტზე - სახელმწოფოზე. კაცობრიობის ისტორიის არაერთი ფურცელი აქვს დათმობილი სახელმწიფოსა და ეკლესიის, როგორც რელიგიური ორგანიზციის ერთ-ერთი სახის, ურთიერთობებს. ისტორიის მანძილზე

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობები, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება, იცვლებოდა და არაერთხელ, ამგვარი ცლილება მსოფლიოს ისტორიაში შესულა როგორც ახალი ეპოქის დასაწყისი. ამის უამრავი მაგალითია ისტორიაში და ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო, მათ შორის, იყო საფრანგეთის რევოლუცია (1789 წ.), რომელმაც დაამხო კათოლიკური ეკლესია - რომელსაც, იმ პერიოდში, სერიოზული გავლენა ჰქონდა სახელმწიფოზე, არისტოკრატია, მონარქია და მთელი ევროპა დააყენა ინდუსტრიული რევოლუციის, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიისაკენ მიმავალ გზაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობათა ცვლილების პროცესი XVIII საუკუნის ბოლოს არ დაწყებულა. იგი აქტიურ ფაზაში შევიდა XIV საუკუნიდან, როდესაც უკვე ჩნდება სიტყვათშეთანხმება - **„საერო სახელმწიფო“.** ამ იდეის „ერთ-ერთ არქიტექტორად მოიაზრება რომაელი კათოლიკე მოაზროვნე მარსელიუს პადუელი, რომელმაც 1324 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში - defensor pacis, მკაცრად გააკრიტიკა სახელმწიფოზე ეკლესიის უზენაესობის

---

1 - Александр Менъ. История религии. В поисках пути, истины и жизни. I том. моск. 1991. იხილეთ: გვ. 28 (თაგმნილი)

2 - რელიგიის ისტორია. კარიბჭე. თბ. 1996. გვ. 15

მტკიცებულებანი.“[1]

მომდევნო პერიოდში, საერო სახელმწიფოს იდეის რეალურად დამკვიდრებისთვის ბრძოლა

კიდევ უფრო გააქტიურდა. „განმანათლებლობის პერიოდში ამ იდეამ დიდი გავლენა იქონია ინგლისსა და საფრანგეთზე, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები იქცა პირველ სახელმწიფოდ მსოფლიოს ისტორიაში, რომელმაც კონსტიტუციურად აღიარა საერო სახელმწიფოს სისტემა, სადაც ხელისუფლებას არ გააჩნია იურისდიქცია რელიგიურ სფეროზე და ყველა რელიგიური გაერთიანება განიხილება კერძო და ნებაყოფლობით გაერთიანებად.“[2] ამან კი თანამედროვე ეპოქაში მოგვცა საერთაშორისო დონეზე აღიარებული - „რელიგიის თავისუფლება“ და ამ პრინციპის დაცვით მოწესრიგებული ურთიერთობა სახელმწიფოსა და მათ ტერიტორიაზე მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებს შორის.

ასე ვითარდებოდა და იცვლებოდა საზოგადოება საუკუნეების მანძილზე, მაგრამ რელიგიას თავისი როლი და მნიშვნელობა არ დაუკარგავს არცერთ ეპოქაში.

2.მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართულ სახელმწიფოში.

ზოგადად რომ არც გვესაუბრა, თუ რა ზეგავლენას ახდენს რელიგია ამა თუ იმ საზოგადოებაზე, მხოლოდ საქართველოს მაგალითიც იკმარებდა იმის დასამტკიცებლად, რომ სწორედ რწმენაა სულისჩამდგმელი ადამიანის, ერის, ცივილიზაციის პროგრესისა.

საქართველოს და ქართველი ერის ისტორიული ფესვები ძვ. წ. პირველ ათასწლეულში იკარგება. ძვ. წ. პერიოდში ქართველი ერი წარმართი იყო, მაგრამ მათ ჰქონდათ რწმენა - ისინი კერპთაყვანისმცემლები იყვნენ (გაცი, გაიმი). ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ქრისტიანობამდელი წინაპარიც რელიგიურ საზოგადოებას წარმოადგენდა. ახ. წ. პირველივე
საუკუნეში მაცხოვრის მოწაფეებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ ქრისტეს მოძღვრება საქართველოშიც იქადაგეს, მაგრამ I - III საუკუნეებში, ქრისტიანობა, ისევე როგორც რომის იმპერიაში, მთელი ერის კუთვნილებად და სახელმწიფო რელიგიად ჯერ არ იყო ქცეული. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოხდა მირიანის მეფობის დროს (**326 წ.**) წმ. ნინოს ძალისხმევითა და მეოხებით. აქედან მოყოლებული, ქართველ ერს არასდროს უღალატია „წმ. ნინოს ღმერთისათვის." დროთაგანმავლობაში, ქრისტიანულმა

---

1 - რელიგიის თავისუფლება. თავისულების ინსტიტუტი. თბ. 2004. გვ. 51
2 - რელიგიის თავისუფლება. თავისულების ინსტიტუტი. თბ. 2004. გვ. 54

რწმენამ ღრმად გაიდგა ფესვები ქართულ ცნობიერებაში და უკვე VII – VIII საუკუნეებისათვის სარწმუნოება ეროვნულობის ანუ „ქართველობის" სინონიმად იყო ქცეული.

არაბთა ბატონობამ სულიერად და ფიზიკურად თითქმის გაანადგურა ქართველი ერი. მათი ბატონობის შემდეგ შერყეული სარწმუნოებისა და ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის, რაც ტაო-კლარჯეთში დაიწყო, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ძლიერ სამონასტრო მოძრაობას VIII საუკუნის ბოლოს და

IX საუკუნის დასაწყისში. ამ მოძრაობის სათავეში დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე - გრიგოლ ხანძთელი (759-861) იდგა. IX საუკუნიდან მოყოლებული კიდევ უფრო გაიზარდა ქართული ავტოკეფალური ეკლესიის როლი საქართველოს სახელმწიფოებრიობაში. იგი განსაზღვრავდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქრისტიანული სახელწიფოს სულიერი ცხოვრება და კულტურა. „მეფენი დიდ ანგარიშს უწევდნენ ეკლესიას, მის მწყემსმთავარს და საერო ხელისუფლების გადაწყვეტილებანი ხშირად დამოკიდებული იყო ეკლესიის პირველი პირის თანხმობა-ართანხმობაზე.“[1]

სახელმწიფოსა და ეკლესიის შეთანხმებულ ურთიერთობას მოჰყვა ოქროს ხანა საქართველოს ისტორიაში - XII საუკუნე, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე წმინდანებად არიან შერაცხულნი ქართული ეკლესიის მიერ. ეს არ იყო მათი მხოლოდ ერის წინაშე დამსახურების შედეგი, არამედ, პირვლ რიგში, ეს გამომდინარეობდა მათი ღრმა, სულიერი ცხოვრებიდან. მათ მსგავსად, საქართველოს ისტორიაში, მრავლად არიან წმინდანებად შერაცხული მამულიშვილები, რომლებმაც შეძლეს თავანთი წვლილის შეტანა საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ჩვენ დიდებულ წინპრებს გააჩნდათ, ეკლესიის წიაღში შეძენილი, მყარი ზნეობრივი
საყრდენი, რომელიც მათ უბიძგებდა სამშობლოსთვის და ქართველი ერისთვის თავგანწირვაზე.

მომდევნო საუკუნეებში ქართელებს პერმანენტულად უხდებიდათ თავიანთი სამშობლოს დაცვა გარეშე მტრებისაგან. ეკლესია კი შეძლებისდაგვარად გვერდში ედგა სახელმწიფოს და იღწვოდა ქართველებში რწმენისა და ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნებისათვის.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ისტირია მოწმობს იმას, რომ „მართლმადიდებელი ეკლესია უდიდეს როლს ასრულებს საქართველსოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ჩამოყალიბებასა და ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის ბრძოლის ისტორიულ პროცესში. ამიტომ შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული

1 – იხილეთ: http://ambioni.archangels.ge/სახელმწიფო-და-ეკლესია/ 30.05.10.

ცივილიზაციის მთავარი საფუძველი, სწორედ რომ მართლმადიდებლობა იყო.“[1] ამის დასტურია ისიც, რომ ქართველების ზნეობრივი და სულიერი მდგომარეობა პირდაპირპროპორციულად პოვებდა ხოლმე ასახვას საქართველოს სახელმწიფო საზღვრების მდებარეობაზე და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების დონეზე.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობა არის ქართული
ცივილიზაციის განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების საფუძველთა-საფუძველი, ვინაიდან, საუკუნეების მანძილზე, სწორედ ქრისტიანული რწმენა აძლევდა ქართველებს შემართებას, რომ ებრძოლათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დამოუკიდებლობისათვის.

3. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობის ფორმები საქართველოს სახელმწიფოსთან.

XIX საუკუნიდან, რუსული პოლიტიკის „წყალობით“, ურთიერთობები საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ძალზე გართულდა. XX საუკუნეში კი ქართულმა ათეისტურმა მთავრობამ, რომლის სათავეშიც ნოე ჟორდანია იდგა, ფაქტობრივად, გაწყვიტა ურთიერთობა ჩვენ დედა ეკლესიასთან. „ჟორდანისა ხელისუფლებამ 1921 წლის 15 აპრილს ავტოკეფალიადაკარგული ქართული ეკლესია კანონგარეშე, იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციად გამოაცხადა და ფაქტობრივად, რეალური სტატუსი საქართველოს ეკლესიას 2002 წლის კონსტიტუციურ შეთანხმებამდე არ ჰქონდა.“[2] 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმზე (ამავე წლის 31 მარტი) გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, გამოაცხადა დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს აღდგენა.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ჰარმონიულ ურთიერთობას ოდითგანვე უდიდესი წვლილი
შეჰქონდა ქვეყნის მომავლის შენებაში. ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კერძოდ 1995 წლიდან, ქართველებმა დაიწყეს ფიქრი ეკლესიასთან გაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენასა და შემდგომ განვითარებაზე. თუმცა

ვიდრე უშუალოდ ამ საკითხზე გადავალთ, შევეხოთ იმას, თუ ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობათა რა თანამედროვე მოდელები არსებობს დღეს, დემოკრატიულ საზოგადოებებში. „საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის

---

1 – თენგიზ ლილუაშვილი. „საიუბილეო კრებული.“ ჯონი ხეცურიანის ნაშრომი. გვ 63.
2 – იხილეთ: http://ambioni.archangels.ge/სახელმწიფო-და-ეკლესია/ 30.05.10.

საფუძველზე, სახელმწიფოსა და რელიგიის ანუ ეკლესიის ურთიერთობის რამოდენიმე მოდელი შეიძლება გამოვყოთ:

1. სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა (საერო სახელმწიფო). -- აშშ.
2. სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნა. -- გერმანია.
3. რელიგიური პრიორიტეტი. -- იტალია, ესპანეთში, ლუქსემბურგში.
4. სახელმწიფო რელიგია.“[1] -- დიდი ბრიტანეთი, დანია.

საქართველოშო, ჩვენი ისტორიიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები უნდა მოწესრიგებულიყო ან რელიგიური პრიორიტეტის მოდელით, ან სახელმწიფო რელიიგიის მოდელით. გასაღებს ამ საკითხზე ვპოულობთ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში. კერძოდ, 2001 წლის 30 მარტს საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რის შემდეგაც მე-9 მუხლში „ხუთი უმნიშვნელოვანესი დებულება გამოიკვეთა: **1**.სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. **2**.სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში. **3**.ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან. **4**.საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება
კონსტიტუციური შეთანხმებით. **5**.კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

როგორც ვხდედავთ, საქართველოს სახელმწიფომ ეკლესიასთან ურთიერთობისათვის **რელიგიური პრიორიტეტის** მოდელი აირჩია. ხოლო ურთიერთობები ორ დამოუკიდებელ

სუბიექტს - სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მოწესრიგდა - **კონსტიტუციური შეთანხმებით.** ეს სრულიად ახალი ინსტიტუტია ქართულ სამართალში. ამ შეთანხმებას კონსტიტუციური ეწოდება იმიტომ, რომ მისი დადების შესაძლებლობა, პროცედურები და სუბიექტთა წრე მხოლოდ სახელლმწიფოს ძირითადი კანონით არის განსაზღვრული. კონსტიტუციური შეთანხმება მიიღეს 2002 წლის 14 ოქტომბერს. იგი შედგება 12 მუხლისაგან.

კონსტიტუციური შეთანხმების **პირველ მუხლში** საუბარია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობაზე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. განსაზღვრულია

---

1 – მარიამ ცაცანაშვილი „სახელმწიფო და რელიგია“ თბ. 2001. იხ. გვ. 29

მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი საქართველოში (სრულუფლებიანი საჯარო სამართლის იურიდიული პირი). განსაზღვრულია, თუ ვინ არის ეკლესიის, სპეციალური უფლებამოსილების გარეშე, წარმომადგენელი (საეკლესიო კრება, კათალიკოს-პატრიარქი, წმინდა სინოდი და საპატრიარქო. ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათალიკოს-პატრიარქი. მუხ 1.4). პირველი მუხლის თანახმად „ეკლესია თავის საქმეებს წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. დავამატებ იმას, რომ კანონიკურ სამართალში მოიაზრება:

1. წმინდა წერილი და წმინდა გარდამოცემა.
2. მოციქულთა კანონები.
3. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები.
4. ადგილობრივი საეკლესიო კრებათა კანონები.“[1]

პრეზიდენტისა და სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მსგავსად, კათალიკოს-პატრიარქი სარგებლობს ხელშეუვალობის უფლებით ანუ იმუნიტეტით. ამ მუხლის ბოლო პუნქტი დიდ საეკლესიო დგესასწაულებსა და კვირა დგეს დასვენების დღეებად აცხადებს.

კონსტიტუციური შეთანხმების **მეორე მუხლში** დაცულია იმ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც სასულიერო პირმა გაიგო როგორც სულიერმა მოძღვარმა. ეს დებულება ასევე

გატარებულია საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (2010წ. მაისი), სადაც აღნიშნულია, რომ სასულიერო პირი არ შეიძლება სასამართლი პროცეზე დაიკოთხოს მოწმის სახით, თუკი მას ესა თუ ის ინფორმაცია გაანდეს როგორც სულიერ მოძღვარს (მუხ. 95 „ე“ პუნქტი). შეთანხმების **მესამე მუხლით** სახელმწიფომ აღიარა ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერა იმ პირობის გათვალისწინებით, რომ იურიდიულ ურთიერთობებში გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. ეს მუხლი ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში გათვალისწინებულია სხვა რელიგიური კონფესიების ინტერესები და დაცულია მათი უფლებები. სწორედ ამის დასტურია მე-3 მუხლის ბოლო წინადადება: „სამართლებრივ ურთიერთობებში გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.“

---

1 - დავით ჩიკვაიძე. „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.“ კომენტარები. თბ. 2005. გვ 12

შეთანხმების **მეოთხე მუხლი** სასულიერო პირებს ათავისუფლებს სამხედრო ვალდებულებისაგან და მხარს უჭერს კაპელანის[1] ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში. სხვათაშორის ეს ინსტიტუტი ბევრ ევროპულ სახელმწიფოში სარგებლობს დიდი მხარდაჭერით, მათ შორის: იტალიასა და დიდ ბრიტანეთში. ხოლო **მეხუთე მუხლის** თანახმად, სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში უნდა ისწავლებოდეს მართლმადიდებლური სარწმუნოება, ოღონდ ნებაყოფლობით (ესეც რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო ნორმის გათვალისწინებით). პროგრამის შედგანა და პედაგოგთა შერჩევა კი ხდება ეკლესიის წარმომადგენელთა წარდგინებით. ჩემი აზრით, ქართველი მოზარდები აუცილებლად უნდა სწავლობდნენ ცალკე საგნად მართლმადიდებლობას და მის როლს საქართველოში, ვინაიდან საქართველოს არსებობის საფუძველთა-საფუძველი მართლმადიდებელი სარწმუნოებაა. მას ქართველი ერისთვის რელიგიურ მნიშვნელობასთან ერთად, დიდი ეროვნული მნიშვნელობაც გააჩნია.

კონსტიტუციური შეთანხმების **მეექვსე, მეშვიდე და მერვე მუხლებში** საუბარია ეკლესიის ქონებაზე, საკუთრებით ურთიერთობებსა და ეკლესიის უფლება-მოვალეობებზე ამ სფეროში. საეკლესიო პროდუქცია, არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისაგან. ეს

პრივილეგია, სავსებით მართებულად, ეკუთვნის მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას და იგი გამომდინარეობს ამ სარწმუნოების განსაკუთრებული ისტორიული როლიდან საქართველოში.

კონსტიტუციური შეთანხმების **მეცხრე მუხლი** სახელმწიფოსა და ეკლესიას თანაბრად

ავალდებულებს, რათა მათ იზრუნონ საქართველოს ისტრიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობებსა და საეკლესიო დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე. ჩემი აზრით, ეს ტურისტული თვალსაზრისითაც ძალზე მომგებიანი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის. შეთანხმების **მეათე მუხლით** სახელმწიფო იღებს ვალდებულებას აწარმოოს მოლაპარაკებები შესაბამის სახელმწიფოებთან, მათ ტერიტორიაზე არსებული, ყველა ქართული, მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის და სხვა ეკლესიური ფასეულობებეს მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე. ამ მიმართულებით, ჩემი აზრით, ყველაზე აქტიური მოლაპარაკებების წარმოება საჭიროა თურქეთთან, რათა აღდგეს და ამოქმედდეს ძველი ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული დიდებული ქართული ტაძრები.

შეთანხმების **მეთერთმეტე მუხლში** სახელმწიფო აღიარებს, რომ ქართულ ეკლესიას მიადგა

---

1 - უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ. 1989. იხილეთ: გვ. 217. (სამეფო კარის მღვდელი, არმიის მღვდელი)

მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანი რუსების ბატონობის პერიოდში (განსაკუთრებით კომუნისტური რეჟიმის დროს 1921-1990 წწ.). სახელმწიფო თანახმაა, ამ ზარალის ნაწილობრივ კომპენსირებაზე. სახელმწიფი შექმნის კომისიებს აღნიშნული საკითხების შესწავლისათვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის N-1 ბრძანებულებით, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების მომზადების მიზნით შეიქმნა კომისიები. შეთანხმების **ბოლო მუხლში** კი განსაზრვრულია მისი ამოქმედების, მასში ცვლილებების შეტანისა და ძალაში შესვლის საკითხები.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუციური შეთანხმება არის სახელმწიფოსა და ეკლესიის საპროგრამო ნორმატიული აქტი, რომლის შესაბამისად უნდა მოხდეს სხვადასხვა ნორმატიული აქტების მიღება საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. ამიტომ ლოგიკურია ის, რომ კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად, არსებობს შემდეგი შეთანხმებები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის: 1. შეთანხმება - საქართველოს სამოციქული ავტიკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს მთავრობას შორის მსჯავრდებულის მიერ სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. (პრობაციის ბიუროსთან). 2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქული ავტიკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიის ხელშეკრულება (20.04.2001). საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ასევე აქვს გაფორმებული ხელშეკრულებანი განათლების სამინისტროსთან და ტურიზმის დეპარტამენტთან.

4. დ ა ს კ ვ ნ ა .

დასკვნის სახით ჩემი აზრი მინდა გამოვთქვა სახელმწიფოს მიერ ეკლესიასთან ურთიერთობისათვის არჩეულ მოდელთან დაკავშირებით (რელიგიური პრიორიტეტი).

მე მომწონს ის გზა, რომელიც საქართველოს სახელმწიფომ აირჩია ჩვენ დედა ეკლესიასთან ურთიერთიბისათვის. არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნას, თითქოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფოსგან რაიმე განსაკუთრებული დაცვა ჭირდებოდეს და ამიტომ დათანხმდა კონსტიტუციური შეთანხმების მიღებაზე. ეს ასე არაა, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, რომ მართლმადიდებლობას 70 წლიანი ათეიზმის პერიოდშიც ვრაფერი მოუხერხეს, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად და მიზანმიმართულად იბრძოდნენ მისი სრული განადგურებისათვის. ჩვენ შემთხვევაში, უბრალოდ, სახელმწიფო გრძნობს ეკლესიის რეალურ ძალას და საჭიროებას ერის ზნეობრივი განვითარებისა და სრულყოფის საქმეში. ამიტომაც სახელმწოფომ კონსტიტუციური შეთანხმებით დაამყარა მასთან ურთიერთობა და ერთობლივი ძალებით იღწვის ერის ზნეობრივი განვითარებისათვის. ბოლო წლებში ამ გზით მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: შენდება ახალ-ახლაი

ტაძრები, ფუნქციონირებს საპატრიარქოს რადიო და ტელევიზია ფორმდება ახალი შეთანხმებები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროებში, ეკლესია სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს ყოველწლიურად თანხებს ერის ზნეობრივი განვითარებისათვის და სხვა. მთავარია, რომ არ შეწყდეს და გაგრძელდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობა ქვეყნის და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რელიგიის ისტორია. კარიბჭე. თბ. 1996.
2. რელიგიის თავისუფლება. თავისულების ინსტიტუტი. თბ. 2004.
3. Александр Менъ. История религии. В поисках пути, истины и жизни. I том. моск. 1991.
4. ქრისტინული ეკლესიის ისტორია. გვანცა კოპლიტაძე. თბ. 2007.
5. იხილეთ: http://ambioni.archangels.ge/სახელმწიფო-და-ეკლესია/ 30.05.10.
6. თენგიზ ლილუაშვილი. „საიუბილეო კრებული.“
7. მარიამ ცაცანაშვილი „სახელმწიფო და რელიგია“ თბ. 2001.
8. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია 2010
9. დავით ჩიკვაიძე. „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. კომენტარები. თბ. 2005
10. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ. 1989

ია მჭედლიძე

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

საქართველოს და სომხეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი XIX-XX საუკუნეებში

ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ჩოჩიშვილი

განხეთქილება სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის საუკუნეთა სიღრმიდან იწყება და ყოველთვის დიდ აქტუალობას იძენდა ეს საკითხი.

ერთიანი რელიგიური პლატფორმა ქართულმა და სომხურმა ეკლესიებმა პირველად დვინის საეკლესიო კრებაზე (506 წელს) აღიარეს. კრებამ, როგორც ცნობილია მხარი დაუჭირა ბიზანტიის კეისართა დიოფიზიტ-მონიფიზიტთა შემრიგებლურ პოლიტიკას. გარკვეული დროის შემდეგ ბიზანტიამ მხარი დაუჭირა ქალკედონიტობას, ხოლო ირანმა – მონოფიზიტობას. ამ დროს და ამ ვითარებაში ქართველებს და სომხებს ცხადია, უნდა გაერკვიათ თავიანთი პოლიტიკური ორიენტაცია და რელიგიური მრწამსი.

უთანხმოება ოფიციალურად VI საუკუნიდან დაიწყო, როცა სომხურმა ეკლესიამ ირანის უზენაესობა აღიარა და მონიფიზიტობას დაუჭირა მხარი, ხოლო ქართლის სამეფოში დიოფიზიტობა აღიარეს.

604-609 წლებში ქართლის და სომხეთის ეკლესიების მეთაურთა შორის გაცხოველებული მიმოწერა მიმდინარეობდა რელიგიურ საკითხებზე, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. სომხურმა ეკლესიამ ურთიერთობა გაწყვიტა ქართულ ეკლესიასთან. VIII საუკუნის 20-იან წლებში საბოლოოდ გაფორმდა 2 იდეოლოგიური ბანაკი – მონოფიზიტების (სომხები) და ქალკედონიტური (ქართლი).

VII საუკუნის დამდეგს კავკასიაში მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან წყაროებს შორის ყველაზე სანდო და ობიექტური წყაროა „ეპისტოლეთა წიგნი“, იგი ოფიციალური დოკუმენტების კრებულია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მთლიანი სახით 1298 წლით დათარიღებული ხელნაწერით, რომლის ტექსტი 1901 წელს დაიბეჭდა თბილისში. ეს ხელნაწერი 3 ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან ჩვენთვის საინტერესოა ხელნაწერის მე-3 ნაწილი. იგი ასახავს VII საუკუნეში ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარ საეკლესიო განხეთქილებას, შედგება 25 ეპისტოლესაგან, რომლებიც დაიწერა 605-610 წლებში. მისი ერთ-ერთი ძირითადი ავტორი არის ქართლის ეპისკოპოსი კირიონ I.

ასე დაიწყო განხეთქილება სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის, რომლის ფინალი იყო სომხური ეკლესიის მიერ ქართულ ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა.

VIII საუკუნიდან მოყოლებული, მთელი საუკუნეების განმავლობაში, ქართული ეკლესია და ქრისტიანული რელიგია სომეხთა მიერ ყოველთვის იდევნებოდა. დამპყრობლების მიერ დაპყრობილ საქართველოში ქართველი იძულებული ხდებოდა უარეყო ქრისტიანობა და მიჰკედლებოდა და ეღიარებინა არაქართული რელიგია. გასული საუკუნის 70-იან წლებში ცნობილი გახდა

გამოთქმა: “ტერტერა აბაზად ნათლავდა, მღვდელი ორ აბაზადაო.” არსებობს სომეხი ტერტერას მიერ მონათლული ქართული გვარები: ტერმაკოზაშვილი, ტერტერაშვილი. .

სომხეთის ეკლესიის სურვილი, საქართველოს ეკლესია დაქვემდებარებოდა სომხეთს, ჯერ კიდევ IV საუკუნიდან (წმ. ნინოს მოსვლა) იწყება. სომხები თავიანთ შეხედულებებს აყალიბებდნენ სხვადასხვა ფაქტებზე და თავისდა სასიკეთოდ ხსნიდნენ ამა თუ იმ მოვლენას. სომხური ეკლესია გავლენის გასამტკიცებლად აშკარა ინტერვენციასაც არ ერიდებოდა: დაახლოებით 699 წელს ალბანეთის ქალკედონიტი კათალიკოსის დასაჯელად არაბთა ჯარით ჩავიდა სომხეთის კათალიკოსი. ალბანეთის კათალიკოსი ქალკედონიტური მრწამსის გამო სიკვდილით დასაჯეს. არაბთა ჯარით დაშინებული ალბანეთის საეკლესიო კრებამ სომხეთის ეკლესიას აღუთქვა სამუდამო მორჩილება. ამით დასრულდა ალბანეთის ეკლესიის ისედაც მერყევი ავტოკეფალია. ალბანეთის ეკლესია სომხეთის ეკლესიის ნაწილად იქცა.

სომხური ისტორიოგრაფია არ ერიდებოდა ფაქტების გაყალბებასაც, როგორც ალბანეთის, ასევე ქართული საეკლესიო ისტორიისა: ფაქტია, რომ წმინდა ნინოს მოიხსენიებენ IV-VI საუკუნისა (ქართული და უცხოური) და IX-X საუკუნეთა ქართული წყაროები. VI-VII საუკუნეებში ქართული წყაროები თითქმის ერიდებიან ან მცირედ იხსენიებენ წმინდა ნინოს.

ბერძენ –ლათინი ისტორიკოსები დაწვრილებით აღწერენ წმინდა ნინოს მოღვაწეობას, მაგრამ არასდროს ახსენებენ მას წმინდა გრიგოლთან, სომხეთის განმანათლებელთან კავშირში, ასევე IV-V საუკუნის წმინდა ნინოს ქართული ცხოვრება ნინოს არ უწოდებს წმინდა გრიგოლის მოწაფეს. წმინდა ნინო იყო ქართლის დამოუკიდებელი განმანათლებელი, მოსული იერუსალიმიდან. ასეთი იყო საზოგადო აზრი IV და V საუკუნის I ნახევრისა.

V საუკუნიდანვე სომხურ ეკლესიაში მკვიდრდება თვალსაზრისი, რომ წმინდა ნინო წმინდა გრიგოლის მოწაფე იყო და მან გრიგოლის დავალებით გაანათლა ქართლი.

ამ იდეამ თავისი პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა VI საუკუნის შემდეგ. VI საუკუნეში, სპარსთაგან ქართლის დაპყრობამ და აქ სომხური ეკლესიის გავლენის ზრდამ საშუალება მისცა სომხურ ეკლესიას, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ამ ორი წმინდანის კავშირის თეორია.

თუ სომხური ეკლესიის განმანათლებელი, წმინდა გრიგოლი, იყო მასწავლებელი და ხელმძღვანელი ქართული ეკლესიის განმანათლებელ წმინდა

ნინოსი, სომხურ ეკლესიას გარკვეული ზედამხედველობის უფლებაც ექნებოდა ქართულ ეკლესიაზე.

ამ თეორიით ქართული ეკლესია სომხურს ექვემდებარებოდა, ამ მიზეზის გამო VI-VII საუკუნეებში ქართველები (ქალკედონიტები) ერიდებოდნენ წმინდა ნინოს ხსენებას. თუ აუცილებელი იყო, ისევ წმინდა გრიგოლს ახსენებდნენ, რადგანაც წმინდა ნინო ქართულ-სომხური ეკლესიების დამაკავშირებელი გამოდიოდა ისე, როგორც ელიშა – სომხურ-ალბანური ეკლესიებისა VII საუკუნის ბოლოს.

მას შემდეგ, რაც ქართულმა ეკლესიამ VIII საუკუნის დასაწყისში, 726 წელს მოწვეული სომხური ეკლესიის კრების შემდეგ საბოლოოდ, სრულებით და აბსოლუტურად გაწყვიტა კავშირი სომხურ ეკლესიასთან, წმინდა ნინომ ქართულ ეკლესიაში დაიჭირა თავისი კუთვნილი ადგილი.

ვ. გურგენიძე სიმონ ჯანაშიაზე დაყრდნობით წერდა, რომ VI-VII საუკუნეებში სპარსელთა ნებით ქართულ წერილობით წყაროებში მოისპო ანდა სრულებით გადაკეთდა ისტორიული ფაქტები. ამ დროს სრულიად შესაძლებელი იყო წმინდა ნინოს შესახებ არსებული ისტორიული ფაქტების დამახინჯება. „საქართველოში სპარსეთის იდეოლოგიური პოლიტიკა მიზნად ისახავდა „სომხეთის რელიგიაზე“ – მონოფიზიტობაზე დაყრდნობით, ქართველ ხალხში მოესპო ძველი მართლმადიდებლური (დიოფიზიტური) სარწმუნოება და იქ მაცხოვრებლები თანდათანობით გადაეყვანა თავიანთ მხარეზე“[18]. ასეთი მდგომარეობა იყო VI საუკუნეში.

VII საუკუნის დასაწყისში კი „სპარსელებმა ისე, როგორც 506 წელს ქ. დვინში ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე, კვლავ უფრო მკაცრად დააკანონეს თავის გამგებლობაში შემავალ ყველა ხალხისათვის ერთიანი იდეოლოგია – სომხური (მონოფიზიტური) რელიგია. მათი მტკიცებით ეს ერთიანი რელიგია ყველგან განავრცო სპარსელების ნათესავმა განმანათლებელმა გრიგორიმ. ამ აუცილებელი იდოლოგიის მიღების მიზნით, ყველგან, მათ შორის ქართლშიც, „განწმენდილ იქნა“ და ახალი მასალებით შეივსო ქართველთა, ალბანელთა და სომეხთა საისტორიო მწერლობა. სწორედ ამიტომ, როგორც სამართლიანად მიუთითებდა ს. ჯანაშია, წერილობით წყაროებში შეუბრალებლად მოსპეს ან ძირეულად გადააკეთეს სხვადასხვა ისტორიული ფაქტები, მათთვის მისაღები ენებიდან – სომხურიდან და ასურულიდან ხელახლა ათარგმნინეს ბერძნულიდან გადმოთარგმნილი წიგნები, „შეუდარეს“, „შეასწორეს“, ზოგი რამ კი ახლად

[18] ე. გურგენიძე, კირიონ I, „საღვთისმეტყველო კრებული“, 1984, № 2, გვ. 114.

დააწერინეს. ყველაზე სამწუხაროდ ს. ჯანაშიას მიაჩნია ის ფაქტი, რომ ამ „გასუფთავების" დროს, ფაქტობრივად, „განადგურდა" ძველი ქართული საისტორიო მწერლობა და „ქართლის მოქცევის", „ჯუანშერის" და სხვა მატიანეებში ამ მწერლობიდან შემორჩენილია მხოლოდ დამახინჯებული ფრაგმენტები"[19]. აი, საიდან იღებს სათავეს ირანოფილური და სომხოფილური ტენდენციები როგორც ქართულ, ისე სომხურ ისტორიულ წყაროებში. „...რომ დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის სომხეთი და საქართველო, სპარსეთი დროებით დაპყრობილ, თუ რომაელ-ბიზანტიელთაგან ხელშეკრულებით „მიღებულ" საქართველოს ტერიტორიებს ცალკე ადმინისტრაციულ ქართულ ერთეულებად კი არ აცხადებდა, არამედ მიაწერდა მას მის მიერ დაპყრობილ სომხეთს, რომლებიც თავიანთ მხრივ თვლიდნენ, როგორც სომხურ ტერიტორიებს და ყველაფერს აკეთებდნენ აქ მცხოვრები ქართველების ასიმილაციისათვის..."[20]

ამ დროს მიმდინარეობდა გუგარქის, მესეთისა დაჰერეთის ქართველების ასიმილცია. ქართული და ბერძნული ენები იდევნებოდა ღვთისმსახურებიდან, ეკლესიებიდან და ინერგებოდა სომხურენოვნება. სწორედ ასეთ დროს შეიძლებოდა ქართული ენა მიჩნეულიყო „მდაბალ და დაწუნებულ ენად".

სწორედ ამ დევნის გამო ჩვენ, ფაქტობრივად, არა გვაქვს VII საუკუნეში შექმნილი არც ერთი ქართული ნაწარმოები (ზოგიერთი გამონაკლისის, პოლემიკური თხზულების გარდა). მაშინ, როცა VIII საუკუნიდან ჩნდება ქართული თხზულებები.

726 წელს მანასკერტის კრებაზე სომხურმა ეკლესიამ, საბოლოოდ და გადაჭრით, ერთადერთ სწორ სარწმუნოებად აღიარა მონოფიზიტობა და უარყო ქალკედონიტობა, დაგმო კავშირი ბიზანტიურ ეკლესიასთან (და ჰერაკლე კეისრის შემდეგ არსებული „უნია"). ქართულმა ეკლესიამ, როგორც ქალკედონიტიზმის ერთგულმა დამცველმა, ამის შემდეგ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა სომხურთან.

VIII საუკუნის შემდეგ წმინდა ნინომ დაიჭირა თავისი ღირსეული ადგილი, ისე როგორც ასურელმა მამებმა.

რაც შეეხება ასურელ მამებს, ისინი მონოფიზიტები რომ ყოფილიყვნენ, VIII საუკუნის შემდეგ, როცა ქართულ ეკლესიაში ნადგურდებოდა ყველაფერი, რაც კი მონოფიზიტობის სახელთან იყო დაკავშირებული, ასურელ მამებსაც

[19] ს. ჯანაშია – ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, 1935 წ., გვ. 107-112.
[20] იქვე, გვ. 114-115.

არავინ მოიხსენიებდა და მათ სახელსაც სრულებით აღხოცავდნენ ლიტერატურიდან, მაგრამ პირიქით, სწორედ VIII საუკუნის შემდეგ მათი სახელი ხშირად იხსენიება.

საქართველოში ასურელი მამების შემოსვლისთანავე ქართულმა ეკლესიამ, არსენი საფარელის თანახმად, დვინის 551 წლის კრების შემდეგ პოლემიკა დაიწყო სომხურ ეკლესიასთან, რასაც მალევე, 570-580-იან წლებში, მოჰყვა ქართლის ანტიმონოფიზიტური აჯანყება. ამ აჯანყებას დიდი წარმატება ჰქონდა – ქვეყანა ქალკედონიტობისაკენ გადაიხარა. სავარაუდოა, რომ აჯანყების სულის ჩამდგმელნი ასურელი მამები იყვნენ. მონოფიზიტობის მომხრე სპარსეთ-არაბთა ბატონობისას და აგრეთვე ბიზანტიასთან სომხური ეკლესიის „უნიიის“ დროს სომხურ ეკლესიას გავლენა და ზემოქმედება ჰქონდა ქართულზე და ამიტომ VI-VII საუკუნეებში ასურელი მამების ღვაწლი წარმოჩენილი არ იყო, ხოლო VIII საუკუნის შემდეგ ქართული ეკლესიის გათავისუფლებამ ასურელი მამები იხსნა ყოველგვარი ზეგავლენისაგან.

უნდა ითქვას, რომ ჩვენში რატომღაც შეურცხყოფად მიიღება ქართულ ეკლესიაზე მონოფიზიტთა ზეგავლენის შესახებ საუბარიც კი. უნდა აღვნიშნოთ, რომ საუკუნეთა მანძილზე, მათ შორის V, VI და VII საუკუნეშიც კი, მონოფიზიტობა ბიზანტიის იმპერიიასა და მის დედაქალქ კონსტანტინოპოლში თითქმის ისევე იყო მიღებული, როგორც ქალკედონიტობა. ბიზანტიაში ამ საუკუნეებში მონოფიზიტთა და ქალკედონიტთა შორის დაუცხრომელი ბრძოლა და დაპირისპირება იყო. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში არც მონოფიზიტები დამარცხებულან და არც ქალკედონისტებს გაუმარჯვიათ. ამიტომაც იმპერიის დამშვიდების მიზნით, ბიზანტიის იმპერატორები იძულებულნი გახდნენ V საუკუნის ბოლოს წასულიყვნენ კომპრომისზე და გამოეცათ „ჰენიტიკონი“, რომელიც ერთმანეთთან ათანხმებდა მონიფიზიტებსა და ქალკედონისტებს. ასე რომ, აღიარებდნენ ორივე სარწმუნოებრივ მიმართულებას. თვით იმპერატორი იუსტინიანე ერთ პერიოდში მონოფიზიტობისკენ იხრებოდა და მას უჭერდა მხარს. მონოფიზიტთა სიძლიერის გამო VII საუკუნის დასაწყისისათვის იმპერატორმა ჰერაკლემ მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა თანაარსებობის თეორიაც კი მოიფიქრა. ჩამოყალიბდა „მონოთელიტობა“, რომელმაც საუკუნის ბოლომდე იარსება. მხოლოდ 681 წლის მსოფლიო კრების შემდეგ ბიზანტიის იმპერიაში საბოლოოდ დამარცხდნენ მონოფიზიტები და მონოთელიტები, გაიმარჯვა ქალკედონიტობამ. ამას გადმოგვცემს ცნობილი ისტორიკოსი კარტაშევი თავის წიგნში „მსოფლიო კრებები“. მართალია, ბიზანტიაში

თანაარსებობდნენ მონოფიზიტები და ქალკედონიტები და ხანდახან ეკლესიისა და სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელთ ეპყრათ, მაგრამ მაინც, ცხადია, ბიზანტია ერთგული იყო, ზოგადი თვალსაზრისით, ქალკედონის კრების ანუ დიოფიზიტობისა.

აღნიშნული გამო, ჩვენში არსებული მტკიცება, რომ არასოდეს, მათ შორის არც VI და არც VII საუკუნეებში, ჩვენს ეკლესიაზე გავლენა არ ჰქონია მონოფიზიტობასა და მონოთელისტობას, რომ საქართველოში არ ცხოვრობდნენ ქართველი მონოფიზიტები და მონოთელიტები, სერიოზულად არ უნდა ჩაითვალოს. ჩვენში, ისე როგორც ბიზანტიაში, თანაარსებობდნენ მონოფიზიტები და ქალკედონიტები, მაგრამ მათ სხვადასხვა მრწამსი ჰქონდათ. ამის გამო ისინი მუდამ ებრძოდნენ ერთმანეთს. მხოლოდ VIII საუკუნის შემდეგ საქართველოში დამარცხდნენ მონოფიზიტები და მონოთელიტები, რასაც ხელი იმან შეუწყო, რომ მსგავსი ამბავი უფრო ადრე, მეექვსე (681 წლის) მსოფლიო კრების შემდეგ დაიწყო ბიზანტიაში. ამ კრების საპასუხოდ 726 წელს სომხეთში მოწვეულმა კრებამ დაგმო ქალკედონიტობა და მიიღო მონოფიზიტობა. ქართულმა ეკლესიამ ისარგებლა ამით და საბოლოოდ მიემხრო ქალკედონიტობას. VIII საუკუნის შემდეგ ქართულ ეკლესიაში დაიწყო ქალკედონიტობის ზეიმი და მონოფიზიტობის დამარცხება.

VIII საუკუნის შემდეგ თავისი ღირსეული ადგილი დაიჭირეს წმინდა ნინომ და წინა საუკუნეებში მოღვაწე ქართველმა ქალკედონიტმა წმინდანებმა.

VIII-X საუკუნეები ქართული ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ყოფილა იმით, რომ ამ დროს თურმე მიმდინარეობდა ქალკედონური სარწმუნოების მქონე სომხების გაქართველება. გაქართველებულა სომეხთა დიდი რაოდენობა, იმდენად დიდი, რომ ამას უზარმაზარი დანაკლისი მიუცია სომეხი ხალხისათვის და ამ პროცესის შედეგად სომხეთს დაუკარგავს ეროვნული ტერიტორიების ნაწილი. საქართველო კი გამდიდრებულა მიწებით, რომელზედაც მოსახლე გაქართველებული სომხები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ბრწყინავდნენ თავიანთი უმაღლესი ხარისხის მწარმოებლურობის შედეგად (ნ. მარი).

ქართული ეკლესია უშუალო კავშირში აღმოჩენილა სომხეთის ამ ტრაგედიასთან, რადგანაც გაქართველებულან ქალკედონიტი სომხები, ქართული ეკლესია კი საზოგადოდ ამ მიმართულებისაა. უფრო მეტიც, ქართული ეკლესია თურმე იჭრებოდა სომხეთის მიწა-წყალზე და სომეხი სამღვდელოების ნამოღვაწ და ნამუშაკევ ადგილებზე ქართულ ეკლესია-მონასტრებს აწესებდა (ი. აბულაძე).

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მესხეთი (ტაო, კლარჯეთი) და საერთოდ, საქართველოს სამხრეთი ნაწილი ისტორიული სომხეთია, რომელიც საქართველოს შემოუერთდა აქ მოსახლე „სომხების გაქართველების“ შედეგად, გარდა ამისა, ქვემო ქართლიც სომხეთის ნაწილი ყოფილა, რომელიც ასევე „გაქართველებულა“.

უფრო მეტიც, ზოგიერთი სომეხი მკვლევარის აზრით X საუკუნემდე „არაქართული“ ქვეყნები ყოფილან ჰერეთი და დასავლეთ საქართველოც. მესხეთის მსგავსად X საუკუნეში ჰერეთი გაქალკედონებულა, ხოლო ამავე დროისათვის დასავლეთ საქართველოში ქართულენოვანი წირვა-ლოცვის შემოღების შედეგად ეს მხარეც გაქართველებულა.

"საზოგადოდ სომხური ეკლესიის დიდი პრეტენზიები მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი. მართალია სომხური ეკლესიის მესვეურთა მისწრაფებებს, იერარქიულად სომხურისადმი დაექვემდებარებინათ ქართული ეკლესიაც, პრაქტიკულად თითქმის არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ შეხლა-შემოხლა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და დღესაც გრძელდება. დროდადრო ქართულ–სომხური ეკლესიების ურთიერთობა მეტისმეტად მწვავდებოდა. ქართლის მიმართ სომხური ეკლესიის პრეტენზიების "დასასაბუთებლად" სომხურ გარემოში არაერთი ლეგენდა წარმოიქმნა....

სომხური ეკლესიების დიდი პეტენზიები ადრიდანვე დასტურდება მას შემდეგ, რაც VII ს-ის დამდეგს ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდა, ქართული ეკლესია თანდათან მჭიდროდ დაუკავშირდა ბიზანტიას, ბერძნულ ეკლესიას, ხოლო სომხური ეკლესია კვლავინდებურად და კიდევ უფრო მკვეთრად დაპირისპირებული აღმოჩნდა ბიზანტიის ეკლესიასთან.

შიდა და ქვემო ქართლისათვის ბრძოლისას ქართველ ხელისუფალთა და სომეხ მეფეებს შორის, ცხადია, ქართული ეკლესია ქართველ ხელისუფალთა მხარეს იყო, რადგან სომეხი მეფეების გაბატონებას ქართლში შედეგად მოჰყვებოდა ქართული ეკლესიის ან განადგურება ან სომხურისადმი დაქვემდებარება. ქვემო ქართლში სომეხ მეფეთა გაბატონების შემდეგ ადგილობრივა მკვიდრი ქართველი მოსახლეობა სომხური ეკლესიის მრევლად იქცა."[21]

ეთნიკური და რელიგიური მიგრაცია არც XX საუკუნეში შეწყვეტილა. 1950-1990 იან წლებში დაიწყო ფარული მიგრაციული პროცესები კათალიკოს

[21] ალ.აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა, 1988წ. გვ. 11. იგივე, გვ. 75

ვაზგენის მიერ, სომხების საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩასახლებით. მისი გარდაცვალების შემდგომაც კათალიკოს გარეგინის დროსაც, ანუ დღესაც არ წყდება იმის მტკიცება რომ თითქოს ქართულ ეკლესიას მიტაცებული აქვს **650** სომხური ეკლესია, რაც უდიდესი აბსურდია, ასევე სომხეთის ეკლესია მოითხოვს ისეთივე კონსტიტუციური შეთანხმების დადებას საქართველოს სახელმწიფოსა და მათ შორის, როგორიც ეს არსებობს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, ესეც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რადგან მათი საეკლესიო ცენტრი ეჩმიაძინში მდებარეობს, ქართული კი საქართველოში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის თავის ღირსეულ სიტყვას ამბობდა მსოფლიო ქრისტიანული სამყაროს წინაშე და სხებისაგან განსხვავებით პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე არასდროს იცვლიდა რელიგიურ მრწამსს. ქართული ეკლესია და მისი ღირსეული წინამძღვარი დღესაც ასეთივე ურყევად და ერთგულებით განაგრძნობენ იმ საეკლესიო სამართლის წესების დაცვას, რომლებიც წმინდა მამებმა 15 საუკუნის წინათ დაგვიტოვეს სახელმძღვანელოდ.

მრავალი ფაქტი გვარწმუნებს იმაში რომ სომხეთის ეკლესიის მოთხოვნები არასამართლებრივია. ეს არის მხოლოდ მათი ამბიცია მიითვისონ მეზობელი ქვეყნის ეკლესიის ქონება და სახელი. იმედია, შეიქმნება ერთობლივი კომისია კომპეტენტური პირების შემადგენლობით ორივე მხრიდან, რომელიც გამოიკვლევს ამ სადავო საკითხებს და ერთხელ და სამუდამოდ შეწყდება პროვოკაციული ქმედებების განხორციელება საქართველოს ეკლესიის მისამართით სომხური მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" ტ.II
2. მოვსეს კალანკატუაცი– "ალვანთა ქვეყნის ისტორია" 1985წ.
3. ა.აბდალაძე, "ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში" 1988წ.
4. "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ.8. 1984წ.
5. "ქართლის ცხოვრება", ტ. I, 1955 წ.
6. ბონდო არველაძე, "სომხური თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!" თბ.1996წ.
7. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, "ქართლ-კახეთი ქართველთა გასომხება" 1999 წ. საქ. საპ. მანგლის–წალკის ეპარქია
8. ეპისკოპოსი ალექსანდრე, "მართლმადიდებლური კატეხიზმო" საქ.საპ. გამომცემლობა, 2004 წ.
9. "მსოფლიო საეკლესიო კრებები, დოგმატური ღმრთისმეტყველება"სსგ.2004

10. "დიდი სჯულისკანონი" 2004 წ.
11. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, თბ., 1975

გიორგი ციცქიშვილი

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

ენტონი ჯენკინსონის ქართველი უფლისწულის ვინაობისათვის

ხელმძღვანელი: პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილი

ენტონი ჯენკინსონი XVI საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოგზაური, კომერსანტი და იგლისის სავაჭრო კაპიტალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო. მან 1557-1571 წლებში ოთხგზის იმოგზაურა აღმოსავლეთში, რომლის დროსაც ენტონი ჯენკინსონის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ინგლისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება ირანთან და რუსეთთან.

თავისთავად საინტერესოა ენტონი ჯენკინსონის ოთხივე მოგზაურობა, ამჯერად ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი მესამე მოგზაურობა. რომელიც დაიწყო 1561 წლის 14 მაისს და დამთავრდა 1564 წლის 28 სექტემბერს..

1562 წლის 2 ნოემბერს ჯენკინსონი ჩავიდა ყაზვინში, შაჰის რეზიდენციაში. 20 ნოემბერს იგი მიიწვიეს შაჰ-თამაზის (1524-1576) კარზე. სადაც ენტონი ჯენკინსონმა შაჰ-თამაზთან ისაუბრა ინგლისისა და ირანის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და პერსპექტივებზე. მათი საუბრის ერთ-ერთი თემა ეხებოდა სარწმუნოებას. „ჩემთან ბევრს საუბრობდა რელიგიაზე-გადმოგვცემს ჯენკინსონი-მეკითხებოდა გიაური ვარ თუ არა.“-ე.ი. ურწმუნო ვარ თუ მუსლიმანი. ვუპასუხე, რომ არც ურწმუნო ვარ და არც მუსლიმანი, არამედ მე ვარ მორწმუნე ქრისტიანი. „ეგ რა არის?“ უკითხავს შაჰ-თამაზს იქვე მჯდომი ქართველი უფლისწულისათვის, რომელმაც შაჰს უპასუხა: „ქრისტიანია ის ვისაც სწამს ქრისტეს სჯულის, აღიარებს მას უზენაესად და ღვთის შვილად.“ (1. 200-209). ამგვარად, როგორც ენტონი ჯეკინსონი გადმოგვცემს, იმ დროისათვის შაჰის კარზე იმყოფებოდა ქართველი უფლისწული, რომელსაც რაღაც მიზეზების გამო სამშობლო მიუტოვებია.

საინტერესოა ვინ არისე ეს ქართველი უფლისწული და რატომ იმყოფებოდა იგი შაჰ-თამაზის კარზე. ამ საკითხით დაინტერესდნენ მკვლევარები და გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება.ამასთან დაკავშირებით მეც მინდა გამოვთქვა ზოგიერთი აზრი. პირველ რიგში თვალი გადავავლოთ XVI ს-ის 60-იან 70-იანი წლების საქართველოს საშინაო პოლიტიკურ სიტუაციას.

როგორც ცნობილია XVI საუკუნეში საქართველო დაყოფილია სამეფო-სამთავროებად. თითოეულს რა თქმა უნდა ჰყავს თავისი მეფე თუ მთავარი (7. 85; 225-229).ასეთ პირობებში კი ქართველი უფლისწულის ვინაობის დადგენა მეტად პრობლემატურია. ისმება კითხვა, რომელი კუთხიდან უნდა იყოს ის ქართველი უფლისწული, რომელზეც ე.ჯეკენსონი ლაპარაკობს.

პირველ რიგში ვიზიარებ ჯ. სტეფნაძის მოსაზრებას, რომლის თქმითაც უფლისწული არ შეიძლება ყოფილიყო დასავლეთ საქართველოდან (8. 204). რადგან იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს (1510-1565) სპარსეთის კარზე შვილი არ ჰყოლია (7. 103-113). მითუმეტეს, რომ 1555 წლის ამასიის ზავის პირობების თანახმად იმერეთი თურქეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა და იმერეთის

უფლისწულის სპარსეთის კარზე ყოფნა ამასიის ზავის პირობებს ეწინააღმდეგებოდა (7. 113).

მაშასადამე უფლისწული უნდა იყოს ქართლის ან კახეთის სამეფოდან. ეს უნდა იყოს ან ქართლის მეფის ლუარსაბის (1527-1556) ძე და სვიმონ I-ს (1556-1569; 1578-1600) ძმა დავით XI, შემდგომში გამაჰმადიანებული დაუთ-ხანი. ან ლევან კახთა მეფის (1518-1574) შვილი იესე ბატონიშვილი, შემდგომში გამაჰმადიანებული ისა-ხანი.

პირველ რიგში დავიწყოთ დაუთ-ხანით, შეიძლება თუ არა, რომ ე.ჯეკენსონის მიერ მოხსენიებული უცნობი ქართველი უფლისწული ყოფილიყო დაუთ-ხანი ანუ დავით XI. პირველეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ 1555 წლის 29 მაისს ქ. ამასიაში ირან-ოსმალეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებით აღმოსავლეთ საქართველო კერძოდ: ქართლი, კახეთი და აღმოსავლეთ სამცხე-საათაბაგო (მტკვრის აუზი), ირანის გავლენის სფეროდ გამოცხადდა(7. 113). მაგრამ ყოველივე ამას არ ურიგდებოდა ქართლის მეფე ლუარსაბ I (1527-1556) და განუწყვეტლივ ბრძოლებს აწარმოებდა ყიზილბაშების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ავიწროვებდა თბილისის ყიზილბაშურ გარნიზონს. რის გამოც ამ უკანასკნელმა დახმარებისათვის მიმართა ყარაბაღის მმართველს შაჰვერდ ზიადღოლს, რომელსაც თბილისის ყიზილბაშური გარნიზონის დაცვა თვით შაჰისგან ჰქონდა დავალებული. ასე, რომ 1556 წელს შაჰვერდი დიდძალი ჯარით გამოემართა საქართველოსკენ. ბრძოლა გარისთან (ქციის ხეობაში) გაიმართა. ქართლის ლაშქარს ლუარსაბის 19 წლის ვაჟი სვიმონი მეთაურობდა. მტერი დამარცხებული და გაქცეული იქნა, თუმცა ბრძოლაში მიყენებული ჭრილობით ლუარსაბ I 1556 წელს გარდაიცვალა. გამეფდა სვიმონ I, მაგრამ ლუარსაბს ჰყავდა მეორე ვაჟი დავითიც. როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ძმებს შორის თავიდანვე უთანხმოება იყო ტახტის გამო. თუმცა სრულიად სამართლიანად ტახტი სვიმონს ერგო და არა დავითს (7. 114-116; 11. 251-256)

მაგრამ ძმებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ 1561 წლის 6 აპრილს მუხათგვერდთან ბრძოლის შემდეგ, რომელშიც სვიმონ I-მა ყიზილბაშებთან მარცხი განიცადა, რამაც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველთა ერთი ნაწილის სულიერ განწყობილებაზე დიდი გავლენა მოახდინა. მრავალმა მათგანმა სვიმონისაგან განდგომა დაიწყო, მათ შორის იყო მისი ძმა დავითი და საბარათიანოს ზოგიერთი წარმომადგენელი. დავითი შეეცადა ძალით დასაკუთრებოდა იმას, რაც მამისაგან მემკვიდრეობით ვერ მიიღო, ამისათვის კი დახმარება სთხოვა შაჰ-თამაზს, რომელსაც სვიმონისაგან პრობლემები არ აკლდა და მისი გამოისობით ქართლ-კახეთში მტკიცედ დამკვიდრებას ვერ ახერხებდა. ახლა კი თვით ლუარსაბ მეფის შვილი და სვიმონ I-ის ძმა დავითი გამოცხადდა შაჰთან. აღუთქვა მორჩილება და მიიღო მაჰმადიანობა. ამის შემდეგ მან შაჰის შვილის წოდება, თბილისის და ქვემო ქართლის გამგებლობა მიიღო. მაგრამ სამშობლოსა და სარწმუნოების მოღალატეს აღნიშნულ ტერიტორიებზე გაბატონების არავითარი ნიადაგი არ ჰქონდა. ამიტომ მის ერთადერთ დასაყრდენს კვლავ ყიზილბაშები წარმოადგენდნენ (7. 117-118; 11. 258-259).

ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, ძმებს შორის განხეთქილება და დავითის შაჰთან გაქცევა „ქართველთა ქორონიკონს ორას ორმოცს მომხდარა“ ანუ 1552 წელს (4. 10). მაგრამ ეს მოსაზრება ნაკლებად სარწმუნოა, რადგან ამ დროისათვის ქართლის მეფეა არა სვიმონ I, არამედ მამამისი ლუარსაბ I. საისტორიო წყაროებიდან კი მამა-შვილს შორის განხეთქილების ფაქტი არ დასტურდება. ის კი ნამდვილად დასტურდება, რომ 1561 წლის 6 აპრილს ციხედიდთან სვიმონმა მარცხი განიცადა. სავარაუდოდ სწორედ ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო განხეთქილება ძმებს შორის და დავითის ყიზილბაშების მხარეზე გადასვლა. 1561 წლით ათარიღებს ყოველივე ამას აკად. ივ. ჯავახიშვილი (11. 258) და რაც შეიძლება სარწმუნო ფაქტად ჩავთვალოთ.

მაგრამ დაუზუსტებელი რჩება დაუთ-ხანის საქართველოში დაბრუნების საკითხი. სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველოში დავითი დაბრუნებულიყო 1562 წლის 20 ნოემბრამდე ან 20 ნოემბრის შემდეგ. უდავოა საქართველოში დაუთ-ხანის ჩამოსვლის ფაქტი, ამის დამადასტურებელია თუნდაც ის რომ 1567-1568 წლებში დილომთან და სამადლოსთან ბრძოლებში სვიმონმა მწარე მარცხი აგემა დაუთ-ხანს, მაგრამ თბილისის დაკავება ვერ შეძლო, ვინაიდან დაუთს მეზობელი სახანოები უმაგრებდნენ ზურგს, ამასვე ადასტურებს ქართლის ცხოვრება და აკად. ივ. ჯავახიშვილი (10. 407-408; 11. 259-260)

ერთ-ერთ სიგელში, რომელიც სიმონ მეფეს გაუცია ურბნისის მთავარეპისკოპოსის ვლასეს სახელზე 1566წ. დგინდება, რომ ამ პერიოდისათვის დავითს ფეხი მტკიცედ ჰქონია მოკიდებული სომხეთ-საბარათიანოს ტერიტორიაზე (6. 407). მაშასადამე 1566 წლისათვის დავითი უკვე იმყოფებოდა საქართველოში და მისი ჩამოსვლა უფრო ადრეულ პერიოდშია სავარაუდებელი.

ჯ.სტეფნაძის მიერ დაუთ-ხანის საქართველოში ჩამოსვლის თარიღად დასახელებულია 1564 წელი (8. 210-211) რაც პირადად მე ნაკლებად სარწმუნოდ მიმაჩნია. მართებული იქნება თუ დაუთ-ხანის საქართველოში დაბრუნების თარიღად 1562 წელს დავასახელებთ. რადგან შერეფ-ხან ბითლისის გადმოცემით შაჰ-თამაზს გამაჰმადიანებული დაუთი საქართველოში 1562 წლისთვის დაუბრუნებია, ხოლო თბილისი და მისი მიდამოები სამმართველოდ გადაუცია (9. 172-173). ამასთან ფარსადან გორგიჯანიძეც გადმოგვცემს, რომ დავითი საქართველოში 1562 წელს სასწრაფოდ დაბრუნებულა. ამავე წელს სვიმონსა და დაუთ-ხანს შორის ბრძოლაც მომხდარა (4. 10). დანამდვილებით ვერ ვიტყვით იყო თუ არა ბრძოლა სვიმონსა და დაუთ-ხანს შორის 1562 წ. მაგრამ ამავე წელს დაუთ-ხანის საქართველოში დაბრუნება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შაჰ-თამაზს ნამდვილად აწყობდა. მითუმეტეს, რომ სვიმონი კვლავ შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ყიზილბაშების წინააღმდეგ. დავითის თბილისში დამტკიცება კი ერთის მხრივ გაამტკიცებდა შაჰის პოზიციებს, ხოლო მეორეს მხრივ ეს ხელსაყრელი იყო დავითისთვისაც, რადგან ყიზილბაშებით გაძლიერებულ დავითს შეეძლო სვიმონისათვის შეეტია და ქართლში გაბატონებულიყო. მითუმეტეს, რომ ეს იყო დავითის ყველაზე დიდი სურვილი და გამაჰმადიანების მიზეზიც.

ასე რომ მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ დავითი საქართველოში დაბრუნებულა 1562 წლისათვის, ასეთივე ვარაუდი გამოთქვეს ბატონმა ე. მამისთვალიშვილმა და რ. კიკნაძემ. აქ გათვალისწინებულია ჰასან რუმლუს ერთ-ერთი ცნობა, რომელშიც ვკითხულობ: „ამ წელს (1561-1562) რაბი ოს-სანის თვის ჩვიდმეტს, დავით-ბეგი, ლუარსაბის შვილი, რადენიმე აზნაურითურთ საქართველოდან ყაზვინს მივიდა და მუსლიმანი გახდა. რჯულის საფარველმა შაჰმა თბილისის გამგებლობა მას უწყალობა“. ამ ცნობაზე დაყრდნობით რ. კიკნაძემ გამოიკვლია, რომ დავითი საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო 1562 წლის 30 აგვისტოს (5. 165; 12. 37). თუ ყოველივე ასეა, მაშინ ე. ჯენკინსონის მიერ მოხსენიებული ქართველი უფლისწული დავით XI-არ უნდა იყოს.

ახლა რაც შეეხება იესე ბატონიშვილს, არის თუ არა იგი ჯენკინსონის მიერ დასახელებული უცნობი ქართველი უფლისწული?

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 1561 წლის 6 აპრილს, ციხედიდთან ბრძოლაში სვიმონმა ყიზილბაშებთან მარცხი განიცადა. მაგრამ ამ ბრძოლაში იგი მარტო არ ყოფილა, მას ეხმარებოდა კახეთის ჯარი, გიორგი კახთა უფლისწულის სარდლობით, რომელიც ციხედიდთან თავისი მამის ლევან კახთა მეფის დავალებით იმყოფებოდა, სვიმონის დასახმარებლად. ამ ხელჩართულ ბრძოლაში მოკლული იქნა გიორგი უფლისწული, რასაც კახთა ჯარის

ბრძოლიდან გამოთიშვა და დაუძლერებული ქართლის ჯარის დამარცხება მოჰყვა (7. 117; 11. 257-258).

შაჰ-თამაზი საშინლად განარისხა კახი უფლისწულის ირანის წინააღმდეგ ომში მონაწილეობამ.ამიტომ შაჰს ლევანი კახეთის საუსრველ მართველად აღარ მიიჩნია. ცხადია ეს ყველაფერი ლევან მეფის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, ამიტომ მან მდგომარეობის განეიტრალებისა და გაუმჯობესების მიზნით შაჰ-თამაზთან თავისი ძე იესე, მძევლად ან დესპანად გაგზავნა (9. 169; 11. 233). როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს „ლეონ მეფემ წარავლინა ძე თვისი იესე წინაშე ყეენისა, ძღუნითა და ტყვითა ქალ-ყრმითა და აუწყა თავისი არა რისა შეცოდება“. ვახუშტი იესეს ირანში გამგზავრების ფაქტს 1558 წლით ათარიღებს (10. 575) ეს სავსებით შესაძლებელია, რადგან როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ციხედიდის ბრძოლა 1561 წელს მოხდა, ანუ ამ დროს იესე უკვე ირანში იმყოფებოდა. შესაძლებელია იგი შაჰმა აღარ გამოუშვა და თავისთან მძევლად დაიტოვა. ხოლო 1561 წელს მომხდარი ამბებით განრისხებულმა შაჰმა იესე დაატუსაღა და ალამუთის ციხეში გამოჰკეტა, სადაც 1569 წლიდან დატუსაღებული იყო სვიმონ I, შემდგომში ორივენი 1577 წ. შაჰ-ისმაილ II-ემ გაანთავისუფლა.

მე უფრო მართებულად მიმაჩნია ის, რომ 1561წ. ციხედიდთან გამართული ბრძოლის შემდეგ იესე ლევან მეფემ გაგზავნა შაჰ-თამაზთან მძევლად, თავისი ერთგულების დასამტკიცებლად და შაჰის რისხვის თავიდან აცილების მიზნით. შესაძლებელია სწორედ 1561-1562 წლებში დაატუსაღა შაჰ-თამაზმა იესე და ალამუთის ციხეში გამოკეტა. ჰასან რუმლუს ცნობით იგი ალამუთში აღმოჩნდა 1562 წლისთვის (2. 413). ანალოგიურად ათარიღებს მომხდარ ფაქტს შერეფ-ხან ბითლისიც (9.170-171). მაშასადამე იგი ტყვეობაში იმყოფებოდა 1562-1577 წლებში. მაგრამ არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი ცნობა, თუ როდის დაატუსაღეს იგი, 1562 წლის 20 ნოემბრამდე თუ 20 ნოემბრის შემდეგ. მაგრამ ჩემი ვარაუდით აღნიშნული ფაქტი 20 ნოემბრის შემდეგ უნდა მომხდარიყო, როგორც ცნობილია ჯენკინსონი შაჰ-თამაზის კარიდან 1563 წლის 20 მარტს წამოვიდა შემახაში კი 10 აპრილს ჩავიდა და სცადა კავშირი დაემყარებინა კახეთის სამეფოსთან, თავის მხრივ ლევან კახთა მეფეც დაინტერესებული ჯენკინსონით, ამიტომ მასთან ელჩების გაგზავნა გადაწყვიტა (1. 210-212; 3. 71-72). საინტერესოა რა იყო ამ ორმხრივი დაინტერესების მიზეზი.

საქმე ისაა, რომ ლევან კახთა მეფის მთავარი მიზანი იყო, ჯენკინსონის მეშვეობით რუსეთის სამეფოს დაკავშირებოდა. ამიტომ იყო, რომ ლევან მეფის ელჩები ჯენკინსონთან შეხვედრისას განუმარტავდნენ მას, თუ როგორ იყვნენ შევიწროებულნი ოსმალებისა და ირანელებისგან, ამიტომ სთხოვდნენ ჯენკინსონს, რომ შუამავლობა გაეწია მათთვის რუსეთის მეფესთან შეხვედრისას. თავის მხრივ ჯენკინსონიც დაინტერესებული იყო კახეთით. მას პირველ რიგში სურდა კახეთის ეკონომიკური დაზვერვა, რადგან ამ პერიოდში კახეთში აბრეშუმის წარმოება მაღალ დონეზეა აყვანილი. კახეთს ესაზღვრებოდა ყაჭით მდიდარი არაში. სწორედ ყაჭის შეძენით იყო დაინტერესებული ინგლისის საფეიქრო წარმოება (3. 71-72).

ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჯენკინსონი ირანში მისვლამდე არ იყო ინფორმირებული საქართველოს შესახებ და არც კახეთის სამეფო კარმა იცოდა რაიმე ინგლისის სავაჭრო კამპანიისა და კერძოდ ჯენკინსონის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ეს საისტორიო წყაროებიდან არ დასტურდება. რომ სცოდნოდათ შესაძლებელია უფრო ადრეც დაემყარებინათ მასთან კავშირი, თუნდაც მოსკოვში ყოფნის დროს.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ლევან კახთა მეფეს შაჰის კარზე ჰყავდა ინფორმატორი, რომელიც აწვდიდა ცნობებს ჯენკინსონისა და „მოსკოვის სავაჭრო კომპანიის შესახებ“. ვვარაუდობ, რომ ის უცნობი ინფორმატორი,

რომელმაც ლევან კახთა მეფეს ჯენკინსონისა და მისი სავაჭრო კომპანიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა უნდა იყოს იესე ბატონიშვილი. ამგვარად ვითვალისწინებ ე. მამისთვალიშვილისა და რ. კიკნაძის მოსაზრებას, რომელთა ვარაუდით უცნობი ქართველი უფლისწული იესე ბტონიშვილი უნდა იყოს. ამდენად შემიძლია ვთქვა, რომ იესე ბატონიშვილი 1562 წლის 20 ნოემბერს, ე.ჯენკინსონისა და შაჰ-თამაზის შეხვედრისას შაჰის კარზე იმყოფებოდა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ენტონი ჯენკინსონის მიერ დასახელებული ქართველი უფლისწული იესე ბატონიშვილია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Английские путушественики в Московском государстве в XVI веке. Перевод с Английского Ю.В. Готье. 1937.
2. A chronicle of early safawis being the Ahasnu'-tawarkikh of hasani rumlu, ed. By C. N. seddon. Baroda, 1931.
3. გაბაშვლი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.), "მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 31. თბ., 1954.
4. გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს.კაკბაძის გამოცემა. "საიტორიო მოამბე", ტ. II, თბ., 1925.
5. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981.
6. ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ II, თბ., 1967.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
8. სტეფნაძე ჯ., ენტონ ჯენკინსონის მიერ მოსენიებული ქართველი უფლისწულის ვინაობისთვის. "საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1968.
9. ტაბატაძე კ., შერეფ-ხან ბითლისის ცნობები სქართველოს შესახებ, "კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული", ტ. II, თბ., 1962.
10. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
11. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967.
12. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966.

მარიამ გოჩელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

შობის კომპოზიცია ქართულ ოქრომჭედლობაში

ხელმძღვანელი: პროფესორი ნათელა ჯაბუა

ათორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის ქრისტეშობა ერთ-ერთი გამორჩეულია, რომელიც ყველა ქრისტიანს უდიდეს სიხარულს ანიჭებს. იგი

აღინიშნება 25 დეკემბერს [ახ,სტ. 7იანვარს]. მაცხოვრის შობის თარიღი სახარებაში მითითებული არ არის, უძველესია კლიმენტი ალექსანდრიელის ცნობა, რომელიც შობის თარიღად 6 იანვარს მოიხსენიებს.

მაცხოვრის შობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ამით დასაბუთდა ძე ღვთისას განკაცების დოგმატი, ანუ ქრისტეს ადამიანური ბუნება შეერწყა ღვთიურს. საინტერესოა რატომ ინება ღმერთმა, რომ კაცობრიობას წარსდგომოდა კაცის სახით? ამას განმარტავს თვით იესოც: “ ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარცა ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მისცა მას”[იოანე-3;16].

იესო განკაცდა ებრაელ ერში. არაერთგზის იყო ნაწინასწარმეტყველები, რომ სწორედ აქ დაიბადებოდა ძე ღვთისა, აბრაამისა და დავითის შთამომავალი. მართლაც აღსრულდა წინასწარმეტყველება და ნაზარეთში მცხოვრებ ქალწულს მარიამს ღვთის ანგელოზმა ახარა, რომ მას მას შეეძინებოდა ღვთის ძე, რომლისთვისაც უნდა ეწოდებინათ იესო. ამ დროს მარიამი დანიშნული იყო დავითის შთამომავალ იოსებზე. შემდგომ განვითარებული მოვლენები ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, თუმცა თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო უშუალოდ ქრისტეს შობის ადგილზე და დამსწრე პირებზე.

როგორც ცნობილია, იმ დროს აღწერა ტარდებოდა ქვეყანაში, ამიტომ იოსები ოჯახით ბეთლემში ჩავიდა, რადგან იქ იყო ჩაწერილი. სწორედ ამ დროს დაემთხვა იესოს შობის ჟამიც. ქალაქში ღამის გასათევი ადგილი ვერ მოიძებნეს და იძულებული გახდნენ გამოქვაბულში მოწყობილი ბაგისთვის შეეფარებინათ თავი. სწორედ ამგვარ გარემოში დაიბადა ქრისტე, რითაც ღმერთმა მოგვცა პირველი მაგალითი თავმდაბლობისა და უბრალოებისა. საინტერესოა ისიც, რომ, მართალია, ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის შეუმჩნეველი დარჩა იესოს შობა, მაგრამ ზეციური სამყარო დიდი ზეიმით შეხვდა ამ მოვლენას და ანგელოზებმა უბრალო მწყემსებს ახარეს პირველად ეს დღესასწაული და მათთან ერთად მოგვებმაც თაყვანი სცეს მომავალ მესიას.

ამრიგად, მაცხოვრის შობა იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც შეძლო კაცობრიობის გადარჩენა და დღემდე მოყვანა. სწორედ ამიტომაა, რომ ათორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის შობას განსაკუთრებული სიხარულით ხვდება ყველა მორწმუნე ადამიანი, რაც შეეხება ამ დღესასწაულის აღვნიშვნის წესს, უძველესი დროიდან საქართველოს ყველა კუთხეში მისი აღნიშვნის სხვადასხვა

რიტუალია შემონახული. საყურადღებოა თვით საშობაო ალილო, რომელშიც კარგადაა გადმოცემული ქრისტეშობის ამბავი. ბუნებრივია, შობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქრისტიანულ ხელოვნებაში. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ათორმეტ საუფლო დღესასწაულს, უპირველესად კი ქრისტეშობას.

აღსანიშნავია, რომ შობის ორი რედაქციაა მირებული: ვრცელი, როცა შობის სცენასთან ერთად კომპოზიციაში ჩართულია მოგვების თაყვანისცემის სცენა, ხოლო მოკლე რედაქციაში მოგვების თაყვანისცემის სცენა ამოღებულია და მხოლოდ შობის სცენაა მოცემული. ქართულ იკონოგრაფიაში ორივე რედაქციაა მიღებული, ამავე დროს შობის კომპოზიცია მოცემულია როგორც საუფლო დღესასწაულებს შორის, ისე იგი წარმოდგენილია ღვისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლის სცენებთან ერთად. მონუმენტური ფერწერის ძეგლებიდან აღსანიშნავია ატენის სიონის, ყინწვისის, სვანეთის ტაძრების და სხვათა მოხატულობები. მათ გვერდით აუცილებელია მოვიხსენიოთ მინიატურა და ქვაზე კვეთის ხელოვნება. მინიატურებიდან საინტერესოა ხელნაწერთა ინსტიტუტის 74-ე ხელნაწერი, ხოლო რელიეფებიდან საფარის კანკელის ფილა შობის კომპოზიციით, რომელიც დღეს ძლიერ დაზიანებულია ამიტომ მასზე მსჯელობა რთულია. შობის კომპოზიცია გამოსახულია აგრეთვე ოქრომჭედლობის ნიმუშებზე.

საქართველოში ლითონმქანდაკებლობას უძველესი ტრადიციები გააჩნია. ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულსი იქმნებოდა მაღალმხატვრული ღირსების ნიმუშები. ეს ტრადიციები გაგრძელდა შუა საუკუნეებშიც და უფრო დაიხვეწა. VIII-XVIII საუკუნეების ოქრომჭედლობის ძეგლები გ. ჩუბინაშვილმა მონოგრაფიულად შეისწავლა , მან დეტალურად აღწერა ცალკეული ნიმუშები და ისინი განიხილა განვითარების კუთხით.

ჩვენი ნაშრომის ძირითად განსახილველ თემას წარმოადგენს X-XIსს. ჭედური ძეგლები. ამიტომ ვიდრე უშუალოდ კონკრეტულ მასალაზე გადავიდოდეთ, საინტერესოა ზოგადად დავახასიათოთ ამ ეპოქის ოქრომჭედლობის ნიშნები.

X-XIსს. ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიაში დაძაბული და შემოქმედებითად ნაყოფიერი ეპოქაა. ამ პერიოდში გაგრძელდა და დაიხვეწა წინარე პერიოდის, კერძოდ, ზარზმის ფერისცვალების ხატიდან მომდინარე მხატვრული ტრადიციები. აქ გამოსახულებები სკულპტურულობისგან შორსაა, მათი ზედაპირი ოდნავაა ამოზიდული ერთიანი საბრტყიდან და გრაფიკულადაა გადაწყვეტილი.

სწორედ ამ ხატმა და ამავე წრის სხვა ძეგლებმა მტკიცე საფუძველი შექმნეს ქართული ჭედური ხელოვნების შედგომი განვითარებისათვის. უკვე X-XI სს. ჭედურობის ძირითადი პრობლემა იყო სკულპტურული ფორმების ძიება და გამოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიციის აგებისას დეკორატიული ელემენტები გამოიყენება, თანდათან მათი მნიშვნელობა მცირდება, რადგან ამ პერიოდის ძირითადი ტენდენცია არის ფიგურის სკულპტურულ-პლასტიური დამუშავება, ხოლო მეორეხარისხოვანი ელემენტები უმეტესად უარყოფილია.

X-XIსს. ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ნაწარმოებთა ერთი ჯგუფი, რომლებიც, როგორც ჩანს, წარმოადგენს რომელიღაც დიდი და რთული ჭედურ ნაწარმოებთა ნაწილს. ამ ძეგლებს შორის აღსანიშნავია ვერცხლის ლორფინები საღოლაშენიდან, მოწამეთიდან და სხვა.

ლორფინები, ჩვეულებრივ, ერთი ზომის ვერცხლის მცირე ფიცრებია, რომლებიც ოქროთია დაფერილი, ხოლო მასზე წარმოდგენილია სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან. თითოეული ლორფინი ორნამენტალურ ჩარჩოშია ჩასმული, მაგრამ ჩარჩო და ზედაპირი ერთ სიბრტყეზეა დამუშავებული. მათი ფუნქციური დატვირთვა ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის. როგორც ჩანს, ისინი აღსავლის კარის მოჭედილობაში იყო ჩართული ან ტრაპეზის წინა კალთის ჭედური მოკაზმულობის ნაწილს წარმოადგენდა.

პირველად ნ.კონდაკოვმა აღმოაჩინა ზოგიერთი ლორფინი და დაათარიღა უფრო მოგვიანო პერიოდით ვიდრე ეს რეალურადაა.მაგ:მოწამეთის ლორფინს იგი XIII-XIV სს აკუთვნებდა. შემდგომ გ. ჩუბინაშვილმა დეტალურად გამოიკვლია ეს ძეგლები ერთმანეთთან და საერთო მხატვრულ ნიშნებთან მიმართებაში და ისინი X-XI სს მიაკუთვნა.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მოწამეთის ლორფინი, რომელზეც ქრისტეშობის სცენაა წარმოდგენილი. თუმცა სანამ უშუალოდ ამ ნამუშევარს აღვწერდეთ, მანამ ზოგადად მიმოვიხილოთ იმ ლორფინების სტილი, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა მოწამეთისას და სტილისტურადაც მისი წინამორბედი იყო. ამ ლორფინებს შორის აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ საღოლაშენისა და შემოქმედის ლორფინები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ამ ეპოქის საწყისი ეტაპის ნიმუშებად, რადგან მათი შესრულების პროცესში ბევრი ისეთი ამოცანაა დასახული, რომლებიც მომდევნო პერიოდის ძეგლებშია გადაწყვეტილი და ახლებურად გააზრებული. რაც შეეხება უშუალოდ საღოლაშენისა

და შემოქმედის ლორფინებს, მათში X-XIსს საწყისი ეტაპის ძეგლების მსგავსად, აშკარად იგრძნობა ოქრომჭედლობის ძველი ტრადიციების გავლენა. ამავე დროს ოსტატის მთავარი მიზანია მოცულობით- პლასტიკური ფორმების შექმნა. სახასიათოა თავების გაძლიერებული სიმრგვალე, ოსტატი აგრეთვე დეკორატიულად ამკობს პერსონაჟთა სამოსელსა და საგნების ცალკეულ ნაწილებს, ამრიგად, მეტი მისწრაფებაა დეკორატიულობისკენ, ყოველივე ამის გამო აღნიშნული ძეგლები ითვლება მოწამეთის ლორფინის წინამორბედებად, ვინაიდან, მათში დასახული ამოცანები მეტ- ნაკლებად გადაწყდა მოწამეთის ლორფინში.

მოწამეთის ლორფინი ვერცხლისაა, ხოლო ზედაპირი მოოქროვილია და ორნამენტული ჩარჩო შემოუყვება გარშემო. მასზე წარმოდგენილია ქრისტეშობის კომპოზიცია ვრცელი რედაქციით, კომპოზიციის ზედა ნაწილი ფუძისგან გამოყოფილია გამოქვაბულის კიდის მოხაზულობით, რომელსაც ერთგვარი კამარის ფორმა აქვს. გამოქვაბულის სიღრმეში კამარის მოხაზულობის ქვეშ მოთავსებულია ბაგა ჩვილითურთ. ბაგა ფორმით ძალიან ჰგავს აკვანს, რომლიდანაც გადმოკოდულია ნაოჭებიანი ფარდული, ხოლო ზედა კიდიდან კარაული იყურება, ბაგის მარჯვნივ მოთავსებულია ნაალზე წამომჯდარი ღვთისმშობელი, მის ქვევით კი მარჯვენა კუთხეში სკამზე ხელზე ნიკაპის დაყრდნობით ზის იოსები. რომლის წინ მუხლმოყრილია ანგელოზი. შუა ნაწილში გამოსახულია ყრმის ბანებისათვის მომზადება: წარმოდგენილია მოახლე, რომელიც სურიდან წყალს ასხამს და სალომე, რომელსაც მუხლებზე ყრმა უზის და ხელი ემბაზში ჩაუყვია. კომპოზიციის მარცხენა ნაწილში ერთმანეთის ზემოთ ფიგურების ორი ჯგუფია, რომლებიც 3-3 ფიგურისგანაა შემდგარი; ზემოთა რიგში მოგვებია გამოსახული ძღვენით. აცვიათ მუხლამდე დასული სარტყლიანი სამოსი, მაღალყელიანი უქუსლო წაღები და ახურავთ წოპ-წოპა ქუდები. აღსანიშნავია, რომ მოგვების წინ ბაგასთან გამოსახულია რვაქიმიანი ვარსკვლავი. მოგვების ქვემოთ კი გამოსახულია სამი მწყემსი, რომელთა წინ იოსებსა და მათ შორის ცხვრები და ცულია გამოსახული. როგორც აღწერილობიდან ჩანს, მიუხედავად კომპოზიციური მთლიანობისა, ოსტატის მთავარი ყურადღება გადატანილია სიუჟეტის ცალკეული ნაწილების გადმოცემაზე. ამის ნათელი მაგალითია იოსებისა და ანგელოზების ფიგურების გვერდიგვერდ მოთავსება, რითაც იოსების ტრადიციული პოზა განსხვავებულ იერს იძენს. ოსტატი ცალკეული დეტალების გადმოცემით ახდენს პერსონაჟების მინიშნება- დაზუსტებას. მაგალითად, იოსების დურგლობის აღსანიშნავად მის წინ ცულია გამოსახული , ხოლო მწყემსების წინ ცხვარი. ამავდროულად ეს პატარა დეტალები სიბრტყეზე პლასტიკურ

აქცენტებად აღიქმება ანუ ხდება შინაარსისა და ფორმის ოსტატური გააზრება. საინტერესოა ასევე მოგვების ფიგურების გადმოცემის ხერხი. მართალია, ოსტატს აინტერესებს ფიგურების პლასტიკური ფორმების გადმოცემა, თუმცა ისიც კარგად ესმის, რომ უმჯობესია გადმოსცეს 3 მოგვის 6 ფეხის ნაცვლად 5, რადგან ექვსის გადმოცემით ოსტატი იძულებული გახდებოდა შეეკავშირებინა ისინი ერთმანეთთან, რაც ხელს შეუშლიდა თითოეული დეტალის ცალკეულ გამოსახვას. ოსტატი დიდი მონდომებით ამუშავებს კომპოზიციის თითოეულ ელემენტს და სკულპტურულ მოცულობებს დასრულებული სახით წარმოგვიდგენს. ამ მხრივ, საინტერესოა ღვთისმშობლის ფიგურა, რომელიც ყველაზე დიდია პერსონაჟებს შორის ზომით და დაგრძელებული პროპორციები აქვს. ზედმიწევნითაა დამუშავებული ფიგურის ცალკეული ნაწილები, რაც უმეტესად კიდურების დამუშევებაში მჟღავნდება, რადგან ცალ-ცალკეა მოდელირებული თითოეული ფეხი, აგრეთვე მუხლებზე ირჩევა ხელის მოცულობაც.

მოწამეთის ლორფინი პლასტიკურობის ათვისების ხარისხით უფრო მაღალ საფეხურზე დგას, რაც მჟღავნდება არა მხოლოდ იმაში, რომ კომპოზიციის თითოეული სახე და საგანი შესრულებულია მაღალი რელიეფით და პლასტიკური მოდელირებით, არამედ ფიგურაში ერთი მოცულიბა გაბედულადაა ამოზიდული მეორეზე, მაგალითად: ხელები- ტანზე, თავები- შარავანდედებზე ანუ შექმნილია მოცულობის დამატებითი საფეხურები. სახასიათოა აგრეთვე ცხოველებისა და კომპოზიციის სხვა ელემენტების გადმოცემის ხერხი, აძლევს საშუალებას ოსტატს გადმოსცეს სამყაროს პლასტიკურად ათვისების თავისებური უნარი.

მოწამეთის ლორფინის განხილვისას აუცილებელია აღვნიშნოთ დეკორატიული გაფორმების ხასიათი, ძირითადად მაინც მთავარი ელემენტებია მორთული, რისთვისაც უმეტესად გამოყენებულია პარალელურ ხაზებს შორის პუნსონებით ნაჭდევი წრიადები. საყურადღებოა აგრეთვე კამარაც, რომელიც შეიძლება გავიაზროთ გორაკის აღმნიშვნელად, თითქოს იგი მიჯნავს კომპოზიციის შემადგენელ პირებს ამქვეყნიურობისგან და ანიჭებს მათ ღვთიურ მნიშვნელობას. რაც შეეხება შესრულების მანერას, ამით მოწამეთის ლორფინი უახლოვდება ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ საღოლაშენურ და შემოქმედის ლორფინებს, თუმცა მათგან განსხვავებით მოწამეთის ლორფინის ოსტატი ქმნის არა მხოლოდ პლასტიურ ფორმებს, არამედ ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება ფიგურატიული ჯგუფების სხვადასხვა სიბრტყეში გადმოცემისა. დეკორატიულ მორთულობას კი

მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ. ამიტომაა მოწამეთის ლორფინი განვითარების მომდევნო საფეხური, ვიდრე ზემოთ მოყვანილი სხვა ლორფინები.

შესრულების მანერის მხრივ, მოწამეთის ლორფინთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს XIს ზარზმის ანუ ლაკლაკიძეთა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ყოველმხრივ გამორჩეული ძეგლია, პირველ რიგში იგი წარმოადგენს ელეუსას ანუ მოალერსე ღვთისმშობლის ტიპის უძველეს ნიმუშს და მეორეც, იგი ადრეული ნიმუშია ჩარჩოზე ათორმეტ საუფლო დღესასწაულებისა და ღვთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლის სცენებისა შერწყმისა. ჩვენ არ შევუდგებით დეტალურად ხატის ხატის განხილვას, მაგრამ თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ჩაჩოზე წარმოდგენილ შობის კომპოზიციაზე, რომელიც სტილით ძალიან უახლოვდება მოწამეთის ლორფინზე გამოსახულ შობას. ორივე ოსტატი თავისუფლად მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ აინტერესებთ პლასტიკური ფორმების გადმოცემა, ახერხებენ იმასაც, რომ ცალკეული ფიგურატიული ჯგუფები გლუვ ზედაპირზე გადმოსცენ სხვადასხვა სიბრტყეში.ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზემოთ მოყვანილი ორივე ნაწარმოები X-XIსს ოქრომჭედლობის გარდამავალ ძეგლებად ითვლება, რადგან მათში დასახული ბევრი ამოცანა შემდგომი პერიოდის ძეგლებში გადაწყდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართულ ხელოვნებაში შობის სცენას გამორჩეული ადგილი უჭირავს. იგი წარმოდგენილია ხელოვნების თითქმის ყველა დარგში, თუმცა ამჯერად ჩვენ განვიხილეთ ოქრომჭედლობის ნიმუში –მოწამეთის ლორფინი. მასში თავმოყრილი და ახლებურად გააზრებულია ლითონზე პლასტიკის ადრეული ტრადიციები, რითაც საფუძველი მოუმზადა შემდგომი პერიოდის ოქრომჭედლობის ნიმუშებს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მოწამეთის ლორფინისა და მისი რიგის სხვა ძეგლების შესწავლა ამ ეპოქის მხატვრული ტრადიციებისა და ზოგადი სურათის დასადგენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე– შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, თბ. 1995წ.
2. ქრისტეშობის სადღესასწაულო სახარების განმარტება, თბ. 2004წ.

3. გ. ჩუბინაშვილი– X-XI სს-ის მიჯნაზე ქართული ჭედური ხელოვნების ხასიათის საკითხისათვის. ქართული ხელოვნება, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები ტ.2 1948წ.
4. U8 Xe,byfidbkb - Uhepbycrjt xtrfyyjt bcreccndj7 N,.1959
5. თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი– ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, თბ. 1980წ.

ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ენათმეცნიერება ლიტერატურათმცოდნეობა

ირინა ბაგაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა

ბილინგვალიზმი და საქართველო ლოკალურ და გლობალურ კონტექსტში

“He who knows no foreign language, does not truly know his own.” ***Goeth***

“ თუ ერთი უცხო ენა მაინც არ იცი, ესე იგი საკუთარ ენასაც ვერ ფლობ სათანოდ.” ***გოეთე***

თანამედროვე, გლობალურმა ეპოქამ მრავალი განვითარებული ქვეყანა დააყენა ახალი გამოწვევების წინაშე, ამის საპასუხოდ კი თანამედროვე საზოგადოებამ აქტიურად დაიწყო განათლების სისტემის რეფორმირება, რომლის ძირითად მიმართულებას და შინაარს გლობალიზაცია განაპირობებს. თანამედროვე განათლების სისტემა მოითხოვს მოქნილობას, სიახლეთა მიმართ კეთილგანწყობას და ცხოვრების გამოწვევებზე ადექვატურ რეაგირებას. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტური ფუნქციონირების საკითხები და განათლებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების სწორედ განაწილება.

საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, მე ნათლად ვხედავ ბილინგვური განათლების საჭიროებას, სადაც, თუ არ ჩავთვლით ეთნიკურ მრავალფეროვნებას და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემას, მთლიანად საქარველო, არა ლოკალურ, არამედ გლობალურ კონტექსტში განიცდის ბილიგვური განათლების საჭიროებას.ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნული საკითხის განხილვა იმ კუთხით, რომ ქართული ენა განვიხილო ე.წ. "ლინგუა ფრანკებთან" მიმართებაში, გარდა ამისა, ეთნიკურ უმცირესობებთან ერთად, ეთნიკური ქართველებისთვისაც წარმოვაჩინო ბილინგვური განათლებისა და ზოგადად ენობრივი კონპეტენციების სწორად დაგეგმვის საჭიროება.სტატიაში განვიხილავ ბილინგვური განათლების არსს, მიზნებს არსებულ საკითხთან დაკავშირებულ ცნებებს, აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია კოგნიტური განვითარებისა და ბილინგვური განათლების კავშირი და ამ კუთხით ბილინგვიზმის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების წარმოჩენა. საჭიროდ ჩავთვალე, რომ აღნიშნულ სტატიაში განათლების სისტემა და შრომითი ბაზარი დამეკავშირებინა ენობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით. გადავწყვიტე მცირე კვლევა ჩამეტარებინა ქართულ შრომით ბაზარზე და გამომევლინა ქართველი დამსაქმებლების მოთხოვნები ენობრივ კონტექსტში. შედეგების საფუძველზე კი ვისაუბრებ ქართულ რეალობაზე, თუ რა მოთხოვნებია კადრების მიმართ და რამდგომარება გვაქვს ქვეყანაში ამ თვალსაზრისით.

ვის შეგვიძლია ვუწოდოთ ბილინგვალი?

ადამიანი,რომელსაც შეუძლია ურთიერთობა ორ ენაზე. ბილინგვალია პიროვნება, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში უწევს ორი ან მეტი ენის, ან დიალექტის გამოყენება.(Fabbro, 1999). მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი არის ბილინგვალი ან მულტილინგვალი. ბილინგვიზმი წარმოდგენილია ფაქტიურად ყველა ქვეყანაში, ყველა სოციალურ კლასში და ასკობრი ჯგუფებში. ამის წარმოსადგენად საკმარისია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში არსებობს დაახლოებით 200 ქვეყანა და 6800 განსხვავებული ენა. დასკვნის გამოტანა მარტივია, მოსახლეობის დიდი ნაწილი არის ბილინგვალი (Grosjean, 1982).

რა ფაქტორები იწვევს ბილინგვალიზმს?

ამ თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ რამოდენიმე ასპექტი. ადამიანები ბილინგვალები ხდებიან იმ შემთხვევაში, თუ ორი ენის დაუფლება ხდება ბავშვობიდანვე პარალელურ რეჟიმში (simultaneous bilingualism), ხოლო მეორე

შემთხვევაში მეორე ენა შემოდის პირველი ენის სათანადოთ დაუფლების შემდეგ (saccessive bilingualizm). არსებობს სხვადასხვა სოციალური და პერსონალური მიზეზები იმისათვის,რომ პიროვნება ჩამოყალიბდეს ბილინგვალად. მაგ: მიგრაცია ერთი ქვეყნიდან მეორეში, გარკვეული დროით სხვა ენობრივ გარემოში ცხოვრება, ორი ქვეყნის საზღვარზე ცხოვრება (მექსიკა-შტატები). მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასევე ისეთი მშობლები, რომლებიც გასხვავებულ ენაზე საუბრობენ. გლობალური მოთხოვნების ფონზე პიროვნება ხშირად თავად იღებს გადაწყვეტილებას მეორე ენის შესწავლასთან დაკავშირებით,რადგან დგება ფაქტის წინაშე სამსახურში, სასწავლო პროცესის თუ ელემენტარულად ურთიერთობების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში,როდესაც ბავშვს სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე მშობლები ჰყავს, ასეთი ბავშვი პოტენციური ბილინგვალია და ორივე ენას სრულყოფილად ფლობს.გარდა მშობლებისა, გავლენა შეიძლება იქონიოს ძიძამ, ან ბებია-ბაბუამ. მეორე ენის შესწავლა შესაძლებელია მოზრდილ ასაკშიც, თუმცა მრავალი ლინგვისტი საუბრობს იმასთან დაკავშირებით, რომ მეორე ენის სრულყოფილად დაუფლება გაცილებით ადვილია ბავშვობაში, ვიდრე ზრდასრულ ასაკში.(Lennenberg , 1967).

ბილინგვალიზმი წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან ფენომენს. მისი განსაზღვრა მრავალი ასპექტის გათვალისწინებას მოითხოვს. ასევე სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ბილინგვალიზმთან. ევროკავშირის ქვეყნების ენობრივი პოლიტიკა ცალსახად მიმართულია მულტილინგვიზმისკენ, ევროპული სკოლები მშობლიური ენის გარდა ევროკავშირის 23 ენიდან ირჩევენ დამატებით 2 ენას, ეს მოქმედება მიმართულია მოსწავლეთა ინტეგრაციისაკენ და მათ შორის მულტიკულტურული ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით. აგრეთვე მნიშველოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ისეთი ცნებები, როგორიც არის “სუსტი”ბილინგვიზმი და “ძლიერი” ბილინგვიზმი. სუსტი ბილინგვური განათლება აერთიანებს ისეთ ბილინგვალებს, რომელთათვისაც მეორე ენა პრაგმატული მოთხოვნების საპასუხოდ გამოიყენება. მაგ: მოგზაურობა, ვაჭრობა, ხელოვნება. ხოლო ძლიერი ბილინგვური განათლება უზრუნველყოფს ორ ენის სრულყოფილად ფლობას(წერა-კითხვა-საუბარი), ბიკულტურიზმს. ასეთი ფორმა აქვს კანადურ იმერსიას, ევროპულ სკოლებს. დღეისათვის განათლების სპეციალისტები ემხრობიან აღნიშნულ “ძლიერ” ბილინგვურ განათლებას. ისეთი ქვეყნები,როგორიც არის სკანდინავია, იაპონია სამხრეთ ამერიკის ელიტური ქვეყნები კარგად აცნობიერებენ მეორე ენის მნიშვნელობის გაზრდას.მაგ: იაპონიის სასწავლო კურიკულუმში 2011 წლისათვის იგეგმება ცვლილებები იმ კუთხით, რომ თუ ინგლისური ამ ეტაპზე იაპონურ სკოლებში

საბაზო საფეხურიდან იწყება, ახალი სასწავლო გეგმით 2011 წლიდან უკვე დაწყებით საფეხურზე შევიდეს საგნად.

რა უპირატესობით ხასიათდება ბილინგვური განათლება ?

1) ბილიგვიზმი ინტერკულტურულ ურთიერთობის ხელშემწყობია, ეს კი თავისთავად ადამიანს ეხმარება, რომ მან უკეთესად მოახდინოს განსხვავებული იდენტობების აღქმა.(ფრანკის და რეინერი,2002). ამასთან, თუ მულტიკულტურული გაკვეთილები ბავშვებს ზედაპირულად აცნობს განსხვავებებს, ბილიგვური განათლება საშუალებას იძლევა ბავშვმა უფრო კარგად დაინახოს კულტურული საფუძველი და განსხვავებები, დაძლიოს რასიზმი.

2) ბილინგვური განათლება ხელს უწყობს ორენოვან სრულყოფილ განათლებას, უვითარებს მოსწავლეებს ორ ენაზე წერა-კითხვისა და საუბრისუნარს. ეს კი თავისთავად მოსწავლეს, ბავშვს არჩევანის საშუალებას აძლევს, წიგნის კითხვის თუ მუსიკის მოსმენის თვალსაზრისით.

3) კვლევების საფუძველზე მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, წარმატებული ბილინგვური განათლება კოგნიტურ განვითარებას უწყობს ხელს.(Bialystok, 2001).

4) ბილინგვალი ადამიანებისთვის დასაქმების შანსები უფრო მაღალია, ვიდრე მონოლინგვალებისთვის. ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის კანადა, უელსი ბილინგვალიზმი მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმების თვალსაზრისით.(Tse, 2001, Dutcher,1995)

მითები და თეორიები ბილინგვური განათლების შესახებ

ბილინგვური განათლება ხშირად იწვევს დებატებს, საზოგადოებაში გავრცელებულია სხვადასხვა შეხედულებები ბილინგვურ სწავლებასთან მიმართებაში, არსებობს ერთგვარი მითები, რომლებიც ბილინგვური სწავლების ნეგატიურ შედეგებზე მიუთითებს, თუმცა უკანასკნელი კვლევების საფუძველზე ბილინგვური სწავლება დადებით გავლენას ახდენს ადამიანის კოგნიტურ განვითარებაზე. ყველაზე მწვავე განხილვის თემას სწორედ კოგნიტური განვითარებისა და ბილინგვური განათლების ურთიერთკავშირი წარმოადგენს. ნეგატიური ფრთის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ბილინგვალები ჩამორჩებიან მონოლინგვალებს ენის ცოდნის თვალსაზრისით. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ე.წ. "*სასწორის თეორია*".ორი სხვადასხვა ენა შედარებულია სასწორთან და მის თეფშებთან. თუ ერთი თეფში დამძიმდება, მეორე ზევით აიწევს, აქედან გამომდინარე მეორე ენის შესწავლა და შეთვისება ხდება პირველი ენის ხარჯზე. არსებობს ალტერნატიული თეორია–ე.წ. "*რეზერვუარების*

თეორია". წარმოიდგინეთ რომ, ადამიანს თავში მოთავსებული აქვს ორი რეზერვუარი, მონოლინგვალის თავში არის ერთი, მაგრამ კარგად შევსებული რეზერვუარი, ხოლო ბილინგვალის თავში– ორი, ნახევრად ცარიელი. თუ ერთი რეზერვუარი მთლიანად გაივსება, მაშინ მეორე ცარიელდება. ასეთი წარმოდგენები ბილინგვური განათლების შესახებ ადამიანებში ინტუიტიურად არსებობს. ბევრი მშობელი და მასწავლებელი ექცევა ასეთი შეხედულების გავლენის ქვეშ. აქ იგულისხმება ის აზრი, რომ ყველა ენას თავისი სივრცე აქვს, ორივე ენა ფუნქციონირებს ცალ-ცალკე და მათ შორის არ არსებობს კავშირი. აგრეთვე ტვინში ენებისთვის გამოყოფილი მოცულობა არის შეზღუდული. თუმცა აღნიშნული მოსაზრებები და თეორიები ცდებით და კვლევებით არ დადსტურებულა. პირიქით, ჰარმონიული ბილინგვური განათლების შემთხვევაში ბავშვები ავლენენ საუკეთესო შედეგებს მონოლინგვალებთან შედარებით. თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით არასწორია იმის მტკიცება, თითქოს ტვინი შეზღუდულია მოცულობითი თვალსაზრისით. ადამიანის ტვინს იმდენი უჯრედი გააჩნია, რომ ორი და მეტი ენისთვისაც მოიძებნება ადგილი. ამიტომ სასწორის და რეზერვუარების თეორიები ვერ უძლებს კრიტიტიკას. არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ეს თეორიები გაუმართლებელია. აღნიშნული თეორიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ენები ტვინში მკაცრად არიან განცალკევებულნი. თუმცა ეს მცდარი მოსაზრებაა. ენობრივი ნიშნები დაკავშირებულია კოგნიტურ სისტემასთან და ერთი ენიდან ცოდნა სწრაფად ტრანსფორმირდება მეორე ენაზე. მაგალითად, თუ სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ინგლისურად, ეს იმას არ ნიშნავს რომ ბავშვი ვითარდება მხოლოდ ამ ენაზე და ამ ენაში. თუ ბავშვი არითმეტიკულ ოპერაციას ასრულებს ინგლისურ ენაზე, მას შეუძლია იგივე ოპერაცია სხვა ენაზეც შეასრულოს.

ამ დასკვნებიდან გამომდინარე, შეიქმნა ალტერნატიული თეორია (*"Model of separate basic skills"..Cummins 1980,1981*).ეს თეორია ვიზუალურად შესაძლებელია შევადაროთ ორ აისბერგს. წყლის ზემოთ ჩვენ ვხედავთ ორ აიბერგს, ანუ ორ სხვადასხვა ენას, თუმცა წყლის ქვეშ მათ აქვთ საერთო ძირი, საფუძველი. ანალოგიურად ხდება ენების შემთხვევაში, ადამიანის გონებაში ეს ენები შეეზრდილია ერთმანეთთან, ამდენად მათი დაცალკევება შეუძლებელია. ორივე ენის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საერთო, ცენტრალური კოგნიტური სისტემა. აღნიშნული თეორიიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები:

1) .მიუხედავად იმისა,თუ რომელ ენას გამოიყენებს ადამიანი კონკრეტულ შემთხვევაში, შემეცნებით და აზროვნების პროცესს უზრუნველყოფს ერთი საერთო სიტემა

2) ცოდნის დაგროვება და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ერთ ენაზე, ასევე რამოდენიმეზე.

3) მოსწავლე კარგად უნდა ფლობდეს იმ ენას, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში, რათა მოსწავლემ მოახერხოს მასალის ათვისება.

4) საუბარი, მოსმენა, წერა-კითხვა პირველ და მეორე ენაზე სტიმულირებას უწევს კოგნიტურ განვითარებას. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე ვერ ფლობს იმ ენას, რომელზეც სწავლობს, ასეთ შემთხვევაში კოგნიტურ განვითარებას ადგილი ნაკლებად აქვს.*(Skutnabb-Kangas & Toukomaa, 1976*).

5) ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის დამოკიდებულებას ენების მიმართ. თუ მოსწავლე ნეგატიურად არის განწყობილი რომელიმე ენის მიმართ, ეს ფაქტიც შეაფერხებს კოგნიტურ განვითარებას.

მკვლევარები გარკვეულ დასკვნამდე მივიდნენ, კერძოდ რაც უფრო მაღალი ხარისხით ფლობს ბილინგვალი ორივე ენას, მით უფრო იზრდება კოგნიტური განვითარების ხარისხი. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლიავია ე.წ. *"ზღურბლის* " თეორიის განხილვა, რომელიც აკავშირებს კოგნიტურ ფუნქციებს და ბილინგვალიზმის ხარისხს. აღნიშნული თეორია შეგვიძლია სამსართულიანი სახლის მოდელს შევადაროთ. პირველი სართული უკავია ისეთ ბავშვებს, რომლებიც არც ერთ ენაში არ არიან ძლიერები. მათი კოგნიტური განვითარება შეზღუდულია. მეორე სართულზე იმყოფებიან ისეთი ბავშვები, რომლებიც ერთ ენაში არიან კომპეტენტურები, ხოლო მეორე ენაში ჩამორჩებიან სასწავლო პროცესს, ანუ მათ სკოლაში შეუძლიათ თავის ენაზე სწავლა და მეორე ენაში სუსტები არიან. ამ სართულზე მოსწავლეთა კოგნიტური განვითარება არ გასხვავდება მონოლიგვალებისგან. მესამე სართულზე იმყოფებიან თითქმის სრულყოფილი ბილინგვალები, რომელთაც შეუძლიათ სასწავლო მასალის ათვისება ორივე ენაზე. მხოლოდ ამ სართულზე შეგვიძლია ვისაუბროთ ბილინგვალიზმის დადებით, პოზიტიურ ასპექტებზე კოგნიტური თვალსაზრისით. *(Bialystok 1988, Clarkson*).

ლევ ვიგოდსკის აზრით, სწორედ ენა წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტს კოგნიტურ პროცესებში და ორი სხვადასხვა ენის გამოყენების შესაძლებლობა გაზრდის ინდივიდის კოგნიტურ შესაძლებლობებს.*(ვიგოდსკი, 1962*).

კვლევა ქართულ შრომით ბაზარზე ლინგვისტური თვალსაზრისით

ვფიქრობ რომ სწორი ენობრივი პოლიტიკის გატარება არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების მიმართ უნდა განხორციელდეს. ენობრივი თვალსაზრისით ხშირად

უმრავლესობის წარმომადგენლებიც ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას.საყოველთაოდ აღიარებული ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ კარგად ორგანიზებული განათლების სისტემა არის სოციალურ –ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობა. ამ სისტემის წარმატებების შემოწმების ერთ-ერთი გზაა შრომითი ბაზარი. მისი სეგმენტის გამოკვლევა სწავლების დახვეწის აუცილებელი პირობაა.

საინტერესოა ლინგვისტური კუთხით ქართველი დამსაქმებელების მოთხოვნები და კურსდამთავრებულთა ენობრივი შესაძლებლობები. ამ საკითხთან დაკავშირებით განვიხილე საქართველოში ლიდერი ვებ-პორტალები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართულ შრომით ბაზარზე არსებული ვაკანსიების გავრცელებას . jobs.ge –-ზე და www.hr.com.ge -ზე განთავსებული აქტიური ვაკანსიების განხილვისას გამოიკვეთა საერთო ტიპის მოთხოვნები ყველა კატეგორიის ვაკანსიის შემთხვევაში. კერძოდ, სხვადასხვა სფეროს დამსაქმებლები (მომსახურების სფერო, საბანკო სექტორი, მარკეტინგი) უმაღლესი განათლების შემდეგ მთავარ კრიტერიუმად ცალსახად მოითხოვენ ქართულის, რუსულის და ინგლისური ენის სრულყოფილ ცოდნას. ხშირ შემთხვევაში თავად განცხადების ტექსტის გაცნობაც კი შეუძლებელია ქართულ ენაზე. კვლევის ფარგლებში სხვადასხვა სექტორში დასაქმებულთან გასაუბრებისას გაირკვა ის ფაქტი, თუ დამსაქმებლები რამდენად არიან დაინტერესებულები აღნიშნული ლინგვისტური მოთხოვნებით რეალურად მუშაობის პროცესში. სხვადასხვა დარგის მომსახურე პერსონალთან გასაუბრების შედეგად მათ აღნიშნეს, რომ მუშაობის პროცესში მათ ყოველდღიურად უხდებათ ინგლისურის და რუსულის გამოყენება, მათი სამსახურში აყვანაც დიდწილად განაპირობა ენების ცოდნამ, რადგან ადამიანები, რომელთა მომსახურებაც პერსონალს უხდება ბარში , რესტორანსა თუ ბანკში, ხშირად უცხოელები არიან.

საქართველოს განათლების სისტემის სოციალური პასუხისმგებლობა , დისკუსია და სამომავლო პერსპექტივები.

უშუალოდ ენობრივი კომპეტენციების კუთხით საქართველოსთვის მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების პრობლემა მათი ინტეგრაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აღნიშნული ინტეგრაციის მთავარი მიზანი უნდა გახდეს ჩართულობა. აქ იგულისხმება ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც სრულად მოახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას და ადაპტაციას. თუმცა ინტეგრაცია უნდა გავმიჯნოთ ასიმილაციისაგან. ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციის

მოდელი ეროვნული უმცირესობათა მიმართებაში 2 კომპონენტისგან შედგება.1) სახელმწიფო ენის სწავლების უზრუნველყოფა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება.2) ეთნიკური ჯგუფების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და დაცვა.

ბილინგვალიიზმთან დაკავშირებული საკითხების განხილვით მინდოდა გამომეკვეთა თავად საკითხის მრავალმხრივობა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებისათვის.. საქართველოში ბილინგვური განათლება და მისი საჭიროება ზოგადად ასოცირდება ეთნიკურ უმცირესობებთან. სწორედ ამ კუთხით აქტიურად მუშაობს საგანმანათლებლო სფერო. ფაქტია, რომ სახელწიფო ცხოვრებაში მოქალაქეების სრულუფლებიანი ჩართვა, ქვეყნის მნიშვნელოვან ამოცანად უნდა გადაიქცეს. ეროვნული უმცირესობების თვალსაზრისით პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა, რაც გამოიხატება მრავალენოვანი განათლების დანერგვის ინიციატივაში. მრავალენოვანი ანუ ბილინგვური განათლების შემოღება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამ თვალსაზრისით, რადგან ეს სერიოზული და დასავლეთში აპრობირებული გზაა, რომელიც ხელს შეუწყობს ლინგვისტური თვალსაზრისით შეზღუდული საზოგადოების ინტეგრაციას. ქართულ რეალობაში ბილინგვური განათლების დანერგვა და მისი განხორციელება როგორც არაქართულენოვან, ისე ქართულენოვან სკოლებში, გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. კერძოდ: 1) ფინანსური რესურსები 2) ადამიანური, საკადრო რესურსი 3) სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები. ამ სამი ფაქტორიდან გამოვყოფდი ადამიანურ საკადრო რესურსებს, ვფიქრობ რომ რეალური დეფიციტი ქვეყანას სწორედ ამ კუთხით გააჩნია და მთლიანი ძალისხმევა ამ კუთხით უნდა წარიმართოს.

კადრების თვალსაზრისით საჭიროა სისტემური მოქმედება, კერძოდ, არსებული კადრების გადამზადება და აგრეთვე საუნივერსიტეტო პროგრამებში მულტილინგვური კადრების მომზადების ორგანიზება. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ენის ათვისება ბავშვს ბუნებრივ გარემოში შეუძლია, შესაბამისად,უკიდურესად მნიშვნელოვანია ბავშვის ჩართვა თამაშზე დაფუძნებულ აქტივობებში.(*ხრომსკი,1965, ლენენბერგი,1967*) ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მოსწავლეებისათვის ბუნებრივი გარემოს შექმნა შეუძლია,მასწავლებელია. ამიტომ კადრების დეფიციტი შეიძლება სერიოზულ დაბრკოლებად იქცეს მრავალენოვანი განათლების დანერგვისას.

მინდა შევეხო არა მარტო ეროვნული უმცირესობების პრობლემებს ლინგვისტური თვალსაზრისით არამედ, უმრავლესობასთან დაკავშირებითაც. ფაქტი ერთია, დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით, შრომით ბაზარზე ენობრივი

შეზღუდვა ეთნიკურ ქართველებსაც ექმნებათ. როგორც ვნახეთ, დამსაქმებელთა კრიტერიუმებში სამი ენა დომინირებს- ქართული, რუსული და ინგლისური. თუ უმცირესობებს ზღუდავს სახელმწიფო ენის– ქართულის არცოდნა, ანალოგიურ ბარიერს ქმნის ეთნიკური ქართველებისთის რუსულისა და ინგლისურის სათანადო დონეზე არ ცოდნა. საბჭოთა გავლენის ფონზე,უფროს თაობაში შედარებით შენარჩუნებულია რუსული ენის ცოდნა, თუმცა მათ ასაკობრივი ზღვარი ზღუდავთ დასაქმებაში. ინგლისური ენა კი ქართულ სკოლებში ისწავლება როგორც საგანი და თუ არა რეპეტიტორი, მოსწავლეს სკოლაში არ აქვს იმის საშუალება, რომ სრულყოფილად დაეუფლოს ამ ენას.

საუნივერსიტეტო დონეზე შეიმჩნევა გააქტიურება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოური ენების სწავლების დარეგულირების მიზნით აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე უცხო ენის სწავლება სავალდებულო გახდა და კონკრეტული საკრედიტო დატვირთვაც დადგინდა. გარდა ამისა, ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მოპოვების წინაპირობად განისაზღვრა უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება და სერთიფიკატის მოპოვება ბაკალავრიტში B1 და მაგისტრატურაში B2 დონის შესაბამისად. ენების ცენტრს დაევალა დადგენილების თანახმად პროგრამების მოდერნიზება “ ენა სპეციალური მიზნებისათვის”. გამოცოცხლება შეიმჩნევა ლინგვისტური თვალსაზრისით პოლიტიკურ ასპარეზზეც, ამის დასტურია მერიის ინიციატივა, რომლის ფარგლებში მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ ინგლისურის 3 თვიანი კურსები გაიარონ. თუმცა რამდენად არის შესაძლებელი 3 თვეში ენის საფუძვლიანად დაუფლება, ეს ცალკე თემაა. ერთი რამ ცხადია, განათლების სისტემა მიბმული უნდა იყოს შრომით ბაზარზე, ეს კი მოითხოვს ურთიერთკავშირის დამყარებას დამსაქმებლებს, განათლების დაწესებულებებსა და ხელისუფლებას შორის.ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ქართულ შრომით ბაზარზე ლინგვისტური კომპეტენციები მაღალი მნიშვნელობით სარგებლობს. ხოლო საერთაშორისო შრომით ბაზარზე თავის დამკვიდრების მიზნით ენობრივი კომპეტენციების როლი უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამიტომ ენობრივი პოლიტიკის დანერგვისას მაქსიმალურად უნდა მოხდეს შეძენილი ცოდნისა და მასზე მოთხოვნას შორის შეუსაბამობის აღმოფხვრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alfredo Ardila, Elian Ramos (2007) “Speech and Language Disorders in Bilinguals.” *Maiami, Florida, U*
2. Andrea Marini and Franco Fabbro *,” Psycholinguistic Models oF SpeeCh Prodactionin bilingualizm and multilingualizm.”, University of Unide, Italy.*
3. A Meta-Analysis of the Effectiveness of Bilingual Education, Jay P. Greene

Assistant Professor of GovernmentUniversity of Texas at AustinMarch 2, 1998

4. **Processes and Outcomes in the European SchoolsModel of Multilingual Education**

Alex HousenVrije Universiteit Brussel and Fund for Scientific Research-Flanders

5. **ИНА ДРУВИЕТЕ** Професор ЛУ, социолингвист **ЧТО ТАКОЕ БИЛИНГВАЛЬНОЕ ОБРАЗОВАНИЕ И БИЛИНГВИЗМ?**
6. ***Baker C., Foundations of Bilingual Education and Bilingualism***
7. “ БИЛИНГВИЗМ И КОГНИТИВНЫЕ ТЕОРИИ http://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/237
8. www.tbilisi.gov.ge
9. ნ.კვარაცხელია “ადამიანი და მსოფლმხედველობა სოხუმი,2001
10. www.hr.com.ge
11. \www.jobs.ge
12. ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ. .2008

ელნურ ალიევი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

Грузинские заимствования в говорах Азербайджанского языка

ხელმძღვანელი: პროფესორი ცირა ბარამიძე

Грузинский язык является государственным языком Грузинской Республики. Широко пользуются этим языком также азербайджанцы, русские, курды, осетины, абхазцы, ассирийцы, греки, евреи, армяне и представители других народов, проживающие в Грузии.

В результате многовековых политических, культурных и других контактов грузин и азербайджанцев, регулярно контактировали и их языки, вследствие чего наблюдается взаимное обогащение языков лексико-грамматическими элементами.

Из исследований грузинских лингвистов (С.С.Джикия, В.Т.Джангидзе) и азербайджанских языковедов (М.Ш.Ширалиев, А.М.Курбанов, А.Г.Нуриев, Ворошил Л.Г.) явствует, что в лексическом составе азербайджанских диалектов и говоров имеются многочисленные грузинские лексические заимствования. В говорах азербайджанского

языка, представленных на территории Грузии и в пограничной зоне Азербайджана лексические заимствования из грузинского языка значительно больше.

Ярким примером является Соганлугский говор Азербайджанского языка. Село Соганлуги находится между двумя самыми большими городами Грузии – между столицей Тбилиси и городом Рустави. По восточной части села протекает река Кура. Западная же часть села расположена вдоль автомагистрали Баку-Тбилиси и частично до Гигантского посёлка Гардабанского района. По приказу Верховного Совета Грузинской ССР в 1978 году название села Соганлуги было изменено на Поничала, но старое имя до сих пор широко используется как азербайджанским, так же и грузинским населением. В настоящее время село переросло в поселка городского типа в составе Исани-Самгорского района города Тбилиси.

Исследовав говор Соганлугских этнических азербайджанцев, В.Вугарли отмечает: «Население села Соганлуги отличается от Борчалинских и Гараязинских азербайджанцев более тесными и дружескими взаимоотношениями с грузинами. В результате этого в лексике говора Соганлугского села встречаются многие грузинские заимствования. Этот процесс продолжается и сегодня».

Продолжая исследования В.Вугарли, мы нашли новые грузинские заимствования в Соганлугском говоре. Представляем вам некоторые примеры:

BERZAN – грек (yunan). Греки, живущие в Грузии, говорящие на турецком языке. Компактными общинами проживают в Цалькийском, Тетрицкаройском и Цинцкарском районах. Несколько изменившаяся форма грузинского “ბერძენი” *[berdzeni]*.

BİDNƏ – мята (nanə). От грузинского слова “პიტნა” *[p*it*na]*.

BİCOY– мальчик (oğlan uşağı). Форма обращения от грузинского слова “ბიჭი” *[biki]*. В прошлом так называли придворную слугу подростка во дворцах беков и аристократ в Шемкирском и Казахском районах.

QEVA – жевательная резина (saqqız). От грузинского слова “კევი”*[k*evi]*.

QONA – пучок зелени (göyərti dəstəsi, qoma). Во многих местных говорах Азербайджана широкое распространение получила слова “dəstəçin”, заимствованная от персидского языка.

DIĞAMALI – кислая алча (turş alça növü, göyəm). От грузинского слова “ტყემალი” *[t*ğ*emali]*.

ZEDAZED – продолжающийся действия (dalbadal, bir-birinin ardınca dilindən təkrarlanan hərəkəti bildirmək üçün deyilir). От грузинского слова “ზედაზედ”*[zedazed]*.

ZET – растительное масло (bitki yağı). От грузинского слова “ზეთი” *[zeti]*.

KONDAR – кондари (kətlikotu). От грузинского слова “ქონდარი” *[k[1]ondari]*.

MAĞARIC – muştuluq, müjdə. От грузинского слова “მაღარიჩი” *[mağariki]*.

MÜŞƏ– рабочий (fəhlə). От грузинского слова “მუშა” *[muşa]*.

POTUL – листья (yarpaq). От грузинского слова “ფოთოლი” *[potoli]*.

TANXA – var-dövlət. От грузинского слова “თანხა” *[tanxa]*.

TELİ – вес (день), (bütün). От грузинского слова “მთელი” *[mteli]*. Təklikdə işlənmir, özündən sonra müddət bildirən söz tələb edir. Məsəslən: teli günü, teli saatı və s.

XARAXURA – бытовой мусор (zir-zibil; şey-şüy). “Köhnə, cır-cındır deməkdir.” От грузинского слова “.ხარახურა” *[xaraxura]*.

XIRXI – пила (mişar). От грузинского слова “ხერხი” *[xerxi]*.

ÇUMAT – тихо, бесшумно (sakit, asta, qışqırıqsız, səssiz). Gürcü dilindən alınma sözdür, “ dinləmək, susmaq” mənasındadır. От грузинского слова “ჩუმად” *[kumad]*.

CACA– домашняя водка (ev şəraitində üzümdən hazırlanan araq). От грузинского слова “ჭაჭა” *[kaka]*.

В этой статье мы довольствовались лишь несколькими примерами.

Лексическое взаимоотношение азербайджанского и грузинского языков является актуальной темой для ученых языковедов. Это еще раз доказывает исследования С.С.Джикия, В.Т.Джангидзе, Г.Имнайшвили, М.Ш.Ширалиев, А.М.Курбанов, А.Г.Нуриев, Ворошил Л.Г, И.Мамедли, М.Байдарйалли и др. ученых языковедов. Но, очень жаль, что сравнительная грамматика азербайджанского и грузинского языков не исследована.

В заключении выражаю искреннюю благодарность доц. Э.Шукюрову, доц. Ш.Гусейнову и другим сотрудникам Учебно-Культурного Центра «Азербайджановедение» в Бакинском Славянском Университете за поддержку в проведении лингвистических исследований в названном центре. Искренне благодарю также профессора Ц.Барамидзе за полезные советы и прочтение рукописи статьи.

Использованная литература:

1) Л.Г.Ворошил Об азербайджанско-грузинских языковых контактах. - Советская тюркология, 1980, № 4, с.22

2) А.Г.Нуриев. Лексическое взаимоотношение азербайджанского и грузинского языков. Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук. Баку, 1963.

3) В.Вугарли. Словарь Соганлугского говора. Баку, 1999.

4) М.Ширалиев. Основы азербайджанской диалектологии. Баку, 1967.

5) М.Ширалиев. Словарь диалектов азербайджанского языка. Баку, 1964.

6) Толковый словарь Азербайджанского языка. I-IV томы. Баку, 2006.

7) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII ტომები, თბილისი, 1950-1964.

8) ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

მეგი გუმბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

ფილიპეს ღვთისშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები

ხელმძღვანელი: პროფესორი ნესტან სულავა

სახეობრივი სისტემა, როგორც ცნობილია, ბიბლიიდან მომდინარეობს, რაც განსაზღვრავს მის ბუნებასა და თემატურ–მსოფლმხედველობრივ საფუძველს.

ჰიმნოგრაფიის თემატიკა მრავალმხრივია, იქმნება ღმერთისადმი მიძღვნილი, საღვთო და საღვთისმშობლო დღესასწაულებთან, წმინდანებთან დაკავშირებული საგალობლები. ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ქრისტიანულ საგალობელთა შექმნამდე, გალობის ფუნქციას ფსალმუნი ასრულებდა.

ყოველი საგალობლის ხატ–სახე გამოირჩევა სისადავით, სრულქმნილებისაკენ სწრაფვით, სულიერი სისავსით, იდუმალებით, ამაღლებულობით, ამაღლებულის მშვენიერად აღქმით. საგალობელი თავისი ბუნებით დროსა და სივრცეში დასაზღვრულია, იგი მდიდარია სამეტყველო ენით, ბიბლიური მინიშნებებით, ალუზიებით, მისი სემანტიკური ველი ძალზე ფართოა. წმინდანთა სახეების წარმოჩენისას იყენებს ბიბლიურ პერსონალიათა ალუზიებს, რაც ლიტურგიული ცნობიერების მქონე ადამიანს უკეთ შეამეცნებინებს ღვთისაკენ სვლის აუცილებლობას. საგალობელი ამკვიდრებს, ერთი მხრივ, ზეაწეულ განწყობილებას, როდესაც ღმერთს განადიდებს და „დიდებისმეტყველებს", წმინდანებს აქებს და მეორე მხრივ, სინანულის მარხვის, გლახაკთმოწყალების, ღვთის შიშის, ცოდვის

შეგნების, ლოცვის განწყობას აღძრავს, რაც ადამიანის სულიერ განწყობებს ზნეობრივ–ეთიკური მრწამსით აღავსებს და ღმრთისაკენ, უზენაესი ნათლისაკენ წარმართავს.

სასულიერო მწერლობა მდიდარია საღვთისმშობლო სიმბოლოებით, რომელთა საფუძველსაც ბიბლიური სახისმეტყველება გვთავაზობს. ძველი აღთქმისეულია ღვთისმშობლის სიმბოლოები: მაყვალი, ტაკუკი, ღრუბელი, მთა, ბჭე, დახშული, კიდობანი...ესენი უხვადაა გამოყენებული ჰიმნოგრაფთა მიერ. მოსე წინასწარმეტყველმა ქორების მთაზე იხილა საწაულებრივად წარმოსახული მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარადიგმა მაყვლოვანი ცეცხლის ალის იპოდიგმით, მაგრამ იგი არ იწვოდა, როგორც ცეცხლმოდებული მაყვალი არ იწვოდა, ასევე წმინდა ქალწული შობის შემდეგაც ქალწულად დარჩა. შეუწველ მაყვალს ადარებს ღვთისმშობელს იოანე დამასკელიც: „გიხაროდენ, მაყუალო ცეცხლმგზებარეო საკვირველებით აღგზებულო და არა შეუწველო" (7;108)

„ძლისპირში" ღვთისმშობლის სიმბოლო სულიერი მაყვალია: „მაყუალი სულიერი, რომელი ეჩუენა მოსეს მთასა სინასა, მოტყინარე შეუწველად სახედ შენდა გამოჩნდა, ღვთისმშობელო ქალწულო".

ჰიმნოგრაფიაში ხშირია ღვთისმშობლის ტაკუკად მოხსენება: „გიხაროდენ სიწმინდისა ტაკუკო"... მიმართავს მას იოანე მტბევარი.

თეოლოგიაში დამკვიდრებული ზოგიერთი სიმბოლო ღმერთსაც მიემერთება და ღვთისმშობელსაც. ძველ აღთქმაში „ღრუბელი მალავს თვალისთვის იმას, რის ხილვასაც ადამიანის თვალები ვერ უძლებენ, მათ შესაძლებლობებს აღემატება". „ღრუბელი, უმეტესად ღრუბელი სულმცირე" არის სახე ღვთისმშობლისა, სულმცირე ნიშნავს „მსუბუქს", „მჩატეს" სულმცირე ღრუბელი (მარიამი) არის სიმართლის მზის შემწყნარებელი (ლ.ხაჩიძე).

იოანე მტბევარი და მიქაელ მოდრეკილი ასე მიმართავენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს: „მზემან მან ბრწყინვალემან განისვენა ღრუბლითა სულმცირითა, რომელ არს ქალწული უბიწოი".

ღვთისმშობელს ასევე მოიხსენიებენ „უბიწო მთად". ღმერთი, როგორც სიტყვა დაუსაბამო, ხორცშესხმულ იქნა ქალწულ მარიამისაგან, ამიტომაც უაღმატებულეს იქნა დედათა და ქალწულთა შორის. მარიამ ღვთისმშობელი „დედათა შორის ქალწული და ქალწულთა შორის დედა",- როგორც მას უგალობს იოანე დამასკელიც.

ჰიმნოგრაფები ცდილობენ ღირსეულად შეამკონ სამყაროს მხსნელის დედა, სრულყოფილად დახატონ მისი სახე. ამიტომაც ხოტბას ასხამენ ქრისტესა და მის მშობელს თეოლოგიაში დამკვიდრებული სახე–სიმბოლოების მოხმობით. იოანე მტბევარი მარიამ ღვთისმშობელს კიბეს უწოდებს უწოდებს, კიბის საშუალებით გადმოვიდა ღმერთი დედამიწაზე.

ჰიმნოგრაფიაში ხშირია აგრეთვე ღვთისმშობლის ტაძრად, სადგურად, კიდობნად წარმოსახვა.

ყოვლადწმიდა ქალწულს ძვირფასი სამოსლით შემოსილად ხატავენ ჰიმნოგრაფები, რითაც ამკობენ მის დიდებულებასა და გამორჩეულობას დედათა შორის.

ასევეა შემკობილი ყოვლადწმიდა დედა ფილიპეს „ბეთლემის საგალობელში". ფილიპეს საგალობლის სახისმეტყველებითი ასპექტები განიხილა ნ.სულავამ. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანია ფილიპე ბეთლემის საგალობელი.

სინის მთის ორ ქართულ ხელნაწერში, იადგარებში-SIN_59, SIN_64 – შემონახულია X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის ფილიპე ბეთლემის ღვთისმშობლის მიერ ქრისტეს შობისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც პირველად გამოაქვეყნა ნ.მარმა. მეორე გამოცემა განახორციელა პ.ინგოროყვამ. საგალობელი სხვადასხვა კუთხით განიხილეს; ნ.მარმა, პ.ინგოროყვამ, კ.კეკელიძემ,

პ.ბერაძემ, გ.წერეთელმა, ს.ცაიშვილმა, ი.ლოლაშვილმა, ა.ურუშაძემ, ა.სილაგაძემ, იგი, როგორც დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული თხზულება, შესწავლილია ნ.სულავას ნაშრომში.

ნ.მარის შეხედულებით, საგალობელი საინტერესოა ფორმით, რადგან იგი შესრულებულია თექვსმეტმარცვლიანი შაირით, აქვს ღარიბი ერთმარცვლიანი რითმა და აკროსტიქი.

საგალობლის აკროსტიქში მითითებული ცნობის გარდა, ავტორის შესახებ არაფერი მოგვეპოვება. იგი არ მოიხენიება სინური და იერუსალიმური ხელნაწერების ანდერძ–მინაწერებში.

ფილიპე თავის საგალობელს ღვთისმშობლის ქებით იწყებს და მისადმი ვედრებით ამთავრებს. მის ზოგად განწყობას აზრისა და განცდის თანდათანობითი აღმავლობა წარმართავს. ავტორის ძირითადი სათქმელი თემატური, აზრობრივი და ემოციური განვითარება პირველივე სტრიქონით იწყება და ბოლო ტაეპით მთავრდება. მთელი საგალობლის ორიენტირი ღვთისმშობელია, რომელსაც ხოტბას შეასხამს ჰიმნოგრაფი და ყოველ ტაეპს მისადმი მიმართვით ამთავრებს, ხოლო თავის მხრივ, მიმართვა ღვთისმშობელს წარმოაჩენს სიმბოლოებით, იმგვარი ეპითეტებით, რომლითაც, ჩვეულებრივ ხასიათდება იგი საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ზოგადად და ჰიმნოგრაფიაში კერძოდ.

ფილიპეს საგალობელში ქრისტიანულ სიმბოლოთა, სახეთა და ფერთა განაწილება მკაცრად მოწესრიგებულია და მიმართულია ერთის, უმაღლესის გამოხატვისაკენ, კერძოდ ღვთისმშობლის მიერ ქრისტეშობის მისტერიის სიტყვით გამოხატვისაკენ. საგალობელი დიდადაა დავალებული ბიბლიური, განსაკუთრებით ფსალმუნური პოეტური მეტყველებისაგან და ღრმა სიმბოლური აზროვნებით გამოირჩევა. მარიამ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობლებში ხშირია ფსალმუნისეული სიტყვების პერიფრაზი, საგალობლის პირველი სიტყვა „ფესუ", ფსალმუნში „ფესუედი", სიმბოლურ ფუნქციას ატარებს. საბას განმარტების მიხედვით „ფესუედი" უფლის მცნებათა დაცვის სიმბოლოა. ნ.სულავას დაკვირვებით, ფრესკებსა და ხატებზე იგი განსაკუთრებული სიფაქიზით გამოისახება, სადაც ღვთისმშობლის სამოსლის „ფესუ" , „ფესუიდი" ,მეწამული ფერის სამოსელზე შემოვლებული ოქროსფერი ოქროვანი ფოჩია. ეს ფერი მას უცოდველობის ნიშნად გასდევს. ოქროსფერი სულიერების, ზეციურობის სიმბოლოა, სისხლისფერი, მეწამული მიწიერებისა. ღვთისმშობლის სამოსლის მეწამულობა მისი მიწიერების მიმანიშნებელია, მასზე შემოვლებული ოქროსფერი ფოჩი კი ზეციური დედოფლობისა.

საგალობლის მეორე ტაეპი ღვთისმშობლის მადმოსილებასა და ნათლით შემკობას გვაუწყებს: „იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქუს, ღმრთისმშობელო", განმარტებას მოითხოვს როგორც იაკინთე და ძოწეული, ისე სამოსელი.

სამოსლის ღრმა სიმბოლიკა ბიბლიის პირველსავე წიგნშია მინიშნებული, როდესაც განრისხებულმა ღმერთმა ცოდვით დაცემული ადამი და ევა გამოაძევა სამოთხიდან: „უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსნა მათ". ტყავის სამოსელი ცოდვის სიმბოლოა. ტანსაცმელი არის სხეულის დამაკავშირებელი ამქვეყნიურ სინამდვილესთან, რეალობასთან.

ამქვეყნიური სამოსლის სხვადასხვა სახეობის გამოყენება ღვთისმშობლის სახის სრულყოფილების, მისი ხატის წარმოჩენაში ეხმარება მის შემსხმელს. მისი სამოსელი სულიერებითაა დატვირთული. როდესაც ფილიპე ბეთლემი ამბობს, რომ ღვთისმშობლის სამოსელი შემკულია ოქროვანი ფოჩებით, იაკინთითა და ძოწეულით, ფაქტობრივად მის სულიერებას ხსნის და გადაშლის მკითხველისა თუ მსმენელის წინაშე. გამორჩეული სამოსელი ღვთისმშობელს განსაკუთრებული ფუნქციით წარმოაჩენს. ღვთისმშობელს ოქროვანი ფოჩით შემკობა ზეცასთან კავშირში წარმოაჩენს, იაკინთითა და ძოწეულით შემოსვა–ამქვეყნიურობასთან.

ნ.სულავას განმარტებით, ღვთისმშობლის სამოსლად იაკინთისა და ძოწეულის გამოყენებას ღვთისმეტყველებაში ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ახსნა აქვს. იოანეს „გამოცხადებაში" ძოწეული წმიდათა სიმართლესთანაა დაკავშირებული: „და მიეცა მას, რაითა შეიმოსოს ძოწეული წმიდაი და ბრწყინვალე, რამეთუ ძოწეული სიმართლენი წმიდათანი არიან".

ეპიფანე კვიპრელმა სპეციალური თეოლოგიური შრომა მიუძღვნა ძვირფას ქვებს და თითოეულის სიმბოლური მნიშვნელობა განსაზღვრა, თორმეტი ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვის სიმბოლურობა ახსნილია იაკობის თორმეტი ძისაგან ღვთის რჩეული ერის, ებრაელთა თორმეტი ტომის დაყოფისა და თითოეული ძის სამკვიდროს დადგენით. ილიპეს საგალობელში ორი ებრაული ტომის საფუძველდამდები ბიბლიური პერსონაჟის სიმბოლური ქვით შემკობილად და შემოსილადაა ღვთისმშობელი წარმოსახული

თუ რატომაა საგალობელში ღვთისმშობელი იაკინთითა და ძოწეულით შემოსილი და შემკული, საჭიროა თვით ამ თვლების სიმბოლური მნიშვნელობის დაზუსტება, რისთვისაც ბიბლიურ მონაცემთა საფუძველზე ეპიფანე კვიპრელის ჯმიერ შედგენილი „თუალთაი" არის საუკეთესო წყარო. ქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაკინთისა და ძოწეულის სიმბოლოებში გეოგრაფიულ მხარეთა სიმბოლური გააზრებაცაა საგულისხმებელი. ეპიფანეს თხზულება ამის საფუძველსაც იძლევა.

იაკინთის თვალი, რომელიც არის „მბრწყინვალე ცეცხლის მსგავს, ფანაკის მსგავს, ფანაკის მსგავს სიმეწამულითა" მოიპოვება აფრიკაში, ლიბიაში, „მახლობლად მზის აღმოსავალისა, ადგილთა მათ ეთიოპიაისათა, რომელი მივალს სამხრად მიმართ" (შატბერდის კრებული,143)

მისი ბრწყინვალება თავიდანვე იზიდავს ადამიანს, იგი დღისით და ღამით სანთელივით ანათებს, ნაკვერცხალივით გამოსცემს ალისფერ ნათელს, რაც აადვილებს მის პოვნას. მას გარედან ატარებენ და არა „სამოსელსა შიგან". იაკინთის თვალის ნალესს თუ ვინმე დალევს, მას სულს გაუღვიძებს „სამართალსა სიტყუათა მიმართ" (14;132)

იაკინთის თვალი, როგორც ნესტან სულავამ შენიშნა, სიმბოლურად არის იუდას ნათესავის, შთამომავლის აღმნიშვნელი, ასეთადაა ცნობილი იესო ქრისტე; იგი არის ხსნისა და რისხვის გამომხატველი, ხსნისა ღირსთათვის და რისხვისა, ტანჯვისა, უღირსთა და შეურაცხმყოფელთათვის. იაკინთის თვალი მანათობელია ღამისა, რომელშიც ქრისტეს შობამდე იმყოფებოდა კაცობრიობა, მან ნათლით შემოსა ყოველი, ვინც ქრისტე ჭეშმარიტად ირწმუნა. ამიტომ მიიჩნევა იაკინთის თვალი ღვთისმშობლის შესამკობად. რაც შეეხება იაკინთის თვალის მხარეთა სიმბოლურობის გამოსახატავად გამოყენებას, აქ გასათვალისწინებელია ქრისტიანული სახისმეტყველება, რომლის მიხედვით აღმოსავლეთი სინათლის წყაროდაა მიჩნეული, ხოლო სამხრეთი იმ ადგილად, სადაც მარადიული სინათლეა.

ძოწეულის თვლის ხსენებას და მისით ღვთისმშობლის შემკობას საკრალურობა ახლავს, იგი წმიდათა სიმართლეს მოასწავებს. ძოწეულით საგალობელში ღვთისმშობელთან დაკავშირებულ წმიდა ადგილების სიმბოლურ მინიშნებას ვხვდებით. იაკინთისა და ძოწეულის სამკურნალო თვისებების წარმოჩენით იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის სახეებია მოწოდებული, ვითარცა სულიერი და ფიზიკური მკურნალისა.

ეპიფანე კვიპრელი ძოწეულის თვალს მიჩნევს ზაბილონის მოდგმის სახელდებულად; ძოწეულის თვალი ზოგჯერ მწვანეა, ზოგჯერ ოქროსფერი, მას ბივრილსაც უწოდებენ. ეპიფანე კვიპრელი აღნიშნავს, რომ თუ მკურნალი მისგან ნალესს ასმევენ ავადმყოფს, მუცლის ტკივილს კურნავს.

საყურადღებოა ფერთამეტყველება საგალობლის ამ ორ ტაეპში, რადგან იაკინთისა და ძოწეულის თვლები ოქროსფერ–ცეცხლისფერია, ნათელია, ბრწყინვალეა, რაც თავის მხრივ, ისევ ქრისტეს ღვთაებრიობასა და ღვთისმშობლის

განსაკუთრებულობას, გამორჩეულობას მოასწავებს. ოქროსფერ–ცეცხლისფერობა ქრისტეს ორბუნებოვნების სიმბოლური გამოხატვაა.

როგორც ნ. სულავას ნაშრომშია აღნიშნული და დადგენილი, იაკინთითა და ძოწეულით შემოსვა–შემკობა ღვთისმშობლისა, მისი და იოსების გენეალოგიასაც გულისხმობს, ე.ი. ქრონოტოპულ ფუნქციასაც ატარებს. იაკინთი იუდას ჩამომავალთა თვალია, ზაბილონი იყო ნაზარეთის და ზღვის კიდეთ მფლობელი, ნაზარეთისა,სადაც გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა მარიამს მისი გამორჩეულობა და მომავალი ღვთისმშობლობის ტარების ადგილი დაქრისტეს შობის ადგილი, ხოლო რადგან ისინი ღვთისმშობლის შესამკობი თვლებია,ხოლო ღვთისმშობელი მარადიული დედოფალია, ამიტომ ზედროული ფუნქციაც აკისრიათ, ვითარცა მარად ქალწულის სამკაულსა და სამოსელს.

შობის დღესასწაულისა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ფილიპეს საგალობელი ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი მაღალი სტილით, საღვთისმეტყველო აზროვნებითა და ღრმა სახისმეტყველებით გამორჩეული ნაწარმოებია, რომელშიც ასახულია შობის მისტერია და სიდიადე. ხატოვნად და სიმბოლურად წარმოჩენილია ღვთისმშობლის სახე. შაგალობელი არის ავტორის ლირიკული აღსარება, ღვთისმშობელთან დიალოგი, რომელშიც მთელი სისრულით წარმოჩინდა გამოვლინდა ფილიპეს თეოლოგიური განათლების სიღრმე, მხატვრული აზროვნება და პოეტური კულტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.სულავა, ფილიპე ბეთლემი, კრებ; ლიტერატურული ძიებანი, XIX, 1998, გვ. 90-105.
2. შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ბაქარ
3. გიგინეიშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა თბ. , 1979.
4. ძლისპირნი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971.

ლევან ბებურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

„განდეგილის“ საღვთისმეტყველო ანალიზისათვის

ხელმძღვანელი: პროფესორი ლელა ხაჩიძე

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ მთავარი გმირის შესახებ მრავალი მოსაზრება გამოითქვა. მკვლევარები სხვადასხვაგვარად აფასებდნენ ბერის ღვაწლს, მის სულიერ მდგომარეობას. იყო მცდელობები წმინდა საღვთისმეტყველო პლანში გაეაზრებინათ განდეგილის დაცემა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა თუ რამდენად რეალისტურია ბერის სახე, შეიძლება თუ არა ასეთი ასკეტი შეგვხვდეს სინამდვილეში. ამის გასარკვევად

აუცილებელია ღრმა ანალიზი ბერის სამოღვაწეო პრინციპებისა და შეხედულებებისა.

საინტერსოა, სულიერების რომელ საფეხურზე იმყოფება მწირი.

ავტორისეული დახასიათების მიხედვით აშკარაა, რომ ბერი სრულყოფილებასთანაა მიახლოებული:

„არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა
და მაღალს შუბლსა ნაოჭად შეკრულს
შარავანდედი გადაჰფენოდა.“

ბერი წმინდანია, მას დაუმარხავს ხორციელი გულისთქმანი, მოუპოვებია განუწყვეტელი ლოცვისა და ცოდვათა ზედა გლოვის ნიჭი:

„დღე-და-ღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.“

განდეგილის წმინდნობის უტყუარი საბუთია ის სასწაული, რომელსაც უფალი ყოველდღე უგზავნიდა მას „ხორცთუსხმელი“ მზის სხივის სახით.

ა. ბაქრაძე მიიჩნევდა, რომ განდეგილი სულიერების პირველ საფეხურზე იმყოფებოდა, რომ იგი „ჯერ კიდევ გაორებული იყო.“(2, 78) ამ მოსაზრების სიმცდარეს მოწმობს თვით ავტორის აღწერილობა ბერისა და მეორე მხრივ მადლმოსილება, რომელსაც ცხადია ღმერთი სულიერებაში ახლად ფეხადგმულს არ მოუვლენს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ „ყოველდღიურ სასწაულებს გაშინაურებული ბერი ხიბლშია ჩავარდნილი.“(10, 9) ეს შეხედულება ყოვლად უსაფუძვლო და შეუსაბამოა. წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი ხიბლის შესახებ ბრძანებს: „ხიბლი ადამიანური ბუნების სიცრუით დაზიანებაა. ამპარტავნებითა და

განუსჯელობითაა აღვსილი გულის სურვილი და სწრაფვა – დატკბეს წმინდა, სულიერი, ღვთაებრივი გრძნობებით, როცა იგი ჯერ სრულიადაც არ არის მზად ასეთი ტკბობისათვის. როგორც განუწმენდელი გონება, რომელსაც ღვთაებრივი ხილვების ნახვა სურს, მაგრამ ამის საშუალება არა აქვს, ხილვებს თვითონ იგონებს და მათით იტყუებს თავს, ასევ გულიც – როცა ღვთაებრივი სიტკბოებისა და სხვა ღვთაებრივი გრძნობების განცდას ცდილობს და ვერ პოულობს მათ საკუთარ თავში, მაშინ თვითონ იგონებს მათ. მათით იცთუნებს და იღუპავს თავს, რამეთუ შედის სიცრუის არეში, ეშმაკებთან ერთობაში, ემორჩილება მათ ზემოქმედებას და მათ ძალაუფლებას ემონება."(6. 48) სულის ამგვარ მდგომარეობას ეწოდება ხიბლი. „ხიბლი არის ჭეშმარიტი სულიერი ორიენტირების დაკარგვა, ადამიანისა და სატანის ცოდვის გამეორება, როდესაც ადამიანს სულიერი ცხოვრების, მართლმადიდებლური ასკეზის გარეშე სურს მაღალი სულიერი საზომის მიღწევა." (5, 52) ხიბლის მშობელი ამპარტავნებაა. პოემიდან კი ჩანს, რომ განდეგილს ჩაბარებული აქვს გამოცდა სიმდაბლეში. მას ხილვები ეშმაკისგან არ ეგზავნება. იგი ღვთის მადლის მფლობელია: **„წამება მისი ღმერთს შეუწირავს, ვედრება მისი ღმერთს უსმენია."** „ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად. ვერ ხელ ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაისა" (მათე 6, 24). შეუძლებელია ადამიანს ღვთის მადლი ჰქონდეს და ამავდროულად ხიბლში იყოს ჩავარდნილი. „ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი" (იაკობი 4, 6). აბსურდია იმის განცხადება, რომ განდეგილი ხიბლშია.

უნდა ითქვას ისიც, რომ სულიერ პლანში თუ განვიხილავთ „განდეგილს", სერიოზულ შეუსაბამობას აღმოვაჩენთ. მართალია, მხატვრული ნაწარმოები საღვთისმეტყველო ტრაქტატი არ არის, მაგრამ როდესაც მწერალი რელიგიურ თემატიკას ეხება, მას ღრმა სასულიერო განათლება და დიდი სიფრთხილე მოეთხოვება. მითუმეტეს, თუ რეალისტურ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე.

ბერის საქციელი და შეხედულებები სრულიად არ შეეფერება მადლმოსილი მოღვაწისას. იგი გულის სიღრმეში თავს **უბედურად** მიიჩნევს! ასეთ ადამიანს, შეუძლებელია, ღვთისგან სულიერი ნიჭები ჰქონდეთ მიმადლებული. წმინდანისათვის სრულიად უცხოა ის შიში, რომელსაც განდეგილს ქალის ხმის გაგონების შემდეგ ეუფლება. „უფალი ძალ ჩემდა, ვისა მეშინოდეს? უფალი შესავედრებელ ჩემდა, ვისაგან შევძრწუნდე?" – ბრძანებს დავით მეფსალმუნე. განდეგილი კი:

„შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან,

ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
და ვითა ელვამ ამისმა ფიქრმა,
გულში ზარცემით მწირს გაურბინა.“

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ბერს უყვარს ქვეყანა, რომ „ბერის მოღვაწეობის მიზანი იყო მთელი ქვეყნისათვის ლოცვა.“(8, 55) ამის დასტურად მოაქვთ ორი ტაეპი პოემიდან. როცა საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა განდეგილი ღვთისმშობელს

„. . . ხელაპყრობით ევედრებოდა
წარწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.“

აუცილებელია გავარკვიოთ ბერის დამოკიდებულება საზოგადოების, ქვეყნის, მოყვასისადმი. თუ მას მართლაც უყვარს ქვეყანა, ავტორი ხუთ სტროფს იმის ჩვენებას არ დაუთმობდა, თუ რად მიიჩნევს ბერი სოფელს. „ცოდვის სადგური“, „სამეფო ბოროტისა“ – ამ ეპითეტებით ახასიათებს განდეგილი (**და არა ილია ჭავჭავაძე**) ქვეყანას. თუ ბერს მართლაც უყვარს იგი, ილია ამას საგანგებოდ აღნიშნავდა და არა გაკვრით. მაშ რატომ ევედრება განდეგილი ღვთისმშობელს ქვეყნის ხსნას? უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის ენას, ამ პოემის მიხედვით, ახასიათებს არქაულობა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ რელიგიური ლექსიკა არქაულია. სიტყვა „წარწყმედა – ნიშნავს დაღუპვას, ამ მნიშვნელობით არის იგი ნახმარი სახარებაში, სასულიერო მწერლობაში. განსაკუთრებით ხშირად იხმარება ეს სიტყვა წარღვნასთან მიმართებაში: „ მოიწია წყლით-რღუნაი და წარწყმიდნა ყოველნი (ლუკა, 17,27) ბერი ლოცვას იწყებს საშინელი სტიქიის დროს. იგი ადამიანთა სულების გადარჩენისათვის კი არ ლოცულობს, არამედ ღმერთს ქვეყნის საშინელი წარღვინაგან გადარჩენას ევედრება. ბერში თვითგადარჩენის ინსტიქტი ლოცვით გამოიხატა, რაც სრულიად ბუნებრივია.

ბერის დამოკიდებულება მოყვასისადმი შესანიშნავად ჩანს მისი და მწყემსი ქალის დიალოგში, ქალი მას ეკითხება:

„ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდან ამოგიღია?
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგიღია?

არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?“

ჭეშმარიტება ქრისტიანმა ასკეტმა ცხადია უნდა უპასუხოს, რომ დიახაც უყვარს ისინი, მათი სიყვარულის გამო წამოვიდა სამოღვაწეოდ და ამ გზით უფრო შეუძლია მათი შეწევნა. რას პასუხობს ბერი?

„. . . ყველაზე უფრო სული ტკბილია
იგი ტყვე არის წუთისოფლისა
და **ეგ ყოველი მის ბორკილია**.“

ამის შემდეგ უაზრობაა ვისაუბროთ იმაზე, რომ განდეგილს უყვარს მოყვასი. „თვისტომი, ტოლი და სწორი“ მისთვის ბორკილია, უსარგებლო და არასაჭირო. ასეთ შეხედულებას ქრისტიანობასთან შეუძლებელია რაიმე კავშირი ჰქონდეს. ასეთი მრწამსის ადამიანი ნამდვილ ქრისტიანად ვერ ჩაითვლება.

ამრიგად, მიუხედავად ავტორის აღწერილობისა, ბერის საქციელი და შეხედულებები ცხადყოფს, რომ იგი ნამდვილად არ არის ჭეშმარიტი ასკეტი.

საფიქრებელია, რომ ეს შეუსაბამობა ილიას მიერ ორი მიზეზით, შეგნებულად არის დაშვებული. ჯერ ერთი, მზის სხივი, მადლი ღვთისა, აუცილებელია სიუჟეტური განვითარებისათვის. ეს უმთავრესი ელემენტია სიუჟეტისა, რომლის გარეშე მოქმედება ვერ დასრულდება და მეორე, ილიამ განდეგილი ასეთ სულიერ სიმაღლეზე იმიტომ აიყვანა, რომ გაემძაფრებინა მისი დაცემით გამოწვეული ტრაგიზმი. ილია თვლიდა, რომ ნამდვილ ქრისტიანს შეუძლებელია არ უყვარდეს მოყვასი, სამშობლო. არ გვგონია, ეს ვინმესათვის სადავო იყოს. ამდენად პოეტი იძულებულია ასეთი უზუსტობა დაუშვას.

ზოგიერთ კრიტიკოსს მიაჩნია, რომ მწირის მოდუნება, მისი ღვთიური მადლისაგან განძარცვა იწყება მის მიერ ჩამავალი მზის სურათის ხილვის შედეგად. „ბერს არ ახსოვდა ღვთის გაფრთხილება . . . ფრთხილად იყავი, რომ ცისკენ ახედვისას და მზისა და მთვარისა და ვარსკვლავების, ცისეული მხედრობის დანახვისას იქ შეცდე და თაყვანი არ სცე მათ“. აქედან იწყება მისი დაღმასვლა.“(8, 56) ამ ეპიზოდში ავტორის სათქმელი სრულიად სხვაა. ბერი აღტაცებული უცქერს ბუნების უმშვენიერეს სურათს:

„მზე, გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,

წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუვოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათას-ფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა **უბიწო დიადის** ხილვით
წარტყვევნილ იქნა განყენებული
და **ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას**
შესცქერდა მზესა განცვიფრებული“.

ბერი უცქერს „უბიწო დიადს“. იგი მზეს კი არ სცემს თაყვანს, არამედ მისი საშუალებით, მის მაგალითზე ხედავს უფლის დიდებულებას. ბუნების მშვენიერების, ჰარმონიულობის მეშვეობით შეიმეცნებს ადამიანი ღვთის ყოვლისშემძლეობასა და სიდიადეს. „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო“ – ბრძანებს დავით მეფსალმუნე (ფს 18).

ზუსტად ასეთივეა ბერის მიმართება ბუნების, თვალწარმტაცი სურათისადმი. იგი მას უცქერს „ვით ცხოველ ხატს ღვთის დიდებისას“. თავისთავად არც ერთი საგნის ცქერა არ არის ცოდვა, მთავარია, როგორია მიდგომა ამ საგნისადმი. წმ. იოანე სინელის „სათნოებათა კიბეში“ მოაქვს ერთი ასეთი მაგალითი: ერთმა ბერმა უმშვენიერესი ქალი იხლა და გულისთქმა კი არ გაუჩნდა მის მიმართ, არამედ ადიდა შემოქმედი, რომელმაც ასეთი მშვენიერება დაბადა. ილიასაგან არ გვაქვს არც ერთი მინიშნება იმაზე, რომ ჩამავალი მზის ცქერა განდეგილს ღვთის მადლს ართმევს.

რაც შეეხება განდეგილის აღსასრულს, აქაც შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი საეკლესიო მოღვაწე ბერი გაბრიელი (ურგებაძე) მიუთითებდა: **„ილია ჭავჭავაძე ერისკაცი იყო და არ ესმოდა, რომ ბერს, რომელსაც ასეთ სულიერ სიმაღლეზე აიყვანს ღმერთი, ასე ადვილად არ დასცემს. გაბრიელ ეპისკოპოსმაც (ქიქოძე) იცოდა ეს, მაგრამ არ ამხილა და არ მიუთითა მეგობრობის გამოო.**“(7, 35)

იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ მადლმოსილიც შეიძლება დაეცეს, მაგრამ მის დაღუპვას უფალი არასოდეს დაუშვებს მისი უწინდელი ღვაწლის გამო. ამის მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ მამათა ცხოვრებიდან.

წმინდა იაკობს ღვთივსათნო ცხოვრების სანაცვლოდ უფლისაგან სასწაულთმოქმედების ნიჭი ჰქონდა მიმადლებული. მისი ლოცვა სნეულებს კურნავდა და დავრდომილებს აღადგენდა. ერთ დღეს დიდი განსაცდელი შეემთხვა. მას განსაკურნად ახალგაზრდა ქალიშვილი მიუყვანეს, იაკობს სძლია

გულისთქმამ და ქალთან შესცოდა, შემდეგ კი მოკლა იგი. ბერი საშინელმა სასოწარკვეთამ მოიცვა და მონაზვნობის დატოვება განიზრახა, მაგრამ უფალმა არ დაუკარგა უწინდელი ღვაწლი და ერთი ღვთისმსახურის პირით ამხილა იგი. იაკობი გონს მოეგო და დიდ სინანულში ჩავარდა. ოცი წლის განმავლობაში ის უმკაცრეს მოღვაწეობას ეწეოდა განმარტოებული. ბერს დაუბრუნდა ღვთაებრივი ნიჭი და მხოლოდ მისმა ლოცვამ შეძლო საშინელი გვალვის ჟამს წვიმის მოყვანა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

განდეგილი შეიძლება დაცემულიყო, მაგრამ მისი საბოლოო წარწყმედა შეუძლებელი იქნებოდა. მითუმეტეს ბერმა გააცნობიერა თავისი უღირსი საქციელი. მისი დაცემაც არ არის დიდი. იგი მხოლოდ გულში გაივლებს ქალის კოცნის სურვილს და დროულად მოახერხებს თავის დამორჩილებას. ხორციელ დაცემასა და გულისთქმას შორის კი ნამდვილად არის დიდი განსხვავება.

ამრიგად, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებსა და პატერიკებში შეუძლებელია შეგვხვდეს მსგავსი დრამა ბერის დეცემისა, ამდენად გამორიცხულია განდეგილის ტრაგედიის სწორი საღვთისმეტყველო ანალიზი. რაც შეეხება 4პოემის მხატვრულ ღირებულებას, იგი უდავოდ დიდია და „განდეგილს“ სამართლიანად მიიჩნევენ ილიას პოეტური მემკვიდრეობის გვირგვინად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქუმაი, თბილისი, 2003
2. ბაქრაძე აკაკი, ილია და აკაკი, თბილისი, 1992
3. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა XX ტომად, ტ. I, თბილისი, 1987
4. ღირსი იოანე სინელი, კლემაქსი ანუ კიბე, თბილისი, 2000
5. არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), საუბრები მართლმადიდებლობაზე, II, თბილისი, 1994
6. მამათა სწავლანი სულიერი ცხოვრების შესახებ, თბილისი, 2005
7. მშვენიერაძე დალი, ბერის დიადემა, თბილისი, 2006
8. ნინიძე მარიამ, დაცარიელებული ბეთლემი, თბილისი, 2000
9. ჟურნალი „კარიბჭე“ N 7, 2005
10. ჟურნალი „კარიბჭე“ N 28, 2007

ნინო გაბუნია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრატურა

გენდერული თანასწორობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მინდიაშვილი

მე-XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება გენდერის თეორიის, როგორც ახალი მეცნიერული დარგის განვითარება. მეცნიერებათა ქსელი, რომელიც ჩართულია გენდერულ კვლევებში მეტად ფართოა: ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ეკონომიკა, დემოგრაფია, პოლიტოლოგია, ფილოლოგია, სოციალური ლინგვისტიკა, ეთნოგრაფია, კულტუროლოგია და სხვა. თანამედროვე საზოგადოების წინაშე აქტუალურად დგას გენდერული თანასწორობის საკითხი. სქესის, რასის, რელიგიურ და კულტურულ თავისებურებათა თანასწორობასთან ერთად, გენდერული თანასწორობა დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. საქართველო, რომელიც ადგას დემოკრატიის განვითარების გზას, შესაბამისად, ასრულებს მის მოთხოვნებს და ახორციელებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას. აგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ წარსულში ეს პრობლემა როგორც თანამერდოვეობაში მწვავედ იდგა.რასაც ადასტურებს ჩვენი კულტურა.

ყველა კულტურას აქვს თავისი წარმოდგენები სამყროზე, ბედზე, ისტორიაზე და მათ შორის სქესთა შორის ურთიერთობზე. ეს წარმოდგენები ყალბდებოდა მთელი მისი არსებობის განმავლობაში და მიეცემა მენტალიტეტის სახით. მენტალიტეტის ჩამოყალბებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ის რელიგიური წარმოდგენები, რომლებსაც აღიარებს და მისდევს მოცემული კულტურა; რელიგიური მსოფხედველობა წარმოადგენს ერთგვარ ზნეობრივ ნორმას, ზნეობრივი პრინციპების ერთიანობას, რომელიც საფუძვლად ედება საზოგადოების არსებობის სხვადასხვა სფეროს და განსაზღვრავს მის ცხოვრების წესს; დაწყებული სამართლებრივი სფეროთი დამთავრებული ყოველდღიურობით, მაგრამ კულტურული მენტალიტეტი შეიცავს გარკვეულ ცრურწმენებს და სტერეოტიპებს, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ კულტურის ხალხისათვის. შწორედ ეს არა აწორი სტერეოტიპები ართვევს გენდერულ ბალანსს სქესთა შორის.

გენდერული თანასწორობა წარმოაჩენს ქალისა და კაცის მოღვაწეობის თანაბარ ხელმისაწვდომობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, “მაგრამ თუ ქალის ხასიათს დავაკვირდებით დავინახავთ, რომ ღმერთმა განგებ მისცა მას განსხვავებული თვისებები, რადგან მდგომარეობა და თვისება ქალისა სხვაა, ვიდრე-მნიშვნელობა და საქმე მამა კაცთა -აღნიშნავდა გაბრიელ ეპისკოპოსი; თუმცა ქალის როლის განსაკუთრებულობა ასახულია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც, მოვიყვანოთ რანდენიმე მაგალითი: საქართველოს მთიანეთში დღესაც შემორჩენილია უძველეს ტრადიციათა გადმონაშთები, ერთ–ერთი ასეთია ”**ადგილის დედის”** რწმენა. ხალხის რწმენით თითოეულ ადგილს, მთას, გორს, ხევს ჰყავს თავისი “დედა”. ღრმა აზრია ჩაქსოვილი ქართულ სიტყვებში “დედამიწა”, “გუთნისდედა”, “დედაბოძი”,

დედაარსი”, “დედააზრი” , ქრისტიანულ თეოლოგიაში მიღებულია ეკლესიის დახასიათება, ვითარცა დედისა. თუმცა, ეს წარსულიდან შემონახული სიტყვებია, თანამედროვე ტერმინები ქალის მიმართ გამოთქმული, წარმოაჩენს ჩვენს წარმოდგენას გენდერზე მაგ: ”კაცის ტვინი აქვსო” ნიშ. ჭკვიანია, “ძლივს კაცურად არ მოვკალათდი” ნიშ. გემრიელად, გაბატონებულად დამიკვიდრებას, ხოლო “ბატი”, ჭუკი”, შტერუკა”, ”ქალია რა უნდა მოსთხოვო?!” ეს ტერმინი კი მიუთითებს ნაკლები ავტორიტეტისა და განვითარების ინდივიდზე. საინტერესოა, რამ მიიყვანა ქალი ასეთი დიდებიდან ამ გვარ დამცირებამდე, ალბათ არასწორად გადარჩეულმა ფასეულობებმა. ქართული ენა, სხვა ენების მსგავსად, ბევრს საუბრობს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებზე. ნებისმიერი ტექსტი სამართლებრივი აქტი, ისტორიული წყარო თუ ლიტერატურული ძეგლი შეიძლება ატარებდეს გენდერული თვალსაზრისით ძალიან მნიშნელოვან ინფორმაციას.

არ არსებობს ქვეყნის ცხოვრების არც ერთი სფერო,სადაც თავი არ გამოუჩენიათ ქართველ ქალებს –– პოლიტიკა, დიპლომატია, ხელოვნება ,რელიგიური ცხოვრება გავიხსენოთ ჩვენი ისტორიული წარსულიდან ზოგიერთი ფაქტი. მაგ. ქართველთა მოქცევა, მათი გაქრისტიანებაც ქალან არის დაკავშირებული. ქართველებს ქრისტიანობის მქადაგებლად, ქვეყნის განმანათლებლად, ახალი რწმენის გამავრცელებლად კაბადოკიელი ნინო მოევლინათ. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ქართველი ქალები განსაკუთრებული დიპლომატიური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულები. ჩვენამდე მოაღწია ქალთა მიერ წარმარტებით შესრულებული არაერთი მისიის ამბავმა.

მე-11 საუკუნის დასაწყისში,საართველოში ბიზანტიის მომძლავრებული აგრესიის დროს,მეფე ბაგრატ IV-ის დედამ მარიამ დედოფალმა მოსალაპარაკებლასკონსტანტინეპოლს გაემგზავრა, ბიზანტიის დედაქალლაქში იგი შეხვდა ცნობილ ქართვლ მოღვაწეს გიორგი მთაწმინდელს. ბიზანტიის კეისართან სამშვიდობო მოლაპარაკება წარმატებით დასრულა,საქართველოს სასურველი მშვიდობა მოიპოვა.ბიზანტიიდან მარიამმა თავის ძეს საცოლე ჩამოუყვანა.იმპერატორის ძმის ბასილის ასული ელენე და კეისრის ნაბოძვარი კირაპალატის ტიტული

ქალთა დიპლომატიური მოღვაწეობის იშვითი მაგალითია თამარ მეფის დროს აჯანყებულ ფეოდალებთან ორი დიდგვაროვანი მანდილოსანის-კრავაი ჯაყელისა და ხვაშაქ ცოქალის მისია. მათ წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ საქმეს და საქართველოშო შინააშლილობა დაამშვიდეს. მსოფლიო ისტორიაში განსაკითრებულ ადგილს იკავებს თამარ მეფის პიროვნება. წარმატებული იყო მისი საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,

თამარ მეფეს ღმერთად აღიარებდა პირდაპირი გაგებით, შ რუსთაველი, რაც აშკარაა ვეფხისტყაოსნის პროლოგშიც, სადაც პოეტი თამარის სახით მოვლენილ ღმერთს ევედრება ენის, გულისა და ხელოვნების მომადლებაზე, თანაც აღნიშნავს რომ მისგან აქვს გონება:

“აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება,
ძალი მომეც და შეწევნა, შენგნით მაქვს, მივსცე გონება.”

ყოველივე ეს განსაკუთრებით გამოვლინდა თამარიანსა და ვეფხისტყაოსანში, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ აკად კ. კეკელიძე, აკად. ალ. ბარამიძე და სხვა მკვლევარნი. ვეფხისტყაოსანი არის ალეგორიული პოემა სულიწმიდა–თამარის და მის მიერ კაცობრიობის ხსნის შესახებ, ხოლო თამარიანი უშუალოდ, ალეგორიის გარეშე ეხება იგივე თემას. მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია არაა ზოგადად, იმის მტკიცება, რომ ამ ორ პოემაში თამარი გაღმერთებულია (რაც აღიარებული ფაქტია), არამედ ის, რომ ყეველა ქალშია რაღაც დიდებული თამარისგან .

სარწმუნოებისათვის, ერისათვის თავდადების, მამულისა და და რწმენის ერთგულების სიმბოლოა ყოველი ქართველისათვის ქეთევან დედოფლის ნათელი სახე, “გაუტეხელი” უწოდა დადოფალის თავგანწირვას გერმანელმა მწერლამა ა.გრიფიუმა.

საქართველოს ისტორიამ ნიჭიერ პოეტ ქალთა სახეებიც შემოგვინახა მათ შორის არიან: მეფე ბაგრატ IV-ის მეუღლე ბორენა დედოფალი, მეფე ერეკლეს ასული მარიამი, ქეთევან და თეკლე ბატონიშვილები. ყველაზე უმცროსი . ასული თეკლა კი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლთა თანადგომისა და დახმარებისათვის, იგი თავის ორ ვაჟთან ერთადა კალუგაში გადაასახლეს. (1832წლის შთქმულება)

საქართველოს ისტორიაში ქალის როლის დასადასტურებლად კიდევ მრავალი მაგალითის, მოყვანა შეიძლება, მაგრამ, ალბათ საკმარისია, რომ გავიაზროთ თუ რა წვლილი შეიტანა ქალმა ქვეყნის ცხოვრებაში, მის განვითირებაში, თუმცა ქალთა უმეტესი ნაწილი ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას. ქართული მენტალიტეტისათვის ქალი, უპირველეს ყოვლისა დედაა. მისი დანიშნულება ერის გამრავლება და შვილების აღზრდაა სამშობლოს ერთგულ პატრიოტებად, უნდა ვაღიაროთ ქალი, ამ მეტად ძნელ ღვთისგან ბოძებულ “წოდებას” ნათლად ასრულებდა, მაგრამ ჩვენს მწერლობაში მრავლად მოიპოვება ნაწარმოებები რომლებშიც ვხედავთ ამ თუ იმ ეპოქაში ქალის მდგომარეობას არც თუ სასიამოვნოს!

ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგების გაანალიზებისას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ დამოკიდებულობას. ძალადობა ქალზე და საერთოდ ძალადობის ფენომენი ქართულ კულტურაში ტრადიციით რამდენადმე დაცულია. ქართულ ოჯახში ქალი დაქვემდებარებულია და მისი სოციალური სივრცე ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია. ამდენად,ს აზოგადოება ხშირად უპასუხუხოდ ტოვებს ძალადობის ფაქტებს ,რომლიც დროთა განმავლობაში სხვადასხვა ფორმით თავად საზოგადოებას უბრუნდება .უძველეს ლიტერატურულ ძეგლში "შუშანიკის წამება" ვხედავთ მოძალადე ქმარს, რომელიც თავის წოდებას და ძალაუფლებას იყენებს, ქალის ,მეუღლის თავისი შვილების დედის და დადოფლის წინააღმდეგ,ისევ და ისევ საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად და გასამყარებლად. "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" კი ჩანს ქალზე ზეგავლენის უფრო დიდი მაგალითი, მაგრამ არა ძალადობრივი, უფრო ფსიქოლოგიური, რელიგიურად და ზნეობრივად გამრათლებული. ქართველი ეკლესიისათვის ქრისტიანული დოგმები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე კონკრეტული ადამიანი, თუნდაც მეფე. აშოტ კურაპალატი ისეთი თავზაედაცემულია საყვარაელ ქალთან გაშორებით, რომ ამბობს "**ნეტარ მას კაცსა ვინ არღარა ცოცხალ არს!**" ვასილ ბარნოვის" **ტრფობა წამებულში**" კი "ხორციელსა ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთ კაცთ სძლიეს "კ. გამსახურდიას "**დიდიოსტატის მარჯვენაშიც**" მძმიმედაა ქალის ბედი გადაწყვეტილი, შორენა ძლიერი ქალია, მაგრამ... მისი საბოლოო სამყოფელი დედათა მონასტერი აღმოჩნდება, რასაც ვერ შეეგუა. ადამიანს მხოლოდ ორი რამის ეშინია: ეშინია რომ თავის ცოვრებას შეცვლის 99% ან ეშინია, რომ საერთოდ ვერასდროს ვერეფერს შეცვლის. შორენას ორივე შიშთან მოუწია მარტოს დარჩენა, მან ამას ვერ გაუძლო. სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა თუმცა ამაში მარტო მას არ მიუძღვის ბრალი . . .

მე-12 საუკუნეში კი შ. რუსთაველმა უკვდავი ფრაზით აწმყოში განაცხადა და თოთქოს ამით პასუხი გასცა წარსულში ქალისადმი დამოკიდებულებას, მომავალში კი, მის როლს ხაზი გაუსვა "**ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია**" ოდითგან ასე ყოფილა ყველაზე მნიშვნელივან და პრობლემურ საკითხებს ბრძენი მწერლები მოკლედ და ლაკონურად პასუხობდნენ. შ.რუსთაველმა ამ სიტყვებით ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა გენდერული საკითხი, ქალი და კაცი ერთ საფეხურზე აიყვანა, გაიმეორა რა

სახარებაში გატარებული ხაზი. ქალზე, როგორც სუსტ "არსებაზე" შეხედულებას ამსხვრევს ნ.ლორთქიფანიძის ცნობილი ძეგლი **"ტრაგედია უგმიროდ"** ტექსტში ვხედავთ, რომ მამა თვალზე მომდგარ ცრემლს ძლივს იკავებს და აღიარებს, რომ დედა ამას არასდროს იზამდა, დამშეულ შვილებს მცირე მჭადს დედა არასდროს შეუჭამდა. ამ ნაწარმოებში კაცი უფრო სუსტი ნებისყოფის აღმოჩნდა ვიდრე რომელიმე ქალი. თანამედროვე დუხჭირმა ცხოვრებამ ქალს გარდა ქალური ფუნქციებისა, რაც, მას ბუნებამ მიანიჭა, დააკისრა "ძლიერი სქესის" ფუნქციებიც ეტვირთვა. ის იქცა ჩვენი დროის "**ოთარანთ ქვრივივად". "შერეკილებს"** , რომ **დავესესხოთ "ქალიც ის არის და კაციც**". ილიამ წლების წინ იწინასწარმეტყველა, რომ ქალი იმაზე მეტ ფუნქციებს იკისრებენ ვიდრე, მისგან ადრე ითხოვდნენ. დღეს ქალს ოთარანთ ქვრივის მძიმე უღელი ადევს მხარზე და ვინიცის მომავალი მას რას უქადის...

დაჩაგრულია ქალი კლდიაშვილის **"სამანიშვილის დედინაცვალში"** ის მორჩილია, ეწევა ცხოვრების ჭაპანს, მაგრამ უცებ ხდება ფიზიკური აგრესიის მსხვერპლი და აი თვალწინ გვიდგება ძალადობის საუკეთესო მაგალითი. ოჯახის წევრების უფლებები არ არი თანაბარი, საქმე იქამდე მიდის, რომ პლატონში ადამინი ჩაკვდება და ის გაგიჟებული ურტუყამს ფეხმძიმე ქალს, ოჯახის გაყოფისას კი ქალი ის უფრო შეუწევნელია განყენებული ახლობლებისგან და საზოგადოებისგანაც. პატარამ **"ჯერ არც კი იცოდა, რასაკვირველია, რამდენი უსიამოვნება მოიტანა მისმა გაჩენამ და ამიტომაც ასე ხალისიანად იცქერებოდა აქეთ-იქით და სიამოვნებით შეყურებდა მოფუსფუსე ხალხს"** რომელსაც ბეკინა თავის გაჭირვებას უყვებოდა მომრიგებელი მოსამართლის სახლიდან გამობრუნებული.

გენდერული დარღვევები შეიძლება მოვიძიოთ თითქმის ქართული ლიტერატურეს უმეტეს ნაწარმოებებში, მაგრამ ზევით ერთგან ვახსენეთ, რომ შ. რუსთაველმა გაიმეორა სახარების ხაზი, მოდით მოკლედ ვისაუბროთ იმაზე რაც სახარებაში წერია, თუ რა დამოკიდებულებაა ამ ორ განსხვავებულ სქესთა შორის. ერთადერთი უკვდავი წიგნი, რომელსაც სახარება ჰქვია ნათლად ჩანს გენდერული საკითხისადმი დამოკიდებულება, სხვაგვარად, რომ ვთქვათ ეს საკითხი არც დგას, ის არ არსებობს: სახარებაში ვკითხულობთ **"უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და ბერძენი, არც მონა და არც თვაისუფალი, არც მამრი, არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთნი ხართ"** (გალილეელთა მიმართ ეპისტ.,3.28), **(მაგ.სამარიტელი დედაკაცი, კეთროვანი დედაკაცის იგავი და მრუში ქალის დაცვის ეპიზოდი.....)** აქედან ნათლად ჩანს, რომ ერთიანობა

უფალში როგორც ეროვნულ, იესე გენდერულ თანასწორობას მოისაზრებს, მაგრამ თანამედროვეობით ეს ტრადიცია იკარგება, როგორც ბევრ სხვა რამე; და კვლავ თავს იჩენს ქალის დაკნინება, მისი დათრგუნვა-დამონება, ჩაგვრა და უუფლებობა, დროა ერთხელ და სამუდამოდ გადავარჩიოთ ჭირნახული, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოთ, ამისთვის კი საცერია საჭირო ქრისტიანული ოქროს ძაფებით გაწყობილი. მძიმე და ხანგრძლივ პროცესს მხოლოდ ასე თუ მოვერევით.

მარიამ ბეჟიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურა

"ვეფხისტყაოსანში ასახული პატრონყმობის ინსტიტუტი"

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ შარაბიძე

როცა რენესანსს ერთი ღამეც არ გაეთია შუა საუკუნეების ევროპაში, რუსთველი მაშინ „ვეფხისტყაოსანს" ქმნიდა, ეპოპეას, რომელიც ქართული წყობილსიტყვაობის მწვერვალად და, ბიბლიასთან ერთად, ხელიხელსაგოგმანებელ წიგნად მიაჩნდათ საქართველოში. მიუხედავად ამისა, გილიოტინა და ეშაფოტიც არ ასცდა, კათოლიკოს ანტონის გადაწყვეტილებით უძველესი, ვახტანგისეული გამოცემის უამრავი ცალი ცეცხლს მისცეს და წყალს გაატანეს. მიზეზი – რუსთველს სწამებდნენ სენსუალიზმს, მისი სიყვარულის ობიექტი მიწიერი ასული იყო და იმიტომ. ასევე სწამებდნენ მეძავობის აპოლოგიას, ხედავდნენ მასში „სოფლის ზღაპარს", „სპარსთა ზღაპრობას და გოგო-ბიჭობას" – ზნეობის გამრყვნელს. დღევანდელი გადასახედიდან უკვე ცხადად ჩანს, რომ არც „ვეფხისტყაოსანია" მხოლოდ პოეზია და არც მისი ავტორი – მარტოოდენ ლირიკოსი, „მისი მიზანი გაცილებით უფრო აღზევებულია და მრავალმნიშვნელოვანი, ვიდრე აღმოსავლურ ლიტერატურაში გავრცელებული და კლიშეებად ქცეული, ზღაპრული ელემენტების შემცველი სამიჯნურო მოტივების ლექსად თხრობა" [1.5-6]. რუსთველის მემკვიდრეობას თანაბარი ინტერესით იკვლევენ ლიტერატორებიც, სამართალმცოდნეებიც და ისტორიკოსებიც. ერთი მკვლევარი 1991 წელს წერდა: „...მომავალშიც ალბათ იქნება ორი რუსთველი, ერთი

სპეციალისტებისათვის, რომელთათვის მეცნიერულად იქნება გარკვეული პოემის ტროპული მეტყველების სპეციფიკა და დანიშნულება, მისი სიმბოლოებისა და ალეგორიების მნიშვნელობა, ხოლო მეორე რუსთველი იქნება მასსისთვის, რომელიც მასში დაინახავს მხოლოდ ლამაზ ზღაპარს, მხოლოდ მიწიერი სიყვარულისა და ბედნიერების აპოლოგიას“ [1.110].

<u>ჩვენი მცირე ნარკვევი ემსახურება მიზანს, რომ ისტორიის თეორეტიზების შედეგად მიღებული ცოდნა დავაკავშიროთ კონკრეტული საკითხის კვლევის პრაქტიკასთან და საქართველოში ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია – პატრონყმობის ინსტიტუტი განვიხილოთ მისი თანადროული წყაროს, „ვეფხისტყაოსნის“ მონაცემთა შუქზე.</u> გურამ მამულიას მიაჩნია, რომ „თამარ მეფის ისტორიკოსებმაც კი ვერ შექმნეს პატრონყმობის საზოგადოებრივი და ეთიკური საზოგადოების ამსახველი რუსთველის დარი ნათელსახიერი სურათი“ [2.3]. არადა, ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც სიმონ ჯანაშია წერს, „პატრონყმობის პრობლემის გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია საერთოდ ფეოდალური საზოგადოების აღნაგობის ყველა სხვა მხარის გააზრება“[3.223].

იმის გათვალისწინებით, რომ „ყველაზე კარგად შესწავლილი და ისტორიულ რეკონსტრუქციაში ყველაზე ხშირად გამოყენებული წყაროდანაც კი შესაძლებელია, მივიღოთ თვისობრივად ახალი ინფორმაცია კითხვების ახლებურად დასმის შემთხვევაში“ [4.9], მოსალოდნელი შედეგი დამაკმაყოფილებლად, თუმცა მოკრძალერბულად წარმოგვიდგენია.

საერთოდ, მხატვრული ნაწარმოების გამოყენება ისტორიული კვლევისთვის სახიფათოა და არც შეიძლება, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გენიალური მხატვრული ქმნილება უფრო მეტ საშუალებას იძლევა ეპოქის შესასწავლად, ვიდრე ისტორიკოსებისა და ეკონომისტების, ან სამართალმცოდნეთა ნაშრომები. მაგალითად, ბალზაკმა მოგვცა საფრანგეთის საზოგადოების ყველაზე შესანიშნავი რეალური ისტორია, აგვიწერა რა ეს საზოგადოება ქრონიკების სახით 1816 წლიდან 1848 წლამდე. ინგლისის XIX საუკუნის რომანისტებმაც (დიკენსი, გასკელი...) თავიანთ ნაწარმოებებში გამოამჟღავნეს უფრო მეტი პოლიტიკური და სოციალური ჭეშმარიტებანი, ვიდრე ყველა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა და მორალისტმა ერთად აღებულმა. ლ. ტოლსტოიმაც საოცარი რელიეფურობით განასახიერა რუსეთის I რევოლუციის ისტორიული თავისებურებანი, მისი ძალა და სისუსტე. ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთ ყველაზე მონუმენტურ ძეგლად მიჩნეული რუსთველის პოემაც და მისი პოეტური ისტორიზმი წარსულ ეპიზოდებს წარმოგვიდგენს ცოცხალ სურათებსა და

სახეებში და, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები პოეზიისაგან ძალიან დაშორებულია, ამ ინსტიტუტების შესწავლა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით პატრონყმობის ეპოქის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ბევრ საინტერესო დეტალს გამოკვეთს. საერთოდ, ეპოსი თავისი დანიშნულებით შუა საუკუნეებში (და არა მარტო ამ დროს) ისტორიული ფაქტის ხსოვნას ინახავს. მედიევისტების გარდა, ანტიკოსებსაც დიდი საშუალებები აქვთ, კლასიკური ეპოსის ფონზე აღადგინონ ისტორიული ფაქტები და მოვლენები. მაგალითად, ჰომეროსის და ჰესიოდეს პოემები პროტოისტორიის ერთგვარ წყაროებად გვევლინებიან და ალეგორიული ენით მოგვითხრობენ კაცობრიობის ცხოვრებაზე იმ ეპოქაში, რომელიც წინ უსწრებდა დამწერლობისა და ქრონიკების ეპოქებს. სხვა საკითხია, თუ როგორ არის ტრანსფორმირებული პოეტ რუსთველის წარმოდგენებში სინამდვილე. ზოგი ცნება და ინსტიტუტი არ იწვევს ავტორის შეხედულების, მისი სიმპათია-ანტიპათიის გამოვლენის საჭიროებას, ზოგი საკითხი კი სწორედ მისი შეხედულებების გამოვლენის საჭიროებისთვისაა დასმული, ანუ ძველი ეპოქის ავტორებისთვის ნიშანდობლივი ინდივიდუალიზმი (ავტორისეული საწყისი) თვალსაჩინოა. მაგრამ ჩვენთვის მთავარია, რომ <u>პოემა ეპოქის დოკუმენტია და რეპრეზენტატული წყარო ისტორიის რეკონსტრუქციისთვის</u>, რომელიც ბზარავს პროკოფი კესარიელის (VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი) მაქსიმას, მკაცრად რომ გამიჯნავს დარგების შესაძლებლობებს: „რიტორიკას ახასიათებს მჭევრმეტყველება, პოეზიას – გამონაგონი, ისტორიას – ჭეშმარიტება“-ო [4.27].

„ვეფხისტყაოსნის“ საკითხების კვლევა ფეოდალურ-პატრონყმური საზოგადოების რელიგიურ-ფილოსოფიური იდეოლოგიიდან მოწყვეტით არც შეიძლება. საერთოდ, მხატვრული ნაწარმოების მართებული წაკითხვა მხოლოდ მის <u>ისტორიულ კონტექსტში</u> გაანალიზების შემდეგ მიიღწევა. ლიტერატორები აღადგენენ ყველა კოდის, ყველა ხატის თუ სიმბოლოს ავტორისეულ სემანტიკას, რათა მკითხველს სწორი დეკოდირების პროცესი შესთავაზონ.

„ვეფხისტყაოსანი“ ისტორიის რეკონსტრუქციის მიზნით რომ გამოვიყენოთ, აუცილებელია, შევისწავლოთ მისი სახისმეტყველება, რაც, ზ. გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „გულისხმობს პოემის ფაბულისა და სიუჟეტის, მისი მხატვრული სტრუქტურის სიმბოლურ და ალეგორიულ ინტერპრეტაციას, მისი ტროპიკის, გმირთა სახეების ფუნქციათა შესწავლას, პოემის მითოსური არქეტიპების კვლევას...“ [1.5.]. ამის საჭიროება იმიტომ ჩნდება, რომ პოეტი მეტყველებს ალეგორიული, ენიგმატური ენით და, როგორც მ. ბროსე ამბობს,

„ის, რაც წარმოსახვა გვგონია, სინამდვილეში სამახსოვრო ჩანაწერებია ისტორიულად ცნობილ პიროვნებათა შესახებ“ [1.8]. ისტორიული ალეგორიების (ამ მიმართულებას ევჰემერიზმი ეწოდება) კვლევა „ვეფხისტყაოსანში“ მრავალ მეცნიერს უცდია (დ. ჩაუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ჟორდანია, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ს. ქვარიანი, გ. სოსელია, გ. მამულია, ი. სურგულაძე, ა. კიკვიძე...). მათი ნარკვევები ეხება ტახტის მემკვიდრეობის და სახელმწიფოებრივი თუ სამოხელეო წყობილების და სამართლის ინსტიტუტების საკითხებს, რაც ისტორიული რეალიების ამსახველია და ნიშანდობლივია მხოლოდ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოსთვის. ივანე სურგულაძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მეფე XII საუკუნის საქართველოს მეფეა საზოგადოდ, დიდებულებიც და მოხელეებიც თავიანთი ნიშნებით ერთიანობის პერიოდის საქართველოს სახეებს წარმოადგენენ [5.7]. მიუხედავად ამისა, როგორც გ. სოსელია მიიჩნევს, „ვეფხისტყაოსანი“ არ არის არც პოლიტიკური ტრაქტატი და არც ვინმეს პერსონალური ისტორია“ [6.4], ნ. ბერძენიშვილის აზრით კი, ეს არის „ქართული ცხოვრების გამომხატველი იდეალი, ფეოდალური საზოგადოების „სახარება“ უფრო, ვიდრე ქრისტიანული ოთხთავი... ეს ქართველთა ცხოვრებაა, მისი იდეალური გამოხატულებაა“ [7.254].

რუსთველოლოგიაში აღიარებულ ჭეშმარიტებად ითვლება, რომ პოემის გმირი ქალები, ნესტანი და თინათინი, მეფე თამარის ალეგორიული სახეებია. ორივე სიუზერენია თავიანთი მიჯნურებისა, ისევე, როგორც თამარი იყო თავად რუსთველის სიუზერენი. ეს შემთხვევა, როდესაც შეყვარებული პოეტი ვასალია თავისი სიუზერენისა (დომინა/Domina), პარალელს ჰპოვებს აღმოსავლეთის სუფისტურ და ესპანეთის არაბულენოვან პოეზიასთან, დასავლეთში
პროვანსელ ტრუბადურთა და „მინეს“ მგოსანთა შემოქმედებასთან, იტალიურ „დოლჩე სტილ ნუოვოს“ და შარტრის სკოლის ფილოსოფიურ პოეზიასთან და, ყველაზე მეტად, კურტუაზიულ რაინდულ ლიტერატურასთან. ეს ყოველივე მოცემული იყო ფეოდალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი სიუზერენისა და ვასალის ურთიერთობის ფორმით ყველა შემთხვევაში. <u>მიზეზი იდენტურობისა</u>, როგორც ელგუჯა ხინთიბიძე წერს, არის ის, რომ „XII-XIII საუკუნეების საქართველოს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური წყობა და პოლიტიკური წარმატება არსებითად მსგავსი იყო, ისევე როგორც საქართველოს და დასავლეთ ევროპის პროგრესული ქრისტიანული აზროვნება“ [8.371]. სწორედ ფეოდალური ურთიერთობებისა და მის წიაღში ჩასახული „სამსახურისა“ და „ყმობა/ვასალობის“ იდენტური ფაქტორებით განპირობებულად

მიაჩნია ეს ანალოგიები ნოდარ ნათაძესაც. ალექსანდრე ბარამიძეც გამოკვეთს საპატრონყმო ურთიერთობათა წესებისა და ფორმების შესატყვისობებს დასავლეთ ევროპის რომანებსა და რუსთველის პოემაში („ვეფხისტყაოსანთან შესაპირისპირებლად მკვლევარმა აიღო „პარციფალი“, ლანსელოტი“, „ტრისტან და იზოლდა“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „სიმღერა როლანდზე“ და „სიმღერა სიდზე“). „აღსანიშნავია ამ მხრით სამსახურეობრივი ვალდებულებანი, სამსახურეობრივ მოვალეობა-ვალდებულებათა გადახლართვა თუ შერწყმა სამიჯნურო გრძნობებთან...“ – წერს იგი [9.265], თუმცა აბსოლუტურად გამორიცხავს ნასესხობის, გავლენისა ან რაიმე ზემოქმედების მომენტებს: „აღნიშნული მომენტები ჩასახულია და განვითარებული ორივე მხარეში სოციალურ-პოლიტიკური წყობის შესაბამისობის შედეგად, იქაც და აქაც განვითარებული ფეოდალური საზოგადოებრივი სისტემა და საკარო ცხოვრების ვითარება შემსგავსებული მატერიალური და სულიერი მოვლენების წარმოშობას აპირობებს“ [9.266]. პიტერ დრონკეს აზრითაც, „დამოუკიდებლად და ხალასად, თავისი მშვენიერი და დიდად თაყვანსაცემი დედოფლის ირგვლივ, საქართველო თავად ქმნის თავის „პროვანსულ პოეზიას“ და თავის კურტუაზიულ სიყვარულს“ [10.11].

რუსთველოლოგი მაკა ელბაქიძე კომპარატივისტული მეთოდით განიხილავს ვეფხისტყაოსნის ძირითად მოტივთა და კომპოზიციურ ელემენტთა ტიპოლოგიურ მიმართებებს დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანთან, კონკრეტულად კი, კურტუაზიული რომანის განვითარების მწვერვალად მიჩნეულ კრეტიენ დე ტრუას ორ რომანს („ივენი, ანუ ლომის რაინდი“ და „კლიჟესი“) ადარებს „ვეფხისტყაოსანს“ (გარკვეულწილად სარგებლობს ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალითაც“). მისი დასკვნით, კრეტიენ დე ტრუაც, ისევე როგორც რუსთაველი, მეფის მხატვრულ სახეს ვასალური ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი პრინციპების კვალობაზე აგებს და მრგვალი მაგიდის რაინდთა საკარო ცხოვრებას აღნიშნული ინსტიტუტის ნორმებს უქვემდებარებს [10.17]. ამ საკითხის ისტორიოგრაფიის გაცნობის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ პირველი დასკვნა: XII-XIII სს-ის ფეოდალური ევროპის და საქართველოს საზოგადოებრივი ურთიერთობები მსგავს უცილობელ ატრიბუტებს გვიჩვენებენ. განხილული ნაწარმოებების მიხედვით ეს მსგავსება ყველაზე კარგად თვალსაჩინოვდება სასახლის კარის, მაღალი საზოგადოების ცხოვრების აღწერილობაში. ევროპული ვასალიტეტი და ქართული პატრონყმობის ინსტიტუტები სწორედ

ერთნაირად და, თანაც, ურთიერთდამოუკიდებლად ახდენენ „სიყვარულის ფეოდალიზაციას“.

ცხადია, მხოლოდ მიჯნურთა ურთიერთდამოკიდებულება არ არის პატრონყმობის ინსტიტუტის შესასწავლად განსახილველი. „ვეფხისტყაოსნის“ არასატრფიალო ეპიზოდებში სენიორულ-ვასალური დამოკიდებულების სხვა ესკიზებსაც ვხვდებით მთელი სიუჟეტის სიგრძეზე. სწორედ ამის თეზისურ განხილვას გთავაზობთ ჩვენი ნარკვევის მეორე ნაწილში, რაც იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემს, რომ პოემის კონსტრუქციული ღერძი პატრონყმური საზოგადოებრივი რეალობაა „კლასიკურ ხანად“ სახელდებული საქართველოს ისტორიისა. ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ რუსთველი ხატავს მხოლოდ მეფესა და მის უშუალო ყმებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სურათს. თუ როგორი იყო, საერთოდ, მემამულე-ყმათა შორის უფლებრივი დამოკიდებულება, პოემის მიხედვით ამის განსაზღვრა ვერ ხერხდება.

პატრონყმული საზოგადოების შესწავლას სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების შესწავლამდე მივყავართ, რაც „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია პოემის სიუჟეტთან დაკავშირებით, მოქმედ პირთა ხასიათის, ურთიერთობებისა და, აქედან გამომდინარე, მათი მოქმედების მიხედვით. ივანე სურგულაძე წერს: „არაფერია ისე პროზაული“, ცივი და საპირისპირო „ვეფხისტყაოსნის“ ამაღლებული პოეზიისათვის, როგორც კანონი, სამართალი თავისი კაზუისტიკით“ [5.5].

პოემაში აღწერილი ფეოდალური საზოგადოება იერარქიულია. არაბეთის სამეფოში ეს იერარქია როსტევან-ავთანდილ-შერმადინის მაგალითზე თვალსაჩინოვდება. არაბეთის გარდა, პოემაში მოქმედება ვითარდება ინდოეთში, გულანშაროში, მულღაზანზარში და ქაჯეთში, ხატაეთი და ხვარაზმი (სპარსეთი) კი გმირთა მოქმედების უშუალო ასპარეზსს არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენს მიერ დასმული საკითხის შესასწალად საყურადღებოა. ამ სახელწიფოთა სოციუმში სენიორულ-ვასალური დამოკიდებულების სამი საფეხურია წარმოდგენილი. უმაღლესი სიუზერენი „მეფეთა ზედან მფლობელი“ მონარქია (უმაღლესი სენიორი), რომელსაც ჰყავს ვასალები (მეფე ან დიდებული), ამ უკანასკნელთ კი – თავისი ვასალები. ამის შემდეგი საფეხურები სუბვასალების სახით პოემაში აღარ გვხვდება. რუსთველი სენიორს „პატრონს“ უწოდებს, ყმას კი – „ვასალს“:

„პირველ ყმა ვარ წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად,–

ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად...“ [11.38]

საერთოდ ყმა „ვეფხისტყაოსანში“ნიშნავს: 1) ახალგაზრდას/მოხუცის ანტონიმს ; 2) ახალგაზრდას მადალი წრიდან ; 3) ვაუს/ქალიშვილის ანტონიმს; 4) ვასალს ; 5) მონას, რომელიც სამხედრო თუ არასამხედრო-ადმინისტრაციულ სამსახურს ასრულებს, ყმასავით სამხედრო სამსახურის მოვალე თავისუფალი კაცია (მაგ., ფატმანის „მონა გრძნეული“, ასევე შერმადინის, როსტევანის და ფრიდონის მონები – „უმხნესი სხვათა მხნეთასა“). პატრონი ნიშნავს: 1) მეფის/ხელმწიფის აღმნიშვნელ პოლიტიკურ ტერმინს; 2) უფალს/პატრონს/მესაკუთრეს („უაპელაციო, შეუვალი მქონებელი“).

რუსთველს პატრონყმობა „ზრდილობის“ ინსტიტუტზე აგებულ სოციალურ ინსტიტუდად წარმოუდგენია (ისტორიულ საბუთებშიც პატრონი ხშირად „გამზრდელად“ არის წოდებული, პატრონ-ყმანი „თანააღზრდილ-შეზრდილნი“ არიან). ავთანდილი მიმართავს თავის ყმებს : **„ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო...“** [11.40] ივანე სურგულაძე შენიშნავს: „არცერთი შემთხვევა არ არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ყმა ბატონობის უღელში შებმულ გლეხს ნიშნავდეს. ყველა შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ „ყმა“ გაბატონებული კლასის წარმომადგენელია“ [5.21]. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი საზოგადოება არ არის ჩაბმული პატრონყმობის უღელში“, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ასკვნის. აღსანიშნავია, რომ პატრონყმობის ინსტიტუტი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით კეთილშობილურ ურთიერთობებს გულისხმობს და არა ექსპლუატატორულ დამოკიდებულებას (უფლისა და მონის მსგავსად) ან კლასთა ბრძოლას. ცალსახად ჩანს, რომ პატრონყმობის სამართალი არ არის დათრგუნვის სამართალი, მას ჯერ კიდევ არ მიუღია ბატონყმური ხასიათი. გ. სოსელია წერს : „ყმა პატრონის „ბრძანებას“ „მორჩილობს“, მაგრამ აქ სრულებით არ იგულისხმება სიტყვაშეუბრუნებელი მორჩილება... პატრონის ბრძანების შესრულება ყმის სირცხვილ-სინდისის, მიღებული ზნე-ჩვეულების საკითხია. ბრძანება-მორჩილების საფუძველი ყმის ერთგულება-თავდადებულებაა“ [6.13]. **„პატრონისა სამსახური არასოდეს არ წახდების“** ანდა

„ვის ასმია პატრონისა ჭირსა შინა ყმისა რიდი?“ [11.162]

ან **„გამზრდელსა ჩემსა ვით ვკადრო მე საქმე სამუხთალია!**

...ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედან ხრმალია“

[11.300]

პატრონ-ყმას შორის მამაშვილურ, და-ძმურ ურთიერთსიყვარულს „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ამ ინსტიტუტის კოდექსში: **„სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარლნი“** [11.293]. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დაცული ეს ისტორიული რეალიები შესანიშნავად შეესაბამება ქართული ისტორიული ძეგლების ცნობებს („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ხელმწიფის კარის გარიგება“). პატრონ-ყმათა ურთიერთდამკიდებულების მთელ ისტორიაში და, კერძოდ, XI-XII სს-ის ისტორიულ წყაროებში თვალსაჩინოა მეფესა და ფეოდალებს შორის სწორედ ისეთი მიმართება, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“ ასახული. ფარსადან მეფის დამოკიდებულება ურჩი ყმის, ხატაეთის მეფე რამაზისადმი ტიპური მაგალითია ბაგრატ IV-ის მიერ კლდეკარის ერისთავთ-ერსთავ ლიპარიტის, ანდა გიორგი II-ის მიერ ნიანია ქუაბულაისძის, ივანე ლიპარიტის ძის და ვარდან სუანთა ერისთავის, ვითარცა „შეცოდებულის მინდობით გამოყვანისა“ და „შეწყალებისა“, რისთვისაც არაერთხელ მიუმართავთ ქართველ მეფეებს ფეოდალებთან ბრძოლაში. ბაგრატიონების სახლის მეფეთა მხატვრული ანარეკლია ფარსადანისა და სარიდანის „კონტრაქტიც“, რაც შარვანშა აღსართანის, დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა დამოკიდებულების პროტოტიპია მეფე თამარის მიმართ. პარალელი შეიძლება დავინახოთ ჯუანშერის მიერ დახატულ აფხაზთა მთავარ ლეონისა და არჩილ მეფის „კონტრაქტშიც“ VIII ს-ის სინამდვილეში, რასაც თავისი ტრადიცია აქვს შორეულ წარსულში ეგრისის მთავარ ქუჯისა და ფარნავაზ მეფის სახით.

დასკვნები:

1) თავისი ეპოქის შესახებ შოთა რუსთაველი ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას, შეარჩევს საყურადღებო ისტორიულ ფაქტებს და გვაძლევს მის მხატვრულ ფიქსირებას, მაშასადამე, არა მხოლოდ თავის ფილოსოფიურ-ეთიკური კონცეფციების ასახვას, არამედ ცხოვრების რეალისტური „სოციალური ტილოების“ შექმნასაც ისახავს მიზნად;
2) „ვეფხისტყაოსნის“ კონსტრუქციული ღერძი პატრონყმური საზოგადოებრივი რეალობაა. სენიორულ-ვასალურ დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსანში“ პატრონყმური დამოკიდებულება ჰქვია, რომელიც

თვალსაჩინოვდება მეფესა და მის უშუალო ყმებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მაგალითებზე;

3) ტიპოლოგიური კავშირების დადგენა მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა ძეგლებთან იძლევა ანალოგიებს რუსთველის პერიოდის ევროპულ ცივილიზაციაში – ევროპული ვასალიტეტი და ქართული პატრონყმობის ინსტიტუტები სწორედ ერთნაირი კოდექსით განსაზღვრავენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს;

4) „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით პატრონყმობის სამართალი უფლება მოვალეობათა ორმხრივობაში მდგომარეობს (ყმას მართებს პატრონის პატივი, შიში, ერთგულება, კრძალვა; პატრონი/გამზრდელი კი უნდა იყოს მალოლიავებელი, მზრუნველი, ურვის მქონე) და არ არის დათრგუნვის სამართალი, განსხვავებით ბატონყმურისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზვიად გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ. 1991;
2. გურამ მამულია, პატრონყმობა, თბ. 1987;
3. სიმონ ჯანაშია, ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის (ისტორიოგრაფიული მიმოხილვა), თბ. უნივერსიტეტის შრომები, 165, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, 1975;
4. მარიამ ჩხარტიშვილი, ისტორიული მეცნიერების შესავალი, თბ. 2009;
5. ივანე სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“მიხედვით, თბ. 1977;
6. გიორგი სოსელია, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, აფხაზეთის სახელგამი, სოხუმი, 1956;
7. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VII, თბ. 1974;
8. ელგუჯა ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1975,

9. ალექსანდრე ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ. 1975;

10. მაკა ელბაქიძე, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში, თბ. 2007;

11. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, რედაქტორი დალი გერმანიშვილი (ტექსტი შედარებულია 1957 წელს ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანთან“), თბ. 2009.

ნინო ბალიაშვილი

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

ქორწინება და ქალის უფლებების რღვევის პროცესი დავით კლდიაშვილის პიესებში („ირინეს ბედნიერება", „დარისპანის გასაჭირი")

ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი

ოდითგანვე ცნობილია, რომ ქართველი ხალხის ზნეობრივი სიწმინდის, შრომისმოყვარეობის, ვაჟკაცური სულისკვეთებისა და ქართული ხასიათის ჩამოყალიბებაში ქალი თვალსაჩინო როლს ასრულებდა. მიუხედავად ამისა, ქალები არც ისე განებივრებულნი იყვნენ ამ უპირატესობით და საზოგადოებაში ქალის მდგომარეობა ყოველთვის განსჯის საგანი ხდებოდა.

ზოგადად საქართველოში ქალთა საკითხი ძლიერად ეჯაჭვებოდა ხოლმე ეროვნულ საკითხს, მაშინაც კი, როცა ქალის საოჯახო როლზე იყო საუბარი. ცნობილია, რომ ქალებისათვის ოჯახი ცენტრალურ ღირებულებად მიიჩნევა.

ქალთა ემანსიპაციის საკითხი არ იყო მხოლოდ ქალთათვის მნიშვნელოვანი თემა, ის საკმაოდ დიდი კულტურული და სოციალური მნიშვნელობის საკითხად ჩანს მთელი იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის [1;8].

ქართველი ქალის დანიშნულებაზე არაერთი მწერალი ამახვილებს ყურადღებას „ჩვენი ქალები ამ უკანასკნელ დროებაში მხოლოდ სიყვარულზე, გათხოვებაზე, ცეკვა-თამაშზე და ტანისამოსზე ფიქრობენ". [1;7]. წერს სერგი მესხი, თუმცა აშკარაა, რომ იგი არ გულისხმობს იმ ქალებს რომლებიც დავით კლდიაშვილმა დაგვიხატა პიესებში.

ილია ეთანხმება ამ სიტყვებს, როგორც უდავო ჭეშმარიტებას ქალის როლის ღირსეულად დაფასებისათვის და ენერგიულად იბრძვის ქალის ფართო მეცნიერული და ტექნიკური განათლების უზრუნველყოფისათვის და საზოგადოებრივი აქტიურობისათვის [2;83].

სწორედ ამ მიზეზებისდაგამო იყო, რომ ილიამ უდიდესი უფლება-მოვალეობანი დააკისრა ქართველ ქალებს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მკვლევარ აკაკი ფაღავას თვალით დანახული ქართველი ქალი. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი წერს: „ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ქალი უმწეო მდგომარეობაში იყო, ქალიშვილობაში ის მშობლების მორჩილი და გამგონე უნდა ყოფილიყო, ხოლო გათხოვების შემდეგ ქმრისა, კერძო საკუთრების პირობებში ქალიც კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, ჯერ მამისა და შემდეგ ქმრის ხელში, საკუთარი ბედის გამგე და მჭედელი ის არ ყოფილა” [3;7].

ქალის უფლებრივი მდგომარეობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არც ისე სახარბიელოა. ამ პერიოდიდან იწყება ქალთა ბრძოლა უფლებების მოსაპოვებლად პროგრესულ ევროპულ საზოგადოებაში.

ჩემი კვლევის მიზანი ძირითადად ემსახურება ქორწინებისა და ქალის უფლებრივი რღვევის ჩვენებას დავით კლდიაშვილის შემოქმედების მაგალითზე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხებზე მკვლევართა ნააზრევში თითქმის არ გვხვდება ქალის უფლებრივი მდგომარეობის რღვევის გამოკვეთის ფაქტები დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში და უფრო სოციალურ პრობლემატიკაზე განიხილება ყურადღება, ვეცადე წარმომეჩინა თუ როგორ ახერხებს აღნიშნული საკითხების მხატვრულ ხორცშესხმას დავით კლდიაშვილი პიესებში. („ირინეს ბედნიერება”, „დარისპანის გასაჭირი”).

დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ორ ძირითად ნაწილად იყოფა: პირველ მათგანს ის ნაწარმოებნი შეადგენენ, რომლებშიც მწერალმა რეფორმის შემდგომი დროის ქართული სოფლის, კერძოდ, გლეხობის დუხჭირი ცხოვრება წარმოსახა. მეორე და უმნიშვნელოვანესი ნაწილი დავით კლდიაშვილის ქმნილებები შეიცავს თავად-აზნაურული სამყაროს კვდომის, მისი სულიერი დაკნინების, უკიდურესი ნივთიერი და სულიერი გაღატაკების ამსახველ მოთხრობებსა და პიესებს [4;17].

„ირინეს ბედნიერება” და „დარისპანის გასაჭირი, ის პიესებია, სადაც დავით კლდიაშვილმა ცხადყო მომაკვდინებელი გავლენა ქალის ბედზე, რაც იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მეოხებით “ წარმოებს.

მივყვეთ „ირინეს ბედნიერებას” . . . მოქეიფე თავნება აზნაურ აბესალომ სალამთაძეს თვალში მოუვიდა სოფლის ერთ-ერთი და ულამაზესი და სათნო ქალიშვილი ირინე, რომელსაც პავლე როდამიშვილი უყვარს. ირინე აზნაურობით დაბრმავებული მამის მსხვერპლი ხდება. მან მამის გავლენით დათმო თავისი ბედი, მაგრამ მამამისი მალე დარწმუნდა, თუ რა „ბედნიერება” შეახვედრა თავის საყვარელ ქალიშვილს. ფილიპეს ტრადიცულმა რწმენამ ჩაჰკლა ახალგაზრდა ქალის ბედი, ადამიანური მისწრაფება.

როგორც ყველა იმ ეპოქის ქართველი ქალი, ირინეც შეურიგდა თავის ბედს და ახალ ოჯახს პატიოსნად ესმახურებოდა, რაც მისმა დედამთილმაც დადასტურა, მაგრამ როდესაც მოთმინების ფიალა აივსო, ირინეს ეყო გამბედაობა პირში მიეხალებინა მოძალადე ქმრისათვის მწარე სიმართლე. პიესაში ყველანაირად დაჩაგრულია ირინე, მას მხოლოდ მორჩილება და პატივისცემა მოეთხოვებოდა, რასაც პირნათლად ასრულებს იგი.

სამუდამოდ უბედური გახდა ირინე. ჩვეულებრივი ამბავია, ამგვარი ირინეები, ბევრი ჰყავდა წინა საუკუნეს. დაჩაგრულ უფლებაახდილ ქალში ადამიანს არავინ ხედავდა. როგორც ყველა სხვა უსამართლობაზე, ისე ქალის დამონებულ მდგომარეობაზე გული ტკიოდა საერთოდ ადამიანის მოყვრულ მწერალს და მისთვის დამახასიათებელ მხატვრული სისადავით და დამაჯერებლობით ამ პატარა, სულ მცირე ორ მოქმედებიანი დრამით დავით კლდიაშვილმა ცხადყო ის მომაკვდინებელი გავლენა ქალის ბედზე, რაც იმდროინდელი ხედვის შედეგი იყო [5;131].

„აი ჩემი ბედნიერება მამა. . . ხომ ხედავ . . . მიმართავს იგი მამას და ეს არამარტო ირინეს მიმართვაა ფილიპესადმი, არამედ მონობაში მყოფ უფლებაახდილ ქალთა გულშემზარავი საყვედურია.

ქალისაგან მორჩილება კანონი იყო, ტრადიციული წესი, საზოგადოებრივი კოდექსი. ირინემ სცადა ამ წესის დარღვევა, სცადა თხოვნით, ცრემლებით, კვნესით, მაგრამ უშედეგოდ. არამარტო ირინე ეწინააღმდეგებოდა ამ წესს, არამედ დავით კლდიაშვილის მოთხრობებისა და პიესების თითქმის ყველა პერსონაჟი ქალი ცდილობს დაგმოს ის ტრადიციები, რომელიც მათ უფლებებს ზღუდავს.

დავით კლდიაშვილის დრამატურგიული შემოქმედების ნამდვილ მშვენებას კომედია „დარისპანის გასაჭირი” წარმოადგენს.

თუ „სამანიშვილის დედინაცვალი” ოჯახის ახალი წევრის მოვლენა იყო სამწუხარო მოვლენა, „დარისპანის გასაჭირში” შემოდგომის აზნაურის მთავარ

პრობლემად ქალიშვილის გათხოვება ქცეულა. „ოჯახს ვერ ნახავ, რომ სამი და ოთხი ქალიშვილი არ ჰყავდეს გასათხვარი და მთხოვნელი კი არსადაა. . . რაღაც უბედურობამ გული შეუცვალა ახლანდელ ყმაწვილებს . . . აღარ ეკიდებიან ოჯახებს. გოგოები კი გვიყრიან სახლში და გვაბერდებიან სალოცავად ხელში” (დარისპანი). [6;61].

გაიმართა ოსიკო ხარების თვალწინ ნატალიას და კაროჟნას საპატარძლო მასკარადი. სამ-სამი ქალიშვილით შეწუხებული მართა და დარისპანი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ოსიკოს ქალიშვილი მოაწონონ. ზის ოსიკო თავისი უპირატესობის სრულის შეგებით. დარისპანი კი ნემსის ყუნწში ძვრება. გული კინაღამ გაუსკდა, როცა მის მარჯვე და ხელსაქმიან კაროჟნას ჭიქა გაუტყდა. როგორც კი „საპატარძლო” თვალს მიეფარება, სასიძო ონისიმეს ერთსად და იმაევ კითხვას აძლევს: „აქვს რამე?” ბოლოს, რაკი სასიძოს არც ერთი ამ გოგონათაგან „თვალში არ მოუვიდა”, ძირითადად მათი სიღარიბის გამო, ოსიკომ ტყუილს მიმართა და გამოუცხადა მართას, რომ დანიშნულია, თორემ მის „რჩევას” უსათუოდ მიიღებდა.

როგორც ჩანს ყველა ოჯახისათვის და მათ შორის კომედიის გმირებისათვის თავსატეხ და საბედისწერო საქმედ ქცეულა ქალიშვილის გათხოვება. ქალ-ვაჟთა შორის სიყვარულსა და ბუნებრივი ურთიერთმისწრაფების გრძნობის ნაცვლად გაბატონებული მდგომარეობა მზითევს დაუკავებია. მზითევისაგან არის დამოკიდებული გასათხოვარი ქალის ბედი. ცოლ-ქმრული ურთიერთობა ვაჭრობისა და მორიგების საქმედ ქცეულა. გაუთხოვარი ქალის შენახვა კიდევ უფრო მძიმე ტვირთია ოჯახებისათვის.

მეტად დამახასიათებელი და ტიპიური სახე შექმნა დავით კლდიაშვილმა შინ დაბერებული, მრავალგზის „გადანახული”, შეურაწყოფილი კარდაკარ ნატარები, ქალიშვილისა, რომელსაც სახელიც მოხდენილი უწოდა” – კაროჟნა. „რავარც ვინმეს გარეშეს თვალს მოჰკრავს, იგი ქეც დამუნჯდება, ქეც დაყრუვდება, ქეც დაკუტდება... დაჯდომა თუ ერთი მოასწრო ააყენებ ზეზე? ისე დეეკოსება ერთ ადგილს, რომ ვერას გზით ვერ ააგლეჯ ზემოთ”. ნორმალური და საღი გაჩნდა კაროჯნა, მაგრამ ცხოვრების პირობებმა ისე გმოცვალა, ისე დაჩაგრა, რომ მახინჯი შეიქმნა. მუდამ იმის შიშმა - მოვეწონები თუ არა საქმროს, ზედმეტი და უწესრიგო არაფერი ვთქვა და მოვიმოქმედო, მშობელი არ გავაჯავრო, დააყრუა, დააკუტა და დამუნჯა იგი. [5;151].

ყველა და ყველაფერი მის წინააღმდეგ ამხედრებულიყო, რათა დაეჩაგრა საწყალი არსება. ჩემი რა ბრალიაო ერთს კი წამოიძახებს, მაგრამ ჩქარა, თითქოს დანაშაული შეიგნოო, დაატანს: „მე არ გთხოვ გათხოვებას: ვიქნები ჩემთვისო".

სხვადასხვა ხერხებითა და გზებით ერთი ინტერესის ირგვლივ აამოძრავა პიესის პერსონაჟები, სხვადასხვა ჰანგებზე ერთი სიმღერა ათქმევინა, შეაჯიბრა ერთმანეთს, წააჩხუბა კიდევაც, ბოლოს ამაოდ დაშვრითო უთხრა.

ქალთა უბედურების მიზეზების საზოგადოებრივი ტრადიციების სიმახინჯეს ადვილად გასაგებს ხდის, მწერალი ებრძვის სინამდვილეს, ქალთა უუფლებო მდგომარეობას.

საყოველთაო გოდება გაისმის დავით კლდიაშვილის პიესებიდან, ადამიანები ითხოვენ შველას, სიბრალულს თანაგრძნობას, სიყვარულს, ნდობასა და სამართალს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში. თბილისი 2005 წ.
2. თამარ კიკნაძე, ნათელა დონაძე, გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, თბილისი 2006 წ.
3. აკაკი ფაღავა, დავით კლდიაშვილი, თბილისი 1962 წ.
4. ბესარიონ ჟღენტი, დავით კლდიაშვილი, თბილისი 1962 წ
5. ნელი დუმბაძე, დავით კლდიაშვილი, თბილისი 1949 წ.
6. რეზო მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი 1998 წ.
7. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია ნაწილი I, თბილისი 1984 წ.
8. მზია წერეთელი, გენდერი –კულტურული და სოციალური კონსტრუქტი, თბილისი 2006 წ.
9. გიორგი ნატროშვილი, დავით კლდიაშვილის შემოქმედება, სალექმწიფო გამომცემლობა, თბილისი 1935 წ.
10. თამარ კიკნაძე, ნათელა დონაძე, გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, თბილისი 2006 წ.
11. დავით კლდიაშვილი, თხზულებანი ტომი II, თბილისი 1952 წ.

ნათია მესხია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრატურა

მითოლოგიური ნაკადი მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართულ რომანში

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მინდიაშვილი

„ერის როგორც მთლიანი ორგანიზმის,სულიერი სიჯანსაღე
რომ დავიბრუნოთ,ხელახლა უნდა მოვინათლოთ,ყველანი ქართველებად,ხელახლა
შევისწავლოთ ანი და ბანი ”
ო. ჭილაძე

ყოველი ეპოქა ამბობს თავის სათქმელს,რომელსაც შემდეგ ათასები იმეორებენ,რაც ლიტერატურაში მეუღავნდება.70-იანი წლების ლიტერატურამ არენაზე გამოიყვანაახალი გმირი,უჩვენ მსოფლიოს ახალი ადამიანის სულიერი სამყარო,გმირული შემართება შინაგანი პოზიცია.

XX საუკუნის ქართული ლიტერატურა მრავალფეროვანია თავისი სტილური ფორმიტ და ჟანრულ თავისებურებებით.60-70-იან წლებში მოსულ თაობას თავისი სათქმელი,აზროვნებისა და წერის საკუთარი სტილი,საგნებისა და მოვლენების თაცვისებური ხედვა ჰქონდათ.რასაც „ათწლეულების პრაქტიკა„ხელს უწყობდა.

ქართულმა რომანმა განვითარების მრავალი ეტაპ განვლო და ჟანრულად ჩამოყალიებული სახე XX საუკუნეში მიიღო.

„სამოციანელთა„პროზის ნოვატორობა რომანში აისახა.გაფართოვდა ჟანრული საზღვრები,შეიქმნა ახალი ტიპის ისტორიული რომანი,რომლეშიც გლობალურ-ზნეობრივ-ფლოსოფიური სიმბოლოები იქნა გამოყენებული.ძველისა და ახლის გზაჯვარედინზე მდგომი პიროვნების შინაგანი სამყაროს მსხვრევს,გაორება,წარსულთან ტკივილიანი გამოთხოვება,ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრება,სისხლიანი ბრძოლა.ამ ყველაფერმა შექმნა მთელი ეპოპეა,რომელსაც შეეძლო პასუხა ეპოქის მიერ დასმულ ფილოსოპიურ,ეტიკურ საკითხებზე და მოეცა სინთეზური ანალიზი.

როგორც შ.მაჭახაძე გვეუბნება„ჩაღრმავებულმა იტორიიზმმა.„განაპირობა 60-70-იან წლებში მწერლობის მითთან დაბრუნება.მითოლოგიზების ახალი ტალღა მოწმობდა „სამოციანელთა„მიერ საკუთარი კავშირების გაძლიერებას,თავის საწყისებთან,მარადიული ზნეობრივი ფასეულობების აღმოჩენის წყურვილს დაოკება.

მითი უძველესი დროიდან იყო ლიტერატურის თანამგზავრი..რაც გამოყენებულია საგანთა,მოვლენათა ახლებურად გაანალიზებისათვის,ზოგჯერ წინააღმდეგობრივი კავშირების აღმოჩენისათვის,დროთა კავშირის აღდგენისათვის.რეალისტური მითოსური პლასტების მონაცვლეობა მძაფრად გამოხატება 60-იანელთა ეროვნულ სატკივარში.

მითი-ესაა პირველყოფილი ადამიანის მსოფლშეგრძნებების ფორმა.მითოლოგიური ფანტაზია დაკავშირებულია ტომის,გვარის კოლექტიურ ცხოვრებასთან.მითებში განზოგადებულია ადამიანის ცხოვრებისეული,სულიერ-ემოციური გამოცდილება.მითი ცვლად სამყაროში სტაბილური,მყარი ფასეულობების ორიენტირების პოვნს საშუალებად იქცა,რაც XX საუკუნემ ინტენსიურად შეისისხორცა.

მითქმნადობა XX საუკუნის II ნახევრის ქართულ პროზაში ერთგვარი ტრანსფორამაციაა.საბჭოთა პერიოდი ყველაზე პრივილიგირებული დრო იყო მითოლოგიზებისათვის,რომლის მიზანი იყო,,ბუნებრივიი იერის,,მინიჭებით,,ხალხისთვის მისაღებ ფორმაში,, ჩაესვა.

მითის ცოცხალ,თანამედროვე სინამდვილეში შექმნის ბრწყინვალე ნიმუშია ჭ.ამირეჯიბის ,,დათა თუთაშხია,,.

რომანის შექმნიდან სამ ათწლეულზე მეტი დტოის, გასვლის შემდეგ,სრულიად გადაჭარბებულად და დაბეჯთებით შეიძლება ითქვას რომ ,,დათა თუთაშხია,,ქართული პროზის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა.ზნეობის,სიკეთის და მოყვასისადმი რაინდული სიყვარულის მქადაგებელი მონუმენტური წიგნი.

დათა თუთაშხია ფარტო მკიტხველთა საზოგადოების განსაკუთრებული ყარადღებს ცენტრშია.კრიტიკოსთა და ლიტ.მცოდნეთა აზრთა დათა თუთაშხიას ჟანრობრივი სახეობის განსაზღვრა სხვადასხვაგვარია.ერთნი თვლიან რომ ფსიქოლოგიურია,მეორენი-სათავგადასავლო,მესამენი-ფილოსოფიური,სხვანი-რომან-პარაბოლად. ვ.ნოკოლეიშილის თქმით ,,დათა თუთაშხია,,სინთეზური რომანია.

,,თუთასხა,,წმ.გიორგის განსხეულებული და ხორცქმნილი ორეულია.უძველესი ალეგორიზებული სახე-სიმბოლო.უძველესი ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშია,რაც ავტორის მიერ არის მოდერნიზებული.

,,თუთასხა,, მეგრული სიტყვიდანაა,რაც მთვარის დღეს ნიშნავს.ნაწარმოების გმირი დათა თუთაშხია ხალხს მაშინ მოევლინება,როცა გონების თვალი დაეხშოთ. ,,გათითოკაცებულ,, ერს მხსნელად მოევლინება თუთაშხია,იდეალიზებული,ზნეობრივი გმირი უკეთურებათა დასათრგუნებლად თავგანწირვით მებრძოლი.

თუთაშხიას მიტოლოგიური არქეტიპი განალებული ზალიტა და ღწმენიტ მებრძოლია,რომელიც ურჩხულს ეომენბა.თუთაშხიას სიკვდილი მიწიერი სინამდვილიდან მხოლოდ დროებითი განშორებაა და მომავალში მკვდრეთით აღმდგარი და ამჯერად ზნეობრივ გმირი სახეში სახეში განსხეულებული კვლავ დაუბრუნდება ადამიანებს,როგორც უკვდავი სიმბოლო ქვეყნად სიკეთისა,კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად მებძოლი რაინდი.

,,ბოლო დროინდელი ნაწარმოებეი აივსო ქაჯებით და ტყაშმაფებით,ბერძნული თუ რომაული,ინდური თუ ეგვიპტური,ათას ერთი ღამის თუ ვინ იცის საიდან მოტანილი ამბებით,, წერს შ.მახაჭაძე.ეპიგონის აყვავება მითოლოგიზების საშუალებით სენად მოსდებია XX საუკუნეს.

,,რომანი-მითი,,შეიძლება ეწოდოს,,გზაზა ერტი კაცი მიდიოდა,, ამ ნაწარმოებში სათაურიდანვე ჩანს თუ რას უნდა ნიშნავდეს ნაწარმოებში აღწერილი ამბები.ამ სათაურში ზოგადად ადაამიანი იგულისხმება.ყველა გზა ხომ მსგავსია სირთულით,პრობლემით,თავისი ამოცანით დაბოლომდე უნდა დარჩეს ადამიანად.

სააურშივეა ტრაგკული ჟერადობა ,,ერთი კაცი,, შეიძლება მარტოკაც მისი ტვირთი ცხოვრებაა,მარომ უნდა დასძლიოს ყველა აღმათი და მოსახვევი,გზს ბოლოს განწმენდილი მვიდეს.

ო.ჭილაძის მითოლოგიზაციის ორიგინალობა იმაში მდგომარეობს,რომ არგონავტების მითი სხავა ინტერპრეტაციით გადმოგვცა.თხრობას იწყებს ავტორი ვანი ზღვის პირე ქალაქი,რომ იყო,როცა ყველა ვანელის ფანჯრიდან მოჩანდა ზღვა, ეს ის დრო იყო ნამდვილი ღვინის გემოს ბახას სარდაფში გებულობდა კაცი.ბახას სახე მიწისმიერი კეთილდღეობის სიმბოლოა. ისი არსებობა ღვინის უძველესი კულტის მსახურებაა.

მწერალი არგონავტების მითის ყოველ დეტალს რეალურ ყოპას უკავშირებს,წმინდა ადამიანურ ვნებად წარმოაჩენს.

გ.გვერწითელის თქმით,როცა სიუჟეტს ამუშავებს მითთან არანაირი კავშირი არა აქვს.იშველიებს ზღაპრულ და ფანტასტიკურ ხერხებს.მის გამონაგონი უპირისპირდება არგონავტების მიტს და უფრო გამიწიურებული ხდება.

ოქროს სიუხვე-მისი ფლობა რომანის კონცენტრირებული ეპიზოდია.ოქროს მოპოვება აკავშირებს ვანს და აიეტის ამფლობელოს„ოქროს ხანასთან„ ანტიკურ სამყაროში არსებობდა მითოლოგიური წარმოდგენა წინაპართა ბედნიერ და უზრუნველ ყოფაზე,რომელიც ოქროს ხანად იწოდებოდა.

შამყაროს განვითარების პერიოდი საფეხურის ანტიკური პერიოდოს შემოქმედებს ოქროს ხანად წარმოედგინათ.ო ჭილაძემ ოსტატურად გამოიყენა „წინაპართა უზრუნველყოფის„ მითოლოგიური მოდელი,რომელიც ორგანულად ჯადოსნურ ვანს დაუაკავშირა.

ბერძნულ მითოლოგიაში მედეა ჯადოქარი ქალია.მეფე აიეტისა და ოკეანიდან იდიას ქალიშვილი.ჯადოქარი ქალი,რომელმაც უღალატა სამშობლოს და მამას.

ო.ჭილაძის მედეა „კანჭა გოგოა„.იგი „უშნო გოგო არ იყო,მაგრამ არც ლამაზი ეთქმოდა,ამინდვით ცვალებადი„ვკითხულობთ ნაწარმოებში.იცოდა ბალახების საიდულო ენა.ძნელი გადასაწყვეტია რამდენად დადებითი ან უარყოფითი პერსონაჟია მედეა.ლიტერატრაში უამრავი ვერსია არსებობს.ჩემი აზრით,ის უარყოფითი პერსონაჟია არ უნდა გაეწირა მამა და მითუმეტეს სამშობლო მამაკაცის უნაყოფო სიყვარულისთვის.

იბლიური მოტივის კერძოდ,სამოთხის ბაღის ლიტერატურაში მიტოლოგიზირება მოგვცა ავტორმა დარიჩანგის ბაღს ჩვენებით.დარიჩანგის ბაღში ნაწარმოებიდან ირკვევა რომ,ყოველთვის შეეძლოთ ეგემნათ ვაშლის ნაყოფი-აკრძალული ხილი.მაგრამ უკვე გახმა,გაითელაარ მარტო ხე,არამედ მთელი ბაღი.სანაცვლოდ, დაკარგულის ძიებაღა შერჩათ.დარიჩანის ბაღში ინო და ფარნაოზი ისევე სუფთები იყვნენ,როგორც ედემში ადამი და ევა.უფლისეული ედემიდან გადმოსვლის შემდეგ,იწყება საშინელება.ასევეა შერწყმული ნაწარმოებში ის,რომ უაიეტოდ დარჩენილი ვანელი მოსახლეობა დარიჩანგის ბაღის შენარჩუნებას ცდილობს,რადგან ბაღის გათელვა სულიერი საწყისების გათელვის საწინდარია.

ო.ჭილაძე და ჭ.ამირეჯიბი გვაძლევენ მითის „უკუღმა პირს„აშორებენ მითის ილუზიას და გაადამიანურებულ მმითოლოგებს გვაძლევენ.ისინი ლიტერატურული ქმედების დიდოსტატები არიან მათ კლასიკურ მითოლოგიაში ფიქსირებული სახეები შექმნეს,ქართული რომანის შედევრები.ო.ჭილაძესთან და ჭ.ამირეჯიბთან ისტორია უფრო „თანამედროვეა„,ვიდრე დღევანდელობა; სადაც თამაშდება ზოგად ადამიანური ტრაგედია,ყველა დროისა და ეპოქისათვის მიჩნეული.მათ ნაწარმოებში ირკვევა იდეტიფიკაციური თვითშეგნება,რასაც ადა ნემსაძე ასე განმარტავს „იდენტივობა არს ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე„-ზე,რომელიც ხასიათდება თვითგაიგივებისა და მთლიანი სუბიექტური აზრით.რაც წარმოადგენს ადამიანს მიერ საკუთარ თვით იგივეობის დადგენა.ჭილაძისა და ამირეჯიბის გმირები განიცდიან იდენტიფიკაციის კრიზისს,პიროვნული სუბიექტივიზმის ძიებას.

მდენად,ეს ორი უზარმაზარი მწერლობის ქვაკუთხედის შემქმნელი მწერალი ჭ.ამირეჯიბი და ო.ჭილაძე ჩვენი საუკუნის სიმდიდრის წარმომადგენლები არიან.ეს არის უდიდესი მონაპოვარი XX საუკუნის მწერობისა,რომელთაც შექმნეს შარავანდედით მოსილი სედევრები და ამ საუკუნის გამოსახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე ვარ ქართველი...

გამოყენებული ლიტარატურა:

.

1.შ.მახაჭაძე,პირველად იყო მითი,ბათუმი,2004წ.ჭიგნიI
2.ნ.მიქალაძე,XX საუკუნის რემითოლოგიზაცია და ო.ჭილაძის რომანი„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა„2001წ.დისერტაცია
3.ა.ნემსაძე,იდენტიფიკაციის პრობლემა ო.ჭილაძის რომანებში.დისერტაცია 2005წ.
4ავ.ნიკოლეიშვილი,XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევებიVI,ქუთაისი.2005წ.ო.ჭილაძე
5.გ.გერდწითელი.ლიტერატურული ნარკვევები,პორტრეტები.ჭ,ამირეჯიბი.ქუთაისი 2001წ
6.ავ.ნიკოლეიშვილი.ლიტერატურული ნარკვევები.ჭ,ამირეჯიბი.ქუთაისი2001წ.
7.ი.ჭუმბურიძე,სტატია,აშკარად განსაუთრებული.ჩვენი მწერლობა.2010წ.№11,გვ.42

ანა დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

ყვავილის დანიშნულება შემოქმედებით სივრცეში

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ პაიჭაძე

ქართულ მწერლობაში ყვავილი, როგორც მხატვრული სახე, ჩვენამდე მოღწეულ პირველივე ნაწარმოებში გვხვდება. შუშანიკ დედოფალი თავის სილამაზეს, რომელიც ვარსქენმა ნაადრევად მოუსპო, ყვავილს უწოდებს: „მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭკნო...“ სიცოცხლის ბოლოს კი დედოფალი ადამიანის ცხოვრებას ველის ყვავილს ადარებს, რათა მისი სიმოკლე წარმოაჩინოს: „ესე ყოველი ცხოვრებაი, ვითარცა ყუავილი ველთაი, წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა, მოიმკო, და ვინ განაბნია გლახაკთათვის, შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმინდოს თავი თვისი, მან პოვოს იგი, რომელმან ადიდა იგი.“

„შუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული ყვავილის მხატვრული სახე თითქმის ყველა ნაწარმოებში გვხვდება – როგორც პოეტურში, ასევე პროზაულში. გავიხსენოთ აბო თბილელი, რომელიც ეკალთა შორის ამოსული ვარდია. აქ ყვავილი სახარებისეული სიმბოლიკით უნდა განვმარტოთ: აბო ყვავილია, რადგან ის ემსგავსება უფალს, რომელსაც „ყვავილ ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესეისითა ყვავილად აღმოსცენდა ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა მარიამისგან ხორციელად, ხოლო სულნელებითა მით ღმრთეებისაითა სული იგი მადლისაი მოჰფინა ჩვენ ზედა“ („ჰაბოს წამება“).

ყვავილის სახე უფრო მეტი მრავალფეროვნებით პოეზიაში წარმოჩნდება. თუ იაკობ ხუცესი ყვავილს შუშანიკის სილამაზედ აღიქვამდა, ალექსანდრე ჭავჭავაძე თვით ბანოვნებს აღიქვამს ყვავილებად და მათ ვარდს, ზამბახსა და მიხაკს უწოდებს. პოეტი განიცდის დროთა ცვალებადობას, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერც ქალები, ეს მშვენიერი არსებანი გადაურჩებიან:

„ რავდენ ბანოვანთ შვენებანი, ახლად მშლილობნი,
ჭავლის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას,
ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი და გიშრის მწყობრნი
რავდენგზის ტურფად გარდუღია სარკესა წყლისას.“

მიუხედავად ამისა, „დროსა მსვრელის ცელს“ ადამიანის მშვენიერება ვერ გადაურჩა.

ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული გაგებით წარმოჩნდება ყვავილი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“ პოეტი ყვავილს ხორციელ სილამაზეს ადარებს, რომელიც წარმავალია:

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მწრაფლად დაჭკნების“

სულ სხვა გაგებით წარმოჩნდება ყვავილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექში „დამქროლა ქარმან სასტიკმან“. აქ მას სულიერების გაგება ეძლევა. პოეტი მოგვითხრობს, რომ ძლიერმა და სასტიკმა ქარმა „თან წარიტანა ყვავილი“. თითქოს გასაკვირი არაფერია, მაგრამ ზმნა „დამქროლა“ გვიმხელს, რომ ყვავილი მინდორს კი არ მოსტაცა ქარმა, არამედ ადამიანს, პოეტს და მის დაკარგვას ბარათაშვილი მტკივნეულად განიცდის. მაინც რა დაკარგა პოეტმა ყვავილის სახით? ამას ლექსის ბოლო სტროფი გვიმხელს:

„რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა.“

ამიტომაც გაუხშირდა პოეტს „მწარენი ჭირნი გულისა.“ აღსანიშნავია, რომ დაკარგული ყვავილი პოეტისათვის იყო „მაცხოვნებელი სიცოცხლის“ და ციური ცვარით დანამული, ანუ ეს ყვავილი სულიერად ამაღლებდა, მისი დაკარგვა კი პოეტისათვის იგივე დაცემაა.

ყვავილის მხატვრული სახის მრავლმხრივობა რეალისტურ ლიტერატურაშიც მთელი სიმძაფრით წარმოჩნდება. ვაჟა ბუნების სამყაროს ერწყმის და ისე წარმოგვიდგენს რეალობასთან შეზავებულ თავის პოეტურ სამყაროს. ვაჟა ის ვაჟა არ იქნებოდა, რომ მას თავის შემოქმედებაში ყვავილებთან შეხება არ ჰქონოდა. ყვავილი თითქოს აფაქიზებს ხელოვანს, ყურადღებას ამახვილებს მის პოეტურ ბუნებაზე. წერილში „სად არის პოეზია?“ ვაჟა მიწის მუშაზე საუბრობს, რომელიც მოწიწებით უყურებს იას. იცის, რომ მას ვერ შეჭამს, ვერც სხვა რამეში გამოიყენებს, მხოლოდ ტკბება მისით და აქ არის სწორედ პოეზიაც. „ვისაც ბუნება უყვარს, ლექსებსაც რომ არ წერდეს, მაინც პოეტიაო“, – წერს ვაჟა. მას უყვარს ყვავილები. მაგალითად პირიმზე. მას „მთის სასახელო ქალს ეძახის“ და გამოარჩევს როგორც სიკეთეს, ბოროტებას რომ ძემოდან დასცქერის:

„და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა“.

მაგრამ ყველაზე მეტად ვაჟას ია უყვარს. ია, რომელიც ნაზია, უსუსურია, ხშირად მგლოვიარე, „თალხკაბიანი“, მაგრამ მაინც ყველა ყვავილზე ლამაზი. ლექსში „იას უთხარით ტურფასა“ კარგად ჩანს, რომ ვაჟას მართლაც გათავისებული აქვს ია ბუნება, ამიტომაც ურჩევს, ამ ქვეყნად არ მოვიდეს, მას ან ვინმე დაჩაგრავს, ან უმზეობით დაიტანჯება:

„იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი თავი რომ აგიღიაო!“

როგორც ცნობილია, ეს ლექსი ვაჟამ თავის გარდაცვლილ მეუღლეს მიუძღვნა, ამიტამაც მიაბარა სილამაზე მიწას:

მიწავ, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორიც შენი ზნეაო.“

ვაჟა თავის პროზაშიც წარმოაჩენს იას. ის გაცოცხლებულია და ამეტყველებული, იგივე თვისებები გააჩნია, რაც ლექსში: სუსტია, ნაზი და

ტურფა, ამიტომაც ყველას უყვარს და უფრთხილდება მას. იაც შეჰხარის სამყაროს და მადლობას უხდის თავის გამჩენს. ერთი სადარდებელი აქვს:

„თუ გამაჩინე, უფალო,
დიდი დღე რად არ მამეო?“

იას აწუხებს უსამართლობა, რატომაა კაცი ასეთი შეუბრალებელი და გულცივი. თვითონ ხომ ისეთი კეთილია, რომ ცუდის ფიქრიც კი არ გაუვლის თავში. ვაჟას ია მე სამგვარი სახით წარმომიდგება. 1. ადამიანის სახით, რომელიც თითქოს ახლად დაბადებული, ნაზი და უსუსურია. მას ყველა უვლის და ცივ ნიავს არ აკარებს. 2. ია მართლაც ყვავილია, რომელიც საოცრად მშვენიერია. 3. ია უმწეო ადამიანია, რომელიც სიკვდილს ელოდება:

„ვაჰმე, რა საბრალო არი
ია, მოსული მთაზედა!
ბეჩავს დააზრობს სიცივე,
ან ელვას დაჰკრავს მთაზედა.
ღმერთს მიუცია საწყლისად
მოკლე სიცოცხლის ჟამია,
ქვეყნისა მისგან შვენება
ერთი ბეჩავი წამია.
ია დაიწყებს კვდომასა,
დაიქვითინებს: „ვაჰმეო!
თუ გამაჩინე, უფალო,
დიდი დღე რად არ მამეო?! “

ვაჟას შემოქმედება პოლითემატიკურია, ამიტომაც შესაძლებლობას გვაძლევს სხვადასხვაგვარი აღქმისას. ვაჟა ხომ გენიოსი მწერალია და მისი გენიოსობაც სწორედ ამაში მდგომარეობს. ასეთი დიდი მწერალი კი თავის შვილს ყოველთვის აბარებდა იების მოკრეფას; იები მისთვის შთაგონების წყარო იყო.

ყვავილი სხვათაგან განსხვავებული დატვირთვით აისახება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. ზოგადად ყვავილის სიმბოლო თითქოს შორს არის ტკივილისგან, იმედგაცრუებისგან, რითაც სავსე იყო გალაკტიონის ცხოვრება, მაგრამ მიუხედავად ამისა, გალაკტიონთან ყვავილმა ეს დატვირთვაც შეიძინა. ამას ადასტურებს პოეტის ლექსი – „ სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში.“

„როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია,“

– წერს პოეტი და სილაში ჩავარდნილ ვარდს თავისი ცხოვრების გზას ადარებს; როგორც ვარდისთვის არის შეუფერებელი „ნაწვიმარ სილაში“ ყოფნა, ასევე პოეტსათვის – ეს ქვეყანა, რადგან ცხოვრებამ იმედები გაუცრუა, დატანჯა და განსაცდელში დატოვა. ლექსის გაგრძელება სწორედ ამას ასახავს:

„შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები,
წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით,–
ღამენათევი და ნამთვრალევი
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!“

„შეხედე! დასტკბი!“ – ამას პოეტი ირონიით ამბობს, რადგან ვერავინ იგემებს სიამოვნებას განადგურებული ადამიანის ხილვით, რომელიც ამას არ იმსახურებდა. მისი თვალებიდან ცრემლი და შურისძიება გამოსჭვივის, როცა ადრე, სიყმაწვილეში, „ცვრებით“ და „იებით“ იყო სავსე. ეს ორივე სიტყვა – „იები“ და „ცვრები“ – იმედს უნდა ნიშნავდეს, რაიმე კარგის მოლოდინს, რაც გიხალისებს ცხოვრებას, მაგრამ შურისძიებით აღგზნებულ ადამიანს ეს იმედიც ეცლება ხელიდან:

„და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე

ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!“

უკანასკნელ წამებში არც სატრფო და არც ღვთისმშობელი არ ედგება პოეტს გვერდში (მარიამის და მერის სახე ამ ლექსში გაიგივებულია):

„მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!“

– სწორედ ამგვარ გზას ეძახის გალაკტიონი ნაწვიმარ სილაში ჩაფლული ვარდის ყოფას. ის „ჯოჯოხეთითაა დაფარული“ და ამიტომაცაა მისთვის ოცნება შორეული ცის სილაჟვარდე.

ყვავილის კიდევ ერთი საინტერესო მხატვრული სახე – შედარება – გვხვდება გალაკტიონის ლექსში „მთაწმინდის მთვარე“:

„მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,“

მთელ ლექსს გასდევს მთვარის ხატება; აქცენტი მთვარეზე სათაურშიც წარმოჩნდება – „მთაწმინდის მთვარე.“ ეს იმიტომ, რომ სწორედ მთვარემ მისცა პოეტს შთაგონება. მთვარე კი პოეტისთვის ყვავილია – ზამბახი – სიწმინდე და მშვენიერება ერთად.

მთაწმინდაზე დასაფლავებული უდიდესი პიროვნებების გვერდით, მათდამი პატივის ნიშნად მხოლოდ ყვავილების ადგილია:

„აქ ჩემს ახლო აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით...“

ლექსში ვარდი კიდევ ერთხელ ფიგურირებს:

„თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს...“

მომაკვდავი გედი თავად პოეტია, ჰანგები – მისი შემოქმედება, „ვარდები და ჩანჩქერები კი მისი შემოქმედებითი ფანტაზია, ოცნება უნდა იყოს, რომელიც პოეტის აღსასრულის მოახლოებისას იცვლება და შესაძლებელი ხდება იმის თქმა, რაც თითქოს შეუძლებელია:

„ოღონდ ვთქვა თუ დამემ სულში როგორ ჩაიხედა.“

პოეტი იმის თქმასაც შეძლებს, თუ როგორია ზეცა:

„თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები“

და, რა თქმა უნდა, იმასაც აღგვიწერს, თუ როგორია ოცნებათა სამყარო:

„და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები.“

ამის შემდეგ პოეტისთვის სიკვდილი არაფერია, მას, რა თქმა უნდა, შიშიც დაძლეული აქვს, რადგან „სიმღერით“ კვდება. სიმღერა კი ლექსია, რომელიც მეფედ ხდის პოეტს და აკაკისა და ბარათაშვილის გვერდით უმკვიდრებს ადგილს, დიდი პოეტების გვერდით, მთაწმინდის მთვარის ქვეშ, რეალურ და ზღაპრულ ადგილას.

გალაკტიონის კიდევ ერთ უკვდავ ლექსში „უსიყვარულოდ“ ფიგურირებს ყვავილის სიმბოლო. მის გარეშე ალბათ ამ ლექსსაც არ ექნებოდა ასეთი ზემოქმედების ძალა; პოეტი ყვავილს ამჯერად ორნაირ სიყვარულს ადარებს – პირველს და უკანასკნელს. პოეტი ამბობს, რომ შემოდგომის ყვავილი სჯობნის გაზაფხულისას და აკონკრეტებს კიდევაც რატომ. პირველი სიყვარული, პოეტის თქმით, ვნებაზეა დაფუძვნებული, თუ ის გამონაკლისი არაა. უკანასკნელი სიყვარული კი გაზაფხულის ყვავილებს არ ემსგავსება, იგი ველური ხმებით აღტაცებული არაა და სიო კი არა, ქარისხალი დასტრიალებს თავს. გალაკტიონი შემოდგომის ყვავილს ანიჭებს უპირატესობას, რადგან პირველი სიყვარულისგან განსხვავებით უმიზნო სიყვარული არ არის. ვნება მალე ქრება, ვნებასთან ერთად კი სიყვარულიც, ამიტომ მაგონებს მე გაზაფხულის ყვავილების უფრო მოწონებას, ვიდრე სიყვარულს, ხოლო შემოდგომის ყვავილი, რომელსაც ქარიშხალი ვერაფერს აკლებს, ძლიერ სიყვარულს, სიკვდილის ბოლომდე რომ მიჰყვება ადამიანს. უხმო ალერსიც უფრო მყარია, ვიდრე ვნების დროს უაზროდ წამოსროლილი სიტყვების კორიანტელი. ლექსის ბოლოს გალაკტიონი ამბობს, რომ ყველა კვდება, ამიტომ უკანასკნელი სიყვარულიც

ილევა იმათთან ერთად, ვისაც უყვარდათ ერთმანეთი უკანასკნელად; მაგრამ თუ სიცოცხლე კიდევ გრძელდება, მაშინ უკანასკნელი სიყვარულიც ინავარდებს „თვით უკვდავების“ ძალით და სახელით.

„უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.
მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი
როგორც ყვავილი შემოდგომის
ხშირად პირველს სჯობს,
იგი არ უხმობს ქარიშხლიან
უმიზნო ვნებებს,
არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს
იგი არ უხმობს...
და შემოდგომის სიცივეში
ველად გაზრდილი,
ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს
სულაც არა ჰგავს...
სიოს მაგივრად ქარიშხალი
ეალერსება
და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს
გარემოუცავს,
და ჭკნება, ჭკნება სიყვარული
უკანასკნელი,
ჭკნება მწუხარედ,ნაზად მაგრამ
უსიხარულოდ.
და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უსიყვარულოდ!“

ყვავილები სილამაზესთან ერთად ასოცირდება სიკვდილთანაც, რადგან საფლავებს ყოველთვის მათი მეშვეობით ვამკობთ. ეს შეგრძნება აისახა ლადო ასათიანის ლექსში – „კრწანისის ყაყაჩოები“, რომელშიაც ყვავილები – ყაყაჩოები თავისით ამოსულან გმირთა საფლავებზე. პოეტს ეს ყაყაჩოები სისხლად ელანდება, რადგან სწორედ აქ განუტევეს სული მართლაც ომით და ბრძოლით გაუმაძღარმა არაგველებმა; ამიტომაც სვამს კითხვას პოეტი:

„შავჩოხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?“

ლექსში ლადო ასათიანი მხოლოდ კითხვებს სვამს, პასუხს არ სცემს, რადგან ის მხოლოდ თავისი შინაგანი სამყაროდან გვესაუბრება, გარდასულ სულთა მაგივრად პასუხის გაცემას კი ჩვენ – მკითხველებს მოგვანდობს.

„თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა,
მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბრიალა?“

ლექსში ყვავილს პატრიოტული დატვირთვა აქვს. არაგველების გმირობის გარდა ამაზე მიგვანიშნებს მხატვრული სახე „ყაყაჩოს ცეცხლი“, რომელშიაც ასოციაციით გმირული სულისკვეთება უნდა ვიგულისხმოთ, ის სულისკვეთება, რომელიც პოეტს ათქმევინებს:

„თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს“(„საქართველოში“, გვ.114).

სიცოცხლე დიდი განძია და სწორედ ამ განძისთვის წირავდნენ თავს, რომ საკუთარ თავზე უფრო სანუკვარს – სამშობლოს – დარჩენოდა ეს განძი. ისინი სწორედ სამშობლოს გულისთვის დებდნენ თავს, რომ ის ერთიანი და ძლიერი ყოფილიყო, რომ შემდგომ თაობას სწორედ ასეთ საქართველოში ეცხოვრა. ლექსში ნახსენები იარა ახალი ნამდვილად არ არის, ეს იარა საუკუნეების განმალობაში მოდის და მამისგან შვილს გადაეცემა მემკვიდრეობით, სანამ საქართველო ძლიერი, ლამაზი და ერთიანი არ გახდება. ლადო ასათიანის შემოქმედება ხომ მთლიანად სამშობლოს სიყვარულითაა გაჟღენთილი და ამ ლექსშიც სამშობლოსადმი ტკივილია გადმოცემული. „ბებერი კრწანისი“ გულიდან წამოსულმა დიდმა გრძნობამ ააბრიალა, პოეტის გრძნობამ, რომელმაც შეიგრძნო თავისი წინაპრის დანატოვარი დიდი გასაჭირი და ის ძველი იარა ახლად გაღვივდა მის გულში, რომელმაც სურვილი გაუჩინა არაგველების საფლავთან მისვლის და ამ წმინდა ადგილას დაჩოქების. ეს გრძნობა ყველა ჩვენგანში დევს, ყველა ქართველში, უბრალოდ გაღვიძებას ელოდება... ეს არის ყვავილით გამოხატული გრძნობა.

ბოლოს ჩვენი თანამედროვე პოეტის – შოთა იათაშვილის პოეზია და, კერძოდ, ერთი ლექსი – „ბენზინის ყვავილები“ მინდა ვახსენო, რომლის სათაურიც თავისი კრებულის სათაურად აურჩევია ავტორს. რას ნიშნავს ეს სათაური? ვფიქრობთ, ის არის გრძნობიდან გამომდინარე მოქმედების ერთი ნიუანსის სახელდება, რომელიც ამ გრძნობას აფიქსირებს და გამოკვეთს. „ბენზინის ყვავილები“ ქალის პროფილის მოულოდნელი დანახვით გამოწვეული ხიბლია, საქმეს რომ გავიწყებს. ბენზინის ავზი ივსება და გადმოღვრილი საწვავი ფერად ყვავილებად იშლება ასფალტზე... მაგრამ მალე შრება ბენზინი.

ვერ ვიტყვი, რომ ზოგადად შოთა იათაშვილის ლექსებში გამშრალ გრძნობებზეა საუბარი, თუნდაც იმიტომ, რომ ეს გრძნობები (გინდ ცოდვები, როგორც ავტორი ერთგან გვეუბნება) თუნდაც ამ კონკრეტულ ლექსში ფერად ყვავილებად გაიშალა და დაფიქსირდა.

ამ თემის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, რადგან არ არსებობს პოეტი, რომელსაც ყვავილის სიმბოლო არ გამოუყენებია; მიუხედავად ამისა, მხოლოდ ზოგიერთი მხატვრული სახეა გულში ჩამწვდომი და სამუდამოდ დასამახსოვრებელი. ჩვენ სწორედ ამგვარ სახეებს შევეხეთ და დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყვავილის სიმბოლოს ქართულ პოეზიაში მხოლოდ დადებითი მუხტი აქვს. ის განასახიერებს წარმავალ მშვენიერებასაც („შუშანიკის წამება“) და სულიერსაც („აბოს ტფილელის წამება“), ამქვეყნიურ სილამაზესაც („რად ჰყვედრი კაცსა“) და მარადიულ ხსოვნასაც („კრწანისის ყაყაჩოები“), ქალთა სახეებსაც და ქალის მოწონებით აღძრული გრძნობის სიმოკლესაც („ბენზინის ყვავილები“), პირველ სიყვარულსაც და უკანასკნელსაც. და საერთოდ, ძალიან საინტერესო პროცესია ამ სიმბოლოსა და მისგან გამომდინარე მხატვრულ სახეებზე დაკვირვება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ლადო, ერთტომეული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979.

2. ბარათაშვილი ნიკოლოზ, თხზულებანი, საიუბილეო კრებული – 150, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1968.

3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, 1973.

4. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 19642;

5. შოთა იათაშვილი, „ბენზინის ყვავილები“, თბ., 2001.

6. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1946.

7. ჭავჭავაძე ალექსანდრე, თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონითურთ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბ., 1996.

სოფიკო კანთელაშვილი

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

გიორგი პირველის საგარეო პოლიტიკა (კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის” მიხედვით)

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გოგოლაძე

სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოს ყველა თაობამ იცის თუ რა არის გარეშე მტრის წნეხი, მათ შორის ჩვენმა თაობამაც. ჩვენი თემაც კონფლიქტს ეხება, ოღონდ ცოტა შორეული წარსულის, მეფეებისდროინდელ კონფლიქტს, რომელიც, ასევე საინტერესოდაა ასახული ქართულ ლიტერატურაშიც, კერძოდ კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა”.

თავისის არსებობის მანძილზე ქართული სახელმწიფო და მისი მეფეები გამუდმებით იბრძოდნენ შინაურ თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ. ამ პროცესის ერთი მონაკვეთია მეთერთმეტე საუკუნის საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, როდესაც მეფე გიორგი პირველს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასა და სარკინოზებთან, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ღონეს ხმარობდა მის მოსახსნელად.

მეფის უფლება- მოვალეობანი უძველესი დროიდანვე მკაცრად რეგლამიტირებული იყო სახელმწიფოს მართვის პროცესში, რაც კარგად ჩანს ქართული სამართლის ძეგლებშიც: „ხელმწიფის კარის გარიგებაში” წარმოდგენილია ფეოდალური მონარქია, რომლის სათავეში დგას მეფე. საყურადღებოა, რომ ძეგლის მიხედვით მეფე ზებუნებრივი არსების ნიშნებით არის დაჯილდოვებული. იგი ღვთის სწორია.(1.21)

მეათე საუკუნის მეორე ნახევარი და მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევარი ფრიად მნიშვნელოვანი ხანაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მეფე ბაგრატ მესამემ პირველად შესძლო საქართველოს გაერთიანება (გარდა თბილისისა რომელიც იმხნად ჯერ კიდევ სარკინოზებს ეპყრათ) ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ, ვაჟკაცურმა გულადობამ და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდვა"(2.242) ბაგრატ მესამე რომ მიიცვალა, გიორგი პირველი სრულიად ახალგაზრდა იყო, მან „თითქმის თავის მეფობა და ძალღონე... ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია"(2.422)

გიორგი მეფე თავდადებით ებრძოდა ბიზანტიელებს და იცავდა თავისი ქვეყნისწ დამოუკუდებლობასა და მთლიანობას. საისტორიო წყაროები გიორგი მეფეს ახასიათებს, როგორც „სავსეს ყოვლითა სიკეთითა, ახოვანს და უშიშარს"(3.197). მართალია, გიორგი პირველის მეფობა არ ყოფილა ხანგრძლივი(1014–1027) მაგრამ მის მოღვაწეობას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და განმტკიცებისათვის.

ისტორიულ მხატვრული ლიტერატურა საკმაო ადგილს უთმობს მეფეთა ცხოვრება მოღვაწეობას ჩვენ ვცადეთ აღნიშნული საკითხის ანალიზი,რომელიც ვრცელი ნაშრომის ერთ ნაწილს წარმოადგენს, კ. გამსახურდიას ისტორიული რომანის „დიდოსტატის მარჯვენის" მაგალითზე.

„დიდოსტატის მარჯვენის" ირგვლივ ჩვენ შევისწავლეთ ისტორიკოსთა და ლიტერეტურათმცოდნეთა (ივ. ჯავახიშვილის, ს. სიგუას, დ. ბენაშვილის, შ. რადიანის და სხვათა) ნააზრევი. ლიტერატურათმცოდნენი ყურადღებას ძირითადად ტირანულ ქვეყანაში ხელოვანის ბედზე უფრო ამახვილებდა, ამიტომ შედარებით უფრო საყურადღებოა იმ კრიტიკოსთა, ნააზრევი, რომლებიც სწავლობენ აღნიშნული ეპოქის პოლიტიკურ პრობლემას და მის მხატვრულ რეტროსპექციაზე. სახელმწიფოს ხელმძღვანლის სწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა განსაზღვრავს მის ბედს. აღნიშნული საკითხი დღესაც აქტუალურია.

„როგორ გამოხატა გამსახურდიამ გარდასული დრო თავის ისტორიულ რომანში?

ჭეშმარიტად ისტორიულ რომანში ტიპები უნდა ცხოვრობდნენ კონკრეტულ პირობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ეპოქის ყალბი ანარეკლი რომანში. ოქმედების ზუსტი აღნიშვნა წარმოადგენს ისტორიული რომანის დამახასიათებელ თვისებას.

თუ ამ გაგებით შევხედავთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას", იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ავტორი ხშირ შემთხვევაში დაუყრდნობილია მოგონილ ფაქტებზე, მაგრამ ყოველივე ეს ოსტატურად შეხამებულია რომანში აღწერილ დროსთან. კ. გამსახურდიას აქვს მიზეზი ამგვარი მოქმედებისა. რომანში აღწერილი ეპოქის შესწავლის დროს მწერლის ხელთ აღმოჩნდა ძლიერ მცირე ისტორიული საბუთები. „ქართლის ცხოვრაბა,რომელიც დიდი მოწმეა საქართველოს წარსულისა. ძლიერ ძუნწად იძლევა ცნობებს ზემოდაღნიშნულ ეპოქაზე. ქართველი ცნობილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახისვილი, მხოლოდ ზოგიერთ ცნობას გვაწვდის იმავე ეპოქაზე. ამრიგად, არაბულ და ბერძნულ სქემატურ მასალებთან ერთად მწერლის ხელთ იყო მხოლოდ ფანტაზიის ცხოველმყოფელი ძალა.

ასე შეიქმნა კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა"–ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლი ქართული ისტორიული პროზისა"(4.308)

ალბათ, გაჩნდება კითხვა, თუ რატომ მოკიდა ხელი კ. გამსახურდიამ აღნიშნული ეპოქის აღწერას ? ამ კიტხვაზე პასუხს თავად ავტორი იძლევა: „დიდოსტატის მარჯვენით" დიდი საქაეთველოს ჩვენება განვაცხადე თანადროული რომანის მიხედვით.

„ვინც დაახლოებით მაინც წარმოადგენს, თუ რა დიდი მხეცი იყო ბასილი მეორე, ბულგართ მმუსვრელი, რომლის იმპერია განფენილი იყო აპენინის ნახევარ კუნძულიდან ბასიანამდის, ბალკანეთის უკიდურესი სამანებიდან არაბეთის უდაბნოს კიდემდის, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა, და ამ უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მატეანე უწოდებს „უშიშარს ვითარცა უხორცოს," ქართულ ქრონიკაში ორიოდე გვერდი აქვს მიძღვნილი. მე შემძრა ამ უსამართლობამ და მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მდუღარება ჩემი სულისა"(5.373)

გარეშე მტერს მოსისხლე და დუშმანი იმიტომაც ჰქვია, რომ იგი ყველა ხერხითა და ყველა საშუალებით გვებრძვის და კაცმა რომ თქვას, ეს კაცობრიობის სისიხლიანი ისტორიის კანონზომიერებაც კია"(6.450)

ამ ფაქტის ნათელი მაგალითია ბიზანტიის ცბიერი საქციელი, რომელიც ერთმორწმუნეობის ნიღბით მოდიოდა საქართველოს წინააღმდეგ.

საბედნიეროდ, გიორგი პირველი სწორად მიუხვდა ბასილი კეისარს ნიღბის ქვეშ რას მალავდა. საქართველოს მეფე ამ აზრს ერთ-ერთ დიალოგში

ამბობს კიდეც, რომ „ბასილი კეისარს ეს უნდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდე პირში სული მიდგამს ვერ მოესწრება ამ დღეს ბასილი კეისარი,” ვერ ითმენს დედოფლისა და კათალიკოსისი ბრმა ერთგულებას ბიზანტიის მიმართ. მეფე არ ცხრება. უსაზღვროა მისი სიძულვილი ბიზანტიისადმი: „ მე ყველაფერი მეზიზრება ბიზანტიური”. უბრალო კერძო საუბარშიც მუდავნდება გიორგის თვალსაზრისი, მას თვით ბერძნული ენაც სძაგს, თუმცა ბერძნულიც იცოდა და არაბულიც, მაგრამ სასახლეში მხოლოდ ქართულად მეტყველებდა. მეფის ღრმა რწმენით „საერთოდ ქურდებია ბიზანტიელები, სჯული ებრაელებს მოპარეს, ენა-ძველბერძნებს, ბულგარელებს – ცეტინიუმი, სომხებს-ანისი, ბასიანის გადაღმა ქვეყნები-ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაგლიჯეს, რადგან ასეთი რამ არა სჭირიათ ჯერაც”.(7,416)

ბიზანტია ხომ სწორედ ქრისტეს სახელით ლამობს ჩაგვრის უღელი დაადგას საქართველოს, თავის სატელიტად აქციოს.(7.421)

„ყველაზე გლობალური და მწვავე თანადროული იდეა, რასაც „დიდოსტატის მარჯვენაში” ამოიკითხავთ, ეს არის ერთი იდეოლოგიის საფარქვეშ დიდი ქვეყნისგან მცირერიცხოვანი სახელმწიფოს დაპყრობის ცდა.

როცა ქრისტიანულ სახელმწიფოს არაქრისტიანული ქვეყნები ებრძოდნენ ერი რჯულსა და ქვეყანას ერთნაირი თავგამეტებით იცავდა მომხდურთაგან.”(6.447)

კულტურაში დაიწყო და პოლიტიკაში გადმოვიდა ბიზანტიასთან ნაციონალური გაჯიბრების იდეა. გიორგის ანტიბიზანტიური განწყობა პიპასთან დიალოგში გამოიკვეთა: „მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოსები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს, ამიტომაც არ მიყვარდა პაპაჩემი–გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი–ბაგრატ კურაპალატი და მცხეთდან გაქცევის გამო ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს.

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.”(5.355)

მიუხედავად მეფის ანტიბიზანტიური განწყობისა, სტუმრად მობრძანებული ბიზანტიელი დიდებულები: კატეპანი ნიკიფორე კასავილა, პატრიციუს ქრისტეფორე დელფოს, სევასტის თეოსორე ლამპაროს ამირელი, მიტროპოლიტი კამახა...) სრულიადაც არ გრძნობდნენ არასტუმართმოყვარეობას, პირიქით ბიზანტიის ჯარის სარდალი – კატეპანი დოკიანი გაკვირვებული იყო

ჩვენი კულტურით.მიუხედავად იმისა, რომ „კატეპანს, მოვლილი ჰქონდა მთელი მსოფლიო, ხატაეთიდან ირლამდიამდის. მაინც გაოცებული შესცქეროდა ოქროსა და ვერცხლის ჭაღებს, დიდი დარბაზის კუთხეებში დადგმულს, ბაგრატეულ სამწდეურებს, ოქროს ლანგარებს, აზარფეშებს და ფიალებს ხატაურ და ირანულ ჭურჭელს.

უთვალთვალებდა უცნაურ ცერემონიებს „გიორგი აბაზგის" ბრწყინვალე სასახლისას.

საქართველო მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ნახევრად წარმართული სამეფო.

სარკინოზის ხალიფების კარზე ელჩად ნამყოფს უკვირდა: მუსლიმების დარად ხელით რომ არ სჭამდნენ, არც ყაყანებდნენ პურობის დროს, პირიქით სავსებით მდუმარედ შეექცეოდა დიდი და მცირე სადილს."(5.336)

მათი კონფლიქტი საეკლესიო კალენდარზეც კი ვრცელდებოდა. ბიზანტიელი ეპისკოპოსები მეფის სუფრაზეც განაგრძობდნენ კამათს აღდგომის კალენდრის გამო.

ჩვენის აზრით, კ. გამსახურდიამ თავის რომანში ერთმორწმუნე მტრის მაგალითი იმიტომ მოიყვანა, რომ მწერლის ეპოქაშიც მსგავსი მდგომარეობა იყო, ოღონდ ბიზანტია სეცვალა ერთმორწმუნე რუსეთმა.

„ისევე, როგორც ისტორიული წყაროები „დიდოსტატის მარჯვენაშიც" კ. გამსახურდია მთელი სიმწვავით გვაგრძნობინებს სამხრეთ საქართველოს ტრაგიკულ ხვედრს. მკითხველს მოეხსენება ჯერ ბიზანტიამ შემდეგ ოტომანთა იმპერიამ დედა სამშობლოს მოსწყვიტა ლაზეთი, შავშეთურუშეთი, ტაო-კლარჯეთი, ბასიანის მხარე, არც არაბებს დაუკლიათ, არც სპარსელებს, არც მონღოლებს ამდენი ვნება არ მოუტანიათ ქართველებისთვის . მომთაბარე თურქმა ყაჩაღებმა მოტაცეს საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარი, წაართვეს რჯული, ენა და ეროვნება ამ მიწაზე მცხოვრებ ქართველებს"97.413)

რომანში ეროვნული იდეალების ჯვარისმტვირთველი არის გიორგი მეფე იგი ეომება ერთ მხრივ განდგომილ ფეოდალებს, მეორე მხრივ- ბიზანტიასა და სარკინოზებს. გარეშე და შინაურ მტრებთან ერთდროული ბრძოლა ხომ ქართული სინამდვილის მუდმივი პარადაგმაა. გიორგი რთული და წინააღმდეგობრივი ბუნებისაა. იგი გვიჩვენებს გარდატეხას ქართულ ხასიათში, ახალი აქტიური სულის შთანერგვას, მის ფორმირებას, ძველთან დაპირისპირებას"(7.414)

იგი ერთდროულად არის კეთილიც და ბოროტიც, არსებითად ამ მცნებატა მიღმა მდგარი ვითარცა დიონისური ბუნების ადამიანი, თანაბრად დაუნდობელი როგორც უცხოტა ისე შინაურ მტერთა მიმართ, უმაღლესი მიზნისკენ ფანატიკურად მსწრაფი. თვითონაც ასე აღიარებს „მე მრავალი ცოდვა მიმიზრვის ამ ქვეყნად, როგორც მეფეს ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია: ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია."(5.355)

გიორგი პირველმა სცადა საკუთარი ქვეყნის დასაცავად ყველანაირი ღონე ეხმარა, ქვეყანამ იცოდა: "სწორედ გიორგის ხმალმა გაჰკვეთა ის საბელი, რომლითაც ბიზანტიის ეკლესია ბოჭავდა ქართულს.

რომანში ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული, სხვა საგარეო მტრებთან მიმართებაზე, თუნდაც ირანთან და ოსმალებთან, იმ პერიოდში ყურადღება საგარეო პოლიტიკაზე მახვილდება, რადგან მწერალს სურდა დაენახვებინა, კონფლიქტი ერთმორწმუნე ქვეყანასთან.

გიორგი პირველი დარჩა იმად რაც ყველაზე მეტად ჭარბობდა მასში, რითაც იცნობს მას მატიანე–საქართველოს დიდ პატრიოტად.

გიორგი პირველი ხედავს მთავარს და არა დეტალებს, ეს „დეტალები" ხშირად ადამიანებია, ხოლო მთავარი საქართველოს მთლიანობა და ძლიერების იდეა.

მარიამ ჭანტურია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრატურა

აფხაზეთის ომის თემა გურამ ოდიშარიას შემოქმედებაში

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მინდიაშვილი

ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შემოქმედებაში აფხაზეთის ომის თემაზე შექმნილ პრობლემათა განსჯა-გააზრებას და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზების ძიებას ყოველთვის ეთმობოდა განსაკუთრებული ყარადღება,მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ამ პრობლემაზე ობიექტური მსჯელობისაგან ხანდახან თავს იკავებდა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების სემდგომი პერიოდის საქართველოში განსაკუთრებულ სახელმწიფოთა დასმულ პრობლემათაგან,რომრლთა წარმატებიტ გადაწყვეტა დდი ცდისა და მონდომების

მიუხედავად დღემდე ვერ მოხერხდა,აფხაზური სეპარატიზმი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია და გამოირჩევით მნიშვნელოვანი.

აფხაზეთის ომის თემა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია და ჩვენს მწერლობაში არაერთი მწერალი ეხება ამ პრობლემას.აფხაზეთი ქართ ველი ერის ტკივილია.

მე კონკრეტულად შევეხე იმ თემას,თუ როგორ აღიწერა სოხუმიდან დევნილი მწერლის გურამ ოდიშარიას შემოქმედებაში აფხაზეტის ომი.

როგორც უკვე აღვნიშნე აფხაზეთის ომის თემას უამრავი მწერალი თუ პოეტი აშუქებს. ჩემი დაინტერესება გურამ ოდიშარიას შემოქმედებით გამოიწვია იმან,რომ ეს მწერალი თვითონ იყო მომსწრე სფხაზეთის ტკივილიანი დღეებისა.ვთვლი,რომ მის შემოქმედებაში უფრო მკაფიოდ არის გადმოცემული აფხაზეთის ომის თემა.

მის ერთ-ერთ მოთხრობაში „სასტუმრო რიწა"-ში ასეთ ფრაზას ვკითხულობთ: „რიწას" სანაპიროს ქუჩის მხრიდან გაუჩნდა ხანძარი მის შუა გულში ცეცხლი ჩამქრალიყო.მხოლოდ კიდეები იწვოდა.შორიდან მეფის გვირგვინს ჰგავდა „რიწა,"იმ მეფისა,რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა და მემკვიდრე აღარ დარჩა არც მის ტახტს და არც მის სისხლში მცურავ გვირგვინს.

გურამ ოდიშარიას,როგორც სხვებს შინ დაბრუნების ერთადერთი და უძვირფასესი იმედი ასულდგმულებს.მისი ფიქრი დევნილთა ბედსა და მშობლიურ სოხუმს დასტრიალებს.მის შემოქმედებაში აღწერილი ყველა დეტალი,როგორც თვითონ პოეტი ამბობს სინამდვილეა და ყოველი პერსნაჟი რეალურად აესებობს,თუმცა ზოგიერთ მათგანს რაღაც მიზეზების გამო სახელი შეუცვალა.

გურამ ოდიშარია ეხება იმ თემას,თუ როგორ კარგავდა ერი ისტორიულად მისთვის კუთვნილ მიწა-წყალს,ქართველი ერი არა მარტო არსებობის ნიადაგს კარგავდა,არამედ იმ დიდებულ ისტორიულ სულსაც წყდებოდა,რომელიც სამშობლოში ტრიალებდა და ემსგავსებოდა მუხის მოჭრილ რტოს,რომელსაც გახმობა ვერ ასცლებოდა.

პოეტი სოხუმის დაცემას მტკივნეულად გადმოგვცემს თავის წიგნში „დევნილთა უღელტეხილი:"

„27 სექტემბერს სოხუმი დაეცა.კოდორის ხიდი ვერა და ვერ გაარღვიეს სხვადასხვა ნომრისა და მრისხანე დასახლების კორპუსებმა და ბატალიონებმა.ხალხი იძულებულია,ხსნის ერთადერთ-სვანეთისაკენ მიმავალ გზას დაადგეს.დევნილები ჩქარობენ, ვინ მანქანით,ვინ ფეხით...ცხენებითაც მიემართებიან მთებისაკენ.

წიგნში „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა" წამძღვარებულია გურამ ოდიშარიას გულში ჩამწვდომი სტრიქონები:

„ომმა გამოსცადა თითოეული ჩვენთაგანი. ჩვენ,ომის გრიგალგამოვლილებს კარგად გვახსოვს მკვლელთა და ყაჩაღთა,სულმდაბალთა და უგუნურთა ავკაცობანი და ისიც გვახსოვს, თუ როგორ აარიდეს ერთმანეთი-განსაცდელს სხვადასხვა დაპირისპირებულ მხარეს მყოფმა ადამიანებმა,როგორ შენარჩუნეს მათ ომის დამრთგუნავ საშინელებში სულის სიმაღლე,რაინდობა,ღმერთისა და კაცის სიყვარული.

მომავალმა თაობებმა ყველაფერი უნდა ცოდეს ომის სისასტიკეზე და, ამავე დროს იმ ნათელი სულის კაცებზეც, რომელთანაც როგორც ყოველ დროს და ყველგან ,აფხაზეთშიც დამარცხდა ომი ..."

ბოლო წელიწადნახევარში გურამ ოდიშარიამ თბილისშ ორი წიგნი გამოსცა „დევნილთა უღელტეხილი" და პოეტური კრებული „სონეტა სოხუმზე და შენზე."იგი ორივე წიგნში უმთავრეს სატკივარს-დევნილტა ბედსა და მშობლიურ სოხუმს დასტრიალებს.

„დევნილთა უღელტეხილი” მხატვრულ-დოკუმენტური პროზაა და მასში მძაფრადაა აღბეჭდილი ის კოშმარული დღეები მშობლიურ კუთხიდან გამოძევებულმა მოსახლეობამ ტომ გადაიტანა **საკენ ჭუმბერის უღელტეხილზე**...

წიგნში „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა” მწერალი გვესაუბრება მშობლიური კერის მონატრებაზე, ომგამოვლილ ადამიანებზე, ომზე და მსვიდობაზე,სიძულვილზე და სიყვარულზე.

რაც შეხება წიგნს „სოხუმში დაბრუნება„ აქ,გ.ოდიშარია ომის წინა ზაპხულს იხსენებს და გვიამბობს ბოშა ქალზე,რომელმაც სოხუმში,სასტუმრო „ინტურისტის„ ყავახანაში უმკითხავა;„გავა ერთი წელი და შენ ამ ქალაქში არ იცხოვრებ....ნუ გეცინებადა კიდევ საოცრებები გელოდებაო...„ერთი წლს შემდეგ,ბოშებმაც დაოვეს სოხული,ახლა ყველა საოცრებათა მოლოდინშია...„

„სოხუმში დაბრუნება„აგებული ქართველი ერის მოუშუშებელ იარაზე,რომელც მოსვენებას არ აძლევს მათ.

ფიქრობ,ამ წიგნის სათაური მრავლის მთქმელი და ერთგვაი წიგნის დედაარს გამოხატავს,სადაც არ უნდა იყვნენ აფხაზეთიდან დევნილების გულს უხილავი რაფებათ მობმული არიან მშობლიურ კერაზე,წინაპართა საფლავებზე,ისინი ხომ,აქედანაც,მშობლურ სახლების ფანჯრიდან უმზერენსამყაროს.

გ.ოდიშარია თავის წიგნში„სოხუმში დაბრუნება„„რომელიც 1999წელს გამოსცა თბილისში ასეთი სიტყვებით იწყება:„ჩვენ მოგვატყუეს,მტინგებით,შეძახილებით....„

ქართველმა მწერალმა სოხუმი 1993 წლს 27 სექტემბერს დატოვა,სხვებთან ერთად კოდორის ხეობა ფეხით გამოიარა,თუმცა არც მთრის ხათი შეუქმნია და არც შურისძიებაზე უფიქრია.

ზემოთ ხსენებულ წიგნში გ.ოდიშარია ამერიკელი მეცნიერის ჯონ ლალის დელფინის სიკვდილის წინა ფრაზას იხსენებს:„ჩვენ მოგვათყუეს„ და თავადაც აღიარებს,რომ მოტყუებულია ქართველიც და აფხაზიც,ის ვინც შურის ძიებაზე ფიქრობს და ისიც ვინც გამარჯვების მორიგ წლისთავს აღნიშნავს სოხუმში.

Iმის გააზრება რომ მოტყუებული ხარ საკუთარი შეცდომის აღიარებასაც გულისხმობს.

ხატვრულ-დოკუმენტურ ნაკვეთში „დევნილთა უღელტეხილი„პოეტი წერს:„მსვიდობიან ჯამს მხოლოდ ერთეულები გრძნობენ სიყვარულის სიდიადეს,უმრავლესობას კი ჩვენდა საუბედუროდ,თურმე რაღაც დიდი გასაჭირი სჭირდება თვალს ასახვევად ...და სწორედ,რომ ამ „თვალის ახელვას„ანუ კათარზისს ჰგავს სოხუმელი მწერლის პროზა.იგ დარწმუნებულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მხოლოდ მასინ მოგვარდება,როცა დაპირისპირებულ მხარეებსი „კათარზისის ნება„ გაჩნდა.ტუმცა რატომ გაჩნდა?გ.ოდიშარიას ტქმით,ჯერ კიდევ ომის დროს უამრავმა ქართველმა და აფხაზმა დასზლია თავის თავში მტრის სახე ან უ რალოდ განგებამ დააძლევინა.

ქართველ-აფხაზურ თემაზე არა ერთი წიგნი დაიწერა,სპექტაკლი დაიდაგა,ფილმებიც გადაიღეს,თუმცა მნისვნელოვანი ნაწარმოები,რომელსაც მსოპლიო გამოეხმაურებოდა ჯერ კიდევ არ შექმნილა.შესაძლებელია ეს მაშინ,მოხდეს,როდესაც დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს გ.ოდიშარიას თქმის არ იყოს „თვალებში ჩახედავენ.„

ღმერთმა ქნას ჩვენი სატკივარი უმწარეს,მაგრამ მხოლოდ მოგობით იქცეს და ჩვენი თანამემამულენი დაუბრუნდნენ თავიანთ კუთხეს,სადაც დროდადრო მხოლოდ ოცნებებში,მხოლოდ ფიქრებში,მხოლოდ სიზმრებში ბრუნდებიან ...

გამოყენებული ლიტერატურა:

1.გ.ოდიშარია „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა„
2.გ.ოდიშარია„სოხუმში დაბრუნება.„

თეა ბაღათურია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრატურა

ომისდროინდელი საფელი მე-20 საუკუნის ქართულ პროზაში

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მინდიაშვილი

სამამულო ომის თემა, როგორც მწერლებისა და პოეტების მხატრული შთაგონების წყარო არ გამქრალა ომთან ერთად. ომის შემდგომ ქართულ ლიტერატურაში აღნიშნულ თემაზე ქართველი პროზაიკოსების მიერ შექმნილია შესანიშნავი თხზულებანი რომელთა შორის ღირსეული ადგილი უკავია ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას.

ნოდარ დუმბაძე ქართველი მწერლების იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებიც ეხმარებიან ადამინას ახალი სამყაროს შესწავლასა და შეცნობაში. მისმა პროზამ პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის გარეთაც. მთელი მისი შემოქმედება და ცხოვრება ქართველი ერისა და ქვეყნის სიყვარულშია დახარჯული. ეს ეროვნული ტრადიციების მხატვარი ერთნაირად ახლობელია, როგორც მშობლიური ისე სხვა ხალხებისათვისაც. იუმორის დახელოვბულმა ოსტატმა ნოდარ დუმბაძემ ერთბაშად, პირველივე რომანით "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" დაიპყრო მკითხველთა გულები. მე უკვე საყოველთაოდ აღიარებული მწერალი ვიყავი როცა მწერალთა კავშირში მიმიღესო- იტყოდა ხოლმე. მისი ნაწარმოებები წაკითხვისთანავე იუმორის გრძნობით გვათბობოს. ლაღი, თბილი, იუმორი მკითხველის მძიმე ემოციების შესამსუბუქებლად არის მოხმობილი, რადგან დუმბაძის პროზას სამამულო ომით დამძიმებული სოფლის ცხოვრების მაჩვენებელი სურათებიც ძაბავს. მწერლის პერსონაჟები წიგნის ფურცლებიდან გადმოდიან ცოცოხლად, ხორცშესხმულად და თანაგრძნობისა და სინანულის გრძნობით გვავასებენ. საბრძლო ეპიზოდებს თავის ფრონტალ ნაწარმოებებში მწერალი საერთოდ არ გვიჩვენებს იგი გვიხატავს ომის ულომობლობისაგან დაზარალებული, დამწუხრებული ადამიანების ცხოვრებას, სოფლად მათ მიზნებსა და მისწრაფებებს.

ნოდარ დუმბაძემ არაერთი ნაწარმოები უძღვნა ომისდროინდელი სოფლის ცხოვრების ასახვას, რითაც ომის საშინელება დიდი შთა მბეჭდაობით განგვაცდევინა. მათ შორის აღნიშვნის ღირსია სამამულო ომისდროინდელ ცხოვრებაზე დაწერილი რომანი, "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" იგი მწერლის პირველი დიდი წიგნია თვალსაჩინო მხატვრულ ესთეტიკური ღირსებებით, გამოირჩევა კომიკური ელემენტების მაქსიმალური გამოყენებით, მდიდარია სატირიულ-იუმორისტული ასხვის ფორმებით, ამასთა ნ ერთად ავტორი ნაწარმოებში შემაძრწუნებლად გვიჩვენებს სამამულო ომის სუსხიან დღეებს. ომის გამო უჭირდათ რომანის მოქმედ გმირებს, რომლებიც ხუმრობებით ერთმანეთს ამხნევებდნენ.

ნაწარმოების გმირის ახალგაზრდა ზურიკელა ვაშალომიძის ბავშვობის ხანა ომით არის დაღდასმული. მას საკუთარ თა ვზე მეტად უყვარს აღმზრდელი ბებია ოლღა და მოხუცი მეგობრები ილიკო და ილარიონი, ახარებს მათი ხშირი სტუმრობა მის ოჯახში, მაგრამ ყოველივე სიხარულს ამძიმებს ომის საშინელება.

აი, ილიკო ესტუმრა ზურიკელას და ბებია ოლღას ოჯახში. ზურიკელა მხიარულად შეხვდა სტუმარს, ბებია ოლღამაც გულთბილად მიიღო, საჭმელ-სასმელით გაუმასპინძლდა, მაგრამ სიხარულს უცებ ცვლის სამწუხარო ამბავი, რომელიც ილარიონმა მოიტანა. ავტორი ასეთი სტრიქონებით აგებინებს მკითხველს ამ შემზარავ ცნობას: “დღეს ჩვენი ფოსტალიონი იყო ჩვენთან, გერასიმეს ბიჭის დაღუპვის ცნობა მოიტანა. მე ვერ ვეტყვი, შე ნ უთხარიო, მითხრა ილარიონმა. ნაწარმოებიდან ვგებულობთ რომ ეს უკვე მეშვიდე ცნობა ყოფილა სოფელში. გერასიმესათვის ილარიონს შვილის დაღუპვის ამბავია არ შეუტყობინებია. ფოსტალიონის მიერ მოცემული ქაღალდი ბუხარში შეადო და დაწვა. გერასიმე ყოველ დღე ელოდა შვილს და ეს ლოდინი მას სიცოცხლის ბოლომდე მ,ოუწევდა(ნდ.ტ1 1982წ,გვ.41).

სოფლის ერთსულოვნება, ჭირთათმენა, უდრეკი ნებისყოფა რომანის გმირების უსაზღვო სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი, თა ვდადების შინაგანი მზადყოფნა ნათელია მკითხველისათვის. ამის სარწმუნოდ თუნდაც ის ერთი ეპიზოდიც იკმარებს რომანიდან როცა სოფელი ფრონტელთათვის საჩუქრების გასაგზავნად აფუსფუსდა. ნაწარმოებში ავტორს ოსტატურად შემოყავს სოფლის აგიტატორი გიორგი ვაშაკიძე. მისი მოსვლა ოლღა ს ოჯახში და ფრონტის ამბების გამოკითხვა ერთი იყო. ფონტის ამბები პირველად ილარიონმა გამოკითხა აგიტატორს. ვაშაკიძემ შემდეგი პასუხი გასცა მათ: “ამხანაგებო სამშობლო გასაჭირშია, ვერაგი მტერი თ ავისი სისიხლიანი ხელებით ეპოტინება ჩვენს ქვეყანას, ჩვენი სახელოვანი წითელი არმია გმირულად ებრძვის ფაშისტურ ხროვას წითელარმიელთათვის საჩუქრებს ვაგროვებთ თქვენც ხომ არ შეგვეწევით რამეს, თქვა აგიტატორმა. მაინც რა საჩაუქრები გინდათ გაუგზავნოთ იკითხა ილიკომ.

“ყველაფერი.ხილი,თბილი ტანსაცმელი,ხელთათმანი, წინდა ვისაც რა შეუძლია, თუ რამეს მოაგროვებთ აქ მოიტანეთ ოლღასთან.თქვა აგიტატორმა და წავიდა. მ ისი გასვლის შემდეგ ოთახში სიჩუმე დაისადგურებს. ველსა თვალწინ წარმოუდგება ფრონტის ხაზზე მებრძოლი შვილი, ძმა, ,მეგობარი, მებრძოლებს ზურგის გამაგრება სჭირდებოდათ და ყველა იმის ფიქრში იყო თუ ვის რა გაეგზავნა სამშობლოს ერთგული შვლიებისათვის საჩუქრად. ილიკომ თა ვისი ერთად ერთი ნაბადი შემოატანინა ზურიკოს ფრონტზე გასაგზავნად. ეს ის ნაბადი იყო, რომელიც ილიკოს საბნად ეხურა და სიცოცხლეს ერჩია.(ნ.დ. ტ 1,1982წ, გვ 43).

ილიკოს საქციელში ვლინდება ქართველი კაცის ბუნება, ერთსულოვნება და სიალალე,რომელიც ყოველ ადამიანს უნდა ახასიათებდეს.ბებია ოლღა თა ვისი სასთუმლის მხრიდან ლეიბს გაარღვევს, სითბოს მოიკლებს და თა ვისი მოხუცი სხეულით გამთბარი მატყლით წინდის ქსოვას შეუდგება ზამთ რის ცივ ღამეში. მისი სახით ავტორი აცოცხლებს ქართველი დედის შესანიშნავ სახეს, რომელიც სამშობლოს სადარაჯოზე მდგარი ვაჟკაცებისათვის არაფერს იშურებს.

ომისდროინდელი ცხოვრების მხატრულ გაშუქებას იძლევა ნოდარ დუმბაძე მეორე რომანში “მე ვხედავ მზეს” მასში ყველაფერი ომითაა დამუხტული. სულისკვეთება, განწყობილება მიზანი,ადამინათა ცხოვრების სტილი ომს ემორჩილება. ავტორი აღგვიწერს სოფლელი ვაჟკაცების ჯარში წაყვანის სურათს.შემზარავი ფერებითა ა დახატული მთელი არსი ადამიანთა დაცილებისა. თხრობა ლირიკული იუმორით არის გამთბარი. იუმორით, რომელიც გვაგრძნობინებს, რომ ხალხს უმძიმეს ვითარებაშიც არ დაუკარგავს სიცოცსხლის წყურვილი და იმედი. ბრძოლის ჟინი და რწმენა მის გამარჯვებაში. გამარჯ ვების მოსაპოვებლად საჭირო იყო მებრძოლი ჯარისკაცების ზურგის გამაგრება. ყელა თავგამოდებით შრომობდა შრომაში გამოირჩეოდა უსინათლო ხატია შალიკაშვილი, მას კარგად ესმოდა , რომ ახლა

შრომა ორჯერ მეტი იყო საჭირო. შეგნებული ჰქონდა, რომ მხოლოდ ზურგისა და ფრონტის ერთიანობა წარმოადგენდა გამარჯვების საწინდარს. რომანში სათნოებითა და კლდემამოსილებით გამოირჩევა მასწავლებელი ქალი ქეთევანი. საინტერესოა მისი სახე , როგორც ჭეშმარიტი პატრიოტისა. სამშობლოს დღევანდელი დღის რეალური გრძნობა შექმნილ ვითარებაში პასუხისმგებლობის ამაღლება, განუზომელი სიკეთე, სიკეთით ბოროტების დამაცხება თავისი ხალხისა და სახელმწიფოსადმი რწმენა და სიამაყე ყოველივე ამის განასახიერებას წარმოადგენს მისი როლი რომანში. ნაწარმოებში სოსოია მამალაძე ავტორს გამოყავს, როგორც დადებითი პიროვნება, მაგრამ მის მიერ დაშვებულმა შეცდომამ ნაკლოვანი მხარეც გამოავლინა. იგი მიზეზი ხდება ბეჟანას მკვლელობისა და ამას თვითონვე არიარებს “მე მოვკალი ბეჟანა მე, რომ არ გამეხელებინა არაფერს არ იზამდა” ბეჟანას სიკვდილი ტრაგიკული ფაქტია მკითხველისათვის, რადგან იგი ნაწარმოებში გამოჩენისთანავე კეთილი ბუნებით, მაღალი ზნეობრივი სულისკვეთებით, კეთილშობილებით მკითხველის სიყვარულს იმსახურებს.

ნაწარმოებში მძაფრი ფერებითაა დახატული ომისდროინდელი ცხოვრება და სიღარიბე.ამის დასადასტურებლად იმ ეპოიზოდის გახსენებაც იკმარებს რომანიდან როცა სოსოს მამის ქურქი და ჩექმები მიაქვს სიმინდზე გასაცვლელად ხატიასთან ერთად. ნაწარმოებში ხატიას მიერ მზის დანახვა გადარჩენის, გამარჯვების რწმენის სიმბოლოა.

მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ლიტერატურაში სიყვარულის საკითხის გაშუქებას განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა. გმირ მებრძოლებს სიყვარული სიკვდილის შიშს ავიწყებდა. სიყვარულის საკითხს მეტ-ნალლებად ეხება ნოდარ დუმბაძე შესანიშნავ რომანში “მე ვხედავ მზეს” მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებში ყველაფერი ომითაა დამუხტული, გაკვრითაა არწერილი დათიკო ბრიგადირისა და ქეთო მასწავლებლის დრამატული რომანი, რიმელიც ტრაგიკულად მთავრდება. ფრონტის გზიდან უკან მობრუნებული დათიკო შეიძულა ქეთევანმა, იგი მთელმა საზოგადოებამ გარიყა. დათიკო უარყოფით პიროვნებად გვევლინება. მწერალი მას ზნეობრივად გამარჯვებულად თვლის მას შემდეგ როცა დათიკომ სიცოცხლე გასწირა და მდინარეს გამოსტაცა ხატიას სიცოცხლე. ხატია ფიზიკურად გადარჩა, დათიკომ ზნეობრივად გაიმარჯა.ნაწარმოებში მწერალი შესანიშნავად აღგვიწერს სოსოიასა და ხატიას წრფელ გრძნობას. ბესარიონ შალიკაშვილის ხატია დაბადებიდან ბრმა იყო. როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ხატია სხვებთან ერთად შრომობდა სოფლად, ფრონეტელი მეგობრებისათვის ზურგის გასამაგრებლად. იგი შინაგანად ხედავს მზეს და სოსოიას. ისინი უერთმანეთოდ ვერ ძლებენ, ერთად იზიარებენ ცხოვრების ჭირ-ვარამს და ერთნაირად იშუშებენ ომის მიერ მიყენებულ ჭრილობებს. ასე შესანიშნავად იხილავს მწერალი ნოდარ დუმბაძე სიყვარულის საკმითხს თავის რომანში. ეს ნაწარმოები ერთ-ერთი უნიკალური ქმნილებაა თანამედროვე ქართული პროზისა.

ომისდროინდელი სოფლის ცხოვრებაა გადმოცემული ნოდარ დუმბძის შესანიშნავ მოთხრობაში **“ნუ გააღვიძებ”** გაჭირვება და სიღატაკე განუყოფელი თანამგზავრია მოთხრობის გმირებისა. ყველას უჭირდა, მაგარმ არა ერთნაირად. საერთო გასაჭირი სისიხლიანი ომი იყო. ომმა აურაცხელი გაჭირვება დაატეხა თავზე ხალხს.ფრონტის ხაზზე მყოფი ჯარისკაცი სისიხლის ზღვაში მისცურავდა, შინ დარჩენილები შიმშილით იხოცებოდნენ. ტიტანური შრომის მიუხედავად, სოფელი მაინც დამშეული იყო. ზოგი ოჯახი ძაძებში გაახვია ომმა ზოგს, არც შავი სუდარა აკმარა და არც შიმშილი. ხალხი იძულებეული იყო უკანასკნელი რაც გააჩნდათ ის გაეყიდათ ლუკმა პურისათვის. გაჭირვებამ კუკურას და მის დას ნათელას მარჩენელი ძროხა გასაყიდად ბაზარზე გააყვანინა. კუკურას დიდი სურვილი აქვს გაყიდოს ძროხა, რათა დროებით

აიცილოს შიმშილი, მაგრამ იგივე ძროხის დაკვლის წინააღმდეგია. როცა გაიგებს, რომ ანანიას ძროხა ნადისთვის უნდა დასაკლავად ავიწყდება სიღარიბე, უბრუნებს ფულს და ძროხა უკან მიყავს სახლში. კუკურასა და ანანიას სახით დაპირისპირებულია სიღარიბე და სიმდიდრე ერთმანეთთან. ხალხის სიღარიბისა და გაჭირვების მიზეზი კი ომი იყო, რომელიც ქარიშხალივით მძვინვარებდა იმ დროს.

მნიშვნელოვანია ნოდარ დუმბაძის მოთხრობა **"ძაღლი"** ამ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი მეორე მსოფლიო ომის დროს მოხადა. მასში მათელი სიმძაფრითაა ნაჩვენები ომის სუსხის მიღწევა სოფელში, ამასთანავე შესანიშნავადა მოთხრობილი ცხოვრება უპატრონო ძაღლისა, რომელიც მებუფეტემ დამდუღრა ხოლო მოხუცმა უპატრონა და მოარჩინა. სიკვდილსაც მოხუცმა გადაარჩინა, წინ არუფდგა სოფელს ძაღლი რომ ეხსნა. მოხუცის სიკვდილის დღეს ძაღლი სახლში შედის და ტახტზე დასვენებულ კუბოს მიადგება სადაც მოხუცი ესვენა. აქაც ისევე, როგორც მის უმეტეს ნაწარმოებებში სიცოცხლის მუდმივ თნამგზავრად ჩანს სიკვდილი მოთხრობის ფინალში ობოლი გოგიტა სულ მარტო რჩება ბაბუაც უკვდება, მაგრამ ფინალი მაინც იმედით არის აღსავსე, რადგან სიცოცხლე მარადიულია და ამას მწერალი მისთვის ჩვეული ძალით და ტაქტით ახერხებს.

"სოფელს გავხედე, ოდებიდან კვამლი ამოდიოდა თეთრ ბოლქვებად, მამლები ყიოდნენ, ძროხები ბღაოდნენ, თხები პეტელობდნენ, ქათმები კრიახობდნენ, კონცხუალზე უზარმაზარი მზე შემომდგარიყო უცებ სხეული სითბოთი ამევსო და ყურებში სასიამოვნო ზარმა დარეკა."

მწერლის ყოველ რომანსა და მოთხრობას, რაოდენ მძიმე განცდებსაც, არ უნდა გვიზიარებდეს იგი, მუდამ იმედიანი ფინალი აქვს, რადგან ავტორის ღრმა რწმენით, ადამინი, მზე, სიცოცხლე მარადიულია.

მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ათეული მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ტრაგიკულ მოვლენად რჩება კაცობრიობის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ომის წლებში საქართველოზე ფრონტის ხაზი არ გადიოდა და არც მტრის ზურგში აღმოჩენილა მისი ტერიტორია, ყველა ქათული ოჯახის უბედურებად იქცა. ვინაიდან როდესაც მტერი ვერაგულად დაგვესხა თავს საქართველო სხვებთან ერთად შეება მას. ასე გახდა საქართველო ომის მონაწილე და დიდი სამშობლოს მიწა-წყლის დამცველი.

სამამულო ომზე და მის საშინელებაზე ბევრი რამ დაწერილა. ნოდარ დუმბაძემ ახლებური თვალთახედვით დაგვანახა, განგვაცდევინა და წარუშლელად აღბეჭდა ჩვენს ცნობიერებაში ის უდიდესი უბედურება, რაც ომმა მოუტანა კაცობრიობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ნოდარ დუმბაძე ტ.1 1982წ

2. ავთანდილ ნიკოლეიშვილი -მე-XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი 2002წელი

3. თორდია თამაზ -ომისდროინდელი სოფელი თანამედროვე ქართულ პროზაში სადისერტაციო ნაშრომი(06.03.1998წელი)

თეონა ქურთოული

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

ოთარ ჩხეიძის პოსტსაბჭოური რომანი 2001 წელი

ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი

XX-საუკუნის 90-იან წლებში ქართული ლიტერატურა კიდევ ერთხელ დადგა არჩევნის წინაშე. ეს კვლავაც გახლდათ ორიენტაციის არჩევის აუცილებლობა, ანუ ქართულ მწერლობას და თითოეულ ქართველ მწერალს უნდა გადაეწყვიტა, თუ საით, რომელი კულტურული თუ ცნობიერი სივრცისკენ მიმართავდა თავის სულიერ, შემოქმედებით თუ მსოფლმხედველობრივ ძიებას.

ერთადერთ მისაღებ კულტურულ სივრცედ გამოცხადდა საბჭოური დახშული სივრცე და ერთადერთ ჭეშმარიტ ცნობიერად - საბჭოური, იდეოლოგიზირებული, მატერიალური ცნობიერება, რომლის ფონზეც ხელოვნების საარსებო არეალი უდა გამხდარიყო მხოლოდ სოციალისტური რეალიზმი, ან ფსევდო-რეალიზმი, როგორც მას დღეს შეიძლება ვუწოდოთ. კულტურის, ისევე, როგორც ცნობიერების პროცესებზე ძალმომრეობა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ განსაკუთრებით პირველ ათწლეულში ის ხორციელდებოდა არა მხოლოდ შემოქმედებითი ან მორალური, არამედ თვით ფიზიკური ძალადობის სახითაც.მაგრამ რადგანაც ხელოვნების ძალმომრეობითი მართვა რამდენიმე ათწლეულს გაგრძელდა და მეთოდებიც უფრო ცივილიზებული გახდა, სრული სახით ვერ მოხერხდა კონტროლი ცალკეულ მწერლებზე, რომლებიც ამჯერად არა დაჯგუფების ან თუნდაც, თაობის სახელით,არამედ ინდივიდუალურად, საკუთარი თავის წინაშე, ანუ საკუთარი შემოქმედების ფარგლებში ახორციელებდნენ კულტურულ და ცნობიერ არჩევანს, რაშიც, ბუნებრივია იგულისხმებოდა საბჭოური კულტურის დახშული საზღვრებიდან გაღწევა და ამა თუ იმ ფორმით თანადროული თუ კლასიკური კულტურული სივრცეებისკენ გზის გაკვლევა. თუკი კულტურის სივრცედ მივიჩნევთ იმ არეალს, რომელიც იქნება ადამიანის მხატვრულ-შემოქმედებითი თუ შემოქმედებისადმი აზროვნებით-ანალიტიკური მოღვაწეობის შედეგად, ხოლო ცნობიერების სივრცედ-იმ არეალს, რომელსაც ინდივიდი ან საზოგადოება ქმნის რეალობის, გარე სინამდვილის აღქმა-გაცნობიერებებისა და

სინამდვილეში საკუთარი ადგილის გამოკვეთის შედეგად, მაშინ ცხადი იქნება, რომ ნებისმიერ კულტურულ არეს შესაბამისი ცნობიერი პოზიციაც განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით ხელოვანთა მცდელობაა, თავიაანთი საქმიანობა მოექციათ ამა თუ იმ საბჭოურ კულტურულ სივრცეში, რომ მათი ცნობიერი პოზიციაც არასაბჭოური ყოფილიყო. მეორე მხრივ, თუ კი ხელოვანი შეიმუშავებდა საბჭოური იდეოლოგიისადმი დაუქვემდებარებელ ცნობიერ პოზიციას მისი შემოქმედებითი ძიებებიც, ცხადია, საბჭოური კულტურისათვის იდეოლოგიის მიერ მოხაზულ საზღვრებს შორის გასცდებოდა. არავისთვის არ იყო დაფარული, რომ საბჭოთა პერიოდში გაბატონებული ძალების მიერ კულტურის, ხელოვანების პროცესების მართვის სურვილი გულისხმობდა კიდეც როგორც ხელოვანის, ასევე აღმქმელი საზოგადოების ცნობიერების მართვას..

XX საუკუნის 50-იან წლებში კომუნისტური იდეოლოგია ცდილობდა ქვეყნის კულტურის მოწყვეტას მოდერნიზმის არეალისაგან, რომლის ზეგავლენაც საუკუნის დასაწყისში დაწყებული მძლავრი პროცესების გამო საკმაოდ დიდი მსხვერპლის ფასად დაძლია. XX საუკუნის 50 -იანი წლებიდან კი სოციალისტური რეჟიმი უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენდა, რომ საბჭოურ კულტურაში ძნელი შემოსაღწევი ყოფილიყო თანადროული კულტურული პროცესების გამოძახილი, რაც „რკინის ფარდის'' წყობით ხორციელდებოდა კიდეც. ამდენად, მეოცე საუკუნის კომუნისტურ სივრცეში საბჭოური კულტურული ორიენტაციების დანგრევა და შენარჩუნება საკმაო ძალისხმევით ხორციელდებოდა და ,მეორე მხრივ, ხელოვანთა მხრიდან არანაკლებ ძალისხმევას მოითხოვდა ამ ორიენტაციებისაგან გათავისუფლება, თავისუფალი კულტურული არჩევნის გაკეთება.

90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში ვითარება შეიცვალა. პოლიტიკურ ცვლილებებს, ცხადია, ცნობიერი და კულტურული ცვლილებები მოჰყვა; იდეოლოგიური რჩევა კულტურულ პროცესში გაუქმდა. ორიენტაცია საბჭოური ცნობიერებიდან ზოგად ადამიანური ცნობიერებისაკენ, საბჭოური კულტურიდან მსოფლიო კულტურული სივრცისკენ, რაც ცალკეული ინდივიდთა მიერ შინაგანად განხორციელებული იყო კიდეც, ნება დართული და სავალდებულოც

კი გახდა ყველასათვის, ყოველი მწერლისა და ყოველი მკითხველისათვის, მთელი პოსტსაბჭოური კულტურისათვის.

„ყველასათვის ცნობილი სოციალური ძვრები, ცხადია, ცნობიერების ტიპების ურთიერთდაპირისპირების ფონზე უნდა იქნას გააზრებული, მაგრამ ამ დაპირისპირების სიმწვავე ქართულ ლიტერატურასაც გადასწვდა. გარკვეული თვალსაზრისით ქართულ მწერლობას ბრალად დაედო საბჭოური ცნობიერების ერთგულება. იმ მწერალთა მიმართ, ვინც თავისი შემოქმედებით სწორედ ამ ცნობიერებას ეწინააღმდეგებოდა და თავისი ნაწარმოებებით ქმნიდა კიდეც საბაჭოური ცნობიერებისაგან თავისუფალ სივრცეს,მსგავსი ბრალდებების წაყენება თავისთავად ირონიული ფაქტია. ამავე ხანებში გამწვავდა კიდევ ერთი თემა - ეროვნული იდეების ერთგულება ლიტერატურაში, რაც თავისი არსით ცნობიერი პრობლემაა, მაგრამ შეიძლება იქცეს კულტურულ პრობლემად, თუ რადიკალურად იქნება გაგებული და გადაიზრდება კულტურული სივრცის დახშვის მოთხოვნაში. პოსტსაბჭოური პერიოდის დასაწყისში ქართულ მწერლობას ანტიეროვნულობაშიც კი დაედო ბრალი, რაც ასევე არანაკლებ ირონიული ფაქტია, რადგან შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში სწორედ ეროვნული იდეა მოექცა ფასეულობათა სისტემის სათავეში. ქართველ მწერალთა უმთავრეს მხატვრულ-გამომსახველობით ამოცანად იქცა იმ შეფარული, ალეგორიული ფორმების ძიება, რომელთა მეშვეობითაც ეროვნული თავისუფლების იდეა მკითხველამდე უნდა მისულიყო. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდის ქართულმა მწერლობამ, უმთავრეს მისიად აღიარა ეროვნული იდეის გამოზრდა, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ქართველ მკითხველში სულიერი და ცნობიერი თავისუფლების აღზრდა. ანტიეროვნულობის ბრალდებები, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში ქართველ მწერალთა მისამართით გაისმა, თავისი ხასიათით სოციალური რიგის მოვლენაა, მაგრამ ეროვნული პრობლემების აღქმის სპექტრის ცვლილება ამ წლების ლიტერატურაში წმინდა მხატვრული თვალსაზრისით აღიბეჭდა.

ოთარ ჩხეიძის რომანს „2001'' წელს ავტორს ასეთი წინასიტყვაობა აქვს, რომლითაც ფაქტიურად ნაწარმოების მთელი სიუჟეტი იხსნება. „2001 წელი ახალი ათასწლეული. იმედების ახალი მსხვრევა....იგივე ტლაპო, იგივე ტალახი,

იგივე ჭირი მოუშორებელი: გარედან ჭირი შიგნიდან ჭირი. ვაგლახ იმედთა აღუსრულებელთა! ვაგლახ სიკეთეო ძლეულო და ატალახებულო!'' [3;3]

სწორედ რომ შემაცბუნებლადაა ასახული რომანში ეპოქა,სადაც გაუსაძლისი ხდება ყოფა და ძნელდება დარჩენა ოპტიმისტად.

„საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება რომ წაერთმია მწერლისათვის ბოლშევიკურ ხელისუფლებას,აღარც ზნეობრივი, მორალური ზემოქმედების ძალასა და საშუალებას უტოვებდა და თითქოს.. თითქოს ხალხს აღარც შერჩენოდა მოკრძალება მწერლობის წინაშე, და გამქრალიყო იდუმალი ურთიერთობის ძაფი ხალხსა და მწერალს შორის.

რაღაც მაინც უნდა დარჩენილიყოო,-იმედოვნებით იმედოვნებდა. „ ეს რა ბედენაა შრომაი ჩვენი, ჯახირი ჩვენი, იმედი ჩვენი?! ისე რიღასთვის გადავიკიდეთ ხელისუფლება, რიღასთვის ჩავბმულვრთ ამ უთანასწორო, ამ გაუგონარ ბრძოლასჰია,რიღასთვისა ჰა, თუ არავის ესმის, თუ ვერავის გულსა და გონებას მივწვდომილვართ, რისთვისა ჰა?! მწერლობას წაერთვა ზემოქმედების ძალა და საშვალებანი, სულ წაერთვა თუ ხალხს წაერთვა უნარი ეროვნული თვითშეგნებისა?! დაე ისევ მწერლობას წართმეოდეს, ხალხს თუ წაერთვა, დავღუპულვართ გარდუვალადა, დაე ისევ მწერლობას წართმეოდეს, მწერლობა ისევ მოიცავს ძალასა, ერი ვეღარა,ერი ძუძუა, ძუძუ თუ დაშრა, ვიღას გამოკვებავს, ვიღას გამოზრდის?! ვეღარავისა, ვეღარარასა!..

თითქოს ხელისუფლებას უკვე მიეღწია თავისი მიზნისათვის-გამოეფიტა ადამიანი, გადაექცია მანქანის დანამატად... მაგრამ: „კვლავ იგრძნობა ჩუმი დრტვინვა, რაღაც უჩვეულოდ ჩუმი და უჩვეულოდ მძვინვარი, მაგრამ თუ არ მიეცა საშვალება გადმოხეთქვისა, ჩაკვდება დრტვინვა, ჩაკვდება, ჩაიკარგება. სიმცირე რომ ღუპავდა ჩვენს ერს? მაშ ისევ რუსი უნდა გამოფხიზლებულიყო, უნდა მიმხვდარიყო: ვიღუპები და ეგაა, თუ კიდევ დიდხანს გასტანს კომუნისტური მმართველობა და ბოლო არ მოეღება ამ ტოტალურ სიცრუესო.ის თუ დაიღუპებოდა , ჩვენ რაღა გვიხსნიდა, თან გადავყვებოდით და ეგაა. - ეჰეი, თავისუფლების ნათელო დღეებო თუ დავიწყებულო ოცნებებო!.. და მოწოდება დააგვირგვინებდა იმ დღის ჩანაწერს: - რომი უნდა დაანგრიოს რომმა...აკი

ერთხელ უკვე დაანგრია რომმა რომი ანუ რუსეთმა რუსეთი: 10-იანი წლების მიწურულს და გვბოძებდა 117 წლის ნაოცნებარი დამოუკიდებლობა. კვლავ ის ჟამი უნდა განმეორებულიყო. თვითონ თუ მოესწრებოდა, ეს არ სჯეროდა,თორემ ამ ჟამს ისევ რომ ეწერა დადგომა, ამ ოცნებაში დანთქმული მიჰყვებოდა თავის გზასავალს და ემსუბუქებოდა გაწამებული ყოფაც და მემატიანის ტვირთიც". [2; 607]

ოთარ ჩხეიძის მთელი შემოქმედებიდან კარგად ჩანს რომ მთელი მისი გონება და ფიქრი ქართველს დასტიროდა.. ეს ფიქი უფრო გამძაფრებულა, რადგან თუ „ქართველი ქართველით იძლივება, შველაც ქართველიდან უნდა მოვიდეს. სწორედ ჩვენი მემკვიდრიდან, თაობიდან თაობას სამაგალითოდ ვუსახავთ. საქართველოშიც გმირის დამბადი დიდი საგანი სპობილა და წარწყმენდილა, სწორედ რომ გმირების ნაკლებობას არ განიცდის, ვეღარ გაგვიგია ვის უნდა ვუწოდოთ გმირი? სწორედ ამიტომ და გმირების საასპარეზოდ ქცეულა საქართველო და ქართველები. ყველა იმ უბედურობებთან ერთად უშუქობა, უგაზობა, უმუშევრობა, უფულობასთან ერთად სახელმწიფოებრივობის აზრი დაკარგულა. რომ მიჩქმალულა ხედვა სახელმწიფოსი. დამოუკიდებლობის შიში რო შთანერგილა, უმწეობის განცდა რო შთათესილა". [8;90]

მისუსტებული საქართველოს დასანგრევად ორ საუკუნეზე მეტი იღვწვის რუსეთი. რომელსაც თავისი სიდიდე ქცევია ტრაგიზმად.

„ვინც თუ რამან შეაწუხოს, მოუაროს ყველამ თვისსო''-ეს რუსთველური სტრიქონი წამძღვარებოდა ეპიგრაფად „2001 წელს'' და იოლი ამოსაცნობია, რასაც გულისხმობს რომანის ფონზე ეს მინიშნება.

არას არგებდა საქართველოს სულიერხორციანად შეთავაზება საკუთარი თავისა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. რუსეთს ხომ აუცილებლად უნდა გამოვხსნოდით, ეს უდაო გახლდათ და ქართველების საყოველთაო მრწამსისა და განწყობილების გამომხატველი, მაგრამ ნურც ამერიკისთვის გავიმეტებდით საკუთარ მეობას, ეროვნულ თვითმყოფადობასა და ისტორიულ ფესვებს. მგელი შთანთქავდა თუ მგლისფერი ძაღლი,დიდი რამ განსხვავება არ იქნებოდა.

ცხოვრება ტალახია. სულიც ამოთხვრილა ტალახში. ამაოა ცდაი ყოველი, ვერ გადარჩება სუფთად ვერავინა. ყველა მოთხვრილა და ყველასა თხვრის; ყველა შებილწულა და ბილწავს ყოველსა, თვით ამაღლების სურვილსაცა თხრის. განწმენდილს შებღალავს,ყველა შებღალავს და ყველას შებღალავს. ვაი წმინდათა ანუ მოსურნეთა სიწმინდისა!”..[2;709]

ოთარ ჩხეიძისთვის რუსეთი ყოველთვის იყო ნგრევის ქვაყანა, ბოროტების სახელმწიფო, თეთრი დათვი, უკიდეგანო სტეპებიდან კავკასიონის ნებით გაღებულ კარებიდან შემოსულს, მიენგრ-მოენგრია. ქართული სულის ლანდშაფტის ჩათვლით სიმაღლეები მოესწორებინა და განეგრძო გზა კონსტანტინეპოლისაკენ. თავისი იდეა - ფიქრის, მესიანური იდეის რომად გახდომის შესასრულებლად. განუხორციელებელი იდეისა, რადგან მისი უზარმაზარი ენერგია თავის უკეთეს, მოაზროვნე შვილების, ჰუმანურ შეხედულებებში გამოვლენილიც კი ატარებდა დამანგრეველ ძალას, რის გამოც შპენგლერმა რუსეთს უწოდა აპოკალიპსური ბუნტი ანტიკურობის წინააღმდეგ.

2001 წლის საქართველო დაუძლურებულა, დაცემულა და სულს ღაფავს. თითქმის მთლად გაყინულა და გულს უკვლავს უძლურ ჭირისუფალს, სწორედ ეს ტკივილები და განცდებია გადმოცემული ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებში.

რომანის პერსონაჟად თავის აღმქმელ და დაძაბულ გულაჩქარებულ გარინდებულ მკითხველს თითქოს დაჭიმულ - გაფიცხებულ დოლის შემოსაკრავად ხელი შეუმართავს, თუმცა ჯერ მწერალმა ქვეყნის სხეულს მოდებული სისხლიანი იარებისა უნდა თქვას: ქვეყნის დამოკიდებულება რომ გატანილა ბაზარზედა. სახელმწიფოს ჩუქნიან სხვებსა და ხელქვეითებს, მიუჩნევიათ ხელისუფლება და ჩამჯდარან რო ჩინგიზნი ენგურზედა. გადალაჯულან ლიახვზედა, ღუზა ჩაუგდიათ ჭოროხთანა; კახეთი რო ბუყბუყებდა შფოთავდა სამგრელო. იმუქრებოდა აჭარაი. აქეზებდნენ სამცხე-სამთავროსა. ქვემო ქართლიც. რაღათქმა უნდოდა... ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისათვის მთავარი მამოძრავებელი ძალა და იარაღი სიმართლე და უშიშროება.ყველაფრისთვის თავისი დაურქმევია.

ოთარ ჩხეიძე თავის სათქმელს მწვავე სარკაზმით, ირონიით, მაგრამ არა ღვარძლინი დაცინვით გამოხატავს. სარკაზმი, რომელიც მისთვის შინაგანი

ტრაგიზმის ნაწილიცაა. რადგან მისი ყველა პერსონაჟის ბედი ისეა გადაჯაჭული ქვეყნის ბედად, რომ მათი ყოველი უნებლიე თუ წინასწარ განძრახული ბოროტება ქყვეყნის ყოფნა-არყოფნას ბევრად განსაზღვრავს.

ოთარ ჩხეიძისათვის ყველაზე დიდი დანაკარგი თვითმყრობელობისაგან ქართველების გამოტვინება: ხალხისთვის „ხალხობის'' დაკარგვინება რომელიც სწორედ ამის გამო ბევრი რასის შემბედავ-შემკადრებელმა, მტრად ქცეულმა საკუთარმა უღირსებო შვილებმა შეუგუებელს შეაგულეს. აღშფოთების უნარი დააკარგვინეს, ძლივს „შემოკრებილი'' ცხოვრების აუტანელი პირობებით ისევ გაათითოკაცეს. ადამიანები კი მოძრაობდნენ მოქმედებდნენ, საქმიანობდნენ-წერს ლია კუხიანიძე. მაგრამ „ყველას თავისი გასჭირვებია. თუ დალხენილა. თავისი ანჯღრევს, თავისი არყევს. თავისი აყანყალებს, ფუსფუსებს''. [8;111]

სამშობლოსადმი, როგორც სატრფოსადმი მარადიული, გაუნელებელი სიყვარულის გამო, მაკა ჯოხაძემ ოთარ ჩხეიძე აკაკის შეადარა, მასთან ყველგან და ყველაფერში ქართველი და საქართველო ილანდება.

„რომანი ხელოვნებაა. რომანი სიამოვნებაა. ეშხი თქმაშია, თქმის კილოშია" აღნიშნავს ოთარ ჩხეიძე და ამის ნიმუში „2001წელია". „არ დარჩენილა მეტ-ნაკლებად პრობლემატური საკითხი ქვეყნის ბედიდან დაწყებული, გლობალიზაციით და საერთოდ წიგნის, რომანის ხვალინდელი დღით დამთავრებული, რომელზეც მწერალს აზრი არ გამოუთქვამს. ასე რომ ეხმარება და სჭირდება მკითხველს". [1;5]

როგორც ვხედავთ ნაშრომში წარმოდგენილია 21-ე საუკუნეში გადასული იმედ გაცრუებული საქართველო და საერთოდ, იმედგაცრუებული ადამიანი, „თვითონვე რო განიძარცვა ზეაღმატ წარმოსახვისაგან.განიძარცვა და სასოწარკვეთილება დაჰკარგა, დაკარგა გზანი სულიერებისა და ტალახის ბინადრად იგულა თავი". [8;220]

გამოყენებული ლიტერატურა

1. დვალიშვილი ლ., „ფიქრები ოთარ ჩხეიძის რომანზე" გაზეთი ჩვენი მწერლობა №3 , 2002

2. კუხიანიძე ლ., - „საქართველო არის ესე, ანუ მომავალი ჩვენია?!" გაზეთი ჩვენი მწერლობა -№19 2003

3. კუხიანიძე ლ., - მწერალი და საზოგადოება ქუთაისი 2005

4. კუხიანიძე ლ., „2001 წელი" ანუ ჩვენ უნდა ვსდიოთ ისევ იმ ვარსკვლავს გაზეთი ჩვენი მწერლობა № 13 2003

5. კუხიანიძე ლ., - „საუკუნის მემატიანე „2001 წელი" გაზეთი ჩვენი მწერლობა № 15 2003

6. სიგუა ს., „ტრაგიკული ათწლეული" გაზეთი ჩვენი მწერლობა" №10, 2001

7. სიგუა ს., „1793,1984, 2001" გაზეთი ჩვენი მწერლობა № 40, 2003

8. ჩხეიძე ო., „2001 წელი". თბ 2003

ეკა იორამაშვილი ხატია ტეტუნაშვილი

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

წყარო, ფიბულა, სიუჟეტი (ა.წერეთელის "თორნიკე ერისთავის" ისტორიისათვის)

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გოგოლაძე

აკაკი წერეთელი (1840–1915) იყო სამოციანელთა ერთ–ერთი ლიდერი, რომელსაც ერის გამოღვიძების ერთ–ერთ კომპონენტად მიაჩნია წარსულის გაცოცხლება აწმყოსთან შემიზნებით. ამისათვის აკაკი თავისი მოწინავე იდეალების გამოსახატავად ხშირად მიმართავდა ისტორიულ თემატიკას, ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებას. პოეტი ღრმად სწავლობდა ჩვენი ხალხის წარსულს, მის მდიდარ ლიტერატურას, ხალხურ შემოქმედებას, მემატიანეთა, ჟამღთააღმწერელთა და ისტორიკოსთა წყაროებს და, საერთოდ, ქვეყნის წარსული ისტორიული ცხოვრების ამსახვე მასალებს. მათი გამოყენებით შემოქმედი ხატავდა წარსულის რეალისტურ სახეებს.

აკაკი ისტორიულ მოვლენებს, მემატიანეთა მიერ მოთხრობილ ამბებს, წარსული ცხოვრების ეპიზოდებს, ისტორიული წყაროებიდან აღებულ მასალებს დიდი პოეტური შთაგონებითა და დიდი შემოქმედებებითი ძალით ამუშავებდა, ამდიდრებდა ისტორიულ ცნობებს მხატვრული გამოცდილებით, ავსებდა მათ

პოეტური გამონაგონით, მხატვრული შევსებით. ამ მიზნით იგი ხელს კიდებს ისტორიული პოემებისა და მოთხრობების წერას.

1884 წელს აკაკი წერს პოემას „თორნიკე ერისთავი", სადაც ასახულია X საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთი ეპიზოდი. როგორც მკვლევარი გ. აბზიანიძე წერს: „აკაკი წერეთელმა, რომელიც მშობლიური ისტორიის შესანიშნავი მცოდნე იყო, თავისი ქვეყნის წარსულიდან სწორედ ეს სახელოვანი ფურცელი შეარჩია პოემისათვის. მწერალმა შეძლო გადმოეცა ეპოქის სული, მხატვრული განზოგადების სიმაღლეზე აეყვანა მატიანის მშრალი ქრონიკა და ისტორიიდან ნასესხები სიუჟეტი მძაფრი დინამიკით განევითარებინა. ყოველივე ეს მაღალ მხატვრულ ღირებულებებს ანიჭებს ამ დიდ პოეტურ ტილოს, რომლის ცალკეული დეტალები ჰარმონიულ მთლიანობაშია პოემის საერთო იდეასთან.

პოემის ყოველ თავს პოეტი გარკვეულ მიზანს უსახავს – ეს არის ქართველი ერის სულიერი სიმტკიცისა და სულიერი კულტურის სიდიადის ჩვენება. სამშობლოსათვის თავდადება, გმირული სურათების დახატვა, რაც მწერლის თანამედროვე ქართველი საზოგადოების ზნეობრივი აღზრდისა და ეროვნული თვითშეგნების ძლიერი სტიმული იყო". 1

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა X საუკუნის 70–იან წლებში დაიწყო, დაწინაურდა ტაო–კლარჯეთის ქართლის სამეფო და მისმა მმართველმა, დავით მესამემ კურაპალატობა მიიღო ბიზანტიისაგან, რაც ნიშნავდა ბიზანტიის სამეფო კარისაგან საქართველოში დაქვემდებარებულ პირს, რომელმაც აღმოსავლეთში დიდი სახელი მოიპოვა. მას აფასებდნენ სომხეთისა და ბიზანტიაშიც. 973 წელს კი როცა ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა ბიზანტიას მას დაეხმარა დავით კურაპალატი. სწორედ ეს ეპიზოდია ასახული აკაკი წერეთლის ისტორიულ პოემაში „თორნიკე ერისთავი". ავტორს ამ პოემის წყაროდ უნდა აეღო გიორგი მთაწმინდელის აგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი და ექვთიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისაი". აკაკის დროს ეს თხზულება მთლიანად გადმოცემული არ ყოფილა, მაგრამ მისი მთავარი ნაწილი შეტანილი ჰქონდა პროფ. დ. ჩუბინაშვილს თავის ცნობილი ქრესტომათიში (1846 წლისა და 1863 წლის გამოცემა I ნაწილი).

ასევე აკაკის პოემის წყაროდ უნდა გამოეყენებინა ტიმოთე გაბაშვილის „მოგზაურობა".

ჩვენი აზრით, არ შეიძლებოდა მხოლოდ ეს წყაროები გამოეყენებინა თავისი პოემის სიუჟეტისათვის. იგი ასევე უნდა ეყრდნობოდეს ლეონტი

მროველის „ქართლის ცხოვრებას", რომელიც მე–12 საუკუნით დაწყებული და მე–18 საკუნებდე ახლდებოდა და სწორდებოდა.

„მატიანე ქართლისაში" არის ეპიზოდი დავით კურაპალატის ცხოვრებიდან თუ როგორ დაეხმარა იგი ბიზანტიის დედოფალს ბარდა სკლიაროსის განდევნაში, სადაც ნახსენებია თორნიკე ერისთავის ღვაწლი ამ ბრძოლაში, მაგრამ დიდი ალბათობაა იმისა, რომ თვით „ქართლის ცხოვრება" ეყრდნობოდეს გ. მთაწმინდელის ნაშრომს, ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთადერთი წყარო, რომელიც შეიძლებოდა აკაკი წერეთელს გამოეყენებინა „თორნიკე ერისთავის" დაწერისას იყო „ ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი და ექვთიმესი და უწყებაი ღირისა მის მოქალაქეობისა მათისა".

ჩვენი თემის მიზანია, მოგვეძებნა და ერთმანეთთან შეგვეჯერებინა გ. მთაწმინდელის აგიოგრაფიული თხზულება და წერეთლის „თორნიკე ერისთავი" როგორ არის წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის ერთი ეპიზოდის სასულიერო და საერო ნაწარმოებებში.

აქ ფაბულა არის ამბავი ბიზანტიისადმი დავით კურაპალატის დახმარებისა და მასში თორნიკე ერისთავის მონაწილეობისა, ხოლო თუ როგორ განვითარდა სიუჟეტი აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში თუ აკაკი წერეთელთან, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

გიორგი მთაწმინდელის აგიოგრაფიულ ნაშრომში „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი და ექვთიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისა" ძირითადად ყურადღება გამახვილებულია იოანესა და ექვთიმეს სულიერ ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე, მასში ჩართულია დავით კურაპალატის მიერ ბიზანტიის იმპერატორისადმი დახმარება და ამ ბრძოლაში თორნიკე ერისთავის მონაწილეობა დამსახურება. გიორგი მთაწმინდელს და თხზულებაში არ აქვს ნახსენები ბრძოლის ეპიზოდები საერო ცხოვრებასთან დაკავშირებული ამბები კი მწირედ აქვს გადმოცემული.

გიორგი მთაწმინდელის ნაშრომისაგან განსხვავებით აკაკი წერეთელს „თორნიკე ერისთავში" უფრო ვრცლად აქვს გადმოცემული თორნიკეს, როგორც სამხედრო პირის სარდლის ცხოვრება მოღვაწეობა. აკაკის პოემა მხატვრულად გადმოცემული აქვს საერო კუთხით, ამას ისიც მოწმობს, რომ პოემის შესავალი იწყება წარსული გმირების მოხსენებით და გრძელდება ნადიმით, რომელიც დავით კურაპალატის სამეფო კარზე იმართებოდა.

ამავე დროს, სიუჟეტური ხერხია თორნიკე ერისთავის შემოყვანისათვის მოქმედების ცენტრში გამოყენებული ზმათ ტყორცნა ორბელიძესა და ხუმარას

შორის. განსხვავება ამ ორ ნაწარმოებს შორის პერსონაჟებშიც შეინიშნება, რადგან გიორგი მთაწმინდელის ნაშრომში ეს პერსონაჟები არ არსებობენ, აგრეთვე არ არის ნახსენები დავით კურაპალატის წინაშე თორნიკე ერისთავის სამსჯავროზე წარდგენა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ აკაკისთან ამ ეპიზოდს საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი ეთმობა, სადაც საუბარია იმ მიზეზებზე, რის გამოც თორნიკე ერისთავი ბერად აღიკვეცა.

სწორედ ამ პერიოდში X საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერია მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რადგან ბარდა სკლიაროსი აჯანყდა და დაიკავა დიდი ტერიტორია. საქართველო ამ დროს პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერებული ქვეყანა იყო. ამიტომ გასაჭირში ჩაცვენილი ბერძნები ერთადერთ მხსნელად საქართველოს მიიჩნევდნენ. ამიტომ ბიზანტიის დედოფალმა დახმარებისთვის საქართველოს მიმართა. მან წერილი გაუგზავნა დავით კურაპალატს, რაზეც მეფისგან თანხმობა მიიღო. დავით მესამემ გადაწყვიტა 12 ათასი მხედარი გაეგზავნა დასახმარებლად, რომლის სარდალიც თორნიკე ერისთვი იქნებოდა, უკვე ბერად აღკვეცილმა თორნიკემ უარი განაცხადა ამ ბრძოლაში მონაწილეობაზე. მისი დარწმუნების ეპიზოდები სხვადასხვაგვარად აქვთ აღწერილი აკაკის და გიორგი მთსწმინდელს. აკაკი თორნიკეს დასარწმუნებლად იყენებს არსენ კათალიკოსთან საუბრის ეპიზოდს. გიორგი მთაწმინდელი კი მოკლედ აღწერს იოანესი და ათანასეს მეშვეობით თორნიკე ერისთავის დარწმუნებას და მას საერთოდ არც ჰყავს ნახსენები თავის ნაშრომში არსენ კათალიკოსი, რომელიც ამ პერიოდისათვის საკამაოდ გავლენიანი პირი იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ნაწარმოების პერსონაჟებმა, როგორც არსენმა ასევე იოანემ და ათანასე ბერმა მოახერხეს თორნიკეს დარწმუნება ამ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე.

ამის შემდეგ ეპიზოდები გიორგი მთაწმინდელს და აკაკი წერეთელს განსხვავებულად აქვთ აღწერილი. მთაწმინდელთან თვით თორნიკე მიემგზავრება ბიზანტიის დედოფალთან სასაუბროდ. თუ რა სახისა იყო ეს დიალოგი ამას ციტირების სახით გადმოვცემთ: „და ვითარცა აღვიდა თორნიკ დამეუფოდ, მეყსეულად შეიყვანა იგი პარაკიმანოსმან მეფეთა წინაშე და მეფენი და დედოფალიზე აღუდგეს და პატივით მოიკითხეს და გვერდით დაისვეს ... დედოფალმან მიუგო, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, რაცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა... რაცა მიბრძანოს მამობამან თქვენმა ბრძანებასა არა გარდავხდე, ოდენ ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომა თავს–იდევ და რომელთაცა სახით გნებავს, წარვედ კურაპალატის წინაშე და ყოველი ჭირი

ჩვენი აუწყე ვისად ღმრთისა, რომელ იოტოთ იგი უღმრთო სკლიაროსი და ვენ ჭირისაგან განგვარინნეთ”.

ფრიად ევედრა დედოფალსა, რაითამცა განათავისუფლა და ვითარ იხელა მოუდრეკელობა მისი, მიუგო ესრეთ, ვითარმედ: „მე ჩემთა ცოდვათათვის შევიმოსე სახე ესე და უწყის უფალმან, რომელ სწორად სიკვდილისა მძიმე არს ესე საქმე ჩემ ზედა. გარნა რა ვყო, არა ვიცი, წმინდასა მეფობასა თქვენსა ურჩ ვერ ვემქნები”.

ამგვარად დაწერეს ხელმწიფედ სავედრებელი წერილი კურაპალატისათვის, გამოეშვიდობა თორნიკე ხელმწიფედ და კურაპალატის წინაშე გამოცხადდა. 2

აკაკისთან კი თორნიკესა და ბიზანტიის დედოფალს შორის დიალოგი არ იმართება, რადგან მას შემდეგ, რაც მოახერხეს მისი დარწმუნება, იგი პირდაპირ საქართველოში გამოემგზავრა:

„და მეორე დღეს თორნიკ–სარდალმა
კიდეც შეჰყარა საომრად ჯარი”

შემდგომ ეპიზოდებში აკაკის ვრცელი ბატალური სცენები აქვს წარმოდგენილი. იგი დაწვრილებით გადმოგვცემს ბრძოლის სურათს და გვიჩვენებს ქართველი მეომრების გმირობას გარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო მთაწმინდელის აგიოგრაფიულ ნაშრომში არ არის მოცემული არც ბრძოლის სცენები და არც ის გმირები, რომელთა თავის გამოჩენასც აკაკიმ საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი დაუთმო.

ეს ბრძოლა ბარდა სკლიაროსის დამარცხებით დასრულდა და ამის სანაცვლოდ ბიზანტიის იმპერიის დედოფალი დიდ ძღვენს უბოძებს ქართველებს. თუმცა ბიზანტიის ძღვენის განაწილება განსხვავებულად არის აღწერილი ამ ორ ნაწარმოებში. გიორგი მთაწმინდელთან თორნიკე მიღებული განძის ნაწილს ლაშქარს უნაწილებს. ნაწილს თვითონ იღებს: „და მონაგები მათი იავარ–ყო და რომელიმე ლაშქართნ განუყო და რომელიმე თვით დაიჭრა ნატყვენავი დიდძალი ფრიად: ოქროდა ვერცხლი და სტავრა და სხვა ესევითარი და უკუნიცა და მოიკითხა კურაპალატი და ქმნა მეფეთავე წინაშე მოვიდა...”

აკაკი წერეთელთან სხვაგვარი ვითარებაა. თორნიკე ერისთავი უარს ამბობს ძღვენის მიღებაზე და მეფეს სთხოვს:

– „ნუ მარგუნებ, მეფევ, ძღვენსო:
ვერ მივიღებ მე სიმდიდრეს,
ვერ ვიქმ საქმეს ღვთის საწყენსო!

ჯვარია და სახარება
მხოლოდ ბერის სიმდიდრეო;”

მიმდინარეობს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ ვის უნდა გადასცეს მოპოვებული ძღვენი. ამის შემდგომ აკაკის პოემაში შემოყავს ახალი პერსონაჟი გაბრიელ–სალოსის სახელით და სწორედ მას ათქმევინებს, რომ ეს ქონება მოხმარდეს მონასტრის აშენებას მთაწმინდაზე, რომელიც იქნება დაღუპულ გმირთა მოსახსენიებელი. მისი აზრი ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა.

განსხვავებულად ჰყავს გიორგი მთაწმინდელს გაბრიელი მოხსენიებული თავის აგიოგრაფიულ თხზულებაში. მას ეს პერსონაჟი შემოჰყავს მაშინ როცა იოანე სთხოვს ტორნიკეს და სთხოვს, რომ ამიერიდან მხოლოდ გაბრიელს ესაუბროს. გიორგი მთაწმინდელს შემდეგნაირად ახასიათებს: „ხოლო ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსიფლიო სიტყვა არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთო და სულიერი”.

აკაკი წერეთლის პოემაში გაბრიელ ხუცესთან დაკავშირებით მოხდა დიდი სასწაული:

„მოსცურა ახლოს ღვღისმშობლის ხატმა
და დაიყენა თავს ნათელიო.
გამოსვენება გვინდოდა, მაგრამ
არ მოიკიდა ჩვენი ხელიო”.

ერთმა ბერმა ნახა სიზმარი, გამოეცხადა დედაღვთისა და უთხრა: ივერიელებს ჩემს სადიდებლად ტაძარი, რომ აუგიათ, იქ ცხოვრობს ერთი მოხუცი ბერი, გაბრიელი და ჩემს ხატს მხოლოდ მან შეახოს ხელი. მოიტანოს და ტაძარში შესავლელ კართან დაასვენოსო და იმ დღიდან სასწაულმოქმედს დაერქვას: „კარის ღვთიშობელიო”!.

ღვთიშობლის ხატის სასწაული გ. მთაწმინდელის თხზულებაში არ არის აღწერილი, თუმცა იოანეს შვილთან, ექვთიმესთან დაკავშირებითაც მოხდა მსგავსი სასწაული. როცა იგი ავად გახდა, იოანეს მისი გადარჩენის იმედი გადაწურული ჰქონდა, წავიდა ტაძარში და მუხლმოდრეკილი ღვთიშობლის ხატს ევედრებოდა ავადმყოფი შვილის გადარჩენას, როცა დაბრუნდა და შვილის სენაკში შევიდა, მან ნახა თავისი შვილი ჯანმრთელი და უვნებელი. პატარა ექვთიმეს გამოსცხადებია ღვმთისმშობელი და ქართულად უთქვამს: „არარაი არს ვნება შენთანა. აღდეგ, ნუგეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი”. ამის შემდეგ ექვთიმეს აღარაფერი აწუხებდა.

აკაკი წერეთლისა და გ. მთაწმინდელის გარდა თორნიკე ერისთავი მოხსენიებული ჰყავს ტიმოთე გაბაშვილს თავის ნაწარმოებში „მიმოსვლა".

თავისი მოგზაურობისას მოუნახულებია მთაწმინდის მონასტერი, სადაც თორნიკე იმყოფებოდა იოანესა და ათანასე ბერთან ერთად. ეს მოვლენა აღწერილი აქვს ზემოთ აღნიშნულ ნაწარმოებებში ეს ნაწარმოები ჩვენთვის საინტერესოა იმ კუთხით, რომ ტიმოთე გაბაშვილს ნახსენები აქვს ქართველების მიერ ბიზანტიის დახმარება და მასში თორნიკე ერისთავის მონაწილეობა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აკაკი წერეთელს „თორნიკე ერისთავის" დაწერის დროს ერთ–ერთ წყაროდ შეიძლება გამოეყენებინა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა" .

ვინაიდან გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი და ექვთიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისაი" აგიოგრაფიული ხასიათისაა, სწორედ მისი კანონებით მშრალადაა გადმოცემული თორნიკე ერისთავის ცხოვრების ეპიზოდები. ძირითადად ეს ნაშრომი იოანესი და ექვთიმეს ცხოვრებასა და ღვაწლს გადმოგვცემს, ამიტომ აკაკიმ იგი შეავსო მხატვრულობით. პოეტური გამონაგონებით, წაიყვანა იგი საერო ხაზით და დაგვიტოვა არაჩვეულებრივი ისტორიული ძეგლი.

მარიამ შატაკიშვილი

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

ვაჟა და ეროსი

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გოგოლაძე.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული მწერლობაში სიყვარულის თემა ძირითადად ახალი ხაზით ვითარდება (ვ.ფშაველა, ალ.ყაზბეგი). მთის ხალხთა ყოფა-ცხოვრების შემოტანამ მხატვრულ ლიტერატურაში, გახსნა გზა მკითხველისათვის ჯერ კიდევ უცნობი სამყაროსაკენ. როგორც მკვლევარი გ.ასათიანი აღნიშნავდა „გასულ საუკუნეში სიყვარულის ეროვნული კონფერენცია ვაჟა–ფშაველას შემოქმედებაში კრისტალდება საბოლოოდ".[22]

[22] გ.ასათიანი, „როგორ უყვარდათ საქართველოში", კრებ. „სიყვარულის წიგნი", თბ., საბჭოთა საქ. 1981, გვ. 413

სწორედ ამიტომ მივაქციეთ ყურადღება და ჩვენი თემისათვის ავარჩიეთ ვ.ფშაველას დამოკიდებულება სიყვარულისადმი, როგორც ქალისა და მამაკაცთ შორის საკითხს, რამდენადაც სიყვარული მითოლოგიის თანახმად ეროსთანაა (ეროსთან არის) დაკავშირებული, ჩვენც ვეცადეთ წარმოგვედგინა იგი აღნიშნული სათაურით „ვაჟა და ეროსი“, თუმცა არა მისი შემოქმედების მაგალითზე. არამედ რამდენიმე წერილზე („ფშაველები“, „ფშაველების ცხოვრებიდამ“, „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“, „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“, „ძველი და ახალი ფშავაელების პოეზია“) დაყრდნობით.

რამდენადაც სიყვარულის თემისადმი ვაჟას დამოკიდებულების საკითხი სალიტერატურო კრიტიკაში გამხდარა შესწავლის საგანი, ამდენად მოვიყვანთ ნაწყვეტებს მათი შეფასებებიდან.. კ.აბაშიძე: თუ პოეზია ცხოვრებას ეხება, საგალობელ საგნად იღებს ცხოვრების უფრო ინტენსიურ ძალას, ცხობრების განმაძლიერებელს, მის შემქმნელს და გამამშვენიერებელ სიყვარულს და ამ სიყვარულს სხვადასხვა გვარსა: სიყვარულს უძლიერესს, სიყვარულს, რომელშიაც მოთავსებულია ფიზიოლოგიური ძალა და იდეალური, რომელსაც ცხოვრებაში აქვს დასაბამი და დასასრულიც, რომელიც ამ ცხოვრების წყაროა და მისივე დამამთავრებელი -სიყვარული - ორსქესთა შორის, სიყვარული სქესთა შორის არის, ვამბობ, დასაბამი ინტენსიური ცხოვრებისა, ორი სქესის წარმომადგენელთა ერთმანეთისადმი ლტოლვა არის მიუცილებელი პირობა წარმოშობისა, გვარის განგრძობისა და, როგორც ეგეთი, ცხოვრების მიმდინარეობის განუწყვეტელობისა“[23] აქეტან გამომდინარე იხილავს რა კრიტიკოსი ვ. ფშაველას პოეზიას, გამოკვეთს იმფაქტს, რომ „მგრძნობელოას და ხორციელებას დიდი ადგილი უჭირავს ვაჟას პოეზიის სიყვარულშიო“. თუმცა იქვე მიანიშნებს, რომ ვაჟასთან მგრძნობელობა თუმცა პირველ პლანზე დგას, მას სიბინძურე არ მოსწონს, „მას მხოლოდ მშვენიერი და ლამაზი მხარე ხიბლავს ამ გრძნობისა, მან იცის, რომ მგრძნობელობა „ასულდგმულებს მშვნიერებასაც და გონებასაც“.[24]

გ.ქიქოძის აზრით ვაჟა-ფშაველასთან ყველაზე მეტად წარმოჩინდა ეროტიკული გრძნობები: „არ ვიცი არსებობს თუ არა მსოფლიო ლიტერატურაში

---

[23] კ.აბაშიძე, „ეტიუდები“, XIX სკ-ის ქართული ლიტ. ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1962, გვ 397.

[24] „იქვე“ გვ. 401

მეორე პოეტი„ რომელსაც თავისი ეროტიკული გრძნობები, ვაჟა-ფშაველაზე უფრო ვნებიანად, ვაჟკაცურად და ამასთანავე თავდაჭერილად გადმოსცეს, სქესობრივი გრძნობა. მას განთავისუფლებული აქვს ყოველგვარი ავადმყოფური განცდებისაგან. ის მას ხშირად ჯანსაღი ბუნების სურათებს უკავშირებს, ხანდახან პოეტი შეყვარებული მწყემსის სახით დგას მკითხველის წინაშე, მისი სატრფოც მწყემსი ქალია.[25]

წერილში „ვაჟა-ფშაველა ზიგმუნდ ფროიდის წინააღმდეგ“ ლიტ. მცოდნე გრ. კიკნაძე გამოკვეთს იმ ფაქტებს, რომ ვაჟასათვის თუმცა ქალი ფიზიკურად სასურველი არსებაა„ მისი დამოუკიდებლობა არ ექვემდებარება მგრძნობელობის აპოლოგიას. „თავისთავად ეროსი, როგორც ასეთი, თავისი ზომიერი, პოეტური, ვაჟკაცური და ამიტომ ფაქიზი სახით, რასაკვირველია მოცემულია, ვაჟას შემოქმედებაში“, ამიტომაც ვაჟა არ აჰყოლია იმნაირ განცდებს, რომელთა მიზანია დაანარცხოს ადამიანი, პირიქით იგი ყველანაირად ცდილობს ადამიანი აამაღლოს“[26]

გ.ასათიანისათვის ვაჟა-ფშაველას მისია ქართულ პოეზიაში იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მან შეძლო ახალი ფორმით აღედგინა რუსთაველი მსოფლ. განგება და ამავდროულად ხორცი შეასხა(ო) ბარათაშვილის რომანტიკულ ოცნებას, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც მის შემოქმედებას ეხება, ჩვენთვის კი საინტერესოა თუ რატომ, გაჩნდა თვით პოეტში სიყვარულის სპეციფიკური გაგება და ხომ არ არის იგი გამოწვეული მისი გენეტიკური წარმომადგენლობით. კერძოდ, ფშავ-ხევსურეთში დამკვიდრებული ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობის ერთგვარი ფორმულით, რომელიც ძალიან კარგად მოსჩანს მის ეთნოგრაფიულ წერილებში. ზემოთ დასახელებული წერილების ანალიზს ჩვენ არ შევუდგებით, მხოლოდ გამოვყობთ რამდენიმე მომენტს, რომელშიც ვაჟა მსჯელობს როგორია ქალის მდგომარეობა ფშავში საზოგადოდ და სიყვარულთან მიმართებაში. აღნიშნული წერილებიდან ფაქტიურად ვაჟა-ფშაველამ პირველმა გამოიტანა დღის სინათლეზე ფშავის ყოფისა და ადათ-წესების დამოკიდებულების საკითხები მის პიროვნულ

[25] გ.ქიქოძე, „ეტიუდი და პორტრეტები“, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 1958, გვ 230

[26] გრ.კიკნაძე, „ლიტ.თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978, გვ 46

თავისებურებასთან და აჩვენა ეს. სწორეთ ეთნოგრაფიის ენით, რომელმაც ბუნებრივია შემდგომ გამოხატულება ჰპოვა მის პოემაში.

ვაჟა-ფშაველა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გარემოს როლს მწერლის ჩამოყალიბების საქმეში. „ათი წლის უკვე შეყვარებული გახლდით, მაგრამ რამდენადაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული - იგონებს ვაჟა „ჩემ წუთისოფელში“ - იმდენად გაუბედავი, დამალული, უსიტყვო, ისეთი, რომ ვიგონებ, ვინც მიყვარდა, იმანაც არ იცოდა, მე კი მუდამ დღე არ მენახა თვალით, მოვკვდებოდი, რის გამოც ჩემი სატრფო მეგულებოდა, რომ თვალით დამენახა დავმტკბარიყავი იმისი ცქერით. ჩემი სიყვარულის მევე მცხვენოდა, ეს სიყვარული დანაშაულად მიმაჩნდა და როგორ განუცხადებდი სატრფოს! მალე იძულებული შევიქმენ განვშორებოდი თელავს და ჩემს სატრფოს, როგორ გგონიათ, რომ გაგრძელებულიყო ჩემი იქ ყოფნა გამოვიდოდა რამე ჩემი სიყვარულიდან? არაფერი, რადგან ქ.თბილისში რომ გადავედი, თელაველი სატრფოს სიყვარული სხვაზე მიმივიდა, მაგრამ ეს სიყვარული პირველს ჰგავდა „შორით კვდომა, შორით დაგვა“, იყო ჩემი ნუგეში და ვიდრე არ დავვაჟკაცდი და იმისა, ვინც მიყვარდა ცოლად შერთვა არ განვიზრახე, ვერც სიყვარულის გამოცხადება გავბედე“.[27]

ვაჟას ფესვები ფშავშია, მას კარგად ესმის, რომ ოჯახის შექმნის შემდგომ, მთის მძიმე სოციალურ-ეკონომიური პირობებიდან გამომდინარე, ნაკლები დრო რჩება როგორც ქალს ისე კაცს სიყვარულისათვის, საამისოდ კაცსაც და ქალსაც მხოლოდ დაქორწინებამდე აქვს დრო, ქორწინება კი უფრო პრაქტიკულ ხასიათს ატარებს, ამიტომ მთის ინსტიტუტმა შემოიღო ე.წ. „წაწლობა“, რაც განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის თავისუფლებას სიყვარულში ქორწინებამდე, ოღონდ გარკვეულ ჩარჩოებში.

„წაწლობა“ ყველა მხარეს დედაკაცის მდგომარეობისას გვავიწყებს, რადგან ეს ჩვეულება თავისი სიუცხოვით ძალდაუტანებლად ეჩეჩება კაცს თვალში, როგორც ხრიოკს, გადამწვარს მინდორზე ცაში აწვდილი ტანმრხეველი ალვის ხე“.[28]

როდესაც გასათხოვარი ქალი ვაჟთან წვება დაუფარავად, ეს იცის თემმა და მას წინააღმდეგობა არ ხვდება ეს იმიტომ, რომ წაწლობას არ ააქვს მიზნად

[27] ვაჟა-ფშაველა, ნიჭიერი მწერალი, თხზ. სრული კრებული, ტ.IX თბ., საბჭოთა საქ. 1964 გვ. 296-297

[28] ვაჟა-ფშაველა, ნიჭიერი მწერალი, თხზ. სრული კრებული, ტ.IX თბ., საბჭოთა საქ. 1964 გვ. 100

გარყვნილობა, წაწალი თავის დღეში ვერ შეეუღლება წაწალს. იგი კაცისა და ქალის მოთმინების და ნებისყოფის განმტკიცებას ემსახურება, ვაჟკაცობა და ქალობა ის იყო, რომ მამაკაც წაწალს, როცა ქალ წაწალთან იწვა იქამდე სიმაგრე გამოეჩინა გულისა, რომ არაფერი ცუდი ფიქრი არ გაევლო გუნებაში, აგრეთვე თუ ქალსა. ეს იყო მოთმინებისა და ნებისყოფის გამომუშავების უმაღლესი ზნეობრივი საფეხური, რომელსაც დიდი ზეგავლენა ჰქონდა მამაკაცთა ვაჟკაცურს, გმირულს მოქმედებაზე. ამრიგად წაწლობა გამოხატავდა ქალის და მამაკაცის ჭეშმარიტ განცდებს მოთმინებაზე აგებულს, ვინაიდან წაწლებს შორის ურთირთობა დასაშვები იყო წელს ზევით და ყოვლივე ამის საფუძველზე წაწლობა ქალი და მამაკაცი წარმოადგენდა ზნეობრივ სანქციას.

ვფიქრობ, სწორედ წაწლობის ინსტიტუტი აძლევს მდიდარ მასალას ფშავურ პოეზიას და თვით ფშაველის პოეტურ ხასიათს.

ვფიქრობ ვაჟა-ფშაველა, მოცემული წერილებიდან გამომდინარე აყალიბებდა პლატონური სიყვარულის მოდელს. წერილებიდან აშკარავდება, რომ ვაჟა განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ქალსა და ვაჟს შორის სიყვარულის აღმოცენებას, რომელიც მათი ტრადიციისა და სპეციფიკის გათვალისწინების საფუძელზე ვითარდება,სადაც მათი ურთიერთ სწრაფვა, ხორციელიც და სულიერიც კონცენტრირდება „მოთმინებით შეჩერებულ“ ურთიერთობაში (წაწლობაში) და ამდენად ვაჟასეული შეხედულება სიყვარულზე არის ესთეტიუკური ზეაღმტაცი, რომელიც სავსებით თავისუფალია „ზემგრძნობიარობისა“ თუ „ჩხირკედელაობისაგან“.

ქეთინო მელაძე

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

ბედი ქართლისა და ნიკოლოზ ბარათაშვილი

ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი

„ქართლის ბედი” 1832 წლის თავად-აზნაურული შეთქმულებით არ გადაწყვეტილა, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასა და მონარქიული (თუ პარლამენტური) მმართველობის აღდგენას ისახავდა მიზნად. ეს იყო ქვეყნის საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ერთგვარი უკანასკნელი გაბრძოლება, რასაც კრახი მოჰყვა. ქვეყნად დაისადგურა მონობის ბედს დამორჩილებული ერის უილაჯობამ. 30 წელი დასჭირდა ქვეყანას, რომ

მოვლენოდა მამულიშვილი, რომელიც მის ბედზე იზრუნებდა სიტყვით თუ საქმით; ეს ადამიანი იყო ილია ჭავჭავაძე (1837-1907 წწ). იგი ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ, ახალგაზრდა და გამოუცდელი ილია, ნიკოლოზის შემოქმედების გაცნობის შემდეგ, ხვდება, თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რა გზით უნდა იაროს და რა უნდა გააკეთოს ქართველმა ხალხმა იმისათვის, რომ მშობლიურ ერს ღირსება აღუდგინოს; თუმცა, მანამდეც მწიფდებოდა რაღაც მომავალი მწერლის სულში.

ქვეყნის ბედით შეწუხებული ჭაბუკი ილია, პეტერბურგში წასვლამდე წერს ლექსს „ყვარლის მთებს". ამ ლექსიდან ირკვევა, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წავიდეს უცხო მხარეში, სასწავლებლად, რათა უკან დაბრუნებულმა სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის იბრძოლოს": „...მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა..". აქ იკვეთება მისი მამულიშვილური ვალი ქვეყნის ბედისადმი.

სწორედ ამიტომ ხდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ეროვნული პრობლემატიკა. „ეს საკითხი დგას აწმყოს თვალსაზრისით – რანი ვართ, რას წარმოვადგენთ, რაშია ჩვენი სიცოცხლის ძალები; ამის გათვალისწინებას მწერალი წარსულის გააზრების ნიადაგზე ახდენს – რანი ვიყავით, როგორ გამოვიარეთ საუკუნეები, რაში მდგომარეობს ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ენერგია, ხოლო ყველაფერი კი მიმართულია მომავლის განსაჭვრეტად" – თუ რა მოგველის წერს მკვლევარი ლადო მინაშვილი. [1;108]

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ილია სტუდენტობის პერიოდში ყალიბდება საბოლოოდ მწერლად. პეტერბურგში ყოფნისას ეცნობა სხვადასხვა ქვეყნის კულტურას, ლიტერატურას. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1860 წელს, ცარსკოე სელოში სტუმრად ეწვია ეკატერინე იყო ალექსანდრე დადიანის ოჯახს. ეკატერინე ჭავჭავაძის ასული. ეს ის ქალია, რომელიც ერთ დროს ნიკოლოზ ბარათაშვილის ტრფობის ობიექტს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ბარათაშვილის სიყვარული ეკატერინესადმი განწირული აღმოჩნდა, სამაგიეროდ, ამ სტუმრობის დროს, იმავე ეკატერინეს ოჯახმა ბარათაშვილის პოეზიისადმი სიყვარული გადასცა ილია ჭავჭავაძეს და ამით მომავალი დიდი მოღვაწის გულში დაანთო ცეცხლი უდროოდ დაღუპული მგოსნის სახელის სამარადისოდ გასაცოცხლებლად.

კოხტა აფხაზის ცნობით, დადიანის ოჯახში სტუმრობის შემდეგ, ილია, მთელი ერთი კვირის განმავლობაში „ჰბოდავდა ბარათაშვილით". და ლექსიც უძღვნა მას „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ". მწერალმა ნიკოლოზის გარდაცვალების ფაქტს მთელი ქართველი ერის დაობლება უწოდა, ხოლო უდროოდ და უთვისტომოდ დაღუპულ მგოსანს „მკვდრეთით აღდგომა უწინასწარმეტყველა". [2;23].

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების გავლენა იგრძნობა ილია ჭავჭავაძის „სიმღერა" და „დაკარგული ედემი". ამ ლექსებში წუთისოფლის სამდურავი სიტყვები ისმის:

„სად მიგყავარ, მდინარევ,
მოწყენილ სიცოცხლისავ!
ჩემს მცირე ნავს რას არხევ,
ზვირთო წუთისოფლისავ!.." [3;39] („სიმღერა").

„დაკარგულ ედემში" კი თავისუფლებადაკარგულ ქვეყნის გამო გამოთქვამს მწუხარებას მწერალი.

საერთოდ, ილიას პეტერბურგში გატარებული წლები არსებითი მნიშვნელობის ხანაა მთელ მის ცხოვრებაში. მისი იდეური ჩამოყალიბება რუსეთში მოხდა. იქ მყოფი მოწინავე საზოგადოების აზროვნებაზე აღიზარდა ადამიანი, რომელიც მეფის რუსეთის საწინააღმდეგოდ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე გახდა.

იგი სტუდენტობის პერიოდში შეუდგა ისეთი ლექსების წერას, რომელთა ძირითადი მოტივი არის ნაციონალური თავისუფლებისა. დიდი ეროვნული მოღვაწის პოეტური ნიჭი, პირველად სწორედ სამშობლოს თემაზე დაწერილ ლექსებში გამოჩნდა.

ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, ილია ხედავს, რომ „ქართლის ბედი" უფროდაუფრო გაურკვეველი ხდება, ლაფში იძირება და მშველელი არსად ჩანს. თითქოს, ქართველობა შეეგუა ამ მდგომარეობას და ყური მოიყრუა, ამიტომ უძღვნა მან იმ პერიოდის საზოგადოებრივ მდგომარეობის ასახვას ლექსი „ბედნიერი ერი". სადაც ამოტივტივებულია ყველა მანკიერი მხარე ქართული საზოგადოებისა, რომელიც ხელს უშლიდა ქვეყნის კეთილდღეობას. იგი ერთნაირად დაუნდობლად ებრძოდა, როგორც გარეშე ძალას (მეფის თვითმპყრობელობას), რომელიც ქართველებს „მოყვრულად" მტრობს, ისე იმ ქართველობას, რომელსაც საკუთარ ეროვნულ

თავმოყვარეობაზე ხელი აუღია და რუს ხელმწიფეს ეხვეწება „Наплечо“–ბა გვასწავლეო. [4;124].

1832 წლის ეროვნული აჯანყების ჩახშობის შემდეგ გამოწვეულმა რეპრესიებმა ხალხი შეაშინა და საბრძოლო განწყობა ჩაუკლა. აღარ ჩანდა ადამიანი, რომელსაც ქვეყნის ბედი შეაწუხებდა და კვლავ შეეცდებოდა ხალხის მასების გამოყვანას თავისუფლების დასაბრუნებლად. მდუმარებამ და ძილმა დაისადგურა ქვეყნად. მომაკვდინებელი სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. ყველა საკუთარი ინტერესებისა და მეფის რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებდა. ქვეყანა კიდევ უფრო კრიტიკულ მდგომარეობამდე მიდიოდა, მშველელი არსად იყო.

ამის გამო შეწუხებული ილია, გულისტკივილით წერს: „შენ მიწაზე ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ გრძნობა ვანდო, ფიქრი ჩემი განვუზიარო ...” („მას აქეთ რაკი...”). [5;33]

საქართველოს ბედის ამ მდგომარეობამდე მიყვანას, იგი ერთხელ შეშინებული მამების თაობას აბრალებდა და საყვედურობს:

„ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია,
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა,
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია”. [9;36] („პასუხისპასუხი“).

მწერლის თანამედროვეობის მძაფრი კრიტიკაა მოცემული ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა”. ნაწარმოებში გადმოცემულია ქართველი თავადაზნაურობის მდგომარეობა და საქმეები წინა ეპოქიდან მოყოლებული; ის, რაც ქვეყნის ეროვნულ სხეულს ზიანს აყენებდა. აქ მხილებულია ვერაგული ბუნება თავადაზნაურული წოდებისა. ავტორის მიერ მხატვრულად და სრული დამაჯერებლობით ნაჩვენებია ამ წოდების მუხანათური მოქმედებანი მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ილიას მიერ სამშობლო ქვეყნის მდგომარეობა მძიმედ არის წარმოდგენილი: ბეზღობა, გაუტანლობა. მინავლდა ეროვნული სული და ძილს მიეცა:

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი

ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!”. [9;20]

ამ მდგომარეობით შეწუხებული პოეტი, იქვე დიდი მწუხარებით და გულისტკივილით დასძენს:

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,

როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ [9;20] („ელეგია“).

თავის ეპოქის ქართველობას ილია მკაცრად აკრიტიკებს. მას აკვირვებს ასეთი უმოქმედობა და ზიზღს აღუძრავს გულში. იგი აღნიშნავს, რომ ამქვეყნად ადამიანი მხოლოდ ჭამა-სმისა და გართობისთვის არ დაბადებულა.

პოემა „აჩრდილში” გამოყვანილი მოხუცი მკაცრად აკრიტიკებს ახალი დროის, ე.ი პოეტის ეპოქის ქართველობას. იგი აშკარა მამხილებელი ტონით აცხადებს:

„აქ არვის – დიდსა, თუ პატარასა, -

ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,

დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა

ღვთად მოუცია მარტო მამული”. [9;54] („აჩრდილი”).

მისთვის სამშობლო ღმერთს ედრება, ღვთიური ცნებაა, რომელსაც უნდა ემსახურო, როგორც უფალს. ქართველ ხალხს, რომელიც ადრე ღირსეულად ცხოვრობდა, საუკუნეების შემდეგ უკვე დაკარგული ჰქონდა ერის წინაშე იმ ღვთიური მოვალეობის გრძნობა, რომელიც სამშობლოსათვის უანგარო, მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვდა მისგან.

ლექსებიდან გამოსჭვივის ავტორის მტკიცე შეგნება, რომ ამ დამღუპველი ძილისა და უმოქმედობისგან ქვეყნის გადასარჩენად საჭიროა ხალხის მასების გამოღვიძება, მათში მოძრაობის სულისკვეთების შეტანა. აგრეთვე, გარკვევით ისმის მოწოდება, რომ ქვეყნისა და ხალხის ამოძრავება თავისუფლების მოსაპოვებლად ყოველი პატიოსანი მოქალაქის ვალია. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ ერის საუკეთესო შვილები და ნიადაგი შეუმზადონ ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს”. („ქართლის დედას”). [6;12]

„ქართლის ბედის” მომგვარებლად, ილიას, მომავალი თაობის წარმომადგენელი მიაჩნია. საერთოდ მისთვის დამახასიათებელი იყო ის რომ არამარტო მის დროინდელ სინამდვილეს ხატავდა, არამედ მასთან ერთად მომავლის ერთგვარ პერსპექტივასაც ძლეოდა. მწერალი ამხელს თავის ეპოქის მკაცრ სინამდვილეს და ამავდროს შთააგონებს კიდეც, რომ ეს სამართლიანი ბრძოლა აუცილებლად გამარჯვებით დამთავრდება:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რა ზედ მოგიწყენია!...
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალი ხომ შენია ....
მათ ახალთ აღგადგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემი თვალის სინათლევ რა ზედ მოგიწყენია? ...” [9;42]
(„ჩემო კარგო ქვეყანავ”).

„ქართველი ხალხი, - ამბობს ზურაბ ბაღაშვილი – იმ მხრივაც არის გამორჩეული სხვა ერთა შორის, რომ გამუდმებული ბრძოლების შემდეგ მტვრად კი არ ქცეულა, არამედ „ამაყი თავი” არავის წინაშე არ მოუხრია და დღემდე არსებობს”.

მომავლის რწმენით არის განმსჭვალული ილიას ლექსი „ნანა”, სადაც დედა უმღერის ყრმას და შთააგონებს სამშობლოს ვალს, სამშობლოს სიყვარულს და მამულისათვის თავდადებას.

თუმცა, ახალ თაობას გმირი სჭირდება. ერის გადამრჩენი გმირის ძიება ერთ-ერთი მთავარი საკითხია ილიას შემოქმედებაში. ერის „დაცემა და გათახსირება” მაშინ იწყება, როდესაც მას უქრება ეროვნული გმირის დაბადების რწმენა, რადგან გმირის ხილვის სურვილი იმას ნიშნავს, რომ გინდა გამოფხიზლება, აღდგომა და მონობის უღელის გადაგდების შედეგად ღირსეულად ცხოვრება.

ნებისმიერი ხალხის ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ყოველთვის ღვთივკურთხეულად ითვლება. მაგრამ რეალობაში ეს გმირი არ ჩანს, ამიტომ წუხს პოეტი:

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი?
იგი აღარ გყავთ ...მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ვერნად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წარწყმედილა”. [9;55] („აჩრდილი”).

თუმცა არა, „ბაზალეთის ტბის” ლეგენდა გვარწმუნებს, რომ თავისუფლების აკვანს გამოუჩნდება მხსნელი და პოეტი შესტრფის იმ ვაჟკაცს, რომლის ხელიც პირველად შეეხება მას და ტბის ნაპირზე გამოიყვანს შიგ მწოლიარე ყრმას:

„თუ ესე არის, ნეტა მას,

ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!” [9;44]

(„ბაზალეთის ტბა”)

ილიას რამდენიმე ნაწარმოების მიხედვით ვარკვევთ, რომ, როგორც პოეტს, როგორც მოქალაქეს, წარსული ისტორიის საუკეთესო ტრადიციებზე გაზრდილ ქართველს უნდა ახსოვდეს: მას აწევს დიდი ვალი ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში. იქნება ის უკეთესი, თუ დამდუპველი მომავალი. ამიტომაა, რომ ილია, როგორც მამულიშვილი, თუმცა გულისტკივილით, მაგრამ მაინც ოპტიმიზმით, აანალიზებს რა ეროვნულ წყლულებს, უკეთეს მერმისს ერის გამოფხიზლებაში, მის საბრძოლო განწყობილებაში ხედავს. სწორედ ასეთ ქართველს შეუძლია ქვეყნის ბედის გადაწყვეტა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მინაშვილი ლ., „ილია ჭავჭავაძე“, თსუ, თბ., 1995
2. ჯიბლაძე ჯ., „ილია ჭავჭავაძე – პროზა და მსოფლმხედველობა“, ტ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984
3. ბაქრაძე ა., „ილია ჭავჭავაძე – გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, ნაკადული“, თბ., 1984
4. ასათიანი გ., „ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე“, „მერანი“, თბ., 1974
5. ბაღაშვილი ზ., „ილია ჭავჭავაძის პოემებისა „აჩრდილისა“ და „განდეგილის“ ლიტერატურულ–ესთეტიკური ანალიზი სკოლაში“, თბ., 2005
6. ინგოროყვა პ., „თხზულებათა კრებული“, ტ. 1, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1963
7. მახარაძე ა., „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. 1, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., 1957
8. ჩიქოვანი ს., „რჩეული ნაწერები“, თბ., 1963
9. ავტ. კოლექტივი, „ილია ჭავჭავაძე – რჩეული წიგნი“, ტ1; „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975

ანა მელიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურა

ჭეშმარიტების წვდომის გზები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ შარაბიძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არ ჰგავდა იმ პოეტებს, რომელთაც ბოჰემური სარდაფის ან რევოლუციური ქუჩის მოწონება და ტაში აინტერესებდათ. ის თავდაპირველად ვერავითარ აუდიტორიას ვერ ხედავდა და თითქოს თავის თავთან, თავის სულთან მართავდა დიალოგს. შეიძლება, ამ მხრივ პოეტი დავით გურამიშვილის მემკვიდრედ ჩაითვალოს. ეს სადა, მაგრამ ამავე დროს მრავლის მთქმელი შეფასება ჩვენი გენიალური რომანტიკოსისა, გერონტი ქიქოძეს ეკუთვნის. მართლაც, ნ. ბარათაშვილი იჩენს გასაოცარ თავმდაბლობას და საკუთარ პოეზიას სრულიათაც არ მიიჩნევს ღირსად, გააცნოს ხალხის ფართო მასებს. პოეტის სიცოცხლეში, როგორც ვიცით ერთი ლექსიც კი არ დაბეჭდილა. ამ პატარა ნიუანსიდანაც ჩანს მისი ქრისტიანული მსოფლშეგრძნებით განპირობებული თავმდაბლობა. როგორც პოეტის და – ბარბარე გადმოგვცემს, ნიკოლოზი კარგად იცნობდა საღვთო წერილს. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან იმ დროინდელი ქართველი არისტოკრატია, სულიერად ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით საზრდოობდა.

ბიბლიური წიგნების გაცნობამ, ასახვა ჰპოვა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში. პოეტის მხატვრული აზროვნება მიმართულია ღვთაებრივის წვდომისაკენ. მისი სურვილია გასცეს პასუხი იმ მარადიულ კითხვებს, რომელიც ოდითგანვე აწუხებდა კაცობრიობას: რა არის ჭეშმარიტება?, როგორ მიიღწევა მარადიულობა?, რაში მდგომარეობს ადამიანის არსებობის აზრი და როგორ მიიღწევა ღვთაებრივი?. როდესაც ვსაუბრობთ ჭეშმარიტების წვდომაზე, არ დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში "ჭეშმარიტი" ღვთიურის გაგებას შეიცავს.

ერთ-ერთ საშუალებად პოეტს ღვთაებრივის ანუ ჭეშმარიტების შემეცნებისა ადამიანის ყრმობა წარმოუდგენია. გავიხსენოთ ლექსი: "ჩვილი", სადაც პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასუფევლის ენაზე უალერსებს

მშობლებს შვილი. იგი „ყოველსავე შეუპოვრად მჭვრეტელობს". „ყოველსავეში" პოეტი ღვთაებრივსაც გულისხმობს. ე. ი. ჩვილი წილნაყარია უფალთან, ღვთაებრივ სამყაროსთან. მაგრამ ეს უნარი დროებითია, მას შემდეგ რაც ჩვილი ზრდასრულ ასაკს მიაღწევს და ცხოვრება ცოდვათა მორევში ჩაითრევს, უფლის ენაზე ლაპარაკისა და მისი შეცნობის უნარსაც დაკარგავს.

ყრმობა არ არის ერთადერთი საშუალება ღვთაებრივის წვდომისა. იგი სხვადასხვა გზებითაც შეიძლება განხორციელდეს, კერძოდ, ბუნების მეშვეობით, სიყვარულით და მისტიკური განჭვრეტით.

ღვთაებრივის შეცნობა შესაძლებელია ღმერთის მიერ შექმნილი ჰარმონიული სამყაროს წვდომით, ანუ ბუნების წიაღით. ბარათაშვილს მიაჩნია, რომ ბუნება ღვთაებრივი არსის მატარებელია. ამიტომაც ბუნებასთან უშუალო კონტაქტით ადამიანი ეზიარება ღვთაებრივს.

ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ" ლირიკული გმირი სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში,

კერძოდ კი, მთაწმინდაზე ასვლით პოულობს. მთა ერთგვარი მედიუმია პოეტსა და ცას

შორის, რომელიც „ზენაართ სამყოფია."

მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ზენა" შემდეგნაირადაა განმარტებული:

1. ზევით, ზედა. 2. (პოეტ.) ზეციური ძალა, ღმერთი. ბარათაშვილიც „ზენაში" ზეციურ

ძალთა სამყოფელს ანუ სასუფეველს მოიაზრებს. ზეციურ ძალაში კი ღმერთი და ანგელოზთა

დასი უნდა ვიგულისხმოთ. ბუნება იძლევა იმპულს, რომ გულში გაგვიჩნდეს სურვილი

ღვთაებრივის შემეცნებისა, გონება კი ხელს უშლის მის განხორციელებას: „მაგრამ ვერ

სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!" გონებით რომ ღერთის შეცნობა შეუძლებელია

იოანე დამასკელიც გვამცნობს: „მასზედ, რომ ღმერთი მიუწვდომელია (ადამიანის
გონებისთვის) და ჭარბი ცნობისწადილით არ უნდა გამოვიძიებდეთ იმას, რაც წმინდა
წინასწარმეტყველთ, მოციქულებსა და მახარებელთ არ გადმოუციათ ჩვენთვის".
ბარათაშვილისთვისაც უპირველესია არა მიზნის საბოლოო მიღწევა, არამედ ბრძოლა ამ მიზნის მისაღწევად. ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ", ხილული ცა სიმბოლურად განასახიერებს ღვთიურს, ხოლო ცას გადაკრული ბინდი ჭეშმარიტების დაფარვას ცდილობს.
მელანქოლიური სულისკვეთება, რომელიც მთლიანად გასდევს ლექს, ბოლოში იცვლება ოპტიმისტურით; პოეტი იმედს იტოვებს, რომ:

გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს!

ბუნების საშუალებით ღვთაებრივის წვდომა დაგვიხატა პოეტმა ლექსში: „ფიქრნი მტკვრის პირას", სადაც იგი მიილტვის ცისკენ, რომელიც მოდუდუნე მტკვარს აურეკლავს. მტკვარი განასახიერებს დროის დინებას და ამქვეყნიურ ცხოვრებას, ცა კი ღვთაებრიობის, მარადიულობის ხატებაა – აღნიშნავს თ. შარაბიძე. მისივე აზრით მტკვარში არეკლილი ცის კამარა, კი სიმბოლურად გამოხატავს აზრს, რომ ადამიანმა ამ ქვეყნიურობაში უნდა ეძიოს მარადიულობა. მართლაც, მარადიულობის მოპოვების ერთადერთი გარანტი ხორციელი ცხოვრების ღირსეულად გავლაა, ხოლო ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი მოიპოვებს „ცის დასავალს". სულხან-საბას განმარტებით „ცის დასავალი" სასუფეველია. მას შემდეგ რაც ადამიანი მოიხდის ვალს, რომელიც გამოიხატება სოფლისთვის ზრუნვაში, იგი „სხვა სოფელში" დაიმკვიდრებს ადგილს. მოცემულ ლექსშიც, ნათლად ვხედავთ, რომ ღვთაებრივის შეცნობა შესაძლებელია ღმერთის მიერ შექმნილი, ჰარმონიული სამყაროს ანუ ბუნების წვდომით. პოეტი აკვირდება ხილულ ბუნებას და მისი სიმბოლური ენის საშუალებით იღებს პასუხს მისთვის მტკივნეულ, ამოუცნობ საკითხზე.

ნ. ბარათაშვილის ლირიკა უფაქიზესი სტილითაა შექმნილი, ამის ნათელ ილუსტრაციას სატრფიალო თემაზე დაწერილი ლექსები იძლევა, რომლებიც სავსებით განთავისუფლებულნი არიან "ხორციელებისაგან" და ეს გრძნობები ამაღლებულ სულიერ სფეროშია განფენილი. სატრფიალო თემაზე შექმნილ ლექსებში ყველაზე უფრო მკვეთრად გვიჩვენა პოეტმა ღვთაებრივის წვდომის გზა. პოეტის აზრით, მარადიულის შეცნობა ადამიანს მხოლოდ სიყვარულით შეუძლია, რის მაგალითსაც ბუნება სთავაზობს – მშვენიერს სულთა კავშირს. ამ

კავშირის დარღვევა ხდება ჰარმონიის დისჰარმონიით შეცვლის მიზეზი როგორც ბუნებაში ასევე ადამიანის სულში. ეს მოსაზრება გატარებულია ლექსში "ვპოვე ტაძარი". მას შემდეგ რაც უდაბნოდ მდგარი ტაძარი ქრება, სადაც სიყვარულს სწირავდა გუნდრუკის მაგიერ პოეტი, მის სულში სევდამ და წყვდიადმა დაისადგურა. უსიყვარულობა სულიერ აშლილობას იწვევს პოეტში. ტაძარი იყო საშუალება, რითაც ლირიკული გმირი უახლოვდებოდა ღვთაებრივს:

მუნ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი
ანგელოზთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

ლექსში „ვპოვე ტაძარი", სიყვარული ფართო მნიშვნელობით მოიაზრება. იგი თავის თავში აერთიანებს ქალის, მოყვასის, მტრის და უპირველეს ყოვლისა უფლის სიყვარულს. ამის მანიშნებელია ანგელოზთაგან დავითის ქნარის დაკვრა და „ციურ დასთა გალობის ზარი". ტაძარი სულიერების სიმბოლოა, უდაბნო კი – მისგან დაცლილი ქვეყნისა. ნ. ბარათაშვილის მიერ სატრფოსადმი გამოყენებული მიმართვები გვაგონებს დავიტ წინასწარმეტყველის მიერ, ფსალმუნებში, უფლისადმი გამოყენებულ მიმართვებს. მშვენიერ სულთა კავშირი ისეთივე მუდმივია, როგორც ცის ცვარისა და მზის სხივის თანაარსებობა. სიყვარულით ადამიანი მოიპოვებს უმაღლეს ბედნიერებას - სასუფეველსა და უკვდავებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი სულიერ ობლობას და დიდ სევდას განიცდის.

ბარათაშვილთან სატრფოს სიყვარული ღვთაებრივი სიყვარულის სიმბოლური გამოხატულებაა. სატრფო მის ლექსებში არის სიმბოლო უფლისა: იგი არ ჰგავს ხორციელს ("სატრფოვ, მახსოვს"), გარს ციური ცეცხლი აკრავს ("ჩემს ვარსკვლავს"), ანათებს ცას და აქვს ციური ხმა ("აღმოხდა მნათი"), ცისიერია, უხრწნელი ("არ უკიჟინო, სატრფოო"), მის თვალებში მოსჩანს სამოთხე, ხან ამ სოფელს ჰყვება, ხან ცად მიფრინავს ("როს ბედნიერი ვარ"), სიკვდილში თვით უკვდავებას შეაგრძნობინებს მგოსანს ("მიყვარს თვალები").

სატრფოს დაკარგვა ბარათაშვილის შემოქმედებაში გაიგივებულია რწმენის დარღვევასთან, მაგრამ არ იღებს რწმენის დაკარგვის სახეს.

რაც შეეხება გონების საშუალებით ღვთაებრივის წვდომას, პოეტმა გამოხატა "მერანში". როგორც თ. შარაბიძე აღნიშნავს, მერნის ჭენება "უვალ გზაზე" წარმოადგენს ღვთაებრივი არსის განჭვრეტის მცდელობას, რომელიც უნდა განხორციელდეს თანდათანობითი ამაღლებით, ყოფიერების დათმობით,

თავისუფლების მოპოვებით და თავგანწირვით, რასაც ჭეშმარიტების შემეცნება მოჰყვება. ყოველივე ამის განხორციელების საშუალებას გონება არ იძლევა.

მისტიკური ღვთისმეტყველების მიხედვით, შესაძლებელია ლექსი „ჩემი ლოცვა" ყველაზე უკეთესად გამოხატავს პოეტის ქრისტიანულ მსოფლხედვას. პოეტი უშუალოდ მიმართავს მამა ღმერთს და სთხოვს, რომ მიუტევოს შეცთომილ ძეს. ნ. ბარათაშვილს ღვთისადმი მიმართული სიტყვები ზედმეტად ეჩვენება, რადგან უფლისთვის ყოველი ადამიანის გულის სიღრმეში წვდომა არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს. უფალთან ურთიერთობის ყველაზე უკეთეს გამოხატულებად ბარათაშვილს დუმილი ესახება - „მაშა დუმილიც მიმითვალე სენდამი ლოცვად!"

როგორც დავინახეთ, ნ. ბარათაშვილი მუდმივ ძიებაშია შეიცნოს საკუთარი თავი, აქედან გამომდინარე – სამყარო და ჭეშმარიტება. ქრისტიანულ სახისმეტყველებაზე დაფუძნებული მსოფლხედვის დამსახურებაა ის სიღრმე, რომელიც პოეტურ წარმოსახვაში "წმიდა ლოცვას" ბადებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, კრებულიდან „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა", წიგნი II, გამომცემლობა „კიდევაც დაიზრდებიან", თბ., 1991.
2. გ. კიკნაძე, თხზულებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტომი IV; თბ., 2003.
3. გ. კიკნაძე, თხზულებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტომი V; თბ., 2003.
4. ქართული მწერლობა, ტომი IX, გამომცემლობა "ნაკადული", თბ.,1992.
5. გ. ქიქოძე, წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., გამომცემლობა „მერანი", 1992.
6. თ. შარაბიძე, ქრისტიანული მოტივები XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ლირიკაში", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

თინათინ თვალჭრელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურა

ვაჟა-ფშაველას პოემა"უიღბლო იღბლიანი" და მისი ფოლკლორული ძირები

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ შარაბიძე

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა ფოლკლორული-მითოსური დისკურსი. ვაჟას მხატვრული სიტყვის მასაზრდოებელი ძალა ფშავ-ხევსურეთია. ბუნებისა და ხალხის სულთან შერწყმამ აქცია ალბათ ლუკა რაზიკაშვილის ტალანტი ვაჟა-ფშაველას ფენომენად. ფშავ-ხევსურეთი მისთვის მსოფლიო მიკრომოდელი იყო, რომელიც თავისებურად ასახავდა როგორც ძველი, ისე ახალი ეპოქის მაჯისცემას. ამ სამყაროს ასაგებად საზრდო უხვად იძიებოდა ფშავ-ხევსურული ლეგენდების, თქმულება-გადმოცემებისა თუ ლექსების სახით. მაგრამ ამ ძვირფასი განძის დაპატრონება მხოლოდ ვაჟამ შეძლო. მწერლის „სულიერ ქურაში" გადადნობის შემდეგ იქცა იგი განსაკუთრებულ ფასეულობად.

ქრისტიანული აზროვნებითა და მორალით გამოირჩევა ვაჟას პოემა „იუღბლო იღბლიანი". მას ვაჟა თავად ზღაპარს უწოდებს. ტერმინ ზღაპარში უნდა გულისხმობდეს გამოგონილ ამბავს, ან, როგორც პოეტი აღნიშნავს ნაწარმოების პირველ თავში, „სიცრუვ-სიმართლეს", თორემ ეს ტერმინი პოემის თემას და იდეას, სიუჟეტის ხასიათს და მისი რეალიზაციის საშუალებებს სცილდება იმ კლასიკური გაგებით, როგორც მას ვხმარობთ ხალხური მოთხრობის მიმართ. ზღაპარი მხოლოდ და მხოლოდ ნაწარმოების ქარგაა, იდეურად კი პოემა ბევრად შორდება ზღაპრისთვის დამახასიათებელ სიკეთე ბოროტების ჭიდილის პრობლემას. ზღაპრის ქარგაც პოეტის აზროვნებისდაგვარად შეცვლილია, თუმცა ვაჟა იყენებს საზღაპრო ეპოსში ფართოდ გავრცელებულ კომპოზიციურ ხერხებს და, რაც მთავარია, იცავს გმირის „წინასწარი" და „ძირითადი" გადმოცემის ყველა ზღაპრისთვის აუცილებელ პრინციპს.

პოემა „უიღბლო იღბლიანის" შექმნისას ვაჟა-ფშაველა სარგებლობს საზღაპრო ეპოსის, კერძოდ, ქრთული ჯადოსნური ზღაპრის „მზის ქალის" მოტივებით, მაგრამ სცილდება როგორც ამ კონკრეტული ზღაპრის, ისე საზღაპრო ეპოსის პრობლემატიკას და ორიგინალურ ნაწარმოებს ქმნის.

„უიღბლო იღბლიანი" რთული, მრავალპლანიანი პოემაა. აქ წარმოჩენილია სამი ძმა, რომელთაც „სამება წყალობდა". მთელი პოემის მანძილზე ჩანს, რომ მთავარი მოქმედი გმირი – უმცროსი ძმა – არა მარტო ღვთის მორწმუნე და მორჩილია, არამედ ეკლესიურად მოაზროვნე ადამიანიც. უძველესი ქართული ზღაპრებისგან განსხვავებით, ამ ზღაპარის ღმერთი სამებაა, რომელიც განაგებს ადამიანის ბედს, მკვდართა სულებს და

ამქვეყნად გატარებული ცხოვრების მიხედვით წყვეტს მათ მომავალს. ვაჟას პოემა არ მიჰყვება ქართული ტრადიციული ზღაპრის ღვთაებათა უფროს-უმცროსობის ტრადიციებს. პოემის მთავარი გმირის მოგზაურობა „ბედის საძიებლად", მისი ურთიერთობა

განსხვავებული ბუნებისა და მდგომარეობის ადამიანებთან, პოეტს შესაძლებლობას უქმნის აჩვენოს გმირის რთული ცხოვრება, უსამართლო ჩაგვრა, ტანჯვა.

ვაჟა-ფშაველას, როგორც თავად აცხადებს, აინტერესებს: „უსამართლობა სიმართლეს რისთვისა სჯობნის ძალათა?", ან რატომ ხდება, რომ

„ ზოგს ამოჰშხამდა თვის ლუკმა
ალალი ოფლით ნაღვარი
სხვას შერჩა, კიდეც შაერგო
სარჩო ნაქურდალ-ნაპარი."

(ვაჟა-ფშაველა, 1961: 187)

პოეტის მიერ დასმული კითხვები ახალიც არის და ძველიც. ეს,შეიძლება ითქვას, მარადიული საკითხია, ზოგადად გამოხატული კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებით და იგი მუდამ იდგა კაცობრიობის წინაშე.

ვაჟა-ფშაველას პოემაში შემოაქვს ბედისწერის თემა და ცხოვრების ავ-კარგისადმი თავისი დამოკიდებულების სრულიად გამჟღავნების, ამბების მხატვრული ხორცშესხმისათვის ნაწარმოების გმირებად ირჩევს სამ ძმას. საზღაპრო ეპოსიდან პოეტი სესხულობს ფართოდ გავცელებულ ტრადიციას უმცროსი ძმის იდეალიზაციის შესახებ, უპირისპირებს უმცროსს უფროსებს, გმობს უფროსი ძმების ცხოვრების წესსა და ბუნებას.

პოეტი ძმათა ბუნების დაპირისპირებისათვის შექმნილ სტრიქონებში უნდა ეყრდნობოდეს ცნობილ ქრისტიანულ ლეგენდას („მოხუცი სტუმარი"), რომლის მიხედვით, გლახის ტანსაცმელში გადაცმული ღმერთი უქონელ, სტუმართმოყვარე უმცროს ძმას ასაჩუქრებს, ხოლო უფროსებს, სტუმარი რომ სძულთ, სჯის.

პოეტის მთავარ გმირს საბრალო ჰქვია, ზღაპრის სიუჟეტისაგან განსხვავებით, ის თავისი ძმებისგან მარტო უიღბლობით არ გამოირჩევა:

„ გლახაკიც მრავალი მოსდით,
ერთხელ გაძღომის მთხოვნელი.
ორი ძმა ბევრს ყურს არ უგდებს
გლახაკებს, იმათ ხარებსა,
მხოლოდ საბრალო მასპინძლობს,
პურით და ღვინით საწყლებსა".

(ვაჟა-ფშაველა,1961: 188)

საბრალო თავისი ძმებისგან გამოირჩევა სხვისი შებრალების გრძნობით და ალალმართლობით. ამას მთელი სოფელი ამჩნევს და მას "ალალს" ეძახის. როცა ოჯახს უჭირს, საბრალო "სიმდიდრენახული" ძმებისაგან განსხვავებით გლახაკურ ხელობას არ თაკილობს. "ძმები კი ნაორგულარსა ჰმალავენ ცოლების სკივრშია". ალა-მართალს ძმების ღალატი ფიქრადაც არ მოსდის.

ვაჟა-ფშაველა ხალხური ზღაპრიდან "მზის ქალი" სესხულობს დასაწყის ეპიზოდს:

„ მზის ქალი "

იყო სამი ძმა კაცი. მოხნეს სამი დღის მიწა და დათესეს. ერთმა იქით, ერთმა აქეთ და ერთმა შუაზე. მოვიდა მშვენიერი ჯეჯილი. ერთ მშვენიერ დღეს მოიქურუშა ცამ პირი, დაუშვა სეტყვა და შუალა ყანა სულ მიწაში ჩაიტანა. ის ორი ნაპირისა კი გადარჩა. მოვიდა პატრონი, დახედა ყანას და ჩასწყდა გული. ნამგალი გადაიდო მხარზე და გაუდგა გზას ბედის საძებნელად.

(ქურდოვანიძე, 1991: 88)

„ უიღბლო იღბლიანი “

„.... სამი დღის უდგას ფეტვია გაიყვეს თუ რამ ებადათ, სამად გაიყვეს ფეტვია... ფეტვის მომკასაც თავის წილს ყველა აპირებს დილითა მაგრამ იმ ღამეს გაავდრდა თავს სეტყვაც წამოურია; ცა ჯავრობს, სწყრება ფრიადა, თქვენს მტრებს, რომ მეორეს დილას უმცროსს უკვდება გულია: ფეტვ-ნაწილი იმისა, გავლილი, დაკარგულია, სდგას, თავდახრილი დასცქერის გულ-ხელებ დაკრეფილია. მაინც ღმერთს მადლობას სწირავს, მართალი, მართლის შვილია... ადგა, წავიდა იქიდან,დასტოვა სახლი, ძმებია, მიენდო ბედისწერას,გარდაიარა მთებია.

(ვაჟა-ფშაველა, 1961:189)

ძმების გადაწყვეტილებით ქონება სამად გაიყო.უფროს ძმებს მეტი შეხვდათ, უმცროსს–ნაკლები. თუმცა ისიც ძმებისთვის ემეტებოდა. უმცროსი ძმის დახასიათება ნათლად წარმოაჩენს მისი ქრისტიანული ცხოვრების წესს, რომლის მიხედვითაც, მოყვასი უნდა გიყვარდეს ისე, როგორც საკუთარი თავი.

ზღაპრის მიხედვით, უმცროს ძმას სეტყვა ყანას გაუნადგურებს.ბედის საძებრად წასული საბრალო, ზღაპრისა და პოემის მიხედვით, მეცხვარეს დაუდგება მწყემსად, იმ პირობით, რომ ფარას ოთხი წლის განმავლობაში ერთი ცხვარიც არ უნდა მოაკლდეს.. მეცხვარის შემდეგ სხვა მოხუცთან დებს პირობას. 60 კაცის სათიბი ყანა ერთ დღეში მარტომ უნდა მოთიბოს და ძნებად შეკონოს მზის ჩასვლამდე. როგორც ზღაპარში, პოემაშიც გმირი ვერ ასრულებს პირობებს. ფარის გაყოფის დროს მგელი მოიტაცებს ცხვარს და ბოლო ძნის შეკვრისას ჩადის მზე. ამის გამო საბრალო გულშიც კი არ გმობს განგებას. უმცროსი ძმა ბუნების ძალებისაგან თავს დამარცხებულად თვლის და უარს ამბობს თავის წილზე.

ვაჟა-ფშაველა არ ღალატობს იმ პრინციპს, რომელიც თავიდან დაუდო საფუძვლად საბრალოს ხასიათს. გმირი პატიოსნად და სიტყვის კაცად რჩება ყველა სიტუაციაში. მან ცხოვრებაზე საკუთარი თველსაზრისი შეიმუშავა, რომელსაც პოეტი ასე აყალიბებს:

“მართალს ნუგეშად ესა აქვს
გულში შეუდრეკ ბურჯადა,
რომ ღმერთი კაი კაცობას
მას არ ჩაუთვლის ფუჭადა.
შემდეგისათის მას ფიქრობს,
არ უღალატოს სიმართლეს:
ერიდოს მწიკვლსა ყოველსა,
დაუმეგობრდეს სინათლეს.”

(ვაჟა-ფშაველა 1961: 192)

საბრალომ იცის, რომ ამ ქვეყანაში შეიძლება ბედნიერებას ვერ მოესწროს, მაგრამ ამას მისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მის სახელს ხომ მაინც მოიხსენიებენ, როგორც ალალად ლუკმის მჭამელსა”.

გმირის ახალი კუთხით წარმოჩენის მიზნით ვაჟა საბრალოს სათათრეთში მოახვედრებს. ოცმა წელმა განვლო ბედის ძიებაში. ამ ხნის განმავლობაში საბრალოს ერთხელაც არ გაუმართლა განგებამ. პოემის X თავში შემოდის პატრიოტული მოტივი. ქრისტიანული სიყვარულის თემა, რომელიც მთელი პოემის მანძილზე ვითარდება, თავისი გამოვლენის უმაღლესი ფორმით უნდა დაგვირვინდეს, რაც ქრისტიანობისათვის თავგანწირვაში მდგომარეობს.

სათათრეთში საბრალოს წინ გადაეშლება წითელი ტბა, რომელიც გახდება საბაბი ტბის გაჩენის შესახებ თქმულების გახსენებისა. ვაჟას მიერ მოტანილი პოეტური გადმოცემის მიხედვით, საქართველოდან სპარსეთში განდევნილ, ქრისტეს

რჯულზე მტკიცედ დგომის გამო დახოცილ ქართველთა სისხლმა წარმოქმნა ტბა – "ივერიის კარგ ძეთა გრძნობის და ფიქრის მტვირთველი". სისხლის ტბაში, გადმოცემით, "ღვთიურის ხელთ ქსოვილი" ყვავილები ცოცხლობენ. ისინი მხოლოდ მაშინ ჩნდებიან, როცა ქართველს დაინახავენ – "მართალს, სიმართლით მკობილსა" – და ტკბილ ქართულით ესაუბრებიან. ყვავილთა ხილვით შეძრული საბრალო, რომელმაც ტბასთან იპოვა "სამოთხე – ნავთსაყუდელი სულისა", აქ მოისურვებს სამუდამოდ დარჩენას. საბრალოს სურვილია ერთი ყვავილი მაინც მოწყვიტოს, მაგრამ ვერ ახერებს. ყვავილები ქრისტეს რჯულისთვის წამებულ მკვდართა სულებია, ისინი სხვა რეალიებში იმყოფებიან და მოკვდავის ხელი მათ ვერ შეეხება. საბრალო გაეცნო ოდესღაც საქართველოდან მოტაცებულ, სამშობლოს დანატრებულ ქალს, რომელსაც, მართალია, საქვეყნობ მაჰმადი უღიარებია, მაგრამ ქრისტეს ლოცულობს "ჩუმადა, და დედის ღვთისა ისევაც ჩასახული მაქვს გულადა". რჯულშეცვლილ ქალთან საბრალოს შეხვედრის ვაჟასეული პოზიცია მჟღანდება გმირი ქალისადმი მმართულ სიტყვებში:

"დიდად შემცდარხარ, დედილო,
რო რჯული გადაგიგდია,
დღეს შენს სულს აქა ვნახავდი,
სისხლის ტბა რო დგა დიდია,
და თავის ნეტარებასა
იქიდან დამითვლიდია"

(ვაჟა-ფშაველა 1961: 201)

ქრისტესადმი ერთგულების გამოხატვას ტანჯვა-წამება განაპირობებს. ქალი მოაკლდა უფალთან მიახლების ბედნერებას. უზომოა მისი სინანული. ის შესაწირავს და ბარათს ატანს სამშობლოში "ქრისტეს მსახურ მამებთან", სთხოვს ევედრონ მისთვის უფალს. ქალის საბოოო ბედი პოემაში არ ჩანს. ქალის ბედის გადაუჭრელად დატოვება ვაჟას ქრისტიანულ აზროვნებაზე მიგვანიშნებს: "ნათათრალი სალიას"გადარჩენა მხოლოდ უფლის მოწყალებას შეუძლია.

ვაჟა-ფშაველ შემდგომ ეპიზოდში ისევ უბრუნდება "მზის ქალის" ზღაპარს და მის კვალობაზე ქმნის გმირის მოწინააღმდეგე ბუნების ძალთა დასჯის სცენებს. პოემის დასაწყისში გმირის ვედრება არ შეისმინა მზემ, ხოლო ელიამ და მგელმა პირობა დაარღვევინეს საბრალოს. ეს ტკივილი ისევ ცოცხლობს უმცროსი ძმის გულში და რაკი რეალურ ცხოვრებაში ვერ გადაუხადა მათ სამაგიერო, სიზმარში დასაჯა. ზღაპრის სიუჟეტს მხოლოდ სიზმარი აგრძელებს. საბრალო ხან მგელს, ხან ელიას, ხან მზეს ურტყამს გამწარებული.

სიზმრისეულ ანგარიშწორებას ვაჟა-ფშაველა შეგნებულად მიმართავს. თავისი იდეალური გმირის ხასიათის ჩამოყალიბებისას პოეტი არ დაუშვებს რაიმე არავაჟკაცურ საქციელს, მათ სორის შურისძიებას, სამაგიეროს გადახდას. ამიტომ ქმნის ვაჟა ისეთ ეპიზოდს, რომელიც სიზმრიდან გამოღვიძებული საბრალოს

ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გადმოგვცემს და წარმოაჩენს გმირის ნამდვილ ბუნებას:

“ღმერთ სთხოვს, სიზმრების მური
არ ჩაუთვალოს ცოდვადა.
ხელები აპყრობილი ქვს,
ისევ დამდგარი ლოცვადა
ღვთის სახელს ეძებს ჰაერში,
ელამუნება კოცნადა”.
(ვაჟა-ფშაველა 1961: 206)

სიცოცხლეს სამშობლოში დაასრულებს საბრალო. არწივი მოიტაცებს და თავის სოფელში დასვამს, გამდიდრებული ძმებისაგან უნუგეშოდ დალევს სულს. მაინც არ გაიყოლებს იმქვეყნად ძმებზე ცუდ ფიქრს. საკუთარ სოფელშიც არავის შეაწუხებს, არც წყალს მოითხოვს, არც პურს. ძმები საგვარეულო საფლავსაც არ აღირსებენ საბრალოს და მწირ სერზე დამარხავენ.

პოემის XIII თავში ვაჟა-ფშაველა ხალხში დარჩენილ ამბავს ჰყვება იმის შესახებ, რომ საბრალოს საფლავთან გამოხეთქა წყარომ, რომელიც ყველა სენს კურნავს, უფროსი ძმების საფლავი კი, თურმე, ჭაობად ქცეულა. ღამ-ღამობით ჭაობიდან ოხვრა და ტირილი ისმის, თან გესლიანი სიცილი. დედა შვილებს იქ გავლას უკრძალავს. საბრალოს საფლავთან კი სანთელს ატანს დასანთებად. საბრალოს თავგადასავალს თაობიდან თაობას გადასცემენ:

“რომ ყველამ მისი სურათი
გულს ჩაისახოს, ჩისვას,
და ტრფიალება კეთილის
თვალთა წამწამზე დაისვას”.
(ვაჟა-ფშაველა 1961: 207)

საბრალოს ეპითეტი მთელი პოემის მანძილზე “მართალია”. ამ წოდებას ეკლესია ანიჭებს საერო პირს, რომელიც თავისი ცხოვრებით ქრისტიანული სიუვარულისა და თავდადების მაგალითს იძლევა.

საგულისხმოა არწივი თემა. ვაჟა-ფშაველა არწივს ორ ასპექტში წარმოგვიდგენს. ერთი მხრივ, იგი ამირანის მითის ცნობილ ბოროტ ძალას ასახიერებს და ცნობილი ფუნქციით წარმოგვიდგება, მეორე მხრივ, ვაჟა ჯადოსნური ზღაპრის ტრადიციას ითვალისწინებს და არწივს ზღაპრულ-მითური ფასკუნჯის მოვალეობას აკისრებს. საინტერესოა თვით პოეტის პოზიცია. არწივ-ფასკუნჯის თემის შემოტანით ვაჟა ოპტიმისტურ განწყობილებას ამკვიდრებს ნაწარმოებში. პოემის მიხედვით, საბრალოს თავის მხარეში ჩამოსაყვანად არწივი ამირანის თხოვნით მიდის. თუმცა არწივი ამირანის:

“გულ-მკერდსა სწიწკნის შმაგადა,

ვერც ის გატეხა, არც თვითონ
მოსწყინდა ქცევა ავადა,
ვერ გაუთავა გულ-ღვიძლი,
ვერც ხორცში სისხლი გაუშრო...”

(ვაჟა-ფშაველა 1961: 209)

არწივის სასიკეთოდ მოქცევაში ვაჟა-ფშაველა მომავალს ჭვრეტს. პოეტს ეჩვენება, რომ უმალ არწივის ნება დაიმსხვრევა, ვიდრე გატყდება ამირანი-სიკეთე. არწივს

“რამდენიც სიშმაგე მოსდის
სისხლის სმის, ხორცის გლეჯისა,
იმდნად საბრაზოდ უხდება
სალი კლდე გმირის თმენისა.
ვერ გაუგია, საიდან
ნაჭამი ლეში ივსება?”

(ვაჟა-ფშაველა 1961: 209).

ამირანის ხატება პოემის ბოლოს შემთხვევითიო არ არის. ვაჟა ქართული ფოლკლორის მაგალითზე ამდიდრებს პოემის იდეას. თუ საბრალო დაჩაგრულ სიმართლეს ჰგავს, რომლის დაფასება ადამიანის გონებას უჭირს, ამირანის ტანჯვა ქართული სულის ტყვეობაა, რომელიც თვალისთვის უხილავია და მხოლოდ გონებით უნდა განიჭვრიტოს. პოემაში დასმული ზნეობრივი იდეალები, რომელიც ავტორის ქრისტიანული თვალთახედვით არის ნასაზრდოები, ვაჟას მისთვის ჩვეულ მითოსურ პლანში გადააქვს. თუ საბრალომ სიმართლითა და მოთმინებით მოიპოვა ჭეშმრიტება, ამირანის ტანჯვის გონების თვალით განჭვრეტა იმის მაუწყებელია, რომ სული ტანჯვით, სიკეთის ქმნით და მოთმინებით მოიპოვებს თავისუფლებას. უიღბლო იღბლიანი გახდება.

“მზის ქალის” ზღაპრიდან ვაჟას არ აინტერესებს მრავალი მოტივი, მაგრამ ერთი გარემოება მაინც ყურადღებს იქცევს. ვაჟა უგულებელყოფს რეალურ ცხოვრებაში ხელმოცარული გმირის ზღაპრისეული ჯადოსნური საშუალებებით წარმატების მიღწევის თემას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია და ფაქტობრივად ერთადერთი გზაა გმირის ცხოვრების შემდგომი წარმატებული განვითარებისათის. პოეტს მიზნად დაუსახავს სიკვდილამდე ტანჯული დატოვოს თავისი გმირი, არც ერთ საქმეში არ გაუმართოს ხელი მას, აწამოს და, როგორც ღვთისმეტყველება გვასწავლის, ამ ტანჯვაში მოუპოვოს ბედნიერება, რარიგ მძიმედ მისაღწევიც არ უნდა იყოს იგი.

ვაჟა-ფშაველა პოემაში მთავარი გმირის მხატვრულ სახეს ქრისტეს მოთმინებასა და ზნეობრივ სისპეტაკეს ანიჭებს. ნაწარმოების ყველა ეპიზოდში მოქმედება იმ ლოგიკით არის წარმართული, რომ ცხოვრებასთან ჭიდილში გმირი მუდამ მარცხდება, თუმცა ინარჩუნებს სულიერ წონასწორობას, სიწმინდეს,

რადგან, როგორც პოემის დასაწყისში გვითხრა ვაჟამ, საბრალომ "საბრალობ, რომ თავი მას ჩაებარა ღვთისადა".

საბრალოს არაჩვეულებრივი სიმტკიცე და საოცარი კეთილშობილება პოემის მრავალი ეპიზოდის მიხედვით ირკვევა. ამ მხრივ საინტერესოა საკუთარი ფეტვის ყანის სეტყვისაგან განადგურება, ოთხი წლის უნაკლო სამსახურის შემდეგ მგლისაგან ცხვრის განადგურების, ყანის მკისას მზის მიზეზით პირობის შეუსრულებლობის, მწირის მიერ მღვიმიდან გამოგდების ეპიზოდი. პოეტი ყველგან შეუცდომელი ტაქტიკით ძერწავს გმირის ხასიათს. პირველი მარცხისას:

"სდგას თავდახრილი, დასცქერის
გულ-ხელებ დაკრეფილია.
მაინც ღმერთს მადლობას სწირავს,
მართალი, მართლის შვილია"
(ვაჟა-ფშაველა 1961: 192)

მეცხვარისათვის მიცემული პირობის შეუსრულებლობისას:

"მუხლთ მოეკვეთა საბრალოს,
ამოიკვნესა მძიმედა.
ჩამოჯდა, თავი დაჰკიდა,
მიეყრდნო სისხლის დილესა."
(ვაჟა-ფშაველა 1961: 193).

ვაჟა თავისი მრწამსის გამოსახატავად პოემის ფინალში ქმნის სურათს, რომელშიც აბსოლუტურად ცვლის საბრალოს ბედს. რეალური ცხოვრების გზის გავლისას ზნეობრივი პრინციპების მტკიცედ დამცველი საბრალო უნდა დაჯილდოვდეს. პოეტი ცნობილ მოდელს იყენებს და სააქაო ცხოვრებაში ტანჯული გმირის აღზევებას შესაძლებლად სიკვდილის შემდეგ მიიჩნევს. ისევ უპირისპირდება ერთმანეთს ორი საწყისი – კეთილი და ბოროტი, რეალური და ირეალური. ტანჯვის გზაზე გავლა ცნობილი მოდელის მოხედვით, აუცილებელია სულიერი ამაღლებისათვის, სხვათათვის სიკეთის მოსატანად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძმებისგან უარყოფილი საბრალო "ერთ მწირს და ხრიოკ სერზედ დამარხეს, როგორც "გათათრებული". აქ ბოროტი ჯერ კიდევ გამარჯვებულია, მაგრამ გამოხდება ხანი და შეიცვლება რეალურ ცხოვრებაში დამკვიდრებული მდგომარეობა. დაპირისპირებულმა ძალებმა უთუოდ უნდა გაცვალონ როლები. ამას მოითხოვს ბოროტისა და კეთილის ორთაბრძოლის საყოველთაოდ ცნობილი შედეგი:

"თურმე მის საფლავის თავის
ერთი წყაროა მომდენი,
და ხშირად საფლავის სტუმრად
ღამ-ღამ იცით მთვარის ოდენი
სხივი ჩამოდის და ადის

ქვეყნად სინათლის მომფენი
ვინაც კი დაჰლევს იმ წყალსა,
რაც უნდა ჭირით პყრობილი იყოს, მორჩება იმ წამსვე,
წყარო ისეა ცნობილი".

(ვაჟა-ფშაველა 1961: 208).

ვაჟა-ფშაველა ბოლოს ისევ უბრუნდება ზღაპრისა და პოემის თემას და ისევ ზღაპრის ტრადიციის გათვალისწინებით ამკვიდრებს სიკეთეს და სჯის ბოროტებას.

პოემა "უიღბლო იღბლიანში" ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება ფოლკლორული მასალისადმი შემოქმედებითია. პოეტი გარდაქმნის ზეპირსიტყვიერ მოტივებს, ტრადიციულ თემებს ახლებულ ინტერპრეტაციას აძლევს და ორიგინალურ გააზრებამდე ამაღლებს.

გამოყენებული ლირტერატურა:

1. თ. ქურდოვანიძე, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეტური სიტყვა, თბ. 1991
2. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, მ.ზანდუკელი "სიზმარი", თბ. 1966
3. ვ.კოტეტიშვილი,ქართული ლიტერატურის ისტორია, XIXს. თბ.1959
4. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ.2, თბ. 1961

თამილა მახარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურა

ქრისტიანულ- მითოსური მოტივები ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელში"

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ შარაბიძე

ვაჟას გამოჩენამ ქართულ ლიტერატურაში შეცვალა XIX საუკუნის ქართული პოეზიის საერთო ფონი და ზედ აღიბეჭდა, როგორც მიმზიდველი და იდუმალი "შორი თეთრი მწვერვალი". მკვლევართა ინტერესის საგანი თავიდანვე გამხდარა ვაჟასეული სამყაროს აღქმის სპეციფიკა. ამ თვალსაზრისით იგი ინდივიდუალური და განსხვავებული ხელწერის ხელოვანია.

განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ვაჟას პოეტური გენიის თვითმყოფადობა მის პოემებში. "გველის მჭამელი", რომელიც ამჟამად

ჩვენი ყურადღების ობიექტს წარმოადგენს, 1901 წლით თარიღდება. ”გარკვეული თვალსაზრისით ეს არის შემაჯამებელი ნაწარმოები, რომელშიც მოცემულია ვაჟას მსოფლმხედველობრივი მრწამსის გასაღები. ოღონდ ეს უკანასკნელი იმდენად ღრმად დევს, რომ “გველის მჭამელის” კონცეფცია დღემდე რჩება პრინციპული ლიტერატურული პოლემიკის, აზრთა დიამეტრული სხვადასხვაობის საგნად” (ასათიანი 1982:433). როცა ეს ნაწარმოები დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველა კარგად ცნობილი და აღიარებული მწერალი იყო, მაგრამ მის ახალ პოემას არავინ გამოხმაურებია. ლიტერატურული საზოგადოება, ჟურნალები, გაზეთები დიდხანს დუმდნენ, არც ავი ითქვამთ, არც კარგი. არც ცნობა შემორჩენილა, რომ თუნდაც ზეპირი მსჯელობა სადმე გამართულიყო პოემის შესახებ.

“გველის მჭამელის” კრიტიკული შეფასების პირველი ცდა ალექსანდრე ხახანაშვილის რუსულად გამოცემულ “ნარკვევებში” გვხვდება. კვლევარი ამ პოემას სიმბოლისტურს უწოდებს. მოგვიანებით, 1909 წელს, კიტა აბაშიძემ მიაქცია ყურადღება თემატიკითა და პერსონაჟთა სახეებით გამორჩეულ ამ თხზულებას. კრიტიკოსი მინდიას “ახალი ცხოვრების მახარობელს” უწოდებს და ამბობს, რომ “იგი მსხვერპლია თავისივე ნების სისუსტისა და ამიტომაც იღუპება” (აბაშიძე1909, №8). აქედან მოყოლებული “გველის მჭამელის შესახებ უამრავი გამოკვლევა დაიწერა. სამართლიანად აღნიშნავს გრ. კიკნაძე, რომ “ვაჟა-ფშაველა დიდი ხელოვანია და კვლევა-ძიების ერთ დონეზე ნამდვილად დაუძლეველია” (კიკნაძე 1975:6). ამას ადასტურებს გამიკვლევების სიუხვე, რომლების კონკრეტულად “გველის მჭამელის” პრობლემას ეხება.

“გველის მჭამელის” პირველ ნაწილში მინდია გვევლინება როგორც ბუნების საიდუმლოსთან წილნაყარი მოგვი. ბუნება “ვაშას” ძახილით ეგებება მინდიას გამოჩენას. მინდიასა და ბუნების ყოველ არსს შორის შინაგანი, სიყვარულისმიერი, სხვათათვის შეუცნობელი და შეუმჩნეველი კავშირია დამყარებული. მომდევნო თავებიდან ირკვევა, რომ ბუნებას არა მარტო ხეები, ყვავილები, პურის ყანა და ფრინველები ასახიერებენ, არამედ უფლის მიერ გაჩენილი ყველა სულიერი თუ უსულო არსი. მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს ბუნების განმასახიერებელი მცენარეულის მიმართ მინდიას განსხვავებულ დამოკიდებულებას. ყვავილნი და პურის თავთავები წამლად მოწყვეტასა და საჩქაროდ მომკას ევევდრებიან მინდიას, მაშინ როდესაც ხეები ეუბნებიან “ნუ მომკლავ ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო”. გაუგებრობას ბადებს ის, რომ “ხე-ქვა-ბალახი-ცხოველი” როგორც ჩალხია ამბობს ებრალება მინდიას, ხოლო ყვავილებსა და განსაკუთრებით ყანას, მინდია მათივე თხოვნისამებრ წყვეტს და მკის. წინააღმდეგობა მართლაც აშკარაა და ამ ერთი შეხედვით ბუნდოვან საკითხს საკმაოდ არგუმენტირებულად და ნათლად გამნარტავს თამაზ ჩხენკელი თავის “ტრაგიკულ ნიღბებში”.

მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს III თავის ბრწყინვალე მითოსურ პასაჟს, რომელშიც მინდიას ვაშას ძახილით ეგებება ბუნება, მას ხელნამგლიან ღმერთად სახავენ ოქრისფერი თავთავები

ხელ-ნამგლიანი როცა ვარ,
მსახავენ თავის ღმერთადა:-
“არა, მე მომჭერ, მინდიავ,
ნუ მტოვებ, შენი კვნესამე!”
“არა, მე, -სხვა გაიძახის:-

უფრო მაშინებს ზეცა მე.
პატარა ნისლიც რომ ვნახო,
ჩამოვიშლები ტანითა.
ვაი თუ სეტყვა მოვიდეს,
ყელი გამომჭრას დანითა" (ვაჟა-ფშაველა 1986:223).

"გველის მჭამელის" ამ მართლაც მითოსური პასაჟის მიხედვით, მინდია მარცვლეულის მფარველი, ოქროსთავთუხებიანი ყანის ღვთაებაა: მწიფე მარცვალი მისი გამნასახიერებელი და მისივე მკვდრეთით აღდგომის საწინდარია. ამ აზრით მარცვლის "გაწირვა" ე.ი. მოუმკელობა მისთვის "ყელის გამოჭრაა", რადგან მას არა თუ სეტყვა, პატარა ნისლიც კი დაშლის და მაშასადამე, მომავალ გაზაფხულს ვეღარ აღორძინდება კვლავ. მაგრამ, როგორ თამაზ ჩხენკელი აღნიშნავს "პოემის საერთო მიზანდასახულობის კვალად, ამ პასაჟის მითოსურმა შინაარსმა პროფანირება განიცადა. უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა აშკარად მითოსური შინაარსის განეიტრალებას ცდილობს, როცა განმარტავს:

ყანასა სეტყვა აშინებს,-
კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა,
თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა
სით შეუძლია წახდენა?!..
კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ
თავთავნი ოქროს ფერანი" (ვაჟა-ფშაველა 1986:223).

ცხადია, რომ ვაჟა აქ მიზანს უნაცვლებს თავთავის "ზრუნვას", მაგრამ მიზნის შენაცვლების მიუხედავად, ამ ეპიზოდის პირვანდელი, მითოსური მოდელი მაინც ძალუმად ჭვივის. პოეტის ინტუიცია სწორედ მას ასახიერებს, მაგრამ პოეტის რეფლექსია ამ პასაჟის აშკარად ნაგულისხმევ საკრალურ აზრს სხვა სადინელზე უშვებს: "თავთავებს კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა აფიქრებსო", რითაც საკრალურ აზრს უტილიტარულ განმარტებას აძლევს. ამრიგად, პოეტის დაგვიანებული რეფლექსია პოეტური ინტუიციის საფუძველზე უკვე განხორციელებული მითოსური პასაჟის მხატვრულ სინამდვილეს შინაგან წინააღმდეგობას უწევს" (ჩხენკელი 2009:179-180).

პოემის დასწყისშივეა ნათქვამი, რომ გველის ხორცის ჭამით ბუნების საიდუმლოებასთან წილნაყარობა ღვთიურ ცოდნასთან, ზეცასთან კავშირის ბადალია. ამ ცოდნისაგან მინდიას "დაცარიელების" შემდეგ, წინა პლანზე სწორედ ეს უკანასკნელი ასპექტი გამოდის: პოემაში უკვე მინდიას პირით არაერთგზის ცნაურდება, რომ მან უფლის წინაშე სცოდა, რომ მან ღმერთთან ლაპარაკის უნარი დაჰკარგა, რომ იგი რწმენისა, წმინდა რჯულისა და ციური ნიჭისაგან განიძარცვა. ამრიგად, მინდიას ბუნებასთან წილნაყარობა ღმერთთან თანაზიარობას გულისხმობს. მითოსური გველის ჭამა და ქრისტიანული ზეცის წყალობა ტოლფარდი ცნებებია.

მითოსური ქვესკნელი და ქრისტიანული ზეცა პოემაში გაიგივებულია. მინდია ღამღამობით ბანზე ზის და ცას აშტერდება:

ლოცულობს თვალ-ცრემლიანი.
აზრი არ ისმის ლოცვისა...
უფრო ტანჯვაა გლოვისა,
ვიდრე გულდაწყნარებული
წყალობის გამოთხოვისა.
ცრემლი სდის, ჩუმი ქვითინი
აბჯრის ჟრარუნში ერევა,
ლოცულობს დაჩოქილია,
ხანიც მრავალი ერევა"

(ვაჟა-ფშაველა 1986:238)

ასე მხოლოდ ქრისტიანული ღმერთის წინაშე ლოცულობს ქრისტიანი. მაგრამ ეს ქრისტიანი მინდიაა და ხახმატის ხატშია დაჩოქილი, სადაც წარმართული ხვთაების სახელზე დაკლულ კურატთან "ხანჯარ-სისხლიანი" ხევისბერი დგას. ხევსურთა სალოცავში გველისმჭამელის ასეთი ლოცვა ისევე ძნელად წარმოსადგენია, როგორც მის მიერ ცხოველთა ხოცვის გამო დაკარგული სიბრძნის გამოსათხოვრად ძროხების დაკვლა, რადგან თუ პირველ შემთხვევაში ეთნიური კოლორიტია დარღვეული, მეორეგან დანაშაულის მონანიება იმავე დანაშაულის საზღაურად ხდება. მაგრამ, როგორც ვხედავთ, პოემაში ცათა მიმართ ქრისტიანულ ლოცვას სწორედ კურატის წარმართული მსხვერპლშეწირვა შეესაბამება.

"გველის-მჭამელის" პირველსავე თავშია ნახსენები ფშავ-ხევსურული ეთნოლოკალისათვის შეუსაბამო პირწმინდად ქრისტიანული "აღდგომა", "შობა" და "სამოთხე". თუმცა პოემის მხატვრული ნამდვილობა მხოლოდ მხოლოდ ხატობასა სცნობს რელიგიურ დღესასწაულად. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო დასკვნას აკეტებს თამაზ ჩხენკელი: "მინდიას გარეგნულ-აქტიური მოქმედება პოემაში მითოსური ელემენტებით ცნაურდება, მისი შინაგან-სპირიტუალური განსჯა კი–ქრისტიანულით. პირველის საფუძველი მინდიას ქვეცნობიერებაა, მეორისა ცნობიერი აზრი, რეფლექსია. მხოლოდ ინტუიციურად მოხვეჭილი ცოდნის დაკარგვის შემდეგ იცნობიერებს მინდია ამ ფაქტს და ბუნებასთან და ღმერთთან გაწყვეტილ კავშირს "ძვირ საუნჯედ" ნათლავს" (ჩხენკელი 2009:181)

მინდია ქაჯთა არაადამიანურ ყველა საიდუმლოს ეზიარა, თუმცა ის, რაც ქაჯებს ქაჯად ე.ი. ბოროტ სულებად აქცევდა, დემონურ თვისებას სძენდა, მინდიას პიროვნებისათვის უცხო დარჩა. მინდიამ "სხვა ყველაფერი ისწავლა ხერხია", "მხოლოდ ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხია". ამიტომაც მინდია ბოლომდე ადამიანურის ერთგული რჩება. იგი ცდილობს ქაჯებთან, ანუ ბოროტების სიმბოლოსთან დაპირისპირებას.

მინდია მაღალი ოცნებით ცოცხლობს: "ნეტავი იმას ვისაც კი მადლიერი ჰყავს ქვეყანა" – ესაა ამქვეყნიური ბედნიერების მაძიებელი ამ დიდი ადამიანის იდეალი. იდეალების განსახორციელებლად უცნაური უნარი მოიმარჯვა მან, მაგრამ უცნაურობას დანახვა და გაგება სჭირდება. "ოჯახი და საზოგადოება სარგებლობს მინდიას ღვთაებრივი მონაცემებით, მაგრამ როცა ყოფით, ადამიანურ ურთიერთობებზე მიდგება საქმე არ შეუძლიათ გაუგონ მას. ოჯახი და თემის წევრები ოდნავად არც ფიქრობენ, რომ მინდიას განსხვავებულ თვისებებს, რომელიც სწორედ მათ სასიკეთოდაა მიმართული მოვლა სჭირდება. საზოგადოებაა ყოვლად ეგოისტი ისეთი პიროვნებისადმი, რომელიც ძალასა და ენერგიას არ ზოგავს, რომ ქვეყანას "არგოს" (ევგენიძე 1989:401).

მინდია თავისთავად ტრაგიკული ბედის ადამიანია. მან, გრძნეული ნიჭის პატრონმა, ვერ შეძლო ეს ნიჭი ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოეყენებინა (ეს ძალიან ცოტა ხნით შეძლო). საზოგადოებას სჭირდება ბრძენი, თუნდაც გრძნეული წინამძღოლი, ლიდერი და თუმცა ოჯახი საზოგადოების ბურჯია, სწორედ ამ კერძო შემთხვევაში საზოგადოება უპირისპირდება ლიდერის ოჯახს. ყოველი საზოგადოება, თემი ცდილობს წინამძღოლის ერთადერთი საზრუნავი იყოს. ბუნებრივია, რომ ადამიანი,

რომელსაც სხვათა ბედი აბარია გარკვეულ დათმობებზე უნდა წავიდეს პირად ცხოვრებაში. როგორც ზაზა აბზიანიძე აღნიშნავს, “მინდიას რწმენას არ მოუთხოვია მისგან ოჯახი გაეწირა. ვაჟამ კვლავ არაჩვეულებრივი სიტუაცია შექმნა. მინდიას ოჯახი სიცივესა და შიმშილს უნდა შეეგუოს, იმისათვის, რომ ამ ოჯახის მეთაურმა თემის გაძღოლაც შეძლოს.

მინდიას სახე ვაჟას მსოფლმხედველობრივი ინტერესების ძირითას სფეროს, მის გულისთქმასა და მისი მაძიებელი აზრის მთავარ მიმართულებას ემსახურება. ამსთან ერთად ეს უნიკალური სახე შეიძლება გავიგოთ, როგორც სიმბოლური გაგება და განზოგადება ვაჟას პოეტური გენიის ერთი არსებითი ნიშან-თვისებისა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველ პოეტთა შორის ვაჟა-ფშაველა იყო პირველი და ერთადერთი, რომელმაც შეძლო მინდიასავით ღრმად ჩაწვდომოდა ბუნების საიდუმლოებას და “უსულოთა და უასაკოთა” მეტყველების საიდუმლოება გაეგო.

კაცობრიობის დიდ მასწავლებელთაგან, მხოლოდ რამდენიმემ იწინასწარმეტყველა, რომ ბუნება ოდესმე სამაგიეროს გადუხდის თავის ყოვლისშემძლეობით გაამპარტევნებულ ადამიანს და მარტოდმარტოს დატოვებს ცხოვრების დამშრალი მდინარის უსიცოსხლო, უხმო და უჩრდილო ნაპირზე... ქართველი კაცისთვის ასეთი მასწავლებლი ვაჟა-ფშაველა იყო. ბუნების პირისპირ ამპარტავნად მდგარ ადამიანს ვაჟამ მუხლი მოადრეკინა ამ მარადიული სასწაულის წინაშე და პირიქით, ცხოვრებისაგან დაჯაბნილსა და დაჩოქილ მოძმეს ხელი შეაშველა, ფეხზე წამოაყენა, ღირსების გრძნობა და მომავლის რწმენა შთაუნერგა. იგი თვითონ იყო ამ ბუნების ღვიძლი შვილი, მის კალთაში გაზრდილი და მასთან ერთად თავისუფლების გემოს ნაჩვევი.

მინდიასათვის ბუნების ყოველი არსება არის სუბიექტი, მეორე “მე”, რომელთანაც იგი ისეთ ურთიერთობას ამყარებს, როგორც ტოლი ტოლთან. მინდიას დამოკიდებულებას უსულო ბუნებისადმი პოეტი სიმბოლური მნიშვნელობით ხატავს. ვაჟა იყო პოეტი, რომელიც სიმბოლოებს ხაზგასმით არ გამოხატავდა, თუმცა მათ შინაგანად ყოველთვის ატარებდა. სიმბოლო ის გზა და ხიდია, რომელსაც ამ ქვეყნიდიან იმ ქვეყანაში გადავყავართ. იგი მისტიკური სამყაროს გასაღებია, სარკმელია უხილავი სინამდვილის დასანახავად. ვაჟას უსაზღვრო ფანტაზიამ შეძლო მინდიას სახით დაემყარებინა კავშირი ამ ქვეყნებს შორის. “მინდიას თვითმკვლელობის გადაწყვეტილება არ უნდა გავიგოთ პირადაპირი მნიშვნელობით, ისევე როგორც გველის ხორცის ჭამა. თვითმკვლელობას პოემაში თვითშემეცნების მნიშვნელობა აქვს, რომელმაც ადამიანს ხსნის გზა უნდა აჩვენოს. მინდიას გადაწყვეტილება არის არჩევანის გაკეთება ამქვეყნიურსა და სულიერს შორის. ამ არჩევანით მინდია მეორედ იბადება. იბადება როგორც პიროვნება, ამ სიტყვის ჭეშმარიტი ქრისტიანული მნიშვნელობით. დაბადება ხდება თვით ადამიანის მიერ და არა მისგან დამოუკიდებლად” (შარაბიძე 2005:207). ამ ნაწარმებში ერთამნეთ ერწყმის მითოსი და ქრისტიანოიბა. თუ პირველი მასალაა აზროვნებისთვის მეორე მსოფლმხედველობრივი აზროვნების შედეგია. სწორედ ამიტომ მიმართავს ვაჟა მითის ქრისტიანიზაციას.

რეალისტური ეპოქის წარმომადგენელმა შექმნა ეპოქისათვის სრულიად შეუსაბამო პოემა, რომელსაც სიმბოლისტური დატვირთვა აქვს. ამ პოემით მან წინ გაუსწრო თავის ეპოქას და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ის ჭეშმარიტი ნოვატორია. მხოლოდ ასეთი გენიალური ნიჭის პატრონს შეეძლო დაეწერა “გველის მჭამელი”, რომელსაც

საუკუნეზე მეტია სულგანაბული ჩავცქერით და ბოლომდე ვერ ამოგვიხსნია მის ფსკერზე დალექილი იდუმალი ქარაგმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აბაშიძე 1909:** აბაშიძე კ. ჟუენალი "ფასკუნჯი",№ 1909
2. **ასათიანი 1982:** ასათიანი გ. სათავეებთან. თბილისი: გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", 1982
3. **ევგენიძე 1989:** ევგენიძე ი. ვაჟა-ფშაველა. თბილისი: გამომცემლობა "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 1989
4. **ვაჟა-ფშაველა** 1986: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", 1986
5. **კიკნაძე 1957:** კიკნაძე გ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი, გამომცემლობა: "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა" 1957
6. **შარაბიძე 2005:** შარაბიძე თ. ქრისტიანული მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, თბილისი, 2005
7. **ჩხენკელი 2009:** ჩხენკელი თ. ტრაგიკული ნიღბები. თბილისი: გამომცემლობა "მემკვიდრეობა" 2009

ნინო ადამია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურა

მითოსი,როგორც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების წყარო

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ შარაბიძე

მითოსი – ხალხური შემოქმედება – ამა თუ იმ ერის განვითარების დონის მაჩვენებელია. მდიდარია ის ერი, რომელსაც ძველი მემკვიდრეობა გააჩნია და მისგან არაერთი ფასეული ფაქტის მოხმობა შეუძლია. ქართული ეროვნული მითოსიც, ცხადია, ღირებულია ჩვენთვის და მრავალმხრივ განხილვას საჭიროებს. საინტერესია იგი იმ კუთხითაც, რომ მისი გამოყენება ხდება ქართული ლიტერატურის განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე და, რაც დრო გადის, ეს პროცესი უფრო და უფრო აქტუალურია. ასეა, ალბათ, ყოველი ერის ისტორიაში, როცა თანამედროვე ეპოქა ისევ და ისევ სიძველეებისაკენ ცდილობს მიბრუნებას, ყოველი ახალი ხომ კარგად დავიწყებული ძველია...

ზოგადად, მითოსით იწყება თითქმის ყველა გონიერი ერის ლიტერატურა, იგი ერთი შეხედვით, მარტივი და გასართობი ჟანრია, ბავშვთ გასართობად შექმნილი ზღაპარია,

რომელიც მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია და ირეალურ, ზოგჯერ არარსებულ სამყაროში მიმდინარეობს. თუმცა, ამ პირველადი შთაბეჭდილების მიღმა იხილვება დიდი სიბრძნე, რომელიც ხალხში არსებობდა, რომლითაც ერი იკვებებოდა და აზროვნებდა... როგორც ვხედავთ, მითოსს მრავალმხრივი ფუნქცია აქვს და სულაც არ არის ისეთი მარტივი, როგორიც შეიძლება ჩანდეს.

ხალხური შემოქმედების გამოყენების, „გათანამედროვების" არა ერთი შემთხვევა დადასტურდა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში და, ცხადია, ქართულშიც, როგორც მთელის ერთ ნაწილში... მნიშვნელოვანია, რომ, როდესაც ამ საკითხზე იწყებენ საუბარს, პირველი მაგალითები, ძალიან ხშირად, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან მოჰყავთ. იგი, რა თქმა უნდა, არაა ერთადერთი მწერალი ამ შემთხვევაში (აკ. წერეთელი, ვ. ბარნოვი, კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე, გ. დოჩანაშვილი...), მაგრამ ერთ-ერთია, ვისთანაც ასე ჭარბობს მითოლოგიური წარმოდგენები, სახეები... საინტერესოა, ასევე, როგორი კუთხით უდგება მწერალი ასეთ მოტივებს, რა აინტერესებს და როგორ ინტერპრეტაციას აძლევს მათ საკუთარ ნაწარმოებებში.

პირველ რიგში, ალბათ, თვალში საცემია ისეთი მითოსური პერსონაჟების სიმრავლე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, როგორებიც არიან: დევები, ქაჯები, ალები, ღვთისშვილები – ამირანი, კოპალა... მეტად მანიშნებელია, აგრეთვე, ხალხური „ეთერიანის" ახლებური გააზრება, ეთერის „ახალი" ხასიათი და მისი მიმართება ნაწარმოების სხვა პერსონაჟებთან...

დევები, ალ-ქაჯები, ავი სულები მწერლის შემოქმედებაში მუდამ ბოროტ საწყისს გამოხატავენ – ადამიანთა მტრები, სისხლისმსმელები, ყოველივე ადამიანურის დამანგრეველი ძალები არიან. ასეთ სახეებს ვაჟას უამრავ პოემაში, მოთხრობასა თუ ლექსში ვხვდებით („გველისმჭამელი", „სტუმარ-მასპინძელი," „დევების ქორწილი," „სიზმარი ამირანისა," „მოჩვენება," „ეთერი..."). დევები, ავი სულები, როგორც უკვე ითქვა, მუდამ ცუდის – უარყოფითის განსახიერებანი არიან, ისინი ყოვლის შთანთქმას ლამობენ, თუმცა სიკეთე მუდამ ამარცხებს მათ, იშვიათია ხალხური შემოქმედებიდან თუ ვაჟას ნაწარმოებებში ისეთი შემთხვევა, რომ ასეთი ძალა გამარჯვებული დარჩეს. მითოსშიც ხომ კეთილი ყოველთვის ამარცხებს ბოროტს, დასასრული ყოველთვის იმედიანი, ნათელია. ასევეა, ეს მწერალთან, რომლის შემოქმედებაც უდავოდ ოპტიმიზმით არის სავსე და შეუძლებელია მასთან გამარჯვებულად უარყოფითი მხარე ვიგულვოთ.

მნიშვნელოვანია, ასევე, ისიც, რომ ვაჟას არამარტო მოტივები თუ პერსონაჟები „უსესხებია" მითოსიდან, არამედ ამბები, მთელი ეპიზოდები... ერთ-ერთი ამის მაგალითია ლექსი „დევების ქორწილი," რომელიც ზუსტად ამავე სათაურით დასტურდება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, თუმცა, შინაარსით მწერლის ლექსი ზუსტად არ მიჰყვება თავის

ხალხურ ვარიანტს, განსხვავებებსა თუ მსგავსებებზე დაკვირვებით გარკვეული დასკვნების გამოტანაც შეიძლება, თუ რას ხედავს ავტორი აქ საინტერესოს და როგორ ქმნის თავად საკუთარ თხზულებას: ხალხური „დევების ქორწილი" მოცულობით ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ვაჟასეული, მასში აღწერილია, თუ როგორ ხვდება ჩვეულებრივი ადამიანი დევების ლხინში, რომელიც მალე ჩხუბად გადაიქცევა, დევები ერთმანეთს დაერევეიან და ამ საერთო არეულობას ადამიანი ძლივს აღწევს თავს, ჩუმად იპარება. რაც შეეხება ამ მხრივ ვაჟას ლექსს, ის მოგვითხრობს, რომ დევებს ქორწილი გაუმართავთ, სადაც ხვდება ადამიანი, მოქეიფენი მას უმასპინძლდებიან ადამიანის ხორცისგან დამზადებული საჭმელებით, მას ყურსუკან ესმის, თუ როგორ კვნესის სხვა ადამიანი, რომ მოძმის ხორცს ვერ შეჭამს. ეს არის აბსოლუტურად ჰუმანური გადააზრება ძველი ამბისა, სადაც გაიჟღერებს ადამიანის მიერ ადამიანისავე ხორცის ჭამის მოტივი, მწერლის სათქმელი უკვე ნათელი ხდება: ცხოვრება ბოროტებით არის სავსე, უსამართლობა განუკითხავად დათარეშობს ადამიანთა შორის და ამ ყველაფრის მიზეზი კი საკუთარი მოძმის ღალატი, ზურგშექცევა გამხდარა. ადამიანი კარგავს მთავარს, რაც მას სხვა არსებებისგან განასხვავებს – ადამიანობას. ის ღვთიური საწყისი, რაც ყოველ ღვთის დაბადებულში არსებობს, წაშლილა და ამიტომ ხდება კაცი კაცისავე ხორცის მჭამელი, ვფიქრობ, სიმბოლურია, რომ ადამიანი თავდაპირველად თანაზიარი ხდება ბოროტებისა, რომელსაც ლექსში დევები განასახიერებენ. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კაცი, რომელიც დევების ლხინის თანამონაწილეა, განიცდის თავის მდგომარეობას და ერთგვარად უარს ამბობს ადამიანის ხორცის მიღებაზე. სინანული ერთ-ერთი პირველი სარწმუნოებრივი სათნოებაა, რომელიც ჭეშმარიტ მონანიეს ათავისუფლებს საკუთარი ცოდვებისგან. ვაჟას ლექსში აშკარად ჩანს ეს გრძნობა, რისი მეშვეობითაც დევთა ქორწილში მოხვედრილი ადამიანი საბოლოოდ არ ხდება იმ ბოროტი საწყისის მიმღები და გამზიარებელი.

დევებზე საუბრის დროს აუცილებლად უნდა ვახსენოთ ქართული მითოლოგიური პანთეონის ერთ-ერთი წარმომადგენელი – კოპალა – რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც არაერთხელ გვხვდება. ფოლკლორისტიკაში აღნიშნულია, რომ კოპალა, და მასთან ერთად, იახსარი, დევებთან, ზოგადად ბოროტ ძალებთან, მებრძოლი გმირები არიან. კოპალა, ძირითადად, ფშაურ, ხევსურულ და თუშურ ლექსებსა და გადმოცემებში გვხვდება, მისი ძირითადი ეპითეტებია: „მშვენიერი," „ლახტიანი," „მხარ-თეთრი," „გმირი" (4, I, გვ.134). კოპალას ასაკზე, წარმოშობაზე მწირი ცნობებია, თუმცა, როგორც ზემოჩამოთვლილი სიტყვებიდანაც ჩანს, იგი ახალგაზრდა, ახოვან ჭაბუკად წარმოეგინათ, რომელსაც არავის და არაფრის შიში არ ჰქონდა:

„მემრინას გმირი კოპალა

დევ-ქაჯთა პირის მშლელია”

(4, I, გვ.60).

ან:

„...გმირი კოპალა ცხენზე ზის,
მიდის და მიუხარია,
მხარზე ჰკიდია მათრახი
სამოცდასამი მხარია.
გმირი კოპალას შიშითა
დევებს ვერ გაუხარიათ,
მისი მარჯვენა მძლავრია,
მისი დაკრული მწარეა.”

(4, I, გვ.131).

ასეა იგი დახასიათებული ზეპირსიტყვიერებაში, რაც შეეხება ამ გმირის სახეს ვაჟას შემოქმედებაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოემა „კოპალა.” თხზულება იწყება ბუნების აღწერით, რაც, მეტად დამახასიათებელია მწერლის ნაწარმოებებისათვის. შემდეგ თხრობა გადადის ტყის ბინადრებზე, რომლებიც ღამით ჩუმად მიიპარებიან წყაროს წყალთან, რათა დალიონ იგი. ყურადღებას იქცევს საკუთრივ ირმის სწრაფვა წყაროს წყლისკენ, ესაა ცნობილი ბიბლიური მოტივი: წყარო – როგორც მაცოცხლებელი მოვლენა, რომელიც ქრისტინობაში უზენაესისაკენ, უმაღლესისაკენ სწრაფვას გულისხმობს. წყაროსთან მისულ ცხოველს ბოროტი ძალა დევნის, ტყით გამოსული უზარმაზარი დევები არემარეს აფრთხობენ, ყოველივე ეს მეტად მძაფრად და ცხადად არის აღწერილი, მჩაგვრელი ძალა ზეობაშია და სწორედ ამ დროს ჩნდება ვინმე მოხუცი, თეთრი წვერითა და ჯვრით ხელში, ეს არის ყველას იმედი და სასო – ბერი კოპალა. მსგავსება ნათელი და უდავოა, მითოლოგიური გმირი, რომელიც ხალხურ შემოქმედებაში დევებთან მებრძოლის სახელით შემორჩა, ვაჟასთან დარბაისელ მოხუცად იქცა. თუმცა, განსხვავებაც აშკარაა: პოემაში კოპალა მოხუცის სახით, გრძელი თეთრი წვერით შემოდის, იგი საყდართან დგას და აქედან, ჯვრის ძალით ამარცხებს მტერს, ფოლკლორული გმირის სახეს აქ ეროვნულ–რელიგიური შტრიხები ემატება, მტერი კი, რომელიც ცხოვრების წყაროს უშრიტავს სხვებს, ზოგადი მტერია და არა მხოლოდ კონკრეტული დევი თუ ავსული, კოპალა კი – ხალხის შემწე, გადამრჩენი, ამიტომაც ელის მას ხალხი ასე იმედიანად, ამიტომ უხმობენ მას დევების დასამარცხებლად. მოხუცი ბერი, რომელიც მითოსშიც „დევ-ქაჯთა პირის მშლელია,” ვაჟას პოემაში საყდრის ბინადარია, მისი მფარველი და შემნახველი და მისი მთავარი ატრიბუტი აქ

ჯვარია, ხალხურ პოეზიაში კი მისი ერთ-ერთი ეპითეტი, როგორც ითქვა, არის „ლახტიანი," რომლითაც იგი ამარცხებდა მტრებს. როგორც ვხედავთ, ვაჟა–ფშაველამ კოპალას შეუნარჩუნა მთავარი თვისება – დევ-ქაჯთა მტრობა, თუმცა ბევრი რამ შეცვალა, ახალგაზრდა, ლახტიანი და მშვენიერი კოპალა საყდრის ბერად იქცა, რომელიც მტერს უკვე ჯვრით ამარცხებს. სათქმელი ნათელი ხდება: ყოველგვარი ბოროტება, რომელიც, პირველ რიგში, სულს უქმნის საფრთხეს, მარცხდება რწმენითა და მისი უმთავრესი სიმბოლოთი – ჯვრით.

ვაჟა-ფშაველას ყურადღებას მამაცი და მტკიცე რწმენის ხასიათები ყოველთვის იქცევდა, სწორედ ამიტომ არის მის შემოქმედებაში ე.წ. „კაი ყმის" მოტივი ასეთი ყოვლისმომცველი და ხშირი. ამ მხრივ, ყველაზე ნათელი მაგალითია პოეტის ლექსი „კაი ყმა", რომელიც, ასევე, ხალხურ მოტივებზეა აგებული, მისი მსგავსი ლექსები ხალხურ პოეზიაში მეტად გავრცელებული იყო. გმირის ვაჟასეული იდეალის წარმოსადგენად საინტერესო მასალას გვაძლევს როგორც მისი მხატვრული, ასევე პუბლიცისტური მემკვიდრეობაც. რომ არაფერი ვთქვათ ზემოთ ხსენებულ კონკრეტულ ლექსზე, მწერლის მთელი შემოქმედება ყოველთვის ადიდებს მამაც, რწმენაშეურყეველ ადამიანს, რომელიც პირველ ადგილზე ჯერ სხვის კეთილდღეობას აყენებს და შემდეგ – თავისას. მთელი თავისი სიცოცხლე თემისა და ერის სამსახურში გაჰყავს, ამის სანაცვლოდ გმირს მხოლოდ სახელი რჩება, არანაირი მატერიალური სიმდიდრე და ავლა-დიდება, ნამდვილ მამაკაცს მათკენ სწრაფვა არც უნდა ჰქონდეს, სწორედ ამას ამბობს ვაჟა თავის ერთ წერილში: „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით," ამ ნაშრომს, რომელსაც ავტორი თვისი კუთხის პოეზიაზე წერს, თავისუფლად შეიძლება დაერქვას სამეცნიერო ნაშრომის სახელი. იმ ნიშან-თვისებებს, რომლითაც ფშაველი მთქმელები ახასიათებდნენ კარგ ყმებს, თითქმის ყველაფერში ეთანხმება ვაჟაც, მის შემოქმედებაში „კაი ყმა" მუდამ უბრალო, თავშეკავებული, თავმდაბალი და სხვაზე თავგადაკლული პირია. მისი იდეალური სახის უფრო კარგად წარმოსაჩენად, ემოციათა გასამძაფრებლად ავტორს ანტიგმირიც შემოჰყავს თხრობაში და მათი შედარება-შეპირისპირების ხერხით მკვეთრ ხაზს უსვამს თავის სათქმელს.

ვაჟასეული „კაი ყმა" მოცულობით უფრო დიდია ვიდრე ხალხური, ფოლკლორში რამდენიმე მოკლე ვარიანტი არსებობს ამ ლექსისა. ზოგადად კარგი ყმა ჩვენს მწერალთანაც და ხალხურ მთქმელებთან ურთიერთმსგავსი თვისებებით ხასიათდება და განსხვავება მცირეა, თუმცა, ვაჟა საუბრობს იმქვეყნიურ ცხოვრებაზეც, სადაც სახელმოხვეჭილ გმირს წინაპრები ეგებებიან, მათ შორის თვით ერეკლე მეფე და თამარიც, ასეთი მოტივები კი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში „კაი ყმასთან" დაკავშირებით არ გვხვდება.

გმირის იდეალური სახის წარმოსადგენად არა მარტო ზემოთ განხილული ლექსის, ვაჟა–ფშაველას პოემების მიხედვითაც ბევრი რამის თქმა შეიძლება, ალუდა, ჯოყოლა, ზვიადაური და სხვები თავიანთი სრულყოფილი ხასიათებით სავსებით მიესადაგებიან „კაი ყმის" ხალხურ თუ მწერლისეულ დახასიათებას. ზოგადად, ასეთი პიროვნებების თვისებებს რომ ავტორები ჩამოვაშოროთ, მივიღებთ არა უბრალოდ გმირის – მებრძოლის – იდეალს, არამედ ნამდვილ ქრისტიან ადამიანს. თავმდაბლობა, მოთმინება, სხვისთვის თავგანწირვა, უბრალოება და სისადავე ხომ ნამდვილი, ჭეშმარიტი მორწმუნის თვისებებია, იგი ზოგადად ადამიანთა მოდგმას მოეთხოვება და არა მხოლოდ ცალკეულ პირებს. სწორედ ამით არის ხალხური შემოქმედებაცა და ვაჟაც დიდებული და მრავლისმთქმელი, ამ მემკვიდრეობაში არ ჩანს უბრალო გადმოცემა გასართობი ამბებისა, მითოსს ქმნიდა ხალხი და ხალხის ერთ-ერთი წევრია ვაჟაც, ამიტომ არიან მისი პერსონაჟები ასეთი სრულფასოვნები და, ამავე დროს, მრავალფეროვანნი. მართლია, მითოსი გარკვეულწილად წარმართული წარმონაქმნიცაა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს მისთვის ქრისტიანობასაც, როგორც ვიცით, სარწმუნოების შეცვლამ ქართველი ხალხის ცნობიერებაში უამრავი წინააღმდეგობა წარმოშვა, ქრისტიანობამ მორწმუნეებს ბევრი რამის შეცვლა მოსთხოვა და ამ ცვლილებებს მან თავისი სიახლეების ძველზე დანერგვით მიაღწია, ამიტომ შეიძინა უამრავმა მითოლოგიურმა პასაჟმა თუ გმირმა ქრისტიანული იდეალის თვისებები და ასე განსახიერდა ისინი ქრისტიანული პათოსით გამსჭვალული მწერლის შემოქმედებაშიც.

ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი მწვერვალია ამირანი, რომელიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული კულტურის ყველაზე პოპულარულ გმირად. მან მოიცვა მთელი საქართველო, ძველთაგან დღემდე. მისი ხასიათი სხვადასხვა ავტორმა თავისებურად გარდაქმნა და გადაამუშავა, მაგრამ, ძირითადად, ამირანი არის ტანჯვის, უსამართლო დასჯის სიმბოლო. საკუთრივ ამირანის თქმულებაში იგი სულაც არ ისჯება დაუმსახურებლად, ამირანი თავის ნათლიას, ქრისტე ღმერთს (ან წმინდა გიორგის), უპირისპირდება და იგი ისჯება საკუთარი ცოდვების გამო. მართალია, ამირანი ხალხური თქმულების მთავარი გმირია, სასწაულებრივად არის მოვლენილი ქვეყანას, თვით ნადირთღვთაება დალის შვილია, მაგრამ არ არის იდეალური გმირი, რამდენადაც იგი საკუთარი ზეობის პერიოდში გადის ე.წ. „გაბუდაყების" საფეხურს და ვერ იქცევა ისე, როგორც იდეალური გმირისგან იქნებოდა მოსალოდნელი. როგორც მკვლევარი ზ. კიკნაძე აღნიშნავს, ამირანი არის ტანჯული, შემცდარი კაცობრიობის სიმბოლო, უამრავ თქმულებაში მიჯაჭვულ გმირს უჩნდება შანსი გათავისუფლებისა, რაშიც მას ზოგჯერ უბრალო ადამიანები უნდა დაეხმარონ, მაგრამ ეს ვერასდროს ხერხდება, რადგან უბრალო მოკვდავთ არ ძალუძთ იმ საიდუმლოს შენახვა, რომელიც საჭიროა ამირანის

გამოსახსნელად. ანუ, ამირანს – ტანჯულ გმირს, რომელიც ისჯება დამსახურებულად და მანამ გაგრძელდება ასე, სანამ იგი სინანულამდე არ მივა, სჭირდება კაცობრიობის დახმარება, მაგრამ ეს კაცობრიობა არ არის ამისთვის მზად, ასე გარდაისახა „გაბუდაყებული" ამირანის სახე დაჩაგრული, სიმართლის მცველი გმირის სახედ, ასე გახდა იგი მიჯაჭვული თავისუფლების სიმბოლო და უამრავი მწერლის ნაწარმოებთა წყაროც. ასეა იგი წარმოჩენილი ვაჟას შემოქმედებაშიც. უნდა ითქვას, რომ მწერალი გმირს იხსენიებს ძალიან ხშირად, ზოგჯერ ისეთ ადგილებშიც კი, სადაც მისი ხსენება არც არის მოსალოდნელი („დაუსრულებელი კვნესა", „კლდე მტირალი," „ამირანის ხმალი"...). ვაჟას ამირანი თავისუფლების მოლოდინშია მუდამ, იგი სამართლიანობისთვის იბრძვის, ხალხისთვის ზრუნავს, მაგრამ, არის ერთი ლექსი, სადაც ამირანი ღვთის საყვედურს ამბობს და ამის გამო ისჯება კიდეც. „სიზმარი ამირანისა" მეტად მნიშვნელოვანია ამ კუთხით. ამირანი სიზმარში ვარდება ღვთის "გმობის" ცოდვაში. დევებთან მოხვედრილი, იგი საყვედურობს უფალს, თითქოს პასუხს სთხოვს, რომ ასე გაწირა გმირი, ამ დროს ჩნდება თეთრწვერა მოხუცი, რომელიც წარმოთქმული სამდურავის გამო სჯის მას. გამოფხიზლებული კი უკვე აღმოაჩენს, რომ მიჯაჭვულია და მასთან მხოლოდ პატარა ფინიაღა რჩება... ამირანის მითის ვაჟასეულ გადააზრებას აშკარად ეტყობა ქრისტიანული კვალიც, გმირი ისჯება, როგორც უკვე ითქვა, საკუთარი ცოდვების გამო, მაგრამ მას მაინც აქვს იმედი, ის ელის ხსნას, რისთვისაც საჭიროა სინანული, გაცნობიერება საკუთარი საქციელისა...

მითოსური წყაროების საკვლევად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ვაჟა-ფშაველას კიდევ ერთი პოემა „ეთერი." ზეპირსიტყვიერების გავლენა აქ ისევე უტყუარია, როგორ ამირანის მითის შემთხვევაში, ეს არის ხალხული „ეთერიანის" ვაჟასეული ინტერპრეტაცია, რომელიც თავის ფოლკლორულ „პირველწყაროსთან" ბევრ საერთოსაც ამჟღავნებს და ბევრ განსხვავებასაც ავლენს. ყურადღება მივაქციოთ პოემა „ეთერის" პერსონაჟებს: ცენტრალური გმირია, ცხადია, ობოლი ეთერი, მისი ობლობა და გერობა ხალხურ ვარიანტშიც სახელდება და ახალი არ არის, მაგრამ ახალია ის მომენტი, როცა ვაჟა ასახელებს მის მამასა და და-ძმებს; ეთერის მიჯნური ხალხურში აბესალომია, ვაჟასთან კი გოდერძი, ხალხური მურმანი ვაჟასთან შერეა...

ხალხურ „ეთერიანს" თუ გავიხსენებთ, მასში სოციალური დაპირისპირება არ გვხდება, აბესალომი ქორწინდება ობოლ ეთერზე. ნაწარმოებში ამ უთანასწორობაზე მხოლოდ საკუთრივ ეთერი ლაპარაკობს და არავინ სხვა, ვაჟას პოემაში კი გოდერძის მამა სდევნის სასახლიდან გლეხის ცოლად შერთვის გამო და მამავე ხდება მიზეზი და მოთავე ცოლ-ქმრის დაშორებისა, აქედან იწყება ტრაგედიაც. გურგენ მეფე დახმარებას სთხოვს შერეს (მურმანს), რომელიც სულს გაცვლის ჯადოზე. მისი სული ახლა

ბნელეთის ძალებს – ავსულ დედაბერს და დევებს ეკუთვნით. აქ ერთ მომენტზე უნდა შევჩერდეთ: შერეს ასეთ საქციელს მუდამ თან ახლავს სინანულის განცდა, იგი თან მხიარულია და თან მგლოვიარე, მის ცნობიერებაში სინდისის ხმა მაინც ისმის და საბოლოოდ ამ ხმას იგი მიჰყავს კიდეც სინანულამდე, შერე საკუთარი ხელებით ისჯის თავს ჩადენილის გამო, რაც ნამდვილად არ ხდება ხალხური „ეთერიანის" მურმანის სულში, იგი თავს იკლავს მხოლოდ იმიტომ, რომ საფლავშიც კი ხელი შეუშალოს აბესალომისა და ეთერის ერთად ყოფნას. ვაჟას შერე საკუთარი ცოდვის გაცნობიერების გამო, ცხადია, მაინც ვერ ხდება საბოლოოდ დადებითი გმირი, მაგრამ მურმანისგან განსხვავებით, იგი მკითხველს ამახსოვრდება როგორც მონანიე, გახელებული პერსონაჟი, რომელიც მისტირის თავის აწ უკვე დაკარგულ სულს და აცნობიერებს, რაც ჩაიდინა.

საინტერესო ხასიათია, ასევე, გოდერძი. რომელიც არ ამბობს უარს (აბესალომისგან განსხვავებით) საკუთარ სიყვარულზე, ტანჯვით კვდება, მაგრამ არ თმობს ავადმყოფ სატრფოს, მისი სიყვარული აქ მტკიცე და ურყევია, ის ფიცი, რომელიც მან თავიდანვე მისცა ეთერს, ბოლომდე შეასრულა, გაუძლო მამისგან უარყოფას (მხოლოდ დედა თანაუგრძნობდა შვილს), გაუძლო სასახლიდან გაგდებას, ყველასგან ზურგშექცევას და ბოლომდე ეთერის ერთგული დარჩა. გოდერძიმ შეასრულა ადამიანური მოვალეობა: არ შეცვალა თავისი სიტყვა, არ უღალატა თავის ფიცს და ეთერისადმი სიყვარულის მონა იყო ბოლომდე. ასეთი ცვლილებები ავტორს ხალხურთან შედარებით, ვფიქრობ, იმისთვის დასჭირდა, რომ ზოგადი ადამიანური პრობლემები წამოეწია წინ, დაესახა, თუ როგორ მიდის უდიდესი ცოდვის შემდეგ ადამიანი პირველ ქრისტიანულ სათნოებამდე – სანანულამდე... როგორ ერთგულობს გოდერძი თავის სიყვარულს და ეწირება კიდეც მას...

ვაჟა-ფშაველას კიდევ უამრავი თხზულება აქვს, სადაც მითოსური ელემენტები მეტად ჭარბობს („უიღბლო იღბლიანი," „მოჩვენება," „ოცნება..."), თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის, როცა მწერალი ცდილობს გააცოცხლოს ძველი თქმულება-წარმოდგენანი, პირველ რიგში, იგი უსადაგებს მათ თანამედროვე საკითხებს, ზოგად ადამიანურ პრობლემებს, ძალიან ხშირად ავტორი მათ რელიგიურ საბურველში ხვევს, რითაც უფრო თვალსაჩინოს ხდის მთავარ სათქმელს. ვაჟას გენია ამოუწურავი ფენომენია და ამას ადასტურებს ის თანხვედრა ძველისა და ახლისა, წარმართულისა და ქრისტიანულისა, რაც მის ნაწარმოებებში ასე ნათლად ჩანს და სრულიად ბუნებრივად იკითხება, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და ბუნდოვანების გარეშე.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ვაჟასთან წარმართული მოტივების არსებობაზე უამრავი რამ თქმულა, საკუთრივ მწერალიც მიუთითებს თავის წერილებში, რომ ხალხური პოეზია ყოველთვის იყო მისთვის შემოქმედების წყარო, რომ ამ მემკვიდრეობას მუდამ ჰქონდა მასზე გავლენა, ამ სიტყვის კარგი გაგებით, რადგან ვაჟა ლიტერატურულ გავლენას

უარყოფით მოვლენად არასდროს აღიქვამდა და მის გარეშე მწერლის მოღვაწეობას უშინაარსოდ, უნაყოფოდაც კი მიიჩნევდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, I-II-III-IV-IXტ., თბილისი, 1964წ.
2. კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თბილისი, 2008წ.
3. ქართული პროზა, XIIტ., თბილისი, 1986წ.
4. ქართული ხალხური პოეზია, I-IIტომები, თბილისი, 1973წ.

ლანა გრძელიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურა

უცხო,როგორც თემა,როგორც პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ შარაბიძე.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ტერმინ უცხოს რამდენიმე დეფინიციას ვხვდებით:

,, უცხო – 1) ვისაც არ იცნობენ, უცნობი, გარეშე პირი.

2) სადაც არ ყოფილან,რაც არ გაუცვნიათ, – ვინმესთვის უცნობი (მხარე, ადგილი), უცხო ქვეყნები // არამშობლიური, სხვა ხალხის კუთვნილი, უცხოური, უცხო ენა, უცხო ზნე–ჩვეულებები.

3) (წიგნ.) გარე, ზედმეტი, მიუღებელი, უცხო ელემენტი. უცხო იდეოლოგია, უცხო სხეული.

4) იგივეა, რაც საუცხოო.” (ქართული . . . , 1986:437)

ჩვენთვის ასევე საინტერესოა, უცნაურის განმარტება .

,,უცნაური – არაჩვეულებრივი, გასაოცარი, საკვირველი. – უცნაურად იქცევა.” (ქართული . . . , 1986:437)

შესაბამისად, ლიტერატურაშიც რამდენიმეგვარი „უცხო“ შეიძლება განვიხილოთ. კერძოდ, ვაჟა–ფშაველას შემოქმედებაში, უცხოდ შეიძლება მივიჩნიოთ ქისტები საზოგადოდ და, რა თქმა უნდა, მუცალი პოემიდან ,,ალუდა ქეთელაური”, ზვიადაური, პოემიდან ,,სტუმარ–მასპინძელი”; უცხო და უცხონი არიან ,,გველისმჭამელისეული”, ქაჯები და მთლიანად ის სამყარო, რომლის ,,მეცნიერიც” ხდება მინდია.

ვაჟა–ფშაველას შემოქმედებაზე შექმნილ ერთ–ერთ ყველაზე საყურადღებო გამოკვლევაში აღნიშნულია: ,,თემურ საზოგადოებაში უცხო ტომის კაცი ისეთივე მტრული და თითქმის გაუსულიერებელი, ანდა ბოროტების განმასახიერებელი ძალაა, როგორც ბუნების სტიქიური ძალები.” (ჩხენკელი 2009:103). ამ შემთხვევაში, ჩვენი განხილვის საგანს არ წარმოადგენს უცხოს გამოვლინების ეს ასპექტი. გვაინტერესებს სხვა, უფრო სიღრმისეული და პიროვნების ეგზისტენციასთან უფრო ახლო მყოფი პრობლემა, კერძოდ ადამიანის გაუცხოებისა და მისი გამოვლენის მხატვრული მხარე ვაჟა–ფშაველასთან. ზემორედასახელებულ პოემათა მთავარი გმირები, შინაგანი ტრანსფორმაციისა თუ სიტუაციის გამო გა–უცხო–ებულნი აღმოჩნდებიან იმ საზოგადოებისგან, რომელშიც ცხოვრობენ.

უცხო, გაუცხოებული, თემ–საზოგადოებისათვის, აწ უკვე, უცნაური პერსონაჟები, გარდა იმისა, რომ განსხვავებულნი არიან გარშემომყოფთაგან, ძირითადად, მეამბოხე და, გნებავთ, რევოლუციური თვისებებითაც გამოირჩევიან. ამ კატეგორიის უცხოთა არსებობა, პროგრესისტული ფილოსოფიით თუ ვიმსჯელებთ, აუცილებელიც კია საზოგადოების წინსვლისათვის, რათა მისი სოციალური დვრიტა არ შეყოვნდეს და არ გაიყინოს. ცხადია, ეს არ გულისხმობს მათ სიმრავლეს და რაიმე რიგის სოციალურ ძვრებს, პირიქით, უცხო, ეს არის ინდივიდუალურობითა და ერთადერთობით აღბეჭდილი ადამიანი, რომლის საქციელიც დიდ შთამაგონებელ ძალას მოიცავს.

ვაჟა–ფშაველას პერსონაჟები, უნებურად, აღმოჩნდებიან გარეშემყოფთათვის უცხონი, ან მხოლოდ თვითონ აღიქვამენ თავს ამგვარად და ვეღარ ეგუებიან ჩვეულებრივი დინებით მავალ, სადაგი ცხოვრების წესს. მათი უცხოობა სულაც არ არის გამოწვეული თვითდამკვიდრების უმარტივესი სურვილით და, მითუმეტეს, ეს არ არის კაპრიზი და ამბიცია. უბრალოდ, შემთხვევაა, სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა გმირი და სწორედ ეს ვითერებაა იმპულსის მიმცემი ინდივიდის განპიროვნების გზაზე შედგომისა. ეს არის გზა, რომლის მომხრობისთანავე ცნობაგაღვიძებული გმირი უკანმოუხედავად და დაუეჭვებლად მიეშურება; ამ გზის ბოლო ტრაგიკულია გმირისათვის, როგორც კერძო კაცისათვის, მაგრამ მისი სიმაღლის საზომიც ეს ტრაგიზმია სწორედ.

ვაჟა–ფშაველას პოემებში განვითარებული მოვლენები მითოსური საბურველითაა მოსილი. მითი, თავისთავად, გულისხმობს იმას, რომ დროის მოცემულ, კონკრეტულ მომენტში მომხდარი ამბავი მუდმივ სტრუქტურას ქმნის, ადრეზად და პრეცედენტად ინერგება და მსჭვალავს საზოგადოების წარსულსა და მომავალს.

როგორც თამაზ ჩხენკელი აღნიშნავს, მითს ორმაგი სტრუქტურა აქვს – ისტორიული და ზეისტორიული, ანუ დროითი და ზედროული. ვაჟა–ფშაველას ,,მითოსური წარმოსახვა არღვევს ისტორიულად და სოციალურად დასაზღვრულ გარემოცვას და მათ აქტუალობას შინაგანი სწრაფვის შუქზე ჭვრეტს. მითის მოქმედი მსოფლშეგრძნებიდან მოდის ვაჟას პოეტური სამყაროს ზედროულობა, პირველადობა, თუ პირველქმნილობა….

… ვაჟას გმირების ენდოთიმური (შინაგან–გონითი) ბირთვი ამ მითოსური სქემების მიხედვით არის აგებული. ამიტომ არიან ეს გმირები ,,დავლათიანნი”, ე.ი. ღვთაებრივი ბედით, ანუ ხვედრით მორჭმულნი. აქედანვე მოდის მათი უკვდავებასთან თანაზიარობა (ზვიადაური, ჯოყოლა, აღაზა, ლუხუმი) და ღმეთთან, სამყაროს უნივერსალურ პირველდასაბამთან წილნაყარობა (ალუდა, მინდია). ამ გმირების ადამიანური, ტრაგიკული ნიღბების წიაღ ძლიერი მეტამორფოზის უნარის მქონე, ზესკნელ–ქვესკნელში მოარული ფშავ–ხევსურეთის ღვთისშვილებისა და ღმერთკაცების მითოსური სახეები გამოჭვივის.

უძველესი საწესო ადათების, დიონისური ორგიაზმის არქეტიპებიდან (პირველსახეებიდან) იღებს სათავეს ვაჟას გმირთა გარდაქმნა–ფერისცვალების აღმნიშვნელი პასაჟების მითოსური პათოსი. (ჩხენკელი 2009:17–18).

ალუდა ქეთელაური ეტაპობრივად მიდის იმ საბოლოო წერტილამდე, რომლის მიღმაც იგი უცხოდ წარმოუდგება თემ–საზოგადოებას, მაგრამ ამ ეტაპობრიობაში არ უნდა ვიგულისხმოთ მისი თანდათანობითი ევოლუცია და, შესაბამისად, გაუცხოება. შეიძლება ეს ასე ჩანდეს თემისა და საზოგადოებისთვის, მაგრამ შინაგანი არსით ალუდა იმთავითვე იყო ამგვარი პათოსის მატარებელი და შემთხვევამ, სხვისი ღირსეული საქციელის თვალისმოკვრამ, მტრის ვაჟკაცობამ, მხოლოდ ხელი შეუწყო ალუდას პიროვნებაში არსებული პოტენციის გამოვლენას. ამ აზრით, პოემა ადამიანის თვითგამორკვევის ტოპოსის მხატვრული განსახოვნებაა.

ვაჟა–ფშაველა თავიდანვე უსვამს ხაზს ალუდას თვისებებს. ის არის დავლათიანი, მტერ–მოყვრის მცნობი, მჭევრმეტყველი, სახელმოხვეჭილი მეომარი, შატილიონთა თავკაცი და გუდანის ჯვრის კაი ყმა. მიუხედავად გამორჩეულობისა, იგი სწორფერი, თანაბარია თანამოძმეებისა. ბერდიასთან გასაუბრებისას იგი ამბობს:

,, – ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო,
ყმა ვარ მეც გუდანის – ჯვრისა,
ხევსური თქვენის წყლისაო;
მითომ ერთნი ვართ, ბერდიავ,
მცხოვრებნი ერთის მთისაო…” (ვაჟა–ფშაველა,1961:36)

მტერს დადევნებული ალუდა მუცალთან შებრძოლებისას, ჩვეულებრივი მეომარია, რომელიც, მისთვის ტომით უცხოს, ქისტს, მოსისხლეს ებრძვის. აგინებს რჯულს და წამითაც არ გაიელვებს მის გონებაში მომხდურის დანდობა, მაგრამ ალუდას ფერისცვალება მუცალის გმირულმა სიკვდილმა განაპირობა; მისმა ვაჟკაცობამ, სიცოცხლის მძაფრმა წყურვილმა, ალუდა სხვაგვარად ჩააფიქრა. იგი სრულიად სხვა ადამიანად იქცა და ამიტომ აღარ სურს მისგან მოკლული მტრის იარაღი, ამიტომ ტირის ქალივით. ამ ეტაპზე ალუდა ტრადიციას არ უპირისპირდება. ეს რომ ასეა, ამას მეტყველებს მუცალის ძმისათვის მკლავის მჭრა და, ამის გამო, ალუდა, ცხადია, სინდისის არავითარ ქენჯნას არ განიცდის. ალუდას „ქალივით“ ატირებაც პირადი ემოციით არის განპირობებული.

,,ალუდა კარგი ყმა, ანუ მეომარია, და გასაგებია, რომ მისი შინაგანი ფერისცვალების იმპულსს მეომრული ქმედების აქტში ჰქონდეს დასაბამი. ვაჟა შეუმცდარი გუმანით გრძნობს ამას: პოემის პირველივე თავში ალუდა გარდაუვალი საშიშროების შემცველი სასტიკი ორთაბრძოლის სიტუაციაშია ჩაყენებული. მხოლოდ ღირსეულ სწორფერთან ბრძოლას შეეძლო გამოევლინებინა სრულად ალუდა ქეთელაურის ტემპერამენტის სიღრმე. მხოლოდ განსაკუთრებულად მძვინვარე შერკინაბაში, რომელიც შინაგანი ძალების უკიდურესი ინტენსივობით დაძაბვას მოითხოვს, შეიძლებოდა განთავისუფლებულიყო პიროვნების ფარული შინაგანი ენერგია, რაც, იშვიათად, უპირატესად მწვავე, კრიზისულ სიტუაციაში იჩენს თავს. სწორედ, ამ მომენტში უნდა ამოქმედებულიყო ალუდას გულში პოტენციურად მთვლემარე ქვეცნობიერების უღრმესი შრეები, რომლის დროსაც მისთვის მისაწვდომი გახდებოდა ისეთი რამ, რაც გამორიცხული იქნებოდა სხვა სიტუაციაში…

… ალუდას ცხოვლად ჩარჩა გულში სახე თავგანწირული შემართებით მებრძოლი მუცალისა, იმიტომ, რომ ბრძოლის ამ კულმინაციურ მომენტთან არის დაკავშირებული ქეთელაურში მომხდარი დიდი ფერისცვალების აქტი.” (ჩხენკელი 2009:110–111).

გაუცხოების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს ალუდას სიზმარი. მითოსის თანახმად, ადამიანურობის საზღვარი კაცის, ან გველის ხორცის ჭამით გადაილახება. თუ მინდია უშუალოდ ჭამს გველის ხორცს და ეს განაპირობებს მის სახეცვალებას ანუ გაუცხოებას, ალუდა ამ საზღვარს სიზმრის მეშვეობით გადალახავს. მისი სიზმარი

ზიარების აქტს წარმოადგენს. ის ადამიანის ხორცის ჭამით ახალ ღმერთს ეზიარება და ამიტომ ხდება უცხო ხევისბერისთვის. ზიარებულობის გამო მოითხოვს ბერდიასგან წარმოუდგენელ ქმედებას.

,,მუცალთან შებრძოლებამდე თემისთვის ცნობილი ალუდა მოკვდა და ხატობაზე შატილიონებმა იხილეს მათთვის გაუცხოებული პიროვნება, რომელიც, ხევისბერის თვალსაზრისით, შავბნელი და ქვიშის სადილის მჭამელი, ხოლო პოემის მაგისტრალური იდეის თვალსაზრისით, ქვესკნელის გადალახვით მეორედ შობილი, კაცობრიობის ,,პირველყოფილი ცოდვის" შემეცნებით ვნებული, სრულყოფილი ღმერთის შემცნობი ადამიანია." (ჩხენკელი 2009:155).

საზოგადოებისგან ალუდას უცხოდ აღქმის კულმინაციურ წერტილს მისი ხატობაზე ჩადენილი საქციელი წარმოადგენს. ხალხს, თითქოს, დავიწყებული აქვს ქეთელაურის მიერ მტრისთვის მკლავის არ მოჭრის ამბავი, მისი ცხონებულად მოხსენიება, მაგრამ მოუნათლავის კურატით დამწყალობნება, გაურჯულოებულის მორჯულება, უკვე მეტისმეტია და წარმოუდგენლი.

,, – გაურჯულებულს არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა,
ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მოგიხდებისა.
მამით არ მოდის ანდერძი,
პაპითად, პაპის–პაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა;
ეშმაკს ნუ მისდევ… ეგ სიტყვა
როგორ ამოგცდა ბაგითა?!...

…როგორ ვახვეწო უფალსა
ძაღლი, ძაღლების ჯიშისა?
მანამ სჯობს, ცანი დამექცნენ,
ზურგი გამისკდეს მიწისა…" (ვაჟა–ფშაველა,1961:36)

არც ეს აღმოჩნდა საკმარისი საბაბი ალუდას გაუცხოებისათვის და თემისგან საბოლოო განაპირებისათვის, მაგრამ ის ხევისბერის ფუნქციას ითავსებს და კურატს გააგდებინებს თავს, ამან კი საბოლოოდ გაწყვიტა ყველა კავშირი თემსა და ალუდას შორის და ამოუვსებელი უფსკრულიც აქ გაჩნდა.

ალუდას სინანულის ნატამალიც არ ემჩნევა, ღვთის განგებად მიიჩნევს თავს გადამხდარს და ბედს შეგუებული ტოვებს თემ–სოფელს, ბუდე–საცხოვრისს, მომმეთა სამყოფელს, რომლისადმიც ამიერიდან იგი უკვე საბოლოოდ გაუცხოვდა.

რაც შეეხება მინდიას, ის გველის ხორცის ჭამით ხდება ქაჯების მსგავსი, ანუ უცხო იმ საზოგადოებისთვის, რომლის სრულუფლებიანი წევრიც იყო ამ აქტამდე. მაგრამ იგი ქაჯებისგანაც განსხვავდება, რადგან მის გულს ბოროტება არ ეკარება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მინდია ქაჯებისთვისაც უცხოა _ ყველასაგან განსხვავებული ადამიანია, რომლის გაგებაც არავის შეუძლია. თემში დაბრუნებულს არც უჯერებენ, რომ მართალს ამბობს საკუთარი შესაძლებლობების შესახებ. რატომ არ რიყავს ხალხი მინდიას მისი უცხოობის გამო, ის ხომ სრულიად განსხვავებულია? მას იყენებს თემი, ჭირდება თავისი ,,მეცნიერების" გამო, ენდობიან მის სიტყვას ბრძოლებსა და ყოველგვარ გასაჭირში მყოფნი.

,,მინდია სიკვდილგამოვლილია. აკაკი გაწერელიას შენიშვნით, მინდიაც და ალუდაც ქვესკნელში, ანუ შავეთში არიან, როცა პირველი გველის ხორცს ჭამს, ხოლო მეორე – კაცისას. აკაკი ბაქრაძის აზრით, ,,უძველეს ქართულ მითოლოგიურ პანთეონში ქაჯეთი საიქიოს, შავეთს, სულეთს, ქვესკნელს გულისხმობდა და ამიტომ ,,ვაჟას მინდიას ქაჯეთში ტყვეობაც… გველისმჭამელის ქვესკნელში ყოფნას გულისხმობს." (ჩხენკელი 2009:163).

სწორედ ამიტომ განიცდის მინდია ასე მტკივნეულად ბუნების შვილთა დამოკიდებულებას სიკვდილისადმი. მას თავად აქვს განცდილი ეს საშინელება, გამოცდილი აქვს სიკვდილის სატანჯველი.

მინდიამ თვითმკვლელობის მცდელობისას შეიცნო სიკვდილის არსი, შეიძინა სიბრძნე.

როგორც თამაზ ჩხენკელი აღნიშნავს, ,,მინდიამ ქაჯთა ტყვეობაში გველის ჭამით მოიხვეჭა მოკვდავთათვის უჩვეულო –

1) ,,სიბრძნე" (9) ;
2) ,,გრძნეულება" (10) ;
3) ,,მტრის დასამარცხებელი ფანდი" და დაჭრილის განკურნების ნიჭი. (10) ;
4) ,,მეცნიერება" (10) ;
5) ,,ცოდნა" (17,21), ,,დიდი ცოდნა და ძალი" (31) ;
6) ყოვლის შესმენისა (9) და შეგრძნების (20) ნიჭი, ,,მღილიდან და ყვავილებიდან" (11) ,,ვარსკვლავებამდე (31) ;
7) ,,გულისა და თვალების ხედვა" (9) ;
8) ,,ღმერთთან ლაპარაკის" მადლი (26) ;
9) ,,გონება" (22) ;
10) ,,რწმენა (20) ;
11) ,,წმინდა რჯული" (22) ;
12) ,,დავლათი" (26) . (ჩხენკელი 2009:169).

მიუხედავად, ასეთი განსხვავებულობისა, მინდიას მაინც არ დაპირისპირებია საზოგადოება. იგი უცხოა, მაგრამ მისი უცხოობაც სხვაგვარია, უფრო გლობალური და, როგორც ჩანს, იმდენად ფართო, რომ ტრადიციული ადამიანის გონება მის არსობრივ სიუცხოვეს ვერ აღიქვამს. პროტესტის გრძნობა არ წარმოშობს ისეთ წინააღმდეგობას, როგორსაც ,,ალუდა ქეთელაურში". იგი არ უპირისპირდება თემს და არ იქცევა თემისათვის საშიშ და ზედმეტ ადამიანად, რომელსაც თემი მოიკვეთს. იგია უხცო, რომელსაც ენდობიან და ვერ თმობენ.

ტრაგედია იწყება მაშინ, როდესაც მინდია კარგავს მონიჭებულ უნარს. ის ხდება ჩვეულებრივი, მაგრამ საკუთარ თავს ვერ ეგუება, მისთვის ძველებური მინდია მიუღებელია და სწორედ ეს შეუსაბამობა სურვილსა და შესაძლებლობას შორის, განაპირობებს მის სიკვდილს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა–ფშაველს ამ ორ პოემაში ვხვდებით უცხოს ფენომენის გამოვლინების ორ მხატვრულ ინტერპრეტაციას, ორ ასპექტს. ვფიქრობთ, ჩვენი მოკრძალებული დაკვირვებების გაგრძელების შემთხვევაში, უცხოს ფენომენი ვაჟასთან და ზოგადად ლიტერატურაში თავისებურ, საგულისხმო ნაირსახეობებად წარმოდვიდგება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჟა–ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, II ტომი, პოემები, სახელმწიფო გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო",1961;
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986;
3. ჩხენკელი თ. ,,ტრაგიკული ნიღბები", თბილისი: გამომცემლობა ,,მემკვიდრეობა", 2009.

ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ლიტერატურათმცოდნეობა

ნინო ფრანგიშვილი
სსიპ გორის უნივერსიტეტი მაგისტრატურა .

ყივჩაღის თემა გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში

ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი

„ყივჩაღის პაემანი“ ერთ - ერთი საუკეთესო ლექსია გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში. ამ ლექსის შესახებ ბევრი დაიწერა და კვლავ დაიწერება მომავალშიც. ჩვენ შევეცადეთ გაგვეზიარებინა ზოგიერთი კრიტიკოსის აზრი, თუმცა ვეცდებით ჩვენეული ხედვის დაფიქსირებას.

კ. იუნგის აზრით, ხელოვნების ქმნილებაზე მართებული მსჯელობისათვის უნდა გავითვალისწინოთ ორი სახის შემოქმედებითი პროცესის არსებობა: ერთი მათგანის შედეგად ვღებულობთ ნაწარმოებს, რომელიც ზუსტად ემთხვევა პოეტის ჩანაფიქრს, აღწევს იმ ეფექტს, რისი მიღწევაც პოეტს სურდა, მაგრამ მისი აზრით, არსებობს სხვა ყაიდის შემოქმედებითი პროცესიც, რის შედეგადაც ავტორის ხელიდან ნაწარმოები მეტ - ნაკლებად დასრულებული ფორმით გამოდის. „ის თითქოს ჩნდება, როგორც ათინა - პალადა ზევსის თავიდან“ [1; 75].

ასეთი ნაწარმოები კი თვით ეუფლება ავტორს, მისი კალამი წერს რაღაც ისეთს, რასაც თვითონაც გაოცებული შეჰყურებს. ამ უცნაურ ნაწარმოებში ავტორის შინაგანი ბუნება ისეთ რამეს ამბობს, რისი თქმაც არასოდეს უფიქრია. ნაწარმოები ემორჩილება უცხო შინაგან იმპულსებს და აღჭურვილია ძალით, რომელიც ავტორს არ ეკუთვნის და არ ემორჩილება. აქ ავტორი დაიქვემდებარა თავისივე ნაშრომმა, რომლის შექმნაშიც თითქოს ვიღაც სხვა მონაწილეობდა.

თუმცა, გიორგი ლეონიძემ კარგად იცის, რაზე წერს და მისი ჩანაფიქრი ემთხვევა ნაწარმოების ზემოქმედების ძალას მკითხველზე. ჩვენ მაინც მიგვაჩნია, ისევე, როგორც ე. ჯაველიძეს, რომ „ლექსის ანალიზი და მისი „საიდუმლოს“ წარმოჩენა არ არის სასიამოვნო პროცესი“ [2; 283].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ყივჩაღის პაემანი“ მიეკუთვნება იმ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელთა ნაწარმოები შინაგანი იმპულსით

იწერება და თვით ავტორსაც აოცებს. და თუ ფსევდო - ლონგინესაც მოვიშველიებთ, ამაღლებული კი არ აღელვებს მკითხველს, არამედ აღაფრთოვანებს მას.

გიორგი ლეონიძის ლექსი შინაგანი იმპულსებითაა დაწერილი და სწორედაც „აღაფრთოვანებს“ მის მკითხველს.

მიუხედავად ამ შესავლისა ჩვენ მაინც გვიწევს ლექსის ანალიზი და მასზე მსჯელობა.

პოეტის მიერ სიტყვა ყივჩაღის შინაარით დატვირთვა, ჩვენ უნდა ვეძებოთ ჩვენი ისტორიული წარსულის სინამდვილეში. როგორც ცნობილია, დიდმა დავით აღმაშენებელმა ჩამოასახლა ყივჩაღები საქართველოში, მაგრამ ისინი ქვეყნის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში როდი თამაშობდნენ ერთგვაროვან როლს და მათდამი ქართველთა დამოკიდებულებაც როგორც ჩანს, სხვადასხვაგვარი იყო. ამაზე „ქართლის ცხოვრებაც“ მეტყველებს.

ელიზბარ ჯაველიძეს მიაჩნია, რომ ყივჩაღთა დამკვიდრება საქართველოში უკონფლიქტოდ არ მოხდებოდა. კონფლიქტის მიზეზი არცთუ იშვიათად ქალიც ყოფილა. უცხო ელემენტის თავხედური და კადნიერი საქციელი, სხვის სახლში გაბატონების სურვილი და მოძალადეობა ძალზე აღიზიანებდა ქართველ კაცს. ხალხური პოეზიის ერთ - ერთი საუკეთსო შედევრი „შემომეყარა ყივჩაღი“ ერთგვარად ასახავს ამ ისტორიულად რეალურ ვითარებას, უფრო მართებულად, ქართველის დიდბუნებოვნებასა და სტუმართმოყვარეობას და ყივჩაღის თავხედობასა და ძალადმაცხონეობას.

ლექსის სათაური - „ყივჩაღის პაემანი“ - უკვე თავისთავად მრავლისმეტყველია. აქვე უკვე ხაზგასმულია, რომ ეს პაემანი ორდინალური არ არის, არამედ შეხვედრაა სწორედ ყივჩაღთან, რომლისგანაც ყველაფერს უნდა მოელოდე. ამიტომაც, სათაურში უკვე განვითარებულია ჯერაც აუხსნელი ისეთი საიდუმლო, რომელიც ეფუძნება გარკვეული ლოგოკით აგებულ პირობითობას. რამაც უნდა აღძრას მკითხველის ინტერესი და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად შემზადებული მოულოდნელობის ეფექტით განაცვიფროს იგი.

მოვიხმოთ ერთი ადგილი „ქართლის ცხოვრებიდან“: „არამედ მეფესა მას ენება გაზაფხულს უდიდესი ლაშქრობა, გარნა მას ზედამცა მოიწია ბუნებისა იგი ვალი, რამეთუ რაოდენთა ბრძოლათა, განსაცდელითა და

ჭირთა და ღალატთა ყივჩაღთაგან და სხუათა განერა, ვითარცა ოდეს მუხრანს ნადირობასა შინა ირემსა ზედა მორბედისა ცხენი დაეცა, და სამ დღე იდვა, ვიდრე არა წაოანთხია სისხლი შებინებული ნაკუეთ - ნაკუეთნი და განერა მისგან.

კუალად ციხისა რომლისამე მომდგარი იდგა პერანგით კარვისა და სტყორცეს ისარი ციხიდამ, რომელი განგებით მოტყდა ხატსა ზედა მკიდარესა მისსა და განერა უვნებელად მადლითა ღვთისითა ყოველსავე ესოდენთა და უმრავლესთა სხუათა...“ (ქ. ც. IV. 165), [2; 284].

ქართველთათვის ამ ძალზე შემზარავ ისტორიულ ფურცელში ერთადაა ხსენებული: ღალატი, ნადირობა, მუხრანი, მარცხი და სიკვდილი დიდი დავითისა. ამ რეალს შეეძლო გავლენა მოეხდინა ხალხურ თუ კლასიკურ პოეზიაზე და გარკვეულად სახეცვლილი ასახულიყო მასში.

გიორგი ლეონიძის პოეტური ხილვებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია მისეული ინტიმური შედევრი „ყივჩაღის პაემანი“.

„ყივჩაღის პაემანის“ უპირველესი პათოსი გმირულ საწყისებზე აღმოცენებული მარადიული სიყვარულის განცდაა. დრო და სამანები აქ ისეა დარღვეული, როგორც ნისლიანი მზერა სასიკვდილოდ დაჭრილი რაინდისა. თვითონ მოძალადე ყივჩაღის თემაც, რომელიც გამოძახილს ქართულ ეროვნულ ბალადაში ჰპოვებს, უსაძღვროდ აფართოებს მოქმედების არეს და საუკუნეთა სიღრმეში იძირება. ტრაგიკულის განცდა ფიქსირებულია პოეტური ფრაზით: „მაგრამ თვითონაც დაილეწება, დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად“, ხოლო დაუძლეველი მეტოქეობის გრძნობა სასურველი ქალისაკენ თავაწყვეტილი ლტოლვითაა გამოხატული: „ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე, შემოვამტვერე გზები ტრიალი, მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!“ [2; 270].

სარგის ცაიშვილი მიიჩნევს, რომ პოეტურ სურათებს აცხოველებს, მართლაც, მხოლოდ და მხოლოდ ლეონიძისათვის დამახასიათებელი მოულოდნელი სახეები გაჟღენთილი მიწიერი სურნელით: „როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები.“ [2; 271].

გრანდიოზული პოეტური სურათის ფონზე ხელშესახებად ოგრძნობა სისხლისაგან დაცლილი რაინდის უკანასკნელი ამოსუნთქვა და განშორების დიდი გულის ტკივილი.

ლექსში ორგანულადაა მოხმობილი რუსთველური ფრაზები, მაგრამ მათი ფუნქცია მეტია, ვიდრე სამკაული ან მხოლოდ სტილისტური ხერხი. იგი ზუსტ ასოციაციებს აღძრავს და აძლიერებს განცდას სიყვარულის უკვდავებაზე, რომელიც რუსთველური სიყვარულითაა აღბეჭდილი ჩვენს ცნობიერებაში და საუკუნეებს სწვდება. ამის გამო ასეთ გრძნობათა აპოთეოზად აღქმება ლექსის ფინალური სტრიქონებიც:

„მოდი! გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!...“ [2; 272].

„ახალი პაემანის“ მოლოდინი, ლექსში ჩაქსოვილი ცოცხალი განცდა თანამედროვეობის სულითაა აღბეჭდილი, რაც „ყივჩაღის პაემანის“ მარადი სიჭაბუკის გარანტიაა.

გიორგი ლეონიძის ლექსი „ყივჩაღის პაემანი“ სიყვარულის მარადიულობაზეა.

პოეტს მთელ ამ ამბავში ხიბლავს თვითონ ყივჩაღი, ოღონდ, არა როგორც მოძალადე, არამედ, როგორც უპოირველეს ყოვლისა, როგორც თავგამეტებული სიყვარულისთვის. მოსწონს მისი ზღვარგადასული სწრაფვა სურვილის ასახდენად, დასახულის მისაღწევად. მოსწონს სიყვარულის უეცარი აფეთქება და გაშლა.

პოეტისთვის სიყვარულის გრძნობა ყველაფერზე მაღლა დგას. მას უყოყმანოდ და დაუნანებლად უნდა შეეწიროს თვით სიცოცხლეც კი.

გიორგი ლეონიძე პოეზიის მასკარადზე ხშირად ყივჩაღის ნიღბით ცხადდებოდა. საუკუნეთა სიღრმიდან გამოხმობილი გადამთიელის სახე უცნაური ძალით იზიდავდა, ხიბლავდა, ატყვევებდა, აჯადოებდა. ეს ნიღაბი უხდებოდა კიდეც, საუკეთესოდ გამოხატავდა მის არსებაში ჩაბუდებულ, ვერმოხელთებულ ძალას.

სწორედ ყივჩაღის სახის ქვეშ ვლინდებოდა მისი „სხვა მე“, ჩვეულებისამებრ, დაფარული, მიყუჩებული, მინავლებული. შეიძლება ითქვას, რომ ყივჩაღი თვითონ არ ასვენებდა, მიიხმობდა და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ მასთან შერწყმას არ დასთანხმდებოდა, სანამ არ მისცემდა საშუალებას გაცოცხლებულიყო მისი გზით. ამ შემთხვევაში პოეტი მედიუმივით ატარებდა თავის არსებაში ყივჩაღს და ლექსში შემოჰყავდა ცოცხალი, ატეხილი, ვნებადაუოკებელი.

პოეტი ახალგაზრდობიდან მოყოლებული სიბერემდე ვერ შეელია ამ სახეს და ასაკოვანიც ისევე ერგებოდა ამ ნიღაბს, როგორც ყმაწვილობისას, რადგან ყივჩაღი მისი სულის ორეული იყო, სულისა, რომლისთვისაც უცხოა დროის ცვალებადობა. პოეტმა თავისი პორტრეტიც სწორედ ამ ნიღბით წარმოაჩინა. ჯერ უზარმაზარი მთები გამოჰკვეთა, როგორც „ბუმბერაზთა საშინელი მხედრობა“ („მთებში“), მერე საკუთარი სახეც დახატა, რომელიც „ყივჩაღურებ ჩაჰყურებდა“ გაპობილ ნაპრალებს.

“ყივჩაღურებ ყურება” მისთვის იმგვარი ხატი იყო, რომელსაც ვერანაირი სხვა სინონიმი ვერ ჩაენაცვლებოდა. ამგვარი მზერა იტევდა თავისუფალი ადამიანის ყოველგვარ განცდას, უპირველესად კი, დაუმორჩილებლობას. “თუ ხარ მონა, აქ არავინ გენდობა.” [4; 75].

ხალხური ლექსის ყივჩაღი აღარ დაეხსნა პოეტს, ტყვედ გაიხადა, მის ალტერ ეგოდ იქცა და “აიძულა” ახალი სიცოცხლე ჩაებერა მისთვის. “ისევ აღვსდექი” – იტყვის გიორგი ლეონიძის ხელით განახლებული ყივჩაღი და “ყურღანებიდან” გაფრენილ გნოლს გააყოლებს სივრცეს მოწყურებულ თვალებს. მერე კი დაჰყვება აყვავებული თავთუხების ხოდაბუნებში ჩაკარგულ გზას და თავის სისხლს ყაყაჩოებისას შეურევს.

ყივჩაღის მორიგი მოვლენისა და “გაცოცხლებისას” შედგა გამორჩეული პაემანი. პოეტმა იგი თვით კარმენს შეახვედრა, სიყვარულისთვის საბედისწეროდ თავზეხელაღებულს. პოეტისათვის კარმენი “ქალი და ხმალი” იყო (“კარმენ”), ქარიშხალს ჩამოტეხილი ცეცხლის ნატეხი. “წარბქამანდებით ნაცნობი სახე” მოსვენებას უკარგავდა და სადღაც გულის სიღრმეში აფიქრებინებდა: “შენი ხანჯლური სევდაც ხომ ამხელს, კარმენ, ბასკი ხარ, ვგონებ, ქართველი”. და რადგან ეს “ვერსია” კარმენის ბასკ – ქართველობისა ასე უმტკივნეულოდ შეითხზა წარმოსახვაში, აქედან მწველმა ოცნებამაც გაშალა ფრთები და “ლოგიკურად” გაიდო ხიდი მუხრანისკენ. პოეტმა ყივჩაღის ნაცნობი ნიღაბი კვლავ მოირგო:

“და თუ ასეა... გახსოვს მუხრანი
დანაყულ ხმალზე სისხლის კურცხალი...
მთვრალი ყივჩაღი გზად მობუღრავე,
მტვერში ღრიალით დანამუხრალი”. [4; 75].

“კარმენის ტოლი და სწორი ხომ მხოლოდ ყივჩაღი შეიძლება იყოს, რადგან ორივესთვის სიყვარული სიკვდილს ნიშნავდა”. [4;75]. ამიტომაც მათი ავის მომასწავებელი შეხვედრა თან იზიდავს და თან აშორებს პოეტს:

“ვაი, თუ ავი სიზმარი ახდა,
ტორეადორი დაეცეს მხოლოდ,
ვაჰ, თუ თავიდან იწყება ახლად,
ის, რაც გათავდა მუხრანის ბოლოს”. [4; 75].

ასე შეჰყარა ერთმანეთს პოეტმა თავისი გულისა და პოეზიის უზადო სცენაზე ყივჩაღი და კარმენი.

დასაწყისშიც აღვნიშნეთ, რომ “ყივჩაღის პაემანი” საუკეთესოა გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ სოსო სიგუას აზრს: “ყველა “ცისფერყანწელმა”, გიორგი ლენიძემაც კი, თავისი საუკეთესო ლექსები დაწერა სიმბოლისტობის პერიოდში”. [3; 18]. ეს ლექსი კი დაწერილია 1928 წელს, როცა სიმბოლისტური პერიოდი მწერლის შემოქმედებაში თითქმის დასრულებულია. თუ გავიხსენებთ მის სიმბოლისტურ ლექსებს, (“ეკლოგა”, “ლიტანია”) რომლებიც ს. ჭილაიას აზრით სიმბოლისტური ხელწერის მაღალი კულტურითაა დაწერილი, ისინი დიდად განსხვავდებიან “ყივჩაღის პაემნისაგან”, რომელშიც გიორგი ლეონიძე შეგნებულად მიმართავს “პოეტური ხატების თუ ლექსიკური ერთეულების სესხებას”, [2; 280] და “სესხულობს”, ხალხური პოეზიიდან, კერძოდ ლექსიდან “შემომეყარა ყივჩაღი”, თუმცა რემინესცენციებს სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს და სავსებით ორიგინალურია.

დასასრულ გვინდა მოვიშველიოთ ელიზბარ ჯაველიძის აზრი, რომ ქართულ სულს ასაზრდოებდა და ასაზრდოებს სიყვარულის ამაღლებული გრძნობა, რომელიც ამარცხებს ბოროტებას. ამ სულის მასაზრდოებელი ესთეტიკური ამაღლებულის ფენომენი კი ამაღლებულის კატეგორიაა, ამიტომაც იპყრობს და იტაცებს მკითხველს ლექსი “ყივჩაღის პაემანი”.

ქეთევან სამადაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

პირიქით (ნათია ნაცვლიშვილის სადებიუტო კრებულის განხილვა)

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ პაიჭაძე

ნათია ნაცვლიშვილის ლექსების კრებული, "პირიქით" 2007 წელსაა გამოცემული. თითქოს შემთხვევითი არაა, რომ მასში შეტანილი ლექსების ქრონიკონი 2001 წლიდან იწყება – ნათია XXI საუკუნის პოეტია, მისეული, მკვეთრად გამორჩეული სათქმელით და სახეებით.

კრებულში შემავალი ლირიკა თეთრი ლექსებია, ხშირ შემთხვევაში – უსათაურო, მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი წარმოსახვისა და გამოსახვის ძალაა, ნათიას შემოქმედებას რომ ასაზრდოებს.

მისთვის "აქაურობა თითქოს სიზმრებით შეკერილი უცნაური სამოსია," პოეზია კი, უპირველეს ყოვლისა, ღვთით მომადლებული ნიჭი:

"სხვებმა განსხვავებული ტვირთები ზიდეს.
დარდია ასეთი,
ცალკეული დღეების დარდი."

იგი სრულიად ახალგაზრდაა და მაინც – "მწუხრივით ერთგულია," "გზასავით ერთგულია," "ცასავით ერთგულია"...

"მწყურვალივით ერთგული ვარ წყლის,
ოღონდ სულ ცოტა ძალა მჭირდება,
უკანასკნელი პეშვი წყალი
თითებშუა რომ არ გამეპაროს."

იქნებ სწორედ ეს სტრიქონები ნათელყოფენ მისი ხასიათის უმთავრეს შტრიხებს – მოთმინებას და სიმტკიცეს.

იგი თითქოს საკუთარი სულის სარკის წინ ლოცულობს "ყოველთვის"...

მაინც რა საოცარი დატვირთვა აქვს ამ სიტყვას ნათია ნაცვლიშვილის პოეზიაში!

"აქ *ყოველთვის* მხოლოდ ჩვენ ვართ..."

ან:

"სახურავებზე მერე *ყოველთვის*
გაქცეული სიზმრის სველი ნაბიჯი რჩება."

მისი შემოქმედება მშვიდი და უპრეტენზიოა ეზოსავით, "რომელსაც ყველაზე მეტად უხდება ნოემბერი"... მას უყვარს ოცნება, დროისა და სივრცის მიღმა ხეტიალი, ირეალური სამყაროს ნისლისფერი იდუმალება:

"თურმე ყოველთვის
ის დაკარგული აქლემი ვარ,
უდაბნოში რომ მიპოვეს
მშიერმა კაცებმა და
დამკლეს."

ნათიასეული პეიზაჟი მუქ ტონებშია შესრულებული, "საყოველთაო სიმშვიდის მარგალიტებით" შემკობილი. ლექსში "Vენეზია", იგი მთელი არსებით შეიგრძნობს "ცისფერ ვენეციას", სადაც "უძრავია ცა და ღრუბლები..." სამაგიეროდ, თითქოს მისი ლექსი ირწევა, ლურჯ ტალღებს მინდობილი, როგორც ვენეციური გონდოლა.

მისი სამყარო უფრო სიზმარეულია, ვიდრე ცხადი. თავად ნათიაც, მისივე შეფასებისა არ იყოს, შოთა იათაშვილს რომ უთხრა, "სიზმრიდან მოლაპარაკეს" გავს:

"მე – კარლსონი ვარ,
შენი ერთგული, უჩინარი,
შენი სიზმრების, ღამეების
და სახურავების
ბინადარი და მოდარაჯე
ზღაპრების კარლსონი."

ლექსებში ხან მთებს მიღმა ჩასაწურად გამზადებული, ლიმონისფერი მზე ირეკლება, ხან – ბაბუაწვერების ვრცელი მინდორი... ზოგჯერ მათ სიმშვიდეს ზღვის აქაფებული, მარილიანი ტალღების ძალუმი სუნთქვა არღვევს...

ეს ძირითადად "შავზე თეთრად ამოკაწრული" მისივე ბავშვობის მოგონებებია. ლექსების ლირიკული გმირიც თავად ნათიაა, ხან – საოცრად დინჯი, ხან – ვნებიანი, ემოციური... მაგრამ ყველგან – უბრალო, ქალურ ბედნიერებას მოწყურებული...

ლექსში "შენი გრამოფონი" იგი წერს:

"შენი თვალები
არარსებული ბუხრის სითბოს მიმეორებენ.
მოვდივარ შენთან,
ფრთხილად გადებ მუხლებზე თავს..."

ოცნებისეულია "სამყურების სახლი", მთვარის შუქზე აშენებული, ნატიფი... ყრმობისდროინდელი მოგონებებით გასხივოსნებული. ძნელია გარკვევა, ეს მართლაც ბავშვობის უღრუბლო დღეების გახსენებაა თუ არარსებული, წარმოსახვითი სამყაროს ხიბლი. ლექსი თითქოს ბალახის სურნელით და სულში ჩაუტეველი ბედნიერებით სუნთქავს.

ნათია წერს:

"ზაფხულობით ვამზეურებდი
ბაბუაწვერების ოთახებს..."

თუმცა ეს ილუზორული სამყაროც ისევე მყიფეა, როგორც რეალური – ინგრევა პირველივე უხეში შეხებით.

ნათია ოცნებით ტბასთანაც კი ახერხებს გაიგივებას:

"ფრთხილად მეხება შენი ხმა და
პატარ-პატარა წრეები იშლებიან
ჩემს ზედაპირზე..."

მას "ფიქრისთვის ბუხრიდან გამოქცეული სინათლის კედლებზე ათამაშებული ჩრდილებიც" ჰყოფნის.

ერთ-ერთ უმშვენიერეს ლექსში პოეტს ნაცრისფერი კაბა აცვია და უსაზღვროდ უყვარს თავისი მებადური ქმარი, ხელისგულებზე თევზის, მარილის, ზღვის სუნი რომ ასდის... სწორედ ამ ადამიანით იწყება და მთავრდება ლექსის ლირიკული გმირის უბრალო, მაგრამ ბედნიერებითა და სიმშვიდით სავსე სამყარო, ცეცხლის შუქით სუსტად განათებული და "ყველაზე შორეული ნაპირების სუნით" გაჟღენთილი:

"ყოველღამე ვკითხულობ-მეთქი
ჩემი ქმრის თვალებს,
ჩემი ქმრის ხელებს,
ხელისგულებზე გადმოწერილ ზღვის სუნს,
თევზის სუნს,
და ყველაზე შორეული ნაპირების სუნს..."

ნათიას სამყარო სულისმიერია, კაცობრიობის მიერ მრავალჯერ ნაგრძნობი და გადახარშული... მისი ფაქიზი ფიქრი კლებაში შესულ მთვარესაც მისტირის და შეციებულ, თავგზაარეულ ბაჭიებსაც:

"მიამბე, როგორ ითბობენ
ველზე გამოსული ბაჭიები
ღამღამობით მთვარის შუქზე პაწია თათებს."

მისი სიყვარული "ტბის ზედაპირივით მშვიდი" და საოცრად თავგანწირულია, თუმცა ნათია ჩვეული თავდაჭერილობით ცდილობს ტკივილამდე გულწრფელი გრძნობის დამალვას:

"შენც გამომიშალე ხელისგული,
თორემ შეიძლება
ყველა გზამ ერთად დახუჭოს თვალი
და საკუთარი თავის გარეთ აღმოვჩნდე,
როგორც ქარავანს ჩამორჩენილი
ავადმყოფი წერო."

ლექსში "თოვლი" იგი წერს, რომ თავისი ლამაზი, განუმეორებელი გრძნობით თითქოს "თვალებისსადღაცწამღები, ჩუმი სითეთრის ნაწილია," დედამიწაზე "მხოლოდ მისთვის მოსული ფიფქი":

"თუ გესიზმრები, რომ ფეხშიშველი,
ჩემი ფარფარა საღამურით მოვდივარ შენკენ,
ხოლო ქუჩებში მუხლამდე თოვლი და სიცივეა,
ესე იგი,
უფრო მიყვარხარ..."

("თოვლი")

ნათია ყოველთვის ასეთია: ყვითელ, გვირილებით მოფენილ სევდიან ველზე მოარული, თოვლის და სიზმრების სიჩუმეს მიყურადებული, მეოცნებე:

"ვის დავაჯერებ ფანჯარაში გაშლილი ფრთებით
რომ მე დავფრინავ."

მისი შემოქმედება ბავშვობის უღრუბლო ბედნიერების ნოსტალგიით სუნთქავს:

"რაღაც დაკარგე
და ოცდაოთხჯერ ოცდაოთხი წელიწადია,
იმ დაკარგულის ირგვლივ ტრიალებ.

ზოგჯერ ზედმიწევნით ჰგავხარ
შენი მეგობრის სათამაშოს,
ფაიფურის გატეხილ თოჯინას..."

პოეტი ოცნებით თავისუფლად დანავარდობს დროსა და სივრცეში. ის ხან ჩინელი ბავშვია, ხან – ბილიკსაცდენილი დაკარგული აქლემი, ხან – იაპონელი გოგონების მეგობარი, ჭრელ აბრეშუმში გამოწყობილი გაოცებით რომ აჰყურებს მთვარეს...

მკითხველის ყურადღებას იპყრობს იაპონელი ქალიშვილის პორტრეტი "ყველაზე დიდი და მწვანე თვალებით":

"მისი კანი ყველაზე თეთრია და ნაზი,
მისი ღიმილი – ყველაზე თბილი და
სხვანაირი.
მისი ჩალისფერი თმები
ნიავთან მოთამაშე ჯადოსნურ ბამბუკზე
ფაფუკი და რბილია."

იაპონური ტრადიციისამებრ, შეყვარებული რაინდები:

“ჩალის დაწნული ფანჯრების უკან
აყვავებული ალუბლის ტოტებს
და ბარათებს უტოვებენ კუნიკოს.”
(“კუნიკო”)

ცოცხალი ფერებით ხატავს ავტორი საოცნებო იაპონიასაც, იქაურ ცისარტყელას, კუნიკოს მწვანე თვალებში არეკლილს. თითქოს ლექსის რიტმში ჩამჯდარი ბამბუკის წვრილად დაწნულ ფარდებში გაბმული ძველი საათის წიკწიკის ხმაც ისმის...

საოცრად ფაქიზი და დახვეწილია დედისადმი მიძღვნილი ლექსი:

“შენთან არ ხმაურობს არაფერი.
იცი, ღმერთს უყვარხარ ასეთი.”

– ასე მიმართავს ნათია მშობელს.

მას უსიტყვოდ ესმის დედის, უყვარს მისი წარსული და აწმყო, სტკივა მისი ბავშვობა და ყოველდღიურობა:

“თხელი მკლავებით მთელი ძალით,
სასოწარკვეთით იხუტებ გულში
თითქმის შენს სიგრძე ...თოჯინას.”

და... ნათია დარწმუნებულია იმაში, რომ “დედამიწის ყველა კუთხეში” ეს თოჯინა ყოველთვის თავადაა...

ასეთივე სულისშემძვრელია ლექსი: “წიგნი”, სადაც “გარემო არსებობის სიჯიუტით ყველაზე მტკივნეულ ხსოვნამდეა გაწელილი,” სადაც განგაშის ზარებს არისხებს საბედისწერო სიტყვა – “ტალახისფერი”:

“და ჩემ ქვევით არის მდინარე,
ტალახისფერი, მშვიდი მდინარე,
სადაც შენ
უკანასკნელად იყავი ცოცხალი.”
(“წიგნი”)

ეს ლექსი მან ტრაგიკულად დაღუპულ მეგობარს მიუძღვნა, რომლის საფლავიც არ უნახავს...

საოცრად გულწრფელი, ტკივილიანი ლექსებით ნათია თითქოს ფეხაკრეფით მიგვიძღვის თავის ილუზორულ სამყაროში, რათა ერთხელ კიდევ გვაზიაროს ქართული სიტყვის მადლს:

“მე მეტროს ვაგონებისგან ასხმული
მძივები და სამაჯურები მიკეთია
და როცა ვცეკვავ,
ვაგონები ჩხრიალებენ.”

ზოგჯერ სრულიად მოულოდნელია ახალგაზრდა პოეტის დასკვნები:

“გაზაფხული კი
მართლა მოვიდა:
სანაპიროზე გამავალ ფანჯარას
ჩემი მეზობელი ღამღამობით
უკვე ღიას ტოვებს.”

ორიგინალურია მისეული სამშობლოს აღქმაც: “სასურველის სულით და საკუთარი სულით გაჟღენთილი კედლები,” – აი, ქვეყნის კირი და სიმტკიცე!

ნათია წუხს, რომ ასეთი იყო მუდამ მისი სამშობლო:

“ასკინკილით შემოსარბენი,
ფრთებით დასაფარი...”

ქვეყნად “ყველაზე მარტივი თვალები” კი მხოლოდ მისთვისაა მარად ამოუცნობი...

შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ნათია ზოგან იმეორებს სიტყვებს, ფრაზებს:

"სადაც ყველაფერი ცარიელია,
სადაც ყველაფერი ცარიელია,
სადაც ყველაფერი ცარიელია-მეთქი."

ან:

"არ შეიძლება,
არ შეიძლება,
არ შეიძლება
ვინმემ მაინც არ გამიხსენოს..."

იგი XXI საუკუნის პოეტია – გრძნობადი, მარტის თვესავით ჭირვეული და ლოტოსის ყვავილივით ნაზი...

ნათია ნაცვლიშვილის პოეზია მკითხველს საკუთარი სულის სიღრმეებში ახედებს:

"მან თქვა, რომ თოვლი.
თოვლში ვცხოვრობთ ჩვენ და
ვიღაცეები ფიფქებივით გვიგზავნიან წერილებს."
("ასე იტყოდა ჟორჟი")

იგი მისტირის "მტრედებისაგან დაცლილ ცას" და უღრუბლო, მშვიდობიან თანაარსებობაზე ოცნებობს.

მისი გრძნობები ღრმად რელიგიურია ("ცოლების საკითხავი"). ნათია ბევრ საკაცობრიო საკითხზეა ჩაფიქრებული. თუნდაც იმაზე, რომ:

"ჩვენ არასოდეს გვისწავლია სკოლაში, სადაც
ერთმანეთი მხოლოდ უყვართ.
სადაც თვალების სწორად გახელას
და ერთმანეთის სწორად დანახვას ასწავლიან."
("ცოლების საკითხავი")

რაღაც საოცრად დიდზე და უმნიშვნელოვანესზე გვაფიქრებს მისი თითქოსდა სასხვათაშორისოდ ნათქვამი:

"როგორ იტევს ჩვენს ერთნაირ თვალებს ერთი, საერთო ცა
და
როგორ არ გვყოფნის ჩვენ ერთი, საერთო ცა."

ლექსში "ჩიტი" ნათია წერს:

"რომელიმე ჰორიზონტი უნდა ავირჩიო,
ჩიტებს სამარე აქ, მიწაზე მაინც არა აქვთ-მეთქი."

და იგი რაღაცით შორეული პლანეტიდან მოვლენილ პატარა უფლისწულს ემსგავსება, მთელი თავისი ძალისხმევით რომ ცდილობდა ადამიანებისთვის მათივე წილხვედრი ბედნიერების დაბრუნებას:

"შენი თბილი თითებით
სახლი უნდა მოვქსოვო და
გავთბე."

– წერს ნათია ამქვეყნიური არსებობის, ურთიერთშენდობისა და სიყვარულის დასტურად.

იგი თითქოს კაცობრიობის გზაგასაყართან დგას და გატაცებით კითხულობს "სამყაროს ამოუხსნელ იეროგლიფებს".

თუმცა მაინც რატომღაც "მარტოა და უბრალოა," სამყურასავით – ნათია ნაცვლიშვილი, თანამედროვეობის სრულუფლებიანი შემოქმედი.

ლილი მეტრეველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი

საბჭოთა ცენზურა და მიხეილ ჯავახიშვილი

ხელმძღვანელი: პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე

XX საუკუნის 30-იანი წლები განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოს ისტორიისათვის. სისხლიანი რეპრესიებისა და ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლი აღმოჩნდნენ ეროვნულად მოაზროვნენი. ამგვარ პოლიტიკას ერთი მოტივი ჰქონდა – დაენერგა საყოველთაო შიში, საბოლოოდ დაეთრგუნა პროტესტის სურვილი, შეექმნა ტოტალური მორჩილების ატმოსფერო. უფრო მეტიც, საბჭოთა ეპოქამ არა მხოლოდ ჩამოაყალიბა ახალი იდეოლოგიური აზროვნება, არამედ საკუთარი მიზნების განხორციელებაში უმთავრესი ფუნქცია მწერლობას დააკისრა.

იმ დროს, ვინც შეგნებულად უარი თქვა საბჭოთა რეჟიმის ამ „დიადი“ მისიის აღსრულებაზე, ხალხის მტრად და ჯაშუშად გამოაცხადეს და მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკში ჩნდება ჩანაწერი: „მე მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ – ვაება და კაეშანია. მეუბნებიან გმირული რამ დაწერეო. თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე – თავში ჩამირახუნებენ, თუ ავტლიკინდები – სირცხვილით დავიწვები“ (1,219).

ბუნებრივია, საბჭოთა იდეოლოგია გააფთრებული ებრძოდა განსხვავებულად მოაზროვნეებს, ამ შემთხვევაში ბრძოლის ოპტიმალურ იარაღად არაობიექტური და ყალბი ლიტერატურული კრიტიკა იქცა. ბევრი მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე აღმოჩნდა აბსურდული ბრალდებების მსხვერპლი. თუმცა, ამჯერად, ჩვენ ყურადღებას მ. ჯავახიშვილსა და მის მოთხრობებზე არსებულ კრიტიკაზე შევაჩერებთ. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტმა მწერალსა და კრიტიკოსებს შორის ყველაზე მწვავე ფორმა 20-30-იან წლებში მიიღო. ამავე პერიოდში მ. ჯავახიშვილს აკრიტიკებდნენ არა მხოლოდ პრესის ფურცლებიდან, არამედ მწერალთა სასახლეში გამართულ არაერთ თათბირზე

წაკითხული მოხსენებებიდანაც. რაც ცხადად მიუთითებს, რომ თავდასხმები არა შემთხვევით, არამედ მიზანმიმართული და ორგანიზებული ხასიათისა იყო.

1932 წლის აპრილში კრიტიკოსი კარლო მელაძე აღნიშნავდა: „ჯავახიშვილი არ სდგას ჩვენს მსოფლმხედველობაზე, ამიტომ ის არ არის ჩვენი მწერალი“ (1,215) თუმცა, ბუნებრივია ეს რეაქცია, მ. ჯავახიშვილი არ იყო და ვერც ვერასდროს გახდებოდა მშენებლობებითა და რევოლუციის აღტკინებული იდეებით შთაგონებული მწერალი, ვერასდროს დაწერდა სტრიქონებს:

„მოხეთქილა ლავა შენების რკინით,

ფოლადით, ღორღით, ცემენტით...“

რაც არაერთხელ შეუნიშნავთ კიდეც იმედგაცრუებულ კრიტიკოსებს: „იღებთ ხელში მ. ჯავახიშვილის ნაწერების I ტომს და იმედი გაქვთ, რომ შიგ გადაშლილი იქნება ქართველი ხალხის აბობოქრებული ცხოვრება, რომ მხატვარი დაგვიხატავდა 1930-იანი წლების რევოლუციონურ სურათებს... მაგრამ ამის ნაცვლად ვის ვხედავთ? ჩანჩურას“... (თ. ბეგიაშვილი, გაზეთი, კომუნისტი 1925 №113). (5,7)

აზრი უცვლელი და გასაგებია, მაგრამ ჩნდება კითხვა: თუკი მწერლობა ადამიანს ზნეობრივ ღირებულებას მხოლოდ რევოლუციაში მონაწილეობით, სამშენებლო წარმატებითა თუ დიდი მოსავლის მიღებით შემოფარგლავს შეძლებს ადამიანის სულის გამშვენიერებასა და ამაღლებას? ცხადია, ვერა. როცა ადამიანის ზნეობრივი ღირებულება ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით ფასდება, როცა ადამიანი არ ფიქრობს სიცოცხლის, სიკვდილის, გონიერების, სილამაზის და სხვა ამგვარ პრობლემაზე, ბუნებრივია, იგი უზნეობის ჭაობში ეფლობა. ასე რომ, არ შეიძლება, მწერლის შეფასების ობიექტურ კრიტერიუმად რევოლუციური გმირების ასახვა ან არასახვა იქცეს.

საბჭოურ პრესაში ხშირია ცნება „ახალი ადამიანი“. კომუნისტური „ახალი ადამიანი“ კოლექტივის მოჯამაგირეა. ამ კოლექტივის სასარგებლოდ იგი დაუფიქრებლად მზად უნდა იყოს მკვლელობისა და მძარცველობისათვის. დაკარგული უნდა ჰქონდეს სინდისის ქენჯნის უნარიც.

„ოთხფეხს ტკიპა შეუჩნდება, ფუტკარს წინწკალი ჩაუჯდება, ხეს ხავსი და ფითრი მოეკიდება, კლდესაც კი ფათალო ჩაექსოვება და ასე სცხოვრობენ სხვისი წვენით. ნეტა ადამიანიც ასე ხომ არ არის მოწყობილი?“ (8,303). ფიქრობს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის „დამპატიჟეს“ მთავარი გმირი – თევდორე, ის, რაც თევდორემ ვერ გაარკვია, ვფიქრობ, სრულიად გასაგებია. სწორედ კომუნისტური „ახალი ადამიანია“ ის ტკიპა, წინწკალი, ხავსი, ფითრი და დათალო, რომელიც პატიოსანი მუშაკის ნაშრომ – ნაოფლარით იკვებება. ამ მოთხრობის გამო მწვავედ გააკრიტიკეს მ. ჯავახიშვილი. 1929 წლის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში კრიტიკოსი ვალია ბახტაძე წერს: „დამპატიჟე“ არ არის კრიტიკა. ის ცილისწამებაა ანდა კრიტიკა მტრის. ჯავახიშვილმა უნდა დაიმსახუროს რევოლუციის კრიტიკის უფლება“ (1,94). წერილის ბოლოს გაზეთის მთელ სიგრძეზე მწერალს მიუწერია „დამპატიჟეს“ მოწოდება პარტიის ღალატს უდრის“ (1.94).

კიდევ ერთი შეფასება: 1928 წლის 11 ივნისს საქართველოს კომპარტიის პლენუმზე მ. კახიანმა აღნიშნა: „დამპატიჟე... რა არის ეს თუ არა აბუჩად აგდება ჩვენი ხაზის, სოფლის კოლექტივიზაციის? რატომ? – იმის ნაცვლად, რომ ისეირნოს აქ, რუსთაველის პროსპექტზე, ამ ჯავახიშვილმა ვერ მოიცალა გამგზავრებულიყო სადმე სოფელში. იქ ის დაინახავდა არა თავის დამპატიჟეს, არამედ ახალი საბჭოთა ცხოვრების ნამდვილ შემოქმედთ“ (1.84).

როგორც ჩანს, კრიტიკოსები იმდენად გააღიზიანა „დამპატიჟემ“, რომ შემდეგ უარყოფითი დამოკიდებულება მიხეილ ჯავახიშვილის მთელ შემოქმედებაზე გაავრცელეს; „ჯავახიშვილი ცდილობს მკითხველის ყურადღება მიიპყროს იაფფასიანი ხერხებით, სენსაციებით შემთხვევითი სიუჟეტებით ჯავახიშვილის შემოქმედებ არის „ბულვარშჩინა“ (1,214). (გ. ნატროშვილი – მწერალთა სასახლეში თათბირზე წაკითხული მოხსენება. კრიტიკოს ალი არსენიშვილს კი გაზვიადებულად მიაჩნია მწერლის მიმართ ყურადღება; „ის ეხლაც იმ მეშჩანურ წუმპეში ცურავს, რომელიც გაბატონებული იყო მის პირველ მოთხრობებში“ (მწერალთა სასახლეში თათბირზე წაკითხული მოხსენება) (1,215).

ამგვარი შეფასებები არცაა გასაკვირი იმ ადამიანებისაგან, რომელთა უმთავრეს ამოცანას მათივე სიტყვებით „მწერალთა რიგებში მუშათა

გამრავლება“ წარმოადგენდა. ამ ინიციატივაში ნათლადაა გამოხატული საბჭოთა იდეოლოგიური მრწამსი: მწერლობა არ არის ნიჭიერება, არ არის აზროვნება, იგი პროპაგანდაა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული დირექტივის აზრი და მიზანი.

1929 წლის ჟურნალ „მნათობის“ №7 ნომერში დაიბეჭდა მიხეილ კახიანის წერილი „იდეოლოგიური ფრონტი“, სადაც ლიტერატურის კრიტიკოსი ასკვნის და, ვფიქრობ, სრულიად სამართლიანადაც, რომ ჯავახიშვილს „რევოლუციასთან საერთო გზა არ აქვს“ (2,49). და თითქოს მწერალს „არ სურს, რომ ლიტერატურაში შეიჭრას მუშა და გლეხი“. თუმცა, ცხადია, რომ კახიანის დასკვნა გამომდინარეობს არა მწერლის შემოქმედების სამართლიანი განხილვიდან (“კურკა”, “მეჩექმე გაბო”, “ტყის კაცი” და მრავალი სხვა ხომ სწორედ უბრალო ადამიანები არიან), არამედ სუბიექტური მოსაზრებიდან.

მით უმეტეს, რომ კახიანს არ მოსწონდა არც „არიფონის“ სახელით გაერთიანებული მწერალთა ჯგუფი: „გატაცენული არიან რა „არიფობით“, მათ არ სურთ ახალი ცხოვრების გაგება და შესწავლა“. ეს ის ახალი ცხოვრებაა, კრიტიკოს თედო ბეგიაშვილის თქმით, „თვით „ჩანჩურებიც“ კი სამოქმედოთ რომ გამოიყვანა“ (5,7). „ასეთი ლიტერატურა ჩვენ არ გვჭირდება“ – ასკვნის კახიანი, ხოლო მ. ჯავახიშვილს პირდაპირ ემუქრებოდა „ჩვენ ნებას არ მივცემთ ჯავახიშვილს დასცინოს ჩვენს აღმშენებლობას“ (4,125).

მწვავე კრიტიკა იგრძნობა 1929 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№1) გამოქვეყნებულ წერილში „ანგარიში და კრიტიკა 1928 წლის ლიტერატურული პროდუქციის შესახებ“ კრიტიკოსმა პ. ქიქოძემ მ. ჯავახიშვილი „ყოფილ ადამიანთა დაუქირავებელ ვექილად“ მიიჩნია. იგი მწერლის მოთხრობებს („ჩანჩურა“, „ტყის კაცი“, „უპატრონო“, „მეჩექმე გაბო“, „კურკას ქორწილი“, „ეშმაკის ქვა“) არა მხოლოდ იდეური, არამედ მხატვრული თვალსაზრისითაც იწუნებს; „როგორც ფსიქოლოგი, მ. ჯავახიშვილი სულ უსუსურია, ხელოვნურად თუ მოათრევს რაიმე ბანალურ განცდას...“ (3,48-49) და ეს მაშინ, როცა მწერლისთვის მთავარი სწორედ ადამიანის სულიერი ტკივილისა და სიხარულის ჩვენებაა. ღრმაა მის მიერ დანახული ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი.

ეს, რა თქმა უნდა, მცირე ნაწილია იმ რეცენზიებისა, რომელიც იბეჭდებოდა 20-30-იანი წლების ქართულ პრესაში თუ იკითხებოდა მწერალთა კავშირში მოხსენებების სახით. მ. ჯავახიშვილმა კიდევ ბევრჯერ იწვნა კრიტიკოსების გესლიანი სიტყვები და არცაა გასაკვირი თავდასხმები იმ მწერლის მიმართ, რომელიც „ვერ მოარჯულეს“, „ვერ მოათვინიერეს“, ვერ ასწავლეს თემების „სწორად“ შერჩევა.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ღირსეულად ხვდებოდა კრიტიკას. აი, რა ჩაუწერია უბის წიგნაკში; „ისინი ვერ მომერევიან. მე მსხვილი ძვალი მაქვს, ვერ გადამყლაპავენ, ყელზე დავადგები“ (7,109).

ჩვენი მიზანი იყო 30-იანი წლების ქართულ პრესაში მიხეილ ჯავახიშვილსა და კრიტიკოსებს შორის განვითარებული ლიტერატურული და იდეოლოგიური კონფლიქტი კიდევ ერთხელ შეგვესწავლა. დაკვირვების შედეგად აშკარაა, ნაწილი კრიტიკოსებისა თავს ესხმის მწერალს და ცდილობს, დაამტკიცოს, რომ მ. ჯავახიშვილი მიუღებელია იდეურადაც და სუსტია მხატვრულადაც. თუმცა, მათი დასკვნები, რასაკვირველია, გამომდინარეობს არა მწერლის შემოქმედების ობიექტური განხილვიდან, არამედ წინასწარ განზრახული ნეგატიური თვალსაზრისიდან. ის კრიტიკოსებიც კი, რომლებიც წინათ დადებითად აფასებდნენ მწერლის შემოქმედებას, ამ პერიოდში აგრესიულნი ხდებიან, რაც გვავარაუდებინებს, რომ ხელისუფლების მითითებით წერდნენ, ითვალისწინებდნენ ეპოქის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონტექსტს. შესაძლოა, მართლაც მოეძებნებოდეს ლოგიკური ახსნა მათ ქმედებას, თუმცა, ფაქტია: 20-30-იანი წლების ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ უდიდესი გავლენა მოახდინა მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიაზე, მის ტრაგიკულ სიკვდილზე, მიზანმიმართულმა თავდასხმებმა ხელისუფლებას მნიშვნელოვნად გაუიოლა მწერლის დახვრეტა. საზოგადოება კი დარჩა მოვლენების ობიექტურ შემფასებლად და სამართლიანად უკვდავყო დიდი მწერლის სახელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ქეთევან ჯავახიშვილი – მ. ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ., 1991.
2) ქეთევან ჯავახიშვილი – მიხეილ ჯავახიშვილის (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ., 1948.

3) ტარიელ კვანჭილაშვილი – მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება. თბ., 1966.
4) აკაკი ბაქრაძე – მწერლობის მოთვინიერება თბ., 1990.
5) გაზეთი „კომუნისტი“ – თბ., 1925 №113
6) გაზეთი „კომუნისტი“ – თბ., 1937 №106
7) ჟურნალი „ცისკარი“ თბ., 1962. №1
8) მიხეილ ჯავახიშვილი – „თეთრი საყელო“ მოთხრობები, თბ., 2010.

თამარ ადამია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი

საბჭოთა ცენზურა და კონსტანტინე გამსახურდია

ხელმძღვანელი: პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე

XX საუკუნეში, ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად, ქვეყანაში დამძიმდა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ლიტერატურული ფონიც.– ”ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებით ყველაზე უფრო სუსტი მხარე ლიტერატურული ფრონტი არის,–წერდა ვ. ბახტაზე გაზეთ “კომუნისტში” 1923 წელს– და რამდენადაც ეს ასეა, ჩვენ მით უფრო მეტი ყურადღებით, მეტი ენერგიის დახარჯვით და ჩვენთვის ჩვეული გამარჯვების მეტი სურვილით ვეკვეთოთ ამ ფრონტს.” როგორც ვხედავთ, ხელისუფლება აცნობიერებდა მხატვრული სიტყვის ძალას და ცდილობდა მის გამოყენებას, როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური იარაღისა, რასაც, ბუნებრივია, მწერლები ადვილად ვერ შეეგუებოდნენ.–ასე წარმოიშვა კონფლიქტი ხელისუფლებასა და ლიტერატურას შორის, მაგრამ ჩვენს მოხსენებაში ვისაუბრებთ, თუ როგორ გადაიზარდა ეს უთანხმოება მწერალთა და კრიტიკოსთა კონფლიქტში, კერძოდ კი კონსტანტინე გამსახურდიასა და 30-იანი წლების ქართულ კრიტიკაზე.

“ჩვენ უნდა ვუთხრათ მწერალ კ. გამსახურდიას, რომ სწორედ დღეს, განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში საჭიროა მწერლისთვის, მთელი 180 გრადუსით მობრუნება,” “იმ პოზიციებისაკენ, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ საბჭოთა ლიტერატურის მაგისტრალურ გზას,”– წერდა შ.

რადიანი გაზეთ “ლიტერატურულ საქართველოში” 1936 წელს. საინტერესოა, რას წარმოადგენდა “საბჭოთა ლიტერატურის მაგისტრალური გზა”? ხომ არ გადიოდა ის პარტიულ ინტერესებსა და ზოგადად, პოლიტიკურ იდეოლოგიასთან ხომ არ იკვეთებოდა?! სამწუხაროდ, პასუხი დადებითია. “ლენინი შეურიგებელი იყო იმისადმი, ვინც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხში პრინციპულობას უხვევდა, ვინც იდეური შეცდომებისადმი დამოკიდებულებაში ლიბერალურ პოზიციებზე ეშვებოდა.”(1,136) იდეური შეცდომა, ლიტერატურის სოციალისტური რეჟიმითან დამოკიდებულებით განისაზღვრებოდა, ხოლო ამის გაკონტროლება და “ლიბერალურ პოზიციებზე არდაშვება” კი ვის მოეთხივებოდა, თუ არა კრიტიკოსს. აკაკი ბაქრაძე წერდა–“კრიტიკას დაევალა არა სხადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვა-ანალიზი, არამედ კომპარტიის ცეკას დადგენილებათა ძალდატანებით (კეტით) დანერგვა და ურჩი მწერლების დასჯა.”(1,139)

შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში კ. გამსახურდიას ნაწარმოებები რადიკალურად ემიჯნებოდა ყოველგვარ “ინტერესებს” და კინაღამ დიდი ხათაბალაში გახვია ამ გარემოებამ ავტორი.

1923 წელს, საქართველოში დაბრუნებისას, კონსტანტინე გამსახურდიამ ზუსტად იცოდა, რაც მოელოდა, (გამომგზავრების წინ უთხრეს კიდევაც “ჩასვლისთანავე დაგაპატიმრებენ და დაგხვრეტენო”) მაგრამ ემიგრანტობა მაინც არ ისურვა და საქართველოში დაბრუნდა. მისი ეს ნაბიჯი მართლაც აბობოქრებულ მორევში გადაშვებას ჰგავდა, მაგრამ კონსტანტინე “იმ გვარისა იყო, ვისაც უკანდახევა არა სჩვევია!”

“მისი ადრინდელი ნოველები– “პორცელანი”, “მკვდართან შეხვედრა,” “ზარები გრიგალში,” “ლილ,” ”ტაბუ,” “ქალის რძე,” “ქოსა გახუ” და “ჯამუ” – წარმოგვიდგენენ ავადმყოფ და ამორალურ ინდივიდუალისტებს და მისტიკოსებს, კაცთმოძულეებსა და ცინიკოსებს. იგი ქადაგებდა ხელოვნების აპოლიტიკურობასა და უიდეობას, აიდეალებდა არისტოკრატიულ ესთეტიზმსა დ ლიტერატურის თვითმიზნობას... ამ ნოველების გმირებს შორის მკითხველი ვერ შეხვდება დადებითი, ჯანსაღი ადამიანური მეობის მატარებელს,”(3,8)–წერდა ბესარიონ ჟღენტი და იმასაც არ დაგიდევდათ, რომ ყველა ეს ნოველა ადრინდელი არ

ყოფილა, რომ თითოეული მათგანის სათქმელიც საკმაოდ განსხვავებული იყო. კრიტიკოსისთვის მთელი შემოქმედება მხოლოდ ერთ ჭრილში, ერთადერთი, პოლიტიკური ნიშნით იყო საინტერესო და ეს ერთი შეხედვითაც ცხადია.

"თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამ ეტაპზე მწერალი ჯერ კიდევ თავისი სიმპათიებით და სულიერი ნათესაობით წარსულის დასაღუპავად განწირულ გადმონაშთებთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე ახალი ცხოვრების ძლევამოსილ ქროლვასთან,"– ვკითხულობთ ბესარიონ ჟღენტის კრიტიკულ წერილში გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში", 1936 წელს (4,22). საინტერესოა, რა იგულისხმება ამ უკანასკნელ ფრაზაში? "ახალი ცხოვრების ძლევამოსილი ქროლვა" ხომ არ არის გამოხატული ბამბის პლანტაციებისადმი მიძღვნილ ლექსებში, ან სიმინდის ციკლში, რომლითაც აჭრელებულია ამ ეპოქის ყველა ჟურნალი თუ გაზეთი?! იქნებ ბელადის სადიდებელი საგალობლები იგულისხმება? ბელადის, რომელიც შემოქმედია ამ ახალი, "დიადი" ეპოქის...

"ინდივიდუალისტური მსოფლშეგნებით, ნაღვლიანი და მელანქოლიური განწყობილებით განმსჭვალულს ნაწარმოებებში მწერალი მთელს თავის მხატვრულ ძალასა და ენერგიას სასიკვდილოდ განწირული წარსულის ნარჩენების წარმოსახვას ანდომებს. ყველაზე ტიპური დამახასიათებელი ამ პერიოდის ნოველებს შორის არის "ზარები გრიგალში", სადაც ნათლად არის გამოთქმული "სიბნელეში დაბრმავებული" "უიმედო გლახაკის" მნათე ოქროპირის და ამ მხატვრული სახის შემქმნელის ნეგატიური დამოკიდებულება იმ ღრმა ცვლილებებისა და რეფორმებისადმი, რომლებითაც აღსავსე იყო ჩვენი საუკუნის ოციანი წლების საზოდგადოებრივი სინამდვილე"–ეს ისევ ბესარიონ ჟღენტის სიტყვებია.(4,21)

"ზარები გრიგალში" განსაკუთრებით არ მოსწონთ კრიტიკოსებს, ის ხომ ნათელი ხატია სწორედაც რომ სოციალური რეალობის. საგულისხმოა, რომ არც ერთი კრიტიკოსი არ უფიქრდება, რატომ არიან გამსახურდიას გმირები ასეთები, "სიბნელეში დაბრმავებული", "უიმედო გლახაკი"–მათ სწორად ესმით და ნათლად ხედავენ, თუ როგორები არიან ისინი, მაგრამ არ უფიქრდებიან რატომ? რამ გახადა ეს პერსონაჟები ასეთებად?! არ მოსწონთ "ამ მხატვრული სახის შემქმნელის ნეგატიური დამოკიდებულება იმ ღრმა ცვლილებებისა და გარდაქმნებისადმი," არადა,

ნაწარმოების სათქმელიც ესაა და სწორედ ამ ცვლილებებმა თუ გარდაქმნებმა მოიტანა ეს მძიმე რეალობა. მაგრამ არის მეორე გარემოებაც, კრიტიკოსები ყოველივე ამას არ უფიქრდებიან თუ საერთოდ არა აქვთ ფიქრის უფლება, არამედ აქვთ დავალება, რომელიც ავად თუ კარგად უნდა შეასრულონ. ასეც იქცევიან.

"ჩვენ ყველას, ვისაც ოქტომბრის რევოლუციამდე მოგვიხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, უცილოდ დაგვემჩნა ერთგვარი დაღი დეკადანტობისა. აი, სწორედ ამ სენით არის აღბეჭდილი კ. გამსახურდიას ოციანი წლების ნოველები"–შალვა რადიანი, 1936 წელი (4,20). მართალია, ამის პარალელურად არსებობდნენ ჯანსაღი აზრის მატარებელი, სულ სხვაგვარად, ეროვნილად მოაზროვნენიც, მაგრამ ძალა აღმართს ხანავსო, ნათქვამია და კრიტიკოსთა დიდი ნაწილი 20-30-იანი წლების ქართულ პრესასა თუ პუბლიცისტიკაში, ერთხმად განიკითხავდა მწერალს ობიექტურობისა და პირდაპირობისთვის, სინამდვილის შეულამაზებლობისთვის და ხშირად, დირექტივებსაც აძლევდა, რომ მან უნდა გაითვალისწინოს ამხ. ბერიას შენიშვნა, რომ "თუ კ. გამსახურდიას სურს იყოს საბჭოთა მწერალი, იგი უნდა გათავისუფლდეს თავისი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეებისა და განწყობებისაგან."გაზეთი კომუნისტი, 1923 წელი.(10,5)

1958 წელს შალვა რადიანი ნოველაზე– "ზარები გრიგალში" დაწერს–"ეს ნაწარმოები ქარიშხლის მიერ დამხობილი სამრეკლოს ნანგრევებში დაღუპული მნათე ოქროპირის თავგანწირულების სადიდებელ ჰიმნად ჟღერს" (4,22)– აი, მთავარი დილემა, გამსახურდიასგან ახალი დროების თაყვანისცემას მოითხოვენ და განა რაიმე ყურადღების ღირსია რევოლუციის გაუბედურებული და "სიბნელეში დაბრმავებული" ადამიანები, მთავარია პროპორცია: ერთია მნათე, რომელიც შეეწირა, სანაცვლოდ, ბედნიერები იქნებიან ათასები... იქნებიან კი?!

მივყვეთ ისევ შალვა რადიანის კრიტიკას: "იგი ნაძირალების გამოხატვას ანდომებდა თავის მხატვრულ ნიჭიერებასა და ენერგიას, ამასთან, მას არ ჰყოფნიდა პათოსი, რათა მკითხველთა შეგნებაში პროტესტისა და გულისწყრომის გრძნობა გაეღვივებინა ამგვარი "გმირების" მიმართ"(4,25) აი, სწორედ ასეთი რანგის ცილისწამებების ამოკითხვა შეიძლება ამ ეპოქის კრიტიკაში. იმდენად აბსურდულია ზოგიერთი მათგანი, რომ ბუნებრივად იბადება სიყალბის განცდა, განცდა

იმისა, რომ ეს ხელოვნური უთანხმოებაა, ძალით ორგანიზებული, რომლის მიღმაც ნამდვილი, რეალური კომფლიქტი იმალება, კონფლიქტი ჯანსაღ აზრსა და პოლიტიკურ დირექტივას შორის.

30-ინ წლებში, უკვე ასეთი წერილები ჩნდება: "მან წარმატებით გადალახა მტკივნეული ძიებების, სამანთა მოსინჯვის ეტაპი, თავი დააღწია ათასგვარი მაცდუნებელი დემონით გატაცებას,"–გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1937 წელი. რომელ მაცდუნებელ დემონზეა საუბარი?– "და ოცდაათიანი წლების დამდეგისთვის საბოლოოდ დაადგა საკუთარ საიმედო გზას"– საიმედო?! რა იმედი იგულისხმება? იმედი იმისა, რომ არ გაანადგურებენ, არ აწამებენ, არ გადაასახლებენ... ეს პოლიტიკა ხომ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო აქტუალური! რასაც არაერთი ნიჭიერი ადამიანი შეეწირა; მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია, ა. ბაქრაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ჰგავდა იმ ადამიანს, რომელსაც სახლში პური მიაქვს და უკან კბილდაღრჭენილი ძაღლი მისდევს. პური რომ შინ მიიტანოს და თავად ძაღლის დაკბენას გადაურჩეს, იძულებულია დროდადრო ნაგაზს პურის ნატეხი გადაუგდოს, დროებით შეაჩეროს და სახლში შეასწროს. მთელი ცხოვრების მანძილზე ასე გაურბოდა მწერალი უკან დადევნებულ საბჭოთა ხელისუფლებას. ხანდახან უყრიდა მწერლური პურის ნატეხებს– "ბელადს", "ვაზის ყვავილობას", ნარკვევებს, რომ ბუნებრივ სიკვდილამდე მიეღწია და ქართველი ხალხისთვის დაეტოვებინა "დიონისოს ღიმილი", "მთვარის მოტაცება", "დიდოსტატის მარჯვენა", "დავით აღმაშენებელი".

კონსტანტინე გამსახურდიას რთული და მრავალფეროვანი შემოქმედების შესახებ XX საუკუნის 20-30-იანი წლებში დაიწერა არაერთი მცდარი თუ მართებული კრიტიკული სტატია თუ მეცნიერული გამოკვლევა, ჩვენი თემის მიზანი იყო კიდევ ერთხელ გადაგვეხედა, განგვესაჯა, გაგვეანალიზებინა ჩვენი ისტორიის ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი პერიოდი, ეპოქა, როცა კრიტიკოსები და მწერლები დაპირისპირებულ, მტრულად განწყობილ ბანაკებში აღმოჩდნენ, რისი მიზეზიც პოლიტიკური დირექტივა იყო მხოლოდ.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მაინც ვერ ვიტყვით, რომ XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ სინამდვილეში არ არსებობდა კრიტიკა, როგორც ლიტერატურული ჟანრი; მართალია, ზოგიერთი კრიტიკოსის გამოისობით იგი ხშირად იყო მორჩილი პოლიტიკური

დირექტივების, როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური იარაღი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ბოლომდე შეუვალნი დარჩნენ. ფაქტი ერთია, შექმნილმა გარემოებამ განაპირობა ის, რომ კრიტიკამ ლიტერატურის დონის ამაღლების, მკითხველთა გემოვნების დახვეწის ნაცვლად ძალიან დიდი ძალისხმევა დახარჯა ყოვლად აბსურდული ბრალდებების შეთხზვაზე, ხშირ შემთხვევაში კი ჯალათადაც გადაიქცა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკაკი, მწერლობის მოთვინიერება, 1990;
2. სიგუა სოსო, მარტვილი და ალამდარი, ტ.1, 1997;
3. ბესარიონ ჟღენტი, კონსტანტინე გამსახურდია, 1997;
4. რადიანი შალვა, კონსტანტინე გამსახურდია, 1958;
5. გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", 25 თებერვალი, 1936;
6. გაზეთი "ლიტერატურული საქართველო",20 აპრილი, 1936;
7. გაზეთი "ლიტერატურული საქართველო",2 ივნისი, 1936;
8. გაზეთი "ლიტერატურული საქართველო",31 ივლისი, 1936;
9. გაზეთი "ლიტერატურული საქართველო",31 ივლისი, 1937;
10. გაზეთი "კომუნისტი", 5 მაისი, 1923;.

ნუნუ ბალავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურა

სიკვდილი,როგორც ლიტერატურული პერსონაჟი გოდერძი ჩოხელის პროზის მიხედვით

ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

„ამაოებათა ამაოება! ყოველივე ამაოებაა.... მაგრამ საქმეს, რაც ღმერთმა მოიმოქმედა, თავიდან ბოლომდე ვერ ხვდება ადამიანი"– ამბობს „ეკლესიასტე". (1-1, 2).

ადამიანი ვერ ხვდება, მაგრამ მისი გონება მარადიულ ძიებაშია. კაცმა დაინახა და ირწმუნა თავისი არსებობა. ამასთანავე, ისიც გაიგო, რომ ოდესღაც აუცილებლად გახდებოდა „არარსებული", გარდაიცვლებოდა. და ადამიანს აინტერესებს, რა იქნება შემდეგ ამ გარდაცვალებში, უჩნდება ათასგვარი კითხვა

ყოფნა-არყოფნის შესახებ. იწყება მის სულში ძიება, რომელიც ბუნებრივად წარმოშობს შინაგან კონფლიქტს.

სხვადასხვა ეპოქამ, სხვადასხვა კონტექსტში მოიტანა ნაწილობრივ პასუხგაცემული კითხვები ადამიანის არსებობაზე. ეს მუდმივი ფიქრი ხელოვნების ერთ-ერთ დარგში, კერძოდ, ლიტერატურაში გამოიკვეთა.

არსებობა, იგივე ეგზისტენციალიზმი, როგორც ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდინარეობა, ჩაისახა I მსოფლიო ომის ბოლოს, გერმანიაში. იგი სამყაროს ცენტრში აყენებს ადამიანის არსებობა-არარსებობის სიღრმისეულ პრობლემებს. ეგზისტენციალიზმის ჩასახვა ფილოსოფიაში სორინ კირკეგორის სახელთანაა დაკავშირებული. ეს ინაცვლებს მარტინ ჰაიდეგერთან, ჟან-პოლ სარტრთან, კარლ ეასპერსთან, კაფკასთან, კამიუსთან, რილკესთან...

XX ს-ის 80-იანი წლების მწერლობაში ადამიანის ყოფნა-არყოფნის თემას თავისებური ხედვით წარმოაჩენს მწერალი გოდერძი ჩოხელი.

„ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდების" ერთ-ერთ სტატიაში – „ეგზისტენციალიზმის გავლენა თანამედროვე კინემატოგრაფზე" ნაშრომის ავტორი, ინგა ხალვაში შენიშნავს, რომ გოდერძი ჩოხელი პირველთაგანი იყო, რომელმაც ეგზისტენციალური პრობლემა შემოიტანა XX საუკუნის 80-იანი წლების ქართულ კინოში. ამ ხაზს გ. ჩოხელი, როგორც მწერალი, თავის პროზაშიც ავითარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მწერლები: ფ. კაფკა, ჟ.პ. სარტრი, ა. კამიუ, რომლებიც ლიტერატურაში ეგზისტენციალური ხედვის შემომტანებად არიან აღიარებულნი, შეიძლება ითქვას, „შეგნებულად წერენ" ნაწარმოებებს ეგზისტენციალურ თემატიკაზე, რადგან მათ ფილოსოფიური განათლება აქვთ მიღებული და შესაძლოა, ესეც იყოს მათ შემოქმედებაში განმსაზღვრელი ფაქტორი. რაც შეეხება გოდერძი ჩოხელის პროზას, იგი უფრო თვითმყოფადია და არ რჩება შთაბეჭდილება თვითმიზნურობისა.

მწერალთან ფიქრი, ადამიანის ყოფნა-არყოფნის შესახებ, ბუნებრივად მიდის მკითხველამდე და მასთან ერთადვე იქცევა მსჯელობის საგნად, რასაც საოცრად ორიგინალური ხედვით წარმოაჩენს გოდერძი ჩოხელი.

რომანი „ადამიანთა სევდა" იწყება ფიქრით ყოფნა-არყოფნაზე და შემდეგ უკვე სხვა მოთხრობებში გრძელდება ამგვარი დამოკიდებულება. რომანი უცნაური სიუჟეტით იწყება. ავტორი საუბრობს გუდამაყრის ხეობის მცხოვრებლებზე, რომელთაც გადაუწყვეტიათ შეაერთონ მთის სოფლები და ადამიანებმა ერთად იცხოვრონ. ე.წ. ბრძოლის გეგმა ოსტატურად არის მოფიქრებული. ვინ იქნება მებრძოლთა მეთაური, მზვერავი, ვინ დარჩება სახლში, ვინ საჭმელით მოამარაგებს ხალხს - ყველა საკუთარ როლს ითავსებს. ამ მოქმედების პარალელურად, რომანში ჩართულია მწერლისა და ფილოსოფოსის დღიურები. მწერალი მთის ხალხზე მოთხრობებს წერს, ფილოსოფოსი კი ფილოსოფიურ პრობლემატიკას დასტრიალებს და იმავე ადამიანებისგან სურს ჩასწვდეს ყოფნა-არყოფნის პრობლემას. თითოეულ ადამიანს განსხვავებული პასუხი აქვს სიკვდილ-სიცოცხლეზე. საუბარი დიალოგის მეშვეობით ხორციელდება.

„როგორია სული" – კითხულობს ფილოსოფოსის პირით მწერალი და მარტია ბუბუნაურიც პასუხობს: „სული ნამგალსა ჰგავს, ჩაჟანგება იცის ადვილად. სულს ეკიდება შენი წარსული.... ხორცმა ჟანგივით იცის მოკიდება და ჩაიჩლუნგებს სულსა" (2-63) თუ დავაკვირდებით კითხვას: რა არის ხორცი? მწერალი რომანში არ სვამს, მაგრამ ნაწარმოების გმირი, სულთან ერთად ხორცსაც განმარტავს, ანუ უკვე იწყება კონფლიქტი რეალურსა და ირეალურს შორის.

მეორე პერსონაჟი ვასილ კოტორაშვილი კი ასე მსჯელობს:

„– ადამიანს როცა სული გაეყრება, სად მიდის?

– არსად დაიკარგება.

– მაშ, უაზრო ყოფილა ჩვენი აქ ყოფნა. რა აზრი აქვს ერთი წელი ვიქნებით, თუ ასი?

– სად ერთი წელი და სად ასი?” (2-56) ნაწარმოებში ადამიანის არა მარტო შინაგანი ჭიდილია სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, არამედ თავად დიალოგშიც ვხედავთ წინააღმდეგობას.

გოდერძი ჩოხელი მეტაფიზიკურს, არამატერიალურ საკითხებს უტრიალებს. აქედან გამომდინარე, რომანში ჩნდება კითხვები: „რა არის სიყვარული? რა უფრო ძლიერია – სიყვარული თუ სიცოცხლე?” ამგვარი მსჯელობით, წერალი ამზადებს მკითხველს იმისთვის, რომ აუცილებლად უნდა დაისვას ორი ძირითადი შეკითხვა, ერთი: „რა არის სიცოცხლე? ” და მეორე: „რა არის სიკვდილი?”....

„რა არის სიცოცხლე ან საიდან მოვიდა?” – ვკითხულობთ ფილოსოფოსის რვეულიდან და წიკლაური სოლომონიც პასუხობს:

„ – ვითომ სიცოცხლე ღვთისგან არის, მე ეგე ვიცი”

„ – რა აზრი აქვს ადამიანის ხანგრძლივ სიცოცხლეს?

– სიცოცხლე გიყვარს, მეტი არაფერი”... (2-57).

მეორე მთავარ კითხვაზე: „რა არის სიკვდილი?” პასუხობენ: „სიკვდილი დასასრულია... დასაწყისიცაა”. სიკვდილი მწერალთან მოიაზრება, როგორც ახალი მადგომარეობის, ახალი ცხოვრების დაწყება.

მაია წიკლაური წიგნში „გოდერძი ჩოხელი - ერისა და მთის შვილი” წერს: „რატომ უთმობს გოდერძი ჩოხელი სიკვდილის თემას ამდენ ყურადღებას? იქნებ ეს ფშავ-ხევსურული ფოლკლორული პოეზიის გავლენაა... მთაში გაზრდილი კაცისთვის.... ეს თემა ახლობელი იქნებოდა”. - ამ კუთხით თუ შევხედავთ გ. ჩოხელის დამოკიდებულებას ადამიანის ყოფნა-არყოფნაზე, აშკარად ჩანს ხმით ნატირების გავლენა მის პროზაზე. მწერალი თავის ნაწარმოებებს ისეთ კონტექსტში გვათავაზობს, რასაც ფშავ-ხევსურულ ხმით ნატირებსა და წუთისოფელზე გამოთქმულ ლექსებში ვხვდებით:

ფშავ-ხევსურული ფოლკლორი სიკვდილზე ამბობს:

„სად წახვალ, სად დაემალვი
მანდ ცათ გაგიღონ კარიო,
სიკვდილი ყველგან დაძვრება
სადაც სიცოცხლე არიო.” – აქაც ვხედავთ ჭიდილს სიკვდილ-სიცოცხლისა. ერთ-ერთ ხმით ნატირებში დედა შვილის ტირილზე ასეთ ფრაზას ამბობს:

„სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ,
ერთხელ შენ თავად რად არ მაჰკვდი”... – (3) - ამ სტრიქონების შემდეგ კი საგულისხმო პარალელი იქნება ის, რომ გოდერძი ჩოხელის რომანის „ადამიანთა სევდა” ფინალში ხალხი ადამიანად ქცეულ, განკაცებულ სიკვდილს კლავს. სიკვდილი აღსარებას ეტყვის ადამიანებს: „მე არა გკლავთ. თვითონ ვკვდები თქვენში. თვითონ ვიტანჯები სულის გაყრისას. მე ვასრულებ იმას, რაც უნდა მოხდეს და ყოველთვის ხდება ის, რაც მოსახდენია” – ანუ კონფლიქტი სიკვდილსა და ადამიანებს შორის უფრო მწვავდება რომანის დასასრულს. გარდაცვლილ სიკვდილს კი ისევ შვილმკვდარი დედა დაიტირებს:

„ჩვენთან რა გინდოდა, ჩემო შვილო,
ჩვენთან შენნაირებს ვერ იხდენენ,
აგრემც შენ სიყრმეს შემოვევლე,
მიწაში როგორღა მოისვენებ.
შავად ჩაგეშლება ასოობა,
თვალებს გველები წაგიღებენ,
ნუღარ მოიგონებ აქაობას
აქ შენნაირებს ვერ იხდენენ.
არა, ჩემო შვილო, არ გვიწყინო,
წადი, ჩემ შვილებთან დაისვენე”... (2-86)

როგორც ფილოსოფოსი მატრინ ჰაიდეგერი ამბობს, „ადამიანის ამოცანაა ჩახედოს თავის გარდაუვალ ხვედრს თვალებში და გახდეს თავისი სიკვდილის გმირი” (6). შესაბამისად,

გოდერძი ჩოხელიც, პერსონაჟად აქცევს სიკვდილს, რომანში, რომელიც კვდება და ფშავურ ფოლკლორში დასმული კითხვის: „სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ, ერთხელ შენ თავად რად არ მაჰკვდი?..” განვრცობა, სწორედ რომანის ამგვარი დასასრულით შემოგვთავაზა და ამით თქვა, რომ სიკვდილი ადვილია...

რომანი „ადამიანთა სევდა” ისევ ორი კითხვით მთავრდება, რომლებზეც მწერალივე სცემს პასუხს: „სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა... სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა”...

მკითხველში ჩნდება განცდა: ამით ჭიდილი, იგივ შინაგანი კონფლიქტი წყდება, გადაიჭრება? მაგრამ მიუხედავად ამ პასუხგაცემული კითხვებისა, ვხვდებით, რომ ეს პასუხებივე იწვევენ ცნობისმოყვარეობასა და კვლავ მარადიულ ძიებას.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გოდერძი ჩოხელის პროზაში, ფიქრი ყოფნა-არყოფნის შესახებ, თვითმყოფადი, მწერლისეული ხედვით არის მიტანილი მკითხველამდე, რაც მჭიდროდ უკავშირდება ქართულ ფოლკლორს.

მეორეს მხრივ, თუ ადამიანის არსებობა, ანუ ეგზისცენცია არარეალურსა და რეალურს შორის მონაცვლეობს, ინდივიდმა უნდა შეძლოს პირველიდან მეორემდე ამაღლება. შესაბამისად, გოდერძი ჩოხელის პროზის მიხედვით ვხვდებით, რომ ესაა სწორედ ეგზისტენციალური დამოკიდებულება. შესაძლოა, ეს არ იყოს ცალსახა და თვითმიზნური, როგორც სხვადასხვა ავტორთან გვხვდება, მაგრამ თავად პრობლემატიკა ყოფნა-არყოფნაზე მოგვანიშნებს იმას, რომ მწერალი მოვიაზროთ არა განყენებულად, არამედ ერთ მთლიან ლიტერატურულ პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ ბიბლია” 2002.

2. ჩოხელი გოდერძი, „ადამიანთა სევდა”, 1986.

3. „ქართული ხალხური პოეზია”, 1992 წ.

4. წიკლაური მაია, „გოდერძი ჩოხელი - ერისა და მთის შვილი”, 2006.

5. „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები”, ტ I, 2008.

6. http:/ka. Wikipedia. org

თამუნა კვაჭანტირაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრატურა

ჭაბუა ამირეჯიბის “გორა მბორგალის” გააზრებისათვის

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მინდიაშვილი

„გორა მბორგალზე“ ჭაბუა ამირეჯიბს ათი წელი უმუშავია. ათი წელი არც თუ ისე ცოტა დროა, მაგრამ ისეთი დიდი წიგნისათვის, როგორიც „გორა მბორგალია“
შეიძლება ცოტაც იყოს. ამ ათი წლის განმავლობაში დიდ მწერალს ალბათ კიდევ ერათხელ მოუხდა იმ რთული წლების გახსენება, იმ ეკლიანი გზების გადალახვა, რომელიც მან გაიარა თავისი ცხოვრების განმავლობაში. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ნაწარმოებში ცხადად იკვეთება ავტორის ბიოგრაფიული პასაჟები.

„წიგნის კითხვა ხომ არაფერია, თუ არა მიხვედრით გამოწვეული სიხარული“ 1. ამიტომ სანამ რომელიმე ავტორის ნაწარმოებს გავეცნობოდეთ აუცილებელია ვიცნობდეთ მის ბიოგრაფიას, ცხოვრების გზებს და იმ ეპოქას, რომელშიც ის ცხოვრობდა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გავეცნოთ მის ნაწარმოებს, რათა დაგვეუფლოს „მიხვედრით გამოწვეული“ წრფელი სიხარული.

ვკითხულობთ „გორა მბორგალს“ და გვახსენდება ჭაბუა ამირეჯიბის ბიორაფია. მან ციხეებსა და საპატიმრო ბანაკებში 16 წელიწადი გაატარა, პატიმრობიდან ექვსჯერ გაიქცა, ორჯერ დახვრეტაც ჰქონდა მისჯილი, მაგრამ საბედნიეროდ გადარჩა და შესანიშნავი ნაწარომებებიც აჩუქა ქართულ ლიტერატურას.

„გორა მბორგალი“ სიცოცხლის, თავისუფლებისა და სიმართლისათვის ბრძოლის ჰიმნია. სიმართლე და თავისუფლება კი

ყვლად ამაღლებული ზნეობირიობის მახასიათებელი თვისებებია. ადამიანური სიმართლეა ცხოვრების ჭუჭყიანი გზების მანათობელი ძალა, როგორც დიდი ბერძენი ფილოსოფოსი კონფუციუსი ამბობდა: „სიმართლე დასაწყისი და დასასრულია ყოველი არსისა. სიმართლე რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა არაფერი. სიმართლე არა მარტო თავისთავად არსებობს, არამედ შექმნა ყველა საგანი იმიტომ, რომ ესაა სიბრძნე, ბუნებრივი ქველმოქმედება და ტაო, გარეგანისა და შინაგანის შემაერთებელი. თუმცა ბევრნი სიმართლეს უყურადღებოდ ექცევიან, მაგრამ ის არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას“. და აი, ჭაბუა ამირეჯიბთან სიმართლეს არ ეკარგება მნიშვნელობა. ის თავის დიდებულ რომანში გულწრფელ სიმართლეს ღაღადებს საბჭოთა რეჟიმის რეპრესიების შესახებ.

როგორც ავთანდილ ნიკოლეიშვილი სამართლიანად შენიშნავს: „ჭაბუა ამირეჯიბი ამ მოვლენების დეიდეოლოგიზებული მხატვრული წარმოსახვის საქმეში ერთ-ერთი პირველი ხნულის გამვლებია ჩვენში“.

„გორა მბორგალი“ თავისუფალია ყოველგვარი ცენზურული შებოჭილობისაგან.

რომანის წინასიტყვაობაში რევაზ თვარაძე ამბობს: „რომანი იმგავრად არის ჩაფიქრებული, მისი მთავარი პერსონაჟების ცხოვრება სიმბოლურად გაიაზრება მთელი ერის ცხოვრებად, მისი ხვედრი და ბედი, ერის ხვედრად და ბედად“. რის ხვედრი და ბედი კი ისეთივე “ შელეწილი და მიწასთან გასწორებული ციხე-სიმაგრეების ქვა-ღორღით“ ნაგები იყო, როგორც თავად გორა კარგარეთელი.

„წვარათანი ყოფნათა, აღსრულებათა და მიქცევისათვის“, ეს სიტყვები არის ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მეორე სახელი. რისი აღსრულებისთვის იბრძვის რომანის მთავარი გმირი, რატომ გარბის განუწყვეტლივ, თითქოსდა უპერსპექტივოდ სიცოცხლის ფასად?

„ნუთუ მართლა იმიტომ გარბის, რომ ლიანდაგზე ჩამოჯდეს? ფიქრობს მიტილენიჩი“ ლიანდაგი უსასრულობის ნიშანია, თავი და ბოლო არ უჩანს, არ იწყება, არ მთავრდება, თავისუფლების სიმბოლოა და გორაც თავგადაკლული ეძებს თავისუფლებას“. როგორც თამარ პაიჭაძე აღნიშნავს „მის სახელმწიფოში არ არსებობს ზეციური სასჯელის შიში რადგან არ არსებობს ღმერთი„. 2.

„უფალი სულია და სადაც არს სული უფლისა, იქვეა თავისუფლება“. 3.

იქნებ გორაც ღმერთს დაეძებს?

რევაზ თვარაძე წიგნის წინასიტყვაობაში ამბობს: „სიცოცხლისაკენ, თავისუფლებისაკენ თავგადაკლული სწარაფვა ამბავთა მთხრობელის განუშორებელი იდეალია,რომელიც არსებული რეჟიმის პირობებში არსრულება არ უწერია, ყოველი გაქცევა, ყოველი ძალისხმევა ფაქტიურად მარცხით მთავრდება. მბორგალის ხვედრიც ეს იყო- საკუთარი სულის სიღრმეში დაემკვიდრებინა ნანატრი თავისუფლება.”

ვცდილობთ ჩავწვდეთ გორა კარგარეთელის ბუნებას და გვახსენდება ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ერთი ეპიზოდი: „მიყვარს, რომელი თავისუფალია სულით და თავისი გულით; თავი მისი გულის შიგნეულია, ხოლო გული მას წარხდომად იზიდავს“. გორას გულიც მარადის ილტვის წარხდომისაკენ, თავისუფლებისაკენ. „ ერთთავად დავრბოდი და ვცდილობდი დავწეოდი რას? ცხადია რასაც- თავისუფლებას“-ამბობს თავად გორა.

გორა მბორგალის ცნობიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა ოჯახზე რევოლუციის შემდეგ თავს დატეხილმა ქაოსმა. ყველა იმ წიგნს, სადაც ბოლშევიზმის სისასტიკეა გადმოცემული, „გორა მბორგალის“ ის ერთი პასაჟი გადასწონის, როცა ახლად გაღვიძებულმა ბავშმა „ნათურის მრუმე შუქზე ჩუმად მტირალი დედა“, სამი უცნობი

და ლეიბიდან გადმოფაფხული რაღაც დაკურკუმელავებული, დაკლაკნილი“ დაინახა.

– „დედიკო, მუცელი გამიჩრეს! დაიყვირა გორამ. ის მოფუთფუთე მატყლი საკუთარ ნაწლავებად თუ მიიჩნია“...

ამ დროიდან მოყოლებული ძალადობა, უსამართლობა, დევნა- შევიწროება და პიროვნული თავისუფლებისათვის თავგადაკლული ბრძოლა გორას სიცოცხლის მარადიულად თანამდევ მოვლენებად იქცა.

„გორა მბორგალი“ ის წიგნია, რომლის კითხვისას მკითხველი თავად რომ აღმოჩნდება მოვლენების ეპიცენტრში. მკითხველიც გორასთან ერთად იფიქრებს გაქცევის ურთულეს გზებს და გორასთან ერთად დაფორთხავს იმიერპოლარეთის ყბადაღებულ პურგაში.

„მბორგალი პაპაჩემმა შემარქვა... ამაოდ მბორგალი შეერქმია, იქნებ სჯობდა“–ამბობს მთავარი გმირი, მაგრამ გორა არ არის ამაოდ მბორგალი, შეიძლება ის ბოლო გაქცევისას მიტილენიჩის მსხვერპლი ხდება, მაგრამ თავისი მორბენალობითი. ის არა მარტო საკუთარ სულში ამკვიდრებს „ნანატრ თავისუფლებას“ არამედ ჩვენ, მკითხველსაც ამაღლებულ სულიერ მდგომარეობას გვანიჭებს.

როგორც ავთანდილ ნიკოლეიშვილი შენიშნავს: „გორა საბჭოულ ეპოქალურ სინამდვილეში გარდასახული დათაა“.

მართლაც დათა თუთაშხიას მგავსად გორა მბორგალი მართალია, სამართლის კანონების მიხედვით დამნაშავეა, მაგრამ ადამიანური სიმართლის კანონებით ცამდე მართალია.

ნაწარმოების სრულყოფილად გასააზრებლად მნიშვნელოვანია ფინალური ეპიზოდი რომელშიაც ესპანური კორიდის ამბავია მოთხრობილი. მკითხველი ამ ეპიზოდს ხედავს, როგორც სიკეთესა და ბოროტებას შორის მიმდინარე ბრძოლას. თავად გმირი ამ ბრძოლას ასე განმარტავს: „მე თუ მკითხავს ვინმე, კორიდის დედააზრი სწორედ ეგ არის – ამაოება ამაოებათა. ვისგანაც გინდა იყოს, ქვეყნიერების დაწიოკება, ერების დამარცხება, სახელმწიფოს განადგურება, განა უთავბოლო სირბილი და გამოკიდება არ არის? ზოგადესად რომ მივუდგეთ, რომელ დამპყრობელს რა შერჩა და მისი დანაპყრობიდან რა დარჩა?!“

„განა მძლეცა შემდგომ სხივისგან იძლევის,
თვისგან ქმნილი თვისადვე მიექცევის,
ყველა კაი წარუვალს, განელევის,
რაცა ჰქონდა პოვნილ
მდაბალთ ჩაგვრით მტაცებლობით და ხვეჭით“

გორა მბორგალიც ამ მარადიული კორიდის ერთ-ერთი მთავარი გმირია, „შელეწილი და მიწასთან გასწორებული ციხე-სიმაგრეების ქვა-ღორღით ნაგები“კაცი.

„ვინა ხარ შენ გორა მბორგალო, ხარი თუ ესპადა?“
თუ თავისუფლების სიმბოლო და უღმერთოების ეპოქაში ღმერთის მაძიებელი კაცი...

გამოყენებული ლიტერატურა:

1) „მ. ჯგუბურია-„ჭაბუა ამირეჯიბი“, თბ; 2007 წ.
2) თამარ პაიჭაძე „ვინა ხარ გორა მბორგალო“ ლიტერატურული წერილები, თბ.2003წ.
3) პავლე მოციქული II კორინთელთა მიმართ. თავი II, 17
4) ავთანდილ ნიკოლეიშვილი – „ჭაბუა ამირეჯობი“ ქუთაისი, 2001 წ

სკანდინავისტიკა

სოფიო რუსიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი

კვლევის ორგანიზაცია ნორვეგიაში

ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგია არ არის ევროგაერთიანების წევრი, 1987
წლიდან ის მონაწილეობს ევროკავშირის ფარგლებში განხორციელებულ კვლევებში და იხდის წლიურ შესატანს – 40 მლნ. დოლარს. ნორვეგია ჩრდილოეთის სხვა ქვეყნებთან ერთად მონაწილეობს ერთობლივ კვლევით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში. ნორვეგიელი მეცნიერები დაეხმარნენ ლიტველ
კოლეგებს მეცნიერული კვლევის მდგომარეობის შეფასებაში ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ. ნორვეგიელ მკვლევარებს დიდი ხნის ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებთ თავიანთ კოლეგებთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ბევრი მათგანი სწავლობდა.

ნორვეგიაში დაახლოებით 40,000 ადამიანია დაკავებული კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობით (მათ შორის 5600 დოქტორი (DPh)2). მრეწველობაში დასაქმებულია დაახლოებით 12,600 ადამიანი (მათგან 650-ს აქვს დოქტორის ხარისხი), ინსტიტუტებში 10000 (1300 დოქტორი) და უმაღლესი განათლების სფეროში 18,100 (370 დოქტორი). მთლიანად ნორვეგია კვლევასა და განვითარებაზე წელიწადში დაახლოებით 2,1 მილიარდ დოლარს ხარჯავს. აქედან მრეწველობა აფინანსებს 50%-ს, სახელმწიფო 43%-ს, უცხოური წყაროების წილი კი 7%-ია. ეს თანხა შეადგენს ნორვეგიის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1.7%-ს, რაც გაცილებით მცირეა შვედეთსა და ფინეთში კვლევასა და

განვითარებაზე დახარჯული თანხის პროცენტულ მაჩვენებლებზე და ოდნავ ნაკლებია დანიის შესაბამის მაჩვენებლებზე. კვლევითი საქმიანობის შედარებით მწირი დაფინანსება განპირობებულია როგორც კვლევის შედეგების ნაკლები ეფექტურობით, ასევე მთავრობის სტრატეგიული გადაწყვეტილებით, არ გაზარდოს ბიუჯეტის ეს ნაწილი იმ წლებში, როდესაც მას დიდი შემოსავალი აქვს ნავთობისა და გაზის მრეწველობიდან. კვლევითი საქმიანობის დაფინანსება 1995-
1997 წლებში 5%-ით შემცირდა. ასეთი ფისკალური პოლიტიკა ვრცელდება მრეწველობის დაფინანსებაზეც. 1993-95 წლებში სამრეწველო კვლევა და განვითარება 1%-ით შემცირდა. ამავე პერიოდში, ინსტიტუტების სექტორის დაფინანსება შემცირდა 8%-ით, თუმცა უნივერსიტეტებმა მოახერხეს, შეენარჩუნებინათ კვლევისა და განვითარების დაფინანსების ძველი დონე. კვლევითი საქმიანობის ძირითადი ნაწილი (მთლიანი ხარჯების 57%) ოსლოსა და
მის მახლობელ ქალაქებში ხორციელდება.
ნორვეგიაში ოთხი ძირითადი უნივერსიტეტი, 26 რეგიონალური და 8
სპეციალიზებული კოლეჯია, სადაც სწავლობს 185,000 სტუდენტი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ოსლოს უნივერსიტეტი და ტრონდეიმის
მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ნორვეგიული უნივერსიტეტი, რომელიც
სპეციალიზებულია საინჟინრო საქმესა და ტექნოლოგიებში. უნივერსიტეტებში
ტარდება ფუნდამენტური კვლევები. უმაღლესი განათლების სექტორი მეცნიერული
კვლევებისათვის ყოველწლიურად სახელმწიფოსაგან დაახლოებით 400 მილიონ
დოლარს იღებს, ნორვეგიის სამეცნიერო საბჭო **(Research Council)** კი – 120 მილიონს.
ნორვეგიაში მაღალგანვითარებული „საინსტიტუტო სექტორია”, სადაც
შედის დაახლოებით ასი კვლევითი ინსტიტუტი და ამდენივე დაწესებულება,
რომლებშიც კვლევა საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ამ
ინსტიტუტებში ტექნოლოგიური ხასიათის გამოყენებითი კვლევები ძირითადად
კონტრაქტის საფუძველზე ხორციელდება. საინსტიტუტო სექტორის მთლიანი
ხარჯები წლიურად შეადგენს დაახლოებით 600 მილიონ დოლარს, აქედან 240
მილიონს სახელმწიფო გაიღებს 120 მილიონამდე – ნორვეგიის
სამეცნიერო საბჭო.
თუმცა, მთავრობა ამცირებს ამ სექტორის სუბსიდირებას და ინსტიტუტებს
თვითდაფინანსებაზე გადასვლას აიძულებს.

ნორვეგიის კვლევის საბჭო.

1993 წელს ნორვეგიაში არსებული კვლევითი
საბჭოები გაერთიანდა სტორტინგის (ნორვეგიის პარლამენტი) მიერ ჩატარებული
კვლევის საფუძველზე. ახალი, გაერთიანებული საბჭო, რომელსაც ნორვეგიის

კვლევის საბჭო დაერქვა, ანაწილებს კვლევისათვის საჭირო სახსრებს და
რეკომენდაციებს უწევს მთავრობას სამეცნიერო და ტექნიკურ
საკითხებში. საბჭო
ექვემდებარება განათლების, კვლევისა და საეკლესიო საქმეების
სამინისტროს,
რომელიც მის ერთ-ერთ ძირითად დამფინანსებელს წარმოადგენს.
კვლევის საბჭო
დაფინანსებას ღებულობს ასევე სხვა სამინისტროებისგან, როგორიცაა
მაგალითად, მრეწველობისა და ვაჭრობის, თევზის მრეწველობის,
სოფლის
მეურნეობის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის. მთლიანად, საბჭოს
ბიუჯეტი
(360 მილიონი დოლარი) შეადგენს მთავრობის მიერ მეცნიერული
კვლევისათვის
გამოყოფილი თანხის მეოთხედს.
ნორვეგიის კვლევის საბჭოში გაქრა დისციპლინების მკვეთრი გამიჯნვა
მაგრამ არა, ე.წ. დისციპლინათაშორისი სტრუქტურების ხარჯზე.
გამოიყოფა
მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირებული ექვსი განყოფილება:
კვლევითი დეპარტამენტი

**• მრეწველობა და ენერგეტიკა (ნავთობი, ზღვაოსნობა, მომსახურება) 88 მლნ
დოლარი (მთლიანი თანხის 25%);**

• მეცნიერება და ტექნოლოგია. 75 მლნ დოლარი (21%);

**• ბიომრეწველობა და დამუშავება (თევზჭერა, სოფლის მეურნეობა, ვეტერინარული
მედიცინა, სატყეო მრეწველობა და კვების მრეწველობა). 59 მლნ
დოლარი (17%);**

**• კულტურა და საზოგადოება (ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერებები,
სახელმწიფო მართვა და მომსახურება). 45 მლნ დოლარი (12%);**

**• გარემო და განვითარება (მდგრადი განვითარება და განვითარებადი
საზოგადოებებისათვის დახმარების გაწევა). 36 მლნ დოლარი (10%);**

**• მედიცინა და ჯანმრთელობა, 22 მლნ დოლარი (6%).
ადმინისტრაციისა და სხვა ხარჯები მთლიანი თანხის 9%-ს შეადგენს.**

კვლევის საბჭოს თითოეულ განყოფილებას საკუთარი ხელმძღვანელობა
ჰყავს. ყოველ განყოფილებას აქვს ქვეგანყოფილებები, რომლებიც
მუშაობენ
სტრატეგიულ პროგრამებზე, ინდივიდუალურ პროექტებზე,
ინფრასტრუქტურებზე.
ტარდება ასევე ერთობლივი ღონისძიებები. მაგალითად, 1998 წელს
ინფორმაციისა

და კომუნიკაციის ტექნოლოგიის 33 მლნ-იანი ბიუჯეტი დაფინანსდა: მეცნიერებისა
და ტექნოლოგიის განყოფილებიდან (ძირითადი კვლევის ჩატარებისათვის), ასევე
მრეწველობისა და ენერგიის (გამოყენებითი კვლევებისათვის), კულტურისა და
საზოგადოების (საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის) და მედიცინისა და
ჯანმრთელობის განყოფილებებიდან (ამ სფეროებში ჩატარებული
საქმიანობისთვის).

ნორვეგიაში ფუნდამენტური მეცნიერების დაფინანსებას ძირითადად
განათლების, კვლევისა და საეკლესიო საქმეების სამინისტრო ახორციელებს.
ფუნდამენტურ კვლევას, გამოყენებით კვლევებსა და ტექნოლოგიების
განვითარებასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა. მეტად მნიშვნელოვნად
ითვლება ზღვის რესურსების კვლევა, მაღალი ხარისხის სამეცნიერო ტექნიკის
განვითარება, საკვების ხარისხისა და უსაფრთხოების შეფასება, საინფორმაციო
და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის დახვეწა, დემოკრატიული მმართველობის
განვითარება და ფუნდამენტური კვლევა. საბჭოს თითოეულ განყოფილებას
საკუთარი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები გააჩნია.
ნორვეგიის კვლევის საბჭო, როგორც სახელმწიფო დაწესებულება,
წარმართავს ისეთ მნიშვნელოვან საქმიანობებს, როგორიცაა: კვლევისა და
განვითარების საერთაშორისო თანამშრომლობა, არქტიკასა და ანტარქტიკაში
კვლევის ჩატარება (5 მლნ დოლარი წელიწადში) და სხვა. თანამშრომლობს
ევროკავშირსა და ევროპის სხვა ქვეყნებთან, ისევე როგორც ამერიკის შეერთებულ
შტატებთან. საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს კვლევის საბჭოს
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და აზიის ზოგიერთ
ქვეყანასთან თანამშრომლობისათვის.

1997 წლის ბოლოს ნორვეგიის კვლევის საბჭომ ჩაატარა ქვეყანაში ქიმიის
დარგის განვითარების შეფასება, რომელმაც მრავალი პრობლემა
წარმოაჩინა.
მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ძალიან მცირეა გამორჩეულად განვითარებული
დარგების რიცხვი, კვლევა საჭიროზე მეტად ეყრდნობა ტრადიციებს,
სტრუქტურები ძალიან მოუქნელია, „კვლევის ატმოსფერო სტიმულის
მომცემი არ
არის", პერსონალი თითქმის არ არის მობილური და
უგულვებელყოფილია ქიმიისა

და ბიოლოგიაში ერთობლივი კვლევების მნიშვნელობა. ეს დასკვნები შოკის
მომგვრელი აღმოჩნდა, ვინაიდან ტრადიციულად ქიმია ნორვეგიაში მეცნიერების
ერთ-ერთი წამყვან დარგს წარმოადგენდა. ამ დეტალურმა შეფასებამ უდიდესი
გავლენა იქონია არა მხოლოდ ქიმიის, არამედ სხვა მეცნიერებების
განვითარებაზეც.

ნორვეგია ცდილობს სამეცნიერო კვლევისათვის
შეიმუშაოს შესაფერისი პოლიტიკა – სწრაფად ცვალებად მსოფლიოში
კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების აუცილებლობისა და ქვეყნის სიმცირის
გათვალისწინებით. ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოებასთან
დაკავშირებული კვლევის სისუსტე და სამეცნიერო კვლევების დაფინანსების
სიმწირე წარმოადგენს. შედეგად, ნორვეგია სკანდინავიაში ბოლო ადგილზე
აღმოჩნდა კვლევასა და განვითარებაზე გამოყოფილი თანხის რაოდენობით
(მთლიან შიდა პროდუქტზე გადაანგარიშებით). ნორვეგიის მრეწველობის
სტაბილური განვითარების მიზნით ხელისუფლება კვლევის საჭიროებისათვის
განკუთვნილი ფინანსების დიდ ნაწილს მიმართავს გამოყენებითი სტრატეგიული
პროგრამების დაფინანსებაზე, არაპირდაპირი ინდივიდუალური კვლევების
ჩატარებაზე. კვლევითი ტექნიკის მოდერნიზაციის ხარჯებიც უმნიშვნელოა;
ითვლება, რომ ამისათვის საჭიროა წლიურად 13 მლნ დოლარი, მაგრამ
გამოიყოფა მხოლოდ ამ თანხის მეოთხედი. და ბოლოს, პროფესორთა ხელფასი
(წლიურად დაახლოებით 45 ათასი დოლარი), ძალიან დაბალია იმისათვის, რომ
მოიზიდოს საუკეთესო ახალგაზრდა მკვლევარები.
ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ნორვეგიის მეცნიერება
მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგას. ნორვეგიაში ქიმიის მეცნიერების
განვითარების შეფასებამ (1998 წელს) ნათლად მიანიშნა არსებული ვითარების
შეცვლის აუცილებლობაზე. იმის გამო, რომ ნორვეგიის პროფესორთა
დაახლოებით ნახევარი მომდევნო ათი წლის განმავლობაში ალბათ პენსიაზე
გავა, აუცილებელი ხდება სისტემური ცვლილების განხორციელება
უნივერსიტეტებში ნიჭიერი ახალგაზრდების მოსაზიდად. ნორვეგიის კვლევის
საბჭომ აღიარა, რომ „ქვეყანა განიცდის რეგრესს მნიშვნელოვან დარგებში” და
რომ მომავლის ამოცანაა „ნორვეგიის კვლევის სისტემის გაახალგაზრდავება”,

ფუნდამენტური კვლევების ჩატარება, „ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა და
დისციპლინების განვითარება". ნორვეგიას, როგორც აყვავებულსა და მაღალი
ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ქვეყანას, ამის პოტენციალი
ნამდვილად გააჩნია.

მარიამ მაისაშვილი სოფიო კუკავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი

კორუფცია დანიაში

ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

„კორუფცია არის მინიჭებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნით".

ეს არის კორუფციის დეფინიცია, რომელიც აღიარებულია და გავრცელებულია საერთაშორისო მასშტაბით. ის კაცობრიობის განვითარების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და დამღუპველად მოქმედებს მასზე; თუმცა მიუხედავად ამისა, კორუფციის მეცნიერული შესწავლა მხოლოდ 1950-1960-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო ფართო მასშტაბებს მან 70-80-იან წლებში მიაღწია.1

კორუფციას ებრძვის თითქმის ყველა სახელმწიფო, რომელიც დღეს არსებობს საერთაშორისო სისტემაში; თუმცა ბრძოლის შედეგები განსხვავებულია. ყურადღებას გავამახვილებ დანიაზე და მის მიერ გატარებულ რეფორმებზე, რომელთა წყალობითაც იგი დღესდღეისობით ყველაზე არაკორუმპირებულ ქვეყნად ითვლება მსოფლიოში, ხოლო 1995 წლიდან მოყოლებული პირველ ხუთეულში წამყვან პოზიციებს იკავებს "Transperency International"-ის მონაცემების მიხედვით.2

დანია ჩრდილოეთ ევროპაში მდებარეობს, იგი სკანდინავიის ნახევარკუნძულის ყველაზე პატარა ქვეყანაა ტერიტორიის მიხედვით (43.094კვ.კმ). თუმცა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია ინდუსტრიულ-აგრარული თვალსაზრისით, რომლის ეკონომიკის წამყვან დარგებს გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკული, ქიმიური და კვების მრეწველობა შეადგენს. ქვეყნის მოსახლეობა 5.5 მილიონია, ხოლო წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 37.000 ამერიკული დოლარია. პოლიტიკური სისტემის მიხედვით დანია კონსტიტუციური მონარქიაა, რომელსაც საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები გააჩნია.

მართალია, თანამედროვე სკანდინავიის ქვეყნები და მათ შორის უპირველესად დანია, არაკორუმპირებულ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ ისტორიულად, ეს მუდამ ასე არ იყო. ჯერ კიდევ XVIII საუკუნესა და XIX-ე საუკუნის შუახანებში მმართველობის აბსოლიტური სისტემის გამო უსაზღვროდ გაიზარდა ბიუროკრატთა უფლებები და დანიაში საყოველთაოდ გავრცელდა ნეპოტიზმი. თუმცა არა მარტო მაღალ ფენებში. ეს ჩვეულებრივ

1. ქეთევან როსტიაშვილი: „პოლიტიკური კორუფცია მსოფლიოს კონტინენტებზე", თბილისი, 2007 წელი, გვ. 15
2. Transparency International, Global Corruption Report 1995-2008. www.transperancy.org

ყოფით დონეზეც ხდებოდა, მსახურების აყვანასთან დაკავშირებითაც კი. მიუხედავად დანიის ხელისუფლების მცდელობებისა, კორუფცია კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არსებობდა კარგად ჩამოყალიბებული კანონები და ნორმატიული აქტები კანონდამრღვევთა და კორუმპირებულთა წინააღმდეგ. ნელ-ნელა კორუფცია უფრო გაიზარდა და XIX საუკუნისთვის არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მექრთამეობამ და თაღლითობამ ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. თუმცა ნელ-ნელა სიტუაცია შეიცვალა. მკვლევართა აზრით, დანიაში კორუფციის აღმოფხვრა, ისტორიულ დონეზე, ორმა ფაქტორმა განაპირობა: ერთი მხრივ, ეს იყო მმართველობის აბსოლიტური სისტემის ლიკვიდაცია, თავისუფალი ბაზრის პრინციპების დამკვიდრება როგორც ეკონომიკაში, ისე მოსახლეობის დონეზე და მეორეს მხრივ, მენტალური თვისებების ცვლილება, რაც საკმაოდ რთული პროცესების შემდეგ მოხერხდა. ეს ტენდენცია გაგრძელდა მომდევნო საუკუნის განმავლობაშიც, რის შედეგადაც დანია ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულ ქვეყნად გადაიქცა.

ყურადღებას გავამახვილებ დანიის დღევანდელ სიტუაციაზე და იმ პრობლემებზე, რომლებიც მას ახლა აწუხებს. მართალია, დანია შედარებით „პატიოსანი" ქვეყანაა, და როგორც თავად დანიელები აცხადებენ „კორუფცია მხოლოდ დანიის საზღვრებს გარეთ არსებობს",3 მაგრამ რა თქმა უნდა იგი კორუფციისაგან ბოლომდე თავისუფალი არაა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დანიელები ძალიან არიან თავდაჯერებულნი საკუთარი ქვეყნის არაკორუფციულობაში, ეს ხედვა კი ერთი მხრივ საფრთხის შემცველია, რადგანაც ამ თავდაჯერებულობის გამო მათ შესაძლოა დროზე ვერ აღმოფხვრან მომავალში წარმოქმნილი კორუფცია.

დანიაში ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ მექრთამეობის პრობლემას და მის აღმოსაფხვრელად აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო და რეგიონულ თანამეგობრობებთან. თანამშრომლობის ფარგლებში, დანიამ პირველად 2000 წელს მოახდინა ევროკავშირის კონვენციის რატიფიცირება, რომელიც თაღლითობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი მიზანი იყო აღმოეფხვრა როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში არსებული მექრთამეობა. 2002 წელს დანიამ ხელი მოაწერა OECD-ის („ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია")

---

3. *www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/round1/GrecoRC1(2004)10_Add_**Denmark**_EN.pdf*

კონვენციას, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა ქრთამის მიცემა უცხოელი საჯარო პირებისათვის. დანიამ მომდევნო წლებშიც გააგრძელა ამ მხრივ თანამშრომლობა და 2003 წელს ხელი მოაწერა გაეროს კონვენციას, რომელიც ითვალისწინებდა როგორც აქტიურ, ისე პასიურ კორუფციაში (ამ შემთხვევეში ნაგულისხმებია მექრთამეობა) ბრალდებული პირების დასჯას. შედეგად, ის საჯარო მოხელე, რომელიც აიღებდა ქრთამს, შეეფარდებოდა პატიმრობა 6 წლის ვადით, ხოლო

თავად იმ პირს, რომელიც მას ქრთამს შესთავაზებდა, 18 თვემდე თავისუფლების აღკვეთას უფარდებდნენ.4

ზემოთ განხილული კონვენციები, მხოლოდ ერთი საკითხის გარშემო კონცენტრირდება, თუმცა, რა თქმა უნდა, დანიის ანტიკორუფციული პოლიტიკა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. კორუფციას აქტიურად და საკმაოდ შედეგიანად ებრძვის დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შიგნით შექმნილი „დანიური საერთაშორისო განვითარების სააგენტო"- დანიდა (**Danish International Development Agency** -*DANIDA*), რომელმაც 2003 წელს შეიმუშავა და 2004 წელს აამოქმედა კორუფციასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა და გამოაცხადა შეუწყნარებელი პოლიტიკა (Zero Tolerance Policy) მის მიმართ. ასევე, დანიდამ შექმნა ანტიკორუფციული ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს შეუძლიათ მათ აცნობონ კორუფციული ქმედების შესახებ.5

სამოქმედო გეგმა მოიცავს ანტიკორუფციულ პოლიტიკას ყველა იმ სტრუქტურის მიმართ, რომელიც დანიის განვითარებას უშლის ხელს, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ და პოლიტიკურ დონეზე. დანიდა წლების განმავლობაში მხარს უჭერდა ანტიკორუფციულ ქმედებებს და ნებისმიერ მცდელობას, რომელიც მიმართული იყო მთავრობის გასაუმჯობესებლად. მიჩნეულია, რომ ამ სამოქმედო გეგმის მეშვეობით, დანიის მთავრობა უფრო გააძლიერებს ანტიკორუფციულ საქმიანობას და განახორციელებს სისტემატურ მონიტორინგს სხვადასხვა სტრუქტურებზე.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, დანიაში კორუფციულ საქმიანობად ითვლება მექრთამეობა, რაზეც ნაშრომის დასაწყისში გავამახვილე ყურადღება. კორუფციულ საქმიანობას მიეკუთვნება ასევე ფულის ხელზე მიცემაც, სხვისი ქონების მითვისება და გაფლანგვა, თაღლითობა, გამოძალვა, კლიენტელისტური ურთიერთობები და ნეპოტიზმი. აქვე აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომ დანიელები

4. Anti-corruption Policy For The Trade Council of Demark. www.um.dk
5. http://www.um.dk/en/menu/DevelopmentPolicy/AntiCorruption/

საკუთარი ანტიკორუფციული პოლიტიკის განხილვისას არ ასახელებენ საკუთარ ქვეყანაში მომხდარ ფაქტებს. ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულების ახსნისას ისინი სხვა ქვეყნების მაგალითებს ეყრდნობიან. ეს ორ რამეზე მეტყველებს: დანიაში ან მართლა არ ხდება კორუფციული ქმედებები, რაც ნაკლებად სარწმუნოა, ან ხდება, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო დონეზე და ისინი არ აღწევს ფართო მასშტაბებს. შესაბამისად, ჩემს ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებ არა ფაქტებზე, არამედ იმ საშუალებებზე, რომლის მეშვეობითაც შეიძლება კორუფციის თავიდან აცილება.

სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კორუფცია პირველ რიგში საფრთხეს უქმნის საინვესტიციო გარემოს, რითაც ზარალდება ქვეყნის ეკონომიკა და შესაბამისად ფერხდება მისი განვითარება. კორუფცია მოქმედებს გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ხარისხზეც, იგი არღვევს ინსტიტუციურ სტაბილურობას. ეს არის კორუფციის შედეგები მაკრო დონეზე, ხოლო მიკრო დონეზე ზარალდება ქვეყნის მოსახლეობა; წარმოიქმნება მცირერიცხოვანი მდიდარი და მრავალრიცხოვანი ღარიბი ფენა, ეს კი საბოლოოდ წარმოშობს კრიზისს სახელმწიფოს ყველა სტრუქტურაში.6

კორუფციას უამრავი ნეგატიური ეფექტის მოტანა შეუძლია დანიაში, კერძოდ კი ეს იქნება შემცირებული ინვესტიციები და უცხოური

კაპიტალის ნაკლებობა. კორუფცია გამოიწვევს იმასაც, რომ დანიაში ეკონომიკური საქმიანობა ფორმალური სექტორიდან არაფორმალურის დაქვემდებარებაში გადავა და შესაბამისად გაიზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი. ყოველივე ეს კი შედეგად მოიტანს ფულის გაუფასურებას და ეკონომიკური არასტაბილურობის შექმნას. მეორე მხრივ კორუფცია დააზიანებს სოციალურ სექტორს: შესუსტდება სოციალური და საჯარო სფერო, ინფრასტრუქტურა გაუარესდება, შემცირდება სამუშაო ადგილების რაოდენობა. საბოლოოდ კი კორუფციის გამო საფრთხე შეექმნება ქვეყნის არსებობას, რადგანაც კანონისადმი დაუმორჩილებლობა, ეკონომიკური და სოციალური სფეროს არასტაბილურობა, გამოიწვევს პოლიტიკური ლეგიტიმურობის კრიზისს და შესაძლოა, ჩემი აზრით, საქმე პოლიტიკურ გადატრიალებამდე მივიდეს.

როგორც ვნახეთ, დანიაში კორუფციის დონის გაზრდა ავტომატურად იწვევს ქვეყნის დასუსტებას ყველანაირი თვალსაზრისით, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ დანიელებისათვის

---

6. Annual Anti-Corruption Report 2004. Implementation of the Danida Anti-Corruption Action Plan 2003-2008

ყველაზე პრიორიტეტული კორუფციასთან ბრძოლაა და ეს ღრმად არის გამჯდარი და გათვითცნობიერებული მათ ფსიქოლოგიაში.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, ყველაფრის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ კრიზისის დადგომისთანავე განხორციელდება შესაბამისი რეფორმები. კერძოდ კი:

1. ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც გამოიწვევს კანონებისა და პროცედურების გამარტივებას, სისუფთავეს; გაზრდის გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საკითხს.
2. რეფორმები, რომლებიც მიზნად დაისახავს შეიქმნას უფრო კრიტიკული სუბ-სისტემები, ვთქვათ იურიდიულ სფეროში, რომლის შედეგადაც კანონები და რეგულაციები გამკაცრდება, ხოლო არაკანონიერ საქციელზე სისტემატური დაკვირვება და რეაგირება მოხდება.
3. რეფორმები, რომლებიც უფრო მეტ თავისუფლებასა და უკეთეს პირობებს მიანიჭებს მასმედიას, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებას ფართო გაგებით, რომელიც უმთავრესი პირობაა იმისათვის, რათა გაუმჯობესდეს მთავრობა და შემცირდეს კორუფცია. სამოქალაქო საზოგადოებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი ერთგვარად სახელმწიფოს მაკონტროლებელ ფუნქციას ფლობს.
4. პოლიტიკური ვალდებულებები, რომლებიც მთავრობის მაღალი ეშელონებიდან მომდინარეობს. კერძოდ კი აქ მოიაზრება პარლამენტი და პარლამენტარები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გამჭვირვალობის დამკვიდრებაში და პარტიულ დონეზე ებრძვიან კორუფციას.
5. რეფორმები, რომლის მიხედვითაც კერძო სექტორი ითამაშებს მნიშვნელოვან როლს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემი აზრით, დანიაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სამ ძირითად ასპექტზეა დამოკიდებული: კარგ მთავრობაზე, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს, დემოკრატიზაციაზე და აქტიურ მონაწილეობაზე, ანუ ქმედით სამოქალაქო საზოგადოებაზე.

სამოქმედო გეგმაში ყურადღება გამახვილებულია სიღარიბეზე. მასში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ მათი ძირითადი მიზანია დანიაში კორუფციის და შესაბამისად სიღარიბის შემცირება, რადგანაც პირდაპირი კავშირია კორუფციასა და სიღარიბეს შორის. სიღარიბის არმოფხვრა კი თავისმხრივ სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი თანხებით, დახმარებებითა და ინვესტიციებითაა შესაძლებელი. სწორედ აქედან გამომდინარეობს სამოქმედო გეგმის სტრუქტურაც.

სამოქმედო გეგმა სამი დონისგან შედგება. პირველი დონე მოიცავს რეკომენდაციებსა და რეგულაციებს თავად დანიის მიერ გამოყოფილი დახმარების მიწოდების თაობაზე. ანუ ამ დონეზე მნიშვნელოვანია, რომ აღიკვეთოს კორუფცია თავად დახმარების გამოყოფის სისტემაში. აქ ყურადღება გამახვილებულია პროფესიონალურ ეთიკაზე და ეთიკურ კოდებზე, რადგანაც სწორედ მისი მეშვეობით ხდება ანტიკორუფციული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. დანიდასა და მის მიერ დაფუძნებული პროგრამების ფარგლებში მომუშავე პირებს უტარდებათ სპეციალური ტრენინგები, სადაც ხდება ანტიკორუფციული უნარ-ჩვევების ათვისება.

მეორე დონეზე განხილულია დანიდას პარტნიორთა სისტემა და მათი მენეჯმენტი, ანუ ის თუ როგორ ანაწილებენ ისინი დანიდას მიერ გამოყოფილ დახმარებას. ეს გულისხმობს მათ მონიტორინგს, რათა აღკვეთონ კორუფცია თანხების განაწილების სფეროში. ამ დონის ფარგლებში ხდება აუდიტორული პროცედურებისა და გარკვეული სანქციების შემოღება არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც ამ თანხებს იღებენ. ყოველივე ამის გაკონტროლება კი ხდება ღიაობის პრინციპის დამკვიდრებით. მათი საქმიანობაზე დაკვირვება თავისუფლად შეუძლია მასმედიას, სამოქალაქო საზოგადოებას და სხვა ინსტიტუტებს.

მესამე დონეში განხილულია ფართო მასშტაბების მოქმედებები, კერძოდ იგი ეხება პარტნიორ ქვეყნებსა და საზოგადოებებს, რომლებიც იღებენ დანიდას დახმარებას, რათა აღკვეთონ კორუფცია საკუთარ ქვეყანაში. ამ დონეზე მაქსიმალურად ითვალისწინებენ ამ ქვეყნების მდგომარეობას და მათ ინტერესებს და ანტიკორუფციული ქმედებები ხშირად პოლიტიკური მხარდაჭერითაც სარგებლობს. ასევე, პარტნიორ ქვეყნებს საშუალება ეძლევათ მთლიანად ჩაერთონ ამ საქმიანობაში. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ უცვლელი რჩება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვა.

ეს გახლავთ ის პრინციპები, რომელსაც ეყრდნობიან დანიელები, რათა შეამცირონ კორუფცია საკუთარ ქვეყანაში და როგორც ვხედავთ, მათი მოღვაწეობა საკმაოდ შედეგიანია. თითქოს სამოქმედო გეგმაში განხილული მიზნები არც ისე რთული შესასრულებელია და არც საშუალებები მოიცავს რაიმე სირთულეს, მაგრამ ეს ასე არაა. მართალია, ამ პრინციპების დამკვიდრებას ის უწყობს ხელს, რომ დანიაში არსებობდა საკმაოდ კარგი ნიადაგი იმისათვის, რათა საზოგადოებას მთავრობის მიერ არჩეული კურსი უპრობლემოდ მიეღო, რაც წლების განმავლობაში ნელ-ნელა ყალიბდებოდა უკვე არსებული მწარე გამოცდილების საფუძველზე, კერძოდ კი XIX საუკუნეში არსებული საყოველთაო განუკითხაობის ფონზე. დანიის უპირატესობა სწორედ იმაშია, რომ მას კორუფციასთან ბრძოლის საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კორუფცია თავისთავად რამოდენიმე წელში არ აღმოფხვრილა. მას დასჭირდა საკმაოდ დიდი დრო, მთავრობის კეთილი ნება, საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვა და სწორი

იდეოლოგიური და პოლიტიკური კურსის გატარება. ეს არის ის საშუალებები, რაც მთავრობის დონეზე არსებობს, ხოლო საზოგადოების დონეზე ეს არის ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები. დანიაშიც არსებობდა ფართოდ გავრცელებული ნეპოტიზმი, მექრთამეობა, მაგრამ წლების შემდეგ დანიელები დარწმუნდნენ, რომ ამას უფრო მეტი უარყოფითი შედეგი მოჰქონდა, ვიდრე დადებითი. სწორედ ეს დაეხმარა მათ ანტიკორუფციული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

დანია არ იძლევა პირდაპირ რეკომენდაციებს იმ ქვეყნებისთვის, რომელშიც კორუფციის მაღალი დონე არსებობს. მათი უმთავრესი რეკომენდაცია არის ღიაობის პრინციპის დაცვა, გამჭვირვალობა, ქვეყნის სიყვარული და იმაზე ზრუნვა, რომ ნელ-ნელა საზოგადოების ფსიქოლოგია შეიცვალოს, და როგორც ვხედავთ ეს შესაძლებელია, თუმცა არა დანაკარგებისა და განსაცდელის გარეშე. ყოველივე ეს კი იმის პატარა იმედს მაინც იძლევა, რომ ოდესმე საქართველოშიც შეიცვლება ამ კუთხით მდგომარეობა სათანადო პოლიტიკის გატარების შედეგად.

ბიბლიოგრაფია:

1. ქეთევან როსტიაშვილი: „პოლიტიკური კორუფცია მსოფლიოს კონტინენტებზე", თბილისი, 2007 წელი, გვ. 15.
2. Transparency International, Global Corruption Reports. http://www.transparency.org
3. Ministry of Foreign Affairs of Denmark, http://www.um.dk
4. http://encyclopedia.thefreedictionary.com/DANIDA
5. www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/round1/GrecoRC1(2004)10_Add_**Denmark**_EN.pdf
6. Anti-Corruption Policy for the Trade Council of Denmark www.um.dk/en/menu/DevelopmentPolicy/Anti**Corruption**/
7. Ministry of Foreign Affirs of Denmark - Annual Anti-corruption Report 2004 – Implementation of the Danida Anti Corruption Action Plan 2003-2008 .

ნინო ნუცუბიძე

ივანე ჯავახიშვილის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატი

ნორვეგიის ქალთა მოძრაობის ისტორია

ხელმძღვანელი: თამარ კვიჟინაძე

ნორვეგიელ ქალთა მოძრაობა მრავალფეროვანია თავისი არაერთგვაროვანი მობილიზაციით , სტრატეგიითა და პრობლემებით . ქალები იბრძვიან რათა გაუმკლავდნენ მოძრაობის შიგნით არსებულ დაძაბულობასა და გაურკვევლობას, რომელიც არაორგანიზებულ

ქმედებებსა და მოძრაობის შიგნით არსებული ქალთა ჯგუფების ცვალებად , ხშირად ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებში გამოიხატება .

ნორვეგიელ ქალთა მოძრაობის ისტორიაში ორ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ტალღას გამოყოფენ , რომელთა მწვერვალი 1980 – იან და 1970 – იან წლებზე მოდის . ნორვეგიაში ფემინიზმის პირველი ტალღის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების , როგორიცაა სექსუალური მორალი , საარჩევნო ხმა , განათლება და სამუშაო , რაკურსი იცვლებოდა კლასისა და სამოქალაქო მდგომარეობის მიხედვით . საშუალო კლასის გაუთხოვარმა ქალებმა თანდათან ლეგალური უმრავლესობა შეადგინეს და 1845 წლიდან ვაჭრობის უფლება მოიოპოვეს , ხოლო შემდეგ განათლების უფლება მოითხოვეს , რატა შესაფერისი სამუშაო და შემოსავალი ქონოდათ . უნივერსიტეტის კარი ქალებისთვის გაიღო 1845 წლიდან , ხოლო ოფისში მუშაობის უფლება 1912 წლიდან მიეცათ . საშუალო კლასის ქორწინებაში მყოფმა ქალებმა ასევე გააპროტესტეს ქალურობის ის ვიწრო გაგება , რომლის მსხვერპლადაც თავად გრძნობდნენ თავს და ქორწინება პროსტიტუციის ერთ-ერთ სახედ გამოაცხადეს . მუშათა კლასის ქალებს უწევდათ ისეთ პრობლემებთან გამკლავება , როგორიც იყო გრძელი სამუშაო დღე , დაბალი ხელფასი და მძიმე საცხოვრებელი პირობები . ბევრი მათგანი იძულებული იყო პროსტიტუციით ერჩინა თავი . სექსუალური გზით გადამდები დაავადებები ყველასთვის , მიუხედავად კლასობრივი კუთვნილებისა , ერთნაირად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა . ნორვეგია იყო მეოთხე ქვეყანა , სადაც ქალებს 1913 წელს უნივერსალური ფრანჩაიზი (მთავრობის მიერ მინიჭებული არჩევნებში მონაწილეობის ფორმალური უფლება) მიენიჭათ . ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ . რაც 1905 წელს თითქმის ნახევარმა მილიონმა ქალმა მოაწერა ხელი ნორვეგიის შვედეთისგან დამოუკიდებლობის პეტიციას , რაც იმავდროულად მათი რეფერენდუმიდან გამორიცხვის წინააღმდეგ მიმართული პროტესტიც იყო .

ამილა კოლეტი , რომელსაც ნორვეგიელ ქალთა მოძრაობის დედად მიიჩნევენ , თავის ნაშრომებში მწვავედ აკრიტიკებს ქალთა ადგილს სიყვარულსა და ქორწინებაში . ასთა ჰანსთეენი , რომელიც ასევე ცნობილია , როგორც დიდი ფემინისტი , შეუბრალებლად ამათრახებდა ეკლესიას , თუმცა თვითონ ქრისტიანი გახლდათ . კატი ანკერ მოლერი იცავდა ქალთა სოციალურ უფლებებს და იყო მშრომელ ქალთა მოძრაობის მთავარი ფიგურა . 1915 წელს მისი ძალისხმევის წყალობით ბავშვებმა , მათი მშობლების კლასობრივი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად თანასწორი უფლებები მოიპოვეს . მან ასევე საჯაროდ დასვა აბორტის საკითხი შემდეგი განცხადების საფუძველზე : “ ჩვენ გვსურს დედობა , მაგრამ სრულ თავისუფლებასა და საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ . “ 1924 წელს მოლერმა შექმნა პირველი დედათა ჯანმრთელობის ცენტრი , სადაც ისინი იღებდნენ ინფორმაციას კონტრაცეფციისა და სხვა რეპროდუქციული საკითხები ირგვლივ .

1920 იან წლებში კლასობრივი კონფლიქტი გამწვავდა . მუშათა კლასის წარმომადგენელმა ქალებმა ჩამოაყალიბეს დიასახლისთა საზოგადოებების ფედერაცია , რომელიც ძირითადად თავიანთი მამაკაცების მხარდაჭერას გულისხმობდა . ქალთა უფლებების საკითხები არ დაუსვამთ . მიუხედავად ამისა , 1918 – სა და 1927 წელს , სკანდინავიური საოჯახო

კომისიის მუშაობის შედეგად ლიბერალური რეფორმები გატარდა კანონში ქორწინების შესახებ .

1940 – 45 წლები ნორვეგიის ისტორიის ბნელი ფურცლებია . 1940 წელს გერმანელი ნაცისტები წარმატებით იპყრობენ ნორვეგიას . გაოგნებული ხალხი თანდათან ქმნის წინააღმდეგობის მოძრაობას , რომელიც ტრადიციულ გენდერულ სტრუქტურად ეფუძნება . ქალები ძირითად ასრულებენ კურიერებისა და არალეგალური პრესის გამანაწილებლების და ასისტენტებსი როლებს , არდა ამისა , ხალხს ნაცისტებისგან გაქცევაში ეხმარებიან .

ომის შემდეგ პერიოდი განახლებისა და ოპტიმისტური აღმშენებლობის ხანა იყო . ეს განწყობა ქალთა საკითხებსაც შეეხო . 1948 წელს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციასთან შეიქმნა ნორვეგიელ ქალთა ასოციაცია .ასევე , დაარსდა ახალი ფემინისტური ჟურნალი .

1950 – იანი წლები აღინიშნა , როგორც დიასახლისების პერიოდი . შეიქმნა სხვადასხვა იდეოლოგიური მექანიზმები , რათა ქალებისთვის “შეეხსენებინათ “ თავიანთი ჭეშმარიტი ადგილი . 1950 – იანი წლები აღმავლობის პერიოდად ითვლება , რადგან მოძრაობამ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია “ ქალის ადგილის “ ცნებას . ეს პერიოდი მატერიალური გამარჯვებითაც აღინიშნა : 1958 წელს მიიღეს თანაბარი ანაზღაურების პრინციპი , ხოლო საგადასახადო სისტემაში დაქორწინებულ წყვილთათვის შესუსტდა მამაკაც მარჩენალთა სისტემა .

ფემინიზმის ახალი ტალღა ორი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა : პირველი იყო საერთო ეროვნული და ზეპარტიული კამპანია პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის შესახებ . კამპანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა . ამჟამად უმეტეს პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალთა პროპორციული რაოდენობა კრიტიკულ მასას (30 %) აღემატება . ფემინიზმის ახალი ტალღის მეორე მნიშვნელოვანი მოვლენაა ძუძუთი კვების მხარდამჭერი ჯგუფი , რომელიც 1968 წელს ელიზაბეტ ჰელსინმა ჩამოაყალიბა , რათა შეეჩერებინა დედების მიერ ხელოვნური კვებისთვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია .

1970 – იანი წლები ნორვეგიაში აღსანიშნავია იმით , რომ საგრძნობლად გაიზარდა იმ ჯგუფების , ქსელებისა და ორგანიზაციების რაოდენობა , რომლებიც ახლებურად გამოხატავდნენ ფემინისტურ იდეებს . მოცემულ პერიოდში , ქალთა მოძრაობისთვის დამახასიათებელი იყო გაცხოველებული იდეოლოგიური დისპუტები ქალთა ჩაგვრისა დამ ის წინააღმდეგ ბრძოლის გზების შესახებ . უფრო პრაქტიკულ დონეზე , ქალთა საკითხები არ იყო კლასების მიხედვით იმდენად დაყოფილი , როგორც წინა ტალღის დროს . დიასახლისთა იდეოლოგიამ გზა გაუხსნა ახალ , გენდერული თანასწორობის იდეალებს . ქალები მოითხოვდნენ საბავშვო დაწესებულებებით უზრუნველყოფას , ექვსსაათიან სამუშაო დღეს , თანასწორ ანაზღაურებას და რეპროდუქციულ უფლებებს . იმ პერიოდში ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოყენებამ სექსუალური რევოლუციის განცდა დაბადა ; ქალებმა დაარღვიეს სიჩუმე , რომელიც იმ დრომდე სუფევდა მათი სექსუალობის ირგვლივ , მიუხედავად იმისა , როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი – ჰეტერო თუ ჰომო . ამასობაში , შეძლებული ქალები აბორტის გასაკეთებლად საზღვარგარეთ დადიოდნენ . მიუხედავად ძლიერი წინააღმდეგობისა , 1978 წელს დაუშვეს აბორტი

მოთხოვნისდა მიხედვით . რაც შეეხება საბავშვო დაწესებულებს , ამ მხრივ ნორვეგიის მთავრობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა შვედეთსა და დანიას . ასე , რომ ქალებს უწევდათ თავად ეპოვათ გამოსავალი , რაც სამუშაო დროის ნახევარ განაკვეთსა და ბავშვებისთვის კერძო მომვლელის დაქირავებაში მდგომარეობდა . ექვსსათიანი სამუშაო დღის მოთხოვნა არ შესრულდა , სამაგიეროდ , 1990 – იანი წლებისთვის შემოიღეს რეფორმა , რომლის მიხედვით მშობლებს მიეცათ შემოკლებული გრაფიკის უფლება , თორმეტი თვის დეკრეტული შვებულება ანაზღაურების 80 % - ით და ქმედითი ზეწოლა მამებზე ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის თვალსაზრისით .

90 – იან წლებში დღის წესრიგში დადგა ქალის სხეულის სექსუალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები . ქალაქებში მომრავლდა ღამის სახლები , უფრო ღიად ვრცელდებოდა მსუბუქი პორნო და ქალი სხეული გასართობი ინდუსტრიის ობიექტად იქცა . ამ ვითარებაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთაშორისო მოვლენები : საბჭოთა იმპერიის დაშლამ და ეკონომიკურმა ლიბერალიზმა კიდევ უფრო გაადვილა ქალთა ტრეფიკინგი და მათი , როგორც იაფი მუშახელის გამოყენება .

ნორვეგიის ქალთა მოძრაობა და ქალთა კვლევა ერთიდაიგივე სოციალური სიტუაციებიდან წარმოიშვა 1970 – იანი წლების დასაწყისში . ისინი შეიძლება განვიხილოთ , როგორც ფემინისტური პროტესტის გამოხატვის მსგავსი ფორმები . ორივე მათგანისთვის თავისუფლება და საჯაროობა ერთ მიზნად ერთიანდება .

ქალთა კვლევებმა მრავალი სიძნელე გადაიტანა . ძირითადად მათ გასაქანი ეძლეოდა მედიაში და ზოგადად საზოგადოებაში , ვიდრე აკადემიურ დაწესებულებებში . სახელმწიფო ხალისით აფინანსებდა კვლევას , რადგან ქალ პოლიტიკოსებსა და დემოკრატებს ესაჭიროებოდათ ფემინისტური კვლევა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის საწარმოებლად .

თანდათან ქალთა მოძრაობა და ქალთა კვლევები გაიმიჯნა როგორც პერსონალურ , ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე . ნორვეგიული ფემინიზმი , კარგია ეს თუ ცუდი , განვითარდა ქალთა მასირებული ძალისხმევით , რომლებმაც ყველა სფეროში ავტონომიური მოძრაობა შექმნეს .

ნინო ფორჩხიძე

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

პიროვნების განვითარების გზა (ს. კირკეგორი)

ხელმძღვანელი: პროფესორი ფრუდე ჰერმუდსგორდი

გამოჩენილი დანიელი ფილოსფოსი, თეოლოგი და მორალისტი სორენ კირკეგორი (1813-1855) თითქმის ერთი საუკუნით არის დაშორებული XX საუკუნის ეგზისტენციალიზმისაგან, მაგრამ თავისი სულიერი წყობით და ფილოსოფიური ბრობლემატიკით იმდენად ახლოს დგას მასთან, რომ დღეს მას ეგზისტენციალიზმის სულიერ მამად მიიჩნევენ.

XX საუკუნეში, ატომის, ტექნიკისა და ცივილიზაციის ეპოქაში, ადამიანის ყოფის სპეციფიკის შესწავლა უდიდეს პრობლემად იქცა. აქტუალური გახდა სოკრატეს ფრაზა: „შეიცან თავი შენი!" და შესაბამისად პოპულარული ეგზისტენციალიზმი. ადამიანის პრობლემა მთელი სიმძაფრითა და ინტერესით დასვა სორენ კირკეგორმა. მის შეხედულებებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა თვითონ მისმა პიროვნებამ. იგი გაჟღენთილი იყო უკიდურესი პესიმიზმით, მარტოობისა და სასოწარკვეთილების მძაფრი განცდით. ცხოვრების არარაობის დასასაბუთებლად იგი ამბობს: „სიკვდილის უბედურება არ უნდა გვაშინებდეს, ვინაიდან ჩვენთვის უკვე ნაცნობია მასზე დიდი უბედურება — ცხოვრების უბედურება."

მის ამგვარ პესიმიზმს ხშირად იმასაც მიაწერენ, რომ იგი მორწმუნე მამის მკაცრი რეჟიმით აღიზარდა და მისი ატმოსფერო გაჟღენთილი იყო ცოდვის, დანაშაულისა და ღვთის შიშით.

კირკეგორის მიზანი იყო ერთეული ადამიანის გადარჩენა რომელიმე ზოგადობაში დაკარგვისაგან. მისი აზრით, ერთეული ადამიანი, ინდივიდი, მისი ყოფიერება და ღირებულება უნდა დადგეს ფილოსოფიის კველევის ცენტრში.

კირკეგორი მკვეთრად განასხვავებს ადამიანთა სულიერი განვითარების სამ ძირითად საფეხურს: ესთეტიკურს, ეთიკურს და რელიგიურს. იგი საყვედურობს თავისი ეპოქის ადამიენებს, რომ ვერ მიაღწიეს ნამდვილ ყოფიერებას და ვერ გასცდნენ ცხოვრების ესთეტიკურ წესს, რომ ინდივიდებს ჯერ კიდევ არა აქვთ ნაპოვნი საკუთარი თავი და არ ცხოვრობენ თავისი არსების შესაბამისად.

კირკეგორი თავის ნაშრომში „ან-ან" (სადაც განხილულია ესთეტიკური და ეთიკური საფეხურები) საუბრობს იმის შესახებ, რომ ადამიანის ჭეშმარიტი ყოფიერებისა და ბედნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს „არჩევანის" მოხდენას. ის მთელი თავისი ფილოსოფიური სისტემით ცდილობს დაარწმუნოს ადამიანები, რომ გააკეთონ არჩევანი. „ან ერთი, ან მეორე" — ადამიანმა უნდა მოახდინოს არჩევა ორ რამეს შორის: ცხოვრების ესთეტიკურ და ეთიკურ წესს შორის. მაზეა მისი აზრით დამოკიდებული ადამიანის ჭეშმარიტი ბედნიერება.

„შენ შესაძლოა მოიპოვო მთელი ქვეყანა, მაგრამ დაკარგავ საკუთარ თავსა და სულს, თუ მხედველობიდან გამოგრჩება უმთავრესი — საკუთარი თავის არჩევა."

ადამიანთა ცხოვრების ესთეტიკური წესი, კირკეგორის აზრით, იმით ხასიათდება, რომ მისი გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები ემორჩილებიან მხოლოდ ერთადერთ მიზანს — სიამოვნების მიღებას. ხოლო სიამოვნების საგანი მუდმივად ადამიანის გარეთაა, ე.ი. ადამიანი ეყრდნობა მის გარეთ რაიმე არარსებითს. ასეთი ადამიანი მისი აზრით ექსცენტრიულია, მას ჯერ კიდევ არ აქვს თავისი თავი შეძენილი.

ხოლო ცხოვრების ეთიკურ წესს დამორჩილებული ადამიანი ეყრდნობა არა რაიმე გარეშე საგან, არამედ მას თავისი საფუძველი საკუთარ თავშივე აქვს. ეთიკური საწყისი ქმნის სწორედ ადამიანს იმად, რაც არის. ეთიკური ცხოვრების წესის მქონე ადამიანი თავისსავე პიროვნებაში

შეიცავს საყრდენ წერტილს და ამის მეშვეობით იგი სრულიად გაწონასწორებულია.

ესთეტიკურისაგან განსხვავებით ეთიკური ცხოვრების წესის მქონე ადამიანი სიამოვნების მონა კი არაა, არამედ არჩევანის მოხდენის ძალით იგი ამ სიამოვნების წუთებზე მაღლა დგას. სწორედ არჩევანი აქცევს ადამიანს თავისი განწყობილების და ვნების ბატონად. კირკეგორი შორსაა იმ აზრისგან, რომ სიამოვნებას ასკეტურად ჩავუკეტოთ კარი, არამედ არჩევანით უნდა ავირჩიოთ უფრო მაღალი მდგომარეობა. ასეთი არჩევანი ამშვიდებს და ამაღლებს სულს, ზრდის საკუთარი ღირსების შეგნებას. ასეთ დროს ადამიანი ჭვრეტს თავის მარადიულ ძალას, ასეთ წუთებში ადამიანი იღებს ზევიდან რაღაც კეთილშობილურ ბიძგს, რომლის მეშვეობითაც იგი მარადიულობის ღირსი ხდება.

ადამიანთა ცხოვრების ესთეტიკურ წესს დამორჩილებული პიროვნების ყოფნა, რა სახითაც უნდა იყოს იგი, თავისი არსების მიხედვით სასოწარკვეთილებაში ყოფნაა, ფიქრობს კირკეგორი. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების უშუალობა, ასე ვთქვათ კარგავს თავის ცხოვრებისეულ მნიშვნელობას. ამ დროს ადამიანის სული ცდილობს თავის თავის გამომჟღავნებას, შეგნებული, გაცნობიერებული ყოფნის უმაღლესი ფორმით იგი ესწრაფვის შემეცნებას თავის მარადიულ მნიშვნელობაში და არა მხოლოდ მიწიერში. ასეთ დროს ადამიანი ხშირად აღმოჩნდება ხოლმე მელანქოლიაში, ხოლო მელანქოლიით შეპყრობლიმა ადმიანმა არ იცის მიზეზი თავის მელანქოლიისა და სწორედ ამ ამოუხსნელობაშია მელანქოლიის ძალა და დაუსრულებლობა. ასეთ დროს ადგილი არ აქვს შეგნებულ ნებას. იგი ადვილად იმორჩილებს ახალგაზრდა თაობებს, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იციან „არჩევანის" ფასი და მნიშვნელობა, რომელთაც ჯერ კიდევ არ უპოვნიათ საკუთარი თავი. ვისაც გავლილი არ აქვს ჭეშმარიტი სასოწარკვეთილების სიმწარე, არ შეუძლია ჩაწვდეს ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს და არსს.

ადამიანი ჭეშმარიტებას, რომ ჩაწვდეს სასოწარკვეთისა და დაეჭვების ეტაპები უნდა გადალახოს: სასოწარკვეთილება იპყრობს ადამიანურ პიროვნებას, ხოლო ეჭვი — მხოლოდ აზროვნების სფეროს.

კირკეგორის თანახმად, ესთეტიკური ცხოვრების წესის მიმდევარმა უნდა მოახდინოს „არჩევანი". ეს ასარჩევი არის თვითონ ადამიანი, მისი „მე", რომელიც აბსოლუტურია იმდენად, რამდენადაც არჩევა აბსოლუტურია. მაინც რა არის ადამიანის ეს „მე", ადამიანის „თვითონობა"? აქ კირკეგორი იძლევა დებულებას, რომელიც ერთ-ერთ ფუნდამენტურ დებულბად იქცა საერთოდ ეგზისტენციალიზმში. იგი არის ყველაზე აბსტრაქტული და ამასთანავე ყველაზე კონკრეტული — თავისუფლება.

„მე", „თვითონობა" ადამიანისთვის უსაკუთრესია. ერთი ინდივიდი შეიძლება ნატრობდეს მეორე იდივიდის რაიმე თვისებას, მაგალითად: ჭკუას, ტალანტს, ნებისყოფას და ა.შ. მაგრამ იგი არასოდეს იფიქრებს სხვა ადმიანად იქცეს, დაკარგოს და დათმოს თავისი „მე". არჩევის დროს არჩეული „მე" ყველაზე კონკრეტულია. ოღონდ არჩევანის შემდეგ ადამიანი არ უნდა შეჩერდეს, არ უნდა გაერთოს საკუთარი თავის აღმოჩენის სიამოვნებით და არ უნდა დაემართოს ნარციციზმი, არამედ არჩევის შედეგად სამყაროდან ადამიანის სრული თვითგამოყოფა უნდა მივიდეს ისევ სამყარომდე, როგორც ადამიანის იგივეობრივამდე. სწორედ

აღნიშნული გარემოების გამო, კირკეგორი გამოთქმას: „შეიცან თავი შენი!” ამჯობინებს გამოთქმას: „ადამიანო, აირჩიე თავი შენი!”

როგორც ვნახეთ „ან-ანში” კირკეგორი ცხოვრებაზე ესთეტიკურ და ეთიკურ თვალსაზრისებს შორის ალტერნატიულ არჩევანზე იდგა. რელიგიური თავლსაზრისი ცალკე საფეხურად არ გამოიყოფოდა. სასოწარკვეთილებისა და მონანიების სახით კირკეგორს რელიგიურობა წარმოუდგებოდა, როგორც ეთიკური არჩევანის აუცილებელი პირობა. ეთიკური საფეხური კირკეგორს ესმოდა არა როგორც მხოლოდ ინდივიდუალურისა და „ზოგადადამიანურის” ერთიანობა, აარამედ როგორც აგრეთვე ინდივიდუალურის ერთიანობა ღმერთთან, აბსოლუტთან.

ღმერთისაგან ინდივიდის გამოყოფა, იზოლაცია კიკეგორს ესმის როგორც ცოდვით დაცემა. „ღმერთო, ამაო სოფლის საგანთა ხილვის უნარი ვინძლო წაგვართვა და მოგვცა თავლნი ნათლად მხედველნი, ჭეშმარიტების შენის მჭვრეტელნი”. — წერს კირკეგორი.

ცოდვით დაცემა, პირველი ცოდვა, კირკეგორის მიხედვით, არის ინდივიდის მიერ განხორციელებული თვისებრივი ნახტომი სიკეთიდან ბოროტებისაკენ, ესაა ნაბიჯი ღმერთიდან ეშმაკისაკენ.

ცოდვით დაცემა, კირკეგორის მიხედვით, ადამიანის თავისუფლების პროდუქტია, მისი პირველი და უშუალო გამოვლინებაა, იმ თავისუფლებისა, რომელიც თავად ღმერთმა უბოძა ადამიანს, რომლითაც ღმერთმა დააჯილდოვა კაცთა მოდგმა. მაგრამ ამის გამო ღმერთს კი არ უნდა დავემდუროთ, არამედ — საკუთარ თავს. ჩვენ მხოლოდ მადლობა გვეთქმის ღმერთისადმი, რომ თვისუფალ არსად შეგვქმნა, რომ გადაგვიშალა უსასრულო შესაძლებლობანი, პერსპექტივები... და ჩვენ თავს უნდა დავემდუროთ იმის გამო, რომ ბოროტად გამოვიყენეთ თავისუფლება და ვცოდეთ. ცოდვით დაცემით ადამიანი გამოეყო და დაუპირისპიდა ღმერთს.

კირკეგორის მიხედვით, ყოველი ადამიანი, ინდივიდი ტვირთულობს პასუხისმგებლობას არა მარტო საკუთარი ცოდვისათვის, არამედ თავისი წინაპრებისა და საბლოოდ ამ პირველცოდვისათვის, რომელშიც იგი ნებით, თუ ინებლიედ მონაწილეობს თავისი არსებობის ფაქტით, თავისი ღმერთისაგან მოწყვეტილი ყოფნით.

დამიანი, კიკეგორის თანახმად, არის სულისა და სხეულის სინთეზი. ამ ორის ერთიანობა, სინთეზი ხორციელდება მესამეში — გონში, რაც ადამიანის არსობრივი განმასხვავებელი ნიშანია ყველა სხვა არსებულთაგან. მაგრამ უცოდველობაში, კირკეგორის აზრით, ადამიანი არაა განსაზღვრული, როგორც გონი. ამ დროს ადამიანში გონი თვლემს. ადამიანისთვის უცნობია განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის. ესაა მშვიდობისა და სიმშვიდის ხანა, კაცობრიობის ბავშვობის პერიოდი, წარმართობა. მაგრამ ეს მშვიდობა მაინც არაა მყარი, ადამიანი არაა ბუნებასთან, გარესამყაროსთან სრულ ჰარმონიაში, როგორც ახასიათებენ ჩვეულებრივ წარმართობას, ანტიკურობს. უპიველესყოვლისა, კირკეგორის აზრით, ადამიანი არაა თავის თავთან თანხმობაში, წარმართული ადამიანი არაა ჰარმონიული. ადამიანში მთვლემარე გონი თავის ზამნებებში ქმნის საკუთარ სინამდვილეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ნამდვილი სინამდვილე, იგი არარაა; ამ არარას უცოდველობა მუდამ თავის გარშემო ხედავს და იგი მასში იწვევს ძრწოლას. შიშისაგან განსხვავებით, რომელსაც თავისი მიზეზი მუდამ რაღაც განსაზღვრულში აქვს, გაურკვევლი არარასადმი ძრწოლას კირკეგორი სპეციფიკურად

ადამიანისათვის ადამახასიათებელ თვისებად მიიჩნევს, ადამიანისა, როგორც გონით განსაზღვრული არსებისა.

კირკეგორის აზრით, ძრწოლის გამომწვევი არარას სახელი წარმართობაში სხვა არფერია, თუ არა ბედისწერა. ბედისწერას კირკეგორი ახასიათებს გარეგანობისა და გარადუვალობის ნიშნებით. ბედისწერის თვალით მზირალი წარმართისათვის უცნობია პიროვნული ბრალეულობა, პიროვნული ცოდვა. კიკეგორის აზრით, წარმათობისათვის საერთოდ უცნობია აბსოლუტური განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის. მათ შორის ამ განსხვავებას პირველად ადგენს ქრისტიანობა. კირკეგორი თვლის, რომ ქრისტიანობას ცოდვა ესმის არა გვაროვნულად, ინტერინდივიდუალურად, არამედ პიროვნულად, ინდივიდუალურად. ცოდავს არა გვარი, არა ზოგადი, არამედ — ინდივიდი, პიროვნება და თავისი ამ საქციელისათვის პასუხისმგებლობასაც ინდივიდი, ცალკეული პიროვნება კისრულობს. და, როგორც ითქვა ინდივიდი კისრულობს პასუხისმგებლობას არა მარტო თავისი პირადი დანაშაულისათვის, არამედ თავისი წინაპრების ცოდვისთვისაც იმ პირველცოდვის ჩათვლით.

კირკეგორის მიხედვით, სწორედ ცოდვის გვაროვნულ გაგებას, ინდივიდუალური ცოდვის არარსებობას, თუ გაუცნობიერებლობას შეესატყვისება სხეულის კულტი წარმართობაში. სხეული, გრძნობადობა წარმართობაში ესთეტიკური ფენომენია, სრული დადებითობაა, მაშინ, როდესაც ქრისტიანობაში იგი ღმერთის საპირისპირო დემონურ საწყისადაა მიჩნეული. სულისა და სხეულის წარმართული ჰარმონია იცვლება დისჰარმონიით. წარმართულ და ქრისტიანულ გრძნობაადობას შორის განსხვავება ნათლად ჩანს ეროსისა და დონ-ჟუანის სახეში. წარმართული ეროსი ღმერთია, ცოდვით დაცემის შემდგომდროინდელი დონ-ჟუანი კი ეშმაკი. წარმართობისათვის ეროტიული ღვთაებრივია, ქრისტიანობისთვის კი — ეშმაკეული. ეროსი განასახიერებს სულიერ სიყვარულს, დონ-ჟუანი კი — ხორციელს. ეროსი უპიროვნო ძალაა, ზოგადი კოსმიური საწყისია, დონ-ჟუანი კი პერსონალური ძალაა და მისი ეროტიკა მხოლოდ პირადულია.

ეროსისა და დონ-ჟუანის ამ განსხვავებას შეესატყვისება მათ მსხვერპლთა განსხვავებული მდგომარეობაც. თუ ეროსის მსხვერპლ ანტიგონეს სულიერი მდგომარეობის გამოხატულება წუხილია, დონ-ჟუანის მსხვერპლ ელვირას ტანჯავს ტკივილი. წარმართ ანტიგონეებს მთელი საზოგადოება თანაუგრძნობს; თანამედროვე ანტიგონეს — ელვირას კი ტანჯვას ვერავინ შეუმსუბუქებს, რადგან აქ ცოდვა პიროვნულია და იგი თავად ტვირთულობს პასუხისმგებლობას თავის ბრალზე. აქედანვე გამომდინარეობს განსხვავება ძრწოლის ორ სახეს შორის. წარმართს აძრწუნებს უცნობი, არარა, ბედისწერა, ქრისტიანს კი — თავისი საკუთარი ცოდვა. წარმარეთული ძრწოლა ცოდვის წანამძღვარია, ცოდვით დაცემის მომამზადებელი, ქრისტიანული ძრწოლა კი ცოდვის შედეგი.

ცოდვის ცნობიერების გამო ქრისტიანობა შვიძლება განვიხილოთ როგორც ცხოვრებაზე ეთიკური თვალსაზრისი, საპირისპიროდ წარმართობისა, როგორც ესთეტიკური საფეხურისა. ეთიკური, როგორც ცოდვა და ეთიკური ცნობიერება, როგორც ცოდვის ცნობიერება (იგულისხმება ადამიანის ცოდვა, დანაშაული ღმერთის მიმართ და არა სხვა ადამიანის, მოყვასის მიმართ, კაცობრიობის მიმართ), კირკეგორს ამ ეტაპზე ესმის, როგორც სრული ნეგატიურობა და მიზნად ისახავს მის დაძლევას რელიგიურ საფეხურზე ასამაღლებლად. ეთიკური ახლა უკვე

არა თუ არ ერწყმის, არ უიგივდება რელიგიურს, არამედ მისი პირდაპირ საწინააღმდეგოა. ცოდვით დაცემის შედეგად, როგორც ითქვა, ადამიანი მიდის სიკეთესა და ბოროტებას შორის აბსოლუტურ განსხვავების აღიარებამდე, ღმერთისაგან, როგორც სიკეთისაგან მოწყვეტისა და ბოროტებაში, ცოდვაში არსებობის აღიარებამდე. და ეთიკური კირკეგორს ესმის, როგორც ღმერთისაგან ადამიანის მოწყვეტილობის ცნობიერება, როგორც ცოდვის ცნობიერება, ხოლო რამდენადაც რელიგიურობა, რწმენა გულისხმობს ღმერთთან გარკვეულ კავშირს, ამდენად ეთიკური, როგორც ღმერთისაგან ადამიანის მოწყვეტილობის ცნობიერება, როგორც ცოდვის ცნობიერება რელიგიურის პირდაპირ საპირისპიროა.

ეთიკურისა და რელიგიურის ერთმანეთისგან მოწყვეტა და მათი ურთიერთდაპირისპირება, უეჭველია, ახალი სიტყვაა ჰეგელისშემდგომ იდეალისტურ ფილოსოფიაში, მაგრამ უეჭველი უნდა იყოს ისიც, რომ იგი არ შეიძლება შეფასდეს როგორც ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი, როგორც პროგრესი. პირიქით, მათი ურთიერთმოწყვეტა და ურთიერთდაპირისპირება მოასწავებს ჰეგელისშემდგომი ფილოსოფიისა და კულტურის ღრმა კრიზისზე, რამაც ღირებულებათა გაუფასურების სახელით, ნიჰილიზმის სახელით იჩინა თავი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. პოპიაშვილი –– ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში 1988წ.
2. რ. გორდეზიანი –– ეგზისტენციალიზმი და „საკუთარი თავის არჩევა" (ს. კირკეგორი) 1972წ.
3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ფილოსოფიის ინსტიტუტი –– XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია 1970წ.
4. www.wikipedia.org –– Soren Kierkegaard

ირინა ვარდანაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

რელიგიურ შეხედულებათა განვითარების თავისებურებანი ნორვეგიაში *ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია*

რელიგიური თავისებურებები სკანდინავიაში და კერძოდ ნორვეგიაში დიდ ინტერესს იწვევს. რელიგიურმა შეხედულებებმა ნორვეგიაში მრავალი ცვლილება განიცადა. ძველი ნორვეგიელების რელიგია განვითარდა გერმანიკული ტომების მითოლოგიის საფუძველზე. შემორჩენილი წყაროები ჩრდილოგერმანიკული ტომების წარმართული შეხედულებების შესახებ დაიწერა უკვე მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა გავრცელდა სკანდინავიაში. წყაროთა აბსოლუტური უმრავლესობა XIII ს-ის ისლანდიიდან მოდის, სადაც ქრისტიანობას ყველაზე მეტად გაუჭირდა ფეხის მოკიდება. ძირითადი ცნობები შემონახულია XIII საუკუნეში ჩაწერილ პოეტურ "უფროს ედაში", რომელიც შეიცავს სიმღერებს ღმერთებსა და გმირებზე და პროზაულ "უმცროს ედაში", რომელიც წარმოადგენს სკალდური ხელოვნების სახელმძღვანელოს.

სამყაროს მოდელი სკანდინავიურ მითოლოგიაში შეიცავს "ჰორიზონტალურ" და "ვერტიკალურ" პროექციებს. ჰორიზონტალური პროექცია არის ანთროპოცენტრული და აგებულია ადამიანებით დასახლებულ ათვისებულ დედამიწის შუა ნაწილს მიდგარდსა და გოლიათი იუტუნებით დასახლებულ დედამიწის უდაბნო, ქვიან და ცივ განაპირა ნაწილს შორის დაპირისპირებაზე. ეს წინააღმდეგობა წარმოდგენილია, როგორც დაპირისპირება ცენტრსა და პერიფერიას, შიდას და გარეს, "თავისის" და "სხვისის", კულტურის და ბუნების დაპირისპირების სახით. ამასთან, გოლიათების ქვეყანა მდებარეობს აღმოსავლეთში და ჩრდილოეთში. სკანდინავიურ მითოლოგიაში ჩრდილოეთი განსაკუთრებით დემონიზირებულია. ჩრდილოეთითაა განთავსებული ასევე მკვდართა სამეფო – ხელი. ორივე პროექციაში ფიგურირებს ოთხი ჯუჯა, რომლებიც ატარებენ ქვეყნის ოთხი კუთხის სახელებს და ცის კუთხეებს იჭერენ.

ედები გვთავაზობენ უდიდეს ინფორმაციას ღმერთების შესახებ. ასევე მათ ურთიერთობაზე გოლიათებთან, ჯუჯებთან და ადამიანებთან. ყველაზე ძლევამოსილი ღმერთი იყო ცალთვალა ოდინი – ომის, სამართლიანობის, სიკვდილის, სიბრძნის და პოეზიის ღმერთი. ის ძალიან მოხერხებული და ეშმაკია, მაგრამ ყველაზე გონებამახვილ ღმერთად ცეცხლის ღვთაება ლოკი ითვლებოდა, რომელსაც ბევრ სარგებელთან ერთად ღმერთებისთვის დიდი ზიანიც მოჰქონდა. ყველაზე პოპულარული

ალბათ მაინც იყო თორი – სულელი, მაგრამ ამასთან ძალიან ძლიერი ღმერთი. თავისი ჩაქუჩით, რომელიც ჯუჯებმა გამოუჭედეს, ის იცავდა ღმერთებს გოლიათებისგან. ის იყო ჭექა-ქუხილის ღმერთი და ამიტომ მას მეზღვაურები და მოგზაურები ეთაყვანებოდნენ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ღვთაებანი არიან ნაყოფიერების ღმერთი ფრეი და ქალღმერთი ფრეია.

ძველი სკანდინავიელების რწმენით, სამყაროს აღსასრული დადგებოდა ღმერთებსა და გოლიათებს შორის უკანასკნელი ბრძოლს შემდეგ. ცეცხლში გაეხვეოდა მთელი სამყარო განადგურდებოდნენ ღმერთებიც და ადამიანებიც. თუმცა, ორივე რასიდან გადარჩებოდა საკმარისი რაოდენობა, რომლებიც დასაბამს მისცემდნენ ახალ სამყაროს.

სკანდინავიის გაქრისტიანების პროცესი საკმაოდ დიდი დაბრკოლებებით მიმდინარეობდა. ცალკეული ადამიანების ქადაგებები და მათ მიერ მოხდენილი სასწაულები არ იყო საკმარისი ხალხის ახალი რელიგიის ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად, ხალხის, რომელთაც ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი წარმართული შეხედულებები. ქრიატიანული იდეოლოგია სკანდინავიელებისთვის ძალიან შორეული უცხო და გაუგებარი იყო. აქ ძალიან დიდი როლი ითამაშა ხელისუფლების პოლიტიკამ, რომელიც ყველა გზით ცდილობდა, რომ აღმოეფხვრა და ამოეძირკვა წარმართული წეს-ჩვეულებები. ისინი ხოცავდნენ იმ გლეხებს, რომლრბიც უარს ამბობდნენ მონათვლაზე. ეკლესია ყველა მეთოდით ცდილობდა დაერწმუნებინა ახლადმონათლულები, რომ ქრისტე უფრო ძლევამოსილი ღმერთი იყო, ვიდრე თორი და ოდინი. მათ მოახდინეს ძველი ღმერთების დემონიზაცია, გადააქციეს ისინი არაწმინდა ძალებად. ოდესღაც ყოვლისშემძლე ღმერთები იქცნენ დემონებად. მაგალითად, ოდინი იქცა დემონური ველური ნადირობის წინამძღოლად. ეპოსის გმირები გადავიდნენ ბალადებში. ღმერთების მრისხანე მოწინააღმდეგეები იოტუნები იქცნენ სულელ ტროლებად ზღაპრებიდან, დახელოვნებული ცვერგები კი, ძუნწ გნომებად. ძველი ღმერთების ზოგიერთი თვისება ეკლესიამ წმინდანებს მიაწერა და ამით მიანიჭა ამ წმინდანებს ის ფუნქციები, რომლებსაც ადრე წარმართული ღმერთები ასრულებდნენ. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ქრისტიანობა სკანდინავიურ ქვეყნებში ოფიციალურად აღიარებულ რელიგიად იქცა და ძველმა ღმერთებმა ოდინის თაოსნობით ეს სამყარო დატოვეს, ხალხში შემონახულ იქნა

ძველი ტრადიციები და რწმენა-წარმოდგენები. აღინიშნებოდა ნაყოფიერების დღესასწაულები და სრულდებოდა წარმართული რიტუალები ან საიდუმლოდ, ან ქრისტიანული დღესასწაულებით შენიღბული და ოფიციალური რელიგია ამას ვერაფერს უხერხებდა.

ნორვეგიის ქრისტიანულ რელიგიაზე მოქცევა ჩვ. წ. აღ-ით XI ს-ში დაიწყო. ვიკინგები გაეცნენ ქრისტიანობას ბრიტანეთის კუნძულებზე და ფრანკულ სამოფოებზე თავდასხმების დროს. მეფე ჰააკონ I, რომელიც ინგლისში იყო აღზრდილი, ცდილობდა ნორვეგიაში ქრისტიანობის დამკვიდრებას X ს-ის შუა ხანებში, მაგრამ ის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ადგილობრივი წარმართი ლიდერების მხრიდან, რამაც ხელი ააღებინა ამ გადაწყვეტილებაზე. უფრო წარმატებული აღმოჩნდა ამ საქმეში მეფე ოლავ I. მან მიზნად დაისახა ნორვეგიის გაქრისტიანება ნებისმიერ ფასად. ის ანგრევდა წარმართულ ტაძრებს, აწამებდა და ხოცავდა წარმართ მოწინააღმდეგეებს. ამით მან მიაღწია, რომ ნორვეგია გახდა ქრისტიანული, ნომინალურად მაინც. თუმცა, ნორვეგიის გაქრიასტიანება მაინც მიეწერება მეფე ოლავ II-ს, შემდგომში წმინდა ოლავს. სწორედ მისი მეფობის დროს საბოლოოდ იქნა ნორვეგიაში პაგანიზმი დამარცხებული. ქრისტიანობა ფართოდ გავრცელდა ნორვეგიაში XI ს-ის შუა ხანებში, ხოლო დომინანტური რელიგია გახდა XII ს-ის შუა ხანებიდან.

რაც შეეხება სკანდინავიის გაქრისტიანების მიზეზებს, აქ რამდენიმე საკითხს უნდა გაესვას ხაზი. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ პირველები, ვინც სკანდინავიაში ქრისტიანობა მიიღო იყვნენ ვაჭრები და მეომრები. ამ ნაბიჯის მიზეზი, სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებში უნდა ვეძიოთ. ვაჭრები იღებდნენ ქრისტიანობას, რადგან ეს ეხმარებოდათ მათ კლიენტებთან ურთიერთობის დამყარებაში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ვაჭარი რამდენჯერმე ინათლებოდა. ეს ტაქტიკა ძალიან იყო გავრცელებული ვიკინგებში – ისინი ეცნობოდნენ ქრისტიან ვაჭრებს, როგორც წარმართები; ბუნებრივია ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ მათი სულის დახსნას და ჭეშმარიტ სარწმუნოებზე მოქცევას. ქადაგების შემდეგ წარმართი ვაჭარი მოინათლებოდა, ხოლო ბედნიერი ქრისტიანი ვაჭარი აფორმებდა მასთან საქმიან ხელშეკრულებას და თითქმის მუქთად აძლევდა საკუთარ საქონელს.

XVI საუკუნემდე ნორვეგია იყო კათოლიკური და რომის პაპის დაქვემდებარების ქვეშ. 1536 წელს დანიის მეფემ ქრისტიან III-მ გასცა ლუთერანული სარწმუნოების მიღების ბრძანება. იქიდან გამომდინარე, რომ იმ დროს ნორვეგია დანიის მმართველობის ქვეშ იყო, ნორვეგიის ეკლესიამაც მიიღო ლუთერანობა 1539 წელს. კათოლიკე ეპისკოპოსები და სასულიერო პირები, რომლებმაც უარი თქვეს პროტესტანტიზმის მიღებაზე, იდევნებოდნენ. მომდევნო რამდენიმე დეკადის განმავლობაში ნორვეგიის ზოგიერთმა ნაწილმა შეინარჩუნა კათოლიკობა, მაგრამ საბოლოოდ დარჩენილმა კათოლიკეებმა ან პროტესტანტობა მიიღეს, ან დატოვეს ქვეყანა და ნიდერლანდებში გადაიხვეწნენ. ნორვეგიელი პასტორები განათლებას კოპენჰაგენის უნივერსიტეტში იღებდნენ, რადგან ნორვეგიაში იმ დროს უნივერსიტეტი არ არსებობდა. გავრცელებული იყო ბიბლიის დანიური თარგმანი, დანიურ ენაზე სრულდებოდა სასულიერო მსახურებებიც. რელიგიურ ცერემონიებში დანიური ენის გამოყენებამ დიდი გავლენა მოახდინა შემდეგ ნორვეგიული ენის განვითარებაზე.

ნორვეგიაში 1814 წელს მიღებული კონსტიტუციით არ იყო დაშვებული რელიგიური თავისუფლება. ებრაელებს და იეზუიტებს ეკრძალებოდათ ქვეყანაში შესვლა, ყველასთვის სავალდებული იყო ქრისტიანობის ლუთერანული მიმდინარეობის აღიარება და საეკლესიო მსახურებებზე დასწრება. XIX-XX სს-ში ეს შეზღუდვები ეტაპობრივად მოიხსნა. 1851 წელს ოფიციალურად მოიხსნა აკრძალვა იუდაიზმზე და ასევე დაშვებული გახდა ათეიზმი. შესაბამისად 1897 და 1956 წლებში მოიხსნა აკრძალვები ბერ-მონაზვნობასა და იეზუიტებზე. 1964 წელს კონსტიტუციაში შევიდა შესწორება, რომელიც რელიგიური თავისუფლების გარანტიას იძლევა ქვეყანაში. გამონაკლისს მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრები წარმოადგენენ, რომლებიც აუცილებლად ლუთერანული ეკლესიის წევრები უნდა იყვნენ. ამასთან, მთავრობის წევრთა ნახევარი მაინც უნდა იყონ ოფიციალური ეკლესიის წევრები.

რაც შეეხებათ სხვა რელიგიების წარმომადგენლებს ნორვეგიაში, ისინი თავისუფლად მოქმედებენ. ესენი არიან იუდაისტები, მუსულმანები, კათოლიკები, ინდუისტები, ბუდისტები, სიქჰები. მათგან შეგვიძლია შევეხოთ იუდაისტებს და მუსულმანებს.

სხვადასხვა მიზეზის გამო ნორვეგიაში არასოდეს ყოფილა ბევრი ებრაელი. როგორც უკვე ვთქვით, 1951 წლამდე ებრაელებს

ეკრძალებოდათ ქვეყანაში შესვლა. 741 ნორვეგიელი ებრაელი დაიღუპა II მსოფლიო ომის დროს ნაცისტური ოკუპაციის პერიოდში. ამჟამად ნორვეგიაში დაახლოებით 1500 ებრაელი იმყოფება და მათი უმრავლესობა ოსლოში ცხოვრობს.

ისლამი ნორვეგიაში რელიგიურ უმცირესობებში პირველ ადგილზეა მიმდევართა რაოდენობით. მას აღიარებს მოსახლეობის 2%. 2005 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა მუსულმანური ბექგრაუნდით 120000-დან 150000-მდე ვარირებს.

დღეს ნორვეგია ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად რელიგიური ქვეყანაა ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 80.7% ეკუთვნის სახელმწიფო ეკლესიას, მოსახლეობის მხოლოდ 3% ესწრება საეკლესიო მსახურებას. დაახლოებით 9-10% არ ეკუთვნის არც ერთ ოფიციალურ რელიგიას, ხოლო 9% რომელიმე სხვა რელიგიის წევრია. 2005 წლის მონაცემებით მოსახლეობის მხოლოდ 36% თვლის თავს რელიგიურად, რაც ყველაზე მცირე მაჩვენებელია დასავლურ სამყაროში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიურმა შეხედულებებმა ნორვეგიაში განვითარების საკმაოდ დიდი და რთული გზა გაიარა. მის ისტორიაში მრავლადაა, რა თქმა უნდა, წარმართული ბარბაროსული წეს-ჩვეულებები, მაგრამ ასევე მისთვის უცხო არაა ქრისტიანობის სახელით ჩადენილი ძალადობა და ბარბაროსობა. თუმცა, სხვადასხვა მიზეზების გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ დღეს ნორვეგია ერთ-ერთი ყველაზე არარელიგიური და ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ქვეყანაა მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Andy Orchard. *Dictionary of Norse Myth and Legend.* Cassell, 1997.
2. Ellis Davidson. *Gods and Myths of Northern Europe* Viking Press, 1990
3. http://www.ssb.no/english/subjects/07/02/10/trosamf_en/
4. http://www.zum.de/whkmla/period/reformation/norref.html

თამარ თამლიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი

სკანდინავიის ქვეყნების ეთნოლოგია (ნორვეგიელები, დანიელები, შვედები)

ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

ნორვეგიელები

ნორვეგიელების თვითსახელწოდებაა **ნორდმენ.** ისინი ნორვეგიის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ. უკანასკნელი მონაცემებით ნორვეგიელები 5,142 მილ. კაცს ითვლიან, რომელთაგან ნორვეგიაში 4 მილ. 299 ათასი ცხოვრობს. ამ ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობენ აგრეთვე შვედეთში (38 ათასი), დანიასა (1 ათასი) და ევროპის სხვა ქვეყნებში. დიდი რაოდენობით არიან ნორვეგიელები განსახლებულნი ამერიკის კონტინენტზე (აშშ-ში – 620 ათასამდე, კანადაში – 160 ათასზე მეტი). **1825 წლის შემდეგ აშშ-სა და კანადაში ემიგრაციაში ერთ მილიონამდე ნორვეგიელი წავიდა**. თვით ნორვეგიაში ნორვეგიელთა პროცენტული რაოდენობაა 98,5%. ნორვეგიელების გარდა, ქვეყნის ჩრდილოეთში ცხოვრობენ: საამები (ლოპარები) – 21 ათასი და კვენები (ნორვეგიელი ფინელები) – 20 ათასამდე კაცი, რომლებიც XVI-XVII საუკუნეებში ფინეთიდან მიგრირებულთა შთამომავლები არიან. XX საუკუნეში კვენების დიდი ნაწილი ნორვეგიელთა მიერ იქნენ ასიმილირებულნი. ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთში უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობენ შვედები.

ნორვეგიას **"შუაღამის მზის ქვეყანას"** უწოდებენ, რადგანაც ჩრდილოეთით პოლარული დღეების პერიოდში მაისიდან ივლისის ბოლომდე მზე ჰორიზონტს იქით არ ჩადის. ზამთარში კი აქ ხანგრძლივად პოლარული ღამეებია გაბატონებული. ნორვეგია მთიანი ქვეყანაა. მხოლოდ მისი მეხუთედია ზღვის დონიდან 150 მეტრზე დაბლა. ქვეყნის მიწის 72% კლდოვან (მოშიშვლებულ) და მყინვარ ადგილებს უკავია. იხვნება მიწის მხოლოდ 4%; 24% – ტყეა.

უცნობია რა დროიდან მოვიდნენ გერმანულენოვანი ტომები ნორვეგიაში. არც ისაა ცნობილი ახ.წ. I ათასწლეულის ბოლომდე ნორვეგიელ ტომებს ჰქონდათ თუ არა საერთო თვითსახელწოდება. თუმცა ევროპელ ხალხებში, მაგალითად, IX საუკუნის ინგლისურ წერილობით ძეგლებში, ისინი აღინიშნებოდნენ საერთო სახელწოდებით – **ნორმანები**, ე.ი. "ჩრდილოეთის ხალხები". მათ ქვეყანას კი უწოდებდნენ – **ნორმანალან**. სახელწოდება "ნორმანები", უპირველეს ყოვლისა, ნორვეგიელთა წინაპრებს მიეკუთვნებათ, რაც დასტურდება, მაგალითად, ძველი რუსული "**Повесть временных лет**" -ით, რომელშიც "ურმანების" (ე.ი. ნორმანების – ნორვეგიელების) გვერდით მოხსენიებულნი არიან "სვიები" (ე.ი. შვედები). ამ დროს ნორვეგიის მოსახლეობის უმეტესობა შედგებოდა თავისუფალი მეთემეებისაგან. ისინი ცხოვრობდნენ დიდ პატრიარქალურ ოჯახებად. VIII-IX საუკუნეებში ნორვეგიის მიწაზე თემის შიგნით ქონებრივი დიფერენციაცია დაიწყო. ტომთა

შორის ომების პარალელურად სანაპირო ზოლში მცხოვრები ნორვეგიელთა წინაპრები ნადავლის მოსაპოვებლად აწყობდნენ თავდასხმებს ჯერ ახლო, ხოლო შემდეგ უფრო მოშორებით მცხოვრებ ტომებსა და ქვეყნებზე თითქმის ხმელთაშუა ზღვამდე. ხშირად ასეთი თავდასხმები ტერიტორიული დაპყრობებით მთავრდებოდა. თავდამსხმელებს თან მიჰყავდათ ტყვეები, რომლებზედაც ხშირად ქორწინდებოდნენ. ისინი დიდი პატრიარქალური ოჯახის თავისუფალ წევრებად იქცეოდნენ. მონების დიდი ნაწილი კელტური წარმოშობისა იყო – შოტლანდიიდან ან ირლანდიიდან. მათ შორის იყვნენ სლავები და რომანული ქვეყნების მცხოვრებნიც. ნორვეგიის დასავლეთი სანაპირო რაიონებიდან ხდებოდა ვიკინგების საზღვაო ლაშქრობები კელტურ-რომაულ ქვეყნებზე, რამაც გამოიწვია თეთრი და შავგვრემანი ანთროპოლოგიური ტიპების შერევა. სხვათაშორის, ნორვეგიელები დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიური რასის ბალტიურ ტიპს მიეკუთვნებიან. გამოირჩევიან სიმაღლით (განსაკუთრებით დასავლეთში).

პირველი ნორვეგიული სახელმწიფო IX საუკუნეში წარმოიქმნა, როდესაც **ერთ-ერთი ტომის კონუნგმა (წინამძღოლმა) ჰარალდ I ჰორფაგრემ (890-940 წწ.) იარაღის საშუალებით მოახდინა ტომთაშორისი ცენტრალიზებული კავშირის შექმნა.** 1537 წლიდან ნორვეგია დანიის პროვინციად იქცა. 1814 წელს ნორვეგიელებმა დამფუძნებელი კრება მოიწვიეს, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და კონსტიტუცია მიიღეს. ამის გამო შვედეთმა ნორვეგიასთან ომი გააჩაღა. ეს ომი შვედეთ-ნორვეგიის უნიით დასრულდა. ნორვეგიამ სრული დამოუკიდებლობა მხოლოდ 1905 წელს მოიპოვა. ნორვეგიიდან გადმოსახლებული ხალხით დასახლდა ფარერის კუნძულები და ისლანდია, რომლებმაც დასაბამი მისცეს ადგილობრივ მოსახლეობას: ისლანდიაში – ისლანიელ ხალხს და ფარერის კუნძულებზე – ფარერელ ხალხს. მათი ენისა და კულტურის საფუძველს წარმოადგენს ძველნორვეგიული ენა და კულტურა.

ისევე როგორც მთელ სკანდინავიაში, ნორვეგიაშიც – ვიკინგების ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამიწათმოქმედო ტექნიკა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მაშინ მოჰყავდათ ქერი, თალგამი, კომბოსტო. ქვეყანაში ითვისებდნენ ახალ მიწებს. დიდ ოჯახებს პატარა ოჯახები გამოეყოფოდნენ, რაც მათ გადასახლებას იწვევდა. ნორვეგიაში ეს გადასახლებები მიმდინარეობდა ბარის რაიონებიდან. ახალგადასახლებულები იყვნენ ღარიბი გლეხები.

ქრისტიანობა ძალით გავრცელდა. XI-XIII საუკუნეები ნორვეგიაში იყო ფეოდალურ ურთიერთობათა დამკვიდრების პროცესი. ნორვეგიელი გლეხები არასდროს არ იყვნენ ბატონყმურ დამოკიდებულებაში, სათემო ტრადიციები კი ნორვეგიულმა სოფელმა ჩვენს დრომდეც შემოინახა. ქრისტიანობის შემოღებით ქვეყანაში საღვთისმეტყველო (საეკლესიო) ენად ლათინური იქცა. XII საუკუნეში დამწერლობის ენად გაბატონებული იყო ლათინური. XV საუკუნეში გაძლიერდა დანიის კულტურული გავლენა. 1536 წელს, როდესაც დანიამ ძალადობის გზით ჩაატარა საეკლესიო რეფორმა ლუთერანიზმის ფორმით, დანიურმა ენამ შეცვალა ლათინური და იგი იქცა ჯერ ოფიციალურ საეკლესიო, შემდეგ კი ადმინისტრაციულ და სალიტერატურო ენად. ეკონომიკურად დაწინაურებულ რაიონებში, უფრო სწორად ოსლოს ოკრუგში, თანდათან ჩამოყალიბდა შერეული დანიურ-ნორვეგიული მეტყველება, რომლის ბაზაზე ახალი სალიტერატურო ნორვეგიული ენა ბუკმოლი (სახელმწიფო ენა) წარმოიქმნა, რომელიც სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ენად იქნა აღიარებული. ბუკმოლი, ფაქტობრივად, დაწერილი დანიურია, განსხვავება საკმაოდ მცირეა ამ ორ ენას შორის, ნორვეგიელების გამოთქმაა

განსხვავებული. არსებობს ასევე ნინოშკი, ენა, რომელიც შექმნა ნორვეგიელმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა ივარ ოსენმა. ნინოშკი ეფუძნება ნორვეგიის სხვადასხვა კუთხეების დიალექტებს. იგი იცის ნორვეგიელთა უმრავლესობამ და სასკოლო სახელმძღვანელოების ნაწილიც ამ ენაზეა დაწერილი. ნორვეგიული ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის სკანდინავიურ ენათა ქვეჯგუფს. მას აქვს 5 აღმოსავლურნორვეგიული და 26 დასავლურნორვეგიული დიალექტი. ნორვეგიელთა დამწერლობა ლათინურ ანბანს ეფუძნება

ნორვეგიაში ეკლესია კონსტიტუციით სახელმწიფოსაგან გამოყოფილი არაა. ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად აღიარებულია ევანგელისტური ლუთერანული სარწმუნოება. ეკლესიის უმაღლეს ხელისუფლად ითვლება მეფე, რომელიც კონსტიტუციით ევანგელისტურ ლუთერანულ რელიგიას უნდა აღიარებდეს, მხარს უჭერდეს და მფარველობდეს მას. ნორვეგიის ლუთერანი მღვდელი-პასტორი – სახელმწიფო მოხელეა. სკოლებში ღვთისმეტყველება აუცილებელი საგანია. ნორვეგიაში არიან კათოლიკეებიც. მოქმედებს აგრეთვე ორმოცდაათიანელთა, ბაპტისტებისა და ადვენდისტების მიმდინარეობანი, არსებობს ასევე ჰუმანურ–ეთიკური გაერთიანება, რომელიც საკამოდ ძლიერია.

ნორვეგიის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მაღალგანვითარებული საზღვაო ტრანსპორტი (XIX ს-დან "საზღვაო მეეტლეები"). ნორვეგიელთა სავაჭრო ფლოტი თავისი სიდიდით მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა.

მსოფლიოს ცნობილ მოგზაურთა შორის რამდენიმე ნორვეგიელია, რომელთა შორის **ფრიტოფ ნანსენის (1861-1930), რუალ ამუნდსენის (1872-1928) და ტურ ჰეიერდალის** დასახელებაც იკმარებს. ფართოდაა ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგის **ჰენრიკ იბსენის** (1829-1906) შემოქმედება. დიდი კომპოზიტორი იყო **ედვარდ გრიგი**(1843-1907).

შვედები

შვედების თვითსახელწოდებაა **სვენსკარ**, რომელიც უკავშირდება ძველგერმანულ ეთნონიმს **"სვეი"**. შვედებითაა დასახლებული შვედეთი. შვედების საერთო რაოდენობა 9 მილიონია, მათ შორის, შვედეთში 8,5 მილიონია. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში (820 ათასი), კანადაში (105 ათასი), ფინეთში (300 ათასი), დანიაში, ნორვეგიაში. **შვედები ნორვეგიელების, დანიელების, ისლანდიელებისა და ფარელელების მონათესავენი არიან**. ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიური რასის ბალტიურ ტიპს. შვედები ლაპარაკობენ შვედურ ენაზე, რომელიც მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის ჩრდილოურ ქვეჯგუფს. შვედურ ენაში რამდენიმე დიალექტს გამოჰყოფენ. დამწერლობა ლათინური გრაფიკის საფუძველზე აქვთ შედგენილი. რელიგიით შვედები ძირითადად (95%) ლუთერანები არიან. გვხვდებიან აგრეთვე კათოლიკეები, ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები და სხვ.

შვედეთის მოსახლეობის 98% შვედია. შვედი ხალხის ეთნიკურ საფუძველს წარმოადგენენ გერმანული ტომები: **სვიონები (სვეები), გერულები, გოთები, გაუტები** და სხვ., რომლებიც შვედეთში ძვ.წ. II და I ათასწლეულებში გადმოსახლდნენ. მათ ადგილობრივი ლოპარები ჩრდილოეთისაკენ განდევნეს. შვედების ეთნოგენეზსში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ფინელებმა და ლოპარებმა. შვედური ენის ფორმირება IX-X საუკუნეში მოხდა. შვედური ენის უძველესი ძეგლები (რუნული წარწერები) IX საუკუნეს მიეკუთვნიბა.

ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში შვედეთის მოსახლეობის საზოგადოებრივი წყობა თემურ-გვაროვნულიდან კლასობრივზე გარდამავალი იყო. შვედეთში დასახლებული გერმანული ტომები გვაროვნული თემიდან სამეზობლო თემზე გადადიოდნენ. VI-VII საუკუნეებში შუა შვედეთში წარმოიქმნა პირველი სახელმწიფო – სვეისის სახელმწიფო, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა სვიონებს ეკავათ ინლიგების დინასტიით. ამ პერიოდში ფართოდ გავრცელდა პატრიარქალური მონობა. VII-IX საუკუნეებში შვედეთს გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა რუსეთთან, ბიზანტიასთან, არაბულ აღმოსავლეთთან, ფრანკების სახელმწიფოსთან. IX-X საუკუნეებში გაცხოველებული ვაჭრობა და შვედი ვიკინგების ლაშქრობები თავისუფალ მეთემეებს შორის სოციალურ და ქონებრივ დიფერენციაციას მოწმობენ.

XII საუკუნეში ფეოდალიზმის განვითარებამ ქვეყანაში შვედთა გაქრისტიანება განაპირობა. შვედები კათოლიკეები იყვნენ, მაგრამ რეფორმაციის შემდეგ 1527-1532 წლებში მათი უმეტესობა ლუთერანელი გახდა. შვედეთში ეკლესია სახელმწიფოს არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოეყო.

გერმანელთა ბატონობისაგან თავის დაღწევის მიზნით 1397 წელს შვედეთის, დანიისა და ნორვეგიის კავშირით შეიქმნა კალმარის უნია, რაც დანიის გავლენის გაძლიერებას ნიშნავდა. XIV-XVI საუკუნეებში ჯერ გერმანელებთან, შემდეგ კი დანიელებთან ბრძოლამ გააძლიერა შვედთა ნაციონალური თვითშეგნება. შვედებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1477 წ. უპსალაში უნივერსიტეტის გახსნას. ამავე ქალაქის ღირშესანიშნაობას წარმოადგენს სკანდინავიაში ყველაზე გრანდიოზული გოთური ტაძარი, რომელიც XIV საუკუნეშია აგებული. აქვთ მხარეთმცოდნეობის, ეთნოგრაფიული და სამხატვრო მუზეუმები. უპსალა XII ს-დან იყო არქიეპისკოპოსის რეზიდენცია და 1719 წლამდე შვედეთის მეფეების კორონაციის ადგილი.

შვედების ნაციონალური თვითშეგნებისა და კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1523 წლის დიდი აჯანყების შემდეგ დანიასთან კავშირის გაწყვეტას. **აჯანყებას გუსტავ ვაზი ხელმძღვანელობდა. გუსტავ ვაზი შემდეგ მეფედ იქნა არჩეული.** ასე დაირღვა კალმარის უნია.

შვედი ხალხის ეთნიკური კონსოლიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შვედური ენის განვითარებას. ის XVI-XVII საუკუნეებში ჩამოყალიბდა და დაეფუძნა სვეის (ცენტრალურშვედურ) კილოსა და ნაწილობრივ ესტერეტის დიალექტს. 1648 წელს ე. აურივილიუსმა შვედური ენის პირველი გრამატიკა შეადგინა, რამაც შვედური ენის შესწავლა და გავრცელება გააადვილა. მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო მრავალრიცხოვანი დიალექტებისა და კილოების აღმოფხვრა, რომლებიც გლეხთა ყოფაში დღემდეა შემონახული.

შვედების აშშ-ში ემიგრაცია XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. მიგრანტთა შედარებითი რაოდენობით შვედეთს ამ საუკუნის 60-80-იან წლებში ევროპაში, ირლანდიის შემდეგ, მეორე ადგილი ეკავა.

დღეს შვედეთი კონსტიტუციური მონარქიული სახელმწიფოა. სახელმწიფოს მეთაურობს მეფე. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი – **რიკსდაგი.** მეფე სახელმწიფოს მეთაურად ითვლება, თუმცა მისი ხელისუფლება სიმბოლურია. შვედეთი ნეიტრალური ქვეყანაა. ნეიტრალიტეტს საფუძველი დღევანდელი მონარქიის დინასტიის საფუძვლის ჩამყრელმა კარლოს XIV-ემ დაუდო. დინასტია წარმოშობით ფრანგულია.

შვედეთი მსოფლიოში მოწინავე "სატყეო" ქვეყანაა. ტყის პროდუქციის წარმოებით ერთ სულ მოსახლეზე მას პირველი ადგილი უკავია.

1870 წლამდე შვედეთში სამოქალაქო უფლებები მხოლოდ ლუთერანებს ჰქონდათ. საეკლესიო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქვეყანა დაყოფილია 12 ეპარქიად.

შვედების მთავარი სახალხო დღესასწაულია შობა, რომლისთვისაც მზადება 2-3 კვირით ადრე იწყება. ხარშავენ ლუდს, აცხობენ პურს, სადღესასწაულო ნამცხვრებს (ღორის, თხისა და ვარსკვლავების ფორმებით). სტუდენტებსა და მოსწავლეებს შორის **დიდი პოპულარობით სარგებლობს ლიუსაის დღე (13 დეკემბერი). ამ დროს აწყობენ გოგონების მეჯლისს და ირჩევენ ყველაზე ლამაზ გოგოს.** შვედებში შემონახულია ფოლკლორი: ზღაპრები, ლეგენდები, ბალადები, სიმღერები, ცეკვები... შვედები ხალხურ კოსტიუმს დღესასწაულების დროს იცვამენ.

შვედეთში მეცნიერების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ბუნებისმეტყველმა **კარლ ლინეიმ** (1707-1778), რომელმაც 1739 წელს სამეფო აკადემია ჩამოაყალიბა. მან საფუძველი ჩაუყარა მცენარეთა და ცხოველთა მეცნიერულ სისტემატიკას. ლინეიმ აღწერა და სახელწოდება მიაკუთვნა მცენარეთა და ცხოველთა 10.000-ზე მეტ სახეობას. მისი თანამედროვე იყო **ანდერშ ცელსიუსი** (1701-1774), რომელმაც თავისი სახელი უკვდავყო 1742 წ. 100-გრადუსიანი ტემპერატურული სკალის გამოგონებით. მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე დინამიტის გამომგონებელმა **ალფრედ ბერნარდ ნობელმა** (1833-1896), რომელმაც დააწესა მთელ მსოფლიოში ცნობილი ნობელის პრემია. მსოფლიოში აღიარებული რეჟისორია **ინგმარ ბერგმანი** (დაიბ. 1918), მსახიობებიდან კი შეიძლება **ინგრიდ ბერგმანი** (1915-1982) დავასახელოთ. სახელგანთქმულია მწერალი **სელმა ლაგერლიოფი** (1858-1940). მთელი მსოფლიოს ბავშვების საყვარელი მწერალია **ასტრიდ ლინდგრენი** (1907-1999).

შვედებმა მსოფლიოში პირველებმა დაბეჭდეს ქაღალდის ფული. 1661 წელს სტოკჰოლმის ბანკმა ვერცხლის ფულის გამოშვება შეწყვიტა და ქაღალდის ფულის "დალერის" გამოშვება დაიწყო.

შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი თოთხმეტ კუნძულზეა განლაგებული (დაარსდა 1252 წელს), რომლებიც ერთმანეთთან ოცი ხიდითაა დაკავშირებული. შვედები თავიანთ დედაქალაქს **"ჩრდილოეთის ვენეციას"** უწოდებენ. შვედეთში სკოლების უმეტესობა სახელმწიფოა. შვედებმა მსოფლიოში პირველებმა შემოიღეს საყოველთაო უფასო სწავლება 7-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. საყოველთაო სწავლება კი 1842 წელს დააწესეს.

დანიელები

დანიელები იუტლანდიის ნახევარკუნძულისა და დანიის კუნძულების მოსახლეობის ძირითადი მკვიდრები არიან. დანია 500-მდე კუნძულის ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთა შორის 450 უმცირესია. დანიელთა თვითსახელწოდებაა **დანსკერე.** ისინი ძირითადად განსახლებულნი არიან დანიაში. მათი რაოდენობა 5,7 მილიონია, რომელთაგან დანიაში 5,1 მილიონზე მეტი ცხოვრობს. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე შვეციაში (38 ათასი), ნორვეგიაში (18 ათასი), გერმანიაში (100 ათასი შლეზვიგ-გოლშტეინის მიწებზე). დანიელ ემიგრანტთა შთამომავალნი ცხოვრობენ აშშ-ში (320 ათასი), კანადაში (90 ათასი) და ავსტრალიაში (6 ათასი). დანიელები ემიგრირებულნი არიან ძირითადად XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მკვიდრობენ აგრეთვე დანიელთა

სამფლობელოში – გრენლანდიაში (2 ათასი) და ფარერის კუნძულებზე (2 ათასი).

დანიელები ლაპარაკობენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის სკანდინავიური ქვეჯგუფის დანიურ ენაზე. დანიური ენა სამ დიალექტს მოიცავს. დანიური დამწერლობის უძველესი ძეგლები IX-XI საუკუნეებს მიეკუთვნება ("რუნული" დამწერლობა), რომლებიც ამოკვეთილია კონუნგების საფლავის ქვებზე. XIII-XIV საუკუნეებს ეკუთვნის ლათინური გრაფიკის საფუძველზე შესრულებული ხელნაწერები (ძველდანიური საოლქო კანონები). **1495 წ. დანიურ ენაზე დაიბეჭდა პირველი ნაბეჭდი წიგნი**.

დანია საზღვაო ქვეყანაა. მისი სახმელეთო საზღვარი მხოლოდ 68 კმ-ს შეადგენს, საზღვაოსი კი – 7.438 კმ. ქვეყნის ნაპირებს ეკვრის ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვები. რელიეფით იუტლანდია და ყველა კუნძული ბორნხოლმის გამოკლებით – ბარია. დანიის უმაღლესი წერტილი – ინდინგსუკი ძლივს აღწევს ზღვის დონიდან 173 მეტრს. ნალექების საერთო რაოდენობა ხელსაყრელია მემინდვრეობისათვის. დანია ევროპაში ყველაზე უტყეო ქვეყნად ითვლება. ტყეები აქ ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო საქმიანობის შედეგად განადგურდა.

დანიის ტერიტორიაზე ადამიანის პირველი ნაკვალევი ჩნდება 12 ათასი წლის წინ – მეზოლითის ხანაში. თანამედროვე დანიისა და სამხრეთ შვეციის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები სკანდინავიის დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით განვითარების უფრო მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. უცნობია, რა დროიდან მოვიდნენ აქ ის ტომები, რომელთა ენას შეიძლება გერმანული ან პროგერმანული ვუწოდოთ. ფიქრობენ, რომ გერმანულენოვანი ტომები აქ დასახლდნენ ბრინჯაოს ხანის დასაწყისში. გასული ერის დასასრულსა და ჩვენი ერის დასაწყისში დანიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ტევტონები (იუტლანდიის ჩრდილოეთით), მათგან სამხრეთით – კიმვრები, იუტლანდიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე – ამბრონები, ანგელის ნახევარკუნძულზე, რომელიც თანამედროვე გერმანულ შლეზვინგთანაა, ცხოვრობდნენ ანგლები. ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნეში იუტები და ანგლები ბრიტანეთში გადასახლდნენ. მათგან წარმოიშვა გეოგრაფიული სახელწოდებები – იუტლანდია და ინგლისი. გვიან, X საუკუნეში იუტლანდიის სამხრეთ ნაწილში შვედი ვიკინგების მიერ დაარსებული სამეფო არსებობდა. იუტლანდიიდან იყვნენ გამოსული აგრეთვე ვანდალები, რომლებიც ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე აქედან სამხრეთით, სილეზიაში, აგრეთვე პირენეის ნახევარკუნძულზე და შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში წავიდნენ.

დანების ტომობრივი სახელწოდება ცნობილია ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფისათვის **(დანოი)** და გუთების ისტორიკოს იორდანისათვის **(დანი)**. ძველინგლისური ფორმა ამ სიტყვისა **"დანე"** გვხვდება ანგლოსაქსურ ეპოსში "ბეოვულფი". იორდანის მიხედვით, დანები შვედეთიდან გამოვიდნენ, რომლებმაც აქედან გერულები გაყარეს. დანებიდან წარმოიქმნა მათ მიერ დაკავებული მიწების სახელწოდება – "დანმარკ" (სიტყვასიტყვით: დანების მიწა, ანუ დანია).

დანები და ზემოთ დასახელებული ტომების ნაწილი დანიელი ხალხის ფორმირების ეთნიკურ საფუძვლად იქცნენ. დანიელების შემადგენლობაში ნაწილობრივ შევიდნენ იუტლანდიის სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრები **ფრიზებიც** და ბალტიისპირელი სლავები.

ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა ხანებში იუტლანდიისა და კუნძულების მოსახლეობა ჯერ კიდევ თემური წყობილებით ცხოვრობდა. მათი მთავარი საქმიანობა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა იყო. VI-IX

საუკუნეებში აქ თემის შიგნით ქონებრივი დიფერენციაცია დაიწყო. I ათასწლეულის ბოლოს პატარა ტომები ერთმანეთს შეერწყნენ და წარმოიქმნა სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგა **კონუნგი**. IX საუკუნის დასაწყისში დანიელი კონუნგი გოდფრედი (+810 წ.) უკვე ფლობდა მთელ დანიას, შვეციის სამხრეთ ნაწილსა (სკონე) და შლეზვინგის დიდ ნაწილს.

სკანდინავიის ისტორიაში პირველყოფილი წყობილებიდან ფეოდალიზმზე გადასვლის ეპოქა ესაა ე.წ. **ვიკინგების ეპოქა (დაახლ. 800 წლიდან 1050 წლამდე).** ვიკინგების ლაშქრობებმა და დაპყრობებმა დანიაში ფეოდალიზაციის პროცესი დააჩქარეს. მათ საფუძველი ჩაუყარეს ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას. 866 წელს დანიელი ვიკინგი გუტრუმი გადავიდა აღმოსავლეთ ინგლისში, მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო და თავი მეფედ გამოაცხადა. 911 წელს დანიელმა და ნორვეგიელმა ვიკინგებმა მდ. სენის შესართავთან ნორმანდიის საჰერცოგო დაარსეს. დღეს საფრანგეთის ამ პროვინციას ნორმანდიას უწოდებენ (კონტინენტურ **ევროპაში ყველა სკანდინავიელი ვიკინგი ეთნონიმ "ნორმანის" სახელით იყო ცნობილი).** ვიკინგების პერიოდში აღმოსავლეთ ინგლისისა და ნორმანდიის ახალმოსახლეები ლაპარაკობდნენ მათ მშობლიურ სკანდინავიურ ენებზე, ძირითადად დანიურზე, რასაც აღმოსავლეთ ინგლისის ისტორიული ოლქის ანელაწ-ის სახელწოდებაც ადასტურებს.

დანიური სალიტერატურო ენის საფუძვლად იქცა სახელმწიფოს ყველაზე დასახლებული კუნძულის – ზელანდიის დიალექტი, უპირატესად კოპენჰაგენის მეტყველება. ამ დროს დანიური ენა გავრცელდა აგრეთვე ჩრდილოეთში, ნორვეგიულ მიწებზე, სადაც ის ადმინისტრაციულ და საეკლესიო ენად იქცა.

დანიელებმა ქრისტიანობა მიიღეს მეფე ჰარალდ ლურჯკბილას დროს (940-985), რომელმაც ეკლესიას მიწები მისცა და ფეოდალური პრივილეგიები მიანიჭა. დღეს დანიელები ძირითადად ლუთერანები, აგრეთვე სხვადასხვა პროტესტანტული მიმდინარეობის მიმდევარნი და კათოლიკეები არიან. დანიაში კათოლიკური სარწმუნოება XVI საუკუნეში შეიცვალა ლუთერანიზმით, რომელიც სახელმწიფო რელიგიად იქცა; ეს იმას ნიშნავდა, რომ ეკლესიის მეთაურს მეფე წარმოადგენდა. დანიელებში ძალიან პოპულარულია წმინდა ჰანსისა და წმინდა ლუსიას დღესასწაულები. წმინდა ჰანსის დღეს დანიის მთელ სანაპიროზე კოცონებს ანთებენ. წმინდა ლუსიას დღეს კოლექტიურად აღნიშნავენ სკოლებში, უნივერსიტეტებსა და დაწესებულებებში. რეფორმაციის შემდეგ ლათინური, რომელიც ეკლესიის ენა იყო, დანიურით შეიცვალა და აქედან მოკიდებული საეკლესიო ლიტარატურა მხოლოდ დანიურ ენაზე გამოდიოდა. მაგრამ დანიურ სამეცნიერო ლიტერატურაში XVIII საუკუნის ბოლომდე ლათინური ენა იყო გაბატონებული. ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში დანიის უძველეს – კოპენჰაგენის უნივერსიტეტში (დაარსდა 1479 წელს) ყველა დღესასწაულის აღსანიშნავად ლათინურ ენას იყენებდნენ.

1874 წელს დანიას ჩამოშორდა ნორვეგია.

დანია იყოფა 25 ადმინისტრაციულ ოკრუგად (ამტებად). სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმით დანია საკონსტიტუციო მონარქიაა. დანიელთა 62% ქალაქებში ცხოვრობს. დანიაში 78 ქალაქია და ამათგან 100 ათასზე მეტი მცხოვრები მხოლოდ სამ ქალაქშია (კოპენჰაგენი, ორხუსი, ოდენსე).

დანიელთა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დღესასწაულია მეფის დაბადების დღე, რელიგიური დღესასწაულებიდან კი შობა და აღდგომა.

დანიურმა ნაციონალურმა კულტურამ თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამ თვალსაზრისით **ჰანს ქრისტიან ანდერსენის** (1805-1875) სახელის დასახელებაც იკმარებს, რომლის ზღაპრებიც პლანეტის ყველა კუთხეში უყვართ. საყოველთაო ევროპული აღიარება აქვს მოპოვებული მწერალ **ლუდვიგ ჰოლბერგს** (1684-1754). ის იყო დანიური თეატრის ფუძემდებელი და ავტორი წიგნისა "დანიის სახელმწიფოს ისტორია".

XVI საუკუნემდე დანიელი ხალხის ანთროპონიმიული მოდელი ისეთივე იყო, როგორიც დღეს ისლანდიელებს აქვთ – ის ინდივიდუალური სახელისა და მამის სახელისაგან შედგებოდა. მოდელის მეორე წევრი, მამის სახელი ბოლოვდებოდა –სენ-ით. ძალიან ხშირად აქ მამის სახელს საცხოვრებელი ადგილის სახელწოდება ცვლიდა. თავდაპირველად გვაროვნული მემკვიდრეობითი სახელები თავადაზნაურობას გაუჩნდა. 1526 წელს დანიის მეფის მიწერილობით აზნაურებს ურჩიეს გვაროვნული სახელების ოფიციალურად გაფორმება. გლეხთა შორის მემკვიდრეობითი სახელების დამკვიდრება XIX საუკუნეში დასრულდა – მამის სახელები პიდაპირ გვარსახელებად გარდაიქმნა. დანიაში მემკვიდრეობითი სახელების დაახლოებით 40% -სენ სუფიქსით ბოლოვდება. რაც შეეხება ტოპონიმიური ტიპის გვარებს, ისინი – (ლ)იინგ ფორმანტს ირთავენ.

დანიის დედაქალაქ **კოპენჰაგენს "ჩრდილოეთის პარიზს"** უწოდებენ. აქაა ბევრი ტაძარი, ციხე-სიმაგრე, მუზეუმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. თოფჩიშვილი, "ევროპის ხალხთა ეთნოლოგია.
2. www.wikipedia.com

ეკონომიკა, ბიზნესი

თინათინ ბარჯაძე

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

კონფლიქტის დარეგულირების ეკონომიკური ბერკეტები

ხელმძღვანელი: პროფესორი გიული გიგუაშვილი

კონფლიქტები ჩვენი ცხოვრების რეალობას წარმოადგენს. იგი არის სიტუაცია, რომელშიც მხარეების მიზნები შეუთავსებადია, ან მხარეები აღიქვამენ მათ შეუთავსებადად.

კავკასიის რეგიონი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სხვადასხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესის საგანს და მათი გეოპოლიტიკური მისწრაფებების ბრძოლის ველს. საბჭოთა კავშირსა და ზოგადად რუსეთს ამ რეგიონში ყოველთვის

ლიდერის პოზიცია ეჭირა და აქ არსებული პატარა ერების ბედს ხშირად თავისი სურვილისამებრ განაგებდა. სამხრეთ კავკასიის კონტროლირება ყოველთვის წარმოადგენდა რუსული პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს, ხოლო 1992-93 წლებში რეგიონში წარმოქმნილი კონფლიქტების ჯაჭვმა, კიდევ უფრო გაზარდა რუსეთის როლი და ყურადღება.

საბჭოთა კავშირის და ზოგადად რუსეთის ძირითადი დასაყრდენი ყოველთვის იყო სამხედრო ძალა, რაც მისი "წარმატების" უმთავრეს გარანტს წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი როცა საქმე ეხებოდა ეთნიკურ და სეპარატისტულ კონფლიქტებს. მოდავე ქვეყნებისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენას რუსეთი ამართლებდა, როგორც არსებული კონფლიქტების გადაჭრის ერთადერთ გზად, თუმცა სინამდვილეში ეს სამხედრო დახმარება და ზოგადად რუსეთის, როგორც მედიატორის როლი, უფრო აღრმავებდა არსებულ კონფლიქტს. ამის საუკეთესო მაგალითად კი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი შეიძლება დავასახელოთ.

15 წლის წინ, 1992 წლის 14 აგვისტოს კავკასიის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე ეთნიკური კონფლიქტი - ქართულ-აფხაზური - ფართომასშტაბიან, 14 თვის განმავლობაში მიმდინარე ომში გადაიზარდა. ქართულ-აფხაზური სამხედრო დაპირისპირების ძირითადი შედეგები გახდა:

8 ათასი ადამიანის დაღუპვა (ორივე მხარეს);

ეკონომიკური ზარალი 11,3 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით;

აფხაზეთში ეთნოდემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა და ქართული უმრავლესობის ეთნიკურ უმცირესობად გადაქცევა

ამჟამად თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, უდიდეს გავლენას ახდენს კავკასიის რეგიონში დიდი გეოპოლიტიკური თამაშების მსვლელობაზე. «აფხაზეთის საკითხი» საქართველოსა და რუსეთს შორის მთავარი «განხეთქილებაა». რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ისტებლიშმენტის ერთი ნაწილის პროაფხაზური სიმპათიები უაღრესად უწყობს ხელს საქართველოს პროდასავლურ კურსს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სომხეთზე - რუსეთის ფედერაციის ძირითად მოკავშირეზე კავკასიაში.

ფორმალურ-იურიდიულად აფხაზეთი საქართველოს ნაწილს წარმოადგენს. ფაქტიურად კი მდინარე ფსოუდან მდინარე ენგურამდე არსებულ ტერიტორიაზე საქართველოს სუვერენიტეტი არ ვრცელდება. აფხაზეთის ხელმძღვანელობა ვერ აკონტროლებს მხოლოდ პატარა ნაწილს მდინარე კოდორის სათავეებთან. კონტროლი 2006 წლის ივლისამდე თბილისის მხრიდანაც არ არსებობდა. ამჟამად კი საქართველოს ხელმძღვანელობა აფხაზეთის ძნელად მისადგომ რაიონში დაფუძნებას და მის პლაცდარმად ქცევას ცდილობს.

1993 წელს საქართველოს სამხედრო დამარცხებას აფხაზეთთან კონფლიქტში არა მარტო გეოპოლიტიკური შედეგები ჰქონდა (საქართველომ ტერიტორიის 12,5% და შავი ზღვის სანაპირო ზოლის 200 კმ დაკარგა), არამედ აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობის მასიური გადასახლებაც გამოიწვია. სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, ეთნიკური კონფლიქტის სამხედრო ფაზა «დამარცხებული» ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების გაძევებით დასრულდა. სხვადასხვა მონაცემებით, აფხაზეთი 200 ათასზე მეტმა ქართველმა დატოვა. აფხაზი ლიდერები მზად იყვნენ ქართული მხარისთვის ყველაზე უფრო მწვავე პრობლემა - «ლტოლვილთა» საკითხი განეხილათ. ამისთვის ერთადერთ პირობად ასახელებდნენ ქართული მოსახლეობის შემოწმების ჩატარებას და 1992-1993 წლების საბრძოლო მოქმედებების მონაწილეთა «გაცხრილვას».

აფხაზურმა მხარემ არაერთხელ გამოთქვა შიში იმასთან დაკავშირებით, რომ «ლტოლვილების» დაბრუნებამ და ქართველების სასარგებლოდ ეთნოდემოგრაფიული ბალანსის შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი ეთნიკური წმენდა, ამჯერად ქართველთა მხრიდან.

აფხაზეთის ლიდერები «განსაკუთრებული შემთხვევის» სახით განიხილავდნენ ქართველი (მეგრელი) ლტოლვილების დაბრუნებას ეთნიკური შემადგენლობით ყველაზე უფრო «ქართულ» გალის რაიონში. 1989 წლის მონაცემებით, ამ რაიონში ქართველები მოსახლეობის 93%-ს შეადგენდნენ. აფხაზი ლიდერების მიერ არაერთხელ იქნა უგულებელყოფილი საქართველოს შემადგენლობაში «ყველაზე ფართო ავტონომიის» იდეა.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის მიერ უკანასკნელ პერიოდში გადადგმული ნაბიჯები იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ მოსკოვი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში პუტინის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის შეცვლას არ აპირებს.

ფაქტია, რომ რუსეთი ცდილობს როგორმე აიცილოს საქართველოს ტერიტორიის ანექსატორის სახელი, დარჩეს კონფლიქტების მოგვარებაში შუამავალი, ანაც პროვოცირება გაუკეთოს საქართველოში არსებულ ვითარებას და არიოს სიტუაცია.

რუსეთის მიერ საქართველოს განდევნილი რეგიონების აღიარების შემდეგ, აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსია გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს– სამხედრო, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, კულტურის და სხვა სფეროებში "ორმხრივი ხელშეკრულებების" გაფორმების საშუალებით უშუალოდ რუსების ხელში გადადის " აფხაზეთის საზღვრების" გაკონტროლების, სტრატეგიული ობიექტების- რკინიგზისა და აეროპორტის მართვის, აფხაზეთის კონტინენტურ შელფზე ნავთობისა და გაზის საძიებო და დაზვერვითი სამუშაოების წარმართვის ბერკეტები. გარდა ამისა, სოჭის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად აფხაზეთის ზღვის სანაპიროდან ინტენსიურად მიმდინარეობს ინერტული მასალების გატანა, რაც მხარეს ეკოლოგიურ კატასტროფას უქადის. ეკონომიკური ექსპანსიის პარალელურად, რუსეთის მიერ ასევე მიზანმიმართულად ხორციელდება აფხაზი ერის ასიმილირება-შთანთქმისა და აფხაზის, როგორც ერის გაქრობის პროცესი. რომელსაც თან სდევს აფხაზური ენის ფუნქციების დაქვეითება და მისი ფაქტიური ამოვარდნა სახელმწიფოებრივი კონტექსტიდან.

რუსეთმა ნიკარაგუასთან ტანდემში, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით ნიშნი მოუგო მთელს მსოფლიოს, მათ ლიდერებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და მიანიშნა, რომ რუსეთისთვის დაბრკოლებები და ხელისშემშლელი ფაქტორები არ არსებობს, საჭირო შემთხვევაში ის დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად , საერთაშორისო სამართლის ფეხქვეშ გათელვით წყვეტს ისეთ რთულ საკითხებს, როგორიცაა სუვერენული სახელმწიფოსათვის ტერიტორიების ჩამოჭრა და მერე მათი დამოუკიდებლობის დეკლარირება. ასე არის თუ ისე, აფხაზმა სეპარატისტებმა ამბიციები დაიკმაყოფილეს, თუმცა ამ აქტს თანამდევი პროცესები ახლავს, რომლებიც რუსულ-აფხაზური "სიყვარულის ისტორიას" უსიამოვნო ელფერს აძლევს. ეს უსიამოვნებანი კი სწორედ იმ "მეგობრული"

ხელშეკრულებებიდან მომდინარეობს, რომლის საშუალებით რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1992-93 წლებში ომის შედეგად წაგლეჯილ ძირძველ ტერიტორიის მისაკუთრების გაფორმება ხდება. ეს პროცესი ხელს უწყობს აფხაზეთის "ხავერდოვან " შთანთქმას რუსეთის მიერ. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ აფხაზეთის სეპარატისტულმა რეჟიმმა ამას წინათ კომპანია "როსნეფტთან" ნავთობის და გაზის საბადოების მოძიებასა და დამუშავებაზე აფხაზეთის შელფში ხელშეკრულება გააფორმა. ეს მოხდა რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ოპოზიციამ რუსეთის პრეზიდენტს მედვედევს თხოვნით მიმართა, გაითვალისწინოს აფხაზეთის ინტერესები და არ წაართვას უფლება თავად აკონტროლოს სატრანსპორტო და ენერგეტიკული სისტემები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმალვე გააპროტესტა რუსეთის მიერ აფხაზეთის კონტინენტურ შელფზე ნავთობისა და გაზის საბადოებზე დაზვერვითსაძიებო სამუშაოების წარმოება და ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებაც გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთის სახელმწიფო კომპანია "როსნეფტსა" და აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმს შორის გაფორმებული შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც დაზვერვითი და საძიებო სამუშაოების წარმოებას ითვალისწინებს, საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს უხეშად არღვევს. თუმცა , რასაკვირველია ამ პროტესტს ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია როგორც სეპარატისტების, ასევე არც რუსეთის ფედერაციის მხრიდან , რომელმაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარების შემდეგ ახალი ხელშეკრულებებით გაამყარა ამ რეგიონების ფაქტიური ექსპანსია. ცოტათი ადრე კი, როგორც ცნობილია, რუსეთმა სეპარატისტულ მთავრობასთან "აფხაზეთის საზღვრის ერთობლივ გაკონტროლებას" მოაწერა ხელი, თუმცა როგორც გამოირკვა, ხელშეკრულების გაფორმებიდან მცირე ხანში რუსმა სამხედროებმა აფხაზი მებაჟეები საზღვრის მთელი პერიმეტრიდან და საგუშაგოებიდან გააძევეს და რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრების გაკონტროლებას თავად შეუდგნენ. ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ კი უკვე ძალა და იმედმოცემულმა ოკუპანტებმა უფრო ინტენსიურ რეჟიმში განაგრძეს განდგომილი რეგიონის ეკონომიკური ათვისება. ამის დასტურად აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ კომპანია "როსნეფტთან" დადებული უკანონო ხელშეკრულებაც კმარა, რომელსაც სპეციალური პუბლიკაცია მიუძღვნა რუსულმა გაზეთმა "როსიისკაია გაზეტამ," რომელიც მკითხველს დაბეჯითებით არწმუნებს იმაში , რომ აფხაზეთის შესაბამისი პროფილის უწყებებისა და "როსნეფტის" ფედერალური სააგენტოს წინასწარი გათვლებით რესპუბლიკაში შავი ოქროს საერთო მარაგი 200-220 მილიონი ტონით განისაზღვრება. საბადო, ძირითადად, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. ამ მარაგის ათვისების შემდეგ, აღნიშნავს გაზეთი, აფხაზეთი, შესაძლოა, ნავთობის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი გახდეს არა მარტო კავკასიაში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე და ნავთობის ექსპორტის თვალსაზრისით აზერბაიჯანსაც კი გაუსწროს.

”თუ აფხაზეთის სანაპიროზე ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა აშენდება, მაშინ შავი ზღვის რეგიონში წარმოიქმნება ახალი, მსხვილი ნავთობგადამმუშავებელი- ნავთობსაექსპორტო ტერმინალი ტუაფსეს(რუსეთი), ბათუმი(საქართველო), კონსტანცა(რუმინეთი), ოდესა, ხერსონი(უკრაინა) ტერმინალების კვალდაკვალ”,-აღნიშნავს გაზეთი და ცდილობს, აფხაზეთის ”ნავთობის რესპუბლიკად” გადაქცევისათვის ხელის შეშლაში გასული საუკუნის 70 -იანი წლების საბჭოთა საქართველოს ხელისუფალნი დადანაშაულოს. სტატიის ავტორის თქმით, აფხაზეთის ნავთობრესურსების წინაისტორია ”თითქმის დეტექტიურია”, ” გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც აფხაზეთში აღმოჩნდა და წინასწარ დაზვერვა ნავთობის პირველი საბადოები, საქართველოს ხელისუფლებამ ხელი შეუშალა აფხაზეთის ’ნავთობის რესპუბლიკად’ გადაქცევას, რადგან შეეშინდა, რომ ეკონომიკური გაძლიერების შედეგად აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსს მოითხოვდა რსფსრ-ს შემადგენლობაში და საქართველოზე დამოკიდებული არ იქნებოდა.” პუბლიკაციის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ თბილისის ხელისუფალნი მოითხოვდნენ, რომ ამ რესურსების ათვისების შემთხვევაში, გათვალისწინებული ყოფილყო დანარჩენი საქართველოს პრიორიტეტული მოთხოვნები ნავთობზე და მისი გადამუშავების საქმეში უპირატესად ქართველი ჩაერთოთდა არა აფხაზი სპეციალისტი-კადრები. მაგრამ, თურმე, როგორც გაზეთი მიუთითებს, 1950-იან წლებში სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკისათვის, მათ შორის კავკასიის რესპუბლიკებისათვის არსებობდა მკაცრად განსაზღვრული ეკონომიკური ჩარჩოები. მაგალითად, აზერბაიჯანს ეკისრებოდა ყოფილყო რეგიონის ენერგეტიკული ბაზა, საქართველოს– ძირითადი სასოფლო სამეურნეო პროდუქტების, მარგანეცის და ზოგიერთი ფერადი ლითონის მწარმოებელმიმწოდებელი და რაც მთავარია, ამიერკავკასიის საკურორტო ბაზა. აქედან გამომდინარე, ასკვნის გაზეთი, აზერბაიჯანის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ გადააფიქრებინა მოსკოვს აფხაზეთში ნავთობის მოპოვება, რადგან თვლიდნენ, რომ ეს შეაფერხებდა კავკასიაში აზერბაიჯანის ლიდერობას ნავთობ-გაზის საკითხში.სომხეთის ხელისუფლება და ექსპერტები კი მხარს უჭერდნენ აფხაზეთში ნავთობის მოპოვებას, რათა თავი დაეღწიათ ნავთობისა და გაზის მხრივ აზერბაიჯანზე თითქმის ასპროცენტიანი დამოკიდებულებისაგან.

პუბლიკაციის ავტორის თქმით 1980-იან წლებში აფხაზური გაზისადმი ინტერესი თურქეთმაც გამოავლინა, რომელსაც აქეთკენ იქაურმა აფხაზურამა დიასპორამ უბიძგა. დღეს მისი რაოდენობა თურქეთში 500000 ადამიანს შეადგენს, რაც გაცილებით მეტია თავად აფხაზეთის მოსახლეობაზე –წერს გაზეთი. ზოგიერთი თურქული ფირმა აფხაზებს წინადადებას სთავაზობს, რომ ააშენებდნენ ტრანს- შავი ზღვის ნავთობგამტარს აფხაზეთის სანაპიროდან თურქეთამდე. მაგრამ ამაოდ. სტატიის ავტორის თქმით, ამგვარი რეალობის გამო საბჭოთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ყველაფერი ისე დაეტოვებინათ, როგორც იყო. არ დაერღვიათ ამიერკავკასიის რესპუბლიკების წინანდელი ეკონომიკური სპეციალიზაცია და არ მოსვლოდათ უთანხმოება არც თბილისთან, არც ბაქოსთან და არც სხვებთან. ”იმ

დროიდან აფხაზური ნავთობის მარაგის შესახებ ცნობა გასაიდუმლდა, ხოლო მისი შემდგომი დაზვერვა დააკონსერვეს.”-წერს გაზეთი, რომელიც, როგორც ჩანს, საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას ადანაშაულებს აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეების, ნავთობისა და გაზის პოტენციალის მიჩქმალვასა და აფხაზეთის შემდგომი განვითარებისა და გაფურჩქვნის გზების დაბლოკვაში.

როგორც გაზეთი იმედოვნებს, დღეს სწორედ ნავთობი შეიძლება იქცეს აფხაზეთის სწრაფი კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შესაბამისად მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში მისი როლის ამაღლების ათვლის წერტილად. ”სწორედ ნავთობიდან დაიწყეს განვითარება და სახელმწიფოს მშენებლობა 1960-იან წლებში კუვეიტმა, ბახრეინმა, ბრუნეიმ, კატარიმ. დღეს ისინი მსოფლიოში პატარა, მაგრამ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ»« -აღნიშნავს გაზეთი და ცდილობს მკითხველიც დაარწმუნოს იმაში, რომ აფხაზეთიც უახლოეს მომავალში იმ ქვეყნების გზას დაადგება, რომლებმაც შავი ოქროს აღმოჩენით, დამუშავებითა და ექსპორტით, აყვავებასა და გაფურჩქვნას მიაღწიეს. თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ამგვარი იმედებისა და ოპტიმისტური წიაღსვლებისა, ექსპერტების უმეტესობა სკეპტიკურად არის განწყობილი აფხაზეთში ნავთობსაძიებო სამუშაოების მიმართ. ბევრი ფიქრობს, რომ სანაპიროს გადათხრა აფხაზეთს სასურველ მიზნამდე ვერ მიიყვანს.

რუსეთის ეკონომიკის მინისტრის შეფასებით, უმსხვილეს რუსულ სანავთობო კომპანიასთან შეთანხმება დაკავშირებულია არა მხოლოდ რესპუბლიკაში საინვესტიციო ნაკადების განვითარებასთან, არამედ ეს ელემენტარული აუცილებლობითაც აიხსნება. "აფხაზეთის ეკონომიკის ზრდას მივყავართ ენერგომატარებლების ზრდად მოთხოვნებთან",- აცხადებს ის.

ეკონომიკის მინისტრის საპირისპიროდ, ექსპერტების აზრი იყოფა რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით ნედლეულის საკითხში. ერთნი დიდ მომავალს წინასწარმეტყველებენ, სხვები კი ბუნებრივი რესურსების მოპოვებას უპერსპექტივოდ მიიჩნევენ.

ნავთობისა და გაზის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორის ანატოლი დმიტრიევსკის თქმით, ნახშირის მარაგი აფხაზეთში ჯერ კიდევ საბჭოთა გეოლოგებმა აღმოაჩინეს, ხოლო ზღვის ქანებში ნავთობის მარაგი შეადგენს 350-დან 500 მლნ ტონამდე. "ამას გარდა, აქ მზად არის ყველანაირი ინფრასტრუქტურა- პორტები, მილსადენები, იქვე პოტენციური მომხმარებელიცაა",- აცხადებს ექსპერტი. ენერგეტიკისა და ფინანსების ინსტიტუტის დირექტორის ვლადიმირ ფეიგინის შეფასებით კი აფხაზეთში რესურსების მოპოვება ფლანგვა იქნება იმდენად, რამდენადაც ნავთობი შავ ზღვაში ძალიან ღმრად მდებარეობს. სიტუაციას, ექსპერტის აზრით, აფხაზეთის სტატუსიც ართულებს, რადგანაც რუსეთს მოუწევს ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება მხოლოდ ნიკარაგუასთან ერთად, რადგანაც ამ უკანასკნელის გარდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა არც ერთმა ქვყანამ არ სცნო. რუსებისგან განსხვავებით, ექსპერტი მამუკა არეშიძე, იმ აჟიოტაჟს, რომელიც ამ ბოლო დროს აფხაზეთის საბადოებზე ატყდა, პიარკამპანიად მიიჩნევს.
”ოჩამჩირის საბადო მიუდგომელ ადგილასაა და მისი ექსპლუატირება უახლოეს მომავალში მაინც შეუძლებელი მგონია. იმ ადგილას, სადაც ნავთობი უნდა მოიპოვონ,

რუსების გეგმით, შავი ზღვის ფლოტი უნდა განლაგდეს. გარდა ამისა, როგორ ფიქრობთ, აფხაზეთის გაძლიერება რუსეთს ხელს აძლევს? ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, აფხაზეთმა მართლაც მოითხოვოს დამოუკიდებლობა. რუსეთი ასჯერ აწონის, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამს.”-აცხადებს ექსპერტი.

აფხაზეთში ნავთობის არსებობა საეჭვოდ მიაჩნიათ ანალიტიკოსებს, რომლებიც თვლიან, რომ ეს საკითხი დაახლოებით იმ კატეგორიას განეკუთვნება, როგორიცაა კითხვა ” არის თუ არა სიცოცხლე მარსზე”, რასაც შეიძლება ასეთი პასუხი მოყვეს– ეს ჯერჯერობით მეცნიერების მიერ აღმოჩენილი არ არის.

”თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ აუბედურებს დღეს აფხაზეთის უნიკალურ ლანდშაფტს რუსეთში ხე-ტყის, მდინარის ინერტული მასალების და სხვა ნედლეულის გატანა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა მოხდება, თუ აქ მართლაც მოიძიებენ ნავთობს. ეს ნამდვილად ”გააშავებს” აფხაზეთის მთელ სანაპიროს, და თანაც საეჭვოა, რომ აფხაზეთის ეკონომიკას “ოქროს მთები” მოუტანოს. რუსეთი იპოვის ხერხს, როგორ ამოქაჩოს ეს ნავთობი უფასოდ, დაგროვილი ვალის, ან უპრეცედენტო სამხედრო დახმარების სანაცვლოდ.–მიიჩნევს საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი ”რაკურს. გე” რომელიც მიუთითებს, რომ მართალია, აფხაზური საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ ნავთობის მარაგი შელფზე 300-500 მილიონ ტონას შეადგენს, მაგრამ ამის შესახებ დიდი ეჭვები არსებობს. საბჭოთა კავშირის დროსაც კი , რომლისთვისაც ენერგომატარებლების ექსპორტი პოლიტიკური საკითხი იყო, რადგანაც ამით იკვებებოდა და იმართებოდა მთელი ქვეყანა, აფხაზური ნავთობის შესახებ არაფერი იყი ცნობილი.

მაშ საიდან გაჩნდა ეს სენსაციური ინფორმაცია? ნუთუ რუსეთს გაუჩნდა თანამედროვე საძიებო მოწყობილობები, მით უმეტეს, რომ საუბარია ზღვის ფსკერზე? ”ალბათ, საქმე მაინც სხვა რამეში გახლავთ, თვლის ”რაკურს . გე”-. რუსეთის ნავთობმომპოვებელ კომპანიებს ახლა გაუჩნდათ მშვენიერი საბაბი, რომ გადათხარონ აფხაზეთის მთელი სანაპირო. ნავთობი კი საკმაოდ ხუშტურიანი ქალბატონია და ძნელი იქნება ვინმე დაადანაშაულო, თუ ის ხელიდან გაუსხლტებათ. ხოლო ის, რომ აფხაზეთი საბოლოოდ დაემშვიდობება საკუთარი ეკონომიკის მთავარ და ყველაზე პერსპექტიულ დარგს - ტურიზმს, არანაირ ეჭვებს არ ტოვებს. აბა აქ რა დამოუკიდებლობაზეა საუბარი?”

”მაშ რა არის ასე მნიშვნელოვანი მათთვის, ვინც დღეს აფხაზეთში მუსიკას უკვეთავს?”–სვამს კითხვას სტატიის ავტორი და იქვე პასუხიც მზადა აქვს: ალბათ ის არის მნიშვნელოვანი, რომ რუსები წაუგებელ თამაშს თამაშობენ. იქნება ნავთობი თუ არა, თვითაღიარებული რესპუბლიკა რუსეთზე კიდევ უფრო დამოკიდებული აღმოჩნდება. მის უნიკალურ კორორტებს გლობალური პოლიტიკური თამაშების გამო ისედაც არ მოაქვს დიდი მოგება. აქ, ძირითადად, მამაცი რუსი ტურისტები ჩამოდიან, დაბალი ფასების გამო. თუ საჭირო გახდა, ”როსნეფტი” მათაც მიხედავს.” ასკვნის სტატიის ავტორი.

ექსპერტების აზრით ეკონომიკური ექსპანსიის აშკარა ნიშნები და რელიეფი იკვეთება აგრეთვე იმ მხრივაც, რომ აფხაზეთში რუსი ბიზნესმენები გამალებით იძენენ უძრავ- მოძრავ ქონებას. ამას აადვილებს ის, რომ აფხაზეთში რუსეთმა ხელოვნურად ასწია ფასები უძრავ ქონებაზე იმდენად, რომ მისი შეძენა ადგილობრივ მცხოვრებლებს არ შეუძლიათ, სამაგიეროდ ათჯერ გაზრდილი ფასების ფარგლებში რუსი ინვესტორები ყიდულობენ ყველაფერს– კერძო სახლებს, შენობა - დაწესებულებებს, მიწებს, მდინარეებსა დ ტყეებს. მართალია, აფხაზეთის კანონმდებლობა კრძალავს უცხოელებზე უძრავი ქონების მიყიდვას, მაგრამ რუსებმა

აქაც იპოვეს გამოსავალი – ნაყიდ კაპიტალს და ბიზნესს ისინი ადგილობრივ, საიმედო აფხაზებზე აფორმებენ. თუმცა აფხაზეთში ქონების ყიდვა- შეძენის საქმეს სეპარატისტული მთავრობა უახლოეს ხანებში რუსებს გაცილებით გაუადვილებს. ცოტა ხნის წინ ბაღაფშმა განაცხადა, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით კანონში ცვლილებებს პარლამენტი უახლოეს მომავალში განიხილავს, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აფხაზეთში ბინების შეძენის საშუალებასაც მისცემს.

ბაღაფშის ამ განცხადებამ ოპოზიციურ პარტიებში მწვავე კრიტიკა გამოიწვია. მათი თქმით, ამ ნაბიჯით აფხაზეთის ხელისუფლება ხელს უწყობს ასიმილაციას და აფხაზური ეთნოსის თანდათანობით გაქრობას. ”ჩვენ ამის გამო არ ვიბრძოდით თავისუფლებისთვის უკანასკნელი 15 წელი”, - ამბობენ ოპოზიციონერები. როგორც საინფორმაციო საშუალებები წერენ, აფხაზური უძრავი ქონების მიმართ ინტერესი სოჭის ოლიმპიადამ გააღვივა: ფასები საცხოვრებელზე სოჭში კატასტროფულად მაღალია და ახლა რუსები ცდილობენ ფული მეზობელ აფხაზეთში დააბანდონ, სანამ იქ ჯერ კიდევ სიიაფეა.

თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს სიიაფე მოჩვენებითია, რადგან ადგილობრივ აფხაზებს არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, რომ უძრავი ქონება შეიძინონ. ” აფხაზებს არ შეუძლიათ თავიანთთვის ამგვარი ძვირადღირებული ქონების შეძენა, - გულდაწყვეტილი ამბობს გაზეთ ”Чегемская правда”-ს მთავარი რედაქტორი ინალ ხაშიგი.რუსულ გაზეთთან ”კომერსანტთან” ინტერვიუში,- ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ჩვენ სხვა ფასები გვქონდა. მაგრამ რუსი ინვესტორები გვკარნახობენ თავიანთ პირობებს. ჯერ კიდევ 5 წლის წინ ჩვენ მხოლოდ ვოცნებობდით ინვესტიციებზე. მაგრამ ახლა ყველა ხვდება: ინვესტიციაცაა და ინვესტიციაც. ოლიმპიადის მოახლოვებასთან დაკავშირებით 90-ანი წლების მსგავსი ეპოქის საფრთხე ბრუნდება: საკუთრების გადაკეთება, თავდასხმა, დაცხრილვები. ჩვენ კი მცირე ერი ვართ და უნდა ვიფიქროთ ეროვნულ ინტერესებზე.

ხაშიგის თქმით აფხაზები მადლიერები არიან რუსების, მაგრამ კარგად ესმით, რომ რუსეთმა მისი ინტერესების სასარგებლოდ აღიარა აფხაზეთი..” დამამცირებელი მდგომარეობა, რომელშიც მუდმივად ვართ, როცა ჩვენი პრეზიდენტი პუტინს სთხოვს ფულს და რუსეთს ჩვენს სტრატეგიულ ობიექტებს აბარებს, ბევრს არ მოსწონს.” ამბობს ხაშიგი და ინტერვიუში პირდაპირ აცხადებს, რომ პუტინი მათ აფხაზეთში სამხედრო ბაზების განთავსების სანაცვლოდ აძლევს ფულს. თუმცა იმასაც არ უარყოფს, რომ აფხაზებმა რეალური დამოუკიდებლობა ვერ მიიღეს. ” ჩვენს საზღვრებთან რუსი სამხედროები დგანან. საზღვრის საგუშაგოები მთლიანად რუსი მესაზღვრეების ხელშია და აფხაზეთის იურისდიქცია ამ საზღვრებზე არ ვრცელდება. ჩვენს პრეზიდენტს ამ საგუშაგოების ინსპექტირებაც კი არ შეუძლია.”- ამბობს ხაშიგი. ოპოზიციის ლიდერები აფხაზეთის ხელისუფლებას რუსეთისთვის სტრატეგიული ობიექტების გადაცემის გამო აკრიტიკებენ და აცხადებენ, რომ ”ხელისუფლების ნაჩქარევ, დაუფიქრებელ მოქმედებებს ანტირუსული განწყობილებების გამოვლენისკენ მივყავართ ”. მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთს ეს არ აშინებს.

- სამი მილიარდის კრედიტი, რომელიც აფხაზეთმა რუსეთისგან აიღო და რომლის დაბრუნებასაც ის ალბათ ვერ შეძლებს - არის გირაო რუსეთზე ჩვენი დამოკიდებულების, - თვლის ინალ ჰაშიგი, - უბრალოდ, ჩვენ მაშინვე ვერ მივხვდით, თუ რა საფასურის გადახდა მოგვიწევდა დამოუკიდებლობის აღიარებისთვის. ინალის მოსაზრებით აფხაზეთის რუსეთთან მიერთების საკითხი ადრე თუ გვიან დადგება: საკმაოდ დიდია რუსული ბიზნეს-სტრუქტურების ეკონომიკური ინტერესები ამ რეგიონში. ეს რომ არ მოხდეს, უკვე დღეს უნდა გაეწიოს წინააღმდეგობა რუსეთის

ეკონომიკურ ექსპანსიას,'- თვლის ის.

აფხაზებში ოსებისგან განსხვავებით რუსეთთან ინტეგრაციის საკითხი სულაც არ არის პოპულარული. ისინი თვლიან, რომ დღეისათვის აფხაზეთში არსებობს იმის წინაპირობები, რომ "ქვეყანამ" დამოუკიდებლად იარსებოს , თუმცა აფხაზებს შორის უფრო შორსმჭვრეტელნი კარგად ხედავენ , რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა ფიქციაა, რუსეთმა ეს სატყუარა კარგად გამოიყენა მალემრწმენი აფხაზების გასაცურებლად და მავანთა სეპარატისტული ამბიციების გამოსაკვებად. თუმცა ახლა ბევრი ხვდება, რომ აფხაზებს არა მარტო ეკონომიკური ექსპანსია, არამედ ასიმილირება და საბოლოოდ გაქრობა ემუქრება . ამის ნიშნები უკვე სახეზეა. სწორედ აქეთკენ მიისწრაფვიან რუსი ოკუპანტები, რომლებიც სხვადასხვა ხერხით ცდილობენ მიაღწიონ დასახულ მიზანს და ხელოვნურად შეცვალონ აფხაზეთში დემოგრაფიული სიტუაცია. რუსეთმა თავდაპირველად ქართველებით დაიწყო და აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიმართ გენოციდი და ეთნოწმენდა განახორციელა . შედეგად რეგიონში დემოგრაფიული სურათი ძირფესვიანად შეიცვალა და აფხაზეთის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა 300000 ქართველი. იმ პერიოდში აფხაზები ფიქრობდნენ, რომ რუსეთი ამას მათი სიყვარულითა და სიმპატიებით აკეთებდა და " დამოუკიდებლობით" ტკბობას მიეცნენ, მაგრამ გავიდა წლები და დღეს უკვე აშკარაა, რომ რუსეთს ისევე აინტერესებს აფხაზები და მათი ეროვნული ინტერესები, როგორც სხვა დანარჩენი. საქმე იმაშია, რომ დღეს რუსეთი, რომელმაც ნიკარაგუასთან ერთად აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ვერ ითმენს და თავისი შორსმიმავალი მიზნების განხორციელებას უკვე დაჩქარებული ტემპებით განაგრძობს, აფხაზეთში, გარდა ადგილობრივი რუსი მაცხოვრებლებისა, ამ დროისათვის უკვე ჩამოყვანილია და დასაქმებულია 5 ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც აფხაზეთის საქართველოსაგან " დაცვის " საბაბით იმყოფებიან ამ ტერიტორიაზე და უახლოეს ხანებში საკუთარი ოჯახის წევრების ჩამოსახლებასაც აპირებენ. ვრცელდება ინფორმაცია ასევე იმის თაობაზეც, რომ გალის რაიონში მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვლენ რუსი ექიმები, დამხმარე სმედიცინო პერსონალი და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც" კვალიფიციურად მოემსახურებიან" ადგილობრივ მაცხოვრებლებს. იგეგმება ასევე გალის რაიონის რუსული სკოლების სათანადოდ აღჭურვა და კეთილმოწყობა იმისათვის, რომ ამ სკოლებში შემდეგ გალში ჩამოსახლებული რუსი სამხედროების და მედპერსონალის ბავშვებმა ისწავლონ. გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით სოჭის ოლიმპიადისათვის მზადების ფარგლებში რუსები 100 000 დაქირავებული მუშის ჩამოყვანასაც გეგმავენ, რომელთაც მათი თქმით, "დროებით" დაასახლებენ აფხაზეთში. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის დუმის სპიკერმა გრიზლოვმა სოხუმში ჩასვლისას ღიად განაცხადა და დამსწრე საზოგადოებას იქვე შეახსენა, რომ "რუსეთის მიერ აფხაზეთში ჩადებული სახსრების გასტუმრებას აფხაზეთი საოლიმპიადო მშენებლობით შეძლებს."

"დაახლოებით 100'000-მდე მუშას, რომლებიც ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის პროცესში უნდა დაკავდნენ, რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთში განათავსებს: სოჭში თავისუფალი საცხოვრებელი ადგილები არ არის, არც ასაშენებელი ადგილია, თან ძალიან ძვირი დაჯდება, ხოლო აფხაზეთში კიდევ არის დიდი, ჯერ კიდვ აღუდგენელი საბჭოთა დროის სასტუმრო კომპლექსები, რომელთა გამოყენებაც სავსებით შესაძლებელია."–განაცხადა გრიზლოვმა სოხუმში ვიზიტისას. ესეც შენი დემოგრაფიული სიტუაცია! თუ ასე გაგრძელდა, აფხაზეთში რუსები უმრავლესობა იქნება. აფხაზი ერი კი თავისთავად უმცირესობაში აღმოჩნდება, რითაც

რუსეთი თავისი გეგმების განხორციელების პირველ ეტაპს დაასრულებს. ამის შემდეგ კი ექსპერტების აზრით, აფხაზი ერის ასიმილაცია შთანთქმის პროცესი იმდენად სწრაფად განხორციელდება, რომ ისინი თვალისდახამახამებასაც ვერც კი მოასწრებენ, რომ საკუთარ მხარეში სტუმრის სტატუსში აღმოჩნდებიან. ამას ხელს შეუწყობს ისიც, რომ დიდი ხანია აფხაზური ენა რუსულითაა ჩანაცვლებული. ისედაც მცირე საურთიერთობო არეალი, რომელიც აფხაზურ ენას გააჩნია, რუსული ენის შემოტევების გამო კიდევ უფრო ვიწროვდება, რასაც შეუძლებელია მტკივნეულად არ აღიქვამდეს აფხაზთა ის ნაწილი, რომელიც კარგად ხედავს, რომ რუსეთისადმი ზედმეტმა მიმდობლობამ მათ დიდი თავსატეხი გაუჩინა. დღეს უკვე აშკარაა– აფხაზები თვითმყოფადობას კარგავენ. თვითმყოფადობის უპირველესი გამოვლინება ენაა, და როცა მოყვარედ მოსული მტერი ენას გართმევს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ამით გართმევს საკუთარი იდენტურობის გაცნობიერების საშუალებას. აფხაზური ენა კი დღეისათვის დიდი საშიშროების წინაშე დგას– მას გაქრობა ემუქრება , რაზეც მინიშნება არაერთხელ გააკეთეს არა მარტო ქართველმა მეცნიერებმა, საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, არამედ რუსი ხალხის იმ პროგრესულად განწყობილმა ნაწილმაც, რომელმა კარგად იცის, საით უკაკუნებს იმპერიული მანქანა. ამ მხრივ საინტერესოა

ჟურნალ ”ვლასტში” დაბეჭდილი რუსეთში მოღვაწე თურქული წარმოშობის აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის ინტერვიუს შეხსენება მკითხველისათვის, სადაც მწერალი რუსი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა ენაზე ლაპარაკობენ დღეს აფხაზები, შემდეგნაირად პასუხობს:”მთელი აფხაზეთი რუსულად ლაპარაკობს. ჩემი ახალგაზრდობის წლებში, ჩემს ბავშვობაშიც ასე იყო. თუმცა 60–70 წლის უკან საკმაოდ დიდი ზეგავლენა ჰქონდა თურქულ ენას. სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთმანეთში ხშირად თურქულად ან რუსულად ლაპარაკობდნენ. მე ოდესღაც ცოტათი მესმოდა კიდეც თურქული, მაგრამ მოსკოვში დიდი ხნის ცხოვრებამ ეს ენა დამავიწყა

– იუნესკო აფხაზურ ენას მკვდარ ენათა რიცხვს მიაკუთვნებს.
– ძნელია შეედავო იუნესკოს, ეს მეცნიერული თემაა. მე ვერ ვგრძნობ ასეთ საშიშროებას, არ მესმის რამდენად რეალურია ეს. იმედი მაქვს ეს არ მოხდება.” ფაზილ ისკანდერის მსგავსად აფხაზი სეპარატისტების ერთ ნაწილსაც სურს დაიჯეროს, რომ ”ეს ასე არ მოხდება,” მაგრამ გარემოებები და შექმნილი ვითარება მოვლენებს სულ სხვაგვარად წარმოაჩენს. აფხაზური ენა დიდი საშიშროების წინაშე დგას, დღეს დგება ჟამი, რომ ენგურსგაღმაც და გამოღმაც, ყველამ ერთად ხმა ავიმაღლოთ აფხაზური ენის გენოციდის წინააღმდეგ და მისი გადარჩენისათვის მთელს მსოფლიოს დახმარება ვთხოვოთ. თუმცა, ეს უპირველეს ყოვლისა, აფხაზებმა უნდა ითაონ და თავიანთ პრობლემას რეალურად შეხედონ, სხვაგვარად ხვალ შეუძლებელი იქნება ამ ენის გადარჩენა.

ამ ფონზე არანაკლებ საგანგაშოა ისიც, რომ აფხაზეთში დემოგრაფიული სიტუაციის შესაცვლელად გააქტიურებული რუსეთის ხელისუფლება, უახლოეს ხანებში მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით მოსახლეობის აღწერასაც გეგმავს. ამ მიზნით თავისი ფონდიდან 40 მილიონი მანეთის გამოყოფას აპირებს, რომელსაც მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილ 50 მილიონ დოლარსაც დაამატებს და მისი მცდელობით, 2011 წლისათვის აფხაზეთში შექმნილი შცვლილი დემოგრაფიული სიტუაციაც დაფიქსირდება. საინტერესოა, რუსეთის გარდა კიდევ ვის სჭირდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული დემოგრაფიული სურათის წარმოჩენა და რატომ აინტერესებს ხელოვნურად შეცვლილი დემოგრაფიული სურათის დაფიქსირება

მსოფლიო ბანკს, რომელიც წესის და რიგის მიხედვით, ასეთი საეჭვო პროექტების განხორციელებაში არ უნდა ერეოდეს.

ამ კითხვაზე, რასაკვირველია პასუხი არ არსებობს, მაგრამ არსებობს რეალობა, რომელიც აფხაზეთში ყალიბდება, – დღეს აფხაზთა შეგნებულმა ნაწილმა კარგად უნდა გაიცნობიეროს, რომ რუსეთი მისთვის სულაც არ არის ის კეთილი გადია, რომელიც მხოლოდ იმით დაკმაყოფილდება, რომ აფხაზებმა თავიანთი სახელმწიფო შექმნან, დამოუკიდებლობა მიიღონ და მსოფლიო თანამეგობრობას შეუერთდნენ, ასეთი რამ რუსეთის ინტერესებში ცხადია,არ შედის, უფრო მეტიც , დღეს უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ აფხაზები როგორც ინსტრუმენტი, რუსებმა საკუთარი იმპერიული ამბიციების განსახორციელებლად გამოიყენეს, თვდაპირველად მტრობა და შუღლი ჩამოაგდეს ორ, ერთმანეთის მონათესავე და მოძმე ერს შორის, შემდეგ კი აფხაზების ”დაცვის” საბაბით ქართველები საკუთარი სახლ-კარიდან გამოაძევეს და დამნაშავე ერად გამოაცხადეს, დღეს კი უკვე მასიურად და დაჩქარებული ტემპებით დაიწყეს აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ათვისება, რომელიც სამწუხაროდ, იმით დასრულდება, რომ აფხაზი ერიც ამ თექვსმეტი წლის წინ აფხაზეთიდან გამოდევნილი ქართველების ბედს გაიზიარებს. თუმცა, აქაც იქნება მცირეოდენი განსხვავება– ქართველებს ოკუპანტებმა იმიტომ დაატოვებინეს მშობლიური კუთხე და სახლ-კარი, რადგან მათ უარი თქვეს მონის სტატუსზე, საკუთარი ენისა და იდენტურობის დაკარგვაზე, რასაც ვერ ვიტყვით იმ ადამიანების შესახებ, ვინც საკუთარი იდენტურობა და ენა ფიქტიური დამოუკიდებლობის გამო, რუსეთის სასარგებლოდ გაწირა.

ამირან ლაფაჩიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრატურა

კონფლიქტის მოგვარების ეკონომიკური ბერკეტები

ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა ქავთარაძე

1. ისტორიის მიმოხილვა

ისტორია განსაზღვრავს იმას თუ, როგორ უნდა ვიმოქმედოთ აწმყოსა და მომავალში, ამისთვის გავიხსენოთ ის მთავარი ასპექტები რის გამოც დღეს 2010 წელს გვაქვს ასეთი რთული ქონფლიქტები.

ოსების, როგორც ხალხის ჩამოყალიბება ძვ. წ. VIII-IX საუკუნეებიდან დაიწყო, როცა კავკასიაში გამოჩნდა სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომები, რომლებიც შეერივნენ კავკასიის აბიგენურ მოსახლეობას და მოახდინეს მათი ენობრივი ასიმილაცია. X-XIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში შეიქმნა ოსების ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო. XIII-XIV საუკუნეებში თათარ-მონღოლთა და თემურლენგის შემოსევათა შედეგად ბარის მოსახლეობამ კავკასიონის ქედის ხეობებში გადაინაცვლა და ჩამოყალიბდა თაგაურის,

ქურთათის, ალაგირის და დიგორის საზოგადოებები. იმავე ხანებში დაიწყო ოსების დამკვიდრება კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და გამოიყო ოსი ხალხის სამხრეთი შტო. ოსები ემორჩილებოდნენ ქართლის სამეფო ხელისუფლებას და ცალკეულ სათავადო სახლებს.

ოსების შიდა ქართლში დასახლება უმნიშვნელოვანესი იყო მათი მუდმივი საცხოვრებლის ჩამოყალიბებისთვის. მათ ამით უზრუნველყვეს დოვლათი და ჩამოაყალიბეს საზოგადოება, საზოგადოება, რომელიც ქმნიდა ნაყოფს, რომელსაც ქონდა ურთიერთობები და ფასეულობები. მათი ჩასახლება შიდა ქართლში, საქართველოს ყველაზე ქართულ რეგიონში, განპირობებული იყო სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო ფაქტორებით.

პირველად ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" გამოიყენა პირველად 1830 წელს "ტფილისკი ვედომოსტში" (N 72 - 88) გამოქვეყნებული წერილების სერიაში გამოიყენება. ეს იყო სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის პირველი გამოყოფა მთელი ისტორიის მანძილზე.

ურთიერთობა გართულდა, როდესაც 1922 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკებმა სამხრეთ ოსეთი ავტონომიურ ოლქად გამოაცხადეს. კოფლიქტში აქაც ერთ ფრონტზე ბოლშევიკები და ოსი სეპარატისტები ხოლო მეორე მხარეს კი ქართველები არიან.

ქართულ ოსური კონფლიქტის რეგიონში 1989 წლის ომი ყველას გვახსოვს. ომიდან დაახლოებით 8 წელი დასჭირდა იმას, რომ ჩამოყალიბებულიყო ერგნეთის ბაზარი, ერგნეთის ბაზრის ჩამოყალიბებამ გამოიწვია ცხინვალის მახლობლად არსებული სოფლების მოსახლეობის და ცხინვალის მოსახლეობის მოთხოვნილებებმა. უფრო მჭიდრო კავშირი იყო მანდამდე გორთან, მაგრამ არსებულ ქართულ სოფლებსა და ცხინვალს შორის სულ რამდენიმე კილომეტრია, გორამდე კი საკმაოდ დიდი მანძილია იმისთვის, რომ უბრალოდ პროდუქტი შეიძინო ოჯახისთვის. ამიტომ ამ რეგიონის მოსახლეობა პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული გახდა ამ ბაზარზე, დასაქმებული იყო 2000ზე მეტი ადამიანი და 1000 მდე არაპირდაპირ. ფაქტიურად მოსახლეობა ცხოვრობდა ამ ბაზრით

მსგავსი სიტუაცია იყო გალში როდესაც შეიქმნა ერთობლივი სათევზო მეურნეობა, შედარებით პატარა მასშტაბებით, მაგრამ მასაც იგივე ეფექტი ჰქონდა, როგორიც ერგნეთის ბაზარს, დაიწყო იქ დასახლებული ხალხის დაოჯახება, საერთო საქმემ იქ მყოფ საზოგადოებას შეუქმნა საერთო ინტერესები, ფასეულობები.

2. კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, საერთო კომპლექსი და ეკონომიკის ადგილი მასში

კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე საუბრის დაწყებამდე საჭიროა გამოვყოთ ორი ასპექტი მიზეზები რომლებმაც გამოიწვია კონფლიქტი და მიზეზი, რომელმაც გამოიწვია უშუალოდ ომი, შეიარაღებული შეტაკება. ლოგიკურია, რომ ჯერ ორ მხარეს შორის წარმოიშვება გარკვეული მიზეზები, რომლებიც იწვევენ კონფლიქტურ სიტუაცია. იძაბება სიტუაცია ორ მხარეს შორის, შემდეგ გარაშე ან სხვა რაიმე ძალების გავლენით ასეთი დაპირისპირება იზრდება ომში.

გარეშე მიზეზები შეიძლება იყოს, დაფინანსების წყარო, მოტივატორი.

საჭიროა შევადაროთ ერთმანეთს, რომელი უფრო ჯობდა ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მიმდინარეობდა ერგნეთში, თუ მისი დახურვა?

ამის დასადგენად საჭიროა გამოვყოთ ერგნეთის ბაზრის დადებითი და უარყოფითი მხარეები, და შემდეგ ანალიზი იმისი თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები მისი დატოვების შემთხვევაში და როგორ განვითარდა მოვლენები მისი დახურვის შემდეგ. არის თუ არა ერგნეთის დახურვა ერთ-ერთი მოტივატორი ცხინვალის მოსახლეობისთვის რუსეთის შემადგენლობაში შესვლისა?

ერგნეთის ბაზრის ფუნქციონირების დადებითი და უარყოფითი მხარეები	
დადებით მხარეები	უარყოფილი მხარეები
1. 3000 სამუშაო ადგილი 2. ნათესაური კავშირების მოტივაცია რეგიონში 3. საერთო ინტერესები ბაზარზე 4. არანაირი კოფლიქტი ორ ეროვნებას შორის 5. ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლობა 6. მოსახლეობის მუდმივი მიმოსვლა კოფლიქტურ რეგიონში 7. წილი სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტში 80%	1. კონტრაბანდა 2. კორუმპირებული სისტემა 3. ბაჟის პრობლემა 4. ზარალი ყოველწლიურად კონტრაბანდული საქონლით 120 000 000 $(ზარალში იგულისხმება ის, რომ უბრალოდ არ შედიოდი ის, რაც ამ ბაზრიდან უნდა შესულიყო, მაგრამ დახურვის შემდეგ, ხომ მაინც არ შევიდა)

როგორც ვხედავთ საერთო პრობლემას წარმოადგენს საგადასახადო სისტემა რეგიონში და მისი რეგულირების გზები. კოფლიქტური სიტუაციიდან გამომდინარე რეგიონში ისედაც უნდა იყვეს გარკვეული დათმობები და გამარტივებული საგადასახადო სისტემა, რათა ბიზნესის და კანონმდებლობის არ მცოდნე ხალხმა შეძლონ პროდუქციის ამ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის დარგებიდან, ბიზნესის განვითარება, ეკონომიკური დოვლათის სექმნა, თავის ოჯახისთვის და აქედან გამომდინარე მთელი რეგიონისთვის. მითუმეტეს, რომ ათეულობით ქართული და ოსური სოფელი იყო დამოკიდებული ამ ბაზრობის პროდუქციაზე, საჭირო იყო სურსათი, შხამ-ქიმიკატები, საწვავი, გაზი, ტანსაცმელი და სხვა მრავალი. მთელი ეს რეგიონი ერგნეთიდან მარაგდებოდა

გაზით. ეს ლოგიკურია რადგანაც მანძილი ამ სოფლების გორსა და ცხინვალს შორის საქმაოდ დიდია. *სურათი N1*



სურათი N1

ერგნეთის ბაზრის დახურვის დადებითი და უარყოფითი მხარეები	
დადებით მხარეები	უარყოფილი მხარეები

1. საბაჟო შემოსავლები 01.2004-08.2004 გაიაზრდა 107%-ით 2. ამოღებული ჯარიმები 08.2004 500 000 ლარი	2. ეკონომიკური ურთიერთობების შეწყვეტა რეგიონის მცხოვრებლებს შორის 3. ცხინვალის ბიუჯეტის დარტყმა 4. საზოგადოების უარყოფითი განწყობა

რა თქმა უნდა განვითარებადი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია კორუფციასა და კონტრაბანდასთან ბრძოლა, მაგრამ ასევე გაასათვალისწინებელია, რომელი ჯობია აუკრეფავი გადასახადები ბიზნესიდან, რომლის გაქრობის შემდეგ მაინც ამ ბაზრიდან არაფერი შემოვა, და რასაც დაემატება კონფლიქტის გამწვავება, თუ თუნდაც მომუშავე ერგნეთი და შეხმატკბილებული ცხოვრება, სრულიად რეალური იყო ბაზრის ნელ-ნელა რეფორმირება, გადასახების შეპარვა და ასე შემდეგ, ან თუნდაც <u>თავისუფალ ეკონომიკურ ზონად</u> გამოცხადება.

მოდით ვთქვათ, რომ რუსეთი არ ჩადიოდა ცხინვალში და არ აძალებდა არავის გიდათ თუ არა მოდით და შემოგვიერთდითო, რა თქმა უნდა რუსეთის დაზვერვა და "კგბ" დიდი ხანია ამაზე მუშაობს, ისინი აგორებდნენ სხადასხვა მოძრაობებს და პროვოკაციებს თანაც საკმაოდ ნაყოფიერად, ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს მოძრაობა "ადამონ ნხასი" (ხალხის სიტყვა).

ოსური მოსახლეობის მოტივაციები	
საქართველოში დარჩენის მოტივაციები	რუსეთისკენ ლტოლვის მოტივაციები
1. ფართო ავტონომია 2. ქალაქის რეკონსტრუქცია	1. ძლიერი ეკონომიკა 2. მაღალი პენსიები 3. ხარისხიანი და დაბალი ფასის პროდუქტი

მოტივაციები დღეს ოსურ მოსახლეობას რუსეთისკენ ლტოლვისა გაცილებით უფრო დიდი აქვს, სხვა საკითხია არის, თუ არა რუსეთის ეკონომიკა ძლიერი ან რითი სულდგმულობს ის. მაგრამ ოსი მოსახლეობა მონდომებულია ამ ეკონომიკაზე დამოკიდებულებით და მაღალი პენსიებზე. ისინი ხომ მხოლოდ

ადამიანის მოთხოვნილებების პირველ ეტაპს ითხოვენ, და არა კულტურულ ან სხვა მოთხოვნილებებს.

თუ გადავხედავთ მასლოუს ან ალდერფერის ადამიანის მოთხოვნილებათა

ალდერფერი

პირამიდას

მასლოუ

ადამიანის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე რუსეთში ისინი ხედავენ პირამიდის პირველ ნაწილს. სწორედ ეს არის ხალხის მოტივაციის ერთერთი მიზეზი. ის რაც ჩვენ შეიძლება დავპირდეთ, რუსეთში უკვე არის.

<u>გაზრის ჩამოყალიბება სწორედ არსებობის საშუალებების ალტერნატივას შექმნის კონფიქტურ რეგიონში.</u>

3. კონფლიქტის მოგვარების ეკონომიკური ბერკეტები

ფლიქტების მოგვარების საერთო უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს ეკონომიკა, ეკონომიკური ურთიერთობები. თვით ეკონომიკურ ურთიერთობებში

გამოვყოთ ის ასპექტები, რომლითაც შეიძლება ურთიერთობის აგორება ორ კონფლიქტურ მხარეს შორის, ესენი შეიძლბა იყვეს:

1. სასურსათო პროდუქტით ვაჭრობა
2. წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლით ვაჭრობა
3. სოფლის მეურნეობის დარგებში თანამშრომლობა
4. ტექნოლოგიები
5. მომსახურება
6. საბანკო სექტორი (პაკეტები)
7. საწარმოები და ***<u>თავისუფალი ეკონომიკური ზონა</u>***

განვიხილოთ სათითაოდ. პროდუქტით ვაჭრობაში ვგულისხმობ, ყველა სახის პროდუქტს. მაგალითად: ფქვილი, შაქარი, ტკბილეული, ზეთი და ა.შ. სწორედ ეს იყო მთავარი ბერკეტი ერგნეთის ბაზრის ფუნქციონირებაში. ასევე არა ერთი შემთხვევა იყო პროდუქციის დისტრიბუციისა თბილისში და გორში. ამისათვის სტრატეგიულად უნდა შეირჩეს ადგილი სადაც ხელი მიუწვდება ყველაზე მეტ მესახლეობას ორივე მხრიდან და ასევე სადაც ყველაზე ნაკლები რუსული ფორმირებეი არიან.

ცხინვალში, ქართულ სოფლებში და ოსურ სოფლებში უამრავი დხესასწაულია, რომელსაც ყოველთვის ერთად ან ცალცაკე აღნიშნავდნენ. ქართულ სოფლებში, განსაკუთრებით სოფელ ერედვში, საქონლის ყველაზე დიდი მყიდველები იყვნენ ცხინვალელები. მუდვიმად მოდიოდნენ და ყიდულობდნენ საქონელს ამა თუ იმ დღესასწაულისთვის. ესეც ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ქართულ ოსურ ურთიერთობებში.

თანამედროვე სამყაროში ადამიანის ყველაზე დიდი მოთხოვნილება საარსებო საშუალებების შემდეგ არის ტექნოლოგიები, ყველა სახის ტექნოლოგია, იქნება ეს სოფლის მეურნეობის დასამუშავებელი თუ უბრალოდ კომპიუტერი. საჭიროა არსებული კონფლიქტური რეგიონების მაქსიმალურად კომპიუტერიზირება, რაც იქნება საფუძველი მომდევნო ინფორმაციული ზემოქმედებისა.

ჩვენ ვიცით თუ, როგორი მნიშვნელოვანი საბანკო სექტორი ბიზნესის განვითარებისთვის, უნდა ჩამოყალიბდეს, პაკეტები და პირობები, რომელიც რენტაბელური იქნება ბანკებისთვის და ასევე მიმზიდველი მოსახლეობისთვის, იაფი სესხები არის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი ეკონომიკური დამოკიდებულების შექმნაში.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის იდეალური გამოსავალი კონფლიქტურ რეგიონში, მით უმეტეს, რომ ასეთი ზონით ინტერესდება ბევრი უცხოური კომპანია, კონფლიქტის დარეგულირებაში დიდ როლს ითამაშებს უცხოური კომპანიები და მათი ურთიერთობები კონფლიქტურ რეგიონებში.

4. ეკონომიკური პროექტების იმპლემენტირების სტრატეგია კონფლიქტურ რეგიონში

ეკონომიკური ურთიერთობები რომელიც მიმდინარეობდა ორ კონფლიქტურ ზონაში არ იყო ინიცირებული სახელმწიფოს მიერ. არსებული ბაზრები წარმოიშვა თავისთავად, თვითრეგულირებით. ის წარმოშვა ადამიანურმა მოთხოვნილებებმა.

თუ გადავხედავთ 1989 წელს დაწყებულ ომს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის არანაკლები სისასტიკით და დაღუპულთა რაოდენობით გამოირჩეოდა, ადგილი ქონდა შოვინისტურ აფეთქებებს. ძალიან ხშირი იყო წამების ფაქები ორივე მხრიდან, რასაც ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე სისხლის აღების ფაქტები და ასე შემდეგ. მაგრამ გავიდა დაახლოებით ათი წელი და ეს ყველაფერი ქართველებს და ოსებს აღარ ახსენდებოდათ ერთმანეთის დანახვისას და გვერდიგვერდ ვაჭრობისას, ისინი ერთად მუშაობდნენ მაღაზიებში და ერთად დადიოდნენ სავაჭროდ. როგორც ცხინვალში ასევე ქართულ სოფლებშიც უპრობლემოდ გადაადგილდებოდა ყველა, ამუშავდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი რამაც ასევე ხელი შეუწყო მიმოსვლის აღდგენას. არსებობდა ეკონომიკური დამოკიდებულება ორივე მხარეს შორის.

დღეს ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი კონფლიქტების მოგვარებაში უნდა იყოს ეკონომიკური ბერკეტები.

სტრატეგიის მთავარ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ***ეკონომიკური დამოკიდებულების*** შექმნა კონფლიქტურ რეგიონში, წინა მაგალითებიდან გამომდინარე არსებული პროექტის ნაყოფი საშუალოდ 8 - დან 12 წლის შემდეგ არის შესაძლებელი.

არსებობს რა თქმა უნდა საკითხები, რომლებიც მაშინ არ იდგა დღის წესრიგში, მაგალითად რუსეთის ჯარი არ იდგა იმ მასშტაბებზე, რომლებზეც ეხლა, მაგრამ ეხლა ასევე ჩვენ დადებით და მოტივატორ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ამ სახის პროექტი შეუძლია გააკეთოს თვითონ ხელისუფლებამ. უმთავრესი როლი კონფლიქტის მოგვარებაში ეკისრება ამ ბერკეტს. არსებული საქმე არის გრძელვადიანი, მაგრამ ჩნდება რეალური შანსი იმისა, რომ ამხელა დროის განმავლობაში ორ დაპირისპულ მხარეს გაუჩნდება საერთო საქმე. სამწუხაროდ საქართველოს ახლანდელ სახელმწიფო სტრატეგიაში ეკონომიკურ ბერკეტებს ეთმობა მხოლოდ 1 გვერდი.

პირველი ეტაპი სტრატეგიის შემუშავებისა იქნება იმ პროექტის ან პროდუქციის მოძებდა რომელზეც დამოკიდებული იქნება ოჯახის ან პიროვნების ფუნქციონირება. ამ სახის პროდუქტის პოვნის შემდეგ, საჭიროა მასზე მოთხოვნის და დამოკიდებულების ჩამოყალიბება იმ რეგიონში რომლის მოგვარებაზაც ვცდილობთ. ანუ რეგიონს უნდა შეუწყდეს არსებული პროდუქტის წყარო სხვა ადგილებიდან რათა ხალხი გახდეს იძულებული მიმართოს ადგილს სადაც ვახდენთ მის რეალიზაციას სტრატეგიულად.

ერთერთ ჯებირს ამ შემთხვევაში წარმოადგენენ რუსი სამხედროები, მაგრამ თუ ჩვენ დაუკვირდებით მათ ფსიქოლოგიას და პირობებს, ანუ თუ კარგად შევისწავლით მათ, შეიძლება დაუშვათ ის, რომ უბრალოდ თუნდაც მათი ჩართვით შესაბამისი ბენეფიტით მათთვის წარიმართოს ამა თუ იმ პროდუქციით კავშირი ორ მხარეს შორის.

არსებული პროექტის იმპლემენტირება კოფლიქტურ რეგიონში, არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი .

დასკვნა

რა თქმა უნდა 12 გვერდში ძნელია ჩავტიოთ ეკონომიკური ბერკეტების მნიშვნელობა და მათი იმპლემენტირების სტრატეგია. საჭიროა საკმაოდ დეტალური, დახვეწილი, კარგი მაკროგარემოს ანალიზით შექმნილი

გრძელვადიანი სტრატეგია. გარე პოლიტიკური ურთიერთობით ერთი შეხედვით შეუძლებელი ჩანს კოფლიქტის მოგვარება დღეს, აუცილებელია, რომ კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩართული იყვეს თითიეული მოქალაქე, თითოეულს უნდა ჰქონდეს გათვიცნობიერებული ურთიერთობის და თანამშრომლობის აუცილებლობა, ამის მიღწევა კი ყველაზე რეალური მხოლოდ ეკონომიკური დამოკიდებულებით და ადამიანის საარსებო წყაროების მანიპულირებით არის შესაზლებელი.

დემეტრე დემეტრაშვილი, ალექსანდრე თარხნიშვილი

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

რუსეთ-საქართველოს ომი და მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის გავლენა ქართულ სამშენებლო ბიზნესზე

ხელმძღვანელი: პროფესორი გიული გიგუაშვილი

სტაბილურ ეკონომიკაში ცხოვრება ყველა ადამიანის სანუკვარი ოცნებაა, რადგან იგი უზრუნველყოფს წარმატების შესაძლებლობას და საზოგადოებას იცავს არასასურველი მოულოდნელობებისაგან. ძნელია ამ ოცნების ახდენა დღევანდელ საქართველოში, სადაც მიმდინარეობს ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლა. თუმცა, ბევრ ისეთ ქვეყანაშიც კი, სადაც დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა დიდი ხანია არსებობს, მუდმივი ეკონომიკური სტაბილურობა ასევე რჩება მიუწვდომელ მიზნად.

2008 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოსვის. ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის აგრესიამ და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკაზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინა. ეკონომიკური კრიზისი ყველაზე უფრო მეტად საფინანსო სექტორსა და სამშენებლო სექტორებს შეეხო. ფაქტიურად, 2008 წლის დასაწყისისთვის საბანკო სისტემის აქტივებმა 8 მილიარდს გადააჭარბა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ზე მეტია. სწორედ ამან გამოიწვია ის აჟიოტაჟი, რაც საბანკო სფეროში შექმნილ მდგომარეობას მოჰყვა, რადგან საბანკო სფეროში არსებულ მდგომარეობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. გარკვეულწილად აღსანიშნავია, 2008 წლის ეროვნული ბანკის პოლიტიკა, რომელმაც ქვეყანას საბანკო კრიზისი მნიშვნელოვნად ააცილა.2008 წლამდე ერთ-ერთი წარმატებული სფერო ქართულ ეკონომიკაში სამშენებლო სექტორი იყო. ისევე როგორც საბანკო სფეროში, აქაც რთული ვითარება შეიქმნა. პრობლემები სამშენებლო ბაზარზე პირდაპირ კავშირშია ბანკების მიერ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან, რადგან მყიდველების უმეტესობა საქართველოში სწორედ იპოთეკური სესხებით სარგებლობდა. ფინანსური კრიზისის პარარელურად მთელ მსოფლიოში უძრავ ქონებაზე მოთხოვნა მცირდება, საქართველოშიც მოთხოვნა შემცირდა, განსაკუთრებით ომის შემდეგ. რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად, საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება შენელდა. ინვესტიციები შეწყდა თითქმის ყველა მიმართულებით. ყველა მოლაპარაკება ამ საკითხთან დაკავშირებით გაურკვეველი ვადით გადაიდო. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2008 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 1,1 მლრდ

დოლარი შეადგინა, რაც 2007 წელთან შედარებით, 600 მლნ-ით ნაკლებია. ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, 2009 წელს საქართველოს კერძო სექტორში 1,74 მილიარდი აშშ დოლარის წმინდა შემოდინება იყო. წელს ჩვენს ქვეყანაში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით დაახლოებით 815 მილიონი, ხოლო პორტფელური ინვესტიციების სახით, 33 მლნ აშშ დოლარი შემოვიდა, ხოლო, რაც შეეხება ერთობლივ სესხებსა და სხვა სახსრებს, ეროვნულმა ბანკმა 1 მილიარდი აშშ დოლარი მოიზიდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ძალიან მცირეა და მის გასაზრდელად საჭიროა ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამატებითი ღონისძიებების გატარება. რაც შეიძლება მეტი კაპიტალი უნდა იქნეს მოზიდული და უნდა მოხდეს ქვეყნის საზღვრებს გარეთ ქართული ბიზნესის ლობირების გაძლიერება. 2008 წლის აგვისტომდე საქართველო ბიზნესის იოლად წამოწყების თვალსაზრისით 181 ქვეყანას შორის 15 ადგილზე იმყოფებოდა. ეს მონაცემები და კვლევები Doing Business ეკუთვნის. მაგრამ ეს მხოლოდ ბიზნესის იოლად წამოწყების თვალსაზრისით მიენიჭა საქართველოს 15 ადგილი და არა მისი დაცულობისა და ხელშეუხებლობის. თუმცა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა ეს ვითარებაც შეცვალა და ახალ მონაცემებში, შესაძლოა, 2005 წლის მდგომარეობას დავუბრუნდეთ და ისევ მე-100 ადგილი დავიკავოთ, რადგან ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა - ომმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ეს სიტუაცია საგრძნობლად შეცვალა და ინვესტორისთვის მომხიბლავი ქვეყანა ისევ საშიშ და ბიზნესის წამოწყებისათვის რისკის შემცველ ზონად აქცია. თუმცა ჩვენი "მოხერხებულობისა" და "სწორი პოლიტიკის" მეშვეობით "პრესტიჟული" 15 ადგილი, შესაძლოა, ისევ შევინარჩუნოთ და ინვესტორს ამ პოზიციიდან მოვაწონოთ თავი. აგვისტოს დაძაბული დღეების შემდეგ საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ დასავლეთის სახელმწიფოებისაგან არაერთი დახმარება მიიღო. ჩვენი ქვეყნის მხარდასაჭერად საქართველოში სხვადასხვა ბიზნეს ჯგუფებიც ჩამოდიოდნენ და ინვესტიციის ჩადებაზე მზადყოფნას გამოთქვამდნენ, თუმცა ასეთი ვიზიტები მხოლოდ სიტყვიერი მხარდაჭერა უფრო იყო, ვიდრე რეალური ქმედება. სექტემბრის დასაწყისში საქართველოს ჯერ ამერიკული "დოჰენ ჯგუფის" დირექტორი ეწვია და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან ლაშა ჟვანიასთან შეხვედრაზე საქართველოსადმი მხარდაჭერა გამოხატა. ის საქართველოს მთავრობას დაჰპირდა, რომ საქართველოში ინვესტიციებს განახორციელებდა. ეს ჯგუფი სამშენებლო ბიზნესითაა დაკავებული, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რა ტიპის ინვესტირებას განახორციელებს, ეს ჯერ გაურკვეველია. თუმცა მთავარი არამარტო მხარდაჭერის გამოხატვა, არამედ ბიზნესსაქმიანობის წამოწყებაა, რაც ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამიტომ ამ უცხოელი ბიზნესმენების ჩამოსვლა და დაპირება ბიზნესის აქ წამოწყებაზე, მხოლოდ დაპირებად არ უნდა დარჩეს და საქმედ უნდა გადაიქცეს. საქართველოსთან მიმართებაში ევროპული ინტერესების ზრდაზე, აგვისტოს მოვლენებმა კატალიზატორივით იმოქმედა. ბოლო ხანებში, საქართველოს განსაკუთრებით ბევრი ევროპელი ლიდერი და საგარეო უწყების წარმომადგენელი ესტუმრა. ისინი ქვეყნის ტერიტორიულ მთლინობასა და სუვერენიტეტს ერთხმად უჭერენ მხარს. პოლიტიკურ გარანტიებთან ერთად საქართველომ ევროპისგან ფინანსური მხარდაჭერაც მიიღო. 2008 წლის ბოლოს ბრიუსელში გაიმართა დონორთა კონფერენცია, საიდანაც საქართველომ 4,5 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარება

მიიღო. ევროპელთა მოთხოვნაა, რომ ეს თანხა საქართველოს ეკონომიკის რეამინირებას მოხმარდეს და მიზნობრივად გაიხარჯოს.

ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად ამტკიცებენ და აცხადებენ, რომ საომარი ვითარების მიუხედავად, ინვესტიციების ჩადება ბიზნეს სექტორში ისევ აქტიურად მიმდინარეობს. ამის ერთ-ერთ მაგალითად ებრაულ ინვესტიციებს ასახელებენ, რომელთაც, შექმნილი სიტუაციის გამოც კი, ერთი წამითაც არ შეუჩერებიათ ბიზნესსაქმიანობა. ამასთანავე სახელდება ის ინვესტორებიც, რომლებსაც უკვე წამოწყებული ჰქონდათ ბიზნესსაქმიანობა საქართველოში და არც მათ უთქვამთ უარი შემდგომ მის გაგრძელებაზე. ომის შემდგომი საქართველო საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ უცხოელი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ბევრს საუბრობენ. საქართველოს თემას საკმაო ადგილი ეთმობა უცხოურ პრესაში. გავლენიანი უცხოური ჟურნალ-გაზეთების მთავარი თემა, რა თქმა უნდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებია. ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს უფრო ნაკლები ემოციითა და ცივი გონებით უკეთებენ ანალიზს, ვიდრე ეს ჩვენთან ხდება. ასეთივე განწყობაა უცხოურ პრესაში.

საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ბრიტანეთის სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის პოზიცია უაღრესად საინტერესოა, რომელიც Financial Time-მა და The Independent-მა გაავრცელა. ბრიტანელი მკვლევარები ნატოს ურჩევენ, საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღებით, აუტკივარი თავი არ აიტკიოს და ნატოს გამეზობლების შიშით გაღიზიანებული რუსეთი უფრო მეტად არ გააღიზიანოს. სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლო ქმედებამ, როცა მან ძალის გამოყენებით მოინდომა სეპარატისტულ რეგიონზე კონტროლის აღდგენა, ქვეყნის ნატოში გაწევრიანების შანსი შეამცირა. რაც შეეხება უკრაინას, მისი ალიანსში მიღების მიზანშეუწონლობის არგუმენტად, ბრიტანელებს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის ნატოსადმი არაერთსულოვანი დამოკიდებულება მიაჩნიათ. ანგარიშში ასევე საუბარია ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების აზრთა სხვადასხვაობაზე. ალიანსში გაწევრიანება უაღრესად დიდ ზეგავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკის სიმყარესა და განვითარებაზე, აქედან გამომდინარე საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ კუთხით.

დღეს საქართველოში ფინანსური კრიზისია და არა მხოლოდ ფინანსური კრიზისი, არამედ საქართველოში არის აშკარად რეცესია ანუ ეკონომიკური ზრდის დაცემა. მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რომელიც უკვე გადაზრდილია ეკონომიკურ რეცესიაში, უთუოდ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე იმდენად, რამდენადაც საქართველოს ეკონომიკა უკვე არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში. ჩვენ ძალიან ცოტა პროდუქცია გაგვაქვს ექსპორტზე, სამაგიეროდ, საქართველოს შემოაქვს 4-5-ჯერ უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე გააქვთ საქართველოდან. პროდუქციის შემოტანა და გატანა არის ნიშანი საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციისა. მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროგნოზები გავლენას ახდენენ იმ ქვეყნების ეკონომიკებზე, საიდანაც პროდუქცია შემოგვაქვს, ბუნებრივია, რომ ეს კრიზისული პროცესი საქართველოს ეკონომიკაზე პირდაპირპროპორციულ გავლენას მოახდენს.

ბოლოდროინდელი მოვლენები – მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რუსეთ-საქართველოს ომი, საინვესტიციო გარემოს

გაუარესება, უმუშევრობის ზრდა - კიდევ უფრო გაუსაძლისი გახადა ეკონომიურად ისედაც შეჭირვებული ადამიანების ბედი. სანუგეშო ვერც ის მრავალთვიანი პროგრამებია, სადაც ხელისუფლება ხალხს დასაქმებას ჰპირდება. მიუხედავად ყველაფრისა, ქართველი ექსპერტები და დიპლომატები მიიჩნევენ, რომ ევროპამ საქართველოსკენ კარგი თვალით გამოიხედა და ეს ის შანსია, რომელიც ქვეყანამ თავისთვის სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს. ახლა მთავარია, როგორ უპასუხებს საქართველო ევროპის მზაობას, დაეხმაროს მას მძიმე კრიზისიდან გამოსვლაში. აგვისტოს შემდეგ, მომხმარებელმა თავი შეიკავა უძრავი ქონების შეძენისგან. ერთი თვის განმავლობაში გაყიდვები, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობდა. ასევე შეფერხდა მშენებლობები, შეწყდა ბანკების მიერ სესხების გაცემა. ეს რთული პროცესი, ზოგადად, ყველა სამშენებლო კომპანიამ გამოსცადა. საზოგადოების მხრიდან კომპანიების ნდობა კრიტიკულ საკითხად იქცა. ეს ძირითადად სამშენებლო კომპანიების მოგების შემცირების ხარჯზე მოხდა. კომპანიების მოგება თითქმის მიუახლოვდა თვითღირებულების ზღვარს. ჯერჯერობით ამაზე მეტად ფასების შემცირება არ არის მოსალოდნელი და არც გამართლებული იქნება, რადგან ამ შემთხვევაში დაუსრულებელი მშენებლობები დარჩება. სამშენებლო კომპანიები ფასების შემდგომში შემცირებას განახორციელებენ იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო მასალების ფასებმა დაიწიეს. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა სამშენებლო ბიზნესზე, რომელიც ქართული ეკონომიკის ყველაზე წარმატებულ სექტორად ითვლებოდა, დღეისთვის მშენებლობების 90% დროებით შეჩერებულია და ერთ დროს დინამიურად განვითარებადი დარგი კრიზისის პერიოდშია. უძრავი ქონების პირველად და მეორად ბაზარზე გაყიდვების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და ვითარება არაპროგნოზირებადია. ეკონომიკური კრიზისის შედეგად დაზარალებულ დეველოპერულ კომპანიათა რიცხვს მიეკუთვნებიან: „კალა კაპიტალი“, „აქსისი“, „ცენტრ პოინტი ჯგუფი“, „იბერია“, „კალასი“, „ბაგები სითი ჯგუფი“, „მაგი სტილი“, „სასკო“, „არსი“, „მოდული“ და ა.შ.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ყველა იმ კომპონენტის ფასი, რისგანაც უძრავი ქონების ღირებულება შედგება. პირველ რიგში ეს არის სამშენებლო მასალები, მიწა, რომელზეც მშენებლობა უნდა განხორციელდეს ამ ფაქტორებმა უძრავი ქონების თვითღირებულების ზრდა განაპირობა, რამაც გასაყიდ ფასზეც იმოქმედა.

იმ პირობებში, როდესაც პოტენციური მყიდველის შემოსავალი არ იმატებს, ის, შესაბამისად, ვეღარ ახერხებს უფრო მაღალი ფასის გადახდას. ეს კი არ აძლევს კომპანიებს შესაძლებლობას გაზარდონ უძრავი ქონების ფასი. ეს ან მოგებას ამცირებს, ან იმის მიხედვით, რამდენად იზრდება თვითღირებულება, მოგების მიღებას საერთოდ შეუძლებელს ხდის.

სამშენებლო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე რეალურად მომგებიანი სეგმენტია, საბანკო სექტორის შემდეგ. ეს ის დარგებია, სადაც მოგების მარჟა 300%-დან 400%-მდე ადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სექტორები ძალიან დიდ ზემოგებას ღებულობენ, გამომდინარე იქიდან, რომ მათ მიერ შექმნილ პროდუქციას მყიდველი ჰყავს. სწორედ ეს განაპირობებს მოგების მაღალ მარჟას. სამშენებლო სექტორი დღეისათვის საქართველოში კრიზისულ მდგომარეობაშია, ეს აშკარად უნდა ითქვას. საქართველოს მთლიანად ეკონომიკაში და მათ შორის სამშენებლო სექტორშიც კრიზისია. საქართველოს ეკონომიკაში კრიზისის გამომწვევ სამი მიზეზი გამოიყოფა:

მსოფლიო ფინანსური კრიზისის ზეგავლენა, რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული აგვისტოს ცნობილი მოვლენები და სუსტი სახელმწიფო ეკონომიკური მენეჯმენტი. სახელმწიფო სათანადო დონით და ხარისხით ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მართვას და რეგულირებას. ძალიან ბევრმა სამშენებლო კომპანიამ აღიარა, რომ მათ პრობლემები შეექმნათ. ასეთებია, ისეთი მსხვილი კომპანიები როგორეებიცაა: "არსი", "აქსისი", "ცენტრ-პოინტი". კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ მათ "ჩაუწვათ საქონელი", რომელთა გაყიდვა უკვე პრობლემის წინაშე დადგა, მეორე პრობლემა არის ის, რომ მათ ახალი მშენებლობების დასაწყებად საბრუნავი სახსრები არ აქვთ, ხოლო სახსრები იმიტომ არ აქვთ, რომ წარმოებულ პროდუქტს, ანუ ბინებს, ვერ ჰყიდიან, დიდი პრობლემაა საბანკო სესხების მიღებაც.

ბიზნესზე 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გავლენის შესაფასებლად ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული 1000 ბისნესმენიდან, 700-მა აღნიშნა, რომ ომის შემდგომ, გაყიდვების პროცესი გართულდა. საინტერესოა, რომ კრიზისული მდგომარეობა დიდ კომპანიებზე კიდევ უფრო მეტად აისახა, ვიდრე მცირე ზომის კომპანიებზე. გამოკითხულთა 71% მიიჩნევს, რომ გაყიდვების მოცულობა მომხმარებლის მოთხოვნის შემცირების გამო შემცირდა.

უძრავი ქონების პირველად და მეორად ბაზარზე გაყიდვების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და ვითარება არაპროგნოზირებადია. ასევე ცნობილია, რომ პრობლემები სამშენებლო ბიზნესში ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო. რაც შეეხება ბიზნესში ფასის კლებას, თითქმის ყველა კომპანია ამბობს, რომ ფასების კლების ტენდენცია მკვეთრად შეინიშნება.

2008 წლის სექტემბრიდან მოყოლებული დღემდე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის საქართველო უძრავი ქონების გაიაფების თვალსაზრისით ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა, სადაც ფასები 42%-ით შემცირდა. ამ თვალსაზრისით გვისწრებს მხოლოდ რიგა, სადაც კრიზისის გამო 53%-იანი *ვარდნა* დაფიქსირდა. ხოლო რაც შეეხება კიევს აქ ფასების შეკვეცამ 39%ს მიაღწია.

ანალიტიკოსების თქმით ყოფილ საბჭოთა დედაქალაქებში ბინების ფასების ცვლილებების სხვადასხვა დინამიკა არა მხოლოდ გლობალური კრიზისის გავლენით, არამედ ლოკალური პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებითაა გამოწვეული. სპეციალისტების თქმით თბილისში ფასების შემცირების მაღალი ტემპი რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტსა და რუსეთის ეკონომიკურ ბლოკადას უკავშირდება. უკრაინის შემთხვევაში კი ეს ეკონომიკის არასაკმარისმა სიმყარემ გამოიწვია, რომელიც სსრკ-ს ქვეყნებს შორის გლობალური კრიზისისთვის ყველაზე მოუმზადებელი აღმოჩნდა და ქვეყნის მშპ 20%-ით შემცირდა.

ყველაზე ნაკლებად ბინებზე ფასების კლება ყირგიზეთის, სომხეთისა და მოლდოვას დედაქალაქებში დაფიქსირდა. აქ გაიაფების მასშტაბმა 16-დან 21 პროცენტის ფარგლებს მიაღწია. რაც ექსპერტთა შეფასებით კრიზისამდე ბაზარზე ფასების "გაბერილი ბუშტის" არარსებობით აიხსნა. რაც შეეხება ფასებს დღეისათვის კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ტალინში 1200 დოლარი ღირს, მინსკში 1350, ბაქოში 1300, მოსკოვში 4500, ერევანში კი 850 დოლარი. საქართველოში კი ეს ფასი 500 დოლარიდან იწყება და 750 დოლარს აღწევს. დასახელებული მიზეზების და ასევე ჩვენ ქვეყანაში არსებული დეველოპერების მიერ განხორციელებული არასწორი მენეჯმენტის ბრალია ის, რომ დღეს თბილისში თითქმის არცერთი დასრულებული მშენებლობა არ არსებობს.დღესდღეობით არსებული სტატისტიკის თანახმად უძრავ ქონებაზე კლიენტების გამოცოცხლება

შეინიშნება, თუმცა ბაზარი ამ დრომდე სუსტია და ლაპარაკი მის გაძლიერებაზე ნაადრევია. ამიტომაც დეველოპერები თანხმდებიან, რომ 5 ან 8 მილიონად შეფასებული პროექტების განხორციელებამ შესაძლოა კომპანიას სერიოზული ხარჯი და პრობლემა მოუტანოს, ამიტომაც ისინი ასეთი პროექტების დაწყებას არ აპირებენ. ფასების ზრდას სამშენებლოები ამა წლის ოქტომბრიდან ელოდებიან, ოპტიმიზმის საფუძველს კი მსოფლიო ბაზრის გამოცოცხლება აძლევს, სადაც ზრდა ნელი, თუმცა უკვე მკაფიოდ გამოხატულია.

იმ ფონზე კი როცა სტატისტიკის დეპარტამენტი და სამშენებლო კომპანიები ბიზნესის გამოცოცხლების შესახებ საუბრობენ, ექსპერტები ამ სექტორში რეგულირების ზომების გამკაცრებაზე ლაპარაკობენ. მათი თქმით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სამშენებლო სექტორის გამჭვირვალეობის დონის ამაღლებას. უნდა არსებობდეს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც მიიღებს და ყოველკვარტალურად გამოაქვეყნებს ინფორმაციას სამშენებლო კომპანიების საქმიანობის შესახებ. ეს იქნება მტკივნეული, მაგრამ დარგის ცივილურობის დონე ამაღლდება.

დეველოპერების ნაწილი ინიციატვით გამოდის, რომ ეროვნულმა ბანკმა გაუწიოს კონტროლი სამშენებლო კომპანიებს. რადგანაც ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს, კომერციული ბანკები კი აფინანსებენ დეველოპერებს, გარდა ამისა, დეველოპერული კომპანიები ფინანსური ინსტიტუტებია და როგორც სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, მის ზედამხედველობასაც ეროვნული ბანკი უნდა ახორციელებდეს. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ეროვნული ბანკი, ეს დღეისთვის უცნობია.

ფასები სამშენებლო პროდუქციაზე უთუოდ დაეცემოდა, ამას განაპირობებდა ჯერ ერთი ის, რომ მოთხოვნა, მოსახლეობაში ფულის არქონის გამო, დაბალი იყო, მიწოდება ანუ პროდუქცია უკვე შექმნილი, ამიტომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როცა კომპანიები რწმუნდებიან, რომ მათ მიერ დასახელებულ ფასად ვერ ჰყიდიან პროდუქციას, იძულებულნი ხდებიან დაწიონ ფასები. სამშენებლო პროდუქციაზე ფასების დაწევის მეორე ფაქტორი ის არის, რომ სამშენებლო პროდუქციაზე ფასები დაეცა, რაც მსოფლიო ბაზარზე მეტალის, ცემენტის და სხვა სამშენებლო კონსტრუქციაზე ფასების შემცირებით იყო გამოწვეული, რაც, თავის მხრივ, მსოფლიო კრიზისის გავლენაა. ყოველივე ამან, ბუნებრივია, ადგილობრივი სამშენებლო კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის ფასზე იმოქმედა და ფასები შემცირდა. რუსეთ-საქართველოს ომამდე საქართველოს სამშენებლო ბაზარზე სხვა სიტუაცია შეინიშნებოდა. მკვეთრად გაიზარდა ყველა იმ კომპონენტის ფასი, რისგანაც უძრავი ქონების ღირებულება შედგება. პირველ რიგში ეს არის სამშენებლო მასალები, მიწა, რომელზეც მშენებლობა უნდა განხორციელდეს, ასევე გაიზარდა მშენებლობაზე დასაქმებულთა ანაზღაურებაც. ყველა ამ ფაქტორმა უძრავი ქონების თვითღირებულების ზრდა განაპირობა, რამაც გასაყიდ ფასზეც იმოქმედა. კომპანიებს, რომლებსაც უძრავი ქონების გასაყიდი ფასი არ გაუზრდიათ, მოგება მკვეთრად შეუმცირდათ. იმ პირობებში, როდესაც პოტენციური მყიდველის შემოსავალი არ იმატებს, ის, შესაბამისად, ვეღარ ახერხებს უფრო მაღალი ფასის გადახდას. ეს კი არ აძლევს კომპანიებს შესაძლებლობას გაზარდონ უძრავი ქონების ფასი. ეს ან მოგებას ამცირებს, ან იმის მიხედვით, რამდენად იზრდება თვითღირებულება, მოგების მიღებას საერთოდ შეუძლებელს ხდის.

სამშენებლო კომპანიებს რეალიზაციის პრობლემა დაუდგათ და აქედან გამომდინარე, ახალი მშენებლობის დაწყების შესაძლებლობა უმცირდებათ. მშენებლობის მოცულობის შემცირებას კი, თავისთავად

სამუშაო ადგილების შემცირება მოჰყვება. ამგვარ ვითარებაში მცირე მენაშენეებს ექმნებათ სერიოზული პრობლემები და შეიძლება გაკოტრების პირასაც კი მივიდნენ. შედარებით მსხვილ სამშენებლო კომპანიებს აქვთ საიმისო რესურსი, რათა არსებობა განაგრძონ, თუნდაც მკვეთრად შემცირებული მოცულობით. მაგრამ კომპანიებს, რომლებიც მაგალითად მხოლოდ ერთ სახლს აშენებდნენ, ბუნებრივია მათ კვლავწარმოების პრობლემები გაუჩნდებათ. თვეების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბანკო კრედიტის პროცენტი, რაც ასევე აძვირებს მისი საშუალებით აშენებული უძრავი ქონების ღირებულებას. მცირე საწარმოებს კი არ ეყოფათ საკუთარი რესურსები ახალი მშენებლობის განხორციელებისათვის.

იპოთეკური სესხის ხელმისაწვდომობა, 2008 წელთან შედარებით, თითქმის 9 პროცენტით შემცირდა. 2009 წელს ასეთი სახის კრედიტი მხოლოდ 62 ათასმა მოქალაქემ მიიღო. ამის მიუხედავად, უძრავი ქონების ბაზარზე 2009 წელს დაფიქსირებული მონაცემები საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე მიუთითებს. უძრავი ქონების ბაზარზე ზრდის მაჩვენებელი ძირითადად წლის მეორე ნახევარში შეიმჩნევა და მთავრობაში მიაჩნიათ, რომ დაფიქსირებული ინდიკატორები 2010 წელს ეკონომიკის ზრდაზე მიანიშნებს. უძრავი ქონების სააგენტოებში არსებული სტატისტიკით, 2009 წლის მეორე ნახევრიდან ერთ და ოროთახიანი ბინების გაყიდვებმა 10-15%-ით მოიმატა. ყველაზე კარგად ერთ და ოროთახიანი ბინები იყიდება. გაყიდვების მაჩვენებლით როგორი იქნება 2010 წელი, პროგნოზირება რთულია. რაც შეეხება ფასებს, ერთოთახიანი ბინების ღირებულება ცენტრალურ რაიონებში 35-დან 40 ათას, 2-ოთახიანის კი 50-დან 80 ათას დოლარამდე მერყეობს. გარეუბნებში ერთოთახიანი ბინების ღირებულება 20-დან 25 ათას, 2-ოთახიანის კი 25-დან 35 ათას დოლარამდეა. გაყიდვების ზრდაზე საუბრობს დეველოპერების ნაწილიც.

ექსპერტების შეფასებით, ამ დროისთვის უძრავ ქონებაზე ფასები უცვლელია, თუმცა შემოდგომისთვის, დასრულებული ბინების დეფიციტის გამო, შესაძლებელია ბინებზე ფასმა დაახლოებით 10%-ით მოიმატოს. საქსტატის ცნობით, სამშენებლო სექტორში გამოცოცხლება შეინიშნება. უძრავი ქონების ბაზარზე აქტივობა გაცილებით დაბალია, ვიდრე 2007-2008 წლებში. თუმცა 2009 წლის პირველ კვარტალთან შედარებით როგორც ბრუნვის, ისე ნაწარმოები პროდუქციის და მუშათა დასაქმების თვალსაზრისით ზრდა სახეზეა. 2009 წლის მეორე კვარტალში სამშენებლო სექტორში 27 040 ადამიანი იყო დასაქმებული. ეს მაჩვენებელი პირველი კვარტლის შედეგს დაახლოებით 4 ათასით აღემატება.

ექსპერტების ნაწილის აზრით, სამშენებლო ბიზნესის გამოცოცხლება და 10-პროცენტიანი ზრდა გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე მოსალოდნელია. სამშენებლო კომპანიები ძირითადად საკუთარი სახსრების მოძიების ხარჯზე გააქტიურდნენ. ვინაიდან ზაფხულში სამშენებლო სამუშაოების წარმოება უფრო ადვილია, თანაც, სამშენებლო კომპანიები ცდილობენ, მშენებლობები დაასრულონ, ამიტომ ისინი ფასების შემცირების გზით მიდიან. ამ ეტაპზე უძრავი ქონების ბაზარზე თეთრი კარკასის ფასის ქვედა ზღვარი 450-500 დოლარია. ეს ფასი ძირითადად ე.წ. არაპრესტიჟულ უბნებში, ეკონომკლასის ბინებზე ფიქსირდება. პრესტიჟულ უბნებში კი ფასები ფაქტობრივად ხელუხლებელია და 1 კვადრატული მეტრის ფასი 1800 დან 3000 დოლარამდე მერყეობს. ბოლო წლებში სამშენებლო დარგში შექმნილი პრობლემების დიდი ნაწილი აგვისტოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის დადგომამდეც კი იყო მოსალოდნელი. იმ ფინანსური სისტემის ლოგიკურ დასასრულს, რომლის მიხედვითაც დარგი მუშაობდა, გარდაუვალი კრახი წარმოადგენდა.

დარგის მუშაობის

ფინანსური მექანიზმი ძირითადად წინასწარი გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალს ეყრდნობოდა. ანუ ბანკიდან ან ინვესტორებიდან მიღებადი სახსრების მასშტაბები ლოგიკურად შემოსაზღვრული იყო მიწის ღირებულებით, ხოლო შემდგომი მშენებლობა აბსოლუტურად დამოკიდებული იყო წინასწარ გაყიდვებზე. ბაზარზე გაძლიერებულმა კონკურენციამ და პროდუქტის ბუნებრივმა მხარემ (ფიუჩერსულმა კოტრაქტებმა) მენაშენეები აიძულა, წინასწარი გაყიდვები მოეხდინათ განვადებებით. თავიდან განვადებები პროექტის ხანგრძლივობით (2-3 წელი) შემოიფარგლებოდა, შემდეგში კი მათი ხანგრძლივობა 10-15 წლიწადზე ავიდა. ფინანსური მოდელიდან გამომდინარე, მენაშენეები მშენებლობის ტემპების შესანარჩუნებლად იძულებულები იყვნენ, მთელი პროექტის 80% მაინც გაეყიდათ, რომ მიმდინარე შემოსავლები დაეფინანსებინათ. სხვა შემთხვევაში განვადების გრაფიკები მშენებლობის ტემპებს ვერ უზრუნველყოფდა. საქმე ის არის, რომ გაყიდვებისა და მშენებლობის ტემპების ასეთი ურთიერთმიმართების შემთხვევაში, ნებისმიერ პროექტში დგება მომენტი, როცა წინასწარი გაყიდვებით გაფორმებული კონტრაქტების მასშტაბები გაცილებით უსწრებს მშენებლობის ბიუჯეტის შესრულებას, რაც ავტომატურად განაპირობებს ფინანსური რისკების მაღალ დონეს. კონკრეტულ პროექტებში შემოსავლების 80% წინასწარგანსაზღვრულია მომდევნო სამი წლის განმავლობაში, ხარჯების 80% კი - განუსაზღვრელი (მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადი, მაგრამ მაინც განუსაზღვრელი). ასეთ შემთხვევაში, თუ პროექტის მსვლელობისას აღმოჩნდება, რომ ბიუჯეტის პროგნიზირებული ხარჯვითი ნაწილი 10%-ით გაიზრდება, დარჩენილ გასაყიდ ფართებზე ფასები 50%-ით მაინც უნდა გაიზარდოს, რომ პროქეტი იგივე (დაგეგმილ) მოგებაზე გავიდეს." სწორედ ეს მომენტი დაედო საფუძვლად ფინანსური პირამიდების მშენებლობას დარგში. ერთპროცენტიანი ინფლაცია ხარჯვით ნაწილში ავტომატურად იწვევდა 2-5-ჯერ და მეტ ზრდას ფასებში, რამაც დარგი ბევრი "ბიზნესმენისათვის" მიმზიდველი გახადა. ვინაიდან სექტორში შესასვლელად პრაქტიკულად არავითარი ბარიერები არ არსებობდა, დარგი ორმაგ წნეხს განიცდიდა - ფასების ზრდის აუცილებლობას და სულ უფრო და უფრო მზარდ კონკურენციას. შოთა მოდებაძის აზრით, ფასების მუდმივად ზრდა, თან იმ ტემპებით, რაც მოგების შენარჩუნებისათვის იყო აუცილებელი, შეუძლებელი იყო. ასე გავიდა ბევრი სამშენებლო პროექტი წაგებაზე, და ერთი ობიექტის დაფინანსებისათვის ახალი ობიექტების მშენებლობა დაიწყო. თუმცა ახლად გამოჩენილი კონკურენტების მოზღვავებამ და გასაყიდი ფასების მუდმივად ზრდამ მიწებზე ფასების ავარდნა გამოიწვია, რამაც სულ უფრო და უფრო არაპროგნოზირებადი და სავალალო გახადა დარგის მომავალი.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სამშენებლო სექტორის გამჭვირვალობის დონის ამაღლებას. უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც მიიღებს და ყოველკვარტალურად გამოაქვეყნებს ინფორმაციას სამშენებლო კომპანიების საქმიანობის შესახებ. ეს მტკივნეული პროცესი იქნება, მაგრამ დარგის ცივილურობის დონის ამაღლება მომავლის ეფექტიანობასთან არის დაკავშირებული, და ეს ნაბიჯი, ადრე თუ გვიან, გადასადგმელია. ექსპერტების აზრით, უნდა დაწესდეს ლიცენზირების პრინციპი, უპირველესად საწესდებო კაპიტალის მინიმალური დონის განსაზღვრით. ანუ ბევრი გამოუცდელი კომპანია, რომელიც არავითარ კაპიტალს არ ფლობს, ნელ-ნელა უნდა გაეთიშოს ბაზარს - შეერწყას სხვას.

ექსპერტების აზრით, ბოლო ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს ფინანსური ნორმატივები, რომლის მიხედვითაც მოხდება დეველოპერული სექტორის

მართვა. ასეთი ნორმატივებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია წინასწარი გაყიდვებისა და საერთო ბიუჯეტის ურთიერთთანაფარდობის კოეფიციენტის დადგენა, ასევე სავალუტო პოზიციებთან დაკავშირებული კოეფიციენტები. უნდა შეიზღუდოს გრძელვადიანი განვადებები და ფულის წინასწარ მიღების პრაქტიკა, რაც ავტომატურად საბანკო პროდუქტებით მათ ჩანაცვლებას გამოიწვევს . ჩვენი აზრით, თუ ქვეყანამ ინვესტორთა ნდობა ვერ აღიდგინა, კრიზისი უძრავი ქონების ბაზარზე გარდაუვალია. მენაშენეთა უმეტესობა წინასწარი გაყიდვებითა და შესაბამისად, წინასწარ ნაკისრი ვალდებულებებით ახორციელებდა ყოველი ახალი პროექტის მშენებლობას. ამიტომ თუ ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია არ გაუმჯობესდა მენაშენეებთან ერთად, მომხმარებლებიც ძლიერად დაზარალდებიან.

ფინანსურმა კრიზისმა ბანკები და სამშენებლო ბიზნესი ერთმანეთს გადაჰკიდა. სამშენებლო კომპანიები, რომლებიც ბანკების უმსხვილესი კლიენტები იყვნენ, გაყიდვების ჩავარდნის გამო სესხების გადახდა გაუჭირდათ და გაკოტრების საფრთხეც დაემუქრათ. აქედან გამომდინარე სამშენებლო კომპანიებმა დახმარებისათვის ერთის მხრივ ბანკებს, მეორეს მხრივ კი მთავრობას მიმართეს. ამ უკანასკნელმა კი მათ ფინანსურ მხარდაჭერაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ქვეყანაში განვითარებულ კრიზისულ სიტუაციაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო რეგულირების გაძლიერება. მხოლოდ სწორად განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებებით არის შესაძლებელი კრიზისის მწვავე შედეგების შერბილება. მთლიანად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მართვა და რეგულირება ხდება ე.წ. იმპულსური მეთოდით. ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება ძალიან შრომატევადი მეცნიერული და შემოქმედებითი სამუშაოა. უპირველეს ყოვლისა, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებათა ისეთი ნუსხა, რომელიც შიდა დანაზოგების ბიზნესსექტორში ჩადებას უზრუნველყოფს, ანუ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებულნი, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ისეთი ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც სტიმულს მისცემს უცხოურ ინვესტიციებს, მაგრამ მომავალი ორი წლის განმავლობაში ეს ძალიან რთული იქნება.

თუ კრედიტებზე ასეთი მაღალი განაკვეთები იქნა, რა თქმა უნდა, საბანკო სექტორის გავლენა ეკონომიკის სტიმულირებაზე მნიშვნელოვნად დაეცემა და ეს ეკონომიკურ კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებს. ბანკები დიდ მოგებაზე მუშაობენ. საბაზო განაკვეთი არის 10%, რომელიც ეროვნული ბანკის მიერაა დაწესებული. ბანკები კი კრედიტებს 30%-დან 40%-მდე ჰყიდიან.

ქვეყნის გამოყვანა ეკონომიკური კრიზისიდან, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება არის უპირველესი ამოცანა. ჩვენი აზრით, მინიმალური სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგებით და რაც შეიძლება მოკლე დროში აუცილებელია საზოგადოების, ბიზნესისა და სახელმწიფოს ერთობლივი და შეთანხმებული მოქმედება ამ კრიზისიდან გამოსასვლელად. დღეს ვისაც შეუძლია, ვალდებულია დადგეს კრიზისის წინააღმდეგ როგორც ერთი და ეცადოს მაქსიმუმი გააკეთოს ქვეყნის ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად. სამი მხარე: საზოგადოება, ბიზნესი და სახელმწიფო, მათი ერთობლივი და შეთანხმებული მოქმედება ერთადერთი შანსია დაიძლიოს კრიზისი მინიმალური უარყოფითი შედეგებით.

ხელისუფლების ვალდებულება ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში ყველაზე მძიმეა და ყველაზე რთული. მათ იმის გარდა, რომ ევალებათ ამ პერიოდში განსაკუთრებით იზრუნონ მშვიდობაზე, სიწყნარეზე, სამუშაო და

ცხოვრების ტექნიკური პირობების შენარჩუნებაზე, მათ აქვთ ვალდებულება ყველაფერი გააკეთონ სამი მთავარი მიმართულებით:

1. პირველ რიგში ძალისხმევა მაქსიმალურად უნდა წარიმართოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისაკენ;
2. მეორე პრიორიტეტი ხელისუფლებისათვის ეს არის ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. შემოსული ინვესტიციები ყველაზე სწრაფად არბილებს ფონს და იძლევა ამოსუნთქვის საშუალებას;
3. ექსპორტის მაქსიმალური ხელშეწყობა. ხელისუფლება უნდა იყოს შუამავალი მაორგანიზებელი, დამხმარე, გამყიდველი და დამაკავშირებელი გარე სამყაროსთან.

არანაკლები მნიშვნელობის ვალდებულებები აკისრია ბიზნესს ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად. კომპანიების როლი ამ ბრძოლაში არანაკლებ რთულია და საპასუხისმგებლო. მათი უპირველესი ამოცანები ამ პროცესში შემდეგია:

1. ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ გახდნენ უფრო ეფექტურები ყოველდღიურ მოქმედებაში, დახვეწონ საქმიანობის სტრატეგია, უფრო ცხადი და ეფექტური გახადონ საქმიანობის ბიზნესმოდელი. არაფერი იმაზე მეტად მნიშვნელოვანი არ არის ბიზნესისათვის ამ დროს, ვიდრე მისი თითოეული რგოლის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება:
2. მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა ბიზნესისათვის ამ პერიოდში არის მის მიერ წარმოებული პროდუქტის და მომსახურების ხარისხის გაზრდა მისთვის პრიორიტეტული მომხმარებლების მოთხოვნილებების გათვალისწინებით:
3. ყველა ორგანიზაცია უნდა ცდილობდეს გააფართოოს კონტაქტები საზღვარგარეთ. შესთავაზოს და დააინტერესოს საკუთარი პროდუქციით რაც შეიძლება მეტი განსხვავებული კონტრაგენტი განსხვავებულ ქვეყანაში. მთელი ქვეყანა უნდა ცდილობდეს გაყიდოს რაც შეიძლება მეტი პროდუქტი და მომსახურება ქვეყნის გარეთ, ვინაიდან რაც უფრო მეტი პროდუქტი იქმნება, რაც უფრო მეტი ინვესტიცია შემოდის და რაც უფრო მეტი პროდუქტი და მომსახურება გადის ქვეყნის გარეთ მით უფრო ნაკლებია კრიზისის უარყოფითი შედეგები ბიზნესზე, მის თითოეულ სუბიექტზე და საზოგადოებაზე. ბანკებს კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი აქვთ. მათი უპირველესი მოვალეობაა ისე დახვეწონ რისკის მართვის სისტემები, რომ კრიზისის და უზრუნველყოფის გაუფასურების მიუხედავად არ შეწყვიტონ დაკრედიტების პროცესი, სხვანაირად ყველა დანარჩენი ძალისხმევა შესაძლოა უშედეგო აღმოჩნდეს. ბანკებმა ერთად და ცალ-ცალკე ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ მოსახლეობის და ბიზნესის ნდობა.

საზოგადოების როლი, რომელიც დგას დღეს ყველაზე მეტი რისკის ქვეშ ამ კრიზისის გამო, ძალიან ცხადია და მნიშვნელოვანი მისი მოგვარებისთვის. სამი მთავარი პასუხისმგებლობა რომელიც მას ამ საერთო ბრძოლაში ენიჭება ყველაზე არსებითია მდგომარეობის გამოსწორებისათვის. საზოგადოების თითოეული წევრი და შესაბამისად მთლიანად საზოგადოება დღეს ვალდებულია:

1. მაქსიმალურად ლოიალური და აქტიური იყოს ქართული პროდუქტის და მომსახურების მიმართ. ყველა უნდა ცდილობდეს იყიდოს რაც შეიძლება მეტი ქართული პროდუქცია, რასაც ის უნდა აკეთებდეს არამარტო სამომხმარებლო მოტივაციით, არამედ იმის ღრმა შეგნებით, რომ თითოეული ასეთი ტრანსაქცია არის ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში შეტანილი პირადი წვლილი;

2. საზოგადოების დამოკიდებულება ბანკების მიმართ. ადამიანებმა არ უნდა გამოიტანონ ფული ბანკებიდან. დღეს ეს ერთ-ერთი დიდი საფრთხეა, რომელიც ეკონომიკას მნიშვნელოვნად დაუმძიმებს მდგომარეობას. ადამიანებმა უნდა აარჩიონ ბანკები, რომლებსაც მეტად ენდობიან და გადაიტანონ თანხები იქ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამოიღო ფული საბანკო სისტემიდან, ვინაიდან ეს შეამცირებს ფულად მასას ქვეყანაში და კიდევ უფრო დაამძიმებს ეკონომიკურ მდგომარეობას;
3. საზოგადოების და მისი თითოეული წევრის მხრიდან საქმის კეთება, სხვების სამსახური და მაქსიმალური აქტიურობა ამ მიმართულებით.

ამრიგად, ქვეყნის გამოყვანა ეკონომიკური კრიზისიდან მინიმალური სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგებით და რაც შეიძლება მოკლე დროში არის უპირველესი ამოცანა, რისთვისაც აუცილებელია ერთი მხრივ, საერთაშორისო საზოგადოების მიერ 2008-2010 წლებში ჩვენი ქვეყნისათვის გამოყოფილი 4,5 მილიარდი დოლარის დახმარების მიზნობრივად გამოყენება და მეორე მხრივ, საზოგადოების, ბიზნესისა და სახელმწიფოს ერთობლივი და შეთანხმებული მოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) „ბიზნეს ნიუსი“ - ჟურნალი

2) „ეკონომიკური პალიტრა“ - გაზეთი

3) www.banksandfinance.ge

4) www.mof.ge

5) www.nbg.ge

6) www.gbc.ge

7) www.bizzone.info

8) www.commersant.ge

9) www.24saati.ge

10) www.tavisufleba.org

11) www.ambebi.ge

12) www.forum.ge

13) „მცირე ბიზნესი“ - ნ. ორჯონიკიძე; ლ. ყიფიანი; ვ. ბაგდასარიანი

14) „ბიზნესის საფუძვლები“ - ნ. ორჯონიკიძე; ლ. ყიფიანი; ვ. ბაგდასარიანი

15) „გამოყენებითი ეკონომიკა“ - Junior Achievement

სოფო ცეცხლაძე

სსიპ გორის უნივერსიტეტი ბაკალავრიატი

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და ქართული ეკონომიკა

ხელმძღვანელი: პროფესორი ხათუნა ბებნაძე

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას: დაიკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაიღუპა და დასახიჩრდა ათასობით ადამიანი, დაინგრა და განადგურდა უამრავი საცხოვრებელი სახლი და ისტორიული ძეგლი, ათასობით ადამიანი თავის ქვეყანაში დევნილად იქცა, მნიშვნელოვნად დაზარალდა ეკონომიკა.

საქართველოში ეკონომიკური პრობლემების მთავარ მიზეზად ომი სახელდება, მაგრამ პრობლემები ომამდე გაცილებით ადრე დაიწყო, შეიძლება ითქვას, საქართველოში დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა ეკონომიკური კრიზისი. 2005 წლიდან 2008 წლის მაისამდე ჩვენი ეკონომიკის ზრდა განპირობებული იყო საბანკო სისტემის აქტიურობით, თუმცა, კომერციული ბანკების საკრედიტო აქტიურობამ, შემოთვაზებული კრდიტების შინაარსიდან გამომდინარე, ხელი ვერ შეუწყო წარმოების ზრდას და რეალური ეკონომიკის შექმნას, რაც მომავალში უზრუნველყოფდა ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნების და მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბებას. კრედიტებით, ძირითადად, იმპორტი წახალისდა, რამაც ქვეყნიდან ფულის გასვლა განაპირობა და 2008 წლის გაზაფხულიდან ქვეყნის ეკონომიკას ფინანსური რესურსის პრობლემა დაუდგა.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, რუსეთ-საქართველოს ომმა ქართულ ეკონომიკაზე მოახდინა როგორც ურყოფითი, ასევე დადებითი გავლენა. 2008 წლის ივნისში ჩვენს ქვეყანაში მოქმედმა თითქმის ყველა ბანკმა კრედიტებზე პროცენტები გაზარდა. სესხების გაძვირება პირველ რიგში იპოთეკურ და სამომხმარებლო კრედიტებს შეეხო, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა, როგორც სამშენებლო და დეველოპერულ კომპანიებს, ასევე მთლიან ადგილობრივ წარმოებას. მაშინ ბანკების წარმომადგენლებმა ეს მოვლენა მსოფლიო ფინანსურ კრიზისს და ქვეყანაში არსებულ მაღალ ინფლაციას მიაწერეს.

ეკონომიკის ექსპერტის, გია ხუხაშვილის აზრით: "ჩვენს საბანკო სექტორში და ქვეყნის ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში ივლისში, ასე ვთქვათ, კრიზისი უკვე დამდგარი იყო. ომმა გარკვეული დახმარებები მოიტანა. ეს ფინანსური რესურსები ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის იქნება გამოყენებული, მე არ ვამბობ, რომ ეს ცუდია, თუმცა რომ არ ყოფილიყო საერთაშორისო დახმარებები, ჩვენი საბანკო და

სამშენებლო სექტორი ბევრად უფრო ღრმა კრიზისში იქნებოდა, ვიდრე დღეს ეს არის",

საერთაშორისო საფინანსო კრიზისი ჩვენს ეკონომიკაზე იმდენად აისახა, რამდენადაც იყო იგი დამოკიდებული საერთაშორისო იმპულსებზე. შემცირდა მოხმარება, დაეცა გაყიდვები და მოხდა ფასების მკვეთრი ვარდნა. ამ ყველაფერმა შეზღუდა ბიზნესის აქტივობა. ეკონომიკაში გაჩნდა უნდობლობის მომენტი, შეიზღუდა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა _ დაეცა საინვესტიციო აქტივობა.

2008 წლის 23 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ დონორთა კონფერენციაზე გადაწყდა, რომ საქართველოსათვის რუსეთიდან საომარი კონფლიქტის შედეგების აღმოსაფხვრელად 4,5 მილიარდი დოლარი გამოეყოთ. კერძოდ, მსოფლიო ბანკიდან _ 530 მილიონი დოლარი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან _ 927 მილიონი დოლარი, აზიის განვითარების ბანკიდან _ 300 მილიონი დოლარი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან _ 350 მილიონი დოლარი, ევროპის საინვესტიციო ბანკიდან _ 30 მილიონი დოლარი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან _ 1 მილიარდი დოლარი, ევროკომისიისაგან _ 638 მილინი დოლარი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისაგან _ 174 მილიონი დოლარი, იაპონიისაგან _ 200 მილიონი დოლარი და კიდევ რამდენიმე სახელმწიფომ საერთო ჯამში 88 მილიონი დოლარი გამოყო.

ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ საქართველოს მთავრობის წინაშე დადგა ორი საკითხი: პირველი _ რამდენად ეფექტიანად განკარგავდა ფინანსურ რესურსებს და მეორე _ რამდენად უზრუნველყოფდა ამ თანხის კანონის დაცვით ხარჯვას.

კონფერენციაზე ფინანსური რესურსების ძირითადი ნაწილი ეკონომიკის რეაბილიტაციისათვის გამოიყო. დახმარებები სექტორების მიხედვით სხვადასხვაგვარად გადანაწილდა. ქართული კრიზისის დასაძლევად საქართველოს მთვარობას 4 მილიარდზე მეტი დოლარის რესურსი გადაეცა.

მსოფლიო კრიზისების ისტორია გვიჩვენებს, რომ ასეთი პერიოდის გადალახვა მხოლოდ ეროვნული პროდუქციის და წარმოების ხელშეწყობით არის შესაძლებელი. ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ, საქართველოს მთავრობას

ჰქონდა შანსი შეეცვალა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები და რეალური, წარმოების ზრდაზე ორიენტირებული პროექტები განეხორციელებინა. მსგავსი რეკომენდაციები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტიდანაც მოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა საქართველოს სოფლის მეურნეობა. ქართველი გლეხი პროდუქციის რელიზაციას ცხინვალის რეგიონში ან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ახდენდა. დღეს კი ეს საშუალება საერთოდ შეწყვეტილია, რაც თავისთავად სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითად აისახება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ ამოქმედდა ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმი, რამაც გააადვილა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან დახმარების შემოსვლა და მისი გამოყენება.

კონფლიქტის შემდეგ ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ფინანსური და პრაქტიკული დახმარება გაუწია საქართველოს. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდასაჭერად გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების სახით ევროკომისიამ 9 მილიონი ევრო გამოყო. 2008 წლის 22 ოქტომბერს მსოფლიო ბანკთან ერთად ევროკომისიამ ორგანიზება გაუწია დონორთა საერთაშორისო კონფერენციას, რომელზეც განაცხადა 2008–2010 წლებისთვის საქართველოსთვის 500 მილიონი ევროს გამოყოფის შესახებ და საერთაშორისო დონორებისგან 3.44 მილიარდი ევროს მობილიზება მოახდინა. განხორციელდა პროექტები; ჰუმანიტარული დახმარება (8 მილიონი ევრო), დახმარება იძულებით გადაადგილებული პირებისთვის (61.5 მილიონი ევრო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტიდან და 15 მილიონი ევრო სტაბილურობის ინსტრუმენტიდან) და ევროპელ დამკვირვებელთა მისია ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში.

კონფლიქტების მოგვარების დარგში, ქართული საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთნი ამტკიცებენ, რომ კონფლიქტის მოგვარება რუსეთთან მხოლოდ მოლაპარაკებების საშუალებით შეიძლება, ხოლო მეორენი საერთოდ გამორიცხავენ რუსეთთან ყოველგვარ ურთიერთობას.

აგვისტოს ომიდან ორი წელი გავიდა, მაგრამ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში არანაირი წინსვლა არ აღინიშნება, თუ არ ჩავთვლით ლარსის

საზღვრის გახსნას, რომელიც რუსეთს აკავშირებს სომხეთთან და ზოგიერთი ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ვიზიტს, რომელსაც ხელისუფლება ,,ღალატად'' აფასებს.

ომმა მკვეთრად შელახა ჩვენი ქვეყნის იმიჯი ინვესტიციების მოზიდვის მხრივ, თუმცა, ამ ბოლო დროს მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა. დიპლომატია და მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა აუცილებელია კონფლიქტების მოსაგვარებლად და ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების აღსადგენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://cipdd.org/files/35_318_748517_AfterAugust2008-geo[1].pdf
2. http://experti.ge/sheidzleboda_tu_aar_omis_tavidan22222.htm
3. http://tbiliselebi.ge/?mas_id=1706&rubr_id=1&jurn_id=50
4. http://banksandfinance.ge/world/262-baumani.html
5. http://pbo.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1&info_id=407
6. http://www.commersant.ge/index.php?pg=nt&id=12547&ct=14